

114
1969

၁၆၂၀၀၁၀



8

1969

გნეოთიკი

საქართველოს
განათლების
მინისტრის
გამოცემის
სახელი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე

№ 8

აგვისტო, 1969 წ.

საქართველოს საგზოთა მშენებლის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლალო მგელაშვილი — შაბახი. რომანი. წიგნი მეორე. გაგრძელება	3
ოთარ ველიძე — ლექსები	44
აპაქი გვარამა — მუხარამი ამოსული შვებული. რომანი. გაგრძელება	47
ლალო სულაგერიძე — ლექსები	61
ხარბოზე ვარდუშვილი — ლექსები	62
შილიამ ჭაქვიანი — ვიდე ლირი. თარგმნა ინგლისურიდან ზეიად გამსა- ხუ რდიამ	63
ირაან ვოლფგანგ ვიშეთა — ლექსები. თარგმნა აკაკი გელოვანმა	85
ბერანდო — საბოლოოანი მოკლე. ლექსი. თარგმნა მზია ხეთაგურამი	89

100 3. ი. ლენინი 100

მიხეილ ჯინევაშვილი — ლენინური მომღვრება მუშათა კლასისა და გლე- ხების კავშირში	91
ი. ლომკელი — საქართველოს მთიანეთში ლენინური იდეების გამარჯვები- სათვის ბრძოლის ისტორიიდან	98

შეატები, მოგონებანი

რევაზ ჯგერაძე — ადამიანის მოკრძოლი ზღვა	102
ლევან ასათიანი — უბის წიგნაკიდან	123

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

არლანდ ბერიძე — პარტული ლექსი მიუგნებალი საზომები	146
დომიტრი ქუხიშვილი — ვიზიტატაოსანში „დინოსის“ და „დინოსის სა- კითხისათვის	158
უზუნო პაპაშვილი — თავდაცვის ორგანიზაცია 80-18 საუკუნის ქართლის სამეფოში	170



შალვა ნუცუბიძე

„ნარკვევები საქართველოს კოლიტიკურ მოღვაწეებთან“

ისტორიულია

ალექსანდრე ვუჯირი — „ნ. ბარათაშვილის ეპოქა“

ზ. ლონი — რომანი, რომლის გმირია შრომის ალყაში აღზრდილი ახალგაზრდა

180

186

190

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, შ. ლებანიძე, ბ. შლენტი, ა. სულაქაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტიპრედაქტორი რ. ჩავეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 11/VI-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VII-69 წ. ასაწყობის ზომა $7\frac{1}{4} \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108\frac{1}{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16.8.

№ 02272. ტირაჟი 10.500. შეკვ. № 1776.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ყ ა ბ ა ხ ი

კ მ თ ა ნ ი

წიგნი მეორე

თავი მეოთხე

1.

მთელი კვირის გადაუღებელ წვიმებს ლელისთვის რუხი ფერი მიეცა. ბუერების წყლით გაყვანილი, გაშავებული თავები ჩამოძვნილიყო, აქა-იქ თითქმის მთლად გასცლოდა ერთ დროს მკვრივი საბურველი და გაროკილი ჩხირებილა აეშვირა ზევით. მთელი ქვანტობი დასერილიყო წვრილ-წვრილი არხებით. ის ადგილი, სადაც მიწიდან წყალი ამოდუღდა, საგრძნობლად ჩაწეულიყო. ეულკანის კრატერივით მოჩანდა შორიდან, სადაც ჭერ კიდე ჩაუმცხრალად ბუებუეებს გამდნარი ლავა. ისე, როგორც დიდ მოედანზე ქალაქის ქუჩები, თითქმის ყველა არხი აქ იყრიდა თავს. ათეული წლების განმავლობაში ამ უბნიდან გაფონილი წყალი ახლა ისევ თავის ბუდეს უბრუნდებოდა და შემდეგ ღრმა, მთავარი არხით ალაზანში ჩადიოდა. ალაგ-ალაგ უკვე დამჩნეოდა მიწას სიმშრალე. წვიმის წყლით განზანდილი მსუყვე სიშავე იმზირებოდა ლელიანებიდან.

„თუ ზამთარი თბილი და მშრალი წავიდა, ლელს გადავწვავ და იანვარშივე მოვახვენენებ. შერე გაზაფხულის პირზე გადავხნავ. აქ რომ საზამთრო და ნესვი მოვა, მართო ის შეინახავს რამდენიმე სოფელს. ეს უკვე უზარმაზარი სავარგული ფართობია. აქ რა გამოლევს კიტრსა და პამიდორს? მართო ბოსტნეული ამოსწევს კოლმეურნეობას... პირველ რიგში საბუდეო ბაგა უნდა აშენდეს. ჩვილბავშვიანი დედები მუშა-ხელის რაოდენობას გაზრდიან. შეიძლება ბაგა-ბალი ერთადაც იყოს. ეს კიდე უფრო ხელსაყრელია. შემდეგ კი კლები და ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ამას კი თავისთავად ზედვე მოჰყვება სპორტული მოედნები. ბიჭებს იმედი არ უნდა გავუტყუოთ. ეს მათ დაიმსახურეს. თავი შეაკლეს. რატომღაც მჯერა, რომ ახლა თვითონაც ეამაყებათ. გრძნობენ, რა დიდი საქმე გააკეთეს. კოლმეურნეები გაზარებულნი არიან. — გამგეობაზე კაციშვილს საწინააღმდეგოდ სიტყვა არ დასცდენია, როდესაც უფასოდ რეზინის ჩექმები დაურიგეს და დღეში ორი შრომადღე გადაუწყვიტეს“.

შავლეგო მთავარ არხზე გადებულ ხეზე გავიდა და კვლავ ჭყანტობის ნაპირს გაუყუცა.

„დიდი ამბავი დაგვდო ზაქრომაც. სამი კაცის ოდენს მუშაობდა ყოველ დღე. უნდა დაეუფასოთ მასაც. ამ ბიჭებს არ დავაშლევინებ. ათიოდე კაციც რომ მიემატოს, ერთი ბრიგადა იქნება. ზაქროს ბრიგადირად დავნიშნავთ. ერმანას უკვე აქვს ბრიგადა ჩაბარებული. აღარაფერს ამბობს ახალგაზრდულ ბრიგადაზე. თითქოს დაიკმაყოფილა პატივმოყვარეობა, რაკი უკვე ბრიგადირის სახელს ატარებს. ყოველ კაცს აქვს სადღაც გულის კუნძულში ასეთი ჭია. რა ვუყოთ მერე? რევაზზე ნაკლებ არ უძღვება ჯერჯერობით იმ ბრიგადას. ვარდუაანთ იოსება ნაწყენია. არც გაიმტყუნება. სადაც სამართალია, მას ეკუთვნოდა ბრიგადირობა, მაგრამ მედიკოს ხატორი ველარ გაუტეხეს. დიდ იმედებს ამყარებს თავის კომკავშირის კომიტეტის მდივანზე. კარგი ვაყაყია იოსება, ცოლი არანაკლები ყავს. აი, როგორები სჭირდება ახლა ჩვენს კოლმეურნეობას“.

ძველ ნაკალაპოტარში, სადაც ჯერ კიდევ ზიშნიშებდა წყლის გუბე, ლელის პირას ცალ ფეხზე შემდგარიყო თეთრი ყანჩა. თავი უკან, მხრებში ჩაეძვრინა, მაგრად გამომწვარი აგურისფერი გრძელი ნისკარტი წინ გაეშვირა და იდგა ქანდაკივით გარინდებულ.

ყოველდღე ხედავდნენ ბიჭები ამ ყანჩას. საათობით შეეძლო დგომა ასე. მხოლოდ ხანდახან გაიღლებდა წყალში მზაკვრულად გაშეშებული ნისკარტი და უმაღლესადაც თევზი აფართხალდებოდა მის მარწუხებში. ერთხელ გველი შენიშნეს ბიჭებმა. ამოდ გრეხდა თავის ღონიერ ტანს ქვეწარმავალი, ამოდ ცდილობდა გრძელ კისერს მისწვდენოდა და ზედ შემოხვეოდა. მისი ავი, სლიბი თავი მისდაუნებურად მაინც მიძვრებოდა ფრინველის ყანყარატოში და მალე სიკვდილის თრთოლა დაკრული გრძელი კუდიც გაქრა ნისკარტს

იქით. პირველად უფრთხოდა ზალხს. მერე ბიჭებიც მიეჩვივნენ „ჩვენს ყანჩას“ და სახელად ლამაზა-ღამაჩქევსა კიდევ კარგი, ერმანამ არ იცოდა ეს ამბავი, თორემ შავ ღღეს დააყრიდა ჩასაბერს.

უეცრად ყანჩა შეირბა და კისერი ასწია. გრძელი, წვეტიანი ნისკარტი ცას დაუმიზნა და მეზამრდივით გააშეშა.

შავლეგო მიხვდა, რომ ყანჩამ ან რომელიმე მტაცებელი ფრინველი დაინახა, ანდა მისი ხმა გაიგონა. ასე იცოდა ზოლმე ყოველთვის. ამითი ან გარემოს ეხამებოდა, რათა ძნელი შესამჩნევი ყოფილიყო ლელის ღერებში, ანდა თავის მახვილ ნისკარტზე ამყარებდა დიდ იმედებს თავდასაცავად.

„საინტერესოა, რატომ არ გაჰყვა თავის მოძმეთ იქ: ცხელ სამხრეთში? იქნებ აქაურმა სითბოებმა შეიტყუა? ფრთა ზომ არა აქვს დაზიანებული? ცოდვაა საბრალო, ცივი ზამთარი რომ დაუდგას“.

შორს, ჭყანტობის ბოლოში, ზედ ჭალის პირას დიდი ცეცხლი ენთო. კვამლში გარეული ალის ენები ხის ტოტებს ლოკავდნენ. აქამდე უწყევდა ძველ ნაკალაპოტარზე და ლელიანზე გაღმთგორებული სიცილ-ხარხარი.

უხარიათ ბიჭებს, ალბათ კუპრაქა ჩამოვიდა, ანდა შაქრია ჰყვება თავის ოინებს. ოჰ, ეს ჩასაბერი, ეს ჩასაბერი! აი, კიდევ ვინ არი ქების ღირსი. არც სხვა ბიჭები ჩამორჩებოდნენ მავას. არა, უთუოდ კიდევ რაღაცა უნდა მოვიფიქრო, რომ წაეხალისო და იგრძნონ კიდევ: ყოველი შრომა კუთვნილ საზღაურს რომ იმსახურებს.

ძველ ნაკალაპოტარს აქა-იქა გუბეები შემორჩენოდა. გუბიდან გუბემდე წვრილ ნაკადად მიწანწკარებდა დასაყურო არხებიდან ჩამონაწერი წყალი. ნაკალაპოტარი უფრო ხშირად შუა ჭყანტობს მიუყვებოდა. შავლეგო მოსცილდა და ალაზნის ბალახოვან კლდის პირს გაუყუცა. მდინარე წვიმებს აედიდებინა და აემღერინა. მრავალი ნაშე წაე-

ლუკა. ყრუ, დაბალი ბანისმიერი ხმით მოქშუოდა განიერ სადინარზე.

მუხის ქვეშ ბიჭები ხორბოცებდნენ. ფესვებზე, ქვეზე, კუნძებზე, ძირს გაშლილ პალტოებზე წამოშხდარ-წამოწოლილნი, დროდადრო მუხლებზე და ფერდებზე იტყაუნებდნენ ხელებს.

— ვაი, შენ არ მოუყვდე შენს დედას, ჩასაბერო!

— გეყოფა, თორემ ლუკმას ველარ ჩავიდებთ პირში. იგრე გადმოგვიბრუნე გულ-მუცელი.

— აი, გაჭრი, ამა! — ქალურად უტყევდა თონიკეს ბიჭი და თან ქოქოლას აყრიდა.

შაქრიამ, როგორც კი შავლეგო შენიშნა, პირზე კლიტე დაიდო.

ბიჭები მიესალმნენ მოსულს და შეეხვეწნენ:

— ყველაფერი დაქვეა, რაც იცოდა და იმას კი აღარ გვეუბნება, წუხელ სიზმარშირა ნახა.

— იქნებ სიზმარი არც უნახავს? — გაელიმა შავლეგოსაც.

— როგორ არ უნახავს, აი, ძია სოფრომა უნახავს სიზმარში.

შავლეგომ ახლალა შეამჩნია მუხის ფესვებთან მიგდებული, ძველ, ქუქუიან ფარაჯაში გახვეული, ყავარჯნიანი კოჭლი. იწეა მოღრუბლული, განიერ მხრებში დამუხუხ ბელურასავით თავჩარგული და უწარბო, ღია-თაფლისფერი თვალეებით ბოროტად უცქეროდა ცეცხლის მოშორებით ქვაზე ეშმაკივით წამოსკუტებულ ხატილუწიას შვილიშვილს.

— რაო, მეველე გიგამ რა თქვა, რა დროს ჩამოვალო? — იკითხა მახარებ.

— სანამ გაამზადებთ, მეც მოვალო. — თქვა შავლეგომ.

ბიჭები ერთი-ც გადაგორდნენ სიცილით.

სოფრომამ ახლა მახარეს დაასო გამსჭვალავი თვალი.

შავლეგოს ჯერ გაუყვირდა ბიჭების სიცილი. მერე თვითონაც გაიხსენა ამ კაცისა და მეველე გიგას მუღმივი, გა-

უნელეხელი ერთურთის სიძულვილი და თავადაც გაელიმა.

სოფრომას ჭალისპირა მტკნარულ ბალაშას ეძახდა. მის ენას მიაწერდნენ რამდენიმე უდანაშაულო ოჯახის განადგურებას ამ ოციოდე წლის წინ. ავი ენები იმასაც ამბობდნენ, ახლაც არ ივიწყებს თავის ძველ ხელობასო. და სძაგდა მთელ სოფელს ეს კაცი.

სახლი ღამით ვიღაცამ გადაუწეა. მთელი საარჩო-საბადებელი და ძვირფასი ავეჯი ცეცხლმა შთანთქა. თავად საცვლებიანმა ძლივს გამოასწრო გარეთ. ნამძინარევი, აივნიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა. მის ღრიალზე მთელი სოფელი გამოეფინა. იდგნენ და უცქერდნენ, როგორ ეპოტინებოდნენ ცეცხლის დაკლავნილი წითელი გველები ცას.

სანამ სახურავი არ ჩაიქცა და ყველაფერი თან არ ჩაიტანა, ახლოს არავინ მიჰყარებია.

მხოლოდ თომას მოუვრდა აზრად:

— თითონაც ხომ არ დაშავდა ეგ დაწყველილი?

პირქელში გოდერძი უცებ დაიძრა ადგილიდან. მას მეზალე და ორიოდე ცნობისმოყვარე მიჰყვა.

სავედმყოფოდან მალე გამოვიდა, მაგრამ ყავარჯენი ამოიჩარა დაკოჭლებულმა. მეველე გიგა კი ახლაც ირწმუნება:

— ქურდია-მეთქი, ქურდი! სიმუღიანტობს! პენსიისთვის იგონებს კოჭლობას. ღამე უყავარჯნოდ დადის და ქათმებს იპარავს! ერთხელ საცემრად მივედი და შინ არ დამხვდა. ცეცხლს გადარჩენილი ბედელი, სადაც ბუნაგობს, სულ ქათმის ბუმბულით იყო საფსე.

— აბა, რა სიზმარი ნახე, შაქრი? ჩასაბერი გაინახა.

— იგეთი არაფერი, შავლეგ, ძია სოფრომა ვნახე.

სოფრომამ ძირმიგარებისგან დაქმული კისერი ძლივს მიიბრუნა შავლეგოსკენ და ცივ, გაყინულ თვალეებში რალაც ღიმღისნაირი გაუქრთა.

— ჰო, აბა, თქვეი ერთი რა ნახე, — ახლა უკვე თავადაც დაინტერესდა კოჭლი. — ენამურალი კი ხარ, პაპაშენივითა. — სიზმარში გნახეო. აბა, როგორა მნახე, ჩასაბერო. ე ბალებზე რო ახურხურებ, ჩემი სიზმარი მე მითხრა აზირა!

— უამბე, შაქრი!

— კარგი, ჰო, გვითხარი, რას გვაწამებ, ჩასაბერო.

ჩასაბერმა თავისი ქვა გაძლიერებულ ცეცხლს კიდევ უფრო მოაშორა და თბილი, მეგობრული მზერა ბალღამას ცუდად დამალულ ბოღმიან თავლებს გაუმართა.

— წუხელ, ვითომ მე და შენ, ძია სოფრომ, დავიხოცენით და დაგვმარხეს.

როცა ამბავს ყვებოდა, ჩასაბერი თავად არასოდეს გაიცინებდა.

— დაგვმარხეს და იმავე ღამეს ანგელოზებმა მთლად დედიშობილები ღმერთთან მიგვიყვანეს. მხატვრები მიჰქარავენ, როცა ღმერთს ყოველთვის დიდ წვერულვაშიანს ხატავენ. ჩვენ როცა მიგვიღო, მაშინ გაპარსული იყო და უღვაშები ცხვირქვეშ ჰიტლერივით დაეყენებინა... მთლად ტიტვლები ვართ-დედიშობილები. გავიხედ-გამოვიხედეთ, სხვებიც ტიტვლები არიან. ალბათ იმ ღამინდელი დამარხულები იყვნენ ისინიც. რალაც უცნაურად გამოიყურებოდნენ. ჩვენი მიმყვანი ანგელოზი მოვიდა და ყურში მიიღრჩულა:

— ნუ გიკვირს, ყველანი თავიანთი ხელობის მიხედვით მოვიდნენ. ავერ ის, თავი ალავერდის გუმბათს რომ მიუგავს, მოჰადრავია. აქეთ შეხედე: ხელფეხი რომ ნიჩბებივით გაბრტყელებია, მოცურავია, მუშტის ტოლა თავიანი და უზარმაზარ წვივბარძაყიანი — ფეხბურთელია. აი, ის კი, თითქმის მთლად უთავო და გრძელკანჭიანი, მოცეკვავია. ღმერთთან ჭერ ეგენი მივლენ.

თურმე იქაც, როგორც აქ, ჩვენთან, დედამიწაზე, სპორტსმენები ყველაზე დიდ პატივში არიან.

როცა მე და შენი ჭერი დადგა, ძია სოფრომ, ღმერთმა გვითხრა: უნდა ავ-

წონოთო. ერთი ხელობის ხალხი ხართ და წონაც თანაბარი უნდა გამოვიყვანოთო. თუ რომელიმე ზედმეტში მძიმდება, არავითარი კასაცია, ორივეს ჯოჯოხეთში გიკრავთ თავსო.

მე ვთქვი გუნებაში, ჩვენ რა ხელობა გვაქვს, იმ ქვეყნად ენის სარსალის მეტი არა გავიკეთებია რა არცერთს-მეთქი. გავიხედე და ორივეს ჩობანა-ძაღლებივით მტკავლიანი ენები გვაქვს გადმოვადებული.

ანგელოზმა სასწოროთა მიგვიყვანა.

შენი სასწორო ვერ ვინიშნე, მაგრამ ჩემსას შეხვდეთ თუ არა, მაშინვე ვიცანი.

ვეუბნები: პატივცემულო ღმერთო, ეს სასწორო ლოტოს — კოჭისეულია, ჩვენი საწყობის გამგისა. მის დღეში სწორად არ უმუშავებია. შეიღმა კაცმა შეიღ დღეს ვერ გაასწორა. ამიტომაც მიიკვალა ეგრე ადრე. სხვაზე ამწონეთ-მეთქი.

არაფრით არა ქნა: ბურთი აავლო და თავი შეუშვირა (ფეხბურთელების ხატრით).

შეგვაყენეს სასწოროზე.

ზის ჩუმად ღმერთი, აქეთ-იქიდან თითო ანგელოზი უღვას უკან. ერთის წინ შაქრის გორაა, მეორის წინ — ნეხვისა. ორივეს დიდ-დიდი ჩამჩები უჭირავთ ხელში.

შეგვაგდეს სასწოროზე და ავეწონეს. ავეწონეს და, ძია სოფრომ, შენ მძიმე მოხვედი.

— გააწონასწოროთო. — თქვა ღმერთმა.

აილო ანგელოზმა და შაქრის დიდი ნატები დამადო ენაზე.

კიდევ ავეწონეს.

ახლა მე მოვედი მძიმე.

აილო ანგელოზმა და ერთი დიდი ჩამჩა ნეხვი დაგადო ენაზე.

ახლა ისევ შენ მოხვედი მძიმე.

მაშინ გაბრაზდა ღმერთი, წაგვარეს ენა და მე ამომიღეს ლაჭებში...

კიდევ ავეწონეს.

ახლა კი მე მოვედი მძიმე.

გადაირია ღმერთი: ეს რა უკუღმართ ხალხს გადაეყარეო. წამაჭრეს...

მაგრამ სოფრომა უკვე წამომდგარიყო, უშვერი სიტყვით ლანძღავდა ხატულწიას მთელ ჯილაგს და ყავარჯნით იმუჭრებოდა. მერე ფატრიალდა ღურღურით და სოფლისკენ წაჩლახუნდა.

— დაიცა, ძია სოფრომ, ბოლომდე გითხრა.

ბიჭები იგრიხებოდნენ, გორაობდნენ, აქეთ-იქით ქანაობდნენ და ხიხინით იფურთხებოდნენ.

— შენ მოუკვდი შენს ღელას, ჩასაბერო!

— დავგხოცე ხალხი და ეგ არი.

— მადა სულ გადამიგდევ, რჭულ-ძაღლო!

— რატომ გაავდე? — იცინოდა შველევოც.

— სიკეთე ვქენი; სადაც არი, მეველუ გიგა გამოჩნდება. სულერთია, დაითვრებოდა და მოკლავდა.

შველევო მიხვდა, რომ მთელ სოფელს ახლაც არ განელებოდა ზიზღი ბაღლამასი. შებრუნდა, გვერდი აუქცია მუხის ძირას ვეება კასრს, სავსე ტომარას, გატენილ ხურჯინებსა და ხის ქვეშიდან გავიდა.

მოშორებით კუპრაჰას გატყავებულ იცხვარი ჩამოეკიდნა კუნელზე და შეგნავდა.

— როგორა ხარ, სიმონ? — მიესალმა.

— იგრე ვარ, როგორც ერეკლე ასპინძის შემდეგ.

— ძია ნიკო არ მოვა?

— ძია ნიკო ცას სწვდება სიხარულით, როგორ არ მოვა!

— სამწვადეები წამოიღე?

— ანდე, ხარის ბარკალია მთლიანად.

— როდის უნდა გადაგიხადო სამაგიერო?

— შენ მაგისტვის გულზე დარდი არ შემოიღო. ისევ მაგათი კისრიდან ამოვიღებ. — ხომ იცი, ეშმაკი თავის ოჯახს არ აზარალებს.

— მარტო რას წვალობ, რატომ არა-ვინ გეხმარება?

— მეხმარებოდნენ. მერე ბაღლამა მოვიდა და ყველანი შემოიფანტნენ.

— მაინც დამენანა. გაავდე ბიჭებმა. იქნებ შშიერიც იყო.

— მაგათ რომ არ გაეგდოთ, მე მაინც არ გავაჩერებდი.

— შენ რალა დაგიშავა?

კუპრაჰამ ჯიგარი ჩამოხია, გადმობრუნებულ ტყავზე მიაგდო და სისხლიანი მაჯით შუბლი მოიწმინდა.

— მაჩვი ხომ იცი. ძალიან სუფთა ნადირია. სოროს ღრმად იკეთებს, სათადარიგო ხერვლებს სამიშროების დროს, და შუაში დარბაზს. — დიღს, თბილსა და სუფთას. ძალიან უყვარს სისუფთავე. ეს იცის უქნარა, ზარმაცმა და ეშმაკმა მელამ. შევა შიგა, გააბინძურებს იქაურობას და რაკი ვერ იტანს მაჩვი სიმყარულს, გაეცლება სოროს. მერე თავათ მელა ისაკუთრებს უშრომლად და ოფლის დაუღვრელად.

შველევოს აღარაფერი უთქვამს. გამობრუნდა და ისევ ცეცხლთან მივიდა.

— მიდით, ბიჭებო, და სიმონს მიეხმარეთ. ნიჩაბი სადა გაქვთ, არ წამოგლიათ? მთავარ არხში კედელი ჩამომზღვლეულა და წყალი შეგუბებულია.

— ვიცი. ზაქრო წავიდა და ნიჩაბიც იმან წაიღო.

— მამ რატომ გზაზე არ შემხვდა?

— ნაკალაპოტარს გაუყვა. ალბათ, ლელიანში ასცდით ერთმანეთს.

— მიეხმარეთ, ბიჭებო, სიმონს მიეხმარეთ. ზოგმა ხახვი ცაფცქვენიით, ზოგმა კარტოფილი, ზოგმა მამფურები დათაღეთ. რა პქენი, ჯიმშერ, მოიტანე ყაურმისთვის წიწკა?

— მოვიტანე. ანდე, ხურჯინის თვალშია.

— მამ, მე წავალ და ზაქროს მიეხმარები. ცოდვაა, — მიწა კარგა ბლომადაა ჩამომზღვლეული.

მთავარი არხის პირას ზაქროს ბარძაყებამდე აეჭაჩა რეზინის სანადირო ჩექმები და მუხლამდე წყალში მდგარი შეგუბებულ ფშას ცხვას უხსნიდა. ლორიან ნაშალს ნიჩბით იღებდა და, თუმცა შეეძლო ოქვე წყალში ჩაეყა-

აქ, ამ ყველაზე ბოხოქარ ადგილას, სადაც აღმოჩენები და გნებები ერთიმეორეს ეჯახებოდნენ, სადაც მრავალთა ბედი და უბედობა წყდებოდა, სადაც ყოფნა-არყოფნა იღებოდა სასწორზე, სადაც ერთნი კარგავდნენ და მეორენი პოულობდნენ, სადაც ცრემლი და სიცილი მონაცვლეობდნენ, აქ, ამ ყველაზე ბოხოქარ ადგილას, საოცარ სიმშვიდეს გრძნობდა ხოლმე დილდოლობით მდივანი. რაღაც უზენაესი იყო კედელზე რბილი ზონრებით დაბმულ, შავად მოლაპლაპე ტელეფონების მყოფი

დრო თვლელმაში წითელმადიანი მა-
გიდის ირგვლივ შემომწყრებელი
სკამების ბრძნულ მდუმარებაში. აქ
შეთვრნობოდა მთელი დღის ნაგვეში
მენახირის სიმშვიდის სიტყვა. მენახი-
რისა რომელსაც აღარ ანადვლებს არც
ნადირი და არც ბოროტი კაცის ხარბი
ხელი. გომურის კარი გამძლეა, კედ-
ლი მყარი, ხოლო ქოფაკები ავნი და
ფხიზელნი. ახლა შეუძლია მთელი დღის
მამარალს წყნარად იძინოს, სადაც მშვი-
დი ფშვებით ხბორები წვანან, ხოლო
ძროხები ზეზეურად იცოხნებიან.

შემდეგ იწყებოდა მეწისქვილის ღა-
მე.

მხოლოდ თავისი წისქვილის ახალ-
მოკლდელი ქვის გრუტუნში და ბორბ-
ლის ფრთებზე მივდებელი წყლის
შხუილში იძინებს მეწისქვილე. მხო-
ლოდ სარეკელს ცეკვა-ხტუნვასა და
ბუქნაობაში იძინებს. აბა, სცადეთ და
ერთბაშად შეაჩერეთ წყლის მდინა-
რება, ქვის ბრუნვა და სარეკელს რი-
ტმული ხტომა! — სადათას ძილითაც
რომ ეძინოს მეწისქვილეს, უმალ გაე-
ღვიძება, უმალ შეშფოთდება ამ სიმ-
შვიდე-სიმყუდროვეში და მანამდე
ვერც დამშვიდდება, სანამ ხმაური,
ყოვლის მომცველი ხმაური კვლავ
არ გამეფდება წისქვილში.

დიდი ხანია, რაც შეეჩვია მდივანი
ყოველივე ამას. დიდი ხანია, რაც შეე-
გუა. ამ უზარმაზარ კაბინეტში თითქ-
მის ყოველ დღე მონაცვლეობდა მენა-
ხირე და მეწისქვილე. სასწორის ბი-
ნებიც თანაბარ სიმძიმეს იტევდა... მაგ-
რამ ამ ბოლო დროს რაღაც მოეშალა
წისქვილს, რაღაც გაუმრუდდა და თა-
ვად მეწისქვილესაც აერია რეფლექ-
სები. თანდათან ძირს დაეშვა მენახი-
რის პინა და ლამის ბოლომდე გადასძა-
ლოს კიდევ სიმძიმე.

ოდესღაც ტყუპად აყრილი ორყაბა-
ზივით მიუყვებოდა ერთი მეორეს სახ-
ლი და სამსახური, შემდეგ ისინი ორ
საწინააღმდეგო პოლუსად გაითიშნენ.
ხოლო ახლა, ამ სიკეთის დროს შე-
ერთდნენ, კვლავ შენივთდნენ, თითქოს

პირი შეკრესო, ოდონდ მთელი მისი
კეთილდღეობის სამუქაროდ და საფრ-
თხობელად.

ზომ არ დაბერდა? ან იქნებ თავად
ცხოვრებამ იცვალა ნირი და ისე ჩაუა-
რა გვერდზე, ვერა გაიგო რა?

ჩამორჩენილებს სცემენ!

ნეტავ ვინა თქვა ეს პირველად?

არა, წვევამდელის ახალგაზრდობა
არაბა არი ბევრ ჭირნახადი ჯარისკა-
ცის გამოცდილებასთან. ლოგინად ჩა-
ვარდნილი — პატარა უფლისწული
სთხოვს მამას, რომ მის სარეცელთან
ოცი-ოცდახუთი წლის მოქნილი ჭაბუ-
კი კი არა, — ორმოცი წლის გამოც-
დილი ლანდსკნეხტი დააყენონ დარა-
ჯად. რათა სიკვდილმა ვერ გაბედოს მი-
სი ხელყოფა... სიბერეც შორს არი...
პენსიონერის სარბიელი კი გრილი ბა-
ლი და ჭაღარაგის დაფა.

არა, ძალაც და ასაკიც სწორედ ახლაა
სიმწიფეში. მოწვეულ ნაყოფს კი სხვას
ვერ დაანებებს მოსაწყვეტად...

აქ, ამ დიდ ქვაბში, სადაც ერთად
იხარშება ძირტებილასა და ძირმწარას
წვენი, დილდოლობით საოცარი სიმ-
ყუდროვე სუფევს, როგორც კი მისწყ-
დება დამლაგებლის ცოცხისა და ტი-
ლოს თარეში.

ლუარსაბმა საფეთქლებს ხელები
შემოაცალა და გამოურკვეველი მზე-
რით დიღხანს უკქერდა მაგიდასთან
მომდგარ მდივან ქალს.

— ქალისპირის კოლმეურნეობის
თავმჯდომარეა, — კიდევ ერთხელ თქვა
შეცბუნებულმა ქალმა.

— მოვიდეს, — უგუნებოდ გამო-
დგება მდივანმა და რატომღაც ვახსნი-
ლი პიჯაკი შეიკრა.

ნიკო შემოვიდა, ქული მოიხადა.
მიესალმა და დაჯდა.

უცნაური იყო: ამ კაცის დანახვაზე
მდივანს ყოველთვის სიმშვიდე და თა-
ვისი თავის რწმენა ემატებოდა.

— შენ ამ ბოლო დროს ძალიან მო-
უხშირე თელავში სიარულს, ბალიაშვი-
ლო.

— მგონი თავმჯდომარისთვის უფ-

რო უბრალოდ უნდა იყოს აქ მოსვლა, ვიდრე ნათავმჯდომარალისთვის. საჩიველელად მოვედი.

— საჩიველელად?

— რად გაიკვირვებ? იყო დრო, როცა მე მიჩიოდნენ, ახლა მაიძულეს თვითონ ვიჩივლო.

მდივანი მიხვდა, ვისზედაც გადაუტრეს და ერთხელ კიდევ დაიკვირვა: ამ კაცის თვალს არაფერი დაემალებოდა. ხოლო ის თვალები, ჭრუტა, გამჭრიახი, ოდნავ გამჭირდავი, ახლა მას მისჩერებოდნენ და სამართალს ითხოვდნენ. ვიწრო ჭრილებში შემპარავად კიაფობდა დადარაჯებული, რაღაც თავხედური შუქი.

— ვის უჩივი? ისევ ენუქაშვილს?

— არა, იმას აღარ. ახლა თქვენს ხალხს ეუჩივი.

— ვინ ჩვენს ხალხს?

— ვინც გამოგზავნეთ მის შესამოწმებლად.

— თორღვა გამოგზავნენ — ბექურაიძე, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე.

— და კიდევ ერთი ინსტრუქტორი.

— რომელი ინსტრუქტორი?

— გვარი აღარ მახსოვს. ისიც თუ შია.

— ვიცი, ვისაც ამბობ, მეტი რა გინდა? თუშები მიუდგომელი ხალხია.

— მართალია, მაგათ ვერ მიუდგებიან. თავათ კი, რასაც როგორ ისურვებენ, იგრე უდგებიან.

— ის ინსტრუქტორი ახალია, კარგა ხანია თეიმურაზი შეუდგომლობდა მისთვის. თორღვას კი რა ღმერთი გაუწყრა? — ლუარსაბი ზარს გადასწვდა და მდივანი ქალი იხმო. — სოფლის მეურნეობის განყოფილებაში მოვიდა ვინმე?

— ყველანი არიან. ვინ გნებავთ, ლუარსაბ სოლომონი?

— ბექურაიძე მოვიდეს. შენამდე ძალიან სწრაფად აღწევს ამბები, ნიკო. სწორედ გუშინ მეუბნებოდა თორღვა: არაფერი უმტკიცებო.

ქალისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავი სინანულით გადაიქნია.

— სპარსელებმა ვერ დაღუპეს, ვერა? ბებმა ვერ დაღუპეს, თურქებმა ვერ დაღუპეს, მონღოლებმა ვერ დაღუპეს, — ქართველ კაცს თუ დაღუპავს, — პურმარილი დაღუპავს.

— როგორ! — აღშფოთდა მდივანი. — მე გამოსარკვევად ვგზავნი ჩემს ხალხს და ისინი დამნაშავეს სუფრაზე თარეშობენ?

— ანდე, მოვა და ჰკითხე, განა დავიშალავს.

კაბინეტში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე შემოვიდა. თუშისთვის დამახასიათებელი მანერით მოდიოდა: მსუბუქად, მოწყვეტით და მტკიცედ აღგამდა ნაბიჯებს. თავმჯდომარის პირდაპირ დაჯდა და ხელი ჩამოართვა.

— უთურგაიძე აქ არი? — იკითხა მდივანმა.

— აქ არი. გნებავთ, დაუძახო?

— არ გინდა. მაგას მერე მოველაპარაკებო. ახლა, აი კაცი მოვიდა და ამბობს: ქალისპირში კერძო არყის მხდელის საქმიანობის გამორკვევა ტენდენციური იყო.

— კი, მაგრამ რა საფუძველზე? მე ხომ მოგახსენეთ გუშინ დაწვრილებით ყველაფერი.

— შეიძლება მოხსენება დაწვრილებითაც იყო, მაგრამ კაცი ამბობს, რომ არასწორი ყოფილა.

— რა ყოფილა არასწორი, ძია ნიკო?

— არც იმდენი, შვილო, მაგრამ მაინც საყმარისი. ეს შენი ბრალი კი არ არი, შენი გამოუტყდლობის ბრალია. სოფელს არ იცნობ კარგად, ხალხს არ იცნობ და ამ საქმესაც დიდი ხანი არ არი, რაც უძღვები. ის კაცი სოფლის ერთი მარცხენალი და მუწუკია. ბევრ სხვა რამეშიც არის შენიშნული. გვერდ-მოდრეკილი სახლი ბევრ სხვა, შენზე გამოცდილსაც მოატყუებს. ქვების მთები და აგურის გორები ნახე ეზოში? — სასახლის დადგმას აპირებს.

სოფლის მეურნეობის გამგე შეცბა.

— მე მგონი, მთელი ჩვენი საკოლმეურნეო წყობილების მიზანია, რომ ყველა კოლმეურნე კარგად ცხოვრობდეს და სახლიც კარგი ჰქონდეს. პირველად მესმის, რომ სახლის მშენებლობას ძრახავდნენ.

— მშენებლობას არავინ ძრახავს, შვილო, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, ვინ აშენებს და რა კაცი.

— თითქმის მთელი უბანი მოვიარე და იმ კაცზე ცუდი არავის დასცდენია.

— რათ დასცდებათ, შვილო, ხელი ხელსა პაპსო. რამდენი ვიცით, მაგრამ რამდენი არ ვიცით, ვის გამოუხადა არაყი?

— სულ სამი კაცისთვის გამოუხდია.

— ერთიც საკმარისია, შვილო, მაგრამ მოუტყუებიხარ. ბევრს გამოუხადა და კიდევაც გამოუხდოდა, დროზე რომ არ გავკვევო.

— ქვაბი სად იშოვა? — დაინტერესდა მდივანი.

— თითონა ჰქონია.

— არ ჩამოართვი?

— მამა-პაპეული ჰქონია, შემორჩენილი.

— არ შეიძლება, შვილო, უნდა ჩამოერთვას. ქვაბიცა და მისი მოწყობილობაც საწარმოო საშუალებაა, რომელიც ადრევე კოლმეურნეობაში უნდა გაეერთიანებინა. მაგრამ ეგრე რიგად ვერ დავემდურებით, რადგან კოლექტივიზმის გრძნობა სახედარში უფრო მეტია, ვიდრე მაგ კაცში. იმის მაგივრად, რომ კოლმეურნეობაში იყოს მუყაოთად, არაყს კერძოდ ზდის. ამით, შვილო, მუშახელიც გვაკლდება და შემოსავალიც. არყის ის პროცენტი, რომელსაც კოლმეურნეობა იღებს გამოხდის სადასურად, კერძო კაცის, მაგ კაცის ჯიბეში მიდის.

— მე დავკითხე ორი კოლმეურნე, — ვისაც გამოუხადა. არცერთისგან წვეთი არაყი არ აუღია იმ კაცს გასამრჩელოდ. პირიქით: იმ დედაბრისთვის თავისი შეშა დაუხარჯავს და თვითონვე მომსახურებია გამოხდისას.

— გამორკვევა იმას ჰქვია, შვილო, რომ გამოირკვიო. თვითონვე ვეტყვის მივეციო? რატომ მაგ [თარის] [გარდა] სხვასაც არ ჰკითხე?

— სხვა არც გამოიგია.

— მჯერა, შვილო, რომ ვერ გაიგებდი. იმ დედაბერზე არანაკლები საწყალი კაცია და ალბათ, „ბელურასაც“ იმიტომ ეძახიან. რატომ იმას არა ჰკითხე, ააღლიტა თუ არა ხელადა არაყი?

— ეგ კაცი სულ არ გამოიგია.

ჭალისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მდივანს გადახედა და ჩაიღიმა.

ბევრის მოქმელი იყო ეს ღიმილი მდივნისათვის.

ლუარსაბი სკამის ზურგზე გადაწვა და მოქაქა.

— აბა, რისთვის გაგვზავნე იქა? მხოლოდ იმიტომ, რომ გაშლილ სუფრას მოსჯდომოდით? — მდივანმა ხმას აუწია და წარბი შეჰყარა. — რამდენჯერ მოთქვამს მე თქვენთვის: როდესაც ამგვარ საქმეზე მიდიხართ, პირი არ დააკართ იქ რამეს? და, საერთოდ, ყოველნაირად ერიდეთ და თავი შეიკავოთ ცდუნებისაგან.

სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე აღშფოთდა:

— რას ამბობთ, ამხანაგო ლუარსაბ, რომელ სუფრასთან, რა სუფრასთან, ვინ მოჰორა ეგ ამბავი?

— რა ვინ მოჰორა? შვილო, მთელ სოფელს ახლა ეგლა აქვს სალაპარაკოდ.

განყოფილების გამგეს სახე შეეფარა, განიერ, დაკუთხულ ყბებზე კუნთები საგრძნობლად ამოებურცა, თვალებში დაბნეულობა ჩაუსახლდა.

— როგორ თუ სოფელი ლაპარაკობს, ვინ ლაპარაკობს?

— აბა, ყველას სად ჩამოგივლი, შვილო, კერა არყის სახდელიდან დაიწყესო.

— მტყნარი სიცრუეა, ამხანაგო ლუარსაბ, ჩვენ მხოლოდ ერთი ჰქვია გავსინჯეთ ჭაშნიკად... ესე იგი... როგორ

გამოხადა... სცოდნია თუ არა, გამოხდა... ერთ ღროს მამაჩემი ხდიდა ხოლმე, ჩემი ბაღლობის ღროს, პანტისა და ანწლის არაყს. მე მხოლოდ ვავსინჯე, სცოდნია თუ არა გამოხდა.

თავმჯდომარემ ერთხელ კიდევ გადახედა გამტყნარებულ მდივანს და მერე განყოფილების გამგეს მიუბრუნდა.

— მეცა და ამხანაგ ლუარსაბსაც გეჭერა შენი, შვილო, მაგრამ სოფლის ყბაში ჩავარდნას, ვეშაბის ყბაში ჩავარდნა გერჩიოს. ვიცი, რომ გამოუცდელობით მოგვივიდა ჭაშნიკის გასინჯვაცა და სუფრაზე მისვლაც.

— ღმერთი, რა უფლი, სუფრა არ ყოფილა და არც მივსულვართ.

— ყური დამიგდე, შვილო, პატროსან კაცთან არავინ არაფერს იტყვის, ყირაზედაც რომ გადახვიდე, მაგრამ...

— მთელი უბანი ემოწმება იმ კაცის პატროსნებას!

— ერთი-ორი კაცი, რომელთანაც აღბათ, ანგარიშები აქვს, მთელი უბანი არ არი, უბანი კი — სოფელი. მაგ კაცს შენ არ იცნობ, ვინ არი და რა კაცია. ეგ კაცი დიდად საშიში კაცია მართო ჩვენი კოლმეურნეობისთვის კი არა, მთელი იმ საქმიანობისთვის, რასაც კოლმეურნეობა ეწოდება. ეგ ერთი ინტრიგანი და გაიძვერა კაცია, რომელიც თავისი მოქმედებით პატროსან ხალხსაც უბიძგებს დანაშაულისა და კერძო მეურნეობისაკენ. ახლა სოფელში ბევრმა მაგის შემყურემ ზოგმა საკირე დაწვა ზოგმა ქურქელი მოჭრა, ზოგმა ქვევრები გააკეთა და ზოგმა ავტოკრაფიტი. ამათ დღესაც და ხვალ მეზობელი სოფლები მიბაძავენ, ზეგ რაიონები და მაზეგ ყველანი კერძო მეურნეობისაკენ შებრუნდებიან. ამას გაგება უნდა, შვილო, ამას მიხედვარა და დანახვა უნდა. წილანაც გითხარი, რომ გამოუცდელი ხარ და კარვად არ იცნობ-მეთქი. იცი, ეგ კაცი ვინ არი? — და მდივნისაკენ შებრუნდა თავმჯდომარე. — მაგ კაცმა, ამხანაგო ლუარსაბ, ამ შემოღობის პირზე კოლმეურ-

ნეობის ოთხი ტომარა სთავსულე ზღარბალი მოიპარა და სახლში წაიღო.

— მოიცა, მოიცა, ეგ რა რეჟანა ეწე-ქაშვილია?

— ეგ არი.

— ჰოოო! კიდევ იმიტომ. რატომ აღრე არ მითხარით?

— რა საჭირო იყო? — მაგას ის ახალი დანაშაულიც თავს ასდის. ხომ გახსოვთ, რამდენი ცეხვეწეთ მის განთავისუფლებაზე და ძლივს დაგიყოლიეთ. დამენანა, ახალგაზრდაა, ბაღლია, იქნება გამოსწორდეს-მეთქი. გამოსწორდესო? — მუქარა დამიწყო და აი, ეს ჩაიღინა. მაგას თუ ეხლავე ფრთები არ შეეკვეცა და საკადრისად არ დაისაჯა, ბევრი წამხედვარე გამოუჩნდება და მალე კოლმეურნეობის დაშლასაც მოგვთხოვენ.

— რატომ თქვენ არ განიხილეთ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის კრებაზე? სად იყავით აქამდე?

— ეს ოთხი დღეა რაც აღმოაჩინა სარევიზიო კომისიამ და აქაც, ეტყობა, გვიან შეგატყობინეს ანონიმური წერილით.

— და მაინც, როცა აღმოაჩინეთ, რატომ პარტორგანიზაციის კრებაზე არ გაიტანეთ მისი საკითხი?

— ვერ გავიტანეთ, ამხანაგო ლუარსაბ, ვერას გავაწყობდით იქა, ძალიან ბევრი ჰყავს მხარდამკერი. გახსოვთ, კინალამ მთელი ბრიგადა რომ ძალით მორეკეს აქა და კარზე მოგაყენეს მაგის გულისთვის?

— მაგან ააფეთქა შენი მანქანა და ძროხაც დაგიკლა?

— ლენოც ზედ მიაყოლა, მაგრამ ეგ კერძო, პირადი ამბავია და მნიშვნელობას არც ვაძლევ. საგანგაშო ჩემთვის ის არი, რომ მაგ კაცის სახით დაუძინებელი მტერი გამოუჩნდა ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას.

მდივანს ზიზღიანად გაეღიმა.

— მაგაზე უარესებისათვის მოგვიგრებია კისერი, ბაღიაშვილო. სამწუხაროა, რომ თქვენს კოლმეურნეობაში კომუნისტები და კომუნისტური სი-

ფხიზლე საჭირო დონეზე ჯერაც არ დგანან... კარგი, წადი, თორღვა. თუ არ შეგეძლო იტყოდი მაინც, შე დამოკვირლო და სხვას გავგზავნიდი.

შეცუხებული სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე წამოიღდა.

— ეტყობა, ნამდვილად შეცვლი, ამხანაგო ლუარსაბ. არ ვიცოდი, თუ ეგრე ქრისტეს ფეხის მკვნეტელთან შექნებოდა საქმე.

— არაფერია, შვილო, ბევრი შენზე უფრო გამოცდილი კაცი შეუყვანია მაგ ბიჭს შეცდომაში. არ გაიმტყუნებო. — და როდესაც თორღვა გავიდა, დაუმატა: — ვინმე გამოცდილი კაცი უნდა გაიგზავნოს და ხელახლა შემოწმდეს... თან მებრალებოდა კიდეც. ერთი მოხუცი, ნახევრად ბრმა დედა ჰყავს და თავად არი სახლში. ადრე რა უშავდა; ეხლა კი მგლის კბილი გამოიჩინა... განა არა, ვთხოვე ჩვენთან არყის სახდელზე იმუშავე-მეთქი, არ წავიდა. აბა, რა ვიცოდი, გუნებაში რა ედო?

— ვინდა უნდა გავგზავნოთ, ფინაგენტები?

— არა, ფინაგენტები რას გააწყობენ. გამოგზავნე იგეთი ვინმე, რომ ავტორიტეტით ჰქონდეს და სოფელსაც კარგად იცნობდეს.

— ეგეთი ვარდენია, ეგ იყო წინათ ქალისპირზე მომადგრებელი.

— ვარდენი იყოს. თანაც განყოფილების გამგეც არი. მაგან იცის იქაურობის ასავალ-დასავალი.

— აღრიცხვის სექტორის გამგეს რა უნდა იქ გამორკვევას?

— ხილი იყოს, თორემ ბალი რა საკითხავია? გამორიხრევა იმ თავის კაბინეტში უსაქმოდ ჯდომით. გარეთ მუხლს მაინც გამართავს.

ლუარსაბი დუმდა. იჯდა და დუმდა.

დეკემბრის ცივ დილას ცაცხვის თავზე შეეგდო ძალადაღებული ცალთვალა მზე. ფანჯრიდან შემოპარული სხივი მაგიდაზე მდგარ მინის საზოვან ტოლჩაზე ზურმუხტადა და ლაყვარდასაფირონად იმტვრეოდა. რაღაც უღიმ-

ღამო იყო სხივების ამ მოწადინებულ ლიცილიცშიც.

მდივანმა ტოლჩას თვალი ააოიდა და თავმჯდომარეს შეხედა. შენიშნა, რომ პრეტა თვალები მას უცქეროდნენ. მათში წელანდელი მოკიფვე 'შუქი გამქრალიყო. ახლა, თითქოს ჯანლით მოსილი უსიერი ტყე შემოჰყურებდა, დადარაჯებული და გამოუცნობი.

ლუარსაბმა მდივანი ქალი კვლავ იხმო და უთხრა: როგორც კი მილიციის უფროსი მოვიდეს, მაშინვე ჩემთან შემოიყვანეო.

ქალი გავიდა. ქალისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამოეთხოვა მდივანს და წავიდა.

მდივანმა თვალი გააყოლა ჩასხმულ ტანსა და ღონიერ კისერს.

ჯერ კარში არც კი იყო გასული, ვიღაც შოსანმა ქალმა შემოყო თავი და უკითხავად შემოვიდა.

მდივანი არ გასწყრომია, მეწისქვილის ღამე დაწყებული იყო.

3

შავლეგომ ტომარა ორთვალაზე შეაგდო, ხელუბი გაიბღერტა და მერე ქალს მიეხმარა ასვლაში.

— ნეტა რა ძალა ვადგათ, რომ ეგრე იტანჯავთ თავს ამ ქარქაშივით ვიწრო კაბებში? — თავათაც ორთვალაზე ავიდა და უცხუნა ცხენს სადავე.

აშკარა უგუნებობა ეტყობოდა. ზაქროსაგან მოულოდნელად სამუშაოს მიტოვებამ და „შაბაზზე“ დაუსწრებლობამ უსიამოდ გააკვირვა. მერე, რაკი კუპრაქამ თავმჯდომარე და აგრონომი ჩაისვა მანქანაში და თელავში წაიყვანა რაიონის მოწინავეთა თათბირზე, სულ წაუხდა ხასიათი... ზაქროსაგან მაინც არ მოელოდა ეგრე აშკარად უკმაყოფილების გამოხატვას. მაინც რაღაც ნაირად დასწყდა გული საცოდავ ბიჭზე. დიდი ამავი დასდო ნაქაობარს. ბოლოს კი პური აღარ გატეხა მასთან. რას იზამს, — სხვანაირად არც მოელოდა. ლოგიკური დასასრულია: დმერთმა

ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყვიდოს?..

— რა ეშმაკად აგვაკვიატა ეს ტომარა იმ დედაბერმა? — იცინოდა ფლორა, — დავვისერის ტანსაცმელს.

— ვისია?

— არ ვიცი, ვიღაც დედაბერი იყო, ბუდურუგანა სახლი უდგას გზის პირას. „წისქვილში გაიყიოლეო“. ძალიან შეგვეხვეწა. თვითონ ქმარი ჰყავს ავად. ლოგინში უწევს. გული მომეწვა. რა სიღარიბე იყო, შავლეგ! არ მეგონა თუ კიდე ვინმე იქნებოდა დედამიწის ზურგზე ასეთი.

შავლეგო მიხვდა: ფლორა საბედაზე ჰყვებოდა: მაშასადამე, რუსუდანმა იცის ყველაფერი... დახე, რომ თითონ მასაც არ გაუმხილა!.. ჰაი, გიდი, რუსუდან!.. თუ ზედება, რომ ძია ნიკოს რევაზმა კი არა — სოლიკომ მოუწყო ის ფოიერვერკი?.. წუთუ იმდენად ჰკვიანია, რომ მეც მიმაღას?.. ხალხი კი რა უცნაურია! — რატომღაც მგონია, რომ ჭალისპირს უხარია თავისი თავმჯდომარის მარცხი. ბევრს რევაზის ნახელავად მიაჩნია და მარჯვენასაც ვაშალ უქებენ... დაე, ეგონათ. სოლიკოს გამოჩენა ამ საქმეში არას გზით არ შეიძლება... ალლო კი მკარნახობს: ძია ნიკომ რაღაც იყნოსა. ოღონდ ხელს აძლევს მაინც რევაზისად იგულისხმოს... ცოტა მოცოცხლდა ის საცოდავი. ძია სანდროს იმედი აქვს ერთ თვეში მისი განკურნებისა. დღეს დეკეულის ბარკალი ავადლოტე კუპრაჰას. ერთ კვირას მაინც ეყოფა დედაშვილს. ცოტა მოჰყენიანდება. ღმერთო, რა დღეები გამოუვლია. მაგ უბედურს!..

— შავლეგ.

— რაო, ფლორა?

— ორჯერ დაგიძახე. რამ გაგარინდა ასე? ავალთ და რუსუდანი იქ დაგხვდება.

— შენ რუსუდანს ნუ უკირკიტებ.

— გახსოვს, შავლეგ, იმ საღამოს რომ მიმიკითხავე?

— მე მახსოვს, მაგრამ შენ დაგვიწყებია.

— რატომ?

— არ ასრულებ წავიდულ სანად-
ლუს.

— ვასრულებ, როგორ არ ვასრულებ. მე მას შემდეგ კაბა არ შემიკერია. ჰკითხე რუსუდანს, თუ შემეკეროს. ეს მაშინდელი კაბაა. ყველას მოსწონს და შენ კი რატომღაც აითვალწუნე.

შავლეგო სადავეს უმარჯვებდა ცხენს და დროდადრო მათრახს რბილად გაუქნევდა გაეზზე.

პატარა, ღონიერი ცხენი დაუზოგავად მიდიოდა. ხანდახან თავს მოაბრუნებდა, აღმაცერად გახედავდა მათრახს და მიდიოდა. წვრილი, ღრმა კვალი რჩებოდა თვლის უკან ნაწვიმარსა და აჭინჭყლულ გზაზე.

— ოჰ, ეს ტომარა! რა ეშმაკადლა წამოიღო რუსუდანმა ეს ტომარა?

— რას გიშლის ტომარა, რას გადაეკიდე?

— მავწროებს. ორთვალს ყოველ შერყევაზე შეყვარებულებით მეტმასნება.

— ნუ შარიანობ, ფლორა, თავისთვის დევს, მართლაც ტომარასავით.

— ტომარაა და მაშ როგორ უნდა იდოს?

— როგორც დევს.

— ჰოდა, იდოს.

— ავი დევს კიდევ.

— იდოს, მე კი ნუ მიშლის.

— შენ იქნებ მეც გიშლი?

— არა, შენ არ მიშლი. შენი უგუნებობა კი მიშლის. რაც რუსუდანი წავიდა, სახე ჩამოგტირის.

— ჭიში მაქვს ეგეთი.

— რაც რუსუდანი წავიდა, მას შემდეგ ხარ ასეთი. ნუ გეშინია, არ მოგტაცებენ, ახვალ და შინ დაგხვდება.

— იქიკიცე, რა, ნისკარტი გაგიცვდება?

— შავლეგ, ჰა, შავლეგ. შენ ხომ მაშინ მკითხაობა არ დაგიმთავრებია. ახლა მიმიკითხავე. აი, ჩემი ხელი. მიმიკითხავე, შავლეგ. აი, ხელი. მითხარი, ვინ იქნება მეათე.

— რომელი მეათე?

— ჩემი შვილი. შენ ხომ მიწინასწარ-
მეტყველე, რომ მე ათი შვილი უნდა
მყავდეს. მითხარი, ვინ იქნება მეათე.
მაგრამ, სჯობია, ჯერ ის მითხრა, ვინ
იქნება ჩემი მეორე ქმარი. მითხარი,
შავლუგ, აი, ჩემი ხელი.

— აბა, რას სთვლელობ, ფლორა. შენ
თუ მართლა გჯერა...

— მე ყველაფერი მჯერა შენი. მიმ-
კითხავე.

ფლორას ხელი გადმოედო ტომარა-
ზე და ღიმილით იმზირებოდა.

— უკვე ბნელა. ბნელში კი ხაზებს
ვერ ვარჩევ.

— ახლოს დააკვირდი, გაარჩევ. არ-
წივის თვალი გაქვს, როგორ ვერ გაარ-
ჩევ. აი, ხელი.

— შინ ავიდეთ, ფლორა. აქ არაფერი
ჩანს.

— არ მინდა შინ. შინ ჩემთვის არა
გცალა. იქ რუსუდანი საითაც გაიე-
ლის. მზესუმზირასავით თვალს იქით
აყოლებ. მოწაფეებივით ხართ. ლა-
მის ერთმანეთს სულში ჩაუძვრეთ.

— ოი, შე ეშმაკო, შე პაწაწინა
ფლორუკა. ვინ გითხრა, რომ ყურდლე-
ბას არ გაქცევთ? ერთ მაგალითს გეტყ-
ვი...

— არ მინდა შენი მაგალითები. სულ
არ მაინტერესებს შენი მაგალითები. სა-
დავეები მაინც მომეცი და ვიფიქრებ,
რომ ორი ტომარა...

— რომ იცოდე, რა სასაცილო ხარ,
ფლორა. ოჰ, რა სასაცილო ხარ. ალალია
შენზე ერთი გაპიროვნებული მკითხა-
ვი... წანდაბას! მოდი. რაც არი, არი,
გიმკითხავებ. აბა, მომეცი შენი ხელი.
მოიტა შენი ხელი. მებუტები? მოიტა
ხელი.

— დიას, გებუტები. შენთვის ეს ტო-
მარა უფრო...

— რა უფრო?

— არაფერი.

— მაინც?

— რატომ მეკითხები? ხომ ხედავ,
გაბუტული ვარ.

სიბნელე დაშვებულყო ალაზნის

ველზე. ოდნავა მოჩანდა აქა-იქ შე-
მორჩენილი წარაფები და განმარტო-
ბული გოლიათი მუხა-თქლები. მშ-
ლოდ სოფლებს მომდგარი კვეყსიონის
თოვლით გადალესილი მწვერვალები
ანათებდნენ ერთერთზე მიყრილი უზ-
არმაზარი შაქრის თავებივით. ცხენი
გაპირვებით მიიკვლევდა ატალახებულ
გზას, ღროდადრო ქშენა-ქშენით შედ-
გებოდა, ზიზილით ჩაიფრუტუნებდა და
სადავის წაცაცუნებაზე ისევ გასწევდა.
მძიმე ტვირთის ქვეშ კრიანებდა ღერ-
ძი. მონოტონურად ოხრავდა საცხწყაუს-
მელი თვლები.

შავლუგოს შეებრაღა პირუტყვი,
ძირს ჩამოვიდა და ერთხანს აღვირში
ხელწავლებული მიჰყვებოდა გვერდით.
ისევ ზაქროზე ფიქრობდა. დიდი იმედი
ჰქონდა მისი და სწუხდა ასეთი მუშა-
კაცის დაკარგვას. თანაც ენანებოდა
როგორც კარგი ვაჟაკი. მაგრამ რკი-
ნის ლოგიკას ვერვინ წაუვა, — ერთ
ჩექმაში ორი ფეხი არ ჩაიყოფა.

— შავლუგ.

— რა არი, ფლორა?

— მეშინია.

— რა გაშინებს?

— თითქოს უკან ვილაღ მოგვდევს.

— ვინ უნდა მოგვდევდეს.

მეწისქვილე წისქვილს თავს ვერ და-
ანებებს, ბიჭები კი ჩვენი წამოსვლის-
თანავე სატვირთო მანქანით წავიდნენ
ქალისპირში.

— არ ვიცი, ასე მგონია, ფეხაკრე-
ფით მოგვდევს და საცაა ხელს მტა-
ცებს-მეთქი.

— როგორი მშინშარა ყოფილხარ.

შავლუგო გვერდზე მიდგა, ცხენი გა-
ატარა და თვითონ ორთვალას უკან
მოექცა.

ტალახი წებოვანი იყო, ფენა-ფენად
ეკვრებოდა ჩექმებს. აგორებულ თოე-
ლის გუნდასავით იზრდებოდა. ფეხებს
ამძიმებდა. ხანდახან ჩერდებოდა და
მათრახის ტარით იწმენდდა.

უკვე ჩაშავდა მთელი ველი და ყვე-
ლაფერი ერთ შავ მასად გაითქვიფა.

— შავლუგ.

— რაო, ფლორა?

— ამოდი მალა. შენს გვერდით უფრო უშიშრადა ვარ.

— ცოდვია ცხენი. ცოტაც მოიცა და მერე კარგ გზაზე გავალო.

— მაშასადამე, შენ ცხენი გენანება და მე არა, ხომ? მაშინ ჩამოვალ და მეც ფეხით ვივლი.

— ო, რა სულელი ხარ, ფლორა. განა შენ ამ ტალახში ივლი?

— რატომაც არ ვივლი. გააჩერე ცხენი, ჩამოვალ და ვივლი.

— ვერ ივლი, ფლორა.

— ვივლი, თანაც ასე უკეთესი იქნება ტომრისთვის.

— რას გადაეკიდე მაგ ტომარას?

— მე მგონი, ვუშლი უფრო კარგად წამოჩემვაში.

შავლეგომ კიდევ ერთხელ გაიწმინდა ჩექმები და ორთვალაზე ავიდა.

— აკი გაგებუტეო?

— დიახ, გაგებუტე.

— მაშ, რატომ დამელაპარაკე?

— შემეშინდა და იმიტომ.

— ახლა?

— ახლა ისევ გაბუტული ვარ.

— მაშ, მეც ისევ ჩავალ.

— ჩადი, უკვე აღარ მეშინია.

— კარგი, რაკი ეგრეა...

შავლეგომ ჩასასვლელად გადაიწია. ფლორამ ზელში ხელი სტაცა.

— შენი ჭირიმე, შავლეგ, ნუღარ შემაშინებ, ისედაც გული მაქვს გაბუტული შენგან.

— ოი, შე ფლორუკა, შე მშინშარა ფლორუკა. რა არი, როგორ გაგყინვია ხელი.

— შემცივდა, შენ რომ დაბლა ჩახვედი, შემცივდა. გამითბე.

ფლორას პატარა ხელი მარჯვედ შეძერა ბიჭის პიჯაკის საბელოში და დაბუხული ჩიტივით გაიტრუნა.

— როგორი მცივანა ყოფილხარ. ეგრე არ გაგითბება, მომეცი აქ.

ბიჭმა ორივე ხელში მოიგდო მისი პატარა ხელი, სწრაფად მოუსრისა და მერე პირთან მიიტანა.

— ცაგითბა?

— კარგია, შავლეგ, ოჰ, რა კარგია. კიდევ დამიორთქლე.

— აჰა, გეყოფა.

— არ მეყოფა.

— აჰა, ახლა გეყოფა.

— არა, არ მეყოფა.

— აჰა, არც ახლა?

— არც ახლა.

ო, რა სულელი ხარ ფლორა, გამოდის, რომ გაზაფხულამდე უნდა გიბერო.

— არა, გაზაფხულამდეც არ მეყოფა.

— ნუ სულელობ, ფლორა, აბა, აილე ახლა ხელი.

— ო, რა ძუნწი ხარ, როგორი ძუნწი ხარ, შავლეგ. თანაც კახელი, ნამდვილი კახელი. ხომ ხარ, კახელი, შავლეგ?

— რა თქმა უნდა, ასპროცენტისანი. თუმცა არა, ჩვენში კიდევ რალაცაა ხევსურული.

— ვიცი, რუსუდანი მწერდა ხოლმე... შავლეგ.

— რაო, ფლორა.

— რა არის წაწლობა?

— განა შენ არ იცი?

— არ ვიცი, მითხარი, შავლეგ, სტუდენტობისას ერთი ამხანაგი გოგო მყავდა. პოეტი იყო. ვილაც ხევისური უყვარდა. გიჟდებოდა, ისე უყვარდა. წერილებს ლექსად წერდა:

„შატილიონო წაწლობა,
როდემდე უნდა მაწვალო?“

— წაწლობა ფშავლებმა იციან.

— ხევისურებმა?

— ხევისურებმა სწორფრობა.

— მერე რა განსხვავებაა?

— არის განსხვავება.

— მაინც?

— ოჰ, როგორ იცი ჩამოკიდება. ფლორა.

— რა საშინელი ხარ, შავლეგ, გაზით უნდა ამოგვლიჯო ხოლმე სიტყვები. რუსუდანთან კარგად მოიქარგავ ხოლმე ენას.

— შენ არ წერ ლექსებს?

— არ ვწერ. რატომ უნდა ვწერდე, რაში მჭირდება?

— ნუთუ აღარავინ შეგიყვარდა? თბილისის საცსება სასიძოვებით.

— ისე ამბობ, თითქოს არ იცოდეს, ჩვენში როგორ უცქერიან განათხოვარ ქალს!

— „მთელი ქალაქის ბიჭები, მტრედის გუნდით დასდევსა“. გახსოვს, არსენას ლექსი?

— ო, რა ენაშვარე ხარ, შავლეგ.

— მაშ, სერიოზულად კაცი არ მოსულა შენთან?

— კაცი? არა, კაცი არ მოსულა. გავლენიანი ნათესავებით დაწინაურებულმა უნიჭო მწერალ-ჟურნალისტებმა და ფულიანი მამის ჯიბით გაამპარტავებულმა ფრანტებმა გული ამირიეს. ხოლო არტელებსა და ქარხნებში ტრესტებსა და კომბინატებში მოყუჩებულმა ქონიანმა კომბინატორებმა შემაძლეს კაცის გასაგისი.

შავლეგომ ყურადღებით შეხედა ქალს. მცირე ხანს დუმდა.

— მაგაში არ გაიმტყუნები, ჯერ კიდევ ღარვინამდე არსებობდა ბუნებაში შერჩევის კანონი: დედამიწაზე ჭუფთი ჭუფთს ეძებს და ტოლი ტოლისკენ მიილტვის, მაგრამ ნუთუ აქამდე ვერავის გადაყარე? იქნება ქმრისგან არ უნდა წამოსულიყავ?

— ვინ იცის. ზოგჯერ მიფიქრია, მაგრამ მაინც არ ვნანობ. ახლა ქარივით თავისუფალი ვარ — საითაც მინდა, იქით დავუბერავ.

— მაშ გათხოვებას არ აპირებ?

— რისთვის? რომ ისევ თავიდან დაიწყოს ვაკხანალია? არ მინდა, საქმარისი ვიწვნიე.

— არავის მიუყენებია იმდენი ზიანი საქართველოსათვის, რამდენიც ამ ბოლო დროს მიაყენეს ჩვენმა ქალებმა, ყოველგვარი მახინჯის წამბაძელობით, კარგი ტრადიციის უარყოფით და უარსაყოფის მოხუშტურებით. მაშ, რას აპირებ. იქნებ მკერდის დაშრეტას ერიდები? თუ გეშინია ლეხმძიმობამ „ფიგურა“ არ დაგიმახინჯოს?

ოჯახი,

შრომა,

2. „მნათობა“, № 8.

ბავშვები ბლომად.

ხარობდეს ჭერი,

გაშვარდეს მტერი,

აი, ნახე, ლექსიც კი გამოვიდა.

— ო, რა მწარე ენა გაქვს, რა მწარე ენა! შენ ხომ არ იცი... შენ ხომ არ იცი... შენ არაფერი არ იცი და უღვთოდ ილანძლები.

— დიდი ხანია, რაც გათხოვდი?

— სტუდენტი ვიყავ ჯერ კიდევ.

— და შენ გათხოვება სულ კუნტრუში და მღერა-სიცილი გგონა?

— მართალი გითხრა, არც უმჯობესობა იყო.

— და არ გავგიმართლდა. ალბათ, პირველ დღეებშივე აუხიარდი ქმარს.

— მთელი ერთი გრძელი წელი ეცხოვრობდით ერთად.

— დიდხანს გავიძლიათ. ალბათ, ძალიან უყვარდი.

— მას ახლაც ვუყვარავარ.

— შენ კი ადექი და წამოხვედი.

— მეტი ვეღარ შევქელ, ყელში ამოვიდა.

— რატომ დასცილდით?

— ეჭვიანობდა.

— იქნება ჰქონდა მიზეზი კიდევ? — გაღიზიანებული ბიჭი აღარ ერიდებოდა.

— არასოდეს. თვითონ იყო ასეთი. მარტო არ შემეძლო ფეხის გადადგმა. თუ მასთან ვიყავი, არ შემეძლო ნაცნობ ვაქებს მივსალმებოდი. ბოლოს უკვე გვამდით ერთმანეთს.

— ახლა?

— ახლაც უკან მდევს, მოსვენებას არ მძლევეს. მეც ავდექი და გამოვერიდე. აქ ჩამოვედი, რუსულანთან.

— არ გყვარებია.

— ახლა გგონია, რომ არასოდეს არ მიყვარდა.

— სამწუხაროა... რატომ არ გინდა ხელმეორედ სცადო ბედი?

— ნუ მაბრაზებ, შავლეგ.

— სერიოზულად გეუბნები, საჭიროა შეილები.

— ნეტავ რას ჩააცვიდი ამ შეილებს? აუცილებელია მე გავაჩინო და უმჯე-

ლად ათი? თანაც ქურდები, ყაჩაღები, ბანდიტები და შენსავით...

— ჰო, ჰო, თქვი, ნუ გერიდება.

— არაფერიც არ მერიდება, ძალიანაც კარგად ვიტყვი.

— თქვი. რა ჩემსავით?

— რა და შენსავით თავზეხელაღებულინი, შენსავით... არა, შენ გულის მაგიერ მათრახი გიღევს, აი, ამას გეტყვი.

— სულერთია, მაინც უნდა გათხოვდე, ფლორა.

— არ გათხოვდები, შენი ჯიბრით არ გათხოვდები! ღმერთო, რას გადაეცა ამ გათხოვებას?! არ შეიძლება ისე ვიყოლიო შეილები, რომ არ გათხოვდე?

— რატომ არ შეიძლება? ოღონდ მარიამი უნდა დაირქვა.

— უმარიამოდაც კარგად შევძლებ. იმან ერთი შეა, მე კი ათს ვშობ. მაგრამ იცოდეს: არცერთი არ იქნება შენსავით... ჩემი შეილები იქნებიან ფაქიზები, მიშვედრები, გულყეთილი და არასოდეს, არსად არცერთ ქალს გვერდზე არ აატმასნებენ ფეხილით გატენილ ტომარას... ოჰ, ხელი ისევ გამიცვიდა. ნახე, როგორ გამიცვიდა!

ფლორამ მოახერხა და კვლავ ჰიჯაყის სახელოში შეუძვრინა ხელი. ღრმად შეუძვრინა. შიშველ მკლავზე უცაცუნებდა გასათბობად. მკლავი ვრძელი იყო, უშველებელი, დაძარღვული. მის ყოველ უჯრედში, თითქმის მისი ბალნის თითო ღერშიც კი იგრძნობოდა როგორ ეძინა ნებისყოფით დაოკებულ ვეება ძალას.

ცხენმა ბერხევის მცირე ქალისკენ ჩაუხვია. ახლა უფრო მსუბუქად მიდიოდა თავქვე დაშვებული. სიბნელე კიდევ უფრო იმატა. დაბლა ჩამოსული ცა მთელი სიმძიმით აწევებოდა იქაურობას. დამდორებულ სიჩუმეში ტალახით დამძიმებული ფლოქვების რიტმული ტაპა-ტაუბი გუგუნიად ისმოდა. გულის გამაწვრილებელი ფალცეტით ასდევდა მძიმე ტვირთის ქვეშ აჭრიალებული ღერძი. კვლავ მონოტონურად ოხრავდნენ საცხაწაუსმელი თვლები. ორთვალაზე კი ისე უხერხულად მისევნებულყოფ

ფეხილით სავსე ტომარა, როგორც წაწალსა და წაწალს შუა ჩადებული ხეცსურული ხანჯალი.

4

თითის წვერებზე იდგა ბელურა და შეშინებულ თვალებს მალი-მალ ახამხამებდა. დაბლუჯული საყელო უჭერდა. სიტყვების მავიერად რაღაც ხრილის მავგარი ამოსდიოდა გაქანული ხორხიდან. სახეზე მოწოლილი სისხლი მომჩვარულ უბეებში ინაცვლებდა. სუნთქვა უჭირდა. დაბერილი საძილე არტერიები გამალებით უცემდა.

რევანმა კიდევ უფრო აბლოს მოიზიდა და შიგ სახეში ჩაუსისინა.

— გითხარი, დატოვე-მეთქი?

— არ გითქვამს.

— დედაჩემმა გითხრა?

— არც იმან.

— მაშ, რატომ დატოვე, რატომ, შენი მათხოვარი ვიყავ?

— რა ვიცოდი, შეილო, აბა, რა ვიცოდი. სიკეთე მიყავი, პატივი მეცი. შეშაც არ დავგმადლებია, უმადური როგორ წამოვსულიყავ. მეტის დატოვებაც კი მიწოდდა. დედაშენმა არა ქნა, ეს ერთი ხელადაც საკმარისიაო. აბა, რა ვიცოდი, აბა, მე რა ვიცოდი.

— უჰ, შენი უჭკუო დედა ვატირე. შე გადარჩებულსო, შენა! — რევანმა დაკრიჭა კბილები, პკრა ხელი და წვიმით დამბალ ქიშკარს ზურგით მიაწყვიტა.

ქიშკარი მოირღვა და ბელურა წუმპეში ჩაეცა. გაცრეცილი შარვალი მუხლთან გადაეხსნა და იქიდან შავმა, გამხმარმა მუხლის კვირისტავმა ამოყო თავი. იჭდა გაოგნებული, დამფრთხალი და დაბუხული. აპარპალებდა მოლობრო კროლა თვალებს და დღედაღამ სახარის ჭერით დაკოჟრილ ხელს შვებით ისევამა გაუპარსავ ყელზე.

რევანს შეებრალა მეურმე. ძალიან შეებრალა. მობრუნდა, ზიზლით გააფრთხა და წავიდა.

— გშია, ცოტა რამ მაჭამე, დედი. — შინ მისვლისთანავე უთხრა დედას. ძა-

ლუმად ისევმდა საპონს ხელეზე. ნაბანი წყალი აქეთ-იქით ინჩქრეოდა დერეფანში.

დედაბერი მოთქვამდა და წუწუნებდა.

— ჩემი ბრალია. არ უნდა დამეტოვებინა მე თავმკვდარს. სამჯერ მაინც ვუთხარ: რა თავში ვიხლი შენს ერთ ხელად არაყს, ჩემიც საკმარისი მაქვს-მეთქი. ვერა გავაგებინე რა, და, ჯანდაბას, თუ ეგრე მოგპარებოდა, დატოვე-მეთქი. ჩემი ბრალია, ამ დასამიწებელი პირით ვუთხარ: დატოვე-მეთქი! მაინც რა იყო, რა მოხდა. არაყი იმ კაცისა იყო და ვისი რა საქმეა, ვის მისცემს და ვის არა? ან ის ჭურჭელი რომ დაიიღლია-ვეს და წაიღეს, სხვის ქონებასთან რა ხელი ჰქონდათ? იმ საწყალი, ჩემი კაცისეული ისღა იყო დარჩენილი... ეხლა რაღა გვეშველება, შვილო, ეხლა რაღა იქნება?

რევაზი ჩუმად ჭამდა. დიდხანს და უაზროდ ღეჭავდა ლუკმას. თითქოს ნერწყვი გაუშრაო, დიდი ხნის ნაცობნიც არ ცადადიოდა ყელში. მძიმედ დაეყრდნო იდაყვები მაგიდაზე.

იოსება შემოვიდა, სალამიც არ უთქვამს. იდგა კარებში გაჩხირული და იქიდან უშვრდა კუთხეში მიმჯდარ მოვიშვიშე დედაბერს. მერე თავის ნაბრი-გადირალს შეავლო თვალი და ყრუდ იკითხა.

— მართალია... დილანდელი ბიუროს ამბავი?

— მართალია, — გვიან უბასუხა რევაზმა.

იოსება ტაბურეტზე ჩამოჯდა. დიდხანს იჯდა ჩუმად. დროდადრო გაიზელდა ნაჭრილობეც მუხლს. ეს ჩვეულება დაუქანონდა: სტკიოდა თუ არა სტკიოდა, თუ თავს დამჯდარს დაიგულებდა, ნაჭრილობეც მუხლს ზელას უწყებდა.

— ჩემთანაც იყვნენ, რამდენი მიეცო. ვეუბნები, არ მიმიცია. პარტიის წევრი ხარ და ტყუილს ნუ ამბობო, არ მიმიცია-მეთქი. დამემუქრნენ, მაინც გავიგებთო. — გაიგეთ-მეთქი... მეც გი-

ვი ვარ, რას მოვარბეინებდი, ჩამეტანა არყის სახდელზე... დამეზარა იმ სიშორეს თრევა...

— შენ რა შეაში ხარ, იოსებ?.. არც ის ბელურაა დამნაშავე. ადრე თუ გვიან, ეს ეგრე უნდა მომხდარიყო. განა ის სათესლე ხორბლის ტომრები არაყი იყო? არა, იოსებ, გოდერძი-შაპას თქმისა არ იყოს, აქ სხვა ჯორის ნალია ჩაფლული... ის ერთი შერჩათ და ეს მეორე იმიტომ გამოიკეთეს. ბალღივით გავიბუტე და გავყუჩდი. აჰან მიქნა. ახლა კბილი კბილის წილ, ახლა ვიბრძოლებ!

დედაკაცი ადგა, განჯინაში რაღაც მოჩხრიკა და მერე მაგიდასთან მიფრტუნდა.

— კინალამ დამავიწყდა, მე თავმკვდარს. თამრო იყო წელან აქ და ეს დატოვა. — მაგიდაზე პატარა ქანდაკება დადგა. — ტიროდა, ცრემლები ღამა-ღუბით ჩამოსდიოდა. ახლო მივედი, ადამიანის ფერი არ ედო. თვალი ამარიდა, გარეთ გავიდა და გაიქცა.

რევაზმა შეხედა ქანდაკებას და გაშრა. ეს იყო ბერლინიდან ჩამოტანილი როდენისეული პადესის მიერ პერსეფონეს მოტაცების მინიატურული ასლი.

იოსებამ რიგიანად თვალის შეველებაც ვერ მოასწრო, რომ რევაზმა სკამი გადააბრუნა, ქანდაკება მაგიდიდან გააქრო და კარებს ეცა.

დედაბერი სახტად დარჩა. მცირე ხანს იყო გამტყნარებული, მერე გუმანით მიხვდა, გარეთ შვილის გავარდნას იმ ნივთთან რაღაც კავშირი ჰქონდა. ყველაფერს, ვინც კი რამე დატოვა, მისი ერთადერთი ვაჟის წინააღმდეგ შეეკრა პირი... მოირღვა, სკამზე ჩაიკეცა და დაიკნავლა:

— შვილო, იოსებ, ეს რა ამბავია, ბიჭო, ჩემს თავს. შენც ხომ არაფერი მოგიტანია, ბიჭო.

იოსებას არაფერი უთქვამს, ნაჭრილობევი ისე გაიზილა, იტყინა. მერე წამოდგა და წავიდა.

რევაზმა ჭიშკარი შეგლუჯა და ეზოში შევიდა.

შინ მხოლოდ თამარი დაუბედა. ტახტზე პირქვე ეგდო და ტიროდა. დიდხანს იდგა და ხმის ამოუღებლად უცქეროდა. თამარმა ნელა აიღო თავი და გამოიხედა. წუთით გაოცდა. მერე ისევ მიბრუნდა და კვლავ პირქვე ჩაეშო.

კარგა ხანია რევას არ ენახა. კიდევ უფრო შეცვლილი და გამხდარი ეჩვენა. ცრემლში დამბალი თვალები თითქმის კიდევ უფრო ჩასცვენოდა. გაფითრებულიყო. ტუჩის ხაზებში დაუძლეველი ნაღველი და მოუნელებელი დარდი გასჭდომოდა. ახლა უფრო მოუმატა ქვითის. მთელი ბეჭები უძაგმაგებდა.

რევასმა იატაკზე დაეარდნილი შალი აიღო და წაახურა.

— ხელი არ მახლო! — თამარმა შალი გადაიძრო და კვლავ იატაკზე ისროლა.

— გინდა გაცივდე და მოკვდე?

— მინდა! ნეტავი კი მართლა მოგვცდებოდე!

— რა იყო, თამარ, რა დაგემართა?

— შენ კარგად იცი, რაც დამემართა. შენზე კარგად არაფერ იცის, რაც დამემართა. — საბრალო ხმა ჰქონდა, გულის გამბზარავი.

— ტუთილად ნუ იხეთქავ გულსა და მეც ნუ მიხეთქავ. ნუ უსმენ მაგ კაცს და ყველაფერი კარგად იქნება.

— უკვე აღარაფერის მოსმენა აღარ მინდა. გავიტანქე, დავიღალე. არ მინდა. აღარაფერი აღარ მინდა. აღარ შემიძლია, დავიქანცე. შენც კარგი ვინმე გამოდექი. აუხირდი და აღარ მოასვენე. გეხვეწი, გემუდარე, პირი მოგჭამე — მოეშვი, დაეხსენი, რაც უნდა იყოს, მამაჩემია-მეთქი. ვერაფრით გაგაგონე, ყური მოიყრუე და ვერაფრით გაგაგონე. ახლა მე მაინც მომეშვი მე მაინც დამასვენე, არაფერი აღარ მინდა აღარაფერი!

გაოგნებული იდგა რევასი. ქედღად-რევილს უხერხულად ეკირა პატარა ქანდაკება. ზედ განუწყვეტლივ, ღონივრად უსვამდა ცერს. ბერლინიდან ჩამოიტანა იგი და თამარს აჩუქა. ქალს

მანამდე უნდა შეენახა და არ გაჰყოფოდა, სანამდე მისი მომტანის ეწყობოდა. ახლა კი, უარყოფილი და დაზარებული, აღრინდელ პატრონს ეკირა ხელში. ეს იმას ნიშნავდა, რომ ორთა შორის ყველაფერი გათავებული იყო. ქალმა ერთი შევლებით შეავლო თვალი ოდესღაც ძვირფას საჩუქარს, პირი მიიბრუნდა და ისევ ბალიშებში ჩაეშო.

— მომისმინე, თამარ, ამ უკანასკნელად მაინც მომისმინე! ბევრი ავიტანე შენგანაც და მამაშენისგანაც. დავკარგე ბრიგადირობა, დავკარგე დამველობის წევრობა, დავკარგე პარტიის წევრობა და, რაც მთავარია, დავკარგე კეთილი სახელი, მაგრამ ცხოვრება ჯერ არ დამთავრებულა, არც ბრძოლას ჩავთვლი წაგებულად, თუ შენ ჩემს გვერდით იქნები. მე ვაგება მინდა! მე დავჯერება მინდა! მე ყურის მომპყრობი მინდა, თამარ, და ყველაფერი კარგად იქნება.

— უკვე აღარ ვიტყუებ თავს. რევას, ნურც შენ მოიტყუებ. ჩვენი ცხების გაყრაზე კარგა ხანია ზრუნავ და აქი ფაიჯაა კიდევ... უკანასკნელი იყოს ჩვენი შეხვედრაც და შენი ფეხის დადგმა ამ ეზო-სახლში. მენანები, მაგრამ აღარ მიყვარხარ...

ოთახში თინა მამიდა შემოვიდა. გაკვირვებისაგან ხელიდან ბოლია გაუვარდა. გადარევა ვერც კი მოასწრო, ისე გაბრუნდა უკან და იატაკის ჯოხი შემოიტანა.

— აი, შე ქურდო და ყაჩაღო, შე ჩვენი ამომგდებელო! შე გათახსირებულო, ყაჩაღო! კიდევ არ ეხსენები ამ ბაღლსა?! ახლა სახლშიაც მოუვარდი? ღამის მამა ამოიჭამე და ახლა გინდა შეილის ნამუსიც შარაზე გაიტანო? აი, შე სოფლის მარცხენალო და მუწუკო!

სანამდე ჯოხმა დაუპატოებელი სტუმრის ბეჭებზე არ მოადინა ტყაპანი, მანამდე დედაკაცისთვის რევასს ყურადღება არ მიუქცევია. მერე ერთბაშად შემობრუნდა გააფთრებული, ჯოხს ხელი სტაცა, მოიქნია თავდასხ-

მელი და კუთხეში მიაგდო. ჯობი მუხლზე დაიკრა, გადატეხა და ნატეხები ზედ მიაყარა.

— ახლა კი ეხედვე, ვინც მყვარებია. — თამარმა ოდნავ წამოიწია, — არ მეგონა, თუ მხეციც იყავი.

რევაზმა ქანდაკებას წამით შეავლო ბოროტი თვალი. მერე მოიქნია და ძირს დაახეტქა. პაღეს-პერსეფონემ ერთმანდ ამოიხრეს და ნამსხვრევები იატაკზე გაშალეს.

5

— რა კარგი ჰქენ, შავლეგ, რომ მოხვედი. — ბიჭს კარი ჯერ არ მიეცეტა, რომ ქალი კისერზე ჩამოეკიდა. — მოხსენება უკვე დავამთავრე. ახლა მინდა, რაც წასაღებია, ყველაფერი შეეფუთო. ხომ მომეხმარები?

— რა კითხვა უნდა, მაგისტრის მოვედი.

— რა კარგი ბიჭი ხარ, რა კარგი ბიჭი! — რუსულადი მისწვდა და საყულო მოუქაჩა. — ახლა ხომ სიცივეა, რატომა გაქვს პერანგი ასე გაღვლილი? უმაგისოდ ვერ მიხედებია, რომ ვაეკაცი ხარ? ოჰ, კიდევ არ იცვრება, რა არი, სხვა პერანგი არა გაქვს, რომ ამ ზამთარში ჩაიცვა?

— ჯერ განაწილება არ ყოფილა და არც ხელფასი მაქვს. ვინ მიყიდის?

— ოჰ, განაწილება! ნახეთ, უკვე განაწილებაზე ლაპარაკობს! კარგი, რაყი აგრეა, მე გიყიდი. ჩავალ თბილისში და კარგ პერანგებს გიყიდი.

— ვინ მოგცემს? თუ რეკომენდაცია არ გექნა, რიგინი პერანგის კალთასაც არ გამოგიჩენენ.

— ვინ არ გამომიჩენს? მე არ გამომიჩენენ? შენთვის არ გამომიჩენენ? ტყავს გაეძარბო და განა ერთბირს!

შავლეგო დასწვდა და ქალი ხელში აიყვანა. საოცრად საყვარელი იყო, გულუბრყვილო და საყვარელი.

— გეტუბრე, ჩემო ცოგო. შენ ვინ არ გამოგიჩენს? შენ ვინ გიტყვის უარს? საკმარისია, ფეხი შეგიცდეს მაღაზიაში, — გამგე-გამყიდველები შენს

წინ დაემხოებიან დახლიან-ვიტრინებია-ნად. გლადიატორებივით იბრძოლებენ, თუ ერთი — მეორეზე მეტ პატრეს არ მოგაგებს. გადარჩენილი კი გახურებულ ავტოზე ცქერით თვალებს დაიბრმავებს, როგორც მართლმორწმუნე მუსულმანი, რომელსაც მამადის საფლავის ნახვა ელირსა.

— უჰ, თუ შენ ასე გამჟყლვტ, თუ შენ ასე დამახჩრობ, მაშინ ვინდა დაამხოვს დახლებს და ვიტრინებს?

ოთახში ფლორა შემოვიდა და კარებთანვე შედგა.

— ო, რა გულის ამაჩუყებელია! ო, რა ამალეღებელია! ჰოი, უდულცინესო დულცინეა, გეთხოვება შენი რაინდი! აჰ, ბოდიში, პირიქით: დულცინეა ტოვებს თავის ცინიკური სახის რაინდს, ჭალისპირის სახელს და დიდებას! რა იყო, რა დაგემართათ, ვაგონილა ყოველ შეხვედრაზე ამდენი ზევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში? მხოლოდ სამი დღით მიდის და ლამის ჩაყლაპონ ერთმანეთი. — კარი მიკეტა და საქმიანი კილოთი დაუმატა. — უკვე დავრეკე. მატარებელი ოთხ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე გადის, ჩვენი დროით.

რუსულადი ჩამოხტა შავლეგოს მკლავებიდან და თმები გაისწორა.

— ფლორა, ყველაფერი ცალკეა გადაწყობილი: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, წინდები, კბილის პასტა და საპონი არ დაგავიწყდეს. კარგად დაეკეცე და ყველაფერი შავ ჩემოდანში ჩაალაგე. მანამდე მე და შავლეგო სარდაფში ჩავალთ და ზორბალ-სიმინდის ნიმუშებს შეეფუთავთ.

— მოდი, სარდაფში მეც ჩამოგყვებით, თორემ თქვენ თუ ახლა იქ გააგრძელეთ გამოთხოვება, მატარებელი, ვინ იცის, თბილისში რამდენჯერ ჩავა და გამობრუნდება.

— ნუ სულელობ, ფლორა, სანამდე შენ, შე ზარმაცო, მაგ ჩემოდანს ჩაალაგებ, მანამდე ჩვენ ჩვენს საქმეს მოვრჩებით კიდევ.

სარდაფი სავსე იყო ძირიანად ამოღებული, ხელუურებად და პატარა ძნე-

ბად შეკრული სხვადასხვა ჯიშის ხორბლის ნიმუშებით. ბურქა-სიმინდისა და სხვა სიმინდის ღეროებით. ესენიც ძირიანად იყო დაჯლეჭილი და ფესვები შეულახავად. სუფთად გაბლერტილი ჰქონდა.

— შენ ამ სიმინდისა არაფერი გჯერა, მაგრამ ზედავ, შავლეგ, რამდენი ტარო აქვს და როგორი მარცვალი?

— მაშინ უბრალოდ წამომცდა, რუსულან, რა ცუდად დაგიხსომებია, გაფიცებული ვლპარაკობდი და წამოვურიე.

— კარგი ბიჭი ხარ, შავლეგ, ასეთი ტყუილიც სასიამოვნოა.

— ეს რაღა არი?

— ესენიც ხორბლის სხვადასხვა ჯიშები, ოღონდ სელექციით მიღებული. ნეტავ მალე მაინც მოვიდეს გაზაფხული. ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ დატოვებით საუკეთესო ჯიშების დამტვერვას. ყველაზე მეტად გრძელთავთაა, კახური და ქართლური დოლი მაინტერესებს. ზოგ მათგანს ჟანგა აღვილად ერევა, ზოგს სუსტი ღერო აქვს, ზოგი მშრალ ზაფხულში ადვილცენაღია აღებამდე. მინდა მათი საუკეთესო თვისებები გადავუნერგო ერთმანეთს და მერე დავტოტო. მოხსენებაშიც მაქვს აღნიშნული. ენახთო, რას იტყვიან ჩვენი პროფესორები... უშენოდ რა გაიყვანს სამ დღეს, შავლეგ?

— სამდღიანია რესპუბლიკური თათბირი?

— რაიკოში სამდღიანი თქვეს. შავლეგ, თუ შენ დისერტაციის დაცვის შემდეგ უნივერსიტეტში წაიკითხავ ლექციებს, მე ახლავე მოველპარაკო ჩემს პროფესორს თბილისში გადასვლაზე? აქაურობის დატოვება კი როგორ დამენანება. ყოველი ზე და ყოველი ბურქი მამას მაგონებს. ხალხიც კარგია. ქალისპირი კი ისე მიყვარს, შენ რომ არა, არასგზით არ გავცვლიდი სოფელს ხმაურითა და კვამლით გაგუდულ ქალაქზე... იქ ბინას მოგვცემენ?

— თუ ვიცხოვრებთ, მოგვცემენ კიდევ.

— მაშინ აქაურობას მაქსიმს დაეტოვებთ. სახლის ამენებაზე სადარ-მწვანებს. არა, შავლეგ?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეგ ცოტა შორეული პერსპექტივაა, მანამდე კი წინ სამი დღე გვიდევს.

— რა გაიყვანს სამ დღეს უშენოდ?

— ნუ გეშინია, ხელად ცაირბენს. ნინოს ვეტყვი, რომ შენს ქათმებს კარგად მიხედოს. მურაზე კი ნუ გენალელება. მე თვითონ დავუყუებთ სალაფავს და თავადვე ვაჭმევ.

— ქათმების მიხედვა აღარ დაგჭირდება, ფლორამ უარი თქვა გამოყოლაზე.

— ფლორა აქ რჩება?

— ჰო, აქ რჩება.

— ოჰ, შემივლეს ხელში ამ თავიანთი მონოლოგებით. ფუთავთ თუ არა ამ ჩალა-ბულას? აი, ნახეთ რომელი საათია? — ფლორამ პატარა, კოხტა ხელი გამოიწოდა და ორივეს რიგრიგობით ცხვირთან მიუტანა.

სამივემ შეფუთეს, ერთმანეთზე გადააბეს, კარგად შეკრეს და ყველაფერი დერეფანში გამოიტანეს.

— ახლა წავალ კუპრაჰასთან და მანქანას მოვიყვან, თორემ, ფლორას ენამ არ უყვილოს, მართლა არ დაგაგვიანდეს! დანარჩენიც სადგურზე მოვლენ?

— ჰო, იქ უნდა შევიკრიბოთ.

— მოიცა, შავლეგ, გუშინდელი ბიუროს ამბავზე რას იზამ?

— რევაზი უნდა ენახო. თეიმურაზსაც ენახავ. ალბათ, პირველი მდივნის ნახვაც მომიწევს და შეიძლება ვიჩხუბოთ. — ძალღუთად მოექცნენ მაგ ბიჭს, ძალზე ძალღუთად.

— ოღონდ ჩხუბი არ იყოს, ნუ იჩხუბებ, შავლეგ. ძალიანა გთხოვ, ნუ იჩხუბებ.

— კარგი, ვეცდები არ ვიჩხუბო. ფლორა, შენს ვაზარდას, წადი, ზევიდან პალტო ჩამომიტანე, თორემ, ვინ იცის, კიდეც რამდენი რამ დარჩა რუსულანს სათქმელი. მიდი, შენ ხომ პატარა ფლორუკა ხარ. — და როგორც ბავშვს, ნიკაში ხელი ამოსდო.

ქალი ამ შეხებას ისე გაუყუჩდა, როგორც კლდის წვერზე შემდგარი ნიამორი ნიავს.



1

ზაქრომ საესე ჰიქა ოდნავ მოწრუბა. შემდეგ მწეადის ნაჭერი უნდოდად გალოლნა და კვლავ საღამოს ბინდში გაღულულ ღლეს გახედა ფანჯრიდან. გაშტერებული იყვნენ მდინარენი: ეს ერთი ხანია, რაც გოლიათი სასმელს პირს აღარ აკარებდა. იჭდა წარბშეკრული, მოღუშული და ფიქრიანი. ხანდახან ორი-ორე სიტყვას თუ გაუგორებდა მეგობრებს და კვლავ ჩაეფლობოდა არსააქაში.

გაოცებული იყო თავად ზატილუწია. იტყოდა რაღაც სახუმაროს, სუფრას მაგიდაზე წააწვენდა, ზაქროს კი თითქოს ყურები თუჭისა გამოსხმოდა. გუმანით ზედებოდა ეშმაკი მეჭურჭლე, რომ ფარსავი არა იყო რა ბიჭის თავს, მაგრამ ის კი არ იცოდა, ალაზნის ჰყანტობზე გამარჯვების დღე უსწორო ფალაენის დამარცხების დღედ როგორ იქცა. მას შემდეგ უმეპურივით აპყვა ჩამომზღულელი არხი და არხის თავზე მდგარი. აშკარად, თვალნათლივ ზედავდა როგორ მიცოცავდნენ გარუჯულ, გაუღრეკავ ყელ-კისერთან ნაზი, გრძელი და შემპარავად მოალერსე მზედაკრული თითები. როგორ დიდხანს ეძებდნენ გაღლილ მკერდზე ვითომ ძნელად საპოვნ ღილსა და ღილაკილოს, როგორ ჯიუტობდა, როგორ არ ნებდებოდა ადვილად შესაყრავი პერანგის საყელო. თითები კი, ის ლამაზი, ფუნჩულა და მზრუნველი სიყვარულით საესე თითები ჩუმად, მორცხვად, დაეინებოთ მიიწევდნენ მკერდიდან ყელისკენ... ასეთ დროს ბიჭი მთლად ჩაიჭუფებოდა, თვალებს მაგრად დახუჭავდა, ჩაქინდრავდა თავსა და დაბნეული, ღონივრად ისრესდა შუბლს.

ძლივს სწევდებოდა მის სმენას გარმონის წიკვინი. დოლის ფრთხილი კაკი-კუკი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა გარმონს. მედოლე გიგოლას პირი თახჩასავით გაეღო და ჩახლუჩილი ხმით ბაიათის ზმაზე აკაენებდა:

„ღუბერე ნიავო. ერქენულნი
პატარ-ნიკა მჭეიანტოზლიმუნქა
საგარეკო ამოვადღევე,
ველ-ციხეა მივალთო“.

უზარმაზარი, გაფუქული, მუდმივად მაგიდასთან ჯდომით ქონმოღებული, სიმღერის მოთავეებისას დოლზე ისე წაყრია ხელებს, გეგონებოდათ ქვაფენილზე მთელმა ესკადრონმა ჩორთით ჩაიარაო.

ვარლამმა ასმანეთიანი დააძრო და გულმოღვინე მედოლეს ჰუღჰვეშ შეუცურა. გახარებული იყო. მალაზიის აღწერა ღლეს მშვიდობიანად დამთავრდა და მალარიჩს იხდიდა. ვალერიანი ცივ წყალს არ მოერიდა და მეგობრის სუფრა „ცოცხალით“ გაამრავალფეროვნა.

გამხდარი, კაფანდარა, სახედაჩამიჩებული რევიზორ-ბულალტერი საგანგებოდ მისთვის დამზადებულ ღვინოს პაშტეტს შეეპყეოდა. უკბილო პირს საოცარი სისწრაფით ამოძრავებდა. მიმინოსავით მოხრილი გრძელი ცხვირი და ცისკენ წასული ნიკაპი რიტმულად უახლოვდებოდნენ და შორდებოდნენ ერთმანეთს.

ზატილუწიამ ახალი მწეადი მიართვა. რევიზორმა მადლი მოახსენა და აუხსნა: ღლეს-ხედა ახალ კბილებს ჩავიდგამ და მხოლოდ მაშინ შევძლებ მწეადის ჰამასო. ღვინოს კი კატეგორიული უარი უთხრა.

შეშოკებული მეჭურჭლე უარმა გაანაწყენა.

— რა არი, შე დალოცვილო, ეგრე მშრალად რომ მიადექი მაგ დომხალს. კიდე კარგი, ფოლადისა არა გაქვს ეგ ცხვირ-ნიკაპი, თორემ ნაპერწკლებით გაქნებოდა ფარუჯული ტუჩ-პირი.

ლემ ცალი თვალთ ზატილუწიას გახედა, მეორე თვალი რევიზორს შეავლო და ხითხითი ვერ შეიკავა.

მედოლე გიგოლამ ვაჟკაცურად დაიროზრობა.

ვარლამი ამირიზა. სხვებიც შეუწყრ-
ნენ მეჭურჭლეს.

მეზობელი მაგიდებიდან ირიბად გა-
მოჰხედეს.

მხოლოდ ზაქრო იჭდა დაფიქრებუ-
ლი. იჭდა და თვალმოუშორებლად უც-
ქერდა შუა დარბაზში ძველებურ დე-
დაბოძე ამოჭრილ ჩუქურთმებს.

უეცრად კარებში რევაზი შემოვარდა.

— ჭაჭა დამისხი!

კუპრაქას არაფერი უთქვამს, ერთი
ირიბად შეხედა, დახლქვევიდან ბოთ-
ლი გამოიღო და დაუსხა.

რევაზმა სულმოუთქმელად გადაჰკ-
რა.

— კიდევ დამისხი.

კუპრაქამ კიდევ დაუსხა.

რევაზმა ისიც ერთბაშად დაცალა.

— კიდევ დამისხი.

კუპრაქამ დაუსხა.

— კიდევ დამისხი.

დაუსხა.

— დამისხი!

დაუსხა.

რევაზმა ჭიქის ძირი დახლს დაჰკრა,
ერთი ღრმად ამოისუნთქა და ამღვრე-
ული თვალი კუპრაქას მიაცივა. დიდ-
ხანს უმზერდა, . თითქოს იქ ზორბა გამ-
გე კი არა, სიცარიელე ყოფილიყო.

— კიდევ დავასხა?

რევაზს არაფერი უთქვამს, ნელა შე-
მობრუნდა და კარისკენ წავიდა.

ზატილეწიას ეშმაკები შეუსხდნენ.
მობრუნდა და ცხვირქვეშ ამოსული
ჯაგარი, რომელსაც თითონ რატომღაც
ულვაშებს ეძახდა, მედროლე გიგოლას
საუზმის თეფშისოდენა ყურში ჩაუღო:

— ანდე, ეგ კაცი, მეოთხედ შემო-
დის, დაღვეს არაყს და ფულს კი არ
იხდის, ერთი უნდილი რამ არი. ზედავ,
ეხლაე როგორ მიიპარება?

შეჭედიანებულმა გიგოლამ დაცვრა
შეანელა, კარისკენ წალასლასებულ
ბიჭს გახედა და თვალში ძალიან ეფუჭ-
სავატა. ბრაზი მოუვიდა სასადილოს
გამგეზე. კუპრაქა და შიში?! წამში გა-
დასწყვიტა მისთვისაც ესამოვნებინა და
თანამესუფრეებისთვისაც სიურპრიზი

მიერთმია. დოლი შეატრიალა, გეგება
იღლიაში ამოიჩარა, განიერი ნაბიჯებით
გადასჭრა კარამდე მანძილამდე წაწრი-
გადიარაღს წინ გადაუდგა.

— ეპ, მაინც რა მაზალო რამეა!
ატომის ეპოქაში გინახავთ, რომ არაყი
დაუღუენიათ და ფული არ გადაუხ-
დიათ?

რევაზმა მძიმედ, ძალიან მძიმედ აი-
ლო თავი, უინტერესოდ შეათვალიერა
ხორცის კეღელი და არა უთქვამს რა,
ისე გასწია კარისკენ.

გიგოლამ წარბების ბუწნარი შეიკ-
რა, ხელი ჰკრა და დახლსკენ მიავლო.
მერე თითონაც ზედ მიადგა და მაღლი-
დან დაიგუგუნა.

— გორში და ორთაქალაში დამიკე-
რია, სიღნაღი და ჰავლაბარი მაგივლია,
გურჯაანი და ველის-ციხე... — და ვე-
ლარ დაამთავრა. დოლი იღლიიდან გა-
ავლო, ხელები ასაფრენი ქორივით აი-
ქნია, ორიოდ ნაბიჯი უკუსვლით გაი-
ბინა და... მერე ზურგით ვიღაცის მა-
გიდაზე დაცემულმა სანოვაციანი მაგი-
დაცა და ჰერზელიც ლიწინ-ლიწინით
იატაკზე გადაიყოლა.

რევაზი ერთხანს კიდევ იღგა დახლ-
თან ფეხებგაჩაჩხელი, მოსხლეტილი და
სანახტომედ შეკრული. ორი, მეხით და-
ტენილი ვეგება მუშტი მოეზიდნა და
იცდიდა.

დარბაზი ერთი წუთით გაქვავდა. და-
ძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ვიღაცას
მაინც აღმოაჩნდა ანგლობის თავი და
სავსე ჭიქა პირდაპირ იატაკზე მიაწო-
ლა.

— ალავერდი შენთანა ვარ, გიგოლ-
ჯან!

რევაზმა ერთხანს კიდევ მოავლო
ზიზლით სავსე თვალი დარბაზს. მერე
ნელა შეტრიალდა და გავიდა.

მცირე ხანს კიდევ დუმდა სასადილო.
მხოლოდ ხმაურზე კუპრებიდან გამო-
ცვენილი ხალხი მოდიოდა წინ და კით-
ხულობდა:

— რა იყო?

— რა მოხდა?

პირველად ვალერიანი წამოდგა ფეხ-

ზე და მედოლესთან მივიდა. თან ფეხზე აყენებდა და თან უშვერი სიტყვებით ილაშქრებოდა.

— რა შენი საქმეა, რომ სხვის საქმეში ეჩრები?

გაოგნებული, დაბნეული მედოლე დამტყრეულ კბილებს ხელისგულზე აფურთხებდა და შეშინებულ მზერას სასაღილოს კარს არ აცილებდა.

— რა უქნია იმ შობელძალს, ხედავთ? — წყალზე მიჰყავდა ვალერიანს დაფეთებული გიგოლა.

რევიზორ-ბუღალტერი შიშისაგან ისე დაღუღულიყო, პორტსიგარში ჩაეტეოდა.

— რა პურმარილი ჩაგვიშხამა! — უკვე იბღვირებოდა ვარლამიც.

კუპრაშა, თითქოს არც რამე მომხდარიყო და არც რამე დაენახოს, იდგა არხეინად და სველი ჩვრით დაბლს ასუფთავებდა. მხოლოდ მიმტანი ქალი მივიდა, დამსხვრეული ჭურჭელი შეაგროვა, წაიღო და ახალი მიიტანა.

კარგა დრო გავიდა, სანამ დაბანილ მედოლეს მოიყვანდნენ და კვლავ სუფრასთან დასვამდნენ. დოლიც მოიტანეს, მაგრამ... მაგრამ ველარც გარმონმა იხეირა უდოლოდ.

— დღეს რამ დაცოფა და რამ გააგვიცა?

— კაცი პარტიიდან გარიცხეს და, მა, რა მოუვიდოდა?

— როდის, კაცო? — ყველა საწყობის გამგეს მიაჩერდა.

— ამ დილით, ბიუროზე. სახლში არაყი უხდია. სხვებისთვისაც გამოუხდია. კაცის თავზე ხელადა არაყი მოუთხოვნია.

— ეგ რო ეგეთი არ იყო?

— მანამდე ყველა კაი კაცია, სანამ ხელს ჩაავლებენ.

— დაიჭერენ?

— იქნება დაიჭირონ კიდევ.

— ეგ რო ეგეთი არ იყო?

— აქამდე არ იყო. ეხლა ნახე, საწყალ გიგოლას რა უყო?

— თავად გიგოლაა დამნაშავე.

— გიგოლა? — ძლივს დაიჩიფჩიფა

გასიებულ ტუჩებში მედოლემ. — მარჯალავ! — და ხატილეწიაზე მიიწია.

მეინახენი წამოცვიდნენ.

ხატილეწიას ზედაც არ შეუხებდას მედოლისთვის. ხაშლამიდან დარჩენილი კანკის ძვალი მოეგდო და გუნებიერად წუწნიდა ტვინს.

მხოლოდ ზაქრო არ ერეოდა ამ ორ-ომტრიალში. იჭდა თავისთვის და უცქეროდა დედაბოძის დახვეწილ ჩუქურთმას.

როგორც იყო, კვლავ მოაბეს თავი სადღევრძელოებს. სუფრა განახლდა და ღვინოვაც თავისი გაიტანა. თანდათან გამოუკეთდათ გუნება მოქედივებს. ბოლოს გულმოკეშილი ლეო, ვარლამი და ვალერიანი მუხრანბატონსაც ჩაუხტნენ.

ვიდაც შემოვიდა და ვალერიანს ყურში რაღაც უჩურჩულა.

ვალერიანმა ერთბაშად მოსხიპა სიმღერა, სასაღილოს კარს გახედა და საზე დაუშედა.

— უთხარი, რომ აქ არა ვარ.

— არ გამოვა. მოუსწავლებიათ და თითონაც დაგინახა.

— დამინახა და დამინახოს. არა სცალიან-თქო.

— ეგეც ეუთხარი, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა. გინდა თუ არა, დაუძახე, გამოვიდესო.

— არა მცალია. გიყია, ოხერი? რა ყველგან უკან დამდევს, გეგონება მე პაბედა ვიყო, ეგ ბაგაყნიკი. უთხარი, ეხლა წადი, მერე თითონ მოვა და გნახავს-თქო.

კაცი გავიდა და მალევე შემობრუნდა.

— არა შერება. თავს იკლავს, გინდა თუ არა, ეხლა უნდა ვნახო.

— თავს იკლავს და მოიკლას. მე მაგას საკმარისი ველაპარაკე. თუ უნდა წავიდეს და მიჩივლოს. არ მოდის-თქო.

— გადი, ცოდოა.

ვალერიანმა კაცს გაკვირვებით ახედდა.

კაცი შეტრიალდა და გარეთ გავიდა.

ალაზნის პირველ მეთევზეს წაუხდა ხასიათი. ველარც სიმღერას აჰყვა, ველარც საკმელს დააკარა პირი. აიღო სავსე ჭიქა და ერთბაშად გადაჰკრა.

ცოტა ხნის შემდეგ სასადილოში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. ქერა, ტანადი და ლამაზი. პირდაპირ ვარლამის სუფრისკენ წამოვიდა. შუა გზაზე შედგა, გაწითლდა და ვალერიანს სთხოვა, ერთი წუთით გარეთ გაჰყოლოდა.

ვალერიანს სახეზე ალმური ავარდა. თანამესუფრენი ჩუმად შეათვალიერა და გოგოს უკმეხად მიუბრუნდა.

— რა გინდა?

— ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით. საკმე მაქვს. — ქალი სირცხვილით იწვოდა.

ვალერიანი კბილების კრაჭუნით წამოღდა. მერე ისევ დაჯდა და ბინძურად შეიგინა.

— არა მცალია და არც მოვდივარ! მე შენ უკვე გითხარი სათქმელი!

ქალს ცრემლი მოადგა თვალებზე. ტუჩები აუთრთოლდა და სუფრასთან ახლოს მივიდა. იმდენი ნებისყოფა მაინც გამოიჩინა, რომ მოქეიფეთ მიესალმა.

ბიჭებმა ახალა იცნეს ალვანსა და ალაზნის პირას თავიანთი ნადიასახლისარი. ქეთო გასუქებულიყო და კიდევ უფრო დამშვენებულიყო. თხელი თავსაფარი ყელთან ახალმოღურად შეეკრა. მწვანე პალტო ეცვა, ყველა დილზე შეკრული. პალტოში უფრო სრული ჩანდა. სრული კი არა... და ამ გოგოს მოსვლის შემდეგ სააქაოს დაბრუნებული ზაქრო უმალ მიხვდა ქალის სისრულის მიზეზს.

— ერთი წუთით, ვალერიან, მხოლოდ ერთი წუთით. — მერე ბიჭებს მიუბრუნდა და საბოდიშოდ გაღიმება სცადა. — სულ კი არ წაგართმევთ, მინდა ორი სიტყვა ვუთხრა. — ღიმილი არ გამოუვიდა. სახე რაღაცნაირად დაეღრიჯა, ქალი საბრალო იყო, უმწყო და უიმედო.

— ვთქვი და გავათავე. არსად არ

მოვდივარ. თუ რამე გაქვს სათქმელი, აქ მითხარი.

ქალი კიდევ უფრო გაწითლდა და ხელები საცოდავად დაშალა.

— შენც ხომ იცი, ვალერიან, რომ აქ ვერაფერს გეტყვი. რა იქნება, რომ ერთი წუთით გამოხვიდე?

თანამესუფრეებს დაენანათ ქალი და მეგობარს გადახედეს.

— ადე, ცოტა ხანს გადი, კაცო, იქნებ რა აქვს სათქმელი?

ვალერიანმა ვეება თავი მკვახედ მიატრ-მოატრიალა.

— ძალიანა გთხოვთ, ბიჭებო, ჩემს საკმეში ნუ ჩაეჩრებით, ჩემი საკმისა, მე ვიცი. — მერე შემოსულს მიუბრუნდა: — ვინ დაგვატიყა, რომ მოხვედი? რამდენჯერ გითხარი, როცა საჭირო იქნება, მე თვითონ მოგაკითხავ-მეთქი!

რომ აგიღია თავი და კაცოს მეძვით ჩემს ნაკვალევზე დასუნს ცოტაოდენი სირცხვილი მაინც გაქვს? ხალხი რას იტყვის? ბოლბოლოს, რას გადამეკიდე? აი, ბიჭები აქ არიან და აბა ჰკითხე, თუ კაცი ქალთან ერთი-ერთზე რამეს გახდებ! ძალა ვიხმარე? — დამიმტკიცე! გიჟია ეს... ახლა, აქ არაფერი არ მათქმევინო! რამდენ კაზასაც გადავყარები, ყველა რომ ცოლად წავიყვანო, ერიპა! წადი ახლა აქედან, გეუბნები, არაფერი არ მათქმევინო.

ქალმა სახეზე ხელები აიფარა. ბოძისკენ შებრუნდა, თავი ზედ მიახალა და მწარედ ატირდა.

ზაქრომ როგორც იყო მოსწყვიტა თვალი დედაბოძის ჩუქურთმას.

— მაგაზე მეტს რაღას ეტყვი, ბიჭო? აბა, მაგაზე მეტს რაღას ეტყვი? თანაც მიიხედ-მოიხედე. აქ ჩვენს გარდა მთელი სასადილოა. ან განა ჩვენთან ერთად შეიძლება საცოლეს ეგრე ელაპარაკო?

— საცოლეს? — ვალერიანი დაიღმანჭა. — ეგ იგრევეა ჩემი საცოლე, როგორც ყველა დანარჩენისა.

ქალი უფრო მწარედ ატირდა. მთელი სხეულით ცახცახებდა. შუბლს ახლიდა ბოძს.

ზაქროს თითქოს რაღაც ჩასწყდა გულში. სახე დაენისლა და ჩამოუბნელდა.

— არამი ყოფილიყოს შენზე ქალის სიყვარულიცა და ალერსიც, ყოველი კოცნა და ყველა ჩურჩულით ნათქვამი სიტყვა. მე რომ ამის ადგილას ვიყო, ერთს მოგაფურთხებდი და ზედაც აღარ შეგხედავდი. ქალს ვუყვარდებოდი, ღელვებდა მე ვახსოვდე, ჩემს ნაკვალევს უკან დასდევდეს და მე იმას... — ზაქროს კრიჭა შეეკრა, მძლავრი ყბები რისხვით მოკუმმა, თავიერი ჩამოიღამა და მოკლედ მოსჭრა:

— ამ წუთში აღექი და გარეთ გაპყე!

— სუფრიდან მაგდებ?

— ხომ იცი, ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს.

— სუფრიდან მაგდებ?

— გეუბნები, აღექი-მეთქი!

— შენ თუ სუფრიდან მაგდებ, ის თქვი!

— არ ადგები?

— გამოდის, რომ სუფრიდან მაგდებ.

— გაგდებ, აღექი!

— მაშინ, იცი, რას გეტყვი? შენი სუფრა ხატილენიასთან მოიკითხე.

ზაქროს აღარაფერი უთქვამს. ადგა, სკამიანად ასწია თანამესუფრე და გარეთ გაიჭანა. მერე ქალს მხრებზე ხელი მოხვია და უთხრა: ცუდი ხე შეგიჩრჩევია, ჩემო დაო, ბაღში დასარგავად. პატრონი არა გყავს? გადი ახლა და, თუ რამ კიდეც დაგჩნა სათქმელი, უთხარი.

ქალი მკლავზე მოეხვია ბიჭს და სახელი ცრემლით დაუსველა.

ბიჭს გული აუღულდა, შიგნითი დასწყდა ქალის საცოდაობამ, თავადაც ცრემლი მოადგა და პირი გვერდზე მიიბრუნა. ერთი თითონაც მიიხუტა მკერდზე და კარისკენ მიიბრუნა.

— ახლა, გადი გარეთ და თუ არაეინა გყავს, მე ვიქნები შენი ძმა.

გააფთრებული შემოვარდა ვალერიანი.

— ბოზო, ბოზო, ბოზო! ახლა მაგას

ეხვევი? ხედავთ, ბიჭებო, ახლა ამას ეხვევა! არც ეხლა გჯერათ ჩემი ნათქვამი? ბოზო, უხ, შენი!... შენ რომ ბოზი არ იყო, ექთანად წახვიდოდი?

ზაქრომ ზედ მოვარდნილ ვალერიანს საყელსა და ქამარში ჩაუვლო ხელი. ციმციმ ასწია და კუთხეში ისროლა.

ვალერიანის უზარმაზარი თავი კედელს მოხვდა და იატაკზე ჩაიკეცა.

ზაქრო ზურგით დედაბოძს მიეყუდა, ფეხი ფეხზე შემოიღო, ცულებელი დაიკრიფა, კერის კუთხეში გაბმულ აბლაბუდას მიაჩერდა და გაირინდა...

და მერე ელვის სისწრაფით მოხდა ყველაფერი.

თვალიც არ მოუკრავს, როგორ წამოდგა ვალერიანი, როგორ აიტაცა დახლიდან დანა, ან პირდაპირ როგორ გადმოეცლო დახლს კუპრაჟა. შორეულად ჩასწვდა: „რას შერეები, ბიჭო!“ ოციოდე კაცის გულიდან ერთბაშად ამოვარდნილი ოხვრა და ქალის კივილი. მხოლოდ იგრძნო, უცებ იგრძნო, რაღაც კივი, ცაყინავი, როგორ შეუსრიალდა მუცელში, წელში გაიარა და ბოძში ყრულ ჩაერჭო. ზაქრო შეკრთა და ბოძს აეკრა. ცაიჭიმა, ყური ცქიცა, წამიერად თვლები აახამხამა და მერე ბუდიდან წამოუცვივდა. შუბლსა და სახეზე ოფლის მსხვილმა წვეთებმა გამოჟონა. უცებ გამოჟონა. უცებ, ერთ წუთში კაცი ოფლში გაიწეწა. პირი დააღო, მკლავები ფრთხილად ჩამოშალა, ტანზე ნელა, ფრთხილად ჩამოაცურა და კიბის ქვევით მაგარ, ღონიერად ჩასმულ ხეს მიაკარა. მიაკარა და კიდეც ერთხელ შეკრთა. მერე ისევ ნელა, ფრთხილად მოუცაცუნა დიდი, მსხვილი თითები და გაქვავდა.

მთელი სასაფილო ჩაქვდა. კუპრაჟაც კი დაბნეული მისჩერებოდა მუცელში შეტენილ გრძელი, პურის საქრელი დანის ტარს.

მოკიდავემ ყბები მოკუმმა, თვლები მაგრად, მაგრად დახუჭა, მერე გრუზა თავი მძლავრად შეანჯღრია და ორივე ხელის გაშვებული თითები დანის ტარს ირგვლივ მძიმედ შემოასაღტა.

ერთხელ მოსწია, დაგუბებული გმინავა ამოაყოლა და კბილები ერთმანეთს სიმწრით შეაღწეა. მეორედ მოსწია, ზიდან ამოაძრო და მერე გოჯ-გოჯად გარეთ გამოიტანა. წუთით შედგა, მარცხენა ხელით ჭრილობა მოძებნა და ზედ აიფარა. სისხლმა მაინც მოძებნა გასასვლელი და წვრილმა ნაკადებმა თითებშუა ჟონვა დაიწყო.

მოკილავემ ბრმად შეაბრუნა მარჯვენა ხელში ტარი და თითებში კარგად მოიჩგო. ამაზრუნად აღაპლაპდა ჭიფტად გავლებული ფრთხილი დანის პირი. ყბები აუთრთოლდა დაჭრილს, კბილებმა კაპკაპი დაიწყო. გაგიჟებული ბუღის თვლებით კარს ვახედა, ერთი დაიღმუვლა და ადგილიდან მოწყდა. მოწყდა და ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო. უროს დარტყმით დარეტიანებული ხარივით ორივე მუხლზე დაეცა. მერე იატაკზე დაწვავდა და სიკვდილის ქრცოლა დაქრული დაიკრუნჩხა.

2

ნიკო შემობრუნდა და აივანს ივადმოეყუდა.

— შენ კი არ დაგვატიეხს ქორწილში? — მუხლებში მოხრილი ფეხები გაეჩაჩხა ნასყიდას, წითელი სახე ზევით აედირა და ჩხია თვლებით შემოპყურებდა. რაღაც საზეიმო ივარძნობოდა მის გამოხედვაში.

— ჩექმები აღარ გიქვრს?

— მოჯდა ფეხებზე, თანაც ზამთარია. თუ წამოხვალ, ერთად წავიდოდით.

— ერთი კი ამოიყორავს იმ ამოუყორავ მუცელს“. და უწადინოდ იკითხა:

— ვისი ქორწილია?

— მცდი?

— შენ ფიქრობ, რომ გამოუცდელ ბიჭად გიცნობ?

— მართლა არ იცი?

— ბეუტურს თავი დაანებე. ვისი ქორწილია?

— აბა, უყურე, კაცო! მართლა არ დაგვატიეხს?

— არ დამვატიეხს.

— მაშ მართლა არ იცი, ჩექმები?

— არ ვიცი.

— მთელმა ქალისპირმა იცის, რომ მიხას რძალი კაკოზე ქორწილდება. დღეს მოვაწერინე ხელი. თუ წამოხვალ, ერთად წავიდოდით.

— მაღლობა მომიხსენებია. თავადაც მითხრეს, მაგრამ საქმე ამიჩნდა.

— წამო, რა დროს საქმეა, ერთი ჩვენებურად დავლოცოთ „ახალყოფილი“.

„მამასადამე, მართას მამინ მართალი უთქვამს, — აივანზე გააბიჯა და უღვაშები ჩამოიფეცა თავმჯდომარემ, როცა ნასყიდა წავიდა. — და დღეს უკვე ქორწილი აქვთ. გაიძვერა, ყვეენი! რა თქმა უნდა, ყველაფერი იცის. თავისი სიხარულიც კი ვერ დაფარა. ეგონა, ცულს გამიხეტავდა. ცულად გიცვნივარ, დორბლიანო! მე უკვე გადავხარშე და მოვინეღე... მამ! „ახალყოფილი“ ლამაზად კი თქვა მაგ ხეპრემ. ოღონდ იმას კი არა, მე უნდა მეთქვა... დამღურებით მაინც ვერ დავემდურები. ჯერ ერთი, ეუხერხულა ჩემი იქ ყოფნა; მეორეც, იმ ბუღრუგანა ფიცრულში რომელი ერთი დაეტეოდა, მთელი სოფელი რომ დაეპატიყნა? ან იქნებ „ნეფემ“ არ მოიწადინა ჩემი იქ ყოფნა? ჩემი კოლწევრი თხოვდება, — მამასადამე, მეც იქ უნდა ვიყო. თანაც თამადად. — ეს რა ხანია წლების მანძილზე დაკანონდა კიდევ. ახლა კი... ახლა დაირღვა. და ეს დარღვევა თითქოს რაღაც სხვასაც არღვევს. ალღოთი გხვდები. სხვა რაღაც უფრო დიდს არღვევს... თუმცა რომ დავეპატიყნე, შეიძლება არც წავსულიყავ. იმ დამის შემდეგ მხოლოდ ერთხელ შევხვდით პირისპირ, — სიმინდის მტვრევაში. თითქოს მას შემდეგ უფრო ცალკაზმებული. თბილად შემომხედა, მეგობრული ღიმილით, უნდოდა გამომლაპარაკებოდა. კარგი ვქენი, ზედაც არ შევხვდე. სალამიც არ მიმიცია... და ახლა თხოვდება. ფეხებზე არა მკიდია — გათხოვდეს, — ჩემი ურგები ქოთანს ქეასა და მაწონი ძაღლსა. კეპანზე დაგორებული ლო-

დი სტორამდე ნუმც შეჩერებულა, — რა ჩემი საქმეა!.. ის მალაღანაა... ის მალაღანაა არ უნდა შემომეშვა სოფელში. სულ იმ დორბლიანის ბრალია. დათვის ტყაყებით აავსო. სხვა ნაწადირევსაც არ აკლებდა. აფსუს, რატომ არ ვიცოდი! აღრე უნდა მცოდნოდა ეს ამბავი. ახლა რაღას ვიზამ? მამულზე მივა ზედსიძედ და ნასყიდა საკომლო დაეთარში შეიტანს. ახლა უკვე გვიანია. თუმცა მე რა მრჯის? თავპირი უმტვრევია ორივეს. კარგი ვქენი მაშინ, სიმინდში, ხმა რომ არ გავეცი. ორი ტაროსაგან ავიღო გაეკეთებინა, ტაროები კარგი იყო, ოდნავ დიდპატარა. ხელში ეჭირა და ღიმილით მიყურებდა. მე სალამიც არ მითქვამს, ისე ჩავუარე გვერდზე და იოსებს ცოლს, თებრიას, გავეხუმრე... ახლა თხოვდება! ნეტა ვინ უნდა მიიყვანოს? — იმ სახლში თავი კუდს ვერ მოიქნევს. ბევრი არ მივა. — რაში სჭირდებათ? აი, ნასყიდა კი მივა. ჩემი ჭიბრით მივა. თუნდაც არ უნდოდეს, მაინც მივა. მე ზომ ვიცი, რა გველაძუც არი. შინ თუ არ დაეტევინა, შეიძლება გარეთ, დერეფანშიც დასხან ხალხი. იმდენად უნამუსოები არიან, ამ სიცივეში გარეთ დასხამენ ხალხს. როცა იმ მოთრეულს საქაჯავი შეჰქონდა მაგის ეზოში, მამინვე უნდა მიგხვედრილიყავ, რაც მოჰყვებოდა. თუმცა მე რა მრჯის, ქორის გავდებულს ალალი წაიღებს თუ მიშინო? ერთი თქმითაც კი არ მითხრეს. ახია მაგაზე, რომ მაშინ ხმა არ გავეცი. ის ღიმილიც ოვრე შეაზმა სახეზე. ტაროების ავიღო ასწია და მე დამანახა. მერე რაღაცნაირად მოწყურა თვალები და კისერზე ჩამოიკიდა. ტაროები გრძელები იყო. ძალიან გრძელები იყო და მათი წვეროები თითქმის ძუძუს თავებამდის უწევდა. მაინც რა უნდოდა ეთქვა იმით? ჩვენ — მე და კაკო — ზომ არ ვიყავით ის ტაროები? ტაროები გრძელები იყო და ისე იყვნენ გაწოლილები იმ ბარაქიან მკერდზე...

ბინდამდე სცემდა ბოლთას აივანზე თავმჯდომარე. დროდადრო ქარს მოჰ-

ქონდა თოვლჰყაბის ნესტიანი სუნთქვა და ყელ-კისერში უძვრებოდა. ნიკოს სიცივე არ უგრძნებია. როგორც კი დაღამდა, აივანის ბოძს მიეყუდა და სახე მსუსხავ ქარს მიუშვია. ერთხანს იდგა ასე, მერე შებრუნდა და შეილის ოთახის განათებულ ფანჯრებს შეხედა. უცებ გაახსენდა, რომ ამ საღამოს ლეჩურში მეტყვევებთან უნდა ასულიყო. ძალიანაც ეზარებოდა ჰყავში სიარული, მაგრამ საქმე დაყოვნებას არ ითმენდა.

„კუბრაჰას ვეტყვი, მანქანით ამიყვანოს“.

ოთახში შევიდა და პალტო ჩამოიღო. ჩაიცვა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ ახლა კუბრაჰასთანაც კი არ ეწადა მგზავრობა. უმალ გაიხადა, ნაბადი მოისხა, დას დაუბარა, მალე მოვალო, და გარეთ გამოვიდა.

შარაზე კაციშვილი არ ჩანდა. უსწორმასწორო აღგილებში ჩამდგარი წყალი იშვიათად შემოხვედრილი ნათურების (შუქზე ლაღლაპებდა. ასფალტზე ერთფეროვნად ბაკუნობდნენ ფლოქვები. თოვლნარევი წვიმა პირდაპირ სახეში სცემდა მხედარს. ნიკომ ნაბადი შეისწორა და შუბლზე ქუდი უსიამოდ ჩამოიფხატა. ხაშუშ-ხაშუშ ნიავს საიდანლაც მოჰქონდა გარმონის ხმა და დოლის ბაგუნა.

ჭალისპირს კარგა მანძილით გასცდა, როცა ცხენი შეაყენა.

„რა იქნება, ცალი თვალით მაინც რომ შეიხედოს მიხას ეზოში? თუნდაც იმიტომ, ყავთ ვინმე თუ არა? საერთოდ, მივიდა ვინმე თუ არა? ან იმდენი თუ მივიდნენ, რომ გარეთაც დადგეს მაგიდა? რა უშავს: მხოლოდ ერთი შეველებით შეავლებს თვალსა და წავა. მეტყვევები სად გაიქცევიან?“

ცხენი სიამოვნებით შემობრუნდა და ფეხს აუჩქარა.

ცალყურაანთ მიხას ეზო სიბნელესა და სიმყუდროვეს მოეცვა.

ნიკო გაოცებული შედგა და დააყურო. — ჩამი-ჩუმი არ ისმოდა დერეფნიდანა და სახლიდან. ოდნავი მოძრაობაც

არ შეიგრძნობოდა იმ გარეშეშეშე. სათვალის შუშებს იქიდან ძლივს მოჩანდა ჩაშავებულ ცაში კენჭად როგორ ირწყვოდა კვიპაროსის წვერო.

ნიკო უკან გამობრუნდა.

ოციოდე ნაბიჯი არ გაეცლო, რომ ცხენი კვლავ მოატრიალა. ჭიშკართან დაქვეითდა და სადავე ჭიშკრის ბოძს გადააცვა. ფრთხილად მიდიოდა ბილიკზე. წარამარა სხლტებოდა ფეხი წილიან მიწაზე. დერეფანში შებრა-ცუნდა და კარები ზელით მოსინჯა, — კარებს კლიტე ედო. დიღანს იღვა ასე. დერეფანში სიმშრალე იყო. აღარც ქარი იგრძნობოდა ისე რიგად.

უცებ შებრუნდა, ზელის ცეცხებით შემოუარა სახლსა და ბაღის მხრიდან ფანჯარას მიადგა. მინას ცხვირი ზედ მიაჰყლიტა, მაგრამ ოთახში ვერა გაარჩია რა.

ფანჯარა ჩაკეტილი იყო, ცივი და სველი.

თავმჯდომარემ სახე მოარიდა მინას.

სიბნელე აქ უფრო ჩადედებულიყო. თვალთან მიტანილ დირესაც ვერ დაინახავდი.

ნიკომ ერთხელ კიდევ მიჰხედა ფანჯარას და წვიმით გაქლენთილ ფანჯრის ფულებს ზელი ნელა მოუცაცუნა.

ოღესლაც... იმ დროს... აი, იმ დროს, როცა... და ნიკომ ფანჯრის ფულეებზე სამჯერ, მერე აქეთ-იქით მინაზე თითო-ჯერ ფრთხილად დააკაკუნა და გაირინდა. კარგა ხანს იღვა ასე ყურწაგდებული. მერე მინას ერთხელ კიდევ მიაჰყლიტა ცხვირი და უკან გამობრუნდა.

„რა სისულელეა! ქორწილს კაკოს საღორეში ხომ არ ცდაიხდიდნენ? ნაფარეულში ექნებოთ, მამის სახლში“.

ცხენმა იწყინა მათრახი და დაოთხილმა შარაზე შემოხვედრილ ფუბეებს ჰყავა-ჰყუპი აუტეხა.

მექორწილენი არც მამის სახლში დახვდა თავმჯდომარეს. ეს სახლიც დავცალათ და გამოეკეტათ.

ლამის სიგრილემ თუ უნაგირზე ჯდომამ რაღაც სიმსუბუქე აგრძნობინა მხე-

დარს. ცხენი გამოაბრუნა და ნაბიჯით წაიყვანა.

„ხომ არ მოჩამახა ნასყიდში? ნასყიდში არ ეტყობოდა. არა, ეს რა ამბავია? ნაღდად მაქამა იმ დორბლიანმა. ლეჩურში არ დამაგვიანდეს. აბა, ჩემო ლურჯავ, ერთი ქარი დააფრთხე!“

ჰალისპირში, კუპრაქას სასადილოსთან ჰენება შეანელა. გადაწყვიტა შეეცლო.

კუპრაქა დახლს იდაყვით ჩამოყრდნობოდა და გადაუწმენდა მავიდათან მიმდარ ერთადერთ მუშტარს მოწყენილი შეჰყურებდა.

გულის გამლევად ილონებოდა ბებერი ფშველი. შავი, გამხმარი თითებით ტეხდა წვრილ-წვრილად პურის ლუკმებს და შორიდანვე ისროდა პირში.

კუპრაქა გამოცოცხლდა და დახლ-ქვევიდან არყის ბოთლი გამოიღო.

— რამ დააცარიელა ეგრე აქაურობა. დოლ-გარმონი მაინც სადა გყავს?

კუპრაქამ შეხედა თავმჯდომარეს, ბოთლს საცობი მოაძრო, მერე თვალი მოარიდა სტუმარს და არაყი დაასხა.

— ჩვენებური ქაქაა, ჰალისპირული. თავმჯდომარეს სასადილოს გამგის გამოხედვა არ გამოპარვია.

— რა მივდებული საყდარივით არი დღეს შენი სასადილო, სად არი დოლ-გარმონი?

— ქორწილში წაიყვანეს.

— სად ქორწილში?

— აქვე, ჰალისპირში.

— ვის ქორწილში წაიყვანეს?

— კაკოსი და ცალყურაანთ მართას ქორწილში.

— უჰ, რა მაგარია, ცეცხლივით არი, — ნიკომ პეშვით ულვაშები ჩამოიწმინდა, — შენ არ დაგპატიყეს?

— დამპატიყეს.

— რატომ არ წახვედი? კაკოს გაუხარდებოდა.

— გაუხარდებოდა, მაგრამ სასადილოს დაკეტვა დამეზარა, მეგონა, დღეს კარგი მუშტარი მეყოლებოდა. შენ ხომ არ მიდიხარ?

— მე არც ვიცოდი, ახლახან მოვედი თელავიდან და პირდაპირ ლეჩქურში მივდივარ საქმეზე. აბა, ქორწილში რას წავალ, გადამიყოლეს ამ ბიურო-თათ-ბირებში. ახლაც აბა, ლეჩქურში მივდივარ მეტყველებთან. აბა, კარგად იყავი, ღამე მშვიდობით, არაყზე მალლობა.

— კარგად იყავი.

— გადმოდი ჩემთან, ვილაპარაკოთ, — კარებთან მობრუნდა თავმჯდომარე, — კაი ღვინო მაქვს შინ, ქვევრისა. შენსა-ვით მაყვლისა და შაქრის ნახავს კი არ ვხედავ.

— კუპრაჰამ უნდილად გაიღიმა და ზებერ მუშტარს მალულად გახედა.

— კაი კაცისთვის არც მე მაქვს ნაყ-ლები.

— აჲ?

— თუნდაც აჲ.

— კარგია, მაგრამ ახლა არა მცა-ლიან. აბა, კარგად იყავ.

— კარგად იყავ, ნიკო.

ჯერ კარი გახურულიც არ ჰქონდა, რომ თავმჯდომარემ უკანვე შემოაღო.

— ჰო, მართლა, ქორწილს იმ საფერ-ფლის ოდენა სახლში ხომ ვერ გამარ-თავდნენ, სად არი? თუ აღრე დავბ-რუნდი, იქნებ შევიარო კიდევ.

— ღოღ-გარმონის ხმას მიჰყე და თითონ მიგიყვანს.

— ამოდენა სოფელში სად უნდა ვე-ქებო?

— თედოსთან არი, ნართიაშვილთან.

— თედოსთან?

— ჰო, სახლი დიდი აქვს და თუ გინდა ნახეარ სოფელს დაიტეკს.

— ძენწი კაცი და ეგრე გულუხვი?

— კაკო ყბედობდა: თვითონ მი-თხარაო.

— ჰო, რა ეშმაკია, ეგ ღმერთადლო! ნახე თუ ქირა ოთუზბირი არ გამოარ-თვას.

— ქირის ფარეშე უთხოვებია. ჭურ-ჭელიც კაი კაცს კაი ოჯახის შექმნაში ხელს როგორ არ გაეუმართავო.

— როცა სჭირდება, თავლი ეღვრე-ბა ენოიან. აი, ნახე თუ ქირას არ გა-მოართმევს. ჰა-ჰა-ჰა! თედო და ეგრე

გულუხვი? ქირას გამოართმევს, თო-რემ ნახავ. აბა, კარგად იყავი, ნიკო.

— იცოცხლე, ნიკო. გულუხვი ნართიაშვილების უბანში შესულიც არ იყო, რომ შორიდანვე შემოესმა დოლის კვეხნა:

„დანქიცა მაქვს, ღუნქიცა მაქვს. დან-ქიცა მაქვს, ღუნქიცა მაქვს“.

ეზო ნათურებით გაეჩახჩახებინათ. გარეთ საფარში, სათონესა და კარვად გაკეთებულ ბრეზენტბექვეშ ბურბუ-რებდა ცეცხლი. ზედაღვრებზე შედგ-მულ დიდრონ ქვაბებს მზარეულები ჭაფქირებითა და ჩამჩებით დასტრია-ლებდნენ. ალაგ-ალაგ ამიშხინებული მწვადებიდან ჩამონადენი ქონი ცისფ-რად ხრჩოლავდა გაღვლილ მუგუზ-ლებზე. მალალი კიბით უზარმაზარ ხონ-ჩებზე დაყრილი ხაშლამა ადიოდა. იქი-დან დაცლილი ჭურჭელი ჩამოდიოდა.

ხალხი გარეთ შუშაბანდშიაც მოჩან-და. ისმოდა სიმღერა, ყვირილი, ღვი-ნის დამალება და დროდადრო მოცეკ-ვავითა აზარტული შეკივლები.

„უკვე ეშხში შესულან“ — ნიკო გზის მეორე მხარეს გადავიდა და ღობეს აეკ-რა.

კვლავ არბოდ-ჩარბოდნენ მიმტანები. კვლავ წამუტუნებდა ტბილად გარ-მონი.

კვლავ ბაქიბუჭობდა დოლი და შუ-შაბანდში რიალებდნენ ლანდები. ვი-დაც ბარბაცით ჩამოვიდა კიბეზე და ღობესთან ახლო მოდგა.

ნიკომ ზიზლით ააჩრდა თვალი, ცხენს ჭუსლი ჰკრა და მეორე მხრიდან მოექ-ცა სახლს.

ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვათ. მხოლოდ ჩრდილების მოძრაობა შეიმ-ჩნეოდა შიგნით.

ისევ წინიდან მოუარა. იდგა ხის ქვეშ ღობის ჩრდილში და იცდიდა. ქუდზე წკაპუნით ეცემოდნენ წვიმის მსხვილი წვეთები. მერე ქუდი თავათ გაეივდა წყლით, უკანიდან რამდენიმე წვეთი ჩა-ეცა კისერში.

უეცრად სიცივე იგრძნო. ტანში ძლიერი სიცივე იგრძნო, ძელამდე გამ-

ტანი სიცივე. ნაბადი მჭიდროდ შემოიჭუჭყნა. მაინც შეაეროლა.

ორღობეში მანქანა შემოვიდა და სინათლის ორი შადრევანი შემოიტანა.

ნიკო შებრუნდა, სადავე აკრიბა, ცხენს ჭუსლი ჰკრა და თავქვე დაეშვა.

3

ლოგინში თბილოდა. ოთახშიც თბილოდა. გახურებული ღუმელი განელბულიყო, მაგრამ მაინც თბილოდა. იქვე, იატაკზე, ეყარა ბლომად მომარაგებული დაჭრილი შემა. მკრთალად ანათებდა ღამის ნათურა.

შავლეგოს მკერდამდე გადაეხადა საბანი, ცალი ხელი თავქვეშ ამოედო და ჰერს უცქეროდა.

— ღუმელს შეშა კიდევ ხომ არ შეუვეთო?

— რა საჭიროა, შენთან არქტიკაშიაც არ შემცივა. — ფლორა კი არ ლაპარაკობდა, კრუტუნებდა. მაძლარ, კმაყოფილ, ბუნხართან მიწოლილ კატასავით კრუტუნებდა. გამოხედვაც ისეთი ჰქონდა, როგორც კატას, საუქუნაოდან გამოსვლის შემდეგ. თითონაც ცულაღმა გადაბრუნდა და ბიჭის შიშველ მკლავზე თავი უფრო მოხერხებულად დადო.

ქალს ღვინის, ნიგვზის ბაჟესა და კიდევ რაღაც გაურკვეველი, მოტყბო სუნი ასდიოდა.

შავლეგო იწვა და ფიქრობდა მომხდარზე. ასეთ რამეზე არც მაშინ უფიქრია, როცა ქორწილიდან გამოდიოდა, არც მთელი ის გზა, რუსუდანის სახლმადე რომ გამოიარა, არც მაშინ, შეშას რომ ჰკრიდა და ღუმელს ანთებდა. ყველაფერი უბრალოდ მოხდა, თითქოს თავისით... ქალი კი დიდებული იყო. აი, ახლაც გვერდით უწევს თბილი, რბილი, საესე და ქორფა. სახე კი, ცხვირთან ქორფლიანი, ოდნავ, სულ ოდნავ ქორფლიანი სახე, მიაპიტური, წყნარი და ბალღივით უმანკო აქვს.

ფლორამ ხელი გადაყო, ყელზე მოუცაცუნა, მერე ტუჩებზე დააფარა და აკრუტუნდა:

— მაკოცე.

ბიჭმა აკოცა.

— რაზე ფიქრობ?

— სისულელეზე.

— ნუ, საყვარელო, რა საჭიროა სისულელეზე ფიქრი?

— მაინც ვფიქრობ.

— გათენებამდე დიდი დრო აღარ დარჩა, რა საჭიროა სისულელეზე ფიქრი?

— არ უნდა წავსულიყავ ქორწილში.

— მერე რა, რომ წახვედი? თითქმის მთელი სოფელი იქ იყო. დედა, რამდენს სევამდი, ერთ ქვევრში არ ჩაეტეოდა.

— განგებ ვსევამდი, მეგონა უგუნებობას გამიფანტავდა.

— სიმთვრალისა კი სულ არაფერი გეტყობა, ძვირფასო.

— ძვირფასს ნუ მეძახი.

— რატომ, საყვარელო?

— არ არის საჭირო. რატომ არაფერი მითხარი? მძულს სიმთვრალე.

— გითხარი, მაგრამ ვერ გაიგონე. წვეთს არ ტოვებდი. რამდენიმე ჭიჭა რიგგარეშეც დალიე. სევამდი და პატარძალს უყურებდი. სულ იმ პატარძალს უყურებდი დაეინებო.

— ჩვენს წინ იჭდა და მამ ვისთვის უნდა მეცქირა?

— არა, ის ცქერა უნებური არ იყო. მე ცოტა რაღაც გამეგება ცქერისა. როგორც კი შეზარხოშდი, მაშინ დაუწყე ისე ცქერა. განა გამტყუნებ, საყვარელო, მე ხომ ქალი ვარ. თვითონაც სიამოვნებით ვუცქეროდი. აი, ნამდვილი დედაკაცი! — ღონიერი, ჯანმრთელი და ბარაქიანი. მე რომ მხატვარი ვიყო და კახური შემოდგომის დახატვა მინდოდეს, მაგ ქალს დავხატავდი: ლამაზს, მწიფესა და ხევიანს.

— დედაკაცი... ახლა ვილას ესმის მაგ სიტყვის ფარული ძალა და შინაგანი სილამაზე? ახლა დედაკაცი დედაბერსაც რომ უწოდო, თავს გაგიტეხს, შეურაცხყოფად მიიღებს.

— მე მგონია, კაცოს კარგად უნდა ესმოდეს მაგ დედაკაცის ფარული ძალა, და შინაგანი სილამაზეც.

— ეშმაკი ჩანს ეგ მონადირე, ბევრს სითავხედით გააქვს.

— კაცს ყოველთვის არ გაუმართლებს სითავხედე.

— ყველას არ უმართლებს. ზოგს კი, რაღაცნაირად, კარგად გამოუდის. და არც ძრახვენ. ყოველ შემთხვევაში, ხმამალა მაინც არ ძრახვენ. ზოგს, პირიქით, უწონებენ კიდეც. და მე რომ ისეთი რამ ჩავიდინო ერთხელ, რასაც ამგვარი ზალბი უთვალავჯერ ჩადის, ალბათ, უახლოეს ტელეფონის ბოძზე ჩამოშვებდნენ.

— მაინც რას უჩივი, შავლეგ, ამ მონადირეს? მე სასიამოვნო კაცადაც კი მომეჩვენა.

— კაცომ ქურდობა ჩაიდინა.

— როგორ თუ ქურდობა?

— სხვისი სიყვარული გაქურდა.

— აი, თურმე რაშია საქმე. მაშ მართალი ყოფილა, რასაც მაგ ქალისა და ძია ნიკოს ურთიერთობაზე ამბობენ?

— მართალიო? განა ვერ შენიშნე რამე, ჩვენ რომ კიბეზე ჩამოვდიოდით?

— ვერა. გარდა იმისა, რომ ქოლგა ვერაფრით გავსენი და შენ მომეხმარე, უი, როგორ დამავიწყდა, როგორ ახლოს დაგიდგია, არ დაიწყას.

ფლორა ლოგინიდან ცამოძვრა და ქოლგისაკენ წავიდა. ლამაზად მიჰქონდა ნაკეთიანი ტანი. მთელი მისი მიმოხვრა დახვეწილი იყო, სუფთა, გამომწვევი და ქალური.

— რაღაცას ამბობდი, რა შეენიშნეო? — იკითხა ქალმა, როცა ქოლგა ღუმელს მოაშორა და უკანვე შეძვრა საბანძო.

— განა შენ კი არ დაინახე, ორღობეში შემოსული მანქანის შუქზე კიმკრის გაღაღმა ღობეს აკრული ნაბღიანი ცხენოსანი როგორ მოსწყდა ადგილს და თავქვე დაეშვა ჭენებით?

— ყურადღება არ მიმიქცევია. რამდენი მთვრალი მაყარი ცხენს გააქენებს...

— მაყარი არ იყო. ახლა საღლა ნახავ ცხენოსან მაყარს? შუქიც რომ არა ყო-

ფილიყო, მე მაინც ვიცნობდი ძია ნიკოს.

ფლორა გაოცებისაგან სახტარდა.

— განა ის ძია ნიკო იყო? ღმერთო! — მართლა ჰყვარებია და შერე როგორ. აი, მაგალითი ახალგაზრდებისათვის. მაგრამ ჩემთვის მაინც გაუგებარია: როგორ დათმო ასეთი ქალი ასეთმა კაცმა?

შავლეგოს ტუჩები უსიამოდ დაეგრია.

— დედაკაცის ხეშტური! შექსპირიც ვერ ჩასწვდა ქალს ბოლომდე.

— კიდეც იმიტომ იყავი მთელი გზა მოქაშული და ახლაც ჩამოგატრის სახე.

— მე გაუსწორებელი აზიელი ვარ, ქალის ღალატი სამშობლოს ღალატად მიმაჩნია. ყველაზე საშინელი ხომ ცულისწამებია ამ ქვეყანაზე, მაგრამ ქალის ღალატი არანაყლებია.

— რა იცი, იქნებ თვითონ კაცმა უარყო?

— ამგვარ შემთხვევაში ძია ნიკოსთანები ცხენებზე არ სხდებიან და საჯაროდ არ აშიშვლებენ თავიანთ გრძნობებს... არა, არ უნდა წავსულიყავი ქორწილში! და თუ წავედი, გათენებამდე აღარ უნდა წამოვსულიყავ.

— რატომ, საყვარელო, რატომ ამბობ მაგას?

— ძია ნიკოს არ შეგხედებოდი.

— მარტო მაგისთვის?

— იქიდან, ვინმეს მანქანით, პირდაპირ სადგურზე წავიდოდი რუსუდანის დასახვედრად. ახლა კი გზაზე გამვლელის მოწყალებაზე ვართ დამოკიდებული.

— რუსუდანს თანამგზავრი უამრავი ეყოლება, რად უნდა დახვედრა?

— შენი არ ვიცი და მე აუცილებლად უნდა დაეხვდე.

— ბარგი ბევრი არა აქვს, რად უნდა დახვედრა?

— ნუ სულელობ, ფლორა.

— გიყვარს?

შავლეგომ ცერად გახედა.

— უცნაური კითხვა.
 — ძალიან გიყვარს?
 — აუცილებელია გიპასუხო?
 — ახლაც კი გიყვარს, აი, ახლა, როცა ჩემთან ხარ?

— ნუთუ შენ არასოდეს არ იყვარებია?

— არ ვიცი, იქნებ მიყვარდა კიდევ... იქნებ ის იყო სიყვარული, ქმართან რომ განვიცადე. — ქალის ხმა ნალვლიანი იყო.

შავლეგომ კისერი მოღრია.

წყნარი, მიმდობი და მორჩილი მზე-რა ჰქონდა ფლორას, და კიდევ... ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი.

— რაც დამთავრე, თუ მუშაობდი საღამე?

— ქმარი არ მიშვებდა სამუშაოდ.

— გინდა კი საერთოდ მუშაობა?

— სიამოვნებით ვიმუშავებდი ქალისპირში.

— რატომ მაინცდამაინც ქალისპირ-წი.

— ეგ ჩემი საიდუმლოა.

— მაშ მე ვეცდები, რომ იმუშაო.

— ოღონდ ჭერ არა.

— რატომ?

— მინდა დავტყუე დღევანდელი მო-ნაბოვრით.

— ხომ იცი, რომ ცოლად არ წაგიყვან?

— ვიცი.

— მაშ რად დამნებდი?

— არ ვიცი.

— დედაკაცის სისულელე! აი, დედაკაცის სისულელე. რომი დაღუპა გარყვნილებამ, გარყვნილება დაღუპავს ევროპასაც. და იგივე მოგვიღებს ჩვენც ბოლოს, თუ თქვენ იქიდან ეგრე ბრმად განაგრძობთ ათასგვარი სისულელის გა-დმოტანას და წამბაძველობას. შენ უნდა გათხოვდე, ფლორა, შეიღებია სა-ჭირო.

ფლორა კიდევ უფრო ახლოს მიიწია, ცხვირით ნიკაპქვეშ შეუძერა და წაიკრუტუნა:

— განა ექიმმა როდისმე გითხრა, რომ შეიღი არ გეყოლებათ?

ქინძმარაულივით შემპარავი იყო ქა-ლის ალერსი.

— მე არაფერ შუაში ვარ, ფლორა, შენთვის ოჯახია საჭირო.

— ოჯახიც მექნება. შეიღები შენსა-ვით დიდები იქნებიან, საშინელები და... და ჰქვიაანები. ბევრი მეყოლება, ათი მეყოლება: ქურდები, ყაჩაღები, ღო-ნივრები, ფონივრები, და... შენსავით თავხედები. შენ სწორედ მიმიხვდი მა-შინ ყველაფერს, ოღონდ ის კი არ მითხარი, ვინ იქნება მეათე. მითხარი, ვინ იქნება მეათე? ახლა სინათლეა, მითხარი ვინ იქნება მეათე? — აი, ჩემი ხე-ლი.

— სისულელეს მოეშვი, ფლორა, და დამაძინე. ზვალ დილით ადრე უნდა ავდგე საღვურზე წასასვლელად.

— ოჰ, შე ყაჩაღო! შე ბანდიტო! შე ქურდო, ბანდიტო და ყაჩაღო ერთად! — მაინც რუსუდანი გახსოვს, ახლაც კი რუსუდანი გახსოვს! ნუთუ არ შეიძლე-ბა ჩემთან მაინც დაივიწყო?

— არ დავიწყებ მოყვრისა...

— დამცინი?

— ვერთობი.

— ვიცი, რომ ერთობი. მეც ვერ-თობი. ოღონდ მინდა, რომ ეს გართო-ბა საუკუნო იყოს, დაუშრეტელი, ულე-ვი და ამოუხაპავი. უკვე მიყვარხარ. ცელქობა-ცელქობაში უკვე მოვასწარ შეყვარება. და ახლა უკვე მენანები რუ-სუდანისთვის. არ მინდა მეგობარი და-ვადონო, მაგრამ ახლა აღარავისთვის აღარ მეშინება. განა მე ცუდი ვარ? მი-თხარი, შავლეგ, განა ცუდი ვარ?

— კარგი ხარ, მაგრამ იმ საქმისთვის, რისთვისაც რუსუდანი მინდა, შენ არ გამოდგები.

— ო, რა უხეში ხარ! უხეში და და-უნდობელი. მითხარ, რა გინდა გავაყე-თო და გავაყეტებ.

— შენგან რაც მინდა, იმას უთხოვ-ნელადაც აკეთებ. ღმერთმანი, ამ საქ-მეში ძალიან კარგი ხარ... მაგრამ მაინც უნდა გათხოვდე. შენ უნდა კარგი ოჯახი გქონდეს. ძალიან კარგი ოჯახი გქონდეს და არავისი ჰეტერა არ იყო.

— მე ჰეტერა არ ვყოფილვარ და არც ვიქნები.

— პომპეუსს ყავდა ჰეტერა, იმასაც ფლორა ერქვა. რა დაამთავრე?

— ისტორიული.

— როგორღა დამეგობრდით შენ და რუსუდანი?

— სულ უბრალოდ, მამასთან მოდიოდა. ათასგვარ რაღაცა თემებს აძლევდა. ხშირად მოდიოდა. მამაჩემი ირეოდა მავისთვის. რაც მავას თემები აქვს დამუშავებული, ზოგს სადოქტოროდ ეყოფოდა. ძალიან ნიჭიერია. პოდა, დამეგობრდით. საყვარელი გოგოა... მოგწონს პომპეუსი?

— პომპეუსი? არა. იღბლიანი კაცი იყო, არ მიყვარს იღბლიანები.

— შემთხვევითი იყო, რომ დიდი უწოდეს?

— მე მაგ „დიდს“ ისე აღვიქვამ, როგორც ამერიკელ ფორდი — უფროსს და ფორდი — უმცროსს.

— მისი გამარჯვებებიც შემთხვევითი იყო?

— ბედი სწყალობდა. ზოგჯერ მზამზარეული ხედებოდა, ზოგჯერაც შემთხვევითი იყო, ბევრს ძალიან უმართლებს ხოლმე.

— ქვეყანაზე განა ცოტაა შემთხვევითობა? მე მგონია, ზოგჯერ გმირობაც შემთხვევის ბრალია.

— ზოგჯერ კი არა, ხშირად ხდება. მაგრამ შემთხვევითობა ლოგიკისგან შორს დგას.

— მაშ რაღაა ლოგიკური?

— თვითონ სულიდან გამომდინარე. თუმცა შემთხვევები ხშირად დიდ როლს თამაშობენ ადამიანის ცხოვრებაში.

— და ამდენადაც ლოგიკური არის.

— შეიძლება ეგრეც იყოს. მე მაინც არ მიყვარს იღბლიანები. მითრიდატე უიღბლო იყო, ამიტომაც მალლა ვაყენებ პომპეუსზე.

— არ მიყვარს მითრიდატე, ქალებს წამლავდა.

— ნამდვილი ვაჟკაცი იყო, ოღონდ უიღბლო. შური ბევრ სიმდაბლეს აღე-

ნინებს ადამიანებს. ტიგრანს რომ თავის დროზე მისთვის მხარე მიეცა, შეიძლება ცოტა უფრო სხვანაირი ეყოფილიყო ახლანდელი მსოფლიო. მსოფლიო თუ არა, წინა აზია მაინც. ეს საუკუნო გაფრთხილება: სომხები და ქართველები მუდამ ერთად უნდა ვიყოთ.

— შავლევ.

— რა იყო?

— აღარ მინდა ისტორია, მომეფერე. შავლევო ფადმობრუნდა.

გრძელ წამწამებიან თვალებს ქალი ენებიანად აფახულებდა. ნორჩი სატაკურისფერი ტუჩები ოდნავ გაეხსნა და იქიდან პირველი თოვლის სითეთრე გამოსჴვიოდა.

ბიჭმა ხელი მოხვია და მიიზიდა.

— ოღონდ ნუ დამამტვრევ, — შეპკრუტუნა ფლორამ.

ნამდვილი ქალი იყო, ხორციანი, ნოყიერი და ზალასი...

— ახლა მითხარი, მეათე ვინ იქნება.

— მოეშვი სისულელეს, ფლორა, და დამაძინე. ხომ იცი, აქედან უთენია უნდა გავიდე.

— მაინც აპირებ დახვედრას?

— განა შენ არ წამოხვალ? ხომ მთხოვდი, მეც წამიყვანეო?

— პო, გთხოვდი. ოღონდ ეს მაშინ იყო. აი, მაშინ, მითრიდატეს დროს, პომპეუსის...

— აბა, მორჩი. მე უკვე მივდივარ.

— სად? — წაიკანავლა შემკრთალმა ფლორამ.

— სიზმარეთში. შენ არ წამოხვალ?

— შენთან ერთად ჟუნგლებში ვივლი.

— მაშ, წავედით.

— კარები ხომ არ ჩავეკეტო?

— რად გვინდა ჩავეკეტა, შენ გვერდით არ მყავხარ?

— მაშ წავედით.

და წავიდნენ.

დილით პირველმა ფლორამ გაიღვიძა. თვალები მოიფშენიდა, წამოიწია და წამოჯდა. თეთრ, სავსე, უზადო

მკერდზე დაიხედა და კმაყოფილმა გაიზმორა. მერე მოიბუზა და ლაშაზე მხრები აწურა.

სახლში სიცივე დამდგარიყო. ოდნავ ღრიჭო კარიდან შემოდირდა სიცივე. ფლორა შეერთა, კარებს კვლავ შეხედა და მერე გვერდით არხეინად მფშვინავ ბიჭს დააკვირდა.

„კარები კარგად იკეტება. ნუთუ, შავლეგო გავიდა გარეთ და შემოსვლისას დაგიწყდა მჭიდროდ მიგმანვა?“

მსუბუქად ჩამოხტა საწოლიდან და ფეხის წვერებზე გაიქცა მისაკეტად.

ჯერ არც კი იყო მძლელი, რომ კართან ახალი, სველი ნაკვალევი დაინახა. ფლორამ ქალის ნაფეხურები იცნო.

4

როდესაც ზაქრო ცოლზე მოვიდა, ოპერაცია უკვე კარგა ხნის დამთავრებული იყო. უცებ, თავისდა გასაოცრად, ყრულ შეივრძნო, რომ მუცელში ვიღაც ეჭდა. ეს ვიღაც ჯერ ჩუმად, ფრთხილად დადიოდა, მერე თანდათან მოუმატა სიარულს და კარგა ხნის შემდეგ ჭირითიც გამართა. დარბოდა, დახტოდა, ხან იქით მიაწყდებოდა, ხან აქეთ და ყველაფერ ამას ისე მოურიდებლად აკეთებდა, მთელი შიგნეული ფეხქვეშ ამოიდო. მერე მისდგა ბლაგვი დანით და ნაწლავებს დაუწყო კუწვა: დანა ცივი იყო, საშინლად ცივი და ბლაგვი. ჩაუყრიდა ერთ ადგილს ჩანგალს, მერე მისდგებოდა და უსვამდა დანას. გააწამა პირდაპირ კაცი. ჯერ წყნარად თხოვდა, რომ გაეღუსნა მაინც. მერე ვეჟაკურად უთხრა, მიქარვისთვის თავი დაენებებინა, ბოლოს აყვირდა და აბორავდა.

მუცელში მყოფმა იწყინა, გადაავლო დანა და პირდაპირ შიშველი ხელებით დაუწყო გლეჯა.

რა ექნა ზაქროს, ძალა აღმართს ხნავდა და ისევე თხოვნაზე გადავიდა.

მოჭირთემ ახლა კი ისმინა მისი ვედრება. გლეჯას თავი ანება და ისევე დანა-

ჩანგალს მიუბრუნდა. მერე ესენიც გადაყარა, აქა-იქა კიდევ მიწიწუნ-მოწიწუნა და ბოლოს ამასაც მოეშვა.

— ეგრე, შე კაი კაცი. — ძლივს ამოისუნთქა ზაქრომ. — ცოტა ხანს შენც დაისვენე და მეცა.

— დაილაპარაკა, რაღაცა თქვა, ხედავთ, თვალი გაახილა, ექიმო, თვალი გაახილა!...

თეთრი ნისლი იდგა, რძესავით თეთრი და სქელი. მთელი მიდამო, მთელი დედამიწა ამ ნისლით იყო მოცული. ალაგ-ალაგ ღროღადრო იცრიცებოდა, ნისლები ერთმანეთში ირეოდა, მოძრაობდა, მაგრამ მაინც სქელი იყო, განუვრეტელი.

— ექიმო, ბატონო ექიმო, გადარჩება?

— სისხლი ბევრი აქვს დაკარგული. ორგანიზმი ახალგაზრდა და ძლიერია, ვინ იცის, ენახოთ.

— ღმერთო, რა უბედური ვარ, ღმერთო, რა შეგცოდნე ისეთი.

— წყნარად, წყნარად. ტირილს თავი დაანებეთ, ავადმყოფს სიწყნარე და მოსვენება უნდა.

ხმა კარგად ისმოდა. მშვენიერად ისმოდა ხმა. მხოლოდ ეგ იყო, რომ ირგვლივ ბურუსი იდგა, რძისფერი ბურუსი.

— მაჯა როგორია?

— აჩქარებული. მაგრამ სუსტი, ძალიან სუსტი. სისხლი ბევრი აქვს დაკარგული.

— ღმერთო, რა უბედური ვარ, რა უბედური! — ჩურჩილებდა ვიღაც. — ზაქრო, ზაქრო, თვალი გაახილე, ზაქრო! კიდევ გაახილე შენი ჭირიმე, ზაქრო!

— როგორ გეკარდებათ, არ შეიძლება, თორემ იძულებული ვიქნები დაგატოვებინოთ პალატა. აბა, ერთიც კოფეინი და მერე მოცილობთ საწოლს.

შორიდან, საღდაც შორიდან, იმ ბურუსს იქიდან, ყრულ მოსმოდა ხმა.

შორს ნაკადული ჩუხჩუხებდა.

ზაქროს მოსწყურდა, ოო, როგორ მოსწყურდა!

ნისლში კი არ ჩანდა წყალი. მხოლოდ ხმა ისმოდა, ნაზი, საამო და სანატრელი.

• • •

ყველაზე ადრე ისევ ქეთომ იმარჯვა. კუპრაჟა ეცა თავის მანქანას და კარებთან მოაგდო.

ძლივს გამოაცალეს დაკრუნხული ხელიდან სისხლიანი დანა.

მანქანაში შეტანა გაუძნელდათ.

ქეთო პირველი შევიდა და დაჭრილის თავი მუხლებზე დაიდო.

მერე მთელი საუკუნე ელოდნენ ოპერაციის დამთავრებას. კიდევ კარგი, განთქმული ქირურგი ჯაფარიძე ადგილზე დახვდათ. დანას მუცლის ფარი გაველო, წვრილი ნაწლავი ოთხგან გაეჭრა და თირკმელის გვერდით გარეთ გასულიყო წელის მალასთან. დიდხანს ფაგრძელდა ოპერაცია. ძლივს ამოიღეს მუცლის ღრუდან ჩაბეღტებული სისხლი.

ქეთოს სახეზე ლაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. იგი ექთანს იყო და ნება დართეს მიხმარებოდა ოპერაციის დროს.

— ცოტაც რომ დაგეყოვნებინათ, უკვე გვიან იქნებოდა. — თქვა ექიმმა, როცა მორჩა ოპერაციას.

— გადარჩება, ექიმო?

— თუ აღარ იტირებ, გადარჩება. ქმარი?

— არა, არა, ქმარი არ არის, არ არის ქმარი! ღმერთო, რა უბედური ვარ, რა უბედური!

მთელ ღამეს თავთან ეჯდა ავადმყოფს და თვალს არ აცილებდა. დროის უმცირეს მანძილზე ზაქროს ფერ-ბორცით სავსე ლოყები დაღუოდა და გადატეტკოდა. საოცრად დაგრძელებული ცხვირი ჩალურჯებულ ტუჩებამდე უწევდა.

მთელ ღამეს იჯდა ქეთო და სათუთად უმშრალებდა ცივ ოფლში გაწულ სახეს.

და მხოლოდ მაშინ აციაფდა იმედი, როცა თვალი გაახილა და ტუჩები შეატოკა.

ქეთო მიხვდა, ავადმყოფი წყალს თხოულობდა.

წყლის მოთხოვნილება ნარკოზიდან გამოსვლისთანავე გაუჩნდა.

ქალმა ტილო დაასველა და ტუჩებზე მოუსვა.

მთელი ორი ღამე თვალი არ მოუხუკავს ქეთოს. არავისთვის არ დაუწებებია, საკუთარი ხელით უკეთებდა ჭაფურს და კოფეინს. საათობით იჯდა და უცქეროდა, როგორ წვეთავდა სისხლი ამჟღიდან საწვეთურში. როგორ გადადიოდა მაცოცხლებელი სითხე რეზინიდან ბიჭის დაშრეტილ ვენაში.

მეორე დღეს ავადმყოფს მუცელი გაეებრა.

ახლა იწყებოდა მოჭიდავის გადამწყვეტი შეხვედრა საზარელ ხალიჩაზე.

იწვა მის ღლეში წაუქცეველი ვეება ვაქცაცი გულადმა გამოტილი და ასლოკინებდა. განუწყვეტლოვ ასლოკინებდა. თითქმის ყოველ წამში, გასავათდა, გაიტანჯა. ის უმცირესი ძალაც კი გამოეცალა, გადასხმულმა სისხლმა და ფიზიოლოგიურმა ხსნარმა რომ დაუბრუნა.

სუნთქვა გაუხშირდა. ზერელე გაუხდა.

მუცლის ფარით ველარა სუნთქავდა. ყელშიდა ფეთქავდა საცოდავად. სასწრაფოდ მოსულმა ექიმმა მაჯა გაუსინჯა.

— უკვე ასოცია. ახლა ყველაფერი ორგანიზმზეა დამოკიდებული.

არაამქვეყნიური ფერი ედო ავადმყოფს. ტუჩები მთლად დაუსკდა და გაუხმა ახლა უკვე პირი დაედო და ისე ფეთქავდა. თეთრი ნაღებებით დაფარული გაფიტული ენა უსასოოდ სავსავებდა ნაგვალევი გუბის ფსკერივით ამომშრალ პირში. სასოწარკვეთილი მზერით, მისჩერებოდნენ პალატის თეთრ პერს ჩაშვებულ, ჩაცვნილი თვალეზი. ოდნავ მოძრავი ტუჩებიდან ამო-

ცილებული სუსტი ხმა წყალს ითხოვდა განუწყვეტლოვ.

— ტილო არ უნდა, კოვზი მიეცით, წყალში დასველებული კოვზი.

უძილობით ქუთუთოებზეშუპებული ექთანის გატანჯული იდგა და უცქერდა, როგორი სიამოვნებით ლოლნიდა ავადმყოფი ცივ რკინას.

თითქმის სამი დღე გრძელდებოდა სიკვდილთან ჭიდილი და აქაც მოჭიდებენ გაიმარჯვა. მეოთხე დღეს ტკივილები დაუფურჩა, ტუჩების ლილისფერი მოვარდისფეროვან შეცვალა, სახეს შესამჩნევი ცვლილება დაეტყო და გუნებაც თანდათან გამოუჩეთდა.

და როდესაც მეშვიდე დღეს ავადმყოფს ნება დართეს ბულონის ჭამისა, და მანაც ხარბი, გადმოკარკლული თვალებით გამოცლილ ფინჯანს სინანულით ჩახედა ფსკერში, ქეთო მუხლებზე დაეცა ზაქროს საწოლთან და პატიება სთხოვა.

5

შავლეგომ შოკოლადის კოლოფი და სათამაშო რკინიგზა ბავშვს გადასცა.

— დანარჩენები სად არიან?

— ბალში, დედასთან, — თეიმურაზმა სკამი მიუჩოჩა, — შენ როგორ მომაგენი?

— რატომ? საშინო იყო. ავენიუები არ ამრეოდა?

— მაინც, ამ ჩიხში იშვიათად მოდიან. ეზარებათ ძებნა.

— ეს ერთი ოთახია?

— სამზარეულოცა მაქვს. თუ სტუმარი არა გვყავს, იქ ვსადილობთ ხოლმე.

— და რაიკომის მდივანი გქვია.

— რას იზამ! აი, ბალები გაიზრდებიან და მეტს ესენი იშვინიან.

— ცოლი არ გიქანყდება?

— უცნაურია, მაგრამ არა. რატომაც გავუგებთ მე და ჩემმა ცოლმა ერთმანეთს.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ. ბალლი ისევ ოთხი გყავს?

— აქ კი კუთხეში მიმიმწყვდია დიაცმა; სანამ ოროთახიან ბინას ვერ მიშვოვი, თუნდაც გამონაცვალს, არც ერთს აღარ დავუშატებო.

— თითქმის მართალი უთქვამს. ბალებიც თუშები არიან?

— წმინდა სისხლისანი. წვეთიც არ ურევიათ ხევსურისა.

— ხევსურიც რომ თუშის დასაციინი გახდა! განა თქვენვე არ გაიძახით: „თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარო?“

— მერე, რა არი მაგამი ცული?

— არაფერი, გარდა „მაგრამისა“.

— მაინც რა არიო, ეგრე რამ გაგამწარა დღეს თუშებზე?

— გაჯაგრებული ვარ.

— რას გვიჩივი?

შავლეგო უეცრად წამოჯდა და წინ გადმოიწია.

— ბიჭო, ეგრე რამ მოგკლათ, ეგრე რამ დაგზოკათ, რომ სამმა თუშმა ერთი კახის საქმე ვერ გაარჩევთ?

— რა საქმე, რის საქმე, რომელ კახზე ლაპარაკობ?

— განა შენ არ გაგზავნენ ბექურაიძე და ერთი ინსტრუქტორი ჭალისპირში რევან ენუქაშვილის საქმეზე?

— აჰ, რევანი! — ვიცი. არყის გამოხდაზე ამბობ, არა?

— სწორედ მაგაზე. რა იყო, ბიჭო, რა გაგიხდათ ეგ ერთი კაცი, ან არა გინახათ რა, ან არა გავიგიათ რა? რომელი კერძო მესაკუთრე ის ნახეთ, რომელი ქურდი და კოლმეურნეობის მტერი? რას გადაეკიდეთ და აღარ ასვენებთ?

— შენ რა, კიდევ იმას იცავ? იმ ერთ ხათაბალას ზომ გადავარჩინე და მეტს არც ჩემი სინდისი მომცემს, ძმაო. მაშინაც შენი დიდი ხატრი იყო. მე თითონაც დამავეჭვა მისმა ცუდკაცობამ. ყოველთვის ყოჩაღად და მარჯვე ბიჭად ვიცნობდი. ახლა კი ვერა ვუშველე რა, ორჯერ ჩავიღნენ რაიკომიდან და დამამტკიცებელი საბუთებიც ამოიტანეს. პირველად, მართალი გითხრა, ვცადე მიფუჩეჩებო, მეცა და ჩემმა თუშებმაც, მაგრამ თითონ ძია ნიკო მო-

ვიდა, ხელმეორედ მოითხოვა გამოკვევა და დაუმტყიცდა კიდეც.

— რა დაუმტყიცდა?

— კერძოდ არაფერი ხდა.

— მერე, იცი, ვის გამოუხდა?

— ეს სულ ერთია. მთავარია, რომ გამოხდა.

— მე გამომიხდა.

— მით უარესი! აი, შენი პირითვე ამბობ.

— საწყალს, უპატრონოს, უსახლკაროს, გადაღრმეებულ დედაბერს გამოუხდა.

— მაინც ხომ გამოუხდა?

— ერთ ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ, მარტოხელა, მკუთხე არც თუ მაინცა და მაინც დალაგებულ საცოდავ კაცს გამოუხდა.

— აი, სწორედ ამ საცოდავი კაცისაგან იღებს მინდად ხელადა არაფს და, სირცხვილიც არა სწევას, ისე გამოდის მერე ხალხში.

— ვინ იღებს, ბიჭო, მინდას, რევაზი?

— სწორედ რევაზი!

— ბელურასაგან იღებს ხელადა არაფს რევაზი?

— დიახ, რად გიკვირს? სწორედ ბელურასაგან აიღო.

— ვინ, ბიჭო, რევაზმა? პირდაპირ გადამრეცს ეს კაცი! — შველეგო წამოდგა და განიერი ნაბიჯებით დაიწყო ოთახის ზომვა გარდი-გარდმო, — მე უფრო დავიჯერებ ჯორმა შვილი შობოს, ვიდრე რევაზმა ვინმესი რამე მიიღვისოს.

კარზე ზარის ხმა გაისმა.

თეიმურაზი წამოდგა.

შველეგომ ჩაითქა, ბავშვს რკინიგზის დაგება და ვაგონების ერთმანეთთან მიბმა უშველა.

— როსტომს კაცი გამოუგზავნია, — შემობრუნდა თეიმურაზი, — გეგესთან გვეპატივება ხინკალზე.

— მერე, მე რა შუაში ვარ? თქვენ უთუოდ საქმიანი საუბარი გეჭნებათ. გეგეს სახინკლე თქვენი იატაკქვეშეთია? რამდენადაც მახსოვს, შენ ადრეც დამპატივე იგვესთან.

— კაი კაცია. იცი ვინ არი: კამბრ-ზიტორ ნიკო სულხანიშვილის ძმისწულია.

— ოჰო თითონ რაღას წარმოადგენს?

— წინათ ჭიდაობდა. კარგი მოჭიდავეც იყო. მერე მეკოკიშვილს აჭიდეს და მას შემდეგ დაანება ჭიდაობას თავი.

— მერე სასადილოს გამგედ დანიშნეთ?

— თითქმის მას შემდეგ მუშაობს.

— ჰო, ახლა მოდამია ძველი სპორტ-სმენების „საქმელ“ ადგილებზე „მოყუჩება“. ოღონდ, ეტყობა, გემე რაიონის მასშტაბით არი.

— რა საქმელი, ბიჭო, იმ დღეს რაიკომში დავიბარეთ. ვილაც მუშტარი უჩიოდა მაგის სახინკლეს. მოვიდა და თქვა: „მე არაფერ შუაში ვარო“. არც ის მუშტარი გაუმტყუნებია. „მთელი ქვეყანა ეგრე ეკეთებს და ჩემი მზარეულ-მიმტანები რა სხვაზე ნაკლებები არიანო? თუ ჩემი „გამგება“ გინდათ, ეგ მითხარით, თორემ ჩემი გამგეობა დღეში სამი თუმანი ღირს, მივალ სალაშოთი, ავიღებ და შინ წავალ. დანარჩენი თითონ იციანო, თუ გინდათ მომხსენით, მაინც პენსია უნდა მომცეთ და მაგაზე მეტი ხომ არ იქნებაო?“

— პატიოსანი კაცი უოფილა გამგის კვალბაზე. წამოსვლით წამოვალ, მაგრამ სასადილოში ხინკალს არ შევქამ. — მე ყველა საიდუმლო ვიცი ჩემი კუპრაქსაგან. სასადილოებში ხინკალს რით და როგორ აკეთებენ.

— ეგ საიდუმლო ჩვენც ვიცით. ამიტომ მხოლოდ შეკვეთით გაკეთებულს გეახლებით ხოლმე. რა გქნათ, ძმაო, ამაში ნამდვილად მოვისუსტებთ. ვინც არ უნდა მოხსნა და დანიშნო, ერთ კვირასაც ვერ უძლებენ შუბლის ძარღვის გაუწყვეტლობას. მხოლოდ ორი გამოსავალია: ან სულ უნდა გააუქმო, ანდა უნდა შეურიგდე. გაუქმება კი არ შეიძლება.

— ბედთან შერიგება სუსტების მსოფლმხედველობაა. და შენ გგონია, მარტო მაგაში მოისუსტებთ? რაც

თქვენ რევას ღამართეთ, ნუთუ ეს თქვენს სისუსტეს არ მიგაჩნიათ?

— ჩვენ მაგ ბიჭებს კიდევ დიდი პატივი ვეცით, რომ როგორც ეკუთვნოდა ისე არ დაესაჯეთ.

— თქვენ პატივი იმ ბიჭს კი არა, ძია ნიკოს ეცით და განზრახულიც შეუსრულეთ.

— კანონი კანონია, ძმაო, მაგას მაჩვენებდა ვერ ვპატივდებით.

შავლეგო შეჩერდა, მკვეთრად შემობრუნდა და ტახტზე ჩამომჯდარი მასპინძლის წინ შარვლის ჯიბეებში ხელბრწყობილი გაიბოტა.

— შენ იურისტი ხარ, თეიმურაზ, და იცი, რომ ყოველგვარი კანონი ადამიანის საკეთილდღეოდ არის შექმნილი. მთიელებში შემორჩენილ სისხლის აღებას ჩვენ ვდევნით, რადგან იგი შურისძიებაა და სხვა არაფერი. მე არ უარყობ, რომ ცენები დიდ როლს თამაშობენ ორგანიზმისა და ფსიქიკის ჩამოყალიბებაში, მაგრამ ადამიანი მაინც უპირატესად აღზრდის პროდუქტია. მე მძულს ყველაფერი, რაც ადამიანში ადამიანს აკნინებს.

თეიმურაზმა ცალი თვალით გაოცებისაგან პირდაღებულ ბავშვს გადახედა. უხერხულად გაიღიმა და თავი იმართლა.

— შინ არასოდეს არ ვყვირით. ცოტა ხმადაბლა, თორემ ბავშვს ეგონება ეჩხუბობთ.

შავლეგო ბიჭთან მივიდა, თმები ალერსით მოუთელა და ხელში ცალად შერჩენილი ვაგონი დანარჩენ შემადგენლობას მიუბა.

— კარგი ბიჭია, თუ მერე მამასავით ბევრ რამესთან შეგუების პოზიცია არ დაიკავა.

— თუ ვინმემ, შავლეგ, ნაერძალში ირემი მოკლა, მას უფლება არა აქვს მეორე ირმის მკვლელს უკიენოს.

— შენ ეგ რაზე ჩამიარავე?

— კუპრაქაზე. როდის აქეთია, რაც „შენი“ გახდა?

— აჰ, კუპრაქა! კუპრაქა სხვა არი. ის სხვა კაცია. მიუხედავად ამისა, შენ

მაინც მართალი ხარ. — ოლხინ/ნაწილობრივ რაც უჭამია, მე მას ჭარხევივით ვანთხევენებ ჩემს ბლანტეშთან და ეს ყველაფერი ისე კეთდება, სიტყვაც არ გადამიყრავს მისთვის არასოდეს.

— მაგ საკითხში მე და შენ სხვადასხვა თვალსაზრისი გვაქვს... აი, რევაზე კი... მართალი გითხრა, პარტიიდან მაგის გარიცხვისთვის პირადად მე ხმა არ მიმიცია.

— მაგრამ ღუმელი ხომ თანხმობის ნიშანია?

— არვითარი მიზეზი არ მქონდა სხვანაირად მოქმედებისა. და არცა ეგონებოდა მაგ საქმეში თავს ბრალეულად.

— ყური დამიგდე, თეიმურაზ: თუ მე იმ თვლის ერთი სოლი ვარ, რომელმაც ქუჩაზე გადამსვლელს გადაუარა, მაშინ დანაშაული ჩემზედაც იმდენი მოდის, რამდენიც დანარჩენ სოლებზე.

— კეთილ ინებე, დაიცავი მოძრაობის წესები და არავინაც არ გადგვივლის.

— შენ, თეიმურაზ, ნუ გავიწყდება, რომ ავარიის აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ორივე მხარე იცავს მოძრაობის წესებს. ზღვა რომ შეიქცნო, საეპარისი არ არი პლაზე იბანაო. რატომ კარგად არ მოუტმინე ბექურაიძესა და უთურგაიძეს? განა შეიძლება ვარდენს ენდოს კაცი? რა უნდა თქვენს მარაქაში ამ უნიჭო კარიერისტს? განა მაგას ესმის რამე ადამიანისა? ანდა, ღმერთმა აცხონოს ეგ თქვენი ცოცხალი მიცვალებული, ვისიჩია თქვენი მდივანი?

— მე არავისთვის „იჩობით“ არ მიმმართავს არასდროსა და არც ნებას ვერთავ მე მომმართონ ზოლმე.

— ძალიანაც კარგი. როგორ შეიძლება ადამიანის ბედს განაგებდეს ეგეთი კაცი ერთპიროვნულად?

— შავლეგ, გაიგე, მარტო შენთვისაც რომ გამოეხადა ის არაყი და არაფერი არ აეღო სასყიდლად, მაინც

არ შეიძლება. მე თანავუგრძნობ, მაგრამ შევლა არ შემეძლო.

— აი, ხომ ხედავ, რაღაცნაირად შენცა ხარ დამნაშავე. და არა მარტო შენ, ცოტად თუ ბევრად, ჩვენ ყველანი ვცოდავთ. ცოდვა-მადლი კი დოზებით არის. მაგრამ დაიხსოვ: სანამდე ცნება, ადამიანი არ დადგება პიროვნებაზე მაღლა, მანამდე ყველა დამნაშავე იქნება, ვინც იმ პიროვნების თვალთ არ შეხედავს საგნებს და მოვლენებს. პედაგოგისთვისაც კი ჭკუფში ბავშვები ყველა ერთი არ არი, საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა.

— შენ ნუ მასწავლი ორჯერ ორი რამდენია. მე მეზობელთან იმ ოთხი ტომარა ხორბლის შენახვაც იმ მიზეზით, რომ მინდოროთან ახლოს იყო, საეჭვოდ მეჩვენება. უნდა საწყობშივე აეტანა.

— რატომ ცაიწყდება, თეიმურაზ, რომ ის ხორბალი სათესლე იყო?

— მით უარესი! როგორ გაბედა სათესლე ხორბლის მითვისება?

— ოჰ, თეიმურაზ, თეიმურაზ! რატომ გინდა მაფიქრებინო, რომ შენ სოფლის მეურნეობისა თურქი არაფერი გაგეგება?

— როგორ თუ არ გამეგება?

— მაშ რატომ აზრად არ მოგდის, რომ რევიაზი ბრიგადირი იყო და სოფლის მეურნე?

— არ მესმის! ეგ რა შეაშია?

— როგორ თუ რა შეაშია? განა ქურდი როდისმე სათესლე ხორბალს მოიპარავს?

— ვითომ რატომო? მოჭარბებული სინდისი არ მისცემს ნებას თუ პროფესია?

— ოჰ, შე თუშო, შე ნამდვილო მეცხვარე, შენა! სათესლე ხორბალი შეწამლულია შხამ-ქიმიკატებით, კაცო, გაიგე! ხოლო მოშხამული ხორბალი ვის რა ეშმაკად უნდა და ან რაში უნდა გამოიყენოს? ამ შემოდგომაზე, ეტყობა, კარგად ვერ დაუფარცხავთ ალაზნის პირასა და ხობებს უქამიათ. თითქმის ყოველდღე პოულობდნენ ნათესის პი-

რებში დახოცილ ხობებს მენახარებები. კინაღამ გაწყვიტეს ჭალაშეიქმშე-ნიერი ფრინველი. ~~შედალაციფილო~~, ახლა ხომ არ იწყება ჩვენში კოლექტივიზაცია, რომ ზოგჯერ არც თუ ისე გამოუზომავი მოქმედება მავნებლობად მოვანათლოთ? ან რა გამოზომვა უნდა, ბიჭო, იმას, რომ სოფლის ბოლოს, რომელიმე კოლმეურნის სახლში სათესლე ხორბალი შეაფარო გადასაწვიმებლად? რატომ არ დაცადეს, რას იჭერდნენ და მოარბენინებდნენ თელავში? დაეცალებინათ და თუ მეორე დღეს არ გაიტანდა დასათესად, კარგი დარის შემთხვევაში, მაშინ შეიძლება მიზეზად ეგ მოედოთ. რა ქრისტეს პერანგი გახადეთ ორიოდ დანტერესებული კაცის მონაჩაბი? თქვენ თუ ხალხი მართლა ბრბო გგონიათ, ძალიან სცდებით. ხომ ნახეთ, რომ კინაღამ ნახევარი სოფელი მოგადგათ და გითხრათ მაგ კაცის უცოდველობა? რატომ? იმიტომ, რომ გლეხ-კაცმა იცის: სათესლე ხორბალი არ დაიფუჭება და არ იქმნება! არც საკუთარ კარმიდამოში თესავს ვინმე ახლა ხორბალს. იცის ეს გლეხმა და იმიტომ მოვიდნენ თქვენთან. აბა, დაფიქრდი, განა სწორს არ ვამბობ?

— ეშმაკმა წაგიღოს, მგონი. მართალს უნდა ამბობდე! — თეიმურაზი შეუბღალს ისრესდა და დაჟინებით მისჩერებოდა მეგობარს თვალეში. — მაგრამ არყის გამოხდას სად წაიღებ? ვთქვათ, შენ გამოვიხადა, და კიდევ ორიოდ მეზობელს, მაინც არ შეიძლება მაგის გამართლება.

— ყური მიგდე, თეიმურაზ, შენ ბევრი რამ საფუძვლიანად არ იცი და არც გამტყუნებ, რადგან შეუძლებელიც არის ყველაფერი ძირის-ძირობადის იცოდე. ეგ კარგი მაგ ბიჭს ძია ნიკომ ჩაუწყო. ისე გაუხადა საქმე, არც თავის არყისსახდელზე და არც ახლომახლო არ გამოახდევინა საკუთარი ჭაპა. ჭაპა კი ბევრი ჰქონდა და ცოდვა იყო მისი ცაფუქება. ან თუნდაც ცოტა ყოფილიყო, რატომ უნდა გაეფუქებინა? განა კოლმეურნე მთელი წე-

ლი იმიტომ ელოლიაგება ყოველ ვაზსა, რომ შინ შეტანილი ნაყოფი ბოლოს გადაყაროს? ერთადერთი გზა დაუტოვეს: შინ თვითონ უნდა გამოეხადნა. აი, სწორედ ეს ჰქონდათ გაანგარიშებული მაგის მოქმედებით. და თვითონ ის საწყალი ბელურაც ამ პაწაწინტელა შეთქმულების უნებური მონაწილეა. უთხრეს: მექთად გამოგზიდისო. ისიც დაეხარბა. ბოლოს სინდისმა ნება არ მისცა და თვითონაც არ იცოდა რა მოჰყვებოდა, ისე დატოვა ხელადა არაყი დედებერთან. თითონ რევანი რომ ყოფილიყო შინ, არას გზით არ დაატოვებინებდა.

— ეშმაკმა შენ კი არა, მე უნდა წამიღოს! — თან ისევ შუბლს ისარესდა თეიმურაზი და თან ბურტყუნებდა. — მგონი, რაღაც მაგის მსგავსი უნდა იყოს მაგ ამბავში. რატომ აქამდე არ მოხვედრი და არ მითხარ?

შავლეგოს არ უპასუხია. არც ბოლოს ცემა შეუწყვეტია.

რამდენიმე წუთმა მდუმარებაში გაიარა.

— შენ მაინც რას უყურებდი აქამდე?

შავლეგოს თხელ ტუჩებს დამცინავი ღიმილი აეტმასნა.

— მე ჩემი საქმე მაქვს. ყველას თავისი საქმე აქვს. — სტუმარს ხმა დახშული, უსიამო და ბოროტი ჰქონდა. სახეც შეცვლოდა თითქოს.

„რა დაემართა დღეს ამ ბიჭს? რაღაც უცნაურ ხასიათზეა“. — გაიფიქრა თეიმურაზმა.

— კარგი, პო, დაჯექი, ნუ დარბიხარ ნიშადურამოკრულივით. კისერი მეტკინა, თვალს ისე გაყოლებ, თითქოს საქანელაზე ჭანაობდე.

— ყველა ჩვენგანი თავის საქანელაზე ჭანაობს, სანამ წნელი არ გაუწყდება.

— დღეს, რაღაც, ფილოსოფიის გუნებაზე ხარ.

— რაყი ადამიანის ბედს განაგებთ, ამიტომ უფრო ახლოს უნდა იცნობდეთ კაცს, უფრო ახლოს უნდა მიხვიდეთ,

თუ გინდათ, რომ მისი ცხოვრებისა და სულის სიღრმეებს ჩასწვდეთ.

— ხშირად ერთი გაუფიქრებელი ნაბიჯი და კაცი შეიძლება სულიან-ხორციანად დაღუპოთ, თქვენს სიტყვას კანონის ძალა აქვს. და სწორედ ამის გამო ფხიზელი თვალთ უნდა განისაჯოს და აიწონოს ყოველი წერილმანიც კი, რაც ადამიანის მორალსა და კაცობას ეხება. მოურიდებლად და განუსჯელად სულში მხოლოდ უბეში ძალით გაამპარტავებული უგუნურები აფურთხებენ. და მერე სამუდამოდ იღუპება სუსტ ნებისყოფიანი კაცის ცხოვრება.

— შენ მართალი ხარ. ცამდე მართალი. მაგრამ, ერთი ეს მითხარ... თქვენები სათესლე ხორბალს საწყობშივე წამლავენ თუ მინდორში, დათესვის წინ?

— მგონი, საწყობში, — ყური ცქიცა სტუმარმა.

— შემოწმება უნდა... ოღონდ ძალიან ფრთხილად უნდა გამოვარკვიოთ... და თუ დადასტურდა, რომ შეწამლული წაიღეს მინდორში, მაშინ შენი რევანი ისევ აღდგება პარტიამში. და მგონი, შევძლებთ დანარჩენი უფლებებიც დავუბრუნოთ. მაშინ ვიტყვით, რომ ის სასჯელი, რომელიც ჩვენ დავადეთ, არ დაუმსახურებია. ეს საშინელი ტრავმა პატიოსანი კაცისათვის. ვგრძნობ, რა დღეში უნდა იყოს ახლა ის ბიჭი.

— ვშიშობ, ძალიან დაიგვიანა შენმა თანაგრძნობამ, თეიმურაზ. ზოგჯერ საკმარისია ერთი უბედურება, რომ სხვა დანარჩენიც ისე აისხას და მიჰყვეს ერთმანეთს, როგორც თვლები წინდის ჩხირებზე... და ის ხორბალი შეწამლული იყო თუ შეუწამლავი, მაგისი კითხვა და გამოვარკვევა ერთნაირად მკვრის ზიზღს. კაცს უნდა იცნობდეთ. ის კაცი კი მაგის ჩამდენი არ არის. განა კაცი სხვისას აიღებს, როდესაც თავისასაც სხვას უნაწილებს? — მით უმეტეს — კოლმეურნეობისას. ეს არის უბინძურესი ცილისწამება ეპოქისათვის! ეს სიკვდილზე უარესია!..

— მე ყოველთვის გული მეთანადრებოდა მაგ ბიჭის ავტაცობაზე. მაგრამ უამრავი ხმები დადიოდა: ძია ნიკოს მანქანისა და გარაჟის აფეთქება, ღვინის ამოხაპვა მარნიდან და დაღვრა, მაკე ძროხის მოპარვა და დაკვლა სადღაც, ხეე-ხუფში, სვავების კერძად...

— ხმები მტკიცება არ არის. ადამიანს უნდა იცნობდეთ. მერე კი აქედან უნდა დაასკვნათ: ჩაიდენდა თუ არა ასეთი კაცი.

— თავისი პირით უთხრა ძია ნიკოს, მთელი ბიუროს გასაგონად: თუ არ დამეხსნები, უარესს გიზამო.

— თითონა თქვა გავაკეთეო?

— ჭერ დიდ უარზე იყო, მერე კი გამოტყდა: გავაკეთე და, თუ არ დამეხსნები, უარესს ელოდეთ.

— ყური დამიგდე, თეიმურაზ, ერთ კაცს ვიცნობდი, რომელმაც კაცი მოკლა და ათი წელი მიუსაჯეს. გვამთან წაასწრეს და ხელიდან სისხლიანი დანა წაპვლიყეს. არც დაუშალავს: ჩემს ცოლს შეურაცხყოფა მიიყენა და მოეკალიო... ხუთი წელი გაატარა ტუნდრებში. მერე კი მისწერა სათანადო ორგანოებს, ახლა საკმარისია, ღვინის სმას გადავეჩვიე და გამათავისუფლეთო. ჭერ ეგონათ, რომ გიერთან ჰქონდათ საქმე. მერე კომისია ჩავიდა და... გამოიკვია: ყოველდღე სვამდა კაცი, ყოველდღე ლოთობდა და ვერაფრით გადაეჩვია სმას. ვერც ექიმმა უშველა და ვერც თავად შესძლო, თუმცა დიდი სურვილი ჰქონდა გადაჩვევისა. შემთხვევით წააწყდა კაცის კვლას. მკვლელი გაიტყა და დანა ჭრილობაში ჩატოვა. მივიდა ლოთი, აიღო ის დანა და გვიან მოსულ ხალხსა და მილიციასაც განუცხადა: მე მოკვალეთ... ხუთი წელი კარგა დიდი დროა, ისიც კარგად იცოდა, რომ დამნაშავეებს ალკოჰოლიანი სასმელებით არ ანებიერებენ. როდესაც დაატყო, რომ ღვინო-არყის მოხთოვნილება გაუქრა, განაცხადა, უდანაშაულო ვარო... საგამომძიებლო ორგანოები დაინტერესდნენ. ორი წელი ეკვლიეს და მაინც მიაკვლი-

ეს ნამდვილ მკვლელს... დიდი დაცვირება და გულისყური უნდა, კაცის ბუნებასა და სიტყვას, თეიმურაზ, მართოთქმა არ კმარა. უნდა დაუცვიოდე, რამ აიძულა ამის თქმა. რამ უბიძგა ასე მოქცეულიყო...

გაოცებული უცქერდა სტუმარს მასპინძელი. თითქოს პირველად ზედავსო. და გუნებაში თავისი თავი „ბრიყვის“ სახელით დააჯილდოვა: რატომ მე არ მომაფიქრდა ეს ყველაფერიო. მერე თავი გაიქნია და სინანულით თქვა.

— შენ დღეს ნამდვილად თვალი ამიხილე, შავლუგ, მაგ საქმეს მე თვითონ ჩაუვლავები სათავეში. მე თავად გამოვარკვევ. და თუ ძია ნიკოს მართლა ანგარებით მიუძღვის ბრალი, მაშინ მიფრთხილდეს. მაგრამ ის ძროხა, მანქანა და ღვინო?

— ეგ უკვე მილიციის საქმეა... ის ამბავი კი მესიამოვნა, ჯაშუაშვილი რომ დაგებრუნებიათ... მაგრამ უფროსი?

— უფროსს ავუკარიოთ გულდანაბადი, სერგო და რაილმასკომის თავმჯდომარე იყვნენ თბილისში.

— პირველი რაუნდი მოგიგიათ. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს.

— მოიცა, საით მიიქნარი?

— ხინკალს აღარ მაჭმევ?

— სულ გადამავიწყდა. რამდენი ხანია როსტომი გვიცდის. ბავშვს ამ წუთში ჩავაცმევ. ახალ გაზეთსაც გავჩვენებთ. მოწინავე აგრონომთა რესპუბლიკური თათბირის შემდეგ, მეორედ ვბეჭდავთ თქვენი აგრონომის სურათს.

შავლეგოს უცებ მოექუფრა სახე. შუბლის ნაოჭი გაუმრუდდა და ღოღნაშოსფერმა ნაჭრილობებმა მუქი ვარდისფერი მიიღო.

თეიმურაზმა შენიშნა, რომ აემღვრა გუნება სტუმარს. გაჰყვა დერეფანში და საკიდრიდან პალტო ჩამოუღო.

— მაღლობელი ვარ, თეიმურაზ... იმ შეპირებაზე და... ხინკალზეც. ახლა გამახსენდა, რომ თელავში სხვა საქმეებიც მაქვს. როსტომს ჩემი მოკითხვა გადაეცი. პური კი ჭერ არ მშია.

თეიმურაზს პალტო გაუშეშდა ხელში.

მთავარი ჟანრი

ბოჩის პასუხი

ციდან მთავრების დანახვისას
გითქვამს, აწეწილი ლოგინია,
სადაც სულიერი გადახიზვნა
ქამმა სიზმარულ მოგვილინა.
და ჰა, განმორდა სასწაული —
ჩვეულებრივობის უკუმგდები,
ბრძენი ფაუსტივით განსწავლული
ანბანს ყმაწვილივით უბრუნდები.
როგორც ნამთვრალევე მარახოში
ღვინით გარდასულის გაღვიძება,
უცხო სახეების სამყაროში
ვაზის სურნელება გაგიძღვება.
აგნებ განძეულის აკიდოებს
და სხვა პოეტთაგან განსხვავებით
ბწყარში გამოკეტილ ცხრაკლიტულებს
აღებ ვიოლიონოს გასაღებით.
და გრძნობ — მუსიკაზე გულწრფელია
გულის ფიცარივით გამხურღავი —

ძმთა აუკინძავ ფურცლებიდან
ცივად გამოცხრილი სამღურავი.
სისხლში გიტრიალებს ქარბორბალს
განცდა თაობათა მიმოქცევის,
დაგდის იელოვას შთამომავალს
ცრემლი ბიბლიური იოსების,
და წრე ჯადოსნურად ირკალება,
ველარ გაქცევისხარ ველარსაით,
გთანგავს სიმძიმის მიკარება,
ზარტა გამუდმებულ რეკვასავით.
ძველი საქართველოს ჭრილობები
ტანზე სასადივით გეფოთლება,
მიხვალ, უსასრულო ჩრდილოეთის
მიწას დამწნევი შეფოთება.
ციდან მთავრების დანახვისას
იტყვი: აწეწილი ლოგინია,
სადაც სულიერი გადახიზვნა
ქამმა სასწაულად მოგვილინა.

კენჭი და ღორი

პატარა მტრები, იცოცხლე, მეც მყავს,
რა მოხდა, მათგან თუ დავიჭრები,
ვადაზე ადრე მოფრენილ მერცხალს
კენჭებს ესერიან ცეტი ბიჭები.
დრო, წონა, ფართი, სიგრძე, სიმაღლე —
საწუთროს ყველა განზომილება
და ის მთავარი — დიდი სიმაღლე
ჯერ არ იციან ქვასროლიებმა.
ქედს მოიხრიან წლების მარაგთან
და მიახვედრებთ დროის თვისება,

რომ გასროლილი კენჭი თანდათან
საფლავის მძიმე ლოდად იქცევა,
რომ მომიზნული ჩემსკენ შურდული
იმ სამყაროში არ იწელება,
საითაც წავა ლეტას დუდუნით
ვინც იავარკყვეს ფარისეელებმა.
პატარა მტრები, იცოცხლე, მეც მყავს,
რა მოხდა, მათგან თუ დავიჭრები,
ვადაზე ადრე მოფრენილ მერცხალს
კენჭებს ესერიან ცეტი ბიჭები.

გვერდიანობის ორა

ალექსანდრა ცხაკაიას



ჭერი სიმღერებით იხდებოდა
და მზით გაჩაღებულ ოჯახებში
კოლხურ საგალობელს უხდებოდა
ოდნავ მარახოში ოჯალეში.

გარეთ გატანილი პურმარილით
ერთი რიბირაბო გაასამეს,
შურით ამღვრეული სტუმარივით
ოდას შევცქეროდი გადასარევს.

ლამის გამეფინენ ფიანდაზად
მაინც დავემსგავსე ავთალიანს,
ენით გამოუთქმელ სილამაზით
სახლი მამრმაგვებდა ადამიანს.

ჩემი არსებობა ქედუხრელი
მის წინ გაფერმკრთალდა, დაჩიავდა,
იდგა სილამაზე ხელთუქმნელი,
ყოველდღიურობის დამრდილავად.

და რომ აღმაფრენით დამენახა,
აღმა ამაფრინა მწყალობელმა —

ოდის სიდიადემ განმიახლა
მშვენიერებაზე წარმოდგენა.

შავ ზღვას გასცქეროდა ნისლებიდან
სადად მოხატული სამკაულით,
რალაც გარდაუვალს იხსენებდა
და გულს იოხებდა საკვამურით.

მრავალ ათასწლეულს ნაოსტატარ
ფუგებს, მისტერიებს, საგალობლებს
ოდა ჩუქურთმებით გამოსთქვამდა,
როგორც მასპინძელი სამადლობელს.

ლურჯი სარკმლებიდან ნაირსახედ
თვითონ უკვდავება გადმოჩქეფდა,
და ღვთის მონასავით განვიზრახე
მშვენიერებასთან დაჩოქება.

და ვთქვი: — დილასავით ნათელია
კოლხთა ხელთუქმნელი სილამაზე.
ოდამ თავისთავად მათქმევინა
ოდა ხუროთმოძღვარ წინაპარზე.

ეპი

თვალი გავადევნე შუალამით,
გამოცნაურება მომეროდა,
მთვარედავსებული, შუბლმალალი
ევა მოდიოდა ოპერიდან.
კაბის ერხეოდა იალქანი
და ჩემს ოცნებაში აშიშვლებდა,
ფეხქვეშ დათოვლილი ფილაქანი
ფილებს უკენესებდა კლავიშებად.

განზე გამოსდევით განმერიდა
ხველრი უდაბნოში წაქცეულის,
დამრჩა ბიბლიური თვალეზიდან
შუქი უთვალავი ასწლეულის.
მისი მოსახსნამი დაფოთილილი
შრიალს საგალობლად გამოსცემდა...
და მე ვზეიმობდი კმაყოფილი —
კვლავ რომ შემძლებია გაოცება.

უხნოგი კოეზის პეიზაჟი

აბდღვიალებული გარიჟრაჟი
ტკივილს მიყუჩებდა განუკურნელს,
მოგვედი, ჩავეყირე ნატყვიარში
მაჯააჩქარებულ საუკუნეს.

და ვთხოვ წუთისოფელს სასოებით:
ლოდქვეშ დავანება დამაცალის,
ვიდრე კულტურის და დასვენების
პარკად გადააქცევს სასაფლაოს.

შარშანდელი წყარო

ქიცა ხერხეულიძეს



ტალღებს მოაფენდა ნახნავებად,
ლოდებს ჯებირებზე აძგერებდა,
და მტკვრის ზარგრუნთა გვაზარებდა,
როგორც საქართველოს აღზევება.
მზერად გადაქცეულ გამზირების
გვრევედა შიშნაჟამი დროსტარება,
ბნელ და სიზმარულ ასვითებით
სიერცე კასპიამდე ტორტმანებდა.
ხელეგამოწედილი მაშველივით
ჩვენსკენ გამოვბოდა სანაპირო,
შუა მდინარეში ჩარჩენილებს
გვექცა რესტორანი საპატიმროდ.
ირგვლივ მორევებად დატრიალდა
მტკვარი — ქართველურად ხელგაშლილი,
როგორც მეზობელი დარდიმანდი
ცოცხალს გვიგზავნიდა ფეშქაშვით.
გვძრავდა გადარეულ ბუმბერაზის
ადრე გაზაფხულზე აყვრება,

ნელა მოდიოდა გუნებაზე,
გვიან დამშვიდებას აპირებდა.
მღერიე შადრევნების ამოჩქეფას
დენთის აფეთქებას ვადარებდით,
როგორც ჩვეულებრივ აღმოჩენით
აღფრთოვანებული პატარები.
შუამდინარეში ჩარჩენილნი
ალარ დავეძებდით გამოსავალს
და რაც გვაზარებდა ბავშვებივით, —
დაგვრჩა ამოუხსნელ ამოცანად.
მწარედ აღიმება ნარიყალას
მტკვარი ომობანას თამაშვით,
ბოლოს კალაპოტში ჩაიღვარა —
ლამაზ ნაპირებზე გადაშლილი.
თითქოს სიკვდილამდე სანატრელი
სიზმარ-წარმოდგენა გათამაშდა,
და ჩვენ წყალდიდობა შარშანდელი
დაგვრჩა სიჭაბუკის გადანაშთად.



მუგარალში ანოსული ყვავილი

კომაენი

ვაქამ ქვემეხი ზევში ჩააგორა და შენიღბა.

დაღლილი ტალღა ზეინს მიაწყდა. ზიშტებით დიდრონი სორალები გამოვთხარეთ და გუშაგობა დაეაწესეთ. ნახევარ-ნახევარ საათს უნდა ედიხონო.

ჩვენს „გამოქაბულში“ ხუთნი მოვთავსდით. პირველი დაბამბულშარელიანი გოგო შეძვრა, მაიას ვიტია მიუწვა ზურგშექცევით, ბიუს მე მივხეუტე, მე — საელე, საელეს — შიო.

ამ უკარო და უფანჯრო, „მზისფერ-ჩალის-ფერ ოთახს“ არავეითარი სითბო არ ჰქონდა, მაგრამ მყუდრო იყო, მაღე ჩვენი სუნთქვით გაეთბეთ და დაჩუტულ ზურგჩანთებზე თავშეღებულებს უმაღლე ჩაგვეძინა.

„ჩვენს ოთახში“ თითქმის ყველას ერთდროულად გაეღვიძა. უკვე ბინდებოდა. ზოგს, ერთ-ერთს, ისევე ეძინა, ზეინიდან ცოტა ხალხი იყო გამომძეარალი.

მოულოდნელად ტყვიამფრქვევის კაიანი მოგვესმა. იმავე წუთში ზეინის თავზე ზედმოედ რაღაც აფეთქდა და ნამჯა გადმოგვყარა.

ზეინს ციცილი წაეცა.

ნამძინარევი ხალხი აირია.

— ხვეისკენი ხვეისკენი — დიძისა კაბიტანმა. — მომყუდით სწრაფად!

გაფანტულად გავექცეთ. თოვლში ჩაეწევეთ და ისევ გავექცეთ. ჩემ წინ სანიტარისჩანთიანი მაია გარბოდა, მაიას ვიტია მისდევდა. საელე ეფრ დავინახე, ვერც შიო. წამით შეეძრიალდი და მინდროს გაგზავნე.

გზაზე ორი მსუბუქი ტანკი იდგა. ალბათ, იქვე მოიერიშე გერმანელები იყვნენ ჩასაფრებულინი. ვიტყობა, ჩვენს კვალს მოსდევს და მოგვავსებს. მივრბოდით და ტყვიების წივილი მოგვედევდა. ორიოდვე ჰერევიც წამოგვეწია, მაგრამ, საბედნიეროდ, არავინ მოუტლავს.

კანტი-კენტად ჩვენც დავეწყეთ სროლა. ხევ-

თან მოკლე გადაბრუნებით მივალწიეთ, შემოვბრუნდით და ბეჭობთან ჩაეწევეთ.

ვაქას გუნდმა ზევიდან ქვემეხი ამოაგორა. არც აციეს, არც აცხელეს, ტანკებს დღეილი გაუშმართეს.

— დასცხეთ, ბიჭებო, ჰერევიც კიდევ არის! — საელემ ზევიდან ყუთები ამოარბენინა. ცალ-ჩექმიან ჯარისკაცს შიო ამოჰყვა. ძმის ფანდური ზურგზე ჰქონდა მოგდებული.

ორივე ტანკს თითქმის ერთდროულად წაეკიდა ციცილი. ბიჭებმა სროლა უფრო თამამად დაიწყეს.

მარცხნივ, გზასთან, ორი ჰიაკოკონა ენთო, მარჯვნივ, სამასიოდვე მეტრზე, უზარმაზარი ზეინი გიზგიზებდა.

სროლა თანდათან გახშირდა. გერმანელები ჰიანქველებივით აფეთფეთდნენ და სადაღაც გაიქცნენ. არემარე მიწყნარდა.

კარგა ხანს უბრებვივით ვიწევეთ თოვლში. რაკი არ გვესროდნენ, ფუჭად ვაზნებს ალარე ჩვენც ეხარჯადით.

კენესა მომესმა. მივიხედე. ნუგზარ დიასამიძე თოვლში გულაღმა წევს.

— დაჭრილი ხარ?

— არ დიცი, ვკვდები, ბიჭო, მიშველეთ!

მაიას დაეუძახე. უმაღლე იმე განჩნდა.

— სადა ხარ დაჭრილი?

— მგონი, მხარი მაქვს გაგლეჯილი. სელო კბილით მიჭირავს. მიშველეთ! მაიამ ფარაჯა გაუხსნა და გაგლეჯილული წამოადგა:

— მასხრობის დროა ახლა? არა ხარ შენ დაჭრილი... და არც სპირტი მაქვს შენთვის!

— რა დროს სპირტია, შე უღმერთო, კარგად გამსინჯე! ვაიმე!

მაიამ ჩაიჩოქა და ორივე ხელი ჩაავლო მკლავში.

— ვაი! ვაიმე! უუჰ!

— ნუ გეშინია, მხარი გაქვს ამოგდებული,

ძელი არ არის გატეხილი. აბა, მირიან, ერთი ძალუხად გაუწიე მელავი!

ნუგზარს მაქანა მოეცემა და გამოვყარო.

— ვაიშე! ვაიშე! დედა! მტკიცა, მტკიცა, ბიჭო! დამანებე თავი!

— შოთშინე! ცოტა თუ არ გატკინეთ, როგორ მოგარჩინოთ? შოთშინე-მეთქი! კვლავ გაეცემა მელავი, ახლა უფრო ძლიერად.

ნუგზარმა შეება იგრძნო.

ორივე ჰიპოკონა ერთ საათში ჩაქრა. ზეინი კარგა ხანს ენათ და თოვლიან მინდორს ანათებდა.

კაპიტანმა გადარჩენილი ხალხი დათვალა, ბევრი გვაჟდა. მინდორში ვერც დაჭრილი ვნახეთ ეინში, ვერც მკედარი. ეტუობა, ზეინიდან გამოხტომავ ვერ მოასწრეს, ყველა იქვე მოკვდა და დაოფრდნენ.

ირგვლე საშინელი სუნი ტრიალებდა.

შოშ ტყუპის ცალი ვერსად იპოვა. დაფრფ-ლილი ზეინის ირგვლე ერთხანს შეშლილივით დაბრუნდა. ჯერ თავის თავს რაღაცას ენურჩულებოდა, თითქოს ლოცულობსო, მერე ხმაშალა დაიძახა:

— ამირან, ამირან, ბიჭო, სადა ხარ?

ბოლოს რატომღაც ცალ ზელში ავტომატი დაიჭრა, მეორეში მისხელი ფანდური და ერთხანად ამოიბღვალა:

— ამირანი! ამირანი..

მინდორში გაიქცა, მოწყვეტით დაეცა და ბარკში დაეხშო.

მერე თითქოს ადამიანი კი არა, ნამჭის მიმქრალი ცეცხლით შერთალად განათებული და თოვლით შესდრული მიწა გოდებდა.

— ადე, შიო, ადე! — ხელი მოჰყიდა სავლემ.

— იქნება გაასწრო ზეინიდან და სადმე გაიქცა. ცოცხალ ადამიანს ნუ ტირი! ადე, ადე!

კლდეზე შეხლილი და დამსხვრეული ღიდრო-ნი ტალა ახლა მომკრო ტალად შეიკრა და მთებისკენ მიმავალ ზვას გაუდგა.

კაპიტანმა ერთხელად არ გასცა განკარგულება, დაისვენეთო. გაჩერება სიკვდილს ნიშნავს. უნდა იარო, ვიდრე სული მოგდევს, ვიდრე ნებისყოფის პატარა ნავერწყალი შიშვთ ვაციშვიტებს, ვიდრე თვალში სინათლე არ ჩაქრობია.

საფრთხე, ალბათ, სიკვდილივით მოგვდევს უკან. დილაზედ სამშვიდობოს თუ არ გავაღწევთ, თავი ტყვეს თუ არ შევაფარეთ, სეასტიკიანი მღე-ვარი ისევ დაგვავწყნავს და მშვიდობით, წუთისო-ფილო! ჩვენი ტალა რაყზე მხოლოდ ქაფს დატოვებს, ქაფი კი უმაღლეს დამრბება... უკმა-ლოდ დაეკარგებით. ამის წარმოდგენაც კი სა-შინელიებაა. სჯობია კაცმა სხვა რამეზე იფიქროს.

— საეღო, რატომ მოეცანჯლობ, ბარემ მეორე ქალამანი ჩაგვეცა.

— სადღა მექვს, ჩანთა ზეინში დამრჩა.

— ჩემს ქალამანს მოგცემ.

— არ ჩამეტევა ფეხი, რა უწევს, ახლავედგო, ქალის დასაინიშნავად კი არ მიგედიხარ!

— მირიან!

— რაო, მია?

— განთიადისას მთაზედ ვერ მივალწვეთ?

— უბაშელად მივალწვეთ, თითქმის უკვე სამ-შვიდობოზე ვართ.

გამოშინდა!

თავაწეული მთა ისეა თოვლით გადალესილი, თითქმის უთო გადაუსვამთო.

აქა-იქ გაბნეული ტყე ფერდობს ლაქებივით ამჩნევია.

ყველა გამოცოცხლდა.

— სეა, როგორა ხარ? — წამოეწია ჯიბუტი.

— მთას რომ ნატრობდი, ხომ გელიჩა?

— მთა კარგია, სენი წირიზე, მარა, ძალიან გპოვა, ყველაფერი გავყვინა.

— ჰეუა?

ძეგავემა ზელი ჩაქნია, სწორედ შენი ხე-რობისთვის მცალიაო.

— ეჰ, სა სულელი ხარ, ჩემო თავო, ამის პატრონს საწილოდ გაქვს საქმე? — ეშხარმა ბათინეებზე დაიხედა. — რა უირი ეუყო ახლა მე ამას? ნამდვილად გადასაყრელია, მარა, რაღა ჩაიკცა?

— ბიჭო, შენი ფიქრით, ბათინეებთან ხალხს სამოთხეში შეუშვებენ თუ ჯოჯოხეთში ჩაყრიან?

— ნამეტანი ძნელი შეიკთვია, ადვილად ვერ გასცემ პასუხს... იცი, რა... ენამოსწრებელმა ბიჭმა სიტყვას დეკა დაეწყო. — ბათინეები სალათებს აცვიანო. ზოგს, ალბათ, ჯოჯოხეთში უკრავენ თავს და ზოგს სამოთხის კარს გაუ-ლებენ, გაანია, ამ ქვეყნად ვინ როგორ მოქცევა.

— შენ?

— რა მე?

— შენ რისი იმედი გაქვს?

თვალეში დახუჭა და გაახილა:

— შენ თუ იმას მიხედვით, ახლა რა გავი-ფიქრე, შინ რომ დაებრუნდებით, მაშაძლი ეყო, ქვეყნების თავზე ერთ კვირას გადაბმით გაქვითვბ. პა, გამოიკცა! იარაღი, შენ რომ ქალამნები გაქვს. ის მომიცი!

— შენ გაფიქრე... შენ გაფიქრე...—ჯიბუტს ავხედ-დავხედე.—ახლა სიჭიო ჩემგან ისე შორს არის, ეს ბათინეები იქაზედ არც მიწყევბათ...

— ნაღდი ხარ, ვქვითობთ ერთ კვირას... თუ ქმა ხარ, ასე უნეტად რაფერ მიხვდი?

— შენი ამაზედ თუ მე არ ვიცი! შემწყვარ-მობ-ხარშულს ვიცნობ, შე ობროლო. —თავში ალ-ბისიანად წვარტყი ზელი. — მაგ ბათინეების პატრონს სხვა რა უნდა გაეფიქრებინა? სიც-ხეში ძალდი რომ ენას გადმოადგებს, იმას ქვავს.

— ეჰ, ვიფიქრე, ქალამნებს მოეგებ-მეთქი, გაგვგონია?

— გეტქვა, ვერ გამოიციანი—თქო, ვინ გაგიგებდა?

— რა ვიცი... იქნება სხვა ვიღაცა მომეტყუებინა, შენ ისეთი ხარ... ბიჭო, შენ ჯერ ხომ არ გჭირდება ის ქალმწივი, მათხოვე მშურად!

— იქნება სამოთხეში შეც კი მინდა მოხვედრა?! — მიუღუე ღიმილით.

— სანამ სამოთხეშიღე მივაღო, დაგებრუნებ. მე უკვე პარტიზანი მქედა, ფეხსაცმელების მერტს რას ვიშვო? მათხოვე, მათხოვე!

— მიჩქვნი! მე ისეთი ჩექმები მაცვია, სამოთხეში შეშვებაზე უარს ვერ გამოვლავებ!

ქალმწივი ჯიბურტს ჩინებულად მოერგო. დანგრეული ბათონეები მაშინვე გადაყარა.

— რა მხატვა, ეს დალოცვილი! აგაშენა ღმერთმა! ახლა გოგონების აღარ მემინია. ჩარიბა-აბაბა, ბეგებაა! — ჩაიღიღინა ჯიბურტმა, უცებ მშობლი შეეკრა და წაღვლიანად ჩაილაპარაკა: — ო, რა ჩარიბამას გვაძლერებენ!

შემკრთალმა ეარსკვლევებმა თვალი დახუჭეს და ცის სიღრუხში გაუჩინარდნენ. თეთრმა მთებმა ცივი ღიმილით გაღმოგახედეს. სუსხმა იმატა.

„რაიო ტყეში შემოსვლა მოვალწიანო, სიცივე ჯანდაბა!“

ბიჭებმა ფეხს აუჩქარეს. დალილობა უცებ გაქრა. რაიო ნაბიჯი დაეფრქვეს, გახეზრდით კიდევ.

მუხარამელ წიფლის ტყეს მივაწვიეთ, ეკვე შევარჩიეთ და შევისვენეთ.

ზოგმა თოფი ჭოხივით დაიბჩინა, ზოგმა ჩიმი-მელსა, ზოგი თოფზე გულამა დაწვა და მკლავები გაშალა — ჭვარცმულს დაემგვანა.

— ნუ წვებით, ადგომა გაგიმწიფებთ! ზე-ზეურად დაიხვენეთ! — გაგვფრთხილა კაპიტანმა.

დაწოლილები წამოდგნენ. თოვზე ჭვარი და-რჩა დახატული. ჩამორჩენილები თანდათან წამოგვეწვივნენ.

— ეშხარჯან, აქ ცეკვაო შეიძლება, ზომ იცო! — სერგომ ზურგანთანში ჩაღებულ კარდალას ხელები დაეშინა და „დოლო“ ურდო ააბნურა.

— ცეკვისა რა მოგახსენოთ და ნამდვილად კარგი საგუნდო თოვლია! — ეშხარჯა სერგოს გუნდა ესრელა.

— ასე ავტოვს ამალმის ეხშამი! — ოქროს კბილი გამოაჩინა მუდოლემ.

— აუღენილი არ მაქვს? — ჯიბურტმა დანერტულ ზურგანთანზე მიირტყა ხელი—ვახანების მერტ არაფერი მყარია, ტყვისა ხომ არ შევახრამუნებ? ძია ნიკო ჩემი ვახშისათვის საკუთარ ციხე-სიმაგრეს ხომ არ დანგრევს, თავისთვისაც ვერ იმეტებს. — ეშხარჯა მუდოლეს ისევ ესრელა გუნდა და ბეჭზე მოარტყა. — გოტ ტაქ! ერთ ტყვიას სწაიპროც ააციდენს ზოლში!

ახლა სერგომ შემაბოთა გუნდა და ხელი აიჭინა. ჯიბურტი განზე მარდად გახტა და გაჩერდა.

თურმე სერგოს მოტყუებით აუქნევია ჯელი, გუნდა ახლდა ესრელა და მკერდზე მოახვედრა. გუნდის მონახველრი ჯიბურტს თეთრი ღიმილით დააჩნდა.

— გოტ ტაქ! ტოვე სწაიპერ! — გაიჭიმა სერგო, თოვლი ისევ დააგუნდავა, ხელში შეათამაშა და ცამციძეს მიუბრუნდა. — აბა, შალაჯან, ახლა მე და შენ ვიგუნდავთ! პა, მოდი!

— სწორედ გუნდაობის გუნებაზე ვარ! — ამრეზილად მიუგო თოფზე ჩამოყრდნობილმა ფერგაცრეცმა ბიჭმა.

ზეზღავ: მაიას თვალები გაუბრწყინდა. თოვლი დააგუნდავა, ხელში შეათამაშა, განმარტოებით მღვარ ხეს ესრელა და მოარტყა. მერე უცებ მოედრებულა სახე და სადღაც შორს გაიხედა.

— მაია, ცაში რას დაეძებ? აქ...

— არაფერი, ისე... ექ!

— ზომ ვითხარი, დავიფიქვა იმან, სულ დავიფიქვა, ტყეშიღე ეძებ... გუნდაობა ხომ არ გინდა?

— ეხ, გუნდაობა... გუნდაობა... ერთ ღროს, იცოცხლე, კარგი იყო... ახლა...

ვალყო წელზევით გაშიშვლდა და თოვლით ტანის ზეღას შეუღდა. მერე ახლოს ჩამოაბა და სიტყვა გაღმოგვარა:

— აქ მაინც გაუშვი მაგ გოგოს ხელი, არაივინ მოგტაცებს.

მე არაფერი მითქვამს, მაიამ კი მწერალად შეხედა.

ჯაფს გუნდმა ზევი ამოიარა და ქვეშესში შებმული ცალადარჩენილი ცხენი ქოშინით მოაგდო. მერე კოჭლობით ეყავო მოვიდა.

გუნდთან შიო ხარაძე გაჩნდა:

— კაპიტანმა ამის იქით ქვეშეს ველარ წავიღებთ და ააფეთქეთო.

— ევრა... ვერ ავაფეთქებ! — თავი გაიჭინა კობახიძემ.

— წადი, უთხარი მე რაც მიბრძანეს, ის გაღმოგვიცო.

— არსადაც არ წავალ! — სერგინტო ქვეშესზე ჩამოჯდა.

ქვეშესთან კაპიტანი მოვიდა.

— შენ ისევ ურჩობ?

— ამხანავო მეუბარო, ათოლდე ჰურდი კიდევ გააქვს.

— ტყეში გზა აღარ არის... მაგ ქვეშესმა თავისი ვალი პირნათლად მოიხიდა... უნდა ავაფეთქოთ.

ზოგჯერ იარაღსაც სცოდნია შეჩვევა და შეუყვარება, როგორც საუფარულო ცხენსა და სამახსოვრო ნივთს. ჯაფმა პირისუფალოვით დახედა ქვეშესს.

— ამხანავო კაპიტანო, აუფეთქებლად რომ დავმარბოთ? მტერი რას გაიგებს, ჩვენ კი, ვინ იცის, როგორ გამოგვაღდეს!

ქვეშესი საფლავში ცოცხლად ჩააწვინეს და თოვლნარევი მიწა მიიყარეს.

კიდევ ერთი ქვეშევსის საფლავი მოვიტოვეთ უკან.

გორაკი ავიარეთ და ტყეში უფრო ღრმად შევდით.

— სიღმე! შეგვენება სამი საათი! — ბრძანა კამიტანმა.

შვედ გულმოდგინედ დაეხანაყლით. ზურგჩანთები მოეხსენით და ძირს დაეალაგეთ. ზედ იარაღი დაეაწყვეთ. მერე რკინის პატარა ბარ-ნიშბით აქა-იქ თოვლი გადაეხვედნენ. ბიჭები ჭკუფებად გაოყვნენ, შშარლი ფინჩი მოეძებნეს და რამდენიმე ადგილას ცეცხლი გააჩალეს.

— არქიფო, სად მიხვალ? — ჰეითმა ემზარმა.

— ცეცხლი არც ჩვენ გვაწყენს, ფინჩს მოვითბან.

— მერე, რა შორს მიდიხარ, ეგერ, შალოკო ცამკიძე და ელიოზა შავიძე ისე არიან გაფიჩხებულები, რომ...

— მაგნიარ ფინჩს ცეცხლი არ ეკიდება, თორემ კიი შენ!

ვისაც რა გვქონდა შემორჩენილი, იმით გავისცელეთ პირი, ასე თქვათ, კუჭი მოვატყუეთ. მანასე ხაჭაპურიძეს ცეცხლის სუნს რომ ეცა, მაშინვე ჩაეძინა, კამა არც მოგვინებია.

— ეჰ!—ამოიხეწნენ არქიფომ.—ამის დედა ავ-ატირე, ყველასი! ასე როდემდე უნდა ვიშინებოლო?

— ბიჭო, ამბობენ, შიმშილი ნამეტანი კარგიაო. — უთხრა ემზარმა. — მკლვ ადამიანს თურმე პრილობა უკეთ უხორციდება.

— დიდი შეღვათია, ჩემო ბატონო, ამიერიდან პირში ლუქმას აღარ ჩავიდებ. ეჰ, მოგზარავდი ნიკოს იმ რაღაცას, მარა, რა ვიცი... იქნება მართლა უფრო გაგვიტარდეს და...

ტყეში სამარისებური სიჩუმე გამეფდა და ცეცხლი მინელდა.

საელემ ბისქივეშ თოვლი გადახვეტა, ლაბადა-კარავი დააფინა, წამოწვა, ვიტიო ჩაიხტა და დაიძინა. შარვლიან გოგოსაც მოერია რული.

შე რატომღაც ძილი გამოიტყდა, თითქოს ამ სიმყუდროვემ შემკართო და შემზარაო. იწვნენ აღამიანები თოვლიან მიწაზე და უდარდელად ეძინათ. თუმცა მათზე მერტი სადარდებელი ქვეყნიერების ზურგზე ახლა იქნება არავისაც არ ჰქონდა.

„ნეტავ როგორ არის ახლა ჩემი პატარა ღიაი? ვინ უვლის, ვინ პატრონობს? ჩემ ბარათს რომ ვერ დებულობს, ნეტავ რა გუნებაზეა? შეიძლება აღამიანები თოვლიან მიწაზე და უდარდელად ეძინათ, თუმცა მათზე მერტი სადარდებელი ქვეყნიერების ზურგზე ახლა იქნება არავისაც არ ჰქონდა.“

მეზობელ ცეცხლთან მწოლარე ევამ წამოიკენსა, ზურგჩანთაზე წამოწვა, ნაკერატკლებს ჩააშტერდა და ისევ ამოიკენსა. მერე პატარა ჯოხი აიღო და დღეღმში აათამაშა—თითქოს რაღაცას წერს და შლისო. ორიოდევჯრ ბირისახე მწარედ დაეღრჩა და კბილები გააბრჭიალა.

— ლანგარა-ბიჭო, რამ შეგაწყნა?

— რა ვიცი...

— ასე გეწყინა ქვეშევსის დამარხვა?

— ქვეშევსის დამარხვა?...ეჰ!—დამარხულს რა-ღას უშველი... იმ ქვეშევსზე მეტად მე მიჭირს. გუშინ ტყვია მომხვდა ბარძაყში...

— მერე ვერ თქვი, შე ღმერთადლო? მგონი, არც შეგებხვევია?

— კი, შეგებხვევ ჩემით. მაშინ თითქოს არ მტკიოდა და გამხვლავ არ მინდოდა. მთაში რომ შემოვდილი, ამ ოხერს რაღაც ეწყინა. ქვეშევსის რომ ემარხავდი, თავი შემახსენა, ერთობ მაწყუხებს, ეელარ ეუძლებ... ჩემით ვცადე ამოღება, ვერ მოვახერხე...

— რისი ამოღება სცადე შენით?

— ტყვია შიგ ჩამრჩა...

— მართლა? არ მოგწყამლოს, ბიჭო?

— რა ვიცი... ნამცეცა ტყვიამ ამხელა კაცს როგორ უნდა მაჯობოს? დაეხუჭე თვალს და ხორციანად ამოვიტარი... ჯანდაბას, რაც მომივა...

— გადაიჩიე, ბიჭო?

— აბა, ამას მოგაყვლევიო თავი? იქნება მართლაც მომწყამლოს და... ეგ ვაგო ევრაფერს მომიხეჩრხებს?

— ძნელია... ეკითხოთ მაინც. — მაიას ხელი წაეკარი.

— მივდივართ?

— ჯერ არა. აგერ კაცს ტყვია ჩირჩენია, გულსაწე, რამე ხომ არ მოუხერხდება?

მაია სასწრაფოდ წამოადგა და ვაჟის ლაბდა თაეზე.

— სადა გაქვს პრილობა?

— აგერ. — ვაჟამ მუხლს ზემოთ დასისხლულ შარვალზე დაიდო ხელი.

— წამოწყე და ჩაიხადე შარვალს— მაიამ ლაბდა-კარავზე მიუთითა. — პა, რას მიყურებ, ვერ მიცანი? რა დროს სირცხვილია?

კობახიძეს დაბამბული შარვალი ძლივს ჩაეხადეღინეთ.

— ძნელია. ამას ქირურგი უნდა.

— შენ არაფერი ხელსაწყო არა გაქვს?

— საოპერაციო არა.

— რაღაცა ზელსაწყო ხომ გაქვს? მომიხერხე რამე, თორემ ისე გამომწარდა სული, ჩემით გავიჭრი და ამოვიღებ. ნუ გეშინია, ანდერძად ხელწერილს დაგიტოვებ, თუ მოკვდები, შენ არაფერი დაგბრალდეს... უკან დაბრუნდები არ შეიძლება... ვიდრე მომწყამლადეს, უნდა მოვიშორო.

— მირიან, რა ეჭნათ? — ჩუმად მკითხა მაიამ.

— გაბედ. ადამიანი ამბობს, ვიღუპებიო.

საოპერაციო ოთახში არასოდეს ვყავდილენარ. პირველ ქირურგიულ ოპერაციას ღია ცისქვეშ, თოვლში დანთებულ ცეცხლთან დავესწარი.

მაიამ დანა სპირტით გაწმინდა, ასევე გაწმინდა პატარა მაშა, ისეთი, შაქრის სატხად რომ ხმარობენ. მერე ნატყეიარი ბარძაყი სპირტით

მაგრად დაზილა. თვალდახუჭულ ვაჟს კრინტი არ დაუჭრავს, თუმცა ორიოდგეტრ კბილებს კბილები ისე დაჭირა, მეგონა, ჩამეტრებოდა მეთქი. მაიამ საოპერაციო დანა რომ მოინარჩუნა, უნებლიეთ თვალი დახუჭე. ცოტა ხნის შემდეგ კი მაშის პირში დაქერილი პატარა ლითონი დავინახე.

— გტყვი?

ვაჟამ თავი გააქნია და ტუჩი გამწარებით მოეცინა.

— მაა, გამიგია, სისხლის დენის შესაჩერებლად პრილობაზე თუთუნის დაყრაა კარგო.

— მერე, ახლა სად იშვები?

— მაქვს ცოტა ნაგულები.

ზურგჩანთა სასწრაფოდ გავეხენი და ქალაქდში გახვეული თამბაქო ამოვიღე.

— აბა, ცოტაც გაუძელო, ვაჟეცო, — უთხრა მაიამ ვაჟს, — ახლავე სისხლისდენას შევიჩერებ და შევიხვე. მერე შენ იცი და შენმა სიმხნევამ. ამ ფეხს ძალას ნუ დაატან, ყავარჯნით იარე, ვაჟე?

ვაჟამ კვლავ კრინტის დაუძრავად დაუქნია თვალი და ისევ გამწარებით მოეცინა ტუჩი. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ ამოიღო ხმა:

— გმადლობ, დოა... შენ რომ არ გაგებდა, ჩემი საქმე ცუდად იყო. ამიერიდან აღარ მოგვადები, ხომ აღარ მოგვადები?

— თუ ყველა გაჭირვებას ასე გადაიტან, რა მოგვალს!

ციცაბო აღმართს შევედგეთ და გორაკზე გაუავედით. საღლე ცხენს მიუჭლოდა, ცხენზე ვაჟა იჯდა.

კაბიტანმა რუკას დახედა:

— აქ ახლო-მახლო მერტყვის ქოხი უნდა იყოს.

ვალეკომ დურბინით გახედ-გამოიხედა:

— ხეცს გაღმა ჩანს რაღაც.

გუბი იქით დაევირთეთ. მართლაც ქოხს წავედგეთ.

პირქვე დამხობილ დიდ ძაბრას პავეს. კარი არ აბია. ვიწრო და დაბალი შესასვლელი აქვს. ქოხის უკან საჩრდილამოვლეილი, რამდენიმე ადგილას გახერტილი მეზარადი ვლინა.

ვალეკომ და კაბიტანმა ქოხს შემოუარეს და შეგ შევიდნენ, ისინი რომ გამოვიდნენ, მაიას წაქლია ცნობისწადილმა. წინ გაუღმეი, მერე მეც მოვიხარე, ზღურბლზე ფეხი გადავდგი და გავიპართე.

— ვაი...

— რა იყო, მირიან?

— კინალამ ჭერი ავანგარი. — თავზე მოვისვი ბელი. — უცებ ვერ შევამჩნიე...

— ვინ შეგხედა, მაგხელა ვაზარდო? — სიცილიანი ნიშნისგებით მოთხრა მაიამ.

— კიდევ რომ გავიზარდო, რა უშვს? თუ მტრისთვის კარგი სამიზნე ვიქნები, ზოგჯერ არც

ეს არის ძალიან საშიში. ხშირად ტყვია რაბად კაცს შებლში ხედება, მაღალს კი — ლაჭებში უძერება. საღლე სამჯერ გადაჩრახტეს.

— უცნაური ბიჭი ხარ, ყველაფერში ნებდს ეძებ.

— აბა, რა გქნა? კაცი იმედით ცოცხლობს...

ქოხის სოხანზე ფოთლები ეყარა. სახურავზე საყვამლე იყო ამოჭრილი. იქიდან ჩამოცვენილ თოვლი ქოხის შუაგულში ედინა. აქ, ეტობმა, ცეცხლის ანთებდნენ. ცალმხარეს ნაჯახით გათლილი რამდენიმე სქელი ფიცარი იდო. აღბათ, მერტყვე ამას ტახტად იყენებდა.

შემოვიდა საღლე, ერთი მიმოიხედა და ნაჯახი იპოვა, ძველი აფთისნაირი.

— იცოდი, კაცი?

— აბა, არა? მერტყვეებმა ქოხში ნაჯახის დაშალვა იციან ზოლმე. უპა, აქ რომ ცეცხლი აგვავლავდნენ, რა გქნება, პა — საღლემ ხელში ნაჯახი შეათამაშა. — ხის მოჭრა და კერძის დაწოება მომენტარა, ბიჭო.

გარეთ გავედით. ჩამოჩენილები წამოგვეწვივნენ.

— ამხანაგო კაბიტანო, აქ რომ ვიცხოვროთ, არ შეიძლება? — უთხრა საღლემ.

— არა, საღლე, არ შეიძლება.

— რატომ? ხუთოდე კაცი გვერ ქოხში დაბნელება, სხვები კარგებს გაემართათ...

— ჩვენ ამიერიდან პარტიზანულ ცხოვრებას ვიწყებთ, ეს ადგილი კი პარტიზანული რაზმის დასაბანაებლად არ ივარგებს... ისე, ეს ქოხი კარგად დამახსოვრეთ. ვინ იცის, ბელი რას გვიმზადებს. თუ მტერი ჩვენს დაფანტვას მოახერხებს, ერთმანეთი არ უნდა დავკარგოთ. ამ ქოხში მოვალთ და რაზმის შეკრებს დაველოდებით. თუ არავინ გამოჩნდება, — კაბიტანმა მსხვილი მუხისკენ გაიშვირა ხელი, — ამ ხის ფუღურობში ბარათს დავტოვებთ. ასე ეთქვამ ამიერიდან ეს ქოხი ჩვენი საიდუმლო თავშესაფარი იქნება, ის ფუღურობიანი მუხა კი — საიდუმლო ფოსტის ყუთი...

კუზნეცოვს სიტყვა არ დამეთავრებინა, ხეზე მიყრდნობილი ცამცაქე უცნაურად ჩაიკეცა და წაიქცა. პირველი მაია მივარდა, მერე ჩვენც შემოვეყარეთ.

— შალვა! შალეკო! რა მოგივიდა, ბიჭო? შალეკო, ხმა ამოიღე!

— აღარ შემიძლია, დამტოვეთ... თუ გქვი გუპარებათ, გვილატებოთ, ერთი ტყვია როგორმე გაიმეტეთ ჩემთვის, დამახალეთ შებლში და წადით! მე ახლა ზედმეტი ბარგი ვარ, აღარ შემიძლია... — ცამცაქემ მკლავები მოშვეზულად გადაყარა თოვლზე, ჭკარცულოვით დაწვა და თვალები დახუჭა.

— საშენო ტყვია ეისა აქვს, ბიჭო, წამალივით ვინახავ. ადგე, თუ ძმა ხარ, ადგე! ახლა ასე სულოთ დაცემა შეიძლება? — ეზარმა ხელი მოჰკიდა და წამოყენება დაუბირა.

ცამეტე არ აქვია:

— სიკვდილის უფლებაც აღარა მაქვს, კაცო, სიკვდილის? ჩემ ნებაზე სიცოცხლე არავინ დამანება, ეს ოხერი სიკვდილი მაინც მაცალეთ!.. უუჰ!..

მაიამ მაქა გაუსინჯა, მერე ხელი შუბლზე დააღო.

— თონესებითა გახურებული, იწვის კაცი. ჭალამბარი, ჩქარა!

ჩვენ რომ ჭალამბარი მოგვეონდა, ზვინში დაგვეწვა. აქ საეღემ სასწრაფოდ მაქისიშხო ორი რცხილა მოჭრა, ძელებზე ლაბად-კარავი გადაჰმა და მშვენიერი ჭალამბარი გაკეთდა. ზედ ავადმყოფი დაავიწვინეთ, აეწიეთ და წავიდეთ. რიგრიგობით მოგვეონდა. წვალბით გავიარეთ ერთი კილომეტრი. ტყეში ჭალამბრით სიარული ძალიან გაგვიჭირდა.

— დამტოვეთ, თქვენც არ დაიღუპთ თაგი... მე პეტს მაინც ვეღარ გავძლებ... დამტოვეთ... ნულარ მწველებით, მოიხბით მადლი... მესროლეთ და წადით... — ლულულულებდა ავადმყოფი. ერთი კაცის გამო მთელ რაზმს ხელ-ფეხი შეგრა.

შეისვენეთო, გამოაოცადა კაპიტანმა.

— მეგობრებო, ამ ხევის დასავლეთით ყარაბურუნის მთაა, აღმოსავლეთით — კოზდგორა. გზა კოზიგორას უველა მხრიდან უდგება, იქ არც დიდი ტყეა, პარტიზანი ვერ დაიმალება. ჩვენ უშვევლად ყარაბურუნის მთაზე უნდა ავიდეთ... ოღონდ ეს არის, ავადმყოფი იქ ასვლა გაგიჭირდება...

— ჰოდა, დამტოვეთ... დამტოვეთ! — ისე თქვა შალვამ, თითქოს ბოდავსო.

— რა ექნათ, ბიჭებო? მირიან? შიო? ვალიკო?

— უველანი რომ დავიხოცოთ, ავადმყოფს მაინც ვერ მივატოვებთ, ასეთია ჩვენი წესი, ამხანაგო მეთაურო. — უველას მაგივრად მთევო მაიამ.

— ეგ ეიცო... ჰოდა, როგორ მოვიქცეთ-მთქმო? დღეშილი ჩამოვარდა. ეს დღეშილი ისევე კაპიტანმა დაარღვია.

— სადმე სოფელში უნდა ჩავიყვანოთ და საიმედო ოაზის მივებაროთ. ამხანაგო კანდელაკო, მხევრავი იაშვილი რომ გამოგაყოლოთ, ამ ამბავს ვერ მოაგაძრებთ?

რაღაცამ წამით დამაბრტყანა. მაიას შეეხედუ, ისიც სახეამღერეული შეჩვენა. კაპიტანმა განაგრძო:

— ამ ბილიკს თუ გასყვებით, უშვევლად სოფელში ჩავიყვანთ. ავადმყოფსაც დაამინავებთ, იქაურობასაც დავევრავთ. მოსახლეობასთან კავშირი უნდა დავამყაროთ და გავიგოთ, ჩვენს ირგვლივ რა ხდება... — კაპიტანმა ჭერ მაიას შეხედა, მერე ვალიკოს. — თქვენ თუ გეშინიან, არ გაძალბებ, სხვა წავა.

მაიას თითქოს სათქმელი ყელში გაეჩხირათ,

ხმა ვერ ამოიღო, ვალიკოს შეხედა და გაშტერდა. ვალიკომ თავი ჩაღუნა.

— თქვენ რა, უბრაოდ ხომ არა... ჩართეთ... დაევედა კაპიტანი.

— არა, უბრაოდ არა!...—უცებ წამოიძახა მაიამ, გეგონებოდეთ, რაღაცის შეეშინდაო.—იციან რა, ამხანაგო მეთაურო, სხვა ვინმეც რომ წამოგვეყვას, არ შეიძლება?..

ეშპარმა წინ წამოიწია და მაიას მუნჯურად ანიშნა, ჩემზე უთხარიო.

მაიამ ეს თითქოს ვერც დაინახაო, მცირე დღეშილის შემდეგ თქვა:

— აი, თუნდაც მირიან კობერიძე...

ეშპარმა ხელი ჩაიჭნია და განზე გადგა.

— ამდენი ხალხი რა საქირთა! დაზვერვის მართაც ვუყოფი. — არც თუ ისე მტკიცედ ჩაილაპარაკა ვალიკომ და ისე შემომხედდა, თითქოს თოფი დამიშინაო.

— დაზვერვისა რა მოგახსენოთ და... ჭალამბარს მეორე მამაკაცი ნამდვილად სჭირდება! — აუღელვებლად ეთქვი მე.

— სწორია. სიფთხილისთვისაც ასე აჯობებს. იაშვილი, უფროსი შენ იქნები! საქმეს რომ მოითავებთ, უმაღლეს მოგვეძვინეთ. ჩვენ ყარაბურუნის მთას შევუხიზნავთ, ამა, მოვშაადეთ, ნულარ დავაგვიანებთ! ამხანაგო კობერიძე, ჩემი ავტომატი წაიღე, უკეთესია! ვაზნები ხომ გაქვთ? ძალიან კარგი!

— ამხანაგო მეთაურო, ჭალამბარს მესამე კაციც რომ გასყვას, არ შეიძლება?—ეშპარმა ცხვირის წვერზე თითი გასძვ-გამოისვია.

— მეტი არ არის საქირთა! — მიუვო კაპიტანმა.

ვალიკომ ვიბუტს შეუბღირა.

— ახლა შენ გამოეჩხირე კიდევ უბარო კოვხიეთ.

— რას მერჩი, შე კაი კაცო, რომ წაიხუბოთ, გაგაშველებთ მაინც.

ჯარისკაცები მაიას გულთბილად გამოემშვიდობნენ.

— მაიავან, აბა შენ იცი! — უთხრა მედოლემ და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ნაკომ ზურგანითიდან ჩამდენიმე ორცხობილა ამოიღო და ქუჩრის ვიბუტში ჩადო. საეღემ თავისი მათარა მისცა. ვიტრამ ორჯე ლოყაზე აკოცა. ნუგზარ დიასამიძემ ყელზე წკიპურტი მიირტყა: არ ჩამილბე, მაგრამ მაინც კარგი გოგო ხარო. არჭიფო სენამძემ პატეობა სთხოვა, ბოდიშო, თუ რამე გაწყენინეთო.

— კარგად იყავი, ჩვენი მამა! — ფიარუნა ხატიაშვილმა დამშვრად ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

შიო მაიას სევდიანად მიაშტერდა, მერე თავი მოწირებით დახარა და ხელზე ემბარა.

უჩა მქედლიძეს არც ახლა ამოუღია ხმა, უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი.

ვაქა კობახიძე ცხნიდან ჩამოხტა:

— გმადლობ, მია, შენს ქალობას ვენაცვალე!
— ბებია, ჩაირამა! ბებია, ჩაი! — ღიღინით
მიუხსოვდა ჯიბუტრი. — მია, ერთი ეს მირჩიე:
ჩემი გული რამდენ ნაწილად უნდა გავყო, ყვე-
ლას რომ გავატანო თან? ეჰ, ზოგს ჰგონია, მე...
მეც მაქვს ჩემი ნაღველი... მაგრამ...

ცაზე მთავარ ამოსულა, ნანინა, ნანა,
ნინანია დარისაო, ნანინა, ნა...

წადით, კეთილად იარეთ!
მე და ვალოკი ერთმანეთს შევხედეთ და ჯა-
ლამბარი ავიწყეთ.

— ზოგი ტყეში მიდის, ზოგი — სოფელში, ასე-
თია ბედის ტრიალი! — თვალი სევდიანად გამო-
გვაყარა ჯიბუტრმა. — ეჰ, ჩემო გული, ვინ გაი-

გებს შენ ამბავს, აბა ვაჟაკებო, უჩემოდ არ
მოიწყინოთ! ჩაირამაა, ბებიააა!

— ნახვამდის, ბიჭებო! — თავი დიდუქნად მი-
— ნახვამდის, ნახვამდის, აბა, თქვენ ჩემი
თითქმის ყველამ ერთხმად მოგვაშახა.

— ფრთხილად იარეთ, ფრთხილად, შვილებო!
— ხელი დაგეჭვია ნიკომ და ზურგზე კუხივით
მოგდებულა ჩანთა შეისწორა.

საელე პირველად დავინახე თავდახრილი, თი-
თქოს რაღაც მძიმე დაწყო.

ჩაშმა მარჯვნივ გაუხვია, ჩვენ მარცხნივ წა-
ვედით.

წინ გველა თოვლიანი ბილიკი, ირგვლივ კი
მღუმარე ტყე იყო.

მესამე თავი

ბილიკი გორაკზე ავიდა და თავქვეშ დაეშვა.
ხუთიოდე წუთის შევისვენეთ. ავადმყოფს ფეხე-
ბი ნაღველი კაბით შევეფუთეთ, ერთი ლამა-
და-კარავი ქვეშ დავეფხინეთ, მეორე — თავიდან
ფეხებამდე გადავაფარეთ. მეორე ჩემი ავტომობილი
მაია იყო, ვალოკი ჯალამბარს წინ დაუდგა,
მე — უკან და ტყის თოვლიან ბილიკზე დავეშ-
ვიეთ. კარგა ხანია აქ არავის გაველა.

მივდიოდით ფეხშეწყობილად, ზომიერი ნა-
ბიჭით.

ბოლოს ვალოკის ფეხის გადადგმა სასტკაოდ
გაუჭირდა, უკეთეს დღეში არც მე ვიყავი. გა-
პირება და დაღლა არცერთს არ გავვიმხელია,
არც სხვა რამეზე დავგეჟრავს კინრიტ. ალბათ,
ერთმანეთის ვაჟაკობასა და მოთმინებას ეცდი-
დით. რამდენჯერმე შევისვენეთ და ჯალამბარის
დაშვება რომ გვინდოდა, ესეც უხმოდ ვანიშ-
ნეთ ერთმანეთს — თვალებით.

მაიაც პირმოკუმული მოგვდივდა. ჩაფიქრე-
ბული გოგო სამიოდეჯერ შეკრთა, ეს იყო და ეს.
მღუმარე ტყეში, მღუმარე ბილიკზე აღრინ-
დელი სათაიკო ამბების გახსენება და საყუ-
დურის თქმა უმეველად უხერხულობას გამოიწი-
ევდა. ყველაფერი თითქოს სიზმარში მოხდა:
ვალოკი არაფერი იცოდა, რა შეურაცხყოფა
მოაყენა გოგოს, მაიას ის ცუდი სიზმარი მალე
დაავიწყდა, მე კი საერთოდ არაფერი გამიგია.

ვაითუ აღრინდელ ამბებზე სიტყვის ჩამოგ-
დებას წაყინვალეება მოჰყოლოდა, სადავოდ და
სადავიდარბოდ კი ახლა არცერთს არ გვეცო-
და — უფრო მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე
გვქონდა მოსავარებული. დანა-სისხლად გადა-
კიდებული მტრებიც რომ ეყოფილიყავით,
ტყეიას მაინც არ გავისროდით. ასე თუ ისე,
ვგრძნობდით: ერთმანეთს თვალის ჩინივით უნ-
და გავფრთხილებოდით. საერთო მიზანმა ჩვენც
თითქოს ერთ სივრცეზე გვაქციაო. ვალოკი
თუ წაიჭყოდა, მეც ვადამივრებდით თან, მე
თუ წაიჭყოდი, ისიც გვერდით მომიწევებოდა.

ჩვენშეა მაია კი არა, ჯალამბარი და კიდეც რა-
ღაც სხვა ჩადგა. მაია უკან მოგვდივდა.

სიცილი გათანგულ ავადმყოფს ხშირად ახო-
დებდა. ზოგჯერ ისე წამოიყვარებდა, გული გა-
დამიქანდებოდა.

კიდეც კარგი, შალიკო კაფანდარა იყო, ტან-
მორჩილი, თორემ რა ათრევდა?

სოფელს საღამოვამს მივუახლოვდით. დიდ
ხესთან შევიჩერდით და ჯალამბარი ამოხსენილ
ფეხებზე დავდეთ.

— ასე პირდაპირ ზომიარ მივადგებით ვინ-
მეს? მაია, ავადმყოფთან მარტო დარჩენა შე-
გიძლია? ჩვენ სოფელს დავხვევართ... ხომ იცო...
— ხმათითოვლებით უთხრა ვალოკომ.

— რა ვქნა, დავრჩები... ოღონდ უოველშემთ-
ხვევისათვის ერთი ავტომობილი დამიტოვეთ...
ჭვრიანი ჩანთით ვერავეს მოიგერიებ.

— ასე კიბის იარაღი გქონდა? — გვითხე მე.

— გაფუჭებულია, ხან ისვრის და ხან — არა.
ჩემი ავტომობილი მაიას დავუტოვე, მე ვალი-
კოს ავტომობილი მოვიმარჯვე, ვალოკომ ნაღველი
გერმანული პარაბელუმი ბუდიდან ამოიღო და
ფარაქის სახელოში შემაღულად დაიჭირა.

პირველი სახლი სასაფლაოსათვის დადუმებუ-
ლი დაგვხვდა. ეზოში თოვლი გაუტეხავად იწვა.
კარი ღიწრო ფიქრებით ჯვარედინად აუჭედით.

მეორე სახლს აღარც კარი ჰქონდა, აღარც —
ფანქარა. იფიქრებდით: მეყრდნულეწილი და
თვალუბლახრილი ადამიანი ზეზეურად მომე-
დარაო.

მესამე სახლის ეზოში ბილიკი დატყეპნილი
იყო. კარი ჩაეკეტათ, დარაბები ყრულ დაეგმა-
ნათ. ერთგან ლანდალ მაინც გამოკრთოდა სი-
ნათლე, თითქოს გონავსო.

— შენ აქ დამოკადე, იარაღი მომარჯვებული
გქონდეს! — ვალოკომ კართან დამაყენა და
ფრთხილად დაიკაენა.

ის პატარა სინათლის ლანდიც გაქრა.

— აქ ეილა! ფრთხილი ადამიანი ცხოვრობს...

გერმანელს არ შეუშვებდა შინ. — ვალიკომ კარზე უფრო თამამად დააკაუნა.

ისევ არავინ გაგვცა ხმა.

სამშვიდობა ახლა დარბაზზე დააკაუნა და შესახა კიდევ:

— რაღი ბოგა, ატარობდე ღვერ!

გასაღებში გაიჩხუპუნა და კარი ღრიჭოდ გაიღო.

— კტო ტი ტაკოი? ჩტო ხოხე?

ვერ გავიგონე, ვალიკომ რა წაუჩურჩულა, ვიღაც კარი მოკეტა, რაღაც გააჩხუპუნა და უმაღლე გააღო.

ვალიკო რომ შინ შევიდა, კარი ისევ დაიკეტა და ახლა ჩაქვის ჩხუპუნე გარკვევით გაიგონე. კარს ავეკარი და ასი ყურა გამოვიხსი.

ჩვენ წითელარბიელები ვართ, კაცო გავციხდა აჟად და სინამ გამოვანმრთელდებო, გვინდა ვინმე საიმიდოს ჩაენაბროთ. თუ არ შეგძლიათ, უმჯობესია, ახლავე გულახდილად გვითხრათ. — ვალიკომ მიკბნულ-მოკბნულ სიტყვას თავი აარიდა, სათქმელი პირდაპირ მოუტრა.

მერე ველარ გავიგონე, რას ლაპარაკობდნენ. ათიოდე წუთში ვალიკო გამოვიდა.

— რაო?

— ხომ მივხვდი, ტყავს უფროთხილდება მამა-ძალი. არც გერმანელების კაცია, არც — ჩვენი. რამდენიმე თვეა მოსვენებული ვიყავითო. მე-რე თერმე სუდაკსა და ფეოდოსიაში დესანტი გადმოსხეს და ყველაფერი ისევ აიჩიოაო, ნეტა-ინ არ დაბრუნებულავითო, ახლა რომ შე-ბინდდება, კაცს ქუჩაში ვეღარ გავივლია, გერ-მანელები ვისაც თვალს მოატანენ, გაუფრთხი-ლებლად ხერგენ, პარტიზანი ან დესანტის კა-ცა იქნებაო. უშველებელი ფერცლები გამოაგ-რეს, ვინც საბჭოთა ჯარისკაცს დამალავს, ჩა-მოხარობა არ ასდებოაო. ყველა უხედიერება ერთად მომავარა. ჩემი მშახლის თვახმა ორი დაჭირალი წითელარბიელი სარდაფში დამალა, გაუგეს, ეზოს ილუა შემოარტყეს, სახლ-კარს ცეცხლი წაუკადეს და სტუმარ-მასპინძლიანად ყველა შიგ აშობუგესო. ვალმა სოფელში შეა-მოედანზე სახარობელა გამართეს და შვიდი კაცი უკვე ჩამოაკონწილესო. მე კაცს ვერ დავმალავ, თქვენს გამო საფრთხეში თავს არ ჩავიდებ, ორიოდე დღის სიცოცხელა დამრ-ჩენია და მომასვენეთო.

— ახლა რომ დაგვებუდოს?

— არა. მე ასეთ აღმინებეს ვეინობ. ეგ დამ-ბეზღებელი არ არის. მოერიდება, შარში გაეცხ-ვევით. როცა კაცი მტრულ დამოკიდებულებას არ გვიმალავს, საშიში არ არის. იცი, კიდევ რა მითხრა? გერმანელებმა შხამი მოგვიტანეს, მა-გრამ თავლი არც თქვენ მოგიტანიათო, კარგს თხაშო, თუ ერთმანეთს დასკამითო. ოღონდ მე მომშორდით და კისერიც ვიტეხათო, სადაც გინდათ, იქ დამიპლეთ, მე თქვენ სიზმარშიც არ მომლანდებიხართო.

— რუსი იყო?

— არა ჰგავდა.

სულ ჩამოხნულდა. მერე მთავრე ამოვიდა, ქვეყნიერებას დახედდა, რაღაც არ მოეწონა და თავი თხელ ღრუბლებში შეკრა.

მივაბიჯებთ ფრთხილად. მოზრდილი სოფელი უნდა იყოს. მინგრეულ-მონგრეულია. კრილ-ბები თოვლით შეუხვევია. დოლბანდს კი ჰკავს თოვლი.

ჩექმები ტრავუნობს. მგონი, თამამად რომ ვი-აროთ, აჯობებს.

ძებორციელის ჰაზანება არსადაა.

რას არ წარმოიდგენს აღამინი: ერთი სამსარ-თელიანი აგურის სახლი შეცელგაფატრულ დევკაცად მომჩვენა. თითქოს დევკაცი მტრი სიმწრით მოკუნტულა და ხელები მუცელზე მიუფარებია, წელები არ გადმოწყვიდესო.

ცოტაც გავიარეთ და...

— მოიცა, ვალიკო, ხედავ?

იშვილმა პარაბელში მოიმარჯვა და შე-ჩერდა.

— აბა, სად?

— ეგერ, ნანგრევებთან ვიღაც არის ჩაუქ-ნული და თოფს გვიმიწვნებს.

ვალიკო დაეკვირდა.

— ეგ იცი, რა არის? „ვადაკაცას“ რომ ემა-ხიან.

— ვითომ?

— მთვარიან ღამეში ნანგრევები ნაირნაირ ლანდებს აჩენენ. პირველ დახვერვაზე მაგის მეტი რა მომლანდება! ნუ გეშინია!

„ნეტავე მტრულ დარჩენილი შიდა არ გად-გვერისი შიშით და ჩემს გამოუცდებლობას აღარ ეხივი. რამდენ გაჭირებდას იტანს! არა, შიდა არ არის სუსტი და საცოდავი გოგო...“

სახლს ზურგიდან მივუარეთ და დარბაზიდან გამოვირინე მკრთალი შუქი დავლანდეთ ისევ-დარბაზი ჩარაზული არ იყო. ფეხის წვერებზე შევედგი და სარკმელში ჩავიხედე.

— ასე გაფაციცებით რას მიმტერებიხარ, ბი-ჭო, შიშველი ჭალი დაინახე?

— მგონი, გეშველი. დედაბერს კუთხეში სანთელი უნთია და გულმხურვალედ ლოცუ-ლობს. ჭრისტეს ხატთან სტალინის სურათიც უკიდია.

ვალიკო იმ დარბაზს აეკრა, მე მეორე და-რბაზსკენ გადავიწაცე, სალოცავ კუთხეს დავეახლოვდი, დარბაზი ღრიჭოდ გამოვადე და ყურადღასილი გაქვედი.

დედაბერი ზიფიფებდა. ზოგა რომ მინც გა-ვიგონე.

ღმერთო, შენ რომ სიკეთის ყანა დათესე, შიგ ეშმაკმა ღვარძლი შეურია, წმინდა ხორბალს სარეველამ აჯობა, ღვარძლმა ხალხი გადარია და გადარეული ხალხი ეშმაკა ერთმანეთს საო-მრად მიუსიაო. უფალო, ნუ დაივიწყებ შენს

შეკმნილ ადამიანს, აქმარე ამდენი ცოდვის კითხვა, მშვიდობა მოუვლენე ცასა და ქვეყანასო, მაღალო ღმერთო, შენი და ადამიანის მტერი პიტლერი ჩააძლეო. თუ ეშმაკთა მეფემ, იმ წვეულება რაკამა პიტლერის სიყვდილი არ დაჯანბნოს, მაშინ ეს სიკეთე მაინც ჰქმენ, პიტლერი და სტალინი შეარავი, ნურც რუსებს დიხოცავ, ნურც გერმანელებსო...

— ვალიო, გაგონე?

— რაღაცას კი მოგვარი ყური... მაგ დედაბერთან საერთო ენის გამოხატვა ნაღდად შეიძლება.

კარს თამაშად მივადევით და დავაყვანეთ. გვიან გამოგვხვდა, ჩვენი დანახვაზე შეცბა:

— ეინა ხართ?

— დედილო, ღმერთიც შეგეწევა, შეგვამე შინ წითელარმიელები ვართ.

— არ მომარტყოთ!

— რატომ უნდა მოგატყუოთ?

— შემოდით, ჩქარა შემოდით, წუბამა გერმანელმა არ მოგვჩათ თვალი!

— სად არის გერმანელი?

— ჟანდაბაში. ღამით დაეხეტებიან ხოლმე. შეედიო.

— მშვიდობა სახლსა ამას!

— იცოცხლეთ, იცოცხლეთ! ავერ დასხედით!

— ფიცრის გრძელი სკამი კედელთან დავიდგა. — აქი გერმანელებმა რუსები შორს გარეკესო?! ასე უცებ აქ საიდან გაჩნდით?

— ტყიდან მოვიდით, დედილო.

— ჰო, ტყეში ახლა ძნელია უოფნა. ამხნის ქალი მოვიყარე და ასე დაწყევლილი ზამთარი არ მახსოვს. ესეც გერმანელებს ზომ არ მოჰყავს, ჰა?!

ტყე-ტყე! ტყე-ტყე! ტყე-ტყე!

მივიხედე. ძეწვეზე გირდაყდებული კედლის საათი ტყეკავს — ძველი და გახუნებული. ისრები არა აქვს.

რა ზანია კედლის საათი არ მინახავს. ევსმენ და საოცრად მსიამოვნებს, თითქოს ბავშვობის ნაცნობი ამეგზავრა და მივიწყებულ ამბებს მიუყვებო. უცებ ოჯახური სიმყუდროვე და სიბოლო მაგრმონიზა.

ოჰო, დედილო, საათიც გქონია?

— უფროსი ვაჟის ნაყიდა.

— მერე, ისრები რომ არა აქვს, დროს როგორ იგებ?

— ეის უნდა მაგისი დრო? ევლა დამრჩა ხმის გამცემად, მეტრეტყება და მეც მეტი არაფერი მინდა... სხვა რამეს მაინც ვერ ვხედავ კარგად...

— დედილო, შენთანები სად არიან? — პეითხა ეალიკომ.

— ომის დაწყებისთანავე შეილებიცა და შეილიშვილებიცა ჭარში წავიდნენ. რაღაი ექთანი მყავს, ისიც წაიყვანეს. ოთხი-ხუთი თვეა მათი

ასავალ-დასავალი არ ვიცი, იცოცხლები არიან, ქვეყანაზე სულ აღარ არიან...

— იცოცხლები იქნებიან, ასლან წერილს გერგამოგვჩვენებან. — ეუთხარნ მეს...

— იცოცხლეთ!

— ე, ბიჭო, გვეყოფა, — ჩამჩურჩულა ვალიკომ, — ნიადავი მოსინჯულია, ვუთხრათ ბარემ, თორემ სულ გაიყინება ის გოგო.

— დედილო, ჩვენ ამხანაგი გაგვხვდა ავად. ვიდრე გამოჯანმრთელდება, გვინდა ვინმე საიმედოს ჩავაბაროთ. ვიცით, ძნელია, თუ არ შევიძლიათ, ახლავ გვითხარით. ჩვენ ზვალე უკან უნდა გავბრუნდეთ.

ღიასხლისი ჩაფიქრდა, მერე მკაცრად შემოგვხვდა.

— მოიყვანეთ, მოეულო. ჭარისკაცის ტანსაცმელს სულ გადავუმალავ და ჩემი შვილიშვილის ძველმანებს ჩავაცმევ. თუ ვინმე შეითხავს, ვერცხვი: დისწულია-მეთქი. აქ იშვიათად შემოდან, ვისა სცალია... მეზობლები არ გამცემენ და ისე ქოფაქი გერმანელი რას გამოგებს? მოიყვანეთ, მოიყვანეთ!

ავადშეყოფი სწორედ იმ ოთახში დავაწვინეთ, სალოცავი კუთხე რომ იყო მოწყობილი. ახლა იქ ქრისტეს გვერდით მეორე ხატიც ეკიდა, ღვთისმშობელს ჩელი იესო რომ ჰყავს ხელში ავეანილი.

შალვას ისევ აბოდებდა. მიაიმ თქვა: ალბათ, ფილტვების ცრუპოზული ანთება აქვსო.

ჩვენი მისვლამდე ღიასხლისს ღუმელი გაეხურებინა და ზედ ჩაიდანე შემოდგა. სამოვარი მეორე ოთახში უქმად ევდო.

ფაჩაყები გავიხადეთ და კედელთან მიყრილ ზურგანთებსა და ლაბანდა-კარებს დავადეთ.

— ბოდიში, დედილო, წყლან სახელიც კი ვერ გავითხოვ...

ღიასხლისმა ხელი ჩაიჭინა, აქაოდა, ამის რა მნიშვნელობა აქვსო.

— ნადია... ნადედა გრიგორიენა ფილიკოვა.

— ფილიკოვა... იაშვილი. შენი მოგვარე უფოლია, ბიჭო?

— ზედვ არ ეტყობა? სადაც კარგ ადამიანს ნახავ, კოხხეც არ უნდა, ნაღდად იაშვილია. — ვითომ იხუმრა ვალიკომ, თან თვალი მიასკენ გააპარა, შენს გასაგონებლად ეამბოზო. ჩაიდანე აღუდღა და ორთქლმა ზუფი აარიქკინა.

— უყურე შენ, ჩვენი მოსვლა ამსაც გაეხარდა, ეშხარა ჭიბუტყით არ ცეკვავს?

ღიასხლისმა მობოდიშებით გვითხრა:

— შაქარი და პური არა მაქვს, ძროხა გერმანელებმა დამიკლეს და ვერც რძით გავიმასპინძლებით. ვისაც ცხელი წყალი უნდა, გავითბოს კუჭი.

გაქმალეთ ჩვენი ღარიბული სუფრა. მიაიმ რამდენიმე კენტი შაქარი და ძია ნიკოს გამო-

ტანებული ორცხოპილა შემოგვაწია. ნაღიაც დაეპიტიყეთ და შეეფუტეთ ჩაის სმას.

რალაცამ გაიხშაურა გარეთ. ერთმანეთს უსიტყვოდ გაღაზედნენ და ზინჯნები მავიღაზე დაედნენ.

მოჰესმა: კიბემ გაიჭრილა და კარიც გაიღო-მეთქი.

ნადედამ შიში შეგვემჩინა.

— არაფერია, ყინვა რომ შემოუქერს, იცის სახლმა ასე... ცოტა ჟურს მაქია, ყინვის ჭრილის მაინც ვიგებ.

ჩაი მშვიდობიანად დავლიეთ.

— დედო, იმ კუთხეში რომ სურათი გეკიდა, ჩვენი შემოსვლისას, სად გაქრა? ისე უცებ ანგელოზებმა მოიტაცეს, თუ...

დასახლისი დავკირებებით მომჩერდა.

— თქვე კუდიანებო, ფანჯრიდან მითვალთვალებდით? — ჯერ გაიღმა, მერე უცებ შემოთება დაეტყო. — ვაიმე?! მოგზავნილები ხომ არა ხართ?! ვაიმე! თქვენ ჩემად გერმანელებს ემსახურებით, ალბათ, და ხალხსა სცდით. უაიმე!

— არა, დედო, რამ დაგაფრთხო?! — გაუღმა ვალიკომ. — ღმერთს გფიცებთ, ნაღი წითელარმელები ვართ. თუ ვინდა, საბუთსაც გაჩვენებ.

— ვაიმე! კითხვა რომ არ ვიცი! კაი, კაი, გენდობით. თუ მომავტუებთ, ჯანდაბას ჩემი თავი. ა, ის სურათი! — ნაღი ღვთისმშობლის ხატთან მივიდა და გადააბრუნა. ჭრისტეს ისევე სტალინი დაუღა გვერდით. — რა ვიცი, ვინ შემოვა-მეთქი და... დავმალე.

სათქმელი ენის წვერზე დამეკიდა: სტალინს არც უფლის ხატი სწამს, არც კიორი ღმერთი, მისი სურათი ღვთისმშობლის ხატისთვის რატომ დაგიწყვილებია და ჭრისტეს გვერდით რატომ ჩამოგვიდგინა-მეთქი, უმადლვე ენას კბილი დავა-ქირე. თითქოს ვილაკებ ჩამძახა გულში: იქნებ საწყენად დაურჩეს და მერე რას აპირებო?

ვალიკომ მე შეუტყუვენი გამკრა და თვალის ჩამიკრა, აქაოდა, მოეთათლოთ.

— დედო, შენი აზრით, სტალინი მოერევა თუ პიტლური?

— თუ მოგზავნილები ხართ, ახლავ დამხე-რიტეთ და ის იქნება! მე მაინც ჩემსას ვიტყვი: ჰეშმარბრად სტალინი მოერევა. კი, კი, ამას წყალი არ გაუვა.

— წინასწარმეტყველი ხარ?

— ღმერთმა შიობრა სიხმარში.

— ჩი, ღმერთმა თუ გიოხრა და ისიც სიხმარში, ნაღიდა ახდება. ალბათ, თვითონ ყოფილშემძლე ღმერთსაც სტალინის გამარჯვება სწადია.

— კი, ნამდვილად ასეა. ღმერთს თავისი ხალხი ჰყავს მიწაზე და ეშმაკს — თავისი. სტალინი ღმერთის კაცია და პიტლური — ეშმაკის. სტალინი თვითონაც ღმერთია — უფლის მოადგილე კიდან დედამიწაზე ჩამოსული... შენ რამ

ჩაგაფიქრა? — მე მომიბრუნდა ნაღი. — იქნებ არ მეთანხმები?

— დედო, ღმერთების ამბები მსკადელი გასარკვევი არ არის. გერმანელები სხვის ჭაი-ძახია: ნამდვილი ღმერთი პიტლურიაო. ერთი სიმღერა აქვთ: ღმერთი ჩვენთან არის და ჩვენ გავიმარჯვებთო. იმ სიმღერაში ღმერთად ფიურერს გულისხმობენ.

— აჰ, ეშმაკს შეუტყუენია ისინი! პიტლური კაცის ტყავში გახვეული ეშმაკია. ყველა ეშმაკი სხვის ტყავს იცვამს და პიტლურსაც თავისი ნამდვილი პირისაზე დამალული აქვს, არც რქები და ფრჩხილები უჩანს, ვიცი მე. — დაბეჭდა დედაჩემმა სიტყვა. — მოდი, ეშმაკმა რამდენიც არ უნდა იფაფხუროს, ბოლოს მაინც ღმერთი ავობებს. რა, მართალს არ ვამბობ?

— აგაშენა ღმერთმა! — ჩავილაპარაკე ჭართულად.

— რა მითხარი, ემაწვილო? არ არის, თუ? — ნაღიმ ყურთან მიიღო ხელი.

— აქამდე არ ვიციდი, სტალინი რომ ღმერთი იყო და პიტლური — სატანა.

— ავერ დავეკირდით: სტალინმა სინათლე მოგვიტანა, პიტლურმა — ჩაგვიჭრო. სინათლე ღმერთს მოაქვს და ეშმაკი აჭრავს. ასე არ არის?

— მერე, წელან რომ ლოცულობდი, სტალინი და პიტლური შეარბიეო, ღმერთისა და პიტლურის შერიგება შეიძლება?

— რა ვიცი... რალაცნაირად რომ მორიდებოდნენ... ცოტ-ცოტა რომ დაუთმონ ერთმანეთს... დაშავდება ვითომ რამე? ომზე უარესი იქნება?

— პიტლური და სტალინი არასოდეს არ შერიგდებიან.

— ღმერთო, აბა, ასე უნდა ქუფოს ხალხმა ერთმანეთი?

— რას ეკამათები, ბიჭო? ამ მართლა ღმერთ-ქალს არაფერი აწყენინო, თორემ ვერცერთი ღმერთი ვეღარ დავიფარავს, ვაფუქრის გარეთ და ღამეს ცისქვეშ გაგვათენებინებს. ყველაფერზე დაუქნეოთ თავი.

— რას ამბობო? — დიასახლისმა ისევ ყურთან მიიღო ხელი.

— ცამდე მართალი ხარ, დედო, ცამდე მართალი!

გარეთ ძალღმა ისტება ყეფა. მე ავტომობილი ავიტაცე, ვალიკომ პარაბელუმი მოიმარჯვა.

— ძალის ყეფა იყო? — გვეთხა ნაღიმ. — ეგ ერთი ძალილა დარჩა მთელ სოფელში, დანარჩენი გაეღიტეს იმ ჭოფაქებმა. ნუ გეშინიათ, ალბათ, მთვარის ჩრდილებს უყვდს.

— დედო, ახლა სოფელში რა ამბებია? — ჰკითხა ვალიკომ და პარაბელუმი ბუდში შეინახა.

— კარგი რა უნდა იყოს იმ წუბაკების ხელში...

ქუჩაში კივილის მაგვარი სიმღერა გაისმა:

„შუბელ კამიშ, დერევა გნულის!“

თითქოს მთერალი ქალი მობარბაცებსო.

სიმღერა უცებ შეწყდა და ის ვიღაც უფრო ხმამაღლა აკივლდა:

— ზაილ ზიტლერ! ზაილ, ზაილ, ზაილ! გერ-
მანეთის სტალინს, ეშაა! სიკვდილი უვლას!
ზრრრრრ!

ოთახში კვლავ შეშის დუმილი ჩამოწვა. სამი-
გინი გავირინდეთ.

— დამწეიდლით და დასქედით! ეკ უბედური
არაფის ერჩის. თექვსმეტობედ წლის გოგოა.
მაგისტანა ჰყვანი და ლამაზი ჩენს უბანში
არაფინ დადიოდა. ასი სატყეარი ეცეს პიტ-
ლერს! ერთი გერმანელი იარალით დასდგომია
თავე და ნამუსი აუხდია. მეტე რიგრიგობით
მთელი ოცეული მისულა. სამ დღეს გალურჯე-
ბული ეგდო ჭოხში. წამოვიყვანე და მოვასუ-
ლიერე. მეგონა, გადვარჩინე-მთქი, გამეცეა.
ახლა ლამაზობით ასე დხეტა-ლობს, მღერის
და ყვრის.

— გაგეცდა? — გაფითრებული შაია აცახცახდა.

— აბა, რა მოხუცდოდა?

შაიამ ხელები თვალებზე მიიფარა, თითქოს იმ საშინელი სურათის დანახვა არ უნდაო.

— საცოდავი გოგო! — წამოიძახა ქეთინით.
დაძაბულმა სიჩუმემ და დუმილმა შემაძრ-
წუნა.

მადიდაზე ორი მრგვალი ქვა შეენიშნე, ერთ-
მანეთზე დადებული. ზედა ქვა შუაში ჩაჭრე-
ტილი იყო, კედელზე კი სუფთად გათლილი ქოხი
შქონდა მჭიდროდ ჩაკეტილებული.

— ეს რა არის, დედილო?

— ხელსაფქვათა. ახლო-მახლო იმ წუთებში ყველა წისქვილი დაანგრეს, ახლა ხორბალს ამით ეფქვავით. შირს. ჭიმა გუნდა და რა ექნათ? ცოტა ხორბალი გადვუშალე წუხაყებს. ოღონდ დამტვევლი არავენ მუყის შინ. თუ შევენი არ დაიზარებთ, ხორბალს არ დავამადლეთ. ამიტომ ჩამოვტყვევით და დილით ფეშ-ფარეულია პურის დავაცხობთ.

მეიბა ავადმყოფის ოთახში სკამოვანიზე დაწვა. ნადამ გარედან თივა შემოიტანა, ძროხა მინიქ აღარა მყავს და ვის დაეუზოვო, კედელთან გაშალა და ზედ ჩენი ლაბადა-ქარევი გადართარა.

— აბა, თქვენც დაიძინეთ, ვაჟებო, დაღლილები იქნებით.

— დაღლილები დიახაც ვართ, მაგრამ თუ
ზორბალს გამოიმეტებ, ბარემ ჩამოვუქვით. —
შევახსენე მე.

— შავის ჭაფიტი გაქვს? — საყუქნაოდან ჰეზბით ზორბალი გამოიტანა, მერე ცარიელი გოჭი ტაბურეტზე დადო და ზელსაფუქვეს ვარცლად მოუყიდა. — აჰ მარცვალს ჩაყრიო, ჯობით კა-

დოლაბს დაატრიალებთ. მე ჯანა აღარ შემდგეს,
თორემ თქვენ არც გაგზავნიდით.

— რა უშავს. უფალი გვასწავლის. მტკიცებითა შენითა მოიპოვე პური შენ (აბსტინენცია) და ამის გაგონება ძალიან ესიამოვნა.

— კი, შეილო, კი, უფალი ბრძენია, ყური
უნდა დაუგდოთ. რაკი უფლის სიტყვა გვერათ,
კარგი ბოჭები ყოფილხართ. ახლა ბევრ ახალ-
გზატრდას აღარც დემეტო სწამს, აღარც ხატო,
მიმტომაც გამრავლდა ცოდვა დედამიწაზე, ეს
რომც მისის ბრალია. არა, თუ?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. მერე მე და ვალეკამ ერთმანეთს შევხედეთ და სიცილი ძლივს შევიკავეთ.

— ბედმა რა იღბლად შემოგვიყვანა ამ სახლში? ღმერთქალაიკა ნამდვილი.

— თქვენ შე ხომ არ დამეცინით, ჰა?

— ჩოგოზ გეკადრებათ, დედილო!

— მე არ დამცინოთ, თორემ ღმერთი გაგი
ჩისხდებათ. ჩვენში დარჩეს და... ყველანი ვისა
წყებლავები ხართ...

გაკვირუებით მივანერღით.

— რატომ? შორს გაქცა ჩვენი ქარი, ძალად დაიხოთ ჟუკან... ვის ხელში მიგვატოვეთ, ვის ხელში? რას ფიქრობს ის კაცი, ზევით როდის, ღმერთის ადგილას? რატომ არ გეშველის მარტო უღლაშების გრეხა ყოფათ? მე ღმერთი იმისთვის მინდა, გაჭირვებულს მიშველოს, თორემ... ჰო, გაიქნენ, მოჰკურცხლეს, ჩვენ გე მიგვატოვეს. უნდა არის გამკითხავი, თორემ ძველმეტრის როზუბები მოვიხდებოდნენ. ჰო, ნამდვილად! — უცებ რალაც მოავრნდა. — იპ, სად დავდე?

— რას დაეძებ, დედილო?

— დედილო, დედილო! დამშაბით იმსაეთით!
არა ვარ მე თქვენი დედილო. დედილოს ას-
ლეთისანაბარად მიტოვება არ უნდა... იმ, სა-
დაშეკარგა?

— კრილოსიანს ზომ არ ეძებ?

— Իո, Իո! Նաղ Ձոցահեհե?

ფანჯრის ჩაფიქვან ავიღე და მივაწოდე.

— ხომ არაფერი გეწინათ, შეილებო? ზოგ
ჯერ გული რომ მომიყუა, აღარ ვიცი, ჯოჯი ვი
თაფზე გადავტეხო!

დღასაღისმა ზელაფეჟეს დაჰედა, მერო
ოთხში გავიდა, ჭეარცმას სანთელი აუნთო, პარ
ჭეარი გაღაწერა და აჟურჰელდა. ლოცვისა
ნეტარი სახე გაუხდა. ღმერთს რას ევედრებოდ
ჩვენ არ გვესმოდა.

ဝိသုဒ္ဓိ-ဝိသုဒ္ဓိ! ဝိသုဒ္ဓိ-ဝိသုဒ္ဓိ! ဝိသုဒ္ဓိ-ဝိသုဒ္ဓိ!

„ეს საათიც თითქოს ლოცულობს. საოცრად
საამოა მისი ტიპტიკი, როგორ მომნატრებ
ოჯახური სიბაზი და სიმყუდრეა, რომელსა
მართოდენ ედღის საათის განწყვეტილ
ტიპტიკი ემისი და ეს ტიპტიკი სიწმინდის კი
არღვევს, პირიქით, უფრო საცნაურსა ხდის. ე
ნა ზაბელობით ჟღერის წყნარი საღამო უღ

რომ მუდრო არ გვეჩვენება, როცა კრიზისები გრძელდებიან? უმუშაოების ზრდაში საათის ტიპი არაღის ესმის."

ლემელი ჩაქრა. ჩვენს ოთახს სანთლის მკრთალი სხივითა სწვდება.

ტიტყებს საათი. ახლა ვერც ვხედავთ, რომ ეს უხარო საათი ტიტყავს.

მართალ სინათლეში ხელის წისკელი ღელუნებს.

სანთლისქვეშ ჭვარცხანზე სასოებით თვალმიპყრობილი დედებური ჩურჩულებს.

საწოლზე მზორგავი აედამყოფი ძილში ვილაცას ედგება.

ჭურჭდახურულ გოგოს სკამოვინზე ტანგაბუნებულ სანთლს და ღრმად სუნთქავს. მხოლოდ ერთხელ წამოიყენეს, ვი დედაო. იქნებ შემოვიღო ქალიშვილის ამბავი გაახსენდა ძილში?

ნადეჟდამ ერთი ღრმად ამოიხენდა და შემობრუნდა.

— დედო, დღეში რამდენჯერ ლოცულობ?

— რამდენჯერაც შეიძლება, შეიძლება. ტირილს ლოცვა არა სჯობს? თუ არ ელოცულობ, სულ მერტობა. ცრემლი ვამიწრა, მაინც მერტობა. ცარგვალქვეშ დიდი უზედურება ტრიალებს. ჰიტლერს ღმერთმა რომ ვერაფერი დაეკლოს, ამდენი ზალხის ცოდვა დაახრჩობს. ეჰ, სად არიან ახლა ჩემი შვილები და შვილიშვილები? იქნებ თოვლში ურიან, შე კი თბილად უნდა დავიმინო, ეჰ უმამუილებო, ვერ თუ არ დამწვებით, დარბაზ გააღეთ და მთვარის შუქი შემოღწეოთ, თორემ დოღას ვერ დანინახავთ. სანთელი უნდა ჩავაქრო, ცოტა დამჩნა.

დარბაზი გაუღეთ. ოთახში რძისფერი შუქი დაიღვარა.

დიასახლისი ღელელის თავზე აფროთხდა და მალე საათის ტიტყას მისი ზვრინვა შეუერთდა.

ხელსაფეკავი უფრო მკაფიოდ აღიდინდა.

შე და ვალიკო ერთმანეთის პირისპირ დაერჩნით. ჩვენში ტრიალებს მთვარის შუქით განათებული დოღები, რომლის სახელურ ჭოხსაც ორი ხელი ჩასჭიდებია.

არ ეიცო, ვალიკო რას ფიქრობს, შე კი თავში ერთი აზრი მტრიალებს: არ ჩამომეძინოს-მეთქი.

წისკელში ღამე ბევრჯერ გამოთევია. იქ დოღების ხმური ბუნანად მესმოდა, სარეკელს რაკენი ვი — საამო გალობად. აქ სარეკელს არ რაკენობს, მაგრამ ისე ვარ დაღლილ-დაქანცული, უმისოდღაც ძნელია, ძილის ცთუნებამ არ ამოუღოლოს.

— მირიან, რაზე ფიქრობ? — მკითხა ვალიკომ.

— არაფერზე. — უცებ გამიფრთხა ძილი.

— აბა, ჰმას რატომ არ იღებ?

— რა ვთქვა?

— ეითომ შე და შენ გასაყოფი არაფერი გაქვს?

— არც ყანის მოზიარე ხარ, არც ვენახის. მიწა რა ხანია კოლექტივისაა, ვაჭრები და დარბაზი შენცა გაქვს და შენცა...

— სიტყვას ბანზე ნუ მივდებ. გოგოს მართლ შენ რომ დასტრიალებ თავზე, ცოტა იქნებ სხეისაც უნდა?

— ცოტა არა? იქნებ სჯობდეს აქ ამბზე კრინტიც არ დაეძრათ?

— შე მივიბულ-მოვიბული ლამაზაკი მეგავრება. შენ აქ საჭირო აღარა ხარ, დილაშუა დიასვენებ და აიკრავ გულა-ნაბაღს. გზის გაგდება მართლაც არ გაგიჭირდება.

— შენ და მამა აქ რჩებიან?

— ჰო, ორიოდ დღით. გოგო ავადმყოფს მოუვლის, მე აქურობას დავხვევრავ. ამის დედაც ავადმყოფი. უკვე პარტიზანი შვეიცია, ხოში მაქვს, სადმე გერმანელთა თოვ-იარაღის საწყობი ავაფეთქო.

— ჩვენ სამივე ერთად წამოვედით და ერთად წავალთ.

— ახლა საქმისთვის ასე სჯობს... რაზეში ამბავს მიიტან...

— მობრძანებ, როგორც უფროსი, თუ მთხოვ, როგორც თანამებრძოლი?

— შემოძლია, გიბრძანო კიდევ.

— ვალკო, მივიბულ-მოვიბული ლამაზაკი არც შე მიუყარს. დიცი მაქვს დაღებულ, ვინც მამის შეურაცხყოფას მიაყენებს, მოვკლავ.

— რა გული მოგდის, შე კი კაცი? ჭარის-კაცებს ბევრი რამ გვაქვს ზიარი, ხშირად ერთი კარდალიდანაც კი შეგვეცევით უღუფას...

— მთვად რაღაც სისულელეს... ტყუილად გიფიქრობ... მამა წმინდაა და...

— არ მითხრა, ხელი არ დამიკარებიაო, თორემ გავგვიფიქრებ კაცი!

— შენ სიგიჟე ისედაც არ გაქვია.

— მერე, რას ელოდავები? დღეს-აქა ვართ. ხელ ეშვამა იცის, სად ვიქნებით. უფელა ცოდვას მიწა შევვინდობს.

— წინაპრებს თუ დავუჩერებთ, ცოდვების შენდობა ცაში ხდება. მიწა ცოდვებს არავის შეუწოდებს, მიწა მხოლოდ მარბავს ცოდვებს.

— ერთი შენც მოგცლია. ვაჭრებმა პატარა მომეცტიც: არ უნდა დაკარგოს. თუ ცხონება უნდა...

— შე ვიცო, ზოგმა ვაჭრებმა ცხონების მაგიერად ქალიშვილის სილქანი მიირთვა...

— ეგ ქალის ზერხია, ვაჭრები რომ უფრო გაახელოს.

— გიმეორებ: ვინც მამის შეურაცხყოფას მიაყენებს, მოვკლავ... ჩემი ღვიძლი ძმაც რომ იყოს! ერთხელაც ვიხსარი, მამის საქმრო ჰყავს.

— ის საქმრო შენა ხარ?

— არა. არა-მეთქი.

— მაშ, შენი ნათესავია ვინმე?

— ვინც არის, ის არის.

— იცი, რას გეტყვი? ტროტსკი ნათესავ-ნა-

წოწილებს გოგოს, შინ საღსალამათით რომ დაბარუნდეს, საჭმრო მანც არ შეირთავს, ეს თვითონაც კარგად იცის. გაცი მართლა შენა ხარ, ამ გაჭურბულს ომში თუ ედევნებ წმინდა სიყვარულს ოცნებობ. დღით შენ რაზმში წადი, ორთოდე დღეში მე ამ გოგოს ამოგყვან და დავანახებ, ეგ შენი ანგელოზი ნამდვილად ვინც უოფილა.

— ჩვენ ერთად წამოვედით და ერთად დავბარუნდებით. მე აქ შენთან ანგარიშის გასასწორებლად არა მცალია. იცოდე, მე ყველაზე მეტად თავზედა ხალხს შეყავებდა. იქნებ იმის იმედი გაქვს, იარაღს ჩემზე უკეთ რომ ჰმარობ? თუ ავ რამეს ჩაიფიქრებ, სანახებლად გავიხდის! დაეძინოთ! უძილობისაგან ხარ გამოთავყვანებული და რას რომავ, რიგიანად, ალბათ, თვითონაც არ გესმის... დანარჩენი ზედა გამოვფეჭათ.

— ზედა მე გერმანელების საწყობის ასაფეთქებლად მივდივარ, შენ წამოყვები?

— ვნახოთ, დილაშდ დიდი დროა.

მთავრე ან ჩავიდა, ან სქელ ღრუბელს მივფარა, ჩამოხედდა.

მე თავზე გადაფენილ ლამადა-ქარავზე დავყექე.

— ჰე, შოდი, დაიძინე, ბიჭო!

ვალკომ ჩექმები გაიხადა. ჩექმის ყელიდან საღამური გადმოუვარდა.

ვიფიქრე, საღამურს დავეყრავ და ვალკოს როგორმე შევიტყვებ-მეთქი. ფარაფა გადავიფარე და საღამურს ჩაებერე. ხელიდან გამომგლიჯა და ზურგნათის ქვეშ ამოიღო.

ისევ გაიჭრიალა კიბეზე და კარმაღ ჰმა მამაშველა. ახლა ამას ჩემ გულში შიშის კრიალი არ გამოუწვევია.

მე ურის ეუფდებდი ბნელში მიმალული საათის ტიტიკის, რომელიც ღამეს ზმის კრიალისნად მარცვლავდა და თითქმის ლოკულობდა კედელზე.

თვამ რამდენჯერმე უშნოდ გაიჭრიალა.

— ნუ ტრიალებ, ბიჭო, შამფურით, დაიძინე!

— შენ რატომ არ იძინებ, გოგონათ რომ დავიჭყეტა თვალები?

— ასე მშვევია, როცა ძალიან დაღლილი ვარ, უფრო ვერ ვიძინებ.

— ჰოდა, არც მე მეძინება. — ვალკომ იარაღი გაახეჯენა.

— შენ ახლა, ვალკო, ეცი ფიქრობ, ვითუ შირიანმა ასე და ისეო... ნუ გეშინია, მშვიდად იყავი... აი, მე ხელცარიელი ვარ... თუ ეფხიზლებ, შენს მშვიდ ძილს ეუფარავ... ექვიც არ გაიფიქრო გულში... არც ავი რამე იფიქრო და არც ექვი გაიფიქრო... ჩვენ სიკვდილისა და სიცოცხლის მშვიდ ვართ, ბიჭო... ტყუილად გგონია, რომ რაღაც გეაქვს გასაყფი. შენისთანავე გაყავი პატიმრობიერულ გინს არ ღნდა აპყ-

ვეს... შენი დიაი რომ გენახა მათს ყოფიში და ჭარისკაცებს მხოლოდ შენებური თვლით დაეწყეთ უფრება, გავახარებოდა?

— მე არც და მყავს, არც მშა.

— მეოფილდი. იმაზე უფრო არაფერი, როცა აღამაინა და-ჰმის სიყვარული არ იცის, თითქმის მზისა და ქვეყნიერების მოზიარეც არა ჰყავსო, ყველაფერი მხოლოდ თავისი ჰგონია... საეუთრად... და ვინც მის ახირებულ გინიანობას წინ ეღობება, მტრად მიანია...

— გამომივლიდა ესეც რა მეოცე საუკუნის კომპაგმირული ტრისტე, ურმა იესო, მიწაზე მოსიარულე წმინდანო!

— ტრისტე რომ ჩემ დღეში ყოფილიყო, ვნახავდი, რა წმინდანეც იქნებოდა.

— ამ შუალამისა რა დროს თილოსოფია?

— ჰოდა, დაეძინოთ. კარგია, რომ იარაღი მზადა გაქვს. ვინმე რომ მოგვიტყეს, პირველად შენ უნდა ესროლო... აქ შენი იმედითა ვართ... ოღონდ, მგონი, პარაბელში ცუდად გიჭირავს. ძილში ზელი რომ მოგვიხედეს, ზომ იცი... იარაღი ეშმაკის მოგონილია, წელიწადში ერთხელ თავისით ისვრის...

ვალკო შეიშვეშა და მე მივხვდი, პარაბელშია ღელა მან კარისკენ მიაბრუნა.

— კარგი ბიჭი ხარ! — თავზე აღერსიანად გადაეუსვი ზელი. ცოტა ეინიანობა რომ არ ვიშლიდეს ზელს, ედევნე უკეთესი იქნებოდა. ახლა დაეძინოთ. თუ გინდა, ზელი გადამხეი და ისე დაეძინოთ... ახლოს მოიწი, უფრო თბილად ვიქნებოთ! თუ გინდა, მე მოვიწიე! ედევნე მოიწი! ჰო, ეგრე! ზელს გადაგხვევ, შეიძლება?

— ვალკოს არაფერი უთქვამს, ღუმელი თან-ხმობად მივიჩნიე და ზელი გადაგხეი. — მე რომ ძმა მყოლოდა, სულ ასე ეძინებდი. ძილი ნებისა! ჭარბა, ვინც დილაშდ ჰმა ამოიღოს! სწორედ ამ დროს საათმა სამყერ დაიძახა „მუშუ“.

— ჭარბა უისრო საათს!

ორივეს გაგვეცინა.

— ა, ბიჭო, ჩვენი ასე უოფია ამ უისრო საათსაც კი უხარია, შენ კი... — ეკლავ ალერსით გაეუჩნე თმა. — დაეძინოთ! კომპაგმირული ურმა იესო შენ ცუდს არაფერს ვირჩევს, თუ გინდა, შენი მოგვარის გუგულს ჰკითხე!

ახლადგამომეტყარი პურის სურნელი ვიჭრენი და წამში დაეპყტე თვალი. ნამძინარევი პირველად ვერც მივხვდი, სად ვიყავი. ფარაფა გადახდელი მჭროდა და არ მცოლიდა.

— დღლა მშვიდობისა, დღდილო! — წამოვდექი და დიასახლისს თავი მოწიწებთ დაეუკარი.

— იცოცხლე, შეილო!

— როგორ არის აედმუოფი?

— ისევ დიდი სიკბე აქვს, ამოდებს კედელ.

ჯერჯერობით უკეთესობისკენ ვერ შემობრუნდა. შუბლზე კომპოსტოს ფოთოლი დაეადე, იქნებ სიცხე გაუნელოს.

ოთახი თბილი პურის სურნელითაა სავსე. ნადედას უკვე მოუსწრია გამოცხობა, პატარა პურები მავიდაზე დაუღაგებია, თვითონ ტანურეტზე ჩამოშვარა და კრიალოსანს მარცვლაძეს.

ვალეოს გულთანად სძინავს. ხელი წავყარი.

— ადე, უფროსო, მოშეადლედა!

— ჰა, ჰა? — თითქოს ცივი წყალი გადასხესო, თავი წამოუო და დამფრთხალი თვალები მომანათა.

— ძალიან გაეჭიმეთ ძილი, აი! მარტო სიზმრებით გამოძლიმა არ გეყოფა, შენს მოგვარე ქალღმერთს ჩვენთვის პურებიც გამოუძებია უკვე.

ასეთი სულსწრაფობა ჩემ სიცოცხლეში არაფერზე გამომიჩენია. ხელი პურისკენ თავისით გამეშვა. თითქოს დამეწვარ, უმაღლე უკან გაეჯახე.

„არა, ამ პურს მარტო ვერ გავტეხ.“

მთა გვერდულად წევს, ლოყა ხელისგულზე უდევს — ურბილეს ბალიშზე. ქერქი გვერდზე გადასცურებია. ღრმად და უშფოთველად მძინარე გოგო ტურნეზაბუტულ ბავშვსა ჰკავს.

ჯერადი ჩანთა ოდნე დარბაზგაღებულ ფანჯრის რაფაზე დევს, ვარსკვლავიანი ქუდიც იჭედა. ჩექმები სკამლოგინის ფეხთან აწყვია.

მძინარეს მივეახლოვდი. თვალი არ გაუხეულია და გამიღიმა. საოცრად ლამაზი მეჩვენა მძინარე ქალიშვილის ღმბილი.

„აღმათ, ტუბილ და საამო სიზმარსა ზედავს, იქნებ შინაც ფუსფუსებს, თავისიანებთან? ან ყვავილებით მოზითულ ბაოზე ფეხშიშველად დარბის?“

— ნუ შესვრი გუნდას, გუნდას ნუ შესვრი, შე გიჟო! — ჩილაპარაკა მძინარე მთამ და კვლავ გაუღიმა ვიღაცას.

„აღმათ, ის გუნდაობა ესიზმრება.“

მე უოველთვის ჩემს დაიაზე ადრე ვიღვიძებდი. მერე იმასაც წაეკრავდი ზოლზე ხელს. მაგრამ ზოგჯერ ისე საყვარლად ეძინა, ვიდრე და ვუყურებდი, თვითონ როდის გაიღვიძებს-მეთქი.

ახლაც ასე დამეშართა. მაისკენ წავილე ზე-ლი და უმაღლე გამოვწიე, თითქოს რაღაცამ დამწვარა. ზუსტად ისე, როგორც ტუბილ პურთან დამეშართა.

„ახლა რომ ხელი ვახლო, ცოდვას ჩავიდენ... ტუბილ სიზმარსა და ძილში განდილ ბედნიერებას წავართმევ. აღმათ, ამ წუთში არც ახსოვს, ომში რომ არის, მე დაგაბრუნებ ომში. არა, არ წავართმევ საამო სიზმარს.“

მოანუსხლეით დაეანერდი. მინდოდა დიდხანს, კიდევ დიდხანს სძინებოდა ასე ტურნეზაბუტულსა და წამწამებდახრალს.

გვეგონებოდათ, ჩემი დაფინებული შვრა იგარანო, მთა შეიმშუშნა, თვალები გაახილა, დახტუა და ისევ მალე გაახილა. მერე წამოიწია და ზღაპრის გმირივით მშვიდად ჩილაპარაკა: უპ, ჩამდენხანს მძინებიაო.

— დილა მშვიდობისა, მცხეთის დედოფალი!

— იცოცლე, ჩემო ბატონო. — მაიმ ხელი თმაზე გადაისვა. — გარეთ რა ამბაია?

— არც დარია, არც აედარი.

— უპ, რა გეგრიელი სუნია, დაეიზიდე პირ-დამირ...

ისევ პურისკენ გამეშვა თვალი. ვუყურებ და მბრუნებს. აღარც კი მგონია, თუ ომში ვარ.

„ღმერთო ჩემო, რა ბედნიერება ყოფილა ჩვეულებრივი, ყოველდღიური მშვიდობიანი ცხოვრება, მუდრო ოჯახური სითბო, თბილი პური და წყნარი ძილი... როგორ მომნატრებია?!“

ღვთისნიერი ადამიანის ხელით გაშლილ სუფრას შემოვუსხედილი.

— რალს უყურებთ, პურ-მარბილ ნაყურთ-ხია, ვახსენოთ ამ სუფრის ქვეშარიტი ღმერთი და მიხედოთ საქმეს. დიასახლისის დასინახავად პირჯვარი გადავიწერე, ესამოვნება-მეთქი, პური ხელში დაეიჭირე და პირველად მაიას მივაწოდე.

— ჰა, გამიტეხე ჩვენებურად.

ვერ დაეიტრებახე, დიდი ნადიმები მინახავს-მეთქი, ოჯახში გამომცხვარი თბილი პური კი ბევრჯერ გამიტეხია. აღმათ, ამაზე გვერდიელიც, მაგრამ ახლა რომ ლუქა ჩავიდე პირში, რალაც უზომო, ძალიან დიდი ბედნიერება ვიგრძენი. ნეტარება კი არა, ბედნიერება.

შუა სხვები გადაკვირვის ქოხში

გიზგიზებს შუა ცეცხლი გრძნეული
და სხვენზე ლურჯი ბოლი გროვდება.
ლაღარი,
ახლა* მიწად ქცეული
ვულკანების გულს უახლოვდება.

გამჭვარტლულია კერიის ჯაჭვი,
შორი ლანდები ითბობენ ხელებს.
სახურავს ისე უღმერთოდ აწვიმს, —
გადაირია პატარა ღელე.

ალი დამეულ ქსოვილებს არღვევს
და ქსოვს ალისფერ ცისკრის წინდებად.
და საქართველოს დაჭიმულ ძარღვებს
კერიის ცეცხლი წაგვიდება.

ზედ ჯიშინი შეშა ბრიალობს,
ლაპლაპა ალი ცისფრად ბოლდება.
და შუაცეცხლი ქოხის
ფრიალო
მთაწმინდის კალთებს უახლოვდება.

ალზე რიონის ჭალაკი ჭრელი
კითხულობს მიწის და ზეცის ლექსებს.
და ათბობს ცხელი კერიის ხელი
ალუჩების და ატმების ფესვებს.

აზნეკილია მზისკენ ყავარი
მჯიღებშემართულ შუქით და ქარით.
შუაცეცხლთან ძვერს ხმაგამყივარი
გელათისა და სიონის ზარი.

შეცოცხებულია ატმებზე ალი
და შარშანდელი შრიღებს ჩალა.
და შარშანდელი შრიღი ჩალის
ამღერებულია იისფერ ალად.

კერა ბრიალობს,
კერა ბრიალობს,
ელავს რიონის თეთრი ტინები.
და შუაცეცხლი ქოხის
ფრიალო
მთაწმინდის კალთებს ეპოტინება.

ახალ აპრილის ბაღაზე ვნებები

აქედან უფრო ჩანს ჩემი გზები
გავლილი,
მაგრამ აწ გასავლელიც,
ახალ აპრილის ბაღაზე ვწვები
და ხელებს მიქნევს სულ სხვა მთა-ველი.
სულ სხვა მთა-ველი,
რომელზეც მიჰქრის
ჩემი ოცნების ლურჯი ფრინველი.
და ვერ ეწევა

აზრი და ფიქრი
აზრებს და ფიქრებს ყოვლისმზილველის.
სიცოცხლევ,
ქარით აღმიგზნე ფრთები,
გამომაკიდე ფერს ცაღ აღვლენილს.
... აქედან უფრო ჩანს ჩემი გზები
გავლილი,
მაგრამ აწ გასავლელიც.

დაუბეჭდავი ლექსებიდან

ჩემო ლუსიოს გმიანს

ქეი, ვაგაცნო, უდრეკელნო
გმირობა თქვენი
სისხლი, დაღერილი, ჯალათებთან
ბრძოლებში, წინად,
ველკანად იქცა, უდაბური
ცა გააბრწყინა,
და მონობის ტახტს შეუნგრია
დამპალი ბჭენი!

სიმართლისათვის წამებულნო,
ჭექდა თქვენს ხმაში
რისხვა ხალხისა, ვით ზღვის გრგვინვა
და ჭრუანტელი.
უძლეველობის, გამარჯვების
რწმენა ნათელი,
წინ მიაფრენდათ ვით ფრთამალი,
უდრეკი რაში!

ჩემო ლექსებო!

ჩემი სიცოცხლე მუდამ არის ჭიდილი ქართან,
ისევე ქარს ვებრძვი, ვაგლახად არ ვემორჩილები.
ყოფნის დღეები ჭკვიანურად რომ წარმემართა —
მეყოლებოდა დღეს შეილები, შეილიშვილები.

აქ ჩემი სული სიმძიმით ნიადაგ თრთოდა,
მაგრამ მაინც მზეს შეხაროდა ჩემი იერი.
ჩემი დროც მოვა და როს გავალ ამ საწუთროდან,
ვერ დამიტირებს ჩემი ღვიძლი და ნაშიერი.

ჩემო ლექსებო, ყოველივე თქვენ განაცვალებთ,
მე ახლაც ვუძლებ თქვენს ჭრუანტელს, მესხის დაცემას,
მტანჯეთ, მაწვალეთ, მაგრამ მაინც თქვენ არ გამცვალეთ,
თქვენვე მარგუნეთ სიხარული და აღტაცება!

მეფე ლირი

მოქმედნი პირნი

ლირი, მეფე ბრიტანეთისა
საფრანგეთის მეფე
ბურგუნდიის მთავარი
კორნუოლის მთავარი
ოლბენის მთავარი
გრაფი კენტი
გრაფი გლოსტერი
ედგარი, გლოსტერის ვაჟი
ედმუნდი, გლოსტერის უკანონო შვილი
კარენი, კარისკაცი
ოსვალდი, გონერილის სახლთუხუცესი
ბერიკაცი, გლოსტერის მოიჯარადე
მკურნალი
მასსარა
ოფიცერი, ედმუნდის ხელქვეითი
აზნაური, კორდელიას თანმხლები
ჭეროლდი
კორნუოლის მსახურნი
გონერილ
რიგან
კორდელია

ლირის ასულნი

მეფის თანმხლებნი, რაინდები, ოფიცრები, შიკრიკები, ჯარისკაცები და ამაღა.
მოქმედების ადგილი ბრიტანეთი.

* ზეიად გამსახურდამ ინგლისურიდან თარგმნა უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“. ეპიკენებთ პირველ ორ აქტს ამ თარგმანიდან.

აქტი 1

სცენა 1. სრაპალატა მეფე ლირის სასახლეში. შემოდინა: კენტი, გლოსტერი და ედმუნდი.

კენტი. მე ვფიქრობდი, ოლბენის მთავარი უფრო მოსწონს-მეთქი მეფეს, ვიდრე კორნულისა.

გლოსტერი. აგრე გვეგონა ყველას. ამჟამად კი, სამეფო რა დაუნაწილა, ძნელი სათქმელია, რომელ მათგანს უფრო აფასებს მეფე. ისე ზუსტად გაუთანაბრა თვითელს წილსვედრი, რომ ცნობისმოყვარე თვალი ვერცერთ ნახვარს ვერ არგუნებდა უპირატესობას.

კენტი. ეგ თქვენი ვაჟი ხომ არ არის, მილორდ?

გლოსტერი. დიას, უფალო, წილი მიღვეს მაგის ამქვეყნად მოსვლაში. ხშირად გაუუწითლებივარ ამის აღიარებას, მაგრამ, რას იზამთ, შევეჩვიე ამ და ბოლოს.

კენტი. რას გულისხმობთ, ვერ გამიგია.

გლოსტერი. სამაგიეროდ ამ ყმაწვილის დედამ გამიგო კარგად, თავის დროზე, რის შედეგადაც წელი დაუმსხვილდა და ასე გასინჯეთ, ვაჟის აკენის რწევაც მოუხდა, სანამ მეუღლეს მოიწვენდა გვერდით. გაყნოსეთ თუ არა დანაშაული?

კენტი. არ ვისურვებდი მაგ დანაშაულის არჩადენას, რაკი ასეთი კარგი შედეგი მოჰყოლია მას.

გლოსტერი. ჰო, მაგრამ, სერ, მე ხომ ვაჟი მყავს კიდევ, კანონიერი, რამდენიმე ხნით ამაზე უფროსი, თუმცე გამოგიტყდებით, ამაზე მეტად როდი მიყვარს იგი; ეს ვაჟბატონი ცოტა თავებდურად კი მოიქცა, ასე დაუკითხავად რომ შემოდგა ფეხი ამ წუთისოფელში, მაგრამ რა დედა ჰყავდა რომ იცოდეთ! მრავალი სიამე ახლდა მაგის ჩასახვას, ასე რომ, სადღეისოდ იძულებული ვარ ბუმის მამად ვაღიარო თავი. ედმუნდ, იცნობ თუ არა შენ ამ ბატონს?

ედმუნდი. არა, არ ვიცნობ, მილორდ.

გლოსტერი. უფალი კენტი. იცნობდე დღეიდან როგორც დიდად პატივსაცემ მეგობარს ჩემსას.

ედმუნდი. მზად ვარ გემსახუროთ, თქვენო ბრწყინვალეება.

კენტი. მუდამ მეყვარებით და შევეცდები უკეთ გაგიცნოთ.

ედმუნდი. ვეცდები დავიმსახურო თქვენი ყურადღება, სერ.

გლოსტერი. ცხრა წელიწადი დაჰყო უცხოეთში, კვლავაც მიბრუნებას აპირებს. — მეფე მობრძანდება.

(საყვირის ხმა. შემოდინა: ლირი, კორნუოლი, ოლბენი, გონერილ, რიგან, კორდელია და ამაღა).

ლირი. გლოსტერ, ეახელ ფრანგთა მეფეს და ბურგუნდთ მთავარს.

(გადიან გლოსტერი და ედმუნდი).

ლირი. ამასობაში განგიცხადებთ დაფარულ ზრახვას.

მომეცით რუკა. უწყოდეთ, რომ სამად გაყვავით სამეფო ჩვენი. მტკიცედა გვაქვს აწ განზრახული, ურვა და საქმე ასაკს ჩვენსას ჩამოვაცილოთ, გადავაპიროთ საზრუნავი ჭაბუკურ ძალებს, და განვეშაადოთ სასიკვდილოდ. — კორნუოლ, ძეო, თქვენც, არა ნაკლებ სანუკველო ძეო, ოლბენი, ამჟამად ჩვენი წადილია გამოგიცხადოთ თუ რა ვუმზითვეთ ქალებს ჩვენსას, რათა მერმისში გაშოროთ დავა. საფრანგეთის, ბურგუნდის პრინცთა, დიდთა რაყიფა, უმრწემესის ჩვენის ქალისთვის

დიდი ხანია ტრფობაში აქვთ ჩვენს კარზე ჯიბრი,
და მოვლიან პასუხს. მარტყვით ასულნო ჩემნო,
ვიდრე ავყრიდეთ ჩვენსავე თავს ყოვლსა უფლებას,
დავთმობდეთ მანუღს, სახელმწიფოს ჩაგაბარებდეთ,
რომელს გიფავართ უმეტესად, თქვენთა სამთაგან?
რამეთუ წილი უკეთესი ერგება იმას,
ვისი ბუნებაც ღირსებასთან შერწყმით გვეთნევის.
გონეროდ, ჩვენო პირშოვ, გვარტყი პირველად შენა.

გონერილ. მე თქვენს სიყვარულს, მეუფეო, ვერ ვიტყვი ენით,
მას თვალთახედვას ეამჯობინებ, თავისუფლებას,
და თუ რამ არის ძვირფასი და საამო ქვეყნად,
შეგება, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მშვენიერება,
ვგ ყოველივე არარაა თქვენს სიყვარულთან.
მიყვარხართ, თუ ძეს ჰყვარებიან ოდესმე მამა,
ვგ სიყვარული სულთქმას მიწშობს და მიბრგენის ენას,
არ არის გრძნობა ჩემს სიყვარულს რომ ედრებოდეს.

კორდელია. (თავისთვის) მაშინ რაღა ჰქნას კორდელიამ! უტყვად უყვარდეს?
ლირი. ამ საზღვრებს შორის, ამ ხაზიდან ვიდრე აქამდის,

ხშირი ტყეები, ხეაერიელი ტურფა მინდვრები,
მდინარეები, სანახები ფართოდ გაშლილნი,
შენ ჩაგბარდება. განაგებდეთ შენ და ოლბენი
აწ და მარადის. რაღას გვეტყვის ძვირფასი რიგან
ასული ჩვენი და მეუღლე კორნულისა?

რიგან. ერთი ქანისგან წარმომადგარნი გახლავართ დები,
ურთიერთმსგავსნი ღირსებაში. ალაღის გულით
მოგახსენებთ, რომ სიტყვიერი ზორცმესხმა ჰპოვა
მის ნაუბარში ჩემმა გრძნობამ. თუმც სიყვარული
მან დაგიმოწმათ სხარტულის თქმით, დაგუმატებდი,
რომ ყველა შეგების მტრად ვთვლი ჩემს თავს, რომელნიც გრძნობის
ძვირფას სათავენოს ჰფლობენ ხოლმე ჟამიდანჯამზე,
და უზენაეს ნეტარებას თქვენს სიყვარულში
ვპოულობ მხოლოდ.

კორდელია. (თავისთვის) კორდელიავ, რა ღატაკი ხარ!
თუმც, არა უშავს, მწამს მაინც, რომ სიყვარულს ჩემსას,
ტოლს ვერ დაუდებს ენა ჩემი და თქმის უნარი.

ლირი. ამიერიდან სამემკვიდროდ გიბოძებთ შენა
ხილვად კეთილის სამეფოს ჩვენის ნასამალს.
არცა სიდიდით, არც სიმძლავრით, არც სიღამაზით
არ ჩამორჩება იგი წილხვედრს გონერილისას.
სიამვე ჩვენო, უმრწემესო, არ უმცირესო,
აწ შენ მოგმართავთ, ვის სიყვარულს დაჰნატრებიან
რძე ბურგუნდული და ვენახი ფრანგთა ქვეყნისა,
გვარტყი რაიმე და ამრიგად ირგუნე წილი,
უფრო კეთილი, ვიდრე შენს დებს მივაგეთ წელან,
აბა, რას გვეტყვი? გისმენთ ყველა.

კორდელია. არარას, მილორდ.

ლირი. არარასაო!

კორდელია. დიახ, არარას.



ლირი. არარაისგან იშვის არარა. გვითხარ რაიმე.

კორდელია. საუბედუროდ ენა ჩემი ვერ გამოხატავს გულისტყმას ჩემსას. მე მიყვარხართ, მეუფე ჩემო, ვით მევალე, არც მეტად და არცა ნაკლებად.

ლირი. გამოაკეთე შენი თქმული, ო კორდელია! შენივე ბედი არ შებრკოლდეს.

კორდელია. ძვირფასო მილორდი! თქვენ ხართ მშობელი, აღმზრდელი და მეურვე ჩემი, ჩემი ვალაა გიპასუხით მადლიერებით: დავეცე თქვენს ნებას, მიყვარდეთ და პატივსა გცემდეთ, რას თხოვდებოდნენ ჩემი დები თუ ჭეშმარიტად არაფერს უყვართ მამის გარდა? მე კი ვიტყოდი, თუ დავჭორწინდი, მე ვარგუნებ თანამეცხედრეს ნახევარს ჩემი ურვისას და სიყვარულისას ალბათ აროდეს გავთხოვდები მე მაგათ მსგავსად რათა მიყვარდეს მხოლოდ მამა.

ლირი. მამ, გულით ამბობ?

კორდელია. დიახ, მეუფეო.

ლირი. ასე ნორჩი — ასე უგულო?

კორდელია. ასე ნორჩი და გულმართალი.

ლირი. მამ თუ აგრეა, გულმართლობა გეჭნეს მზითევად. ვფიცავარ საღვთო ბრწყინვალეობას მზის სინათლისას, ღამეს, ჰეკათეს მისტერიებს, ცთომილთ მიმოსვლას, ზეციურ ეტლთა განლაგებას, რაიც განსაზღვრავს ჩვენს არსებობას და იმქვეყნად მიქცევის ეამსა, ამიერიდან ვაბათილებ ურვას მშობლისას, ნათესაობას უგულველყოფ თვით სიხსლისმიერს, გრაცხ შორეულად. ბარბაროსსა ვისმე სკვითთავანს, კაციჭამიას, შთამომავალს რომ ჩანთქავს თვისას, უფრო მივიკრავ ამ მკერდზე და მივიყვავილებ ვიდრე შენ, — ერთ დროს ქალიშვილად ჩემად ხმობილო!

კენტი. პატრონო ჩემო!

ლირი. იყუჩე კენტი!

ნუ ჩამოდგები დრაკონსა და მის რისხვას შორის. უსაყვარლესად ვრაცხდი მე მას და მოველოდი ამ სიბერის ეამს მზრუნველობას მისგან. გამშორდი!

(კორდელიასადმი)

ისემც მელირსოს მოსვენება საფლავში, როგორც მე ამოვიგდებ მას გულიდან. უხმეთ ფრანგთ მეფეს, ბურგუნდის მთავარს. — კორნუოლო, თქვენაც, ოლბენი, დანარჩენ ორთა მზითევს ერთვის ეგ მესამედიც, ამპარტავნება, რომელსაც ეგ სიწრფელეს უხმობს, ექნეს მზითევად, თქვენ გაბარებთ ძალაუფლებას, აღმატებასა და სხვა მრავალთ დიდთა რწმუნებათ რაიცა მოსდგამს ხელმწიფებას. ხოლო ჩვენ, თავათ, ასი რაინდი გვეყოლება თქვენს კმაყოფაზე.

ყოველ თქვენგანთან რიგრიგობით დავყოფთ თითო თვეს.



შეგინარჩუნებთ ხელმწიფისას მხოლოდ წოდებას,
 ძალაუფლებას,
 შემოსავალს, და აღსრულებას დანარჩენისას —
 თქვენ განდობთ, ძეო საყვარელნო; განმტკიცდებოდეს
 ვე ყოველივე გვირგვინისა ჩემის გაყოფით.

(აწეღის მათ გვირგვინს)

კ ე ნ ტ ი. ლირ, ხელმწიფეო, თავყანს გცემდი ვით ჩემს მეუფეს,
 მიყვარდი, როგორც მამა, როგორც პატრონი ჩემი,
 გიხსენიებდი ჩემს ლოცვებში ვით მოძღვარს ჩემსას,

ლ ი რ ი. მოზიდულია უკვე მშვილდი, ისარს ვერიდე.

კ ე ნ ტ ი. დაე, დამესოს ვე ისარი, თუნდაც განიპოს
 ვე ჩემი გული: იყოს კენტი დღეს კადნიერი,
 როდესაც ლირი შეიშალა. უწყი თუ არა,
 რა ჩაიძინე, ბერიკაცო? განა ვერ ხედავ,
 რომ სათნოებას ვერძალება ხმის ამოღების,
 ძალაუფლება მლიქვნელობას როცა მფარველობს?
 არა, სიწრფელე უმეტესად ფასდება მაშინ,
 როს ხელმწიფება სისულელეს სჩადის ამდაგვარს.
 შეგინარჩუნე მბრძანებლობა და განბრტობისას
 დაპტვე სიფიცხე: სიცოცხლემან ჩემმან, გარწმუნებ,
 შენს უმრწემესს ქალს არ უყვარხარ სხვებზე ნაკლებად.
 გულცარიელი ის როდია, ვისი გულისხმაც
 ყალბ ღლერადობას არ გამოსცემს.

ლ ი რ ი. კენტი, გაუფრთხილდი
 სიცოცხლეს შენსას.

კ ე ნ ტ ი. მე სიცოცხლეს, როგორც საწინდარს
 მტრებს შენსას ხშირად ვთავაზობდი. არც ახლა ვშიშობ
 მე მის დაკარგვას, ისევე შენდა საკეთილდღეოდ.

ლ ი რ ი. მომწყდი თვალთაგან.

კ ე ნ ტ ი. გაახილე უკეთ თვალები,
 მეც ნუ მიშორებ, შენს თვალისჩინს.

ლ ი რ ი. ვფიცავ აპოლონს...

კ ე ნ ტ ი. ვფიცავ აპოლონს, ხელმწიფეო, ცუდად იმოწმებ
 შენ ღმერთებს შენსას.

ლ ი რ ი. არამზადავ! მონავ პირშავო!

(ხმალს მისწვდება)

ო ლ ბ ე ნ ი და კ ო რ ნ უ ო ლ ი. შეიწყნარეთ, სერ, გვედრებით.

კ ე ნ ტ ი. ჰა, აღასრულე;

მოჰკალ მკურნალი, გასამრჯელო კი მიაკუთვნე
 დაავადებას. განზრახვაზე აიღე ხელი
 თორემ იცოდე, ჯანამ სული მიდგია პირში,
 ვიტყვი რომ ავი საქმე ჰქმენი.

ლ ი რ ი. მისმინე, მონავ!

მისმინე-მეთქი, საპატრონყმო პირობის ძალით.
 შენა სცდილობდი, რომ დაგვეგმო ჩვენ ჩვენი ფიცი,
 რაიც აროდეს არ მომხდარა — და მშვაობრობით
 გსურდა ჩადგომა ჩვენს ნებას და უფლებას შორის,
 რაც ჩვენს ბუნებას ვერ ეთნევის, ვერცა წოდებას,



— ამადაც ჩვენგან საკადრისი გელის მუჭაჲა:
 სუთი დღის ვადა მოგვიცია სათადარიგოდ
 რათა მზად შეხედუ განსაცდელთა ამა ქვეყნისთა,
 შეგვესე დღეს კი შეაქციე ეგ ბილწი ზურგი
 სამეფოს ჩვენსას: და, მებათ დღე რა გაივლის,
 თუ ჩვენს მიწაზე განდევნილი ეგ შენი გვამი
 კელაჲ იზოგინებს, უწყოდე, რომ სიკვდილი გელის.
 გასწი და, ვფიცავ იუპიტერს, არ შეგცვლი სიტყვას.

კ ე ნ ტ ი. მშვიდობით მეფე: რაკი ეგ ზომ შეცვლილხარ შენა,
 ექსორიაა თავათ ამ შენს კარზე დარჩენა,
 (კორდელიასადმი)

ასულო, ღმერთნი მოწყალენი დაგიფარავენ,
 ალალს, პირდაპირს, გაგამტყუნებს ალბათ, არავინ.

(რიგანისა და გონერლისადმი)
 სიტყვამრავლობას მოჰყოლოდეს საქმე კეთილი,
 გრძნობა -- უსაზღვრო, ხოლო სიტყვა ხამს მოკვეთილი.
 გემშვიდობებათ კენტი ყველას, სიმწუხარეში,
 იგი განაგრძობს ძველს გზას თვისას, ახალს მზარეში.

(გადის)

(საყვირი. შემოდინა გლოსტერი, საფრანგეთის მეფე, ბურგუნდიის მთავარი და ამაღა)
 გ ლ ო ს ტ ე რ ი. ფრანგთა ხელმწიფე და ბურგუნდი გეახლენ, მეფე.

ლ ი რ ი. ბურგუნდიის დიდო მთავარო,
 ჯერ თქვენ მოგმართავთ, როგორც რაყიფს ამ ხელმწიფისას,
 ჩვენის ასულის ხელისმთხოვნელს. გთხოვთ მოგვახსენოთ,
 თუ რა მზითევზე შეგვჯერდებით, რომ ხელისთხოვნა
 არ უკუიღოთ?

ბ უ რ გ. მ თ ა ვ ა რ ი. მოგახსენებთ, დიდო ხელმწიფე:
 არა უმეტესს მოვითხოვდი დაპირებულზე
 და არცთუ ნაკლებს.

ლ ი რ ი. ბურგუნდიის ქველო მთავარო,
 მაშინ ვწყალობდით, ეგ ზომ, ოდეს გვიყვარდა იგი.
 აწ კი დაეცა მისი ფასი. სერ, დაუფიქრდით:
 თუ მაგ დაღუულ არსებაში გსიბლავთ რაიმე
 რომელსაც ჩვენი სიძულვილი ვუშვითვეთ წელან,
 თუ იმსახურებს ყურადღებას იოტისოდენს,
 პა, დაგვითმია იგი თქვენთვის.

ბ უ რ გ უ ნ დ ი. ვერა მითქვამს რა.

ლ ი რ ი. პატივყარილი არის იგი ამიერიდან,
 უამხანაგო, ჩვენგან ახლად-შეძულებული,
 წყევლა ვუშვითვეთ, დავიფიცეთ მისი განდევნა,
 შეირთავთ მას, თუ ხელს აიღებთ?

ბ უ რ გ უ ნ დ ი. დიდო ხელმწიფე,
 არჩევანისას ვერ მივიღებ მაგგვარ პირობებს.

ლ ი რ ი. მაშ დასთმეთ იგი. გეფიცებით ძალას ჩემს გამჩენს,
 სხვას არას მიცემ. (ფრანგთა მეფისადმი). ხოლო თქვენ კი, დიდო მეფეო,
 ნუდარ შებღალავთ თქვენს სიყვარულს და ნუ იახლებთ
 მძულვარებისა ჩვენის საგანს. ამადაც გთხოვდით,



უფრო ღირსეულს მიაპყრობდეთ თქვენს ყურადღებას,
ვიდრე ამ ნაკლეს? თვით ბუნებას რომ ერცხვინება
აღიარება მისი შექმნის.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს მ ე ფ ე. საოცარია,
წელან მიგანდათ უსაყვარლეს არსებად იგი,
საქებარ შვილად, მცხოვანების თქვენის მაღამოდ,
უსარჩვევად, უმჯობესად და ამ ერთს წამში
რა ჩაიდინა მან იმგვარი, რომ შემოსძარცვეთ
კეთილგანწყობის სამოსელი? ალბათ, მიუძღვის
დანაშაული ურვეულო, ენითუთქმელი,
ან უწინდელსა გრძნობას თქვენსას თუ უბასუხა
მანკიერებით, — რასაც მისგან არვინ მოელის
და ევრც ვირწმუნებ, თუ მიზეზად სასწაულს რასმე
არავინ მეტყვის.

კ ო რ დ ე ლ ი ა. ვეგდრები თქვენს ხელმწიფებას, —
თუმც მე არ ძალმიძს მლიქვნელობა და ლაპარაკი
ზრახვის გარეშე, და ყოველთვის ნაუბარს ჩემსას
წინ უსწრებს საქმე — მაინცა გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ,
რომ საუუგო არაფერი ჩამიდენია.

უღირსი საქმე, მკვლელობა, ან სხვა უმსგავსობა,
უპატიოსნო საქციელი, მანკი რაიმე,
რითაც დაგკარგე წყალობა და კეთილგანწყობა.
და თუ ნაკლი მაქვს, იგი მხოლოდ მმატებს ღირსებას.
მოსხარული ვარ, რომ არა მაქვს საბედნიეროდ,
მამებლური გამოსედევა და ენაც მსგავსი,
თუმც ამ არქონამ სიყვარული წამგვარა თქვენი.

ლ ი რ ი. არდაბადება სჯობდა შენი, თუ უფრო მეტად
არ აამებდი მსცოვან მამას.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს მ ე ფ ე. ვგ არის მხოლოდ?
კდვმა, რომელიც აღმოუთქმელს სტოვებს განზრახვას,
ბუნებით კრძალვა! ბურგუნდიის ქველთ მთავარო,
თქვენ რაღას იტყვით? სიყვარული განა მოითმენს
თავის აღრეფას განსხვავებულ მოსაზრებებთან,
რომელნიც დგანან მის კიდვან? ირთავთ თუ არა?
მზითვეი გახლავთ იგი თავათ.

ბ უ რ გ უ ნ დ ი. ლირ, ხელმწიფეთ,
გაიღეთ მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ბრძანეთ,
და ვაღიარებ კორდელიას დაუყოვნებლივ
მეუღლედ ჩემად.

ლ ი რ ი. არას გავიღებ, დავიფიცე, არ შევცვლი სიტყვას.

ბ უ რ გ უ ნ დ ი. სამწუხაროა, რომ დაპყარგეთ მაშა მშობელი,
და მასთან ქმარიც.

კ ო რ დ ე ლ ი ა. ვანუგეშებ ბურგუნდიის მთავარს:
მე არასოდეს გაეხდებოდი იმის მეუღლე,
ვის სიყვარულსაც განსაზღვრავდა მხოლოდ ქონება.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს მ ე ფ ე. ო, მშვენიერო კორდელია, ხარ უმდიდრესი
მაგ სიღარიბით. რჩეული ხარ, თუმც უგულველგაყვას.
თუმც შეგიძულეს, სიყვარულის გახდი საგანი,



შენ და ღირსებებს შენსას მინდა დავესაყუთრო,
მე შეგითვისებ, თუმც ყველასგან ხარ გარიყული;
ჰოი, ღმერთებო! საოცარი არ არის განა,
ათვალწუნებამ რომ აღმიგზნო ალი ტრფობისა?
შენი უმზითვო ქალიშვილი, დიდო ხელმწიფე,
გახდება ჩენი დედოფალი და დამშვენებს
ტურფა საფრანგეთს, რომც შეერთდნენ ყველა მთავრები
ბურგუნდიისა, ვერაოდეს შეისყიდიან,
ამ უსარჩევს ქალწულს, მე რომ მარგუნა ბედმა.
გამოეთხოვე კორდელიავ: თუმც არ გწყალობენ,
დანაკარგს ჰპოვებ: აღასრულე, რაც გვევლება.

ლირი. მაშ, წაიყვანე, ფრანგთა მეფე, ნება შენია,
ჩვენ კი მაგვარი ქალიშვილი არც გაგვჩენია,
მოგვწყდეს თვალთაგან მომშხამავი ჩვენის სიამის,
თან წარიტანოს მძულვარება და წყველა მამის.
წამობრძანდით, ბურგუნდო მთავარო.

(საყვირი. გადიან ლირი, ბურგუნდი, კორნუოლი, ოლბენი, გლოსტერი და ამაღა).

ჰაფრანგეთის მეფე. დებს დაეთხოვეთ, კორდელია.

კორდელია. მამისა ჩვენის სამკაულნო, გემშვიდობებათ
თვალცრემლიანი კორდელია. მე კარგად გიცნობთ,
მაგრამ როგორც დას, არ შემფერის დასახელება
თქვენის ნაკლისა. ნუ მოაკლებთ მამას სიყვარულს:
თქვენის მკერდისთვის მომინდვია იგი დღეიდან,
თუმც რომ იჩენდეს მოწყალებას ჩემდამი, ყოფილს,
მოვეუძებნდი მას უკეთეს ადგილსამყოფელს.
მშვიდობით გნახეთ.

რიგან. უშენოდაც არ დავივიწყებთ
მოვალეობას.

კონერილ. გირჩევნია გული მოუგო
მეუღლეს შენსას, სამოწყალოდ რომ შეგიგრდომა.
შენ მორჩილების დაიმურე გამოვლინება
და დაისაჯე, რადგან მამამ აგრე ინება.

კორდელია. ჟამით ვლინდება ცბიერების ხვანჯერი მთელი,
ვინც მალავს ცოდვებს, საბოლოოდ შერცხვენა ელის.
მშვიდობით გნახეთ.

ჰაფრანგეთის მეფე. წავიდეთ, ჩემო კორდელია.
(გადიან საფრანგეთის მეფე და კორდელია).

კონერილ. დაო, შენთან სალაპარაკო მაქვს მცირედი. ორივეს გვებება ეგ ამბავი,
იცოდე. მე მგონი, მამა აქ არ უნდა აპირებდეს დარჩენას ამაღამისთვის.

რიგან. დანამდვილებით. შენთან აპირებს წვევას. მომდევნო თვეს კი ჩვენთან
გაატარებს.

კონერილ. ხედავ, როგორ გამოიცვალა ამ სიბერეში! საკმაოდ ბევრი რამაა დამა-
ფიქრებელი. ყველაზე მეტად უყვარდა ჩვენი და და რა უმნიშვნელო მიზეზმა
იგმარა მის გასაძევებლად.

რიგან. ეგ ასაკის ბრალია. თუმც, კაცმა რომ სთქვას, ყოველთვის სჩვეოდა სი-
ფიცხე.

კონერილ. ასეთი ცუნდრუკი იყო მუდამ. ახლა კი მისი ხასიათის თანდაყოლილ

ნაკლოვანებებს ზედ დაერთო ხანდაზმულობის თავაშვებული კაპრიზები.

რიგან. თუნდაც კენტის განდევნა ავიღოთ. ასეთ წამოვლებს კვლავაც უნდა გველოდეთ მისგან.

გონერილ. თუნდაც საფრანგეთის მეფესთან განშორება რათა ღირს. გვედრები. ვიღონოთ რამე: თუ მაშაყვენი ძალაუფლებას შეინარჩუნებს და კვლავაც ასეთ განწყობაზე იქნება, ვე ტახტის დათმობა მისი მხრით კარგს არას გვიქადის.

რიგან. უნდა მოვიფიქროთ რამე.

გონერილ. დროზე უნდა ვიღონოთ რამე.

(გადიან.)

სცენა II

ერაფი გლოსტერის ციხე-დარბაზი. შემოდის ედმუნდი წერილით ხელში.

ედმუნდი. ბუნებაგ, შენ ხარ ჩემი ღმერთი, კანონებს შენსას

ვემორჩილები მე ნიადაგ; კაცთა ადამთი

მავიწროებს და მდევნის. მხოლოდ საკვირველია,

ერთი ორი წლით ძმაზე მრწემი რად მომიძულეს,

ან უფლებები რად ამყარეს? რადა ვარ ბუში?

ნაკვთად კეთილი, ახოვანი, ვის არ ვჯობივარ?

გონება ჩემი ნათელია, მხნე ვარ, ჯანსაღი,

პატიოსანი ქალის ნაშობს რით ჩამოვრჩები?

„ბუში“, „მდაბალი“, „უკანონო“, რად გვემოგზენ ასე?

განა ფარული ვნების ძალა მეტი არ არის,

და ჩასახვისას უკეთესად არ ინერგება

კეთილთვისება, ხასიათის ვნებიანობა,

ვიდრე მოსაწყენ, მოყიჭებულ ლოგინში, ღამით,

სადაც ცოლქმარი ძილფხიზლობის განსაქარველად

ქქმნის სულელების მთელ თაობას? რაკი აგრეა,

კანონიერო ედგარ, მამულს მე დამილოცავ:

მამის სიყვარულს გამოგტაცებს ბუში ედმუნდი,

კანონიერი თვით გახდება. კმ, რა სიტყვაა:

„კანონიერი!“ კარგი, ჩემო კანონიერო,

თუ ამ წერილმა მიაღწია დანიშნულებას

და ჩემმა ხრიკმა გაიმარჯვა, ბუში ედმუნდი

გადააჭარბებს კანონიერს და სვეს ეწევა.

აწ კი, ღმერთებო, შეგვეწიეთ უკანონოებს.

(შემოდის გლოსტერი)

გლოსტერი. კენტი განდევნა! ფრანგთა მეფე გააგულისა!

თავათ დაგვტოვა, დასთმო ტახტი, ძალაუფლება!

სხვის კმაყოფაზე გადავიდა! ეგ ყველაფერი —

ერთის დაკვრითა! — ედმუნდ, რაო, რა ამბებია?

ედმუნდი. ვერას მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალეება.

გლოსტერი. ეგ რა წერილი გადამალე ასე გულდასმით?

ედმუნდი. ახალს ვერაფერს მოგახსენებთ, მილორდ.

გლოსტერი. რაო, რა ბარათს კითხულობდი?

ედმუნდი. არაფერს, მილორდ.

გლოსტერი. როგორ თუ არაფერს!? მაშ რაღას ჩაიჩარე ჯიბეში ასე გამალებით?

არაფერს ეგრე როდი მაღავენ. მოდი, მიჩვენე და თუ მართლაც არაფერია, სათვალე აღარ დამჭირდება.

ე დ მ უ ნ დ ი. მომიტყევთ, სერ. ეგ წერილი ესესა მივიღე ჩემი ძმისაგან, ჯერაც არ გადამიკითხავს მთლიანად; თუმც, რაც მოვასწარი, იმის მიხედვითაც ვასკვნის, რომ თქვენთვის აჯობებდა სულ არ წაგვეკითხათ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. მომეცი-მეთქი წერილი.

ე დ მ უ ნ დ ი. მოცემითაც დაეაშავებ და არმოცემითაც.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. მოდი, ვნახოთ, მოდი, ვნახოთ.

ე დ მ უ ნ დ ი. ჩემი ძმის და სასარგებლოდ, დარწმუნებული ვარ, რომ გამოსაცდელად მომწერა ეგ წერილი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. (კითხულობს) „მცოვანთა მიმართ ეს გაუთავებელი რიდი და კრძალვა საუკეთესო წლებს გვიშამავს; ქონებას არ გვანებებენ, სანამ სიბერე არ გვიწევს და უკმი არ გახდება ყოველგვარი სიმდიდრე. უკვე საკმაოდ მომბეზრდა ბებრული ტირანიის ბორკილები, რომელიც საკუთარ ძალმოსილებას როდი ეყრდნობა, არამედ ჩვენს მომთმენიანობას. თუ მიწახულებ, დაწვრილებით მოგელაპარაკები ამ საქმეზე. თუ მამაჩვენმა დაიძინა და თვალი აღარ გაახილა, სანამ მე არ გავადვიდებ, ნახევარი მისი შემოსავლისა შენ დაგრჩება სამუდამოდ: იცხოვრებ და იბედნიერებ — შენი მოყვარული ძმა ედგარი“. ჩუ! შეთქმულება! თუ დაიძინა და თვალი აღარ გაახილა, ნახევარი მისი შემოსავლისა შენ დაგრჩებაო! — და მერმე ვინ? ჩემი ვაჟი, ედგარი! თავის ხელით დასწერა, ჰა? რა გულით დასწერა? რა ტვინში ჩაიბუდა ამ აზრმა? როდის მოგივიდა ეგ წერილი? ვინ მოგიტანა?

ე დ მ უ ნ დ ი. არავის მოუტანია, მილორდ. მთელი ხრიკიც ამაშია. ფანჯრის რაფაზე ვიპოვნე, ჩემს ოთახში.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. მერმე, ხომ იცნობ შენი ძმის ხელს?

ე დ მ უ ნ დ ი. კეთილი რამ შინაარსისა რომ ყოფილიყო ეგ წერილი, დავიფიცებდი, მილორდ, მისი ხელია თქო. ასეთ რამეზე კი, აბა, რა მოგახსენოთ, უფრო ვისურვებდი, არ ყოფილიყო მისი ხელი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. მისი ხელია.

ე დ მ უ ნ დ ი. ნამდვილად, მილორდ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გული არ მონაწილეობდა ყოველივე ამაში.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. არასოდეს ჩამოუგდია შენთვის ლაპარაკი ამგვარ საქმეზე?

ე დ მ უ ნ დ ი. არასოდეს, მილორდ: ისე, სშირად ამბობდა ხოლმე, ვაჟი როდესაც სრულწლოვანი ხდება, მოხუცი მამის მეურვეობა უნდა იტვირთოსო, მის შემოსავალს უნდა დაეპატრონოსო.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. ოჰ, ავაზაკი, ავაზაკი! — ზუსტად ეგ აზრია ამ წერილში. საზიზღარი, ნამუსგარეცხილი ავაზაკი! მსვეცი! მსვეცე უარესი! წადი, შეილო, მოსძებნე ერთი! მე მაგას ვაჩვენებ სერის! დახეთ ერთი ამ არამაზადს! — სად არის თუ იცი?

ე დ მ უ ნ დ ი. დანამდვილებით ვერას მოგახსენებთ, მილორდ. კარგი იქნებოდა, შეგვაკვებიანთ რისხვა, სანამ უკეთესს საბუთს არ გამოსძებნიდით მისი განზრახვის გამოსავლენად, შემდეგ კი დასდგომოდით გარკვეულ გზას და თუ დაუყოვნებლივ გამოიძიების გარეშე მოსწევთ რაიმეს, ამით სახელი გაგიტყდებათ მხოლოდ და თქვენი მამა-შვილობაც შეიბღალება. სიცოცხლის ფასად მოვდივარ ნაძლევს, ჩემი თქვენდამი სიყვარულის შემოწმება უნდოდა და სხვა არაფერი.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. აგრე გგონია?

ე დ მ უ ნ დ ი. თუ თქვენი ბრწყინვალეობა მოისურვებს, მე დაგაყენებთ, სადმე მოფა-

რებულ ადგილას და მოგასმენინებთ ჩვენს საუბარს. თქვენივე სმენა უკუთ დაგიდასტურებთ ყოველივეს და მე მგონი, კმაყოფილიც დამრჩებით. ნულარ გადავდებთ, ამ საღამოსვე მოვაწყობთ ეგ ყოველივე.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. არ უნდა იყოს ეგ ასეთი ურჩხული...

ე დ მ უ ნ დ ი. რა თქმა უნდა, არა.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. მერმე ვის? მამას, რომელსაც ეგზომ თავდავიწყებით უყვარს! ტუბილო ზეცაო! ედმუნდ, მოსძებნე, თუ ღმერთი გწამს, ჩამახედვე ერთი მაგის გულში. შენ იცი, როგორ ჭკვიანურად მოაწყობ საქმეს. ყველაფერს დაეთმო, ოღონდ სიმართლე გაშავებინა.

ე დ მ უ ნ დ ი. ეხლავე შევედგები მის ძებნას, სერ. საქმესაც მოვაწყობ, როგორც კი მოვახელთებ დროს და დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ.

გ ლ ო ს ტ ე რ ი. ეს უკანასკნელი დაბნელებანი შიშისა და მთვარისა კარგს არაფერს მოასწავებენ. თუმც ათასნაირად ხსნიან ბრძენნი ამ მოვლენებს, მაინც დაეტყობუნებას მათი სავალალო შედეგები: სიყვარულის გრძნობა ცივდება, მეგობრობა დაკნინდა, ძმათა შორის განხეთილილებაა. ქალაქებში ამბოხებაა, სოფლებში არეულობა, მეფეთა სასახლეებში ღალატი. მამაშვილს შორის გაგება შიშისპო. თუნდაც ჩემი არამზადა ავიღოთ. განა ზუსტად არ მართლდება წინათქმა! შვილი მამას აღარ ინდობს, მეფე წონასწორობას კარგავს, ბუნებით მომადლებულს; აქეთ—მამა შვილზე ამხედრებულია. ჩვენი დრო მოგჭამეთ და მაინც, ხვანჯები, ლიქნა, გამცემლობა, ათასგვარი სხვა უმსგავსობა — საფლავის კარამდე მოგვდევნენ სვეგამწარებულებს. — მოსძებნე ერთი ეგ არამზადა, ედმუნდ. არას წააგვბ, იცოდე: შენ იცი, ფრთხილად. — აგერ კენტი გახდევნეს, გულმართალი, კეთილშობილი, რა დანაშაული მიუძღვის? — მხოლოდ-და მხოლოდ პატიოსნება. ჰმ, საოცარია!

(გადის)

ე დ მ უ ნ დ ი. ერთი წარმოუდგენელი სისულელე სჩვევია კაცთა მოდგმას: როგორც კი შეტრიალდება ჩვენი ბედის ჩარხი, ხშირად ჩვენივე უკუღმართობის წყალობით, — მზეს, მთვარეს ან ვარსკვლავებს ვდებთ ხოლმე ბრალს: თითქოს ჩვენი არამზადობა აუცილებლობით იყოს გამოწვეული, სისულელე — ციური განგებით; ქურდობა, გამცემლობა, ფლიდობა — სფერული პრედომინაციით, ლოთობა, ორბირობა მრუშობა — პლანეტარული გავლენებისადმი დაქვემდებარებით; ყოველგვარი ჩვენი სიავე, ღვთიურ განგებას მიეწერება; საუცხოოდ დაიძვრენ თავს, მაგალითად, მემრუშე კაცი: თავისი ხვადობის მიზეზად რომელიმე ვარსკვლავს დაასახელებს და მორჩა! მამაჩემი დრაკონის კუდქვეშ მიუდგა დედაჩემს, ჩემი დაბადება Ursa major¹ დაემთხვა, ესე იგი, უხეში ვარ მე და გარყენილი. რა სისულელეა! განა რაცა ვარ, იგივე არ ვიქნებოდრი, თუნდაც მთლად უმწიკვლო ვარსკვლავიც რომ ყოფილიყო ცარგვალზე ჩემი გაკეთებისას! — აგერ ედგარიც! ზუსტად დროზე არ გამოჩნდა ძველებური კომედიის კულმინაციისავით! უნდა გავითამაშო უმწარესი მელანქოლია, თომა ბელდამელისებური ოხვრა და სხვა.

(შემოდის ედგარი)

ე დ მ უ ნ დ ი. ოჰ, სწორედ ამ განხეთქილებას მოასწავებდნენ ეგ დაბნელებანი. ფა, სოლ, ლა, მი.

ე დ გ ა რ ი. რაო, ედმუნდ, რაღაც სერიოზული ჭკრეტიტა ხარ გართული, ჰა?

¹ Ursa major (ლათ.) დიდი ღათვის თანავარსკვლავები.

ედმუნდი. ერთ წინათქმაზე ვფიქრობდი, ძმაო. ამასწინათ ამოვიკითხე, თუ რა მოჰყვება ამ ეკლიპსებს.

ედგარი. რაო, მაგითა ხარ გართული?

ედმუნდი. მაგენ შედეგებს გვიქადის ძმაო, ვე წინათქმა, უბედურებას მოასწავებს: მშობლებსა და შეილებს შორის განხეთქილებას, სიკვდილიანობას, გოლგოთა-ნობას, ძველ მეგობართა შორის შუღლის ჩამოგდებას, სახელმწიფოს რღვევას, წყევლა-კრულვას, მუქარას მეფეთა და დიდებულთა მიმართ, უნდობლობას, უსაფუძვლოდ წამოჭრილს, კეთილმოყვასთა განდევნას, ლაშქართა დაშლას, ცოლქმრის გაყრას და კიდევ არ ვიცი, რას.

ედგარი. როდისხანია ასტრონომია დაიწყო?

ედმუნდი. კარგი, კარგი, ვე არაფერი; როდის ნახე მამაჩვენი უკანასკნელად?

ედგარი. გუშინდამ.

ედმუნდი. გესაუბრა თუ არა?

ედგარი. ჰო, ორ საათს მესაუბრა.

ედმუნდი. კარგ გუნებაზე დაგშორდა? უსიამოვნება ხომ არაფერი შეგიტყვია სახეზე, ან ლაპარაკში?

ედგარი. არაფერი, წარმოიდგინე.

ედმუნდი. მოიგონე, ხომ არაფერი გიწყენინებია მისთვის? ისე მე გირჩევდი, მოერიდო მცირე ხნით. სანამ გადაუვლის ვე მღელვარება. მეშინია, რამე არ მოგწიოს.

ედგარი. ვინმე არამზადამ თუ შემასმინა.

ედმუნდი. მეც მაგას ვშიშობ. გევედრები, მოერიდე მამას, სანამ ბრაზი დაუცხრება ოდნავად მაინც. თუნდაც, თუდო, წამომყვევი ჩემს ოთახში, მოგასმენინებ, თუ რას ამბობს შენზე; წამომყვევი, თუ გიყვარდე; ჰა შენ გასალები. ისე, თუ საზღვარგარეთ დააპირო გადახვეწა, იარაღი აისხი.

ედგარი. რაო, რაო, იარაღიო?!

ედმუნდი. ძმაო, მე მხოლოდ კარგი მსურს შენთვის. პატიოსნებას გეფიცები, ფარსავი არ უდევს გულში. რაც ჩემი თვალთ ვნახე და ჩემის ყურით მოვისმინე, იმას გეუბნები. თუმც ნახვარიც ვერ გითხარი ამ საშინელების გვედრები, მოშორდი აქაურობას.

ედგარი. მაშ, კიდევ შემეხშიანები?

ედმუნდი. ჰო, ჰო, აუცილებლად, დაგეხმარები კიდევ, რაც შემიძლია.

(ედგარი გადის)

ედმუნდი. აჰ, მალემწმენი მამაჩემი! ბუნებით ქველ ძმას ავი განზრახვა თვით იმდენად ეუცხოვება, რომ სხვათაგანაც არ მოელის. მე ვისარგებლებ მიაშიტური სიბრყვიითა და სვეს ვეწვევი თუმც დაბადებით ვერ ველირსე ბედნიერებას ჭკუით მოვიხვეჭე ყოველს, რაც მე შემეფერება.

ს ც ე ნ ა III

სასახლე ოლბენის მთაწრისა.

შემოდინ: გონერილ და მისი სახლთუხუცესი ოსვალდი.

გონერილ. მართალია, რომ მამაჩემმა სცემა ჩემს აზნაურს, ჩემს მასხარას რაღ უწყრებიო?

ოსვალდი. სწორია, მაღამ.



გონე რილ. დღისით თუ ღამით შეურაცხყოფს. და ყოველ წუთში ახალს და ახალს შეუწყნარებ საქმეებს სწადის, რითაც გვიშხამავს წუთისოფელს; მეტს ვერ მოვითმენ: თავი აიშვეს რაინდებმა, თავათაც გვერდავს ყოველ წერილმანზე. ნადირობით შინმობრუნებულს არ ვეჩვენები, უთხარი, რომ შეუძლოდა ვარ, თუ ყურადღებას შეასუსტებ მისდამი ოდნავ, კარი იქნება; შედეგებზე მე ვაგებ პასუხს.
(ბუკის ხმა მოისმის)

ოსვალდი. ბრუნდება უკვე, ქალბატონო, ხმა შემომესმა.

გონე რილ. გულგრილად შეხვდი: ცოტაოდენ აითვალწუნე, ხელშინაურთაც იგივე ჰქმნან. პასუხს მე ვაგებ. თუ შემოგვეწყრება, გაგაგზავნი ჩემი დის კარზე, რომელიც, ვიცი, იზიარებს განზრახვას ჩემსას, გვინდა მოვთხოვთ იგი ოდნავ. შლევგი მოხუცი, კვლავაც აპირებს სარგებლობას ძალაუფლებით, სხვას რომ დაუთმო. მოხუცნი ხომ ბალღნი არიან, რომელთაც მხოლოდ დაყვავება როდი უხდებათ, მკაცრი მოპყრობაც შეეღიოთ, როცა ჭირვეულობენ. დაიმახსოვრე ჩემი თქმული.

ოსვალდი. კეთილი, მადამ.

გონე დილ. მის რაინდებსაც აგრძნობინეთ ეგ გულგრილობა. ნურას უფრთხიან, ეგ ურჩივ შენს ხელქვეითებს. მე მსურს მიზეზი ვიქონიო შესაფერისი სალაპარაკოდ: შემდეგ მივწერ ჩემს დას პირდაპირ და გათავდება. მოეწაადეთ სადილისათვის.

(გადიან)

ს ც მ ნ ა IV.

დარბაზი იმავე სასახლეში

შემოდის კენტი, გადაცმული.

კენტი. უნდა ვიმარჯვო და შეეცვალო საუბრის კილო, ხმაც გარდავიქმნა; მაშინ კეთილ განზრახვას ჩემსას დაეგვირგვინებ წარმატებით. ხომ შევიცვალე გარეგნობა და ტალავარი — აწ, განდევნილო, თუ შეგწევს ძალი ემსახურო მას, ვინც დაგსაჯა, სათაყვანებელ ბატონს შენსას დაუდასტურე, თუ რა უზომო ერთგულებას გრძნობდი მისდამი.
(ბუკის ხმა კულისებში. შემოდინ: ლირი, რაინდები და მხლებელნი).

ლირი. არ მაცდევინოთ სადილისთვის არც ერთი წუთი. დააჩქარეთ რაც შეიძლება.
(გადის მხლებელი)

ოჰო! ვინა ხარ შენ?

კენტი. ადამიანი, სერ.

ლირი. რა ხელობისა ხარ? რა გსურდა ჩვენგან?

კენტი. ჩემი ხელობა ეს გახლავთ: ნიადაგ ვცდილობ ის ვიყო, რაც გარეგნულად ეჩანება; ერთგულად ვემსახურო მას, ვინც მომენდობა; მიყვარდეს პატიოსანი

კაცი; უთქმელი და ქვეიანი კაცი გავიამხანაგო; არაგის დაედო მსჯავრი, ვებ-
რძოლო როცა სხვა გზა არა მაქვს და არ ვჭამო თვეში.

ლი რ ი. მაინც, ვინა ხარ?

კ ე ნ ტ ი. ალაღ-მართალი ადამიანი, სერ, თან ხელმწიფესაგით ღარიბი.

ლი რ ი. თუ ისეთივე ღარიბი ხარ ქვეშევრდომის კვალობაზე, როგორც იგი ხელმ-
წიფის კვალობაზე, მართლაც ღარიბი ყოფილხარ. მაინც რა გსურდა?

კ ე ნ ტ ი. სამსახური.

ლი რ ი. ვის უნდა ემსახურო?

კ ე ნ ტ ი. თქვენ.

ლი რ ი. მიცნობ თუ არა მე?

კ ე ნ ტ ი. არა სერ, მაგრამ თქვენს გამოხედვაში ისეთი რამ არის, რასაც მე ბატო-
ნურს ვუწოდებდი.

ლი რ ი. მაინც რა?

კ ე ნ ტ ი. ძალმოსილება.

ლი რ ი. რა სამსახური შეგიძლია?

კ ე ნ ტ ი. რა შემიძლია და კარგი თათბირის მიწოდება, სირბილი, ცხენის ჭენება,
თავშესაქცევი ამბების მოყოლა ენაწყლიანად, უბრალო დაჯაღებების შესრუ-
ლება: რაშიაც ჩვეულებრივი კაცი მხოლოდ გამოსადეგია, მე იმაში დახელოვ-
ნებული ვარ. სიბეჯითეში კი ტოლს ვერაგინ დამიდებს.

ლი რ ი. რა ხსენისა ხარ?

კ ე ნ ტ ი. არც ისე ახალგაზრდა ვარ, სიმღერით შემაყვაროს ქალმა თავი, არც ისე
მოხუცი, სულ უმიზეზოდ გადამრიოს. ორმოცდარვა წელიწადი მკიდია ზურ-
გზე.

ლი რ ი. მაშ, გამომყვე. მემსახურე. თუ სადილის შემდეგაც მომიხვალ თვალში,
აღარ მოგიშორებ. — სადილი, აბა სადილი! ჩემი მასხარა სად არის ნეტავი?
წადი ერთი მასხარას მიხმე.

(გადის მხლებელი)

(შემოდის ოსვალდი)

ჰეი, შენ მეგობარო სად არის ჩემი ქალი?

ო ს ვ ა ლ დ ი. უკაცრავად...

(გადის)

ლი რ ი. რაო, რას ამბობს? აქ მოუხმეთ ერთი მაგ ზეპრეს.

(გადის რაინდი) — ეს მასხარა სადღა დამეკარგა, ჯა? ყველას გძინავთ, თუ რა-
შია საქმე?

(შემოდის რაინდი)

რაო, რა სთქვა მაგ უჯიშომ?

რ ა ი ნ დ ი. მილორდ, ავად არისო თქვენი ასული.

ლი რ ი. რად არ მობრუნდა ეგ მონა, როცა ვუხმობდი?

რ ა ი ნ დ ი. გადაჭრით მითხრა, სერ, არ მივბრუნდები.

ლი რ ი. ერთი ამას დამიხედეთ!

რ ა ი ნ დ ი. ვერ გამოვიდა, მილორდ, რა ამბავია? ჩემის აზრით, თქვენს უდიდებუ-
ლესობას აღარ ეპყრობიან აქ უწინდელის მოკრძალებით და პატივისცემით.
უყურადღებობა შეიმჩნევა არა მარტო უბრალო ხელშინაურთა შორის, თვით
ჰერცოგი და თქვენი ასულიც კი. გულგრილობას ამჟღავნებენ რატომღაც
თქვენდამი.

ლი რ ი. ჰმ! მაშ შენ აგრე გგონია?

რ ა ი ნ დ ი. მომიტყვეთ, მილორდ, თუ ვცდებოდე; მოვალეობის გრძნობა კი ვერ და-

დუმდება ჩემში, როდესაც ვამჩნევ თქვენი უდიდებულესობისადმი უმართებურ ღო მთაყვობას.

ერეკლე

ლიჩი. შენი ნათქვამი ჩემს ეჭვებს დაემთხვა. მეც ვამჩნევდი მათ ბედსა და მტრებსა რეოდენ გულგრილობას, რასაც ჩემსავე იტვიან ბუნებას უფრო მივაწერდი ხოლმე, ვიდრე შეგნებულ კადნიერებას მათის მხრიდან. დავუფიქრებდი კიდევ მატ ამბავს. ჰო, მაგრამ ეს მასხარა სად დამეკარგა? ამ დღეებში სულ აღარ გამოჩენილა.

ლიჩი. მასხარამ დიდად მოიწყინა მას აქეთ, რაც ახალგაზრდა ქალბატონი საუბრანგეთს წაბრძანდა.

ლიჩი. კარგი, გეყოფა მეც შევამჩნიე ეგ. — წადი, უთხარი ჩემს ქალიშვილს, საუბარი მსურს-თქო შენთან.

(გადის მხლებელი)

შენ კი წადი და ჩემი მასხარა მომგვარე აქ.

(შემოდის ოსვალდი)

ო, სერ, აქ მობრძანდით, სერ; ვინა ვარ მე თქვენის აზრით, სერ?

ოსვალდი. ჩემი ქალბატონის მამა.

ლიჩი. „ქალბატონის მამა“, ჰა? მაშ, ბატონის ტაკიმასხარა, ჰა?

უჰ, შე გახების ნაშობო, შე მონავ, შე წუწკო!

ოსვალდი. უკაცრავად, მილორდ, მე არც ერთი გახლავართ, არც მეორე, არც მესამე.

ლიჩი. როგორ თვალის გასწორებასაც მიბუდავ, შე არამზადავ, შენა!

(სცემს)

ოსვალდი. მე არ ვიმსახურებ ცემას, მილორდ.

კენტი. იქნებ არც წაქცევას იმსახურებ, შე დოყლაპია ფეხბურთელო, შენა!

(სარმით აგდებს მიწაზე)

ლიჩი. გმადლობ, გმადლობ, მეგობარო; კარგი სამსახურისთვის მუდამ მეყვარები.

კენტი. ადექი, სერ, ადექი და გასწი აქედან! მე შენ გასწავლი, ვისთან როგორ უნდა გეჭიროს თავი. გასწი, გასწი-მეთქი აქედან! თუ კიდევ გინდა გაგაზომინო სოხანე, დარჩი. წადი, წადი, შეილოსან, შენ გზას ეწიე; თუ გაქვს თავში ჭკუა, ჰა? აი, ასე!

(კინწისკერით აგდებს ოსვალდს)

ლიჩი. გმადლობ, ძმობილო, გმადლობ, ჰა შენ სამსახურისთვის.

(აძლევს ფულს)

(შემოდის მასხარა).

მასხარა. მოდი, მეც დავიჭირავე მამას. ჰა, შენ ჩემი ჩაჩი.

(აწვდის კენტს თავის ქუდს)

ლიჩი. ოჰო, ჩემო კოხტა ბიჭო, როგორა ხარ, სად დამეკარგე?

მასხარა. ძმაკაცო, გამომართვი ერთი ეს ჩაჩი.

კენტი. ვითომ რათაო, მასხარავ?

მასხარა. რათაო და მისი მხარე გიჭირავს, ვისაც აღარა სწყალობენ. იცი, რას გეტყვი, ქარისთვის ნუ შეგიშვებია ეგ ცხვირი, თორემ გაცივდები: ჰა შენ ჩემი ჩაჩ-ბიბილო. მოგიხდება დაგხატავს. აი, ამ ყმაწვილმა გააძევა თავისი ორი ასული, მესამე კი, იძულებული გახდა დაელოცა. თუ კი შენ მამას შესდგომიხარ, ნამდვილად შენზე ყოფილა გამოჭირილი ეს ჩემი ჩაჩი. — უჰ, ბიძაჩემო, ნეტავი ორი ჩაჩი მომცა და ორიც ქალიშვილი.

ლიჩი. რად გინდა, ჩემო ბიჭო?

მასხარა. რათა და მთელ ქონებას იმათ დაეურიგებდი და ჩაჩებს კი ჩემთვის დავიტოვებდი. პა შენ ერთი ჩაჩ-ბიბილო. მეორე შენს ქალებს მოსთხოვე.

ლირი. მათრახს უფრთხილდი, შეილოსან!

მასხარა. ეპ, სიმართლეს ხომ ჯაჭვის ძაღლივით, მათრახით აგდებენ ნიადაგ სახლიდან, ოთახის ძუკნა კი ცეცხლის პირას წევს და ყარს.

ლირი. ირიბად გადმოშვრა.

მასხარა. გინდა ერთი ლექსი გასწავლო?

ლირი. მოდი.

მასხარა. დაუგდე ყური, ძიაკაცო:

სარჩო რაც უფრო მეტი გაქვს, ნაკლები ჰქენი ხარჯები,
როდესაც ბევრი რამ იცი, სიტყვით ნუ დაიხარჯები,
გასესხებისას ნელნელა შემოიჭირე ხვანჯრები,
ცხენით იარე ხშირსშირად, ფეხით ნუ გაისარჯები.
შემოინახე მეტი და ნაკლები ჰფანტე ქარშია
სმა მიატოვე ღვინისა, შვებას ნუ ჰხედავ ქალშია,
სახლში დაჯექი ჭკვიანად, ნულა გამოსვალ კარშია
მაშინ გეჭნება იმდენი, რაცა გაქვს გულისთქმაშია.

კენტო. არაფერი არ ყოია მაგაში, მასხარაე.

მასხარა. აბა ეგ უგასამრჯელო ვეჭილის ქმენასავით ყოფილა; არც თქვენ მადლვეთ მაგაში არაფერს. განა არაფერი არაფერში არ გამოგადგება, ბიძაჩემო?

ლირი. არა, შეილო, არაფერი მხოლოდ არაფერს შეიქმს.

მასხარა. (კენტს ეუბნება) მოდი უთხარი მაგას, რომ ზუსტად მაგდენსვე შეიქმს მაგისი მამულის შემოსავალი, მასხარას არ დაუჯერებს, თორემ მე ვიტყოდი.

ლირი. აყუია სულელი.

მასხარა. აბა თუ იცი, ჩემო ბიჭო, რა განსხვავებაა ავ სულელსა და კეთილ სულელს შორის?

ლირი. არა, საყვარელო. მასწავლე ერთი.

მასხარა. რომელმა შლევამაც გირჩია

ძალაუფლების დათმობა,
ამომიყენე გვერდშია,
არც ჭკუა აქვს და არც გრძნობა,
ავი და კარგი სულელი
ნეტავი რამ შეჰყარაო,
ერთს ჭრელი ჩაჩი ახურავს,
ხოლო მეორეს — არაო (უთითებს ლირზე).

ლირი. მაშ, სულელსაც მიწოდებ, ბიჭო?

მასხარა. ყველა სხვა წოდებები დაარიგე, ეგ ერთი კი თანდაყოლილია.

კენტო. ეს მთლად სულელი როდი ყოფილა, მილორდ.

მასხარა. სხვა არა იყოს რა, დიდკაცები და ლორდები არ დამრთავდნენ მაგის ნებას. სისულელეზე რომ მონოპოლია მქონოდა, შემეზიარებოდნენ ალბათ, თავის წილს მომთხოვდნენ. წარჩინებული მანდილოსნებიც არ დამანებებდნენ, ალბათ, სისულელის მთლიანად მითვისებას, ისინიც წამგლეჯდნენ რაიმეს. ერთი კვერცხი მომეცი, ბიძია, და ორ გვირგვინს მოგცემ სამაგიეროდ.

ლირი. მაინც რა გვირგვინებს?

მასხარა. აი რა გვირგვინებს: კვერცხს შუაზე გაეჭრი, კვერცხის გულს შევჭამ, ნაჭუჭს კი ორად გავყოფ, ესეც შენ ორი გვირგვინი. როდესაც შენ შენი გვირგვინი შუაზე გაჰყავი და ორივე ნაწილი გაეცი, მაშინ შეისვი ზურგზე შენი ვირი და მას აქეთ ტალახში დატოპავ: მაგ მელოტ გვირგვინში, როგორც სჩანს

ალარაფერი გიყრია, რაკი ოქროს გვირგვინი სხვას დაუთმე. ჩემს სისულელეს თუ შეეფერებოდეს ეს ნათქვამი, გაამათრახეთ, ვინც პირველად შენიშნოს მშ-

(მღერის)

ალარავის სჭირდება სულელები დღეიდან,
ბრძენკაცნი გასულელდენ, ალარაფერს სწუნობენ,
ჭკუას ველარ იხმარენ, დაგვარგათ ზეირი,
თავგზაარეულები ხტიან, მაიმუნობენ.

ლირი. როდისხანია გამოტენილხარ მაგ სიმღერებით, ყმაწვილო?

მასხარა. მას აქეთ რაც შენ დედებად გაგიხდია შენი ქალიშვილები.

შენ რომ მაგათ წკნელი მიეცი ხელში და თვითონ შარვალი ჩაიძრე, მაშინ მათ სიხარულისგან, იცი, რა ჰქნეს? რა და:

აფრქვიეს ცრემლი მდუღარე,

მე კი ავმღერდი მწუხარე,

რო ჩემი მეფე გამხდარა

საბრალო ტაკიმასხარა.

გვეედრები, დამიჭირავე ოსტატი შენს მასხარას, ტყუილის თქმა მასწავლოს, ძლიერ მინდა ტყუილებში გავიწაფო.

ლირი. ტყუილებისთვის გაგამათრახებთ, შვილოსან.

მასხარა. ვერ გამიგია, რა ჯურისანი ხართ შენ და შენი ქალები: ისინი სიმართლის თქმისთვის მიპირებენ გამათრახებას, შენ კი ტყუილებისთვის მიმუქრები მათრახით. ხანაც იმიტომ მამათრახებთ, რას გაჩუმებულხარო. ეჰ, სხვა რამე მაინც გამოვსულიყავი, ეს მასხარაობა რა ჯანდაბად მინდოდა! ისე კი, გამოგიტყდები, ბიძია, შენ მაგიერობას მაინც არ ვისურვებდი. შენ შენი ჭკუა ორად გაჰყავი და ორ კოლოფში ჩასდევნი, ასე რომ შუაში ალარაფერი დაგჩა. — აი, ერთერთი კოლოფიც გამოჩნდა.

(შემოდის გონერლი).

ლირი. რაო, ასულო, რად შეგეკრავს წარბები? ამ დაბოლოს დაგრემდა რატომღაც მოღუშულობა.

მასხარა. აი, ბიჭიც მაშინ იყავი, როცა არ დაეძებდი მაგის მოღუშულობას თუ გაბადრულობას. ესლა რაღა ხარ? ცარიელი ნოლი ხარ, ურიცხვოდ დარჩენილი; მეც კი გჯობივარ ესლა: მე მასხარა მაინცა ვარ, შენ კი ალარაფერი ალარა ხარ. (გონერილისადმი) დიახ, ყოველ მიზეზგარეშე, ხმას ჩავიკმინდავ, დიახ, აგრე მიბრძანებს თქვენი გამოსედვა, თუმც კი არას მეუბნებით. სუს! სუს!

ალარც ქერქი გაქვს და ალარც გული,

ხარ პირში ჩალაგამოვლებული.

აი, გაყოფილული პარკილობით (უთითებს ლირზე).

გონერი. სერ, განა მართო ეგ მასხარა, რომელსაც დართეთ

ყველაფრის ნება, სხვა წვერებიც თქვენი ამაღის,

გაკადნიერდნენ, აყალ-მაყალს სტეხენ ნიადაგ,

რითაც გველვა თმობის ღონე. სერ, მე ვფიქრობდი,

ოდეს გამცნობდით ყოველივეს, თქვენში ვპოვებდი

თანამდგომს შლეგთა ალაგმვაში; მაგრამ აწ ვშიშობ,

იმის მიხედვით, რაც გითქვამთ და ჩაგიდენიათ,

რომ თქვენც ემხრობით და იწონებთ მაგვარ საქციელს.

რაკი აგრეა, თავად უნდა ვიღონო რამე,

რათა აღვკვეთო უმსგავსობა და აღვადგინო



კარზე წესრიგი. სახელმწიფოს კეთილდღეობა მოითხოვს ამას, ეგ თქვენივე დამცირებაა, უნდა ავლაგმით მყუდროების ჩვენი დამრღვენი, უცილობლობა ითხოვს ამას და თან სიფრთხილე.

მ ა ს ხ ა რ ა. აბა რა გველანა, ბიძია:

ჩიტმა გუგული გაზარდა, და გაიხარა სწორადო, წამოიზარდა გუგული, თავი გაუტო ჰრადო.

ახე რომ, ჩაქრა სანთელი და დაერჩით ყველანი სიბნელეში.

ლ ი რ ი. ხარ თუ არა შენ ჩვენი ქალი?

გ ო ნ ე რ ი ლ. სერ, ყური მიგდეთ:

მე იმედი მაქვს, რომ თქვენ განჭვრეტთ მდგომარეობას ჩვეულის სიბრძნით, და დასთრგუნაეთ ბოლოსდაბოლოს უგუნებობას და სიფიცხეს, რამაც ბოლოჟამს მთლად გამოგცვალათ.

მ ა ს ხ ა რ ა. ამა ვირს რაღა დარჩენია, როცა ორბორბალაში ცხენს შეუბამენ? აიე, ვირო ძალიან მიყვარხარ!

ლ ი რ ი. მიცნობთ თუ არა, ირგვლივ მყოფნო? — ლირი ვარ განა?

ეს სიარული, საუბარი, ან თვალთახედვა, განა ჩემია? დამისუსტდა იქნებ გონება, აღქმის უნარი დამეზანგა? თუ სიზმარში ვარ? აბა ვინ მეტყვის, ვინა ვარ მე?

მ ა ს ხ ა რ ა. ლირის აჩრდილი.

ლ ი რ ი. ეგ მსურს შეეიტყო, ხელმწიფობა, გრძნობა-გონება, მცდარ აზრს მაწვდიან: მე მყოლია თითქოს ქალები.

მ ა ს ხ ა რ ა. რომელთაც სურთ იყოლიონ გამგონე მამა.

ლ ი რ ი. თქვენი სახელი, ქალბატონო?

გ ო ნ ე რ ი ლ. ეგ განცვიფრება სხვა ოინებს ჩამოჰგავს თქვენსას, რომელთაც ეგზომ ხშირად აწყობთ: დაბეჯითებით გთხოვთ შეისმინოთ ჩემი აჯა, სწორად გამიგოთ, საკრძალავი ხარო და მსცოვანი, ამადაც გმართებთ გონიერება. თქვენ ინახავთ ასამდე რაინდს, გაზულუქებულ, თავაწყვეტილ ადამიანებს, ეგ ჩვენი კარი აირია მათი აქ ყოფნით, როგორც დუქანი. ლოთობა და მემრუშეობა მას უფრო მეტად ამსგავსებენ ფუნდუკს ან ბორდელს, ეიდრე სრა-სადგომს. ეს სირცხვილი თავად მოითხოვს შკაცრ განქიქებას: ამადაც გთხოვთ, რომ დამანებოთ, თუმც შემოძლია წაგახმარო თხოვნას ბრძანება, რომ შევამცირო ოდენობა თქვენის ამალის, და თუ დავტოვებ ვისმეს, ლირსნი დავტოვო მხოლოდ, ისეთი ხალხი, ვინც თქვენს ასაკს შეეფერება, თავდაჭერილნი და ცნობილნი.

ლ ი რ ი. ეშმაკეულო!

უხმეთ ამალას, დაეკაზმეთ სამგზავროდ ყველა, სულთ მახინჯო ნაბუშარო, თავს არ შეგაწყენ, მე კიდევ დამარჩა ქალიშვილი და მასთან წავალ!

გ ო ნ ე რ ი ლ. ჩემს მსახურებს სცემთ, თავგასული თქვენი მსლებლები სჩაგრავენ მათ და იმონებენ!

(შემოდის ოლბენი).

ლირი. რა დროს შევიგნე უბედობა. (ოლბენისადმი)

სერ, თქვენც აქა ხართ?

თქვენც ეთანხმებით? მითხარით სერ! ცხენები-მეთქი!

უმაღურებაჲ, მე უძღებო, გულქვა დემონო,

ზღვის ურჩხულებზედ საზარელი სახე გაქვს მაშინ,

როდესაც შეილის გვანში სახლობ!

ოლბენი. სერ, გთხოვთ, დაწყნარდეთ.

ლირი. მურდალო სვავო! უსინდისოდ სცრუბ კიდევაც:

ჩემი ამაღა რჩეულთაგან არის შემდგარი,

ჩემნი მზლებელნი ღირსთა შორის ღირსნი არიან,

მოვალეობის აღმსრულებნი, ბეჯითნი, ზრდილნი,

და საკუთარი ღირსებისთვის თავდადებულნი.

იმ მცირე ხინჯმა რად გიცვალა აგრე იერი,

ო, კორდელია! მეცხეველად რად აღმაშფოთა,

რად შემძრა აგრე? გამოსტაცა გულს სიყვარული,

სული აღმივსო სიმწარითა! აჰ, ჩემო თავო,

რა გზით შევიდა ამ კოლოფში ეგ სისულელე (თავში ხელს იცემს).

და მთელი სიბრძნე გამოსდენა! — მომყვებით, ჰეი!

ოლბენი. მილორდ, გარწმუნებთ, უბრალო ვარ და არც კი ვუწყი, რამ აგადელეათ.

ლირი. შესაძლოა ვერა, მილორდ. —

ისმინე ჩემი, ჰე ბუნებაჲ! შენაც, ჭალდმერთო!

გადაიფიქრე, თუ გქონია ოდესმე ზრახვა

ამ არსებობისთვის შთამომავალთ მინიჭებისა!

ბერწად აქცევდე საშოს მისას სამარადისოდ,

დაუკარგავდე მუცლადლების უნარს სრულიად.

ძალგამოცლილი, გვამი მისი ნურაოდეს შობს

მისდა საშვებლად შთამომავალს, და თუ მოჰმადლებ,

ნაღველისაგან უქმენ შვილი, რომელიც შემდგომ

უღვთოდ გასტანჯავს, მოუშამავს საწუთროებას,

ღრმა ნაოჭებით დაუხაზავს ყმაწვილურ შუბლსა

და ცრემლთაღენით დაუღარავს ღაწვებს ნიადაგ.

დე, მის დედობრივ ურვა-წუნილს მაღლობის ნაცვლად

ზიზღს და დაციწავს მიაგებდეს, — რათა შეიტნოს,

რომ გველის შაშარს ნაკლებ მძაფრი ტკივილი მოსდევს,

ვიდრე უმაღლო შვილის ყოლას. — წავიდეთ, ჰეი!

(გადის)

ოლბენი. ჰოი, ღმერთებო, საიდან მოდის ეგ ყოველივე?

გონერი. ნულარ დაეძებთ მაგის მიზეზს. დე, იბობოქროს,

რამდენიც სურდეს. სიბერეში დაჰკარგა გონი,

ეგ არის და ეგ.

(შემოდის ლირი).

ლირი. მაშ, ორმოცდაათ მზლებელს ჩემსას გასწორებისარ ამ ორ კვირაში!

ოლბენი. სერ, მიბრძანეთ რაშია საქმე?

ლირი. გამცნობთ ახლავე. (გონერილისადმი) ვით გაჰბედე?! მე მერცხვინება

ჩემის კაცობის შელახვისთვის რომ შეგწვეს ძალი.

განა ღირსი ხარ ამ ცრემლები, რომ გადმოსჩქეფენ

ჩემთა თვალთაგან უნებლიედ?! — დაგსეტყვოს ზეცამ!



შეუხორცებელ ნაბრძვილებად მოგედოს ტანზე
წყველა მამისა! ო, იყურეთ, ჩემო თვალებო,
ო, ნულარ მოსთქვამთ, ნულარ ალტობთ ცრემლებით მიწას,
თორემ მოგთხრით და შორს გაგტყორცნით. აგრე უნდოდა?
არაფერია, კიდევ დამჩა მეორე ქალი,
კეთილშობილი, მოყვარული, ნებისმყოფელი,
და რა შეიტყობს შენს საქციელს, ვიცი, ფრჩხილებით
დაგისასიწრებს მაგ მგლურ სახეს. დამაცა ცოტა,
კვლავაც შივილებ იმავე სახეს, შენის ფიქრით, რომ
დავკარგე თითქოს სამუდამოდ. დამაცა ცოტა!

(გადიან ღირი, კენტი და ამაღა)

გო ნ ე რ ი ლ. სერ, როგორ მოგწონთ?

ო ლ ბ ე ნ ი. გონერო, მე არ შემიწევს ძალი,

თუმც კარგად იცი, რაოდენ დიდ სიყვარულსა ვგრძნობ...

გო ნ ე რ ი ლ. კარგი, სერ, კარგი. რაო, ოსვალდ, რა ამბებია? (მასხარასადმი)

შენ კი, უფრო არამზადავ, ვიდრე მასხარავე, მიჰყევ შენს პატრონს!

მ ა ს ხ ა რ ა. მოიცა, ბიძია, მოიცა, თან გაიყოლე შენი მასხარაც.

მეღა მაზეში გაბზული

და ასეთი მეფისწული

წუთით არ უნდა აცოცხლო

უნდა დაჰკრა თავში ცული.

იქნებ ამ ჩაჩით ვიყიდო

მაგისი სახრჩობელაო,

წავიდა თქვენი მასხარა

კარგად მეყოლეთ ყველაო!

გო ნ ე რ ი ლ. ამ კაცმა კარგად მოისაზრა: ასი რაინდი!

განგებ მოგვიწყო ასეთი რამ: აქ ინახავდა

ასამდე რაინდს მზადყოფნაში, შესაძლო იყო

ყოველ დათრობას, ყოველ ცქაფვას, ჭირვეულობას,

თან მოჰყოლოდა ფათერაკი; მათზე დაყრდნობით,

მუდამ თავისას გაიტანდა სურვილისამებრ,

და ჩვენც საფრთხეში ვიქნებოდით; ოსვალდ, სადა ხარ?

ო ლ ბ ე ნ ი. უმართებულო შიშია, და სხვა არაფერი.

გო ნ ე რ ი ლ. დანდობილობას სიფრთხილე სჯობს. მე მირჩევნია

დროზე აღმოვფხვრა ყოველივე, რაც ავს მიქადის,

ვიდრე ახდება ჩემი შიში: ვიცნობ მაგის გულს.

მაგის ნათქვამსაც მივწერ ჩემს დას დაწერილებითა,

და თუ კი მაგას შეივრდომებს რაინდებითურთ,

მაშინ როდესაც მე უარვყავ —

(შემოდის ოსვალდი).

აქა ხარ, ოსვალდ?

უკვე დასწერე ჩემი დისტვის ბარათი, ოსვალდ?

ო ს ვ ა ლ დ ი. დაწერე მადამ.

გო ნ ე რ ი ლ. აბა სამგზავროთ დაეკავსე ორიოდ მხლებლით,

შეატყობინე ჩემს დას ჩემი შიშის მიზეზი,

თანაც დასძინე საკუთარი მოსაზრებანი,

რათა დარწმუნდეს უკეთესად. გასწი ახლავე;

მაღე მობრუნდი. (გადის ოსვალდი) მე ერთ რამეს



გეტყოდით, მილორდ:

ეგ უგერგილო სათნოება, ეგ თქვენი გეზი,
მომიტყვეთ და არ შეგფერით. მე თქვენ გარწმუნებთ,
გონიერება კაცში უფრო საქებარია,
ვიდრე მაგგვარი სირბილე და უხერხემლობა.

ო ლ ბ ე ნ ი. ვშიშობ სიფრთხილედ არ აღმოჩნდეს შედმეტი ბარგი
და უკეთესის ძიებაში არ წახდეს კარგი.

გ ო ნ ე რ ი ლ. იცით რას გეტყვით —

ო ლ ბ ე ნ ი. კარგი, კარგი, ენახავთ შედეგებს.

ს ც მ ე ა V. ეზო იმავე სასახლეში.

(შემოდინა ლირი, კენტი და მასხარა).

ლ ი რ ი. წახალ და გლოსტერს ჩააბარებ აი, ამ წერილებს. არაფერი აცნობო ჩემს
ქალიშვილს გარდა იმისა, რაც მანდ სწერია. თუ თავათ შეგგკითხოს რაიმეს
მაგ ბარათის წაკითხვის შემდეგ, უპასუხე. თუ არ იქპარებ, იცოდეთ რომ მე
ჩაგისწრებ.

კ ე ნ ტ ი. თვალს არ მოვხუჭავ, მილორდ, სანამ თქვენს წიგნს არ მივიტან დანიშნულ
ადგილას. (გადის)

მ ა ს ხ ა რ ა. კაცს რომ ქუსლებში ჰქონოდა ჭკუა, გაუნდებოდა კი ზედ კოფრები?

ლ ი რ ი. კი ჩემო ბიჭო.

მ ა ს ხ ა რ ა. აბა გიხაროდეს: შენმა ტვინმა ნიადაგ ფეხშიშველამ უნდა იაროს.

ლ ი რ ი. ჰა, ჰა, ჰა!

მ ა ს ხ ა რ ა. ნახავ, როგორ შეპარავით შეგადნება ენაზე შენი მეორე ასული; ვაშლი
არა ჰკავს ისე მაქალოს, როგორც ეგ ორნი ჰგვანან ერთმანეთს. არა, მაინც
უნდა გითხრა, რაც გულში მიდევს.

ლ ი რ ი. რაო, რა გიდევს გულში?

მ ა ს ხ ა რ ა. თუ გაკბიწავ, ერთი გემო ექნება ორივეს. აბა თუ იცი, კაცის ცხვირი
ზედ შუაგულ სახეზე რადა აქვს?

ლ ი რ ი. არა.

მ ა ს ხ ა რ ა. რათა და თითო მხარეს თითო თვალი რომ იყოლიოს დარაჯად. რაშია
კაცი ცხვირს ვერ ჩაჰყოფს, თვალი ჰკიდოს მაინც.

ლ ი რ ი. რა უმართებულოდ მოვიქცევი...

მ ა ს ხ ა რ ა. აბა თუ იცი, ხამანწყა როგორ იკეთებს ნიჭარას?

ლ ი რ ი. არა.

მ ა ს ხ ა რ ა. არც მე ვიცი ეგ. იმას კი გეტყვი, ლოკოვინას რადა აქვს სახლი.

ლ ი რ ი. რათაო?

მ ა ს ხ ა რ ა. რათა და თავის შესაყოფად. თავის ქალიშვილებისთვის მისაცემად კი
არა აქვს, თავის დაღორწილი რქების შესაყოფად.

ლ ი რ ი. პირდაპირ, ველარ ამიტანია! — მამას და, როგორ მამას! მზად არის თუ არა
ჩემი ცხენები?

მ ა ს ხ ა რ ა. შენი ვიერები წაყვინდნენ მათ მისახედათ. ისე კი, ჩემს გარდა არავინ იცის,
შვიდი ვარსკვლავი რატომია შვიდი.

ლ ი რ ი. იმიტომ რომ შვიდია და არა, რვა ხომ?

მ ა ს ხ ა რ ა. სწორია. კარგი მასხარა იქნებოდი შენ.

ლ ი რ ი. ჰმ, ძალით დამიპირა წართმევა! — რა უმადურობა! რა სიმხვეცი!

მ ა ს ხ ა რ ა. შენ ჩემი მასხარა რომ ყოფილიყავი, ბიძია, გაგამათრახებდი, ასე უდ-
როოდ რომ დაბერდი.

ლ ი რ ი. ვითომ რათაო?

მ ა ს ხ ა რ ა. რათა და არ უნდა დაბერებულიყავ, სანამ არ დატკვიანდებოდი.

ლ ი რ ი. ლამის ტკუაზე შევიშალო ჰოი, ზეცაო, მწედ მექმენი!

(შემოდის აზნაური)

რაო, მზად არის ცხენები?

ა ზ ნ ა უ რ ი. მზად გახლავთ, მეფევე ბატონო.

ლ ი რ ი. წამოდი, ჩემო ბიჭო.

მ ა ს ხ ა რ ა. ვინც ქალიშვილი ბრძანდებით და მე დამცინით დღესაო.

დაჰკარგავთ ქალიშვილობას, გულს აღმოხდება კვნესაო.



იოკან პოლჰანგ გოთა

შესრულდა 220 წელი გენიალური პოეტისა და მოაზროვნის გოთეს დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით რედაქცია მკითხველს სთავაზობს პოეტის ლექსების ახალ თარგმანებს, შესრულებულს ცნობილი მთარგმნელის აკაკი გოლოვანის მიერ.

მ ს გ ა ვ ს ე ბ ა

(„მგზავრის მწუხრის სიმღერა“)

მდუმარებენ მწვერვალები,
ხის კენწეროც დუმს,
აღმართი ვერ აგივლია,
ველარ ითქვამ სულს.

მწვანე ტყეში მწუხრი წვება,
ჩიტიც არა სტვენს,
ცოტა ხანი მოითმინე,
მოისვენებ შენც.

აკომათი

ო, დიდო ზეესო, დაბურე ზეცა
მწუხრის ნისლით და შავი ღრუბლებით,
და ისარგებლე მაღალ ოლიმპზე
ნარის მკაფავი ბავშვის უფლებით.
თავს დაატეხე მესი მწვერვალებს,
გლვით დაღეწე მძლავრი მუხები,
ოღონდ მომეცი მე ჩემი მიწა
და დამიტოვე მე ხელუხლები
ჩემი ქოხმახი, რომელიც, ზეესო,
შენმა მარჯვენამ არ ამიშენა,
კერა და ცეცხლი, რამაც აგავსო
ბრაზით, შურით და ბალღამით შენა!

ჰოი, ღმერთებო! თქვენზე ღატაკი
მზის ქვეშ არავინ არ მგულებს!
თქვენ ხომ საკვებად საკმევლის კვამლსა
და მსხვერპლის ნარჩენს გაძლევთ ბუნება!

და თქვენ შიმშილით ამოწყდებოდით,
დაიმსხვრეოდა თქვენი უღელი,
რომ ეს ბაღლები და მათხოვრები
არ ყოფილიყვნენ ასე სულელი.
ჯერ კიდევ ბავშვი, უბნური და
გამოუცდელი,
დაფანტულ მზერას მზეს ვაპყრობდი
ვედრებით მაღლა.

ოითქოს იქ იყო ყური,
ჩივილს რომ მომლაშენდა,
გული, რომელსაც
სხვათა ტანჯვა ჩაჰყვება ნაღვლად.
მე ვინ მიშველა, როს შევმართე
შებმა ტიტანებს?
სიკვდილს, კაეშანს და მონობას
ვინ განმარიდა?

ო, ცეცხლოვანო გულო, ეს ხომ
შენ აიტანე,
შენ გამოხვედი ყველა საფრთხის
ნიაჭქარიდან.
მეზნებარე ჭაბუკს ველარ გძლევდა
მწუხრი და სევდა,
მაგრამ მოტყუვდი! ზეცას სთხოვდი,
ზეცა კი თვლემდა.

შენ თაყვანი გცე? და მერე რისთვის?
განა დაღდასმულს დაუყურე ტკივილი
მწველი?

განა ოდესმე ზარდაცემულს
შეაშრე ცრემლი?
ვინ გამოჰქედა ჩემგან ტიტანი?
დრომ ყოვლის შემძლემ, რაც ყველაფერს

ქმნის და ალაგებს,
და ბედისწერამ მარადიულმა,
რაიც ორივე ჩვენგანს განაგებს

ხომ არ გგონია, დაეტოვებ სოფელს,
სადმე უდაბნოს შეეხიზნები,
რაკი ტკბილ ნაყოფს ველარ იღებენ
ჯერაც ოცნების ყველა კვირტები?

მე აქა ვზივარ და ვძერწავ ისე
ჩემივე სახის ადამიანებს,
ვისაც ჩემსავით ატკბობს ცხოვრება,
ტანჯვა ჩემსავით აღარდიანებს,
შენ კი ჩატვლიან, ზევსო, არარად,
როგორცა გთვლიდი მე თვითონ მარად.

კ ა უ ი ზ ს

ქაფიზ, შენ რომ შეგადარო თავი,
სისულელე იქნებოდა სწორედ!
ზღვის ტალღებში მისრიალებს ნავი
და ესწრაფვის უსასრულო შორეთს.

სასტიკ ქარში გაუშლია აფრა,
ამაყად და გაბედულად მიჰქრის,
ოკეანის ტალღა მზუის მძაფრად
ძველი ნავი მაინც ქედს არ იხრის.

მსუბუქი და სწრაფი სიმღერებით
გრილი ზვირთი მარწყვს აღმა-დაღმა,
ხან შედება ცეცხლის ძლიერებით
და პირს აღებს მოგუგუნე ტალღა.

მაგრამ რაღაც ქედმაღლობის განცდას
უძლევია, მე რომ ელდა მეცა:
სიზმრად ვხედავ მზიურ მზარეს, სადაც
მიცხოვრია, მყვარებია მეცა.

მ ს გ ბ ვ ს ე ბ ა

ოდესღაც ველზე მე მოეწვეიტე ქორფა ყვავილი,
შინ მოგიტანე, ავისრულე გულის წადილი,
ხელების სითბომ საცოდავი ველარ ახარა,
ყველა ფოთოლი და გვირგვინი დაბლა დახარა.
მაშინ მინაში მოვაქციე ასე ენებული,
და რომ იცოდეთ, როგორ დავრჩი გაკვირვებულნი!
თავი ასწია, გაიხარა გვლავ მზის ამოსვლით,
ხელახლა ტურფად შეიმოსა მწვანე სამოსით.
ისე ჯანსაღად ფეთქავდა და ელფერს იცვლიდა,
თითქოს იყრიდა ყლორტებს ახლად შშობელ მიწიდან.

სწორედ ასეთი განცდა მქონდა პანგთა ფენაზე,
ჩემი სიმღერა რომ მესმოდა უცხო ენაზე.

მ ი ნ ი ო ნ ი

ვინც ნახა ღელვა ვნებათა,
მან ჩემი ტანჯვაც იცის!
რაც სიხარული მებადა,
ამ ობლობაში იწვის.
დამდგარან მთებზე მთებადა
ზღვარნი ცისა და მიწის.

შორს არის წყარო შეებათა —
სანდო, ერთგული ფიცის.
თვალეში ცრემლი შრება და
ჩემი გულ-ღვიძლი იწვის.
ვინც ნახა ღელვა ვნებათა,
მან ჩემი ტანჯვაც იცის.

პ ი ჰ რ ა

ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი იმსხვრევიან,
ცახცახებენ სამეფონი და ტახტები ირყევნიან,
გაიქეცი, თავი შენი აღმოსავლეთს შეაფარე,
სუფთა პაერს არ მოგაკლებს წინაპართა წმინდა მხარე,
სამეფუო სიყვარულის, ღვინისა და სიმღერისა —
სიტკბოეებს მოგანიჭებს წმინდა წყარო ქიზურისა.

გულით მინდა ვნახო მისი სიწმინდე და სამართალი,
გულით მინდა კაცთა ტომის პირმშო შეილად ჩანათვლი
დასაბამის ღრმა წილში მეც შევიტრა გაშლილ მკერდით,
იქ შევიტრა, სადაც ხალხებს შეუცნიათ სიტყვა ღმერთის
და იმგვარად უსწავლიათ ცის მოძღვრება მიწის ენით,
არ უცდიათ თავის ტეხვა ვერაგობის ავი სენით.

სადაც ლაღი ჭაბუკები პატივს სცემდნენ მამებს მარად,
უცხო კაცის სამსახური აკრძალულა მთად და ბარად,
სიყმაწვილის აღმაფრენით მსურს ვალხინო გული მართო:
აზრი არის მეტად ვიწრო და რწმენა კი მეტად ფართო.
მსურს გავიგო, რარიგ დიდი ფასი აქონდა მუდამ სიტყვას,
რადგან სიტყვა კაცმა თქვა და კაცის პირით უნდა ითქვას.

მინდა მწყემსებს შევერიო, ვინაგარდო მთად და ბარად,
ოაზისთა ჩრდილში დავწვე მოსასახამის ანაბარა,
მეც ვიწვალო ქარავენთა ტანჯვითა და წვალუბითა,
მეც ვივატრო მუშკით, ამბრით, ყავითა და შალუბითა.
მინდა ვნახო და ყოველი გზა-ბილიკი შევაჯერო,
უდაბნოდან ქალაქამდე მუხლი არსად შევაჩერო.

კლდეში გაბმულ უნდო ბილიკს უცნაური ძლიერებით
ამშვიდებენ, ჰაფიზ, შენი ჯადოსნური სიმღერებით,
როცა მღერის ჯორზე მჯდარი წინამძღოლი აღტაცებით,
და შორს ისმის პანგი მისი, მქუხარე და ზარდამცემი,
ვარსკვლავები იღვიძებენ, მღერის ისე გალალებით,
რომ ქარავენის სავალ გზაზე შეაშინოს ყაჩაღები.




დუქნებსა და აბანოში კდემითა და კრძალვით მინდა.
მოვიგონო, გავიხსენო, ჰაფიზ, შენი ქნარი წმინდა,
მაშინ, როცა რიდეს არხვეს ნიაფსავით გულის სწორი,
ამბარს აფრქვევს დალაღებით, და ირწევა, ვითა წნორი.
დიახ, მგოსნის სამიჯნურო ჩურჩულიდან აღიგზნება
თვით სამოთხის სანუკვარი ჰურიების შმაგი ვნება.

მე არ ვიცი, ამისათვის გული შურით აგვივსებათ,
თუ გაწყრებით, გაწბილდებით, შუბლი აღარ გაგებსნებათ.
ეს იცოდეთ, რომ სამოთხის შესასვლელთან აწ და მარად
ლალი სიტყვა პოეტისა აკაკუნებს კარზე წყნარად,
დანაწარდობს, აღჭურვილი ციურ სხივთა ისრებითა,
და სიცოცხლეს მარადიულს ითხოვს, სავსე ღირსებითა.

* * *

უნდა გამოვტყდეთ! პოეტები აღმოსავლეთის
უფრო დიდები გახლავთ, ვიდრე ვართ დასავლეთის,
და თუ რამეში გავასწარით ჩვენ მათ სავსებით,
ეს არის ისევ ჰიძულვილი ჩვენი მსგავსების.



სახელოვანი მოკეთა

ვის ვუმაღლოდე თუ არა ჩემ ცოლს,
მეც რომ ხალხში ვარ დღეს გარეული.
მისი წყალობით გრაფი გამეცნო,
გრაფი, თვით გრაფი, ის კურთხეული.
ასე მაღალი წოდების გვამი
თავს დაგვტრიალებს, განა გვემდურის,
რა პატივია მისი სალამი,
ვინ ვარ მე მასთან, მე უბედური!

ვინა ვარ მასთან,
ბრწყინვალე გრაფთან,
უდიდებულეს ხელმწიფის კაცთან!

რა შორს წავიდე, შარშანდელ
ზამთარს

მინისტრთან იყო დიდი პურობა.
მიიპატიჟა მეუღლე გრაფმა
და მეც იქ მოვხვდი, განა მწყუროდა.
მან წარმადგინა, ყველა გამაცნო,
წამათამამა და გამამხნევა.
რა პატივია მის ახლოს, კაცნო,
თუნდაც ჯდომა და ბურნუთის
კმევა.

ვინა ვარ მასთან,
ბრწყინვალე გრაფთან,
უდიდებულეს ხელმწიფის კაცთან!

ვერ შეადარებ ვერც ძმას, ვერც
ძმობილს.

დღისით ჩემთან ზის, ბანქოს
ვახურებთ.

თუ უკეფოდ შემეძნა ცოლი,

თვით უვლის, უმაღ ვითხოვთ
მსახურებს.

ჩვენი მფარველი ხშირი სტუმარი
რჩება, როდესაც სხვები მიდიან.
მის გვერდით ყოფნა და საუბარ
რა ცის გახსნა და რა პატივია!

ვინა ვარ მასთან,
ბრწყინვალე გრაფთან,
უდიდებულეს ხელმწიფის კაცთან!

მერე რა ზრდილი, თავაზიანი
სიტყვებით იცის მომართვა მუდამ.
მეტყვის: არ არის ჯერაც გვიანი,
გაისეირნოთ პაერზე უნდა.

— მაგრამ, ბატონო, მგონი გაწვიმდა...

— ახლაც ეტლს ვუხმობ, მერე რა
მოსდა!

ო, რა კაცია, ოი, რა წმინდა,
რა პატივია მის ახლოს ყოფნა!

ვინა ვარ მასთან,
ბრწყინვალე გრაფთან,
უდიდებულეს ხელმწიფის კაცთან!

კარი გაგვიღო თავის ოჯახის,
რა პატივი გვცა, ღმერთო, რა

გვიყო!

ცოლს მიუჩინა ქალთა ოთახი
და მე კი აქეთ, ცალკე დამიგო.
ვწევარ და ვფიქრობ, რა მომეძვეა,
რით ვემსახურო, თვალცრემლიანი,

რა პატივია აქ ღამის თევა,
რას მოვესწარი მე ცოდვიანი!

ვინა ვარ მასთან,
ბრწყინვალე გრაფთან,
უდიდებულეს ხელმწიფის კაცთან!

როგორც კი ვაფი მაღირსა ღმერთმა,
ერთგულეებაში დავრწმუნდი ნათლად.
რამდენ სიხარულს განვიცდით ერთად,
გრაფი, თვით გრაფი ჩემს ვაჟკაცს
ნათლავს!

ახლა თუნდ მოგკვდე, რაკი
მემკვიდრეს
ასეთ კაცს შევძენ მწედ და
ნათლიად,

სადღა ვიშოვნო ასეთს მე კიდევ
კაცს აღმატებულს და სამართლიანს!

ვინა ვარ მასთან,
ბრწყინვალე გრაფთან,
უდიდებულეს ხელმწიფის კაცთან!

რა სულგრძელია, თვით ღმერთის
სწორი!

მას მე სუფრასთან შევკადრე
ძრწოლით,

რომ მთელ ქალაქში გავრცელდა
ჭირი,

რომ თითქოს გრაფი და... ჩემი
ცოლი...


— ბატონო, ჩემო, ვუთხარი რიდით —

ალაპარაკებთ ღვარძლი და შური.

რა ღირს ვარ თქვენთან გავტეხო
პური!

ვინა ვარ მასთან,
ბრწყინვალე გრაფთან,
უდიდებულეს ხელმწიფის კაცთან!

თარგმნა შოია ხმთაგურმა





მიხეილ ჯინჭვალაშვილი

ლენინური მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირზე

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად აღმოაჩინეს საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები, მეცნიერულად დაასაბუთეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლის გარდაუვალობა. მათ გამოარკვეეს, რომ კაპიტალიზმის მოსპობასა და კომუნისტური საზოგადოების აშენებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ყველაზე რევოლუციურ კლასს — პროლეტარიატს, რომ სოციალიზმისათვის მუშათა კლასის ბრძოლა აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს გლეხთა მასების რევოლუციურ მოძრაობას და გადაიქცეს საერთო ბრძოლად ექსპლოატორულ კლასებს წინააღმდეგ. თავის ცნობილ ნაშრომში — „თვრამეტი ბრიუშერის ლეი ბონაპარტისა“ — კ. მარქსი წერდა, რომ „...გლეხობა თავის ბუნებრივ მოკავშირეს და ბელადს პაპებს ქაღალდის პროლეტარიატში, რომლის ამოცანაა დაშვოს ბურჟუაზიული წესწყობილება“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. 1, 1950 წ., გვ. 376). მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები აღნიშნავდნენ, რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია დაეხმაროს და უხელმძღვანელოს გლეხობას მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ზოლო, მეორე მხრივ, მუშებისათვის გლეხობის მხარდაჭერას შეუძლია უზრუნველყოს პროლეტარიატის გამარჯვება.

როგორც ცნობილია, მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნიზტებმა მიჩქმალეს და მიივიწყეს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მითითებები მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ. დამავლეთ ევროპის რევოლუციონისტები, რუსი ბუნებრივად და ესეკრები, რომლებსაც გლეხობა რეაქციულ ძალად მიაჩნდათ, ძირს უთხრიდნენ მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, ცდილო-

ბდნენ ჩაეშალათ პროლეტარიატის გამარჯვების საქმე.

მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნიზტებს და მუშათა კლასის სხვა მტრებს გამანადვურებელი ლახვარი ჩასცა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის ორგანიზატორმა და ბელადმა ვ. ი. ლენინმა, ვ. ი. ლენინმა, შემოქმედებითად რომ განავითარა მარქსიზმი ახალი ისტორიული ეპოქის — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის შესაბამისად, მტკიცედ დაიცვა მარქსისა და ენგელსის შეხედულებები მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ. ვ. ი. ლენინი მითითებდა, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რომელშიც ხელმძღვანელ როლს ასრულებს მუშათა კლასი, პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპი და სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

თავის პირველ ნაწარმოებებში ვ. ი. ლენინმა მოგვცა კაპიტალიზმის პირობებში საზოგადოებრივი ურთიერთობის, კერძოდ, აგრარული ურთიერთობის ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზი და ამ საფუძველზე შეიმუშავა მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ.

ვ. ი. ლენინმა თავის განთქმულ ნაშრომში „რანი არიან ხალხის მეგობრება და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ — მკაცრად გააკრიტიკა სპერთოდ ნაროდნიკების პოლიტიკური პლატფორმა და ტაქტიკა, კერძოდ, მათი მცდარი შეხედულებები გლეხობის საკითხში. ნაროდნიკები უგულვებელყოფდნენ პროლეტარიატის როლს სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში. მათ გლეხობა მიაჩნდათ მთავარ ძალად

სოციალიზმის აშენებაში. ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა ნაოცნებების შეხედულებათა სიყალბე. მაგნიობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოების მოწინავე რევოლუციური ძალა მუშათა კლასია, რომელიც თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდის როგორც მთელი მშრომელი და ექსპლოატატორული ხალხის ზეღმძღვანელი, რომ კაპიტალისტური წყობილების მოსპობის გზაზე მუშათა კლასის უახლოესი ამოცანაა თვითმპყრობელობის დამოხდა, და ამ მიზნის მიღწევაში მუშათა კლასის მოკავშირე გლეხობა იქნება.

ვ. ი. ლენინმა შექმნა მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, და ამასთანავე, დასაბამი მოძღვრების პრაქტიკულ განხორციელების გზები. ლენინმა შეიმუშავა სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა. პროგრამას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის მოთხოვნა მემშენებელთა მიწების ექსპროპრიაციისა და მიწის ნაციონალიზაციის შესახებ. ლენინმა გამოაქვეყნა მენშევიკების აგრარული პროგრამის ანტრეველუციური აზრი. მიწის მუნიციპალიზაციის მენშევიკური პროგრამა ტოვებდა მიწაზე კერძო საკუთრებას. ბოლშევიკების აგრარული პროგრამა სწორად უზუსტებდა რუსეთში კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინური იდეა კომუნისტური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო პრინციპი გახდა. ბოლშევიკები, რომლებიც გლეხობის საკითხს განიხილდნენ როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის შემადგენელ ნაწილს, თავიანთ პრაქტიკულ ლოზუნგებს გლეხთა საკითხზე თანმიმდევრულად ატარებდნენ რევოლუციური ბრძოლის ეტაპების მიხედვით.

ვ. ი. ლენინის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან, წინააღმდეგ მენშევიკების გამცემლური ტაქტიკისა, რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, შემდგომ განავითარა მარქსისტული იდეა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის პევე-მონიისა, ცხადყო, რომ რევოლუციის გამარჯვების აუცილებელი პირობაა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, პროლეტარიატის ზღმძღვანელობით. ბოლშევიკური პარტია, ამ პრინციპიდან გამომდინარე, რევოლუციის პირველ ეტაპზე (1905-1907 წ. თებერვალი); თავის პოლიტიკას გლეხობის მიმართ განსაზღვრავდა ლენინური სტრატეგიული ლოზუნგით: პროლეტარიატის კავშირი მთელ გლეხობასთან, ბრძოლა მეფისა და მემშენებლების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის!

იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიულ-დე-

მოკრატიული რევოლუციის თავისებურებები, მისი მამოძრავებელი ძალები და მარქსისტული მარქსიზმის ისტორიაში პირველად ვ. ი. ლენინმა დაამუშავა წიგნში: „სოციალ-დემოკრატიის რიი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, თუმიცა რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათი აქვს, მისი სრული გამარჯვებით, უწინარეს ყოვლისა, დაინტერესებული არიან პროლეტარიატი და ხალხის ფართო მასებიო. პროლეტარიატს შეუძლია გააღდეს და კიდევაც უნდა გახდეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ზღმძღვანელი. მაგრამ პროლეტარიატი რომ წამდვილად გამხდარიყო რევოლუციის ბელადი, ვ. ი. ლენინს ამისათვის საჭიროდ მიანიდა, რომ მას, ჯერ-ერთი, ჰყოლოდა რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვებით დაინტერესებული მოკავშირე გლეხობის სახით; მეორეც, პროლეტარიატს უნდა მოეხდინა იზოლირება ლიბერალური ბურჟუაზიისაარამელიც ცდილობდა თვითონ ყოფილიყო რევოლუციის პევემონი და რევოლუცია დემოკრატიულია ცარხშთან გარიგებით ხალხს ხარკზე.

ვ. ი. ლენინმა ახლებურად გადაწყვიტა რევოლუციის ძირითადი საკითხი — სახელმწიფო ზელისუფლების საკითხი. მან დამტკიცა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბურჟუაზის დიქტატურა კი არ უნდა შეიქმნას, როგორც ეს წინამდებურებუიულ რევოლუციებში იყო, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, რომლის პოლიტიკური ორგანო დროებითი რევოლუციური მთავრობა იქნებოდა. ვ. ი. ლენინი დროებითი რევოლუციური მთავრობის ამოცანად სახავდა რევოლუციის მონაპოვრის დაცვას, კონტრრევოლუციის წინააღმდეგობის დათრგუნვას და რსდმპ პროგრამა-მინიმუმის (დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, რვა საათის სამუშაო დღის შემოღება, მემშენებელთა მიწების კონფისკაცია) განხორციელებას. ლენინმა აუცილებლად მიანიდა რევოლუციური მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა მონაწილეობა.

ვ. ი. ლენინი განუწყვეტელი რევოლუციის შესახებ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის პროლეტარულ რევოლუციასთან შესამებას აუცილებლობის შესახებ მარქსის ცნობილ დებულებას დაეყრდნო და შეიმუშავა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტური რევოლუციად ვადახრდის თეორია. „დემოკრატიული რევოლუციიდან, — აღნიშნავდა ლენინი, — ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვას და სწორედ ჩვენი ძლიერების, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძლიერებისდა კვალად, დავიწყებთ გადასვას სოციალისტური რევოლუციაზე. ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომზერნი ვართ. შუა გზა-

ზე ჩვენ არ შევჩერდებით“ (თხზ. ტ. 9, გვ. 236).

ვ. ი. ლენინმა გაანდგურა რუსი მუშევრებისა და მეორე ინტერნაციონალის რევოლუციონერების, მათი თეორიები, ვინც უარყოფდა რევოლუციონერ პარალელარიატის პეგე-მონიის როლს, ვინც მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის წინააღმდეგ გამოდიოდა. ვ. ი. ლენინმა გამოაშკარავა, რომ მუშევრები და მეორე ინტერნაციონალის სხვა ოპორტუნიტები არ იბრძოდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესებისათვის, რომ ისინი ბურჟუაზიის აგენტები იყვნენ მუშათა მოძრაობაში. სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია გადაჭრით უკუაგდებდა „პერმონენტული“ რევოლუციის ტროცისტულ თეორიას, რომელიც უარყოფდა პარალელარიატის პეგე-მონიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, უარყოფდა გლეხობის რევოლუციურ როლს, პარალელარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიქტატურას.

ვ. ი. ლენინის მეთაურობით, ბოლშევიკების პარტიის ორგანიზატორ-პოლიტიკური მუშაობის მეშვეობით, 1905-1907 წლების რევოლუციიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე პერიოდში გლეხობა გათავისუფლდა ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან, ჩამოსცილდა კადეტებს, შემობრუნდა პარალელარიატისკენ, ბოლშევიკებისაკენ. ამ პერიოდის ისტორია, — წერს ვ. ი. სტალინი, — არის ისტორია კადეტების (ლიბერალური ბურჟუაზია) და ბოლშევიკების (პარალელარიატ) ბრძოლისა გლეხობის მისამხრობად. ამ ბრძოლის ბედი სათათბიროს პერიოდმა გადაწყვიტა, ვინაიდან ოთხი სათათბიროს პერიოდში საგანგებო ვაკუუმი იყო გლეხობისათვის, ხოლო ამ ვაკუუმილმა თვალნათლივ დაანახა გლეხებს, რომ ისინი კადეტებისაგან ვერც მიწას მიიღებენ, ვერც თავისუფლებას. რომ მეფე საესვებით მუშაშელეთა მხარეზე, ხოლო კადეტები მხარს უჭერენ მეფეს, რომ ერთადერთი ძალა, რომლის დახმარებაზე იმედის დამყარება შეიძლება, — ეს არის ქალაქის მუშები, პარალელარიატ... სათათბიროს პერიოდის თვალსაჩინო გაკვეთილები რომ არ ყოფილიყო, პარალელარიატის პეგე-მონია შეუძლებელი იქნებოდა“ (თხზ., ტ. 6, გვ. 145-146).

1917 წლის თებერვალში რუსეთის პარალელარიატმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც მტკიცედ იცავდა მუშათა კლასის პეგე-მონიის იდეას, მთელ გლეხობასთან მჭიდრო კავშირში განაზოცელა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, დაამხო თვითმპყრობელობა, შექმნა მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული ლიქტატურის ორგანოები. მაგრამ მუშევრებისა და ესერების გაშეცმული მოქმედების შედეგად ძალაუფლება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ხელში აღმოჩნ-

და. მუშებმა და გლეხებმა ვერც პირი მიიღეს და ვერც მიწა, ვერც ზავი და ვერც თავისუფლება. დადა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტური რევოლუციაზე გადასვლის ამოცანა. საჭირო იყო პარალელარიატისა და გლეხობის ისეთი კავშირი, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალისტური რევოლუციის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. კომუნისტურმა პარტიამ, ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ახალი სტრატეგიული ლოზუნგი. — ქალაქად და სოფლად კაპიტალიზმის წინააღმდეგ, საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პირობებში, პარალელარიატის ძალაუფლებისათვის პარალელარიატისა და უღარიბესი გლეხობის კავშირის განმარცილება. ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ საშუალო გლეხი ორმაგად თავისი ბუნებით: იგი, როგორც მშრომელი, მიიღებს პარალელარიატისკენ; როგორც კერძო მესაკუთრე — ბურჟუაზიისაკენ. ამიტომ მერყეობს პარალელარიატისა და ბურჟუაზიის შორის. ამის შედეგად იყო საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის აუცილებლობა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა რევოლუციისაგან მის ჩამოშორებას, პირიქით, პარტია ყველაფერს აკეთებდა საშუალო გლეხის რევოლუციაში ჩასაბმელად.

ვ. ი. ლენინმა ამბოხის თეზისებში მოგვცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტური რევოლუციაში გადასვლისათვის პარტიის ბრძოლის გენიალური გეგმა, განსაზღვრა ხელისუფლების ორგანიზაციის პოლიტიკური ფორმა. მან ასეთ ფორმად წამოაყენა მუშათა, მოყამაგირეთა და გლეხთა საბჭოების რესპუბლიკა, რომელიც უნდა დაწყებულყო მთელ ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო მარქსისტულ მეცნიერებათა ვ. ი. ლენინის გენიალური აღმოჩენა ახალ პირობებში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმების შესახებ, რამაც უდიდესი როლი შეასრულა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში.

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაში ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პარტიის მეექვსე ყრილობას, რომელმაც თავის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ძალით გაუსტა ხაზი ლენინურ დებულებას პარალელარიატისა და უღარიბესი გლეხობის კავშირის როგორც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ. ყრილობის ყველა გადაწყვეტილება მიმართული იყო პარალელარიატისა და უღარიბესი გლეხობის შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადებისაკენ.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით შეარაღებულმა კომუნისტურმა პარტიამ გამოჰყვამუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი და უზრუნველყო 1917 წლის ოქტომბერში მათი გამარჯვება. შემამუშავებსა და კაპიტალისტებზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ბრწყინვალედ დაადასტურა სისწორე ვ. ი. ლენინის დებულე-

ბისა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ. ეს კავშირი რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება.

დღივ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და სოციალისტური ინოვაციის საფუძველი გახდა.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა პირველმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ღონისძიებებმა. კომუნისტურმა პარტიამ აგრარული საკითხი გლეხობის სასარგებლოდ გადაწყვიტა. საბჭოების სრულად რუსების მეორე ურილობამ, ვ. ი. ლენინის წინადადებით, მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ, განხორციელდა გლეხობის საუკუნეობრივი ოცნება — მიწის ნაციონალიზაცია, მიწა საერთაშორისო მშენებლობის საკუთრებად გადაეცა.

საბჭოთა მთავრობის 1918 წლის 11 ივნისის დეკრეტით ჩამოყალიბდა ღარიბთა კომიტეტები, რომლებიც სოფლად პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენ პუნქტებად გადაქცეა. ღარიბთა კომიტეტებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს საშუალო გლეხობის პროლეტარიატის მხარეზე გადაყვანისათვის. საშუალო გლეხობის მუშათა კლასიკურ ღრუბლს ხელს უწყობდა აგრეთვე სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის წარმატებები. პარტიამ დიწყუო განხორციელება გლეხთა საკითხში ვ. ი. ლენინის მესამე საპარტიკო ლოზუნგისა: ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით და საშუალო გლეხობთან მტკიცე კავშირის დამყარებით წინ — სოციალისტური მშენებლობისათვის! საშუალო გლეხობისთან დამოკიდებულების საკითხში პარტიის შემოხრუნებას პუნქტი იყო რკ(ბ) VIII ყრილობა, რომელმაც საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი. მოხსენებაში სოფლად მუშაობის შესახებ ვ. ი. ლენინმა გენიალურად დასაბუთა საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების გადასინჯვის აუცილებლობა. პარტიას მკრეცე ყრილობისათვის საშუალო გლეხობის ხეყარდობით წონა და მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა. ის სოფლის მისასვლელის 60 პროცენტზე მეტს შეადგენდა. ამიტომ იმ პერიოდში საშუალო გლეხობის პოლიტიკაზე ბევრად იყო დამოკიდებული სამოქალაქო ომის შედეგები და სოციალისტური მშენებლობის წარმატება. „ჩვენ შევედით სოციალისტური მშენებლობის ისეთ სტადიაში — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — როცა საჭიროა კონკრეტულად, დეტალურად შევიმუშავოთ სოფლად მუშაობის გამოცდილებით შემოწმებული ძირითადი წესები და მეთოდები, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმისათვის, რომ საშუალო გლეხის მიმართ

დავდგეთ მტკიცე კავშირის წინადადება“ (თხზ., ტ. 29, გვ. 155). ამრიგად, პარტიის პოლიტიკა საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების მხრივ ის იყო, რომ მუშათა კლასი დაყრდნობდა ღარიბ გლეხობას, მტკიცე კავშირს მქონდა საშუალო გლეხობასთან და ებრძოდა ევლუკების წინააღმდეგ, თანდათანობით ჩაება საშუალო გლეხობა სოციალისტური მშენებლობაში. პარტია ამ ლოზუნგით ხელმძღვანელობდა სოციალისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელების დროს მთლიანი კოლექტივიზაციის დაწყებამდე.

პარტიის VIII ყრილობაზე ლენინის მოხსენებამ და საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხზე ყრილობის გადაწყვეტილებებმა უდიდესი როლი შეასრულა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში. პარტიის ბრძნული პოლიტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რითაც დაინტერესებული იყო როგორც მუშათა კლასი, ისე გლეხობა, ამ კავშირმა უზრუნველყო უცხოელი ინტერვენტებისა და თეთრ-გვარდიელების წინააღმდეგ სამოქალაქო ომში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი განამტკიცა ახალ სამეურნეო სფერებზე. სამოქალაქო ომის დროს შექმნილი და განმტკიცებული მუშათა და გლეხთა სამხედრო პოლიტიკური კავშირი, რომლის საფუძველი ის იყო, რომ გლეხი საბჭოთა ხელისუფლებისაგან იღებდა მიწას და დაცული იყო შემამხლეობისა და ევლუკებისაგან, ხოლო მუშები გლეხებისაგან იღებდნენ სერსათს სასურსათო გაწეობით, ახლა საკმარისი აღარ აღმოჩნდა. საჭირო გახდა ახალი გზებისა და საშუალებების გამოჩენა, რაც სტიმულს მისცემდა სოფლის მეურნეობისა და ქვეყნის საწარმო ძალების განვითარებას.

კომუნისტური პარტიის X ყრილობამ 1921 წლის მარტში განიხილა სამხედრო კომუნისმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე („ნეპი“) გადასვლის საკითხი. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სასურსათო გაწევის სასურსათო გადასახდით შეცდის შესახებ. ეს ერთადერთი სწორი სამეურნეო პოლიტიკა იყო იმ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულმა და პარტიის X ყრილობის მიერ მიღებულმა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ უდიდესი როლი შეასრულა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებაში. ამ პოლიტიკის დედაბასი ის არის, რომ მუშათა კლასს უნდა ემუშებინა სოციალიზმი აუცილებლად შრომელ გლეხობასთან ერთად, რომ

მედიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა.

სასურსათო გადსახადის შემოღებით გლეხობას შესაძლებლობა ეძლეოდა სასურსათო გადსახადის შესრულებას შემდეგ როგორც უნდოდა ისე მოეჭმარა მთელი თავისი პროდუქცია, თავისუფლად გაეტანა ბაზარზე გასაყიდად. საჭონელობრუნვის ერთგვარი თავისუფლების მინიჭება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მეურნეობრივად დაინტერესებს გლეხებს, გაზარდოს მათს შრომის ნაყოფიერებას და სოფლის მეურნეობის აღმავლობას; ამ საფუძვლზე გაუმჯობესდება ქალაქის მომარაგება და სწრაფი ნაბიჯით წავა წინ სახელმწიფო მრეწველობის აღდგენაც. მართალია, ეპქრობის თავისუფლებას თავდაპირველად კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცდვლება მოსდევდა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ეს საფრთხეს არ უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან მის ხელში იყო სახალხო მეურნეობის მმართველი მწვერვალები: მიწა, მრეწველობა, ტრანსპორტი, სავაჭრო ეპქრობა, ბანკები.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიდნენ ტროცისტები და სხვა ანტიპარტიული ჯგუფები, რომლებიც ახალ ეკონომიურ პოლიტიკას მარტოდენ უკანდახედავ, საბჭოთა ხელისუფლებაზე უარის თქმად, წერილი ბურჟუაზიის წინაშე კაპიტულაციად თვლიდნენ. პარტიამ ამაილა და გააიყა ეს კაპიტულანტები. ცხოვრებამ, ქვეყნის ეკონომიური განვითარების მსელლობამ საყვებთ გაამართლა, დაადასტურა ლენინური ახალი ეკონომიური პოლიტიკის სიბრძნე. სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წლების გამოცდილებამ ცხადყო ვ. ი. ლენინის მთელი სიმართლე, მისი მეცნიერული, მარქსისტული წინასწარხედვის დიდი ძალა.

პარტიის XI ყრილობაზე, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წლის შედეგები რომ შეაქამა, ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, მეშათა და გლეხთა კავშირი ახალ ეკონომიურ საფუძველზე განმტკიცდა, უკან დახედა დამოკიდდა და ახლა საჭიროა ეკონომიურწონებრივ კაპიტალზე შეტევის მომზადებაო. ვ. ი. ლენინი გეასწავლიდა, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისმის გამაჩვენება, სათვის აუცილებელია მრეწველობისა და გლეხური ეკონომიკის კავშირის შემდგომი განმტკიცება, ქალაქსა და სოფელს შორის სპონელობრუნვის ყოველმხრივი განვითარება. კომუნისტური პარტიისა და ვ. ი. ლენინის მითითებითა საფუძველზე ზორციელდებოდა ქალაქის შეფობა სოფელზე, ზდებოდა ქალაქისა და სოფლის პარტიული და სამეურნეო მეშვეების მოწინავე გამოცდილების ურთიერთგანარება, ვითარდებოდა ქალაქსა და სოფელს შორის ელტურული ურთიერთობა, ჯოველივე ამან კიდევ უფრო დაახლოეა და

დააკავშირა ერთმანეთთან ქალაქისა და სოფლის მშრომელები, ვ. ი. ლენინის განკარგულებით სახელმწიფომ დიდი მატერიალური დახმარება გაუწია გლეხობას 1921 წლის ზინშილისის პეკრიოდში.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალისმის აშენების გენიალური გეგმა. ამ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წეროდ დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა სოციალისტურად გარდაქმნის ღონისძიებების განხორციელებას. ლენინის კოოპერაციული გეგმა სოფლად სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის განვითარების, მეშათა კლასისა და გლეხობის ურდვეი კავშირის შემდგომი განმტკიცების საფუძველი გახდა; მისი არსი ის არის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში სოციალისტურ მშენებლობაში გლეხობის ზამა კოოპერაციის საშუალებით უნდა მოხდეს. კოოპერაცია ვ. ი. ლენინს მთელი საზოგადოების საერთო ინტერესებთან გლეხის პირადი ინტერესების შეერთებად მიაჩნდა. მხოლოდ გასაღებისა და მოხმარების დარგში, შემდეგ კი წარმოების დარგში კოოპერაციის მეშვეობით შეეძლო გლეხობას პრაქტიკულად ისწავლა სოციალისმის შენება. კოოპერაციის უბრალო ზრდა, — აღნიშნავდა ლენინი, — ჩვენთვის იგივეა, რაც სოციალისმის ზრდა, რომ „კოოპერატორთა წყობილება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში, ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის კლასობრივი გამაჩვენების პირობებში — ეს არის სოციალისმის წყობილება“ (თხზ., ტ. III, გვ. 556).

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც წლების განმავლობაში სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, ტროცისტების, ზინოვიეველებისა და ბუხარინელების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში დაცვა და განახორციელა ლენინის კოოპერაციული გეგმა.

ხელმძღვანელობდა რა დიდი მტლიის საპროტარბო მითითებებით, კომუნისტურმა პარტიამ განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მის ბაზაზე, ლენინურ კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით, უზრუნველყო მილიონობით წვრილმსაკუთრულ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა კოლმეურნეობების გზაზე, სოციალისმის გზაზე, საბოლოოდ მოისპო სოფლად კაპიტალიზმის უკანასკნელი დასაყრდენი — ევლაცობა. ეს უღრმესი რევოლუციური გადატრიალება იყო, ნანტში იყო საზოგადოების ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალი თვისებრივი მდგომარეობისაკენ.

ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელებისას პარტიამ მოაწყო ქალაქის მიერ სოფლისადმი ყოველმხრივი დახმარება. მან სოფლად გაგზავნა მეშათა კლასის 25 ათასი

საუცუოესო წარმომადგენელი, აგრეთვე პოლიტიკური მუშაობა კოლექტიუმიზაციის განხორციელებისათვის. სოციალისტური მრეწველობა სულ უფრო მზარდი მასშტაბებით აწვდიდა სოფელს უახლეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. მანქანატრატორთა სადგურების შექმნით უდიდესი საქმე გაკეთდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო კავშირის დამყარებისათვის, სოციალისტების ბაზაზე სოფლის მეურნეობის ძირეულად გარდაქმნისათვის. პარტიის დაუღალავი შრომუნელობის შედეგად სოფლად გაიზარდა და გამოიწრთო სოფლის ინტელიგენციის მრავალიცხოვანი კადრები.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი ის გადამწყვეტი ძალა იყო, რამაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრება და სოციალისტური საზოგადოების აშენება. საბჭოთა კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ-საკაღმურთო სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გამაჩქარების შედეგად შეიკვალა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობა, მოისპო ექსპლოატატორული კლასები, სსრ კავშირში დარჩა ორი მეგობრული კლასი — მუშათა კლასი, გლეხთა კლასი და მათი წიაღიდან წარმოშობილი მშრომელი ინტელიგენცია, რომლებმაც თავიანთ მჭრივ სოციალიზმის მშენებლობას პროცესში ძირეული ცვლილებები განიცადეს. ამის საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა საუკუნეობრივი დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის, საბოლოოდ აღმოიფხვრა გლეხობის ტრადიციული უნდობლობა ქალაქისადმი, ქალაქსა და სოფელს შორის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის დამყარდა თვისებრივი და ახალი ურთიერთობა — მჭიდრო თანამშრომლობისა და ფართო ურთიერთდამხმარების ურთიერთობა.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი გახდა მთელი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის საფუძველი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“ — აღნიშნულია, რომ სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების განხორციელება გამარჯვებით დაგვირგვინდა იმის მეოხებით, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მთელ თავიანთ მოღვაწეობაში ეყრდნობოდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევ კავშირს.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის სიმტკიცე და უძლეველობა მთელი სიძაბდით გამოიხატა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში. ფაშისტურ გერმანიამ ჩვენი ქვეყნის გამარჯვებამ დაადსტურა, რომ საბ-

ჭოთა სახელმწიფო, რომელიც ემყარება მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ურღვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, მთელ მსოფლიოში ყველაზე მტკიცე და ურყევი სახელმწიფოა.

მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევა კავშირმა შესაძლებელი გახადა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, საბჭოთა კავშირის შესვლა კომუნისტური გზისად მშენებლობის პერიოდში. ყველაფერი, რასაც ჩვენ მივაღწევთ „როგორც ე. ო. ლენინი აღნიშნავდა, ცხადყოფს, რომ ეყარდნობით მსოფლიოში ყველაზე სასწაულებრივ ძალას — მუშათა და გლეხთა კავშირს. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განუხრავი განვითარებას, მათს თანამშრომლობასა და მეგობრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე, რადგან, როგორც ჩვენი პარტიის პროგრამაშია ნათქვამი, „მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირის შემდგომ განმტკიცებას გადამწყვეტი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობისათვის“ (გვ. 87). ამიტომ კომუნისტური პარტია დაუღალავად ზრუნავს ამ კავშირის, როგორც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური საფუძვლის, შემდგომი განმტკიცებისათვის. სკკპ XXIII ყრილობამ, განსაზღვრა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განვითარების გზები და აღნიშნა მომავალში მუშათა და გლეხთა ძმური კავშირის, კომუნისტური აშენების ინტერესებისათვის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების აუცილებლობა. პარტიის XXIII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებსაც ატარებს პარტია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, ემსახურება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ ზრდას, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის განმტკიცებას, ხალხთა მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი თვისებრივად ახალ შინაარსს იღებს, ახალ მიზანს ისახავს, აქტიურ კომუნისტურ აშენებას, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მინიჭებული ამ კლასების სულ უფრო და უფრო დაახლოება, და შემდგომ მათ შორის კლასობრივ განსხვავებათა დაძლევა, რაც ამავე დროს საზოგადოების კლასობრივად დაყოფის აღმოფხვრას ნიშნავს. სოციალისტურ საზოგადოებაში ორი კლასის — მუშათა და გლეხთა კლასების არსებობა, განპირობებულია სოციალისტური საკუთრების ორი ფორმით — სა-

უოველთაო-სახალხო და საკომუნისტო-კომუნისტო-პარტიული საკუთრების არსებობით; სრულ კომუნისტო გელისშიზმს უკლასო საზოგადოების აშენებას, საკუთრების მხოლოდ ერთ ფორმას — საყოველთაო სახალხო საკუთრებას. მაშასადამე, საკომუნისტო საკუთრების ისტორიულ პერსპექტივაში მისი საყოველთაო-სახალხო საკუთრების დონემდე ამოღება. ყოველივე ეს კი სპობს იმ ბაზას, რომელიც კლასობრივ განსხვავებას ქმნის. კომუნისტო დროს, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, მუშებსა და გლეხებს შორის გაჭირება კლასობრივი განსხვავება, ისინი მიწისა და ფაბრიკის შერომელებად გადაქცევიან. „როდესაც საზოგადოებაში კლასები აღარ იქნებიან, მაშინ საზოგადოებაში მხოლოდ მწარმოებელი მუშაკები დარჩებიან, მუშები და გლეხები აღარ იქნებიან“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 306).

მუშათა კლასი და გლეხობის შორის კლასობრივი ზღვარის წაშლა ავტომატურად კი არ მოხდება, არამედ საწარმოო ძალთა მძლავრ განვითარებისა და ეკონომიური ურთიერთობის სრულყოფის საფუძველზე ამ კლასებს შორის არსებული კავშირის ყოველმხრივი განმტკიცებით. მუშათა კლასი და კომუნისტო გლეხობის შორის განსხვავებათა დაძლევა, ქალაქი და სოფელს შორის, ფაბრიკა და გლეხობა შორის შორის არსებითი განსხვავების მოხდა, კომუნისტო საზოგადოების მშენებლობის ურთულესი პროცესია. ამ პროცესის დამატებითი ელემენტი ნიშნავს ის არის, რომ კომუნისტო მშენებლობაში ხელმძღვანელ როლს კვლავ ინარჩუნებს მუშათა კლასი, რადგან იგი მძლავრ ინდუსტრიასთან არის დაკავშირებული და ყველაზე მოწინავე, ორგანიზებული, კომუნისტო იდეალების თანმიმდევრული მატარებელი კლასია. მუშათა კლასის ისტორიული მისია იყო საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის, კომუნისტო მშენებლობის ორგანიზატორი. ამიტომ კომუნისტო გლეხობა, განვითარების პროცესში იგი უაღრესო საწარმოო და კულტურულ დახმარებას უწევს გლეხობას, რითაც უზრუნველყოფს მუშათა კლასთან გლეხობის დაახლოებას შრომის პირობებით, კვალიფიკაციითა და კულტურულ-ტექნიკური დონით.

ახალი ზეობიანი გეგმის განხორციელების შედეგად კიდევ უფრო გაიზარდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, შემდგომ განვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ამოღდება საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურულ-

ტექნიკური დონე, გაძლიერდება სოფლისადმი ქალაქის დახმარება, რაც ხელს შეუწყობს მათს შემდგომ დაახლოებას. კიდევ უფრო განმტკიცებს ხალხის მრავალფეროვან კულტურულ-სპორტულ-განათლებლურ და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის პოლიტიკური საფუძველი და მატერიალური ბაზა“ (ლ. ი. ბრეჟნევი, XXIII ყრილობის მასალები, თბ., 1966 წ., გვ. 51).

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, საერთო პარტიული და საერთო სახელმწიფო ამოცანა ის არის, რომ ჩვენ შეიძლება მოკლე ვადაში ბევრად გადავაპარბოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე დონეს; ამის გზა სოფლის მეურნეობის თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკით აღჭურვა, საბჭოთა კომპლექსური მექანიზაცია, მიწების ჭიმბიაცია, მელიორაცია დიდი მასშტაბით, მეცნიერების უბნების მიღწევითა ფართოდ დანერგვა, ბევრი რამ უნდა გაკეთდეს აგრეთვე კომუნისტო გლეხობისა და საბჭოთა მეურნეობათა წარმოების რეზერვების სრული გამოყენებისათვის.

ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია ქალაქის მუშათა კლასისა და კომუნისტო გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებით, სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა, სამეცნიერო-საკვლევ და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებათა პარტიზაციონის. ინდუსტრიის კომუნისტო ენერგიული თავდადებათა მუშაობით.

ლენინური მომღერება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირზე, რომლის სისწორე, ძალა და ცხოველყოფილობა დადასტურებულია ჩვენი ქვეყნის სამი რევოლუციის გამოცდილებითა და სოციალიზმისა და კომუნისტო მშენებლობის პრაქტიკით, საფუძვლად დაედო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მარქსისტული პარტიების პოლიტიკისა და პრაქტიკულ მოღვაწეობას. ამ ქვეყნებში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების გზით ზორციელდება დიდი სოციალური და ეკონომიური ცვლილებები, სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და კომუნისტო გლეხობის მეგობრული კავშირი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების დაუმტკიცებელი წყაროა, კომუნისტური საზოგადოების სრული გამარჯვების საწინდარია.

ი. ლენინი

საქართველოს მთიანეთში ლენინური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიიდან

კავკასიაში ზვენი ამხანაგი კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელი იყო, რადგან ირგვლივ მათ ლაღატობდნენ მენშევიკები, რომლებიც პირდაპირ კავშირს კრავდნენ გერმანულ იმპერიალისტებთან, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაზით.

ვ. ი. ლენინი (ტ. 28. გვ. 6-8.)

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთის ყოფილი იმპერიის განაპირა ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი განსაკუთრებით გაიზარდა რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის უზრაღობა. ბოლშევიკების პარტია და მისი შემქმნელი ვ. ი. ლენინი, იცოდნენ რა ქართველი მენშევიკების კონტრარევოლუციური, გამცემლური პოლიტიკა, რჩევასა და მზრუნველობას არ აკლებდნენ საქართველოს შრომელ მასებს, საქართველოში და საერთოდ კავკასიაში შრომელთა პოლიტიკურ ბრძოლას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის ერთგული თანამებრძოლი და მოწაფეები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი წაწერეს მტკიცე ლენინელმა სერგო ორჯონიკიძემ და მისმა მებრძოლმა მეგობრებმა 1919 წლის ზამთარსა და ზაფხულზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას მორის ჩატარებული პოლიტიკური მუშაობით.

სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი ს. ორჯონიკიძე 1918 წლის იელისში ჩამოვიდა თერგზე ქ. ელადიკაევში (ახლა ქ. ორჯონიკიძე). 1918 წლის მეორე ნახევარში იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიის შრომელი მასების ბრძოლის საბჭოთა ხელ-

ისუფლების განმტკიცება-გაფართოებისათვის. თერგზე, ჯერ კიდევ მის ჩამოსვლამდე, 1918 წლის მარტში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. აქ შრომელი მასების პოლიტიკურ ბრძოლას თავიდანვე ედგნენ სათავეში ვ. ი. ლენინის მოწაფეები: ს. მ. კიროვი, ს. გ. (ნოე) ბუაჩიძე, ი. დ. (მამია) ორახელაშვილი და სხვები. თერგის საბჭოთა რესპუბლიკის სახელწოდებით საბჭოს პირველი თავმჯდომარე იყო ნოე ბუაჩიძე.

ამს. ს. ორჯონიკიძის თერგზე ჩამოსვლამდე ერთი თვით ადრე თბილისიდან ქ. ელადიკაევში სამუშაოდ გადავიდა ბოლშევიკური პარტიის კავკასიის სამხარეთო კომიტეტი.

1919 წლის დასაწყისში ჩრდილოეთ კავკასიაში მომძლავრებულმა კონტრარევოლუციამ (დენიკინის თეთრგვარდიული არმიის ნაწილებმა, ადგილობრივი კაზაკების კონსერვატიული პარტიების მიმდევრებმა და სხვ.) შეძლო თერგის მხარეში ჯერ კიდევ სუსტი საბჭოთა წესწყობილების დროებითი დამარცხება. ბოლშევიკური ნაწილები იძულებული იყვნენ ზამთრის უმცირეს პერიოდში დაეხიათ უკან. არმიის ძირითადმა ნაწილმა ქ. ასტარხანისაკენ დაიხია, დარჩენილმა ნაწილმა მენშევიკური საქართველოს ფარგლებში შემოსვლა გადაწყვიტა. საქართველოს მაშინდელმა მენშევიკურმა ხელ-

სუფლებამ, თუმცა წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე ნება დართო წითელი არმიის რაზმებს ინტერნირებული ნაწილების სახით შემოსულიყვნენ საქართველოს ფარგლებში, სასტიკი ზომები მიიღო ინტერნირებულთა მიმართ. ასრულებდა რა თავისი მამინდელი პოლიტიკური შეურვის, ინგლისის საოკუპაციო ჯარის სარდლობის ნება-სურვილს, მენშევიკურმა მთავრობამ ზოგი რაზმი თავიდანვე უშუალოდ გადასცა დენიკინელებს, რომლებიც მხეტარად გაუსწორდნენ მათ; ისინი უმიზეზოდ და გაუსამართლებლად ხოცადნენ რუს ჯარისკაცებს, კომუნისტებს. არანაკლებ მძიმე რებრსივებს მიმართეს მენშევიკებმა ზღმძღვანელი ბოლშევიკი ამხანაგების მიმართ. ფსანაურში დახოცეს თერგული კომისრები შარკუსი და ილინი, ხოლო ბოლშევიკური პარტიის კავკასიის სამხრეთ კომიტეტის წევრი ს. ქავთარაძე, რომელიც სამხარეო კომიტეტისა და უშუალოდ ს. ორჯონიძის დავალებით აწარმოებდა მენშევიკური ზოგადობასთან მოლაპარაკებას ჯარის ნაწილების საქართველოს საზღვრებში შემოყვანის შესახებ, საქართველოს მიწა-წყალზე ფეხის დადგმისთანავე დაპატიმრეს და ციხეში იჯდა წელიწადნახევარს.

შეკმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, ბოლშევიკური სამხედრო ნაწილები იძულებულ იყვნენ დროებით უკან დაეხიათ, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციისა და მისი ზღმძღვანელობის წინაშე დასვა რთული ამოცანა — შეენარჩუნებინათ ჩრდილოეთ კავკასიაში პოლიტიკური დასაყრდენი, ბაზა, რომელიც მომდევნო თვეებში გადაიქცეოდა კონტრრევოლუციანზე გამწვლი ფრონტით შეტევის მტკიცე საფუძვლად.

ასეთ ბაზად სავანებო კომისარმა და სამხარეო კომიტეტმა მიიჩნიეს ჩეჩენ-ინგუშეთის ღარიბი და უმიწაწყო, მაგრამ თავისუფლებისათვის გაბედულად მებრძოლი მთელი ხალხი.

პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრების უმრავლესობა და ს. ორჯონიძე, დენიკინელების მიერ ვლადიკავკაის დაკავების შემდეგ, 1919 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ადგილობრივ რაზმებთან ერთად ჩეჩენ-ინგუშეთის მთის აულებში წაიღდნენ და იქ ფაქტით პოლიტიკური შემოხება გააჩაღეს მომავალი ბრძოლებისათვის ახალი ძალების გამო-საწრთობად.

ამ პერიოდში პარტიის სამხარეო კომიტეტის წინაშე იდგა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაც. მთელ ამიერკავკასიაზე მენშევიკურ-წვრილბრუნებითი პარტიების ნაკიონალ-შოვინისტური პოლიტიკა ბატონობდა. მშრომელი მასების თავისუფლების გადაუდებელი ინტერესები მოითხოვდა მტკიცე პოლიტიკურ ზღმძღვანელობას. სამხარეო კომიტე-

ტის წევრთა უმრავლესობა კდ.ს. ორჯონიძე, ფ. მახარაძე, ა. ნახარეთიანი, ს. გეგეჭკორი, ნ. გიკალო, ი. ფიგატერაძე, მ. სნეკუძი — ზამთრის ძნელ პირობებში მშრმწყვეტებთან ერთად ჩეჩენ-ინგუშეთის მიუვალ მთებში. ამასთან, ბევრი მათგანი დაავადებული იყო ტიფით (ფ. მახარაძე, ა. ნახარეთიანი და სხვ.), ხოლო ს. გეგეჭკორი მძიმედ იყო დაჭრილი.

ვ. ი. ლენინის დიდი გულმოდგინებით ადევნებდა თვალუფრს ამ უაღრესად რთულ პირობებში საქართველოში მიმდინარე ამბებს.

სერგო ორჯონიძემ და სამხარეო კომიტეტის წევრებმა გადაწყვიტეს, რაღაც არ უნდა დასჯდომოდ, გადასულიყვნენ საქართველოში და არაღმავალური მუშაობის წესით თბილისიდან ეხელმძღვანელოთ კავკასიის პარტიული ორგანიზაციისათვის. ამავე გზით ფიქრობდა ს. ორჯონიძე ქ. მოსკოვთან კავშირის განხორციელებას. ჩრდილოეთ კავკასიას თითქმის ყოველი მხრიდან გზები ჰქონდა მოჭრილი თვითრეგარდებით ურდოებისაგან და აქ გამეფებული იყო სისხლიანი ტერორი, ბოლშევიკებსა და წითელი არმიის ჯარისკაცებს უსაბაზოდ სჭიდნენ სიკვდილით.

საქართველოში შესასვლელად კი რჩებოდა ერთადერთი გზა — ხევსურეთის უღელტეხილებით გადასვლა. ამავე დროს ბოლშევიკური პარტიის საზღვარში შეიღებს საშუალება ეძლეოდათ სათანადო პოლიტიკური შემოხება ჩვეულებრივად ხევსურეთისა და ფშავის სოფლებში, დაეკავშირებინათ ერთმანეთისათვის მთისა და ბარის მშრომელი მოსახლეობა, კავკასიონის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კალთების მთიელები, მოეშაღდებინათ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით მათი აღზრდის საფუძველი, გამოეწრთათ ისინი ერთიანი რევოლუციური არმიის ჯარისკაცებად. ეს განსაკუთრებით საჭირო იყო იმპერიზმს, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილად იმეფებული ქართველი მთიელი მოსახლეობისათვის ყველაფერი გარკვეული რაღი იყო რთული პოლიტიკური ვითარების პირობებში. შორეულ მთებამდე ყოველთვის ვერ აღწევდა პარტიული პროპაგანდის გავლენა. მეორე მხრივ, პარტიული ცენტრებისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ მოწინავე შეგნებული ნაწილი ხევსურეთისა და ფშავის მოსახლეობისა, ყოფილი ჯარისკაცები ა. და ი. არაბულენი, გ. და ბ. წიკლაურები, ი. და ნ. ქისტაურები, გ. ზორნაული, ა. ზეურაული და მრავალი სხვა, მისწრაფოდნენ ახალი ცხოვრებისაკენ, თავდადებით იბრძოდნენ სოციალისტური წესწყობილებისათვის. საჭირო იყო ამ ღარიბი და ჩამორჩენილი მოსახლეობის მასობრივი რაზმით მთელი მშრომელი მასების საერთო ბრძოლის ფერხელში, მათი სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის ყველაზე სწორ გზაზე დაე-

ნება. არც ის იყო უცნობი ზელმძღვანელი პარტიული ამხანაგებისათვის, რომ მთის მოსახლეობის ერთ ნაწილზე მენშევიკურ-ესტრული, ნაციონალისტური და შოვინისტური დემაგოგია მომწამვლელ გავლენას ახდენდა. საჭირო იყო ამ ხალხის დროზე გამოძლიერება და გამოგლეჯა შეზღუდული კონსერვატიული რეტიკის კლანკებიდან.

ს. ორჯონიკიძე და მისი თანამებრძოლები, ელადიკაევის დენიკინელების მიერ დავაუბის შემდეგ, აღდგომობრივი ამხანაგების დახმარებით ფართო პოლიტიკურ-ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან ჩეჩნეთ-ინგუშეთში, კმნაან აქ ახალ-ახალ წითელ რაზმებს, საბავენ მომავალი პოლიტიკური ბრძოლის გეგმებს, ანალოზს უკეთებენ უკვე განვლილ დღეთა შედეგებს, ახერხებენ თერგის ველებიდან უკანდახეული ამხანაგების სათანადო მიმართულებით გაგზავნას, დაჭრილებისა და ავადმყოფების მოვლა-პატრონობის ორგანიზაციას. მათ ჩეჩნეთ-ინგუშეთში მუშაობას მოანდომეს 1919 წლის თებერვალ-მარტის თვეები. ამ ხნის განმავლობაში მათ გაატარეს თვეშიშის მთელი ჩეჩნეთ-ინგუშეთი და ზამთრის უძნელეს პირობებში მიიღვნენ ხევსურეთის საზღვრებს.

მთელი ეს საქმიანობა სერგო ორჯონიკიძის ზელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მან წინასწარ საფუძვლიანად შეისწავლა ხევსურეთის თემებით კავკასიონის ზამთრის პირობებში გადალახვისა და საქართველოში გადასვლის რთული პირობები და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა ამ განზრახვის განხორციელებას.

პირიქით ხევსურეთში, ე. ი. კავკასიონის მთავარი თემის ჩრდილოეთ კალთებზე, არის ხევსურებით დასახლებული ორი ზეობა (მამინ ორი სასოფლო საოჯახოაღება) შატისისა — მდ. არღუნის ზეობაში და ახორისა — მდ. ახალ ზეობაში. ორივე ზეობას პირაქით ხევსურეთისაკენ თავისი გადასასვლელები (უღელტეხილები) აქვს. შატილიდან ველკეთის (იგივე დათვისყვარო) უღელტეხილით გადავდივართ ხახმატის ზეობაში, ახორტიდან ბალაქაოს გადასასვლელით ბლოსა და რომის ზეობაში. ამ ორიდან, ახორის გადასასვლელი უფრო მაღალი და კლიმატურ-გეოლოგიურად ძნელი დასამლევი. ფაქტობრივად მასზე ზამთარში გადასვლები არც სწარმოებს. უფრო იოლი დასამლევი გელკეთის გადასასვლელი.

ხევსურეთზე გავლის შესაძლებლობების განხილვისას საგანგებო კომისარი და მისი თანამებრძოლი შეჩერდნენ შატისის ზეობაზე, როგორც უფრო ზელსაყრატზე. ს. ორჯონიკიძემ 1919 წლის მარტის ბოლოს ჩეჩნეთის უკანასკნელი სოფლიდან შატალზე გავლით საქართველოში გაგზავნა ბოლშევიკების პირველი ჯგუფი.

შემდეგ კი ამავე გზით ჩავიდნენ შატალში

სერგო ორჯონიკიძე, მისი მეუღლე ზინიდა, ფილიპე მაზარაძე, ამათაგან ნაზარეთიანი, შატარ ფალავანდიშვილი და სხვ.

... ხევსურებმა, — ზეინებს ამ ამბების ერთ-ერთი მონაწილე, — ჩვენი დიდი სიბარბელე მიგვიღეს. ორჯონიკიძე მათ ქართულ ენაზე ელაპარაკებოდა... მოუყვა ჩვენი მოსვლის მიზანზე, ჩრდილოეთში მომხდარ ამბებზე და რამდენიმე საათში მოიპოვა არაჩვეულებრივი ავტორიტეტი. ხევსურებმა იწყეს მოსვლა სხვა სოფლებიდანაც... შატალში ისინი საპატიო სტუმრებად მიიღო გიორგი ნათელის ძე კინჭარაულის ოჯახმა.²

რამდენიმე დღის შემდეგ ს. ორჯონიკიძემ შატალის გადასასვლელით თბილისში გაგზავნა მეორე ჯგუფი.

ამის შემდეგ ს. ორჯონიკიძე თავისი ჯგუფით კვლავ უკან დაბრუნდა ჩეჩნეთ-ინგუშეთში და დაიწყო კავკასიონის გადალახვის ახალი ოპერაციის მომზადება. ამ დროს ინგუშეთში, სოფ. გულში ტიფთ გარდაიცვალა თერგის საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთი ცნობილი კომისართან გ. ი. ბუტირიანი. ამავე ავადმყოფობიდან სამიშ მღვდლმარეობაში იყო ფ. მაზარაძის, ა. ნაზარეთიანის, ი. ფიგატნიკის სიცოცხლე.

ამჟამად არჩეულ იქნა არხოტის მარშრუტი. ამ მიმართულებით გზების დასაზერავად და მღვდლმარეობის გასაგებად თავდაპირველად არკადი ელბაქიძე გაგზავნეს ქ. თბილისში. იგი არხოტზე გავლისას მოელაპარაკა ხალხს, გააცნო თავისი მიზანი და დაიბრუნა საიქედო ახალგაზრდა ხევსურები დახმარება აღმოეჩინათ ბოლშევიკებისათვის მთის უძნელესი გადასასვლელი გადალახვაში. შემდეგ სოფ. ალაში (არხოტის პირველი სოფელი ინგუშეთიდან), თვითონ სერგო ორჯონიკიძე ავიდა, მოიწაბულეს სოფლის თავაკი ბეწია წიკლაური, ეთათბრნენ ადგილობრივი მოსახლეობას და დაწერილობით დაამუშავეს საქართველოში გადასვლის გეგმებიც. ამით მოუმზადდა ნაიდაგი ბოლშევიკების ჯგუფის არხოტში ასვლას და იქ გაქვეყნული პოლიტიკური მუშაობის გაშლას.³

არხოტიდან ს. ორჯონიკიძე კვლავ ინგუშეთში დაბრუნდა, მისცა მებრძოლ მეგობრებს საბოლოო დავალებები, გაუნაწილა ფუნქციები. დაჭრილი ს. გეგმაკარი დატოვეს სოფ. ალაში, სადაც მას მზრუნველობდნენ ერთგული

¹ ზაქარია (შატარ) ფალავანდიშვილი, ცნობილი ქართველი რევოლუციონერი; ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი ჩრდ. კავკასიიდან ბოლშევიკი კომისარების და სხვა ამხანაგების საქართველოში გადმოყვანისა.

² ЦПА, ИМЛ, ф. 85, ед. хр., 115, оп. 1, л. л. 20—21—22.

³ ЦПА ИМЛ, ф. 85, ед. хр., 125, оп. 1, л. л. 28, 29, 33, 34.

მასშინძელი ხადის აღმოგანივე, მასთან სპე-
ციალურად მყოფი მოწყალების და ოღლა ჯა-
ნაევა. ფ. მახარაძის, ვ. ელერდოვის და ფ. ბუ-
ლეს (მეუღლითერთ) მეგზურობა იტერითა შ.
ფალავანდიშვილმა. მან ისინი და, სხვათაშორის,
ს. გეგეჭკორი, ცოტა მოგვიანებით, კვლავ შა-
ტილში აიყვანა. აქ დაჭრილი ს. გეგეჭკორი და
ტიფთ მამივე ავადმყოფი ფ. მახარაძე სიყვა-
რულით მიიღეს და თავდადებით მოუყარეს გი-
გია კინკარაულისა და მისი ბიძაშვილების ოჯა-
ხებში.

მისში ს. ორჯონიკიძე, ჩრდილოეთ კავკა-
სიაში წითელი არმიის ერთ-ერთი ცნობილი მე-
თაურის ა. ავტონომოვის, ბოლშევიკი სეზიო-
ნოვის და სხვა ამხანაგების თანხლებით, აღრე
შეთანხმების საფუძველზე, ესტუმრა კვლავ არ-
ხოტს, თავის ძველ ნაცვობს ბეწიკა წიკლაურს.
არხოტის თემში სერგო პარველ დღევანდელ
მოიპოვა მთიელი ხალხის, განსაკუთრებით
ახალგაზრდობის სიყვარული. მან ამყარად აქ
დაჰყო რამდენიმე კვირა და საფუძვლიანი პო-
ლიტიკური მუშაობა ჩაატარა ამ სოფლებს
მცხოვრებთა შორის.¹

გაზაფხულის ბოლოს თოვლისა და ქარბუქის
უძნელეს პირობებში სერგო ორჯონიკიძემ გა-
დალახა კავკასიონის უღელტეხილი არხოტელი
გამცილებლების ბეწიკა, ბაბუტა, გიგა წიკლა-
ურების და კიდევ 10 ხევსურის თანხლებით და
ხევსურეთის ადმინისტრაციულ ცენტრში სოფ.
ბარისაშოში ჩავიდა. არხოტის უღელტეხილის
გადალახვისას ავადმყოფობითა და ხანჯ-
რძლივი გაჭირვებით დასუსტებულმა ა. ავტო-
ნომოვმა თავისი უფროსი მეზობელი ამხანაგის
ხელზე დალია სული. ს. ორჯონიკიძე მძიმედ
განაცდიდა მშრომელი ხალხის საქმისათვის
თავდადებული მეზობლის ტრაგიკულ აღსას-
რულს. მან და მისმა გამცილებლებმა ავტონო-
მოვის ნეშტი კვლავ არხოტში ჩაასვენეს და
სოფ. ახილში დაკრძალეს. საბჭოთა ხელისუფ-
ლების გამარჯვების შემდეგ მისი ნეშტი მის
სამშობლოში წაასვენეს.

სოფ. ბარისაშოში ს. ორჯონიკიძე, მღვდელ
ბესარიონ ხელაურის დასმენით, დააბატონა
მეწვევიერები ხელისუფლების ადგილობრივმა
მოხელეებმა, ეკვით შეიცნეს იგი დიდ ბოლშე-
ვიკ მოღვაწედ, გამცილებლებმა ბეწიკა, ბაბუტა,
გიორგი წიკლაურებმა, ადგილობრივმა ხევსუ-
რმა ახალგაზრდებმა მ. არაბულმა, ჩ. ლიქო-
კლმა და სხვებმა ს. ორჯონიკიძე და მისი აქ-
ხანაგები მოხერხებულად გააპარეს მეწვევი
მცველებს, შეიფარეს და უფრო მოხერხებულ

დროს გააცილეს ქ. თბილისამდე უცნობი ბილ-
ეებით.

ფ. მახარაძე, ს. გეგეჭკორი, ა. ავტონომოვი,
ი. ფიგატნერი და სხვა ბოლშევიკები 1919 წლის
გაზაფხულზე და ზაფხულში სხვადასხვა დროს
იქნენ თბილისში ჩამოყვანილი ხევსურეთის
უღელტეხილებით, ძირითადად შატილის ხეო-
ბით (გაზაფხულზე წყალდიდობის გამო არხო-
ტის ქალებზე მგზავრობა თითქმის შეუძლებე-
ლი იყო). ამ პარტიოტული და გაბედული ოპე-
რაციების სული და გული იყვნენ ახალგაზრდა
ქართველი ბოლშევიკები არკადი ელბაქიძე, შაქ-
რო ფალავანდიშვილი და მრავალრიცხოვანი
ადგილობრივი ახალგაზრდობა კავკასიონის ქე-
დის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მოსახლეო-
ბისა, ჩეჩნების, ინგუშების, ოსების, ხევსურე-
ბის, ფშაველების და სხვათა მამაცი შვილები.

ამ ოპერაციების სტრატეგიის სახელგანთ-
ბოლშევიკები ეთათბირებოდნენ მთიელებს,
განუმარტავდნენ მათ საბჭოთა ხელისუფლების
არსსა და ამოცანებს. წყვეტდნენ და ათაწმენ-
დნენ მთიელთა შეიარაღების, მათი ურთიერთ-
შეკავშირებელი მოქმედების და სხვა პრობლე-
მებს. ორგანიზაციას უყუებდნენ მთელი მშრო-
მელი ხალხის მომავალი პოლიტიკური ბრძოლის
საქმეს.

ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვა-
წეების უშუალო კავშირს ხევსურეთის, ფშავის,
მთიულეთ-გუდამაყრის, ხევის მოსახლეობასთან
და კავკასიის მთიელებთან საერთოდ, დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მთიელებისა
და ჩეჩენ-ინგუშეთის მოსახლეობის დამეგობ-
რების, მათი ისტორიული შუღლის აღკვეთის
და ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტი-
კის იდეებით აღზრდის საქმეში. ამ დროიდან
იწყება შემობრუნების პუნქტი ამ ხალხების
ურთიერთობაში. ჭერ ისტორიული ავებულითა-
ბის, ხოლო შემდეგ მეფისა და მეწვევიეებსა
შავნელი რეაქციული და ნაციონალური პო-
ლიტიკის წყალობით ერთიმეორის მოსისხლე
მტრებად ქცეული, უკიდურეს გაჭირვებაში
მყოფი ეს მეზობელი ხალხები საბჭოთა ხელი-
სუფლებისათვის ბრძოლის საერთო ინტერესებ-
მა შეარიგა და მოუშადა საფუძველი შემდეგში
საბჭოთა პერიოდში მათს დამეგობრებას.

რევოლუციის მამაცი რაინდების მიერ გან-
ხორციელებული მძიმე და საპატიო ლაშქრობის
მომსწრნი და მათი შთამომავლები, კანონიერი
სიამაის გრძნობით იხსენიებენ ამ სახელოვან
დღეთა ისტორიას და ნეტარებით შეხვარიან
ბედნიერ ცხოვრებას, რომლისთვის ბრძოლასაც
წარმუშუხრულად სწირავდნენ სიცოცხლეს ლე-
ნინური იდეებზე ნაწრთობი ხალხის ჰუმანიტა-
რული.

¹ ЦПА ИМЛ, ф. 85, ед. хр., 125, оп. 1, л. л. 28, 29, 33, 34.

რედაქციისათვის

საქართველოს მომავალი შიშა

1.

ძველი საქართველოს დაუღალავ მოგზაურებს, დედაქალაქის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში აქლემების გრძელ ჭარბებებს რომ მიერეკებოდნენ, ანდა იალქნიანი სავაჭრო გემებით სივრცე-სივრცეზე რომ სერავდნენ მსოფლიო ოკეანის წყლებს, ოდითგანვე უთქვამთ ის, რაც ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები არცერთი სხვა ხალხის მიმართ არ თქმულა: ღმერთმა შექმნა ზღვა, პოლანდიელებმა კი — ნაპირი.

არ შეიძლება ვთქვათ არ შეგიტოვოს ამ სიტყვებში ჩაქსოვილმა სიამაყემ. ეს სულ სხვა ყაიდის სიამაყეა, თვით ძველ ბერძნებს სიამაყის გრძნობას გვრიდა ის, რომ დიდი ტროა მათი ხელით დაიქცა. უძველესმა რომაელებმა პირისპირა მიწისა აღგავეს მშვენიერი კართაგანი. კიროსის სპარსელთა ლაშქარმა დაამხო იმავი ბაბილონი. დაბოლოს, ოსმალთა ველურმა ტომებმა შელწვეს ბიზანტიის ზე და აია-სოფიას ტაძარზე თურქული ნახევარმთვარე დაამკვიდრეს...

აი, რით ამავობენ ერები და სახელმწიფოები, აქ კი: ღმერთმა შექმნა ზღვა, პოლანდიელებმა კი — ნაპირი...

რა და როგორ შექმნა ღმერთმა, ძნელი დასამტკიცებელია, მაგრამ იმაში დარწმუნება, რომ პოლანდიელებმა მართლაც შექმნეს ნაპირი, ადვილად შეიძლება. ამისათვის სულ ცოტა რომ არის საჭირო. საჭიროა უშუალო თვითმფრინავის ილუმინატორის მიყრდნო და 11 კილომეტრის სიმაღლიდან ძირს გადმოიხედო.

გადმოხედვა და იმის დანახვა, რაც თქვენ ესურთ, ერთი იქნება.

ყუთილი-მოყაიისფრო ხმელეთი ზღვისაგან თითქოსდა გიგანტური სახაზავით გაღებულ სწორ ხაზს გამოუყვია, ეს ქვბირია. არგორი ღელავი არ უნდა იყოს, ბობოქარი ბოლნისის ოკეანე, აქ რომ ჩრდილოეთის ზღვის სახელს

ატარებს, ლარგივით გაკმეული ქვბირის ხაზს ამოვალ აწუდება. დამსხვრეული ტალა უკან ბრუნდება და ახალ ძალის იკრებს.

ნიდერლანდელ მეთევზეთა, მეჭოვთა და მეყვავილეთა ხელით აშენებული ქვბირის სიმაღლე ალგ და ალგ 70-80 ფუტს აღწევს. მის წინაშე ზუნდება თვით ჩინეთის დიდი კედელიც კი, რომელსაც ასეველი წლების მანძილზე ჰინა-პელოს ლაშქარზე უმრავლესი ერი აშენებდა.

ჯერ არავის უთქვამს, მშენებლობა იოლი საქმეაო. მთელი უზარმაზარი სახელმწიფოსათვის ასევე უზარმაზარი ქვეყნის კედლის შემოვლება სიზმარადაც წარმოდგენილია, წარმოუდგენელია ადრაცხელი საშენი მასალის მოპოვება, მონივრება ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და ყოველივე ამის ნაწილ-ნაწილ ატანა ცან მძევნილ ხარაჩოებზე.

ნაპირის შემქმნელ პოლანდიელთა ქვბირი კი მაინც სხვა არის. მისი აშენების სიძნელეს, ისიც როდის — უხსოვარ დროს, თითქმის არაფერი შეედრება. ქვბირი უშუალოდ ესაზღვრება ოკეანეს, არამცთოდ ესაზღვრება, სტიქიონს იქით მიხტომია და თავისი ძველი ფსკერიდან, რომელზედაც ახლა საგანგებოდ ნაფარგები ბაღ-ბოსტნები ბინიანებს, შორს მიერეკება.

შემდეგ, როდესაც ნიდერლანდების მიწაზე ფეხით ან მანქანით იმოგზაურებ, ეს აზრი ღმერთთან გატოლებული კაცის შესახებ თავიდან არ გამოიკვია. პოლანდიელებმა განა მარტო ნაპირი შექმნეს. მათ თავიანთი ხელით შექმნეს საერთო საშრობლოს ლანდშაფტი, ღელა-ბუნება, რომელიც კარგა ხანია აოცებს და ახარებს კეთილ-მოსურსნე მწახველის თვალსა და გულს. აქ არ არის არაფერი, რასაც გამარჯვ კაცის ხელი არ შეხებია, რასაც დღესაც არ აღეცს კეთილშობილური შრომის ბეჭედი. ასე რომ, ძველი საქართველოს სიტყვაძღწევი მოგზაურების გამოჩინებულაში ამოწურავი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ანა-

პირში" მთელ პოლანდიას ვიგულისხმებთ, ნიდერლანდელთა მთელ სამკედრო-საეკონომიკოსს. ამ ქვეყნის შექმნაში ბიბლიურ ღმერთს ძალზე მცირე ღვაწლი მიუძღვის, რადგან ზღაპრული შრომისმოყვარეობით აღჭურვილი ერის, რომლის თვალდებულო სიყვარული სამშობლოსადმი მხოლოდმაჰოლოდ ნაღდ საქმეში გამოიხატება, მისი შემოქმედი გონებისათვის ადგილი აღარ დაუტოვებია.

ვიდრე საპატრო ლაინერის მძლავრი თევზები ამსტერდამის საერთაშორისო აეროდრომის ბეტონს შეესხებოდეს, ბევრს რასმე უჩვეულოს და მომხიბვლელს შენიშნავს აქ პირველად მოსული კაცის თვალი. მთელი მისდამი, რასაც კი თვალით მისწვდები, ლარებით სწორ გზებს დაუხაზავს. ურთიერთის გადაკვეთისას გზები სწორ კუთხეებს ქმნიან და ამ უნაპირო ვაკეს ყველა მიმართულებით სერაფენ.

მეგრამ ეს გზებია? რაღაც არა ჰგავს. ვის უნახავს გზა, თუნდაც ნაწილობრივ, ასე თვალის მომპრეღად ბრწყინავდეს და კაშკაშებდეს! ეგო, თავსაცე როგორ ვერ მივხვდი! ეს ხომ არბიერია, პოლანდიის სახელგანთქმული არხები, რომელთა შემწყობით ამ ქვეყნის ყველა ქალაქი და სოფელი, ყველა ბოსტანი და პლანტაცია, ყველა გზა და ბილიყი ერთმანეთს საიმედოდ უკავშირდება. თვით ამსტერდამს ხომ, დედაქალაქს ქაავის შემდეგ, ქვეყნის მეორე საპრეფექტო, საეპრო და კულტურულ ცენტრს, ჩრდილოეთის ვენეციას ეძახიან. ამსტერდამიც, თითქმის ისევე, როგორც იტალიის ის ტურფა ქალაქი, არხებზეა გაშენებული. ამ ბევრი არხი ქუჩის მაგიერობას ეწევა. არხებში ათასობით გლისტრი და გონდოლა დაცურავს და ტვირთები გადაჰყავს. 100 არხზე 148 ხიდია გადებული. ამა, რით არ არის ეწევიან! ეს არხები ქვეყნის ოთხივე კუთხივ მიემართებიან. ისინი ჩრდილოეთის ზღვის ყველაზე უკიდურესი სანაპიროდან მოკიდებული კონტინენტის გულისაკენ ჰყვითენ პოლანდიის დაცემულ ვაკეს და ევროპის უდიდეს მდინარეებში ჩაივსა, მაასა და შელდამში აქედან შესული სატიერთო პარკები თუ კახტა სამგზავრო იატაკზე ცენტრალური ევროპის ყველა სატახტო ქალაქამდე აღწევენ.

გზებსა და არხებს შორის საკვირველი სიზუსტით გამოყვანილი ოთხკუთხედები მოქცეულან. ეს ფაქიზად დამუშავებული ნაკვეთებია. ადრიაინი გაზაფხულია და ნაყოფიერ პოლდერებში, პოლანდიელის გამრჯე ზღვს რომ არა, დღესაც რომ ზღიის ფსკერი იქნებოდა, უკვე ერთმანეთს ეჯიბრებოდა ფერები. ასეთ დროს საქართველოში, საიდანაც არ უნდა გადმოიხედო, მხოლოდ მწვანე ფერი ბატონობს — ფერი პირველქმნილი ბუნებისა. ზელიც რომ არ ახლო, თოვლი გადნება თუ არა, ის მაინც თავის სახეს მიიღებს — ამწვანდება, განახლდება, ახალ სულს ჩაიდგამს. ასეთია ბუნების წესი. აქ

სულ სხვია. პოლანდიელ გლეხს ღმერთისა და ბუნებისათვის ყველა საზრუნავი ჩამოერთმევიდა. თავისი ქვეყნის ბუნების მტკიცე და განწყობილუბას ის თავად განაგებდა. სამი კვირის წინათ აქ უთუოდ ღრმა თოვლი იყო. მაშ, როგორღა მოასწრო ყვავილნარმა თვალის ახლა, წამოყვალაყვება და უცხო ფერებსა და სურნელში ველების გახვევა?

ყავასოფრად ღალანებს ტელუპანების ყანა. მომწვანო-მოყვითალო და აყვებულე ზაფრანის ფერი დაჰრავს ნარგიზისა და სუმბულის ზოლებს. უბირი კაცი ამა რას იცნობ ყველა ყვავილს, უთვალავი ფერის ყველა ნიუანსს როგორ გამოუტყნბი მხოლოდ მის შემოყვარის საკუთარ სახელს!

ყვავილების ნაკვეთებს შორის მწვანელ ხასხასებს ნორჩი ბალახით გადავლილი ნაკვეთები. სათიბებსა და საძოვრებს, სადაც ნებიერი ხარ-პროხა ბალახობს, ქარხლის მოგზაო კვლები ენაცვლება. მერე ისევე ტიტა, ნარგიზი, სუმბული, მიხაკი, ისევე ქარხალი და საძოვარე ლაღდ მოხალაზე ქრული ძროხები...

სად დინახავ აქ მომედარ მიწას, წლობით ნასვენებ გამოფატრულ ყანებს, ჭაობს, შამხარს, ყაშირებს, კაცობრიობის გაჩენის დღიდან სახნის-საწყრელი რომ არ შეშებია, ველურ ბუჩქნარებს, ანწლს, გვიმრას, თვითნებრად ამოსულ დიყას, ზართთვალს და საყვების მამებას დამშეულ საქონელს, რომლის სიბრაღელი გულში სიყრმისდროინდელ მოურჩენელ სევდად ჩამარჩენია.

ამ ზურზუტოვან ველზე წითელი კრამიტით დახურული პატარ-პატარა სახლები შორი-შორს განხეულან. სახლები კერამიკული აგურის პარკერით მოქცეულ სწორ გზებს მისდევენ და სახლების ეს უსასრულო მწყობრი, როგორც თვით გზა, ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე არ წყდება.

თვითმფრინავის ფრთებქვეშ თავბრუნამხვევი სისწრაფით მოქრიაან პატარ-პატარა დაბაქალაქები, ქარხნების მილები, ქრულ-ქრულა მანქანებით მოზიზიზივ ფართო ავტოსტრადები, აქა-იქ თითქმის ფიალით ნაღმული მრგვალი ტბები, მწვანე ფარჩაზე აღმასის თვალთვით რომ ბრწყინავენ, ისევე და ისევე ნაირფერი ოთხკუთხედები და ამასობაში თევზების ყრუ გრუხენიც ჩავესმის — თვითმფრინავი უკვე დაშეებულა და ზრიგინ-ზრიგინით მიილტვის ბეტონის ბილიცზე.

აეროპორტ ორგანტედან ამსტერდამამდე 20 კილომეტრია. აქაური საჩეისი ავტობუსი ამ გზას თითქმის ფრენით გაგატარებს და ვიდრე ყურები საპატრო ლაინერის ძრავების გუგუნს გადაეწყვეოდნენ, ამსტერდამში შეგიყ-

ვანს, თვით აეროპორტს უზარმაზარი ფართობი უკავია. იგი საპერო ტრასებით დაკავშირებულია დედამიწის ხეობებ კონტინენტთან. მინდორში ღვანას „ბრანსკონინგტონ“ ჰოლანდიის, „საბენას“, „ბრანსკონინგტონ“ და ვინ მათთვის, კიდევ რამდენი სახელმწიფოს და ავიაკომპანიის თვითმფრინავები. აეროგზლის შენობა მინისა და ალუმინის კონსტრუქციებით არის აგებული. მგზავრი ისე გადმოიხიარ თვითმფრინავიდან, რომ აეროდრომის მიწაზე ფეხს არ აყარებ. თვითმფრინავი აეროგზლის შენობიდან 15-20 მეტრის მოშორებით წერდება. გაჩერებისთანავე ტრასის მაგიერ კარს ელასტური გვირაბი მოადგება, თვითმფრინავს მოერგება და გზაც ხსნილია. ამ გვირაბით პირდაპირ მოსაცდელ დარბაზში შედიხარ. საბაჟო ცერემონიალი სულ რამდენიმე წამს გრძელდება და მომდევნო დარბაზის ესკალატორთან თქვენ უკვე ჩემოდანს ელოდებით. მოედანზე, სადაც ასობით მსუბუქი მანქანა ჩამწკრივებულია და ვიდეოს ელსი, მინის კარს გაუფხვარ. ეს მინის კარი თავისით იღება თქვენს მიხედვით და ასევე თავისით იკეტება, როგორც კი ქუჩაში გაბიჯდები.

ათასი ავიაგზლით მოგზავნე ორგანიზაციის უკან დარბაზი და წითელი ავტოს პარკებით მოგზავნე გზატკეცილზე საკრისო ავტობუსში ამსტერდამისაკენ გაგვიქროლა. უმაღლესი მინის შენობიდან ერთმანეთისაგან არხებით. გამოყოფილი პატარა-პატარა ნაკვეთები, რომლებიც ახლოდან კიდევ უფრო გრძელდებიან თვალს აღმაიანს. რა ხელში დამაშინებდა ასე ფიქრად. თვით დავალოლი ხელი ბელოვნების თვალწარმოადი ნაწარმოებია.

გზის თანდათან შემოერთდა სხვა გზები. მალე ამოვიკითხე ნაცნობი სახელი „პარალელი“. ეს ის ქალაქია, რომელშიც ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში ნამდვილად გმირული წინააღმდეგობა გაუწია სისხლისმსმელ პერსონაჟს და მის გამხეცებელ ესპანელებს, რომლებიც იმხანად მსოფლიო ბატონობას ესწრაფოდნენ. ლიეგენის ალვის შემდეგ პარალელის ალყა ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი ამბავია ჰოლანდიის ისტორიაში. აღბამ ბოლოს მაინც აიღო პარალელი, შელწა მისი მკვიდრი ჰიშარი და ქვეყნის ამ უმდიდრეს ქალაქს კალასავით შეესია, მაგრამ თავისუფლებას მოუვარდო ხალხი კი მაინც ვერა და ვერ დაიმორჩილა.

მეორე მსოფლიო ომის დროსაც აქ იდგა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს შტაბი. ისევ და ისევ პარალელი უდგა სათავეში მსოფლიო ბატონობის ახალი პრეტენდენტებისაგან ჰოლანდიელი ხალხის გათავისუფლებას. ჰოლანდიელებმა კარგად იცოდნენ თავისუფლების ფასი და არც თავიანთ ისტორიას იფიქრებენ. ძნელია, აღბამ, დედამიწის ზურგზე მოიძებ-

ნოს ხალხი ეგზომ ტრადიციული, ეგზომ მოკრძალებული თავისი ოჯახის, უმცროსების, კეთხის და სამშობლოს წყაროების წინაშე. მაგრამ ის წარსულს როდი ეშინება, მხოლოდ გულისხმობს მას და წინ მიდის მსოფლიო ცივილიზაციის საბაზო მხარდამხარ.

მშობელი ხალხის ყველა თაობას თავისი საქმე თავისებურად უყვარება. ქვეყნის სულსა და მატერიალურ კულტურას პარალელი ანდა გარდასულ თაობათა კეთილი მოღვაწეობის კვალი. ჰოლანდიელთა ახალი და ახალი თაობები სათუთად ეკიდებიან წინამავალი თაობების ამ კეთილ კვალს, მაგრამ თუ ის, ეს კვალ, ცხოვრების ახალ წესს რითიმე ხელს უშლის და უნებლიედ წინ ელოდება, მას ისე აქცევინ, რომ არც მწედი დაიწვას და არც შამფურით ფორმას ბელებზელი სტოვებენ, ხოლო შინაარსს კი სცვლიან...

აქვე შეიძლება ითქვას, რომ ჰოლანდიის ყველა ქალაქი, თუ არ ვინჯარბთ და როტერდამის ცენტრზე არაფერს ვიტყვი, ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ეს მსგავსება, უბრალოდ, სივალისა, ღვრი საცხოვრებელ კვარტალებს ემჩნევა. სახლები მეტი წითელი აგურით არის აშენებული. ორჯერ გამოიწვია კერამიკული აგური იმდენად მეტია, რომ მისი ფერი უფრო სიშავისკენ იხრება, რაც ქუჩას, მიუხედავად ღრუბლიან აწინდში, რაღაცნაირ პირქუშ იერს აძლევს. ჰოლანდიელებს ეს უგრძელადა და ქალაქის არქიტექტურაში სიცოცხლის შესატანად წინამოხე გამოიყენა ყველა ფანჯარა და ხისაგან დამზადებული ყველა ნაწილი თეთრი ზეთის საღებავით შეუღებავთ. ამას გარდა, აგურის კედელს, თეთრელი სათულის სიმაღლეზე, ხელისგულის სიფართოვით თეთრი ზოლები გასდევს კუთხიდან კუთხემდე. და დგანან ასე ხელებისაგან დამზადებული ეს თეთრი ზოლები და თვალუბამოთვითებელი აგურის სახლები ვიწრო ქუჩის ორივე მხარეს და ძალიან გამხიარულებულნი ერთმანეთს უხუტებენ.

ამსტერდამიც ზუსტად ასეთია. ის უფროდ იწყება მრავალსართულიანი აგურის სახლებით. ქალაქის ეს განაპირა უბანი ამ თვალათილად წლის წინათ აუშენებიათ, მაგრამ ახალი სახლები ქალაქის სხვა უბნების სახლებისაგან არაფრით განიზღვრება. დიდი, კიდევ უფრო მრავალსართულიანი, მაგრამ არა რვა და ათ სართულზე უმაღლესი შენობები ამ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებს, ამერაქულ ოტელებს, უცხოურ ფირმებს და ბანკებს უჭირავს.

ზედინდელ გადავიარეთ რამდენიმე ხიდი ფართო არხებზე ქალაქის ძველ ნაწილში, რომელთა ანკარა სარკეში წყნარად ლივლივებდნენ სანაპიროს გასწვრივ გაყოლებულ შენობათა დაცლანილი ორიულები, და ვეებო ავტობუსში ფრთხილად შევხვია ვიწრო ჩისში თუ

შესახვევში. მძღოლს, ისიც ასეთი დიდი მანქანისა, ამსტერდამის ეიწრო, თითქმის შუასაუკუნეობრივ ქუჩებში დიდი სიფრთხილის გამოჩენა და ხელოვნება მართებს. ისედაც ვიწრო ქუჩაში დღე-ღამის ყოველ დროს ათასობით მანქანა, ველოსიპედი და მოტოციკლი დგას და პატრონი ელოდება. მანქანა ისე ბეგრიან, რომ უნებლად გაიფიქრებ, სადღა დადგება, ქალაქს კიდევ ათი მანქანა რომ მოემართოს?

ამ ვიწრო ქუჩებში თავბრულმამევეი მოძრაობაა. ქალაქი ზუსტად იცავს მოძრაობის წესებს. ასე რომ არ იყოს, ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე დიდიდან საღამომდე ვერ გადახვალ. არაფერ არავის უთმობს გზას. ყველამ თავისი დრო და ადგილი იცის — კანონი კანონია!

პარაკევი დღე იყო, დღის მეორე ნახევარი და ისედაც მოფხუფხუე ქალაქი კიდევ მეტ ფხუფხუსა და ორმოტრიალს მოეცემა, სახლების წინ ბამბუტის მთლილი კიბეები დაედგათ და ჭაგრისათა და სამნიანი ცხელი წყლით სახლის ფასადს რეცხდნენ. ეს თურმე აქ ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. ქალაქის ყველა სახლი, არა მარტო მხოლოდ ამსტერდამში, არამედ მთელ ჰოლანდიაში, თვეში ორჯერ სამნითა და თბილი წყლით ირეცხება. კარ-ფანჯარას ჩარჩოებიანა იღებენ და ისე რეცხენ ამ საქმეზე საგანგებოდ მომუშავე სპეციალისტები. ყველა მოზინადრ და ამა თუ იმ დაწესებულების პატრონი მოვალეა სრული სისუფთავე დაიცვას თავისი საცხოვრებელი სახლის თუ დაწესებულების წინ. მთელი ქალაქი ისეა გარეცხილ-გაყრიალებული, მტკრის ნატამალსაც ვერსად შეამჩნევ.

უმაღლესი-თბილისი გამახსენდა. ერთხელ მე ვესწრებოდი დიდ კრებას, სადაც ზარ-ზეიმით გამოაცხადეს, რა დიდ წარმატებებს მიუღწიეთ ქალაქის სისუფთავისა და კეთილმოწყობის მხრივ რიგასთან შეჯიბრებაში. გამახსენდა და მიღწაწყვეტილი ტელეფონი-ავტომატები, გადაყარავებული ჭიხრები, ჩაღწილი ვიტრინები, ამწარიებული სადარბაზო შესასვლელები, ზედახორა ავტობუსის თუ ტროლეიბუსის კართან, ზედმეტი ფულის წასაღებად ხელებში შემოჩერებული ტაქსის მძღოლები, გამახსენდა და გული ჩაიწყდა. მაგრამ საკითხავია: ისინი, შორეული ქვეყნებიდან მოსული სტუმრები რაღას ფიქრობენ, როცა თბილისის, ქუთაისის და საქართველოს სხვა დიდ და მცირე ქალაქებში გაელა-გამოვლისას ყოველივე ამას საკუთარი თვალით ხედავენ და ყურით ისმენენ? ვინც ღვაწლადანი გულით მოსულა, ცხადია, სიამოვნებისაგან გაიღიმებს — ხომ ხედავთ, ველურობისათვის თავი ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათო, მაგრამ შეგობარი? რა გუნებაზე დადგება მეგობარი?

ჰ, ჩვენი ქველყო ქართული თვითკმაყო-

ფილებზე! რამდენი უსიამოვნება და სარცხილი მოგიტანია შენ ჩვენი და, თუ ყურბიდან ბამბა არ გამოვიღებ, კიდევ რამდენ სირცხვილად და უსიამოვნებას მოგვტანს!

ფეხბურთის გამო ატეხილი ავირტავი აქაც ისეთივე ყოფილა, როგორც სხვაგან. დასვენების წინააღმდეგ მოყვლა, ისიც დიდი ფეხბურთის წინ და ყველას, დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს, მოხუცს და ახალგაზრდას შინ მიყენებდა. დღეს ჰოლანდიის ნაკრები ჩეხებს ეთამაშება ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში. წინა თამაში ჰოლანდიელებს მოუგიათ დიდი ანგარიშით, ჩეხებს რვაწამში სტირდებათ და თანაც კიდევ უფრო დიდი ანგარიშით. წინააღმდეგ შემთხვევაში მადრიდის საგზური მასპინძლებს უკვე განადგომბული აქვთ. ქალაქს მოუთმენლობა დასტყობია. კიდევ ცოტა ხანაც და ყველა ტელევიზორის ეკრანს მიუჯდება, რადგან დღე ღრუბლიანია და შეიძლება საღამოს წვიმა წამოვიდეს. სტადიონზე გაჩნდება შინ მშვიდობიანად ყოფნა ჯობს. წვიმა აქ ხშირია. მთითმეტეს გაზაფხულზე. შოალებს პირს და მომძვევო დილაშივე არ გადაიკარებს.

გუგუნებს ქუჩა. ერთიმეორის მიყალებით მისრიალებენ სხვადასხვა ფერის და სხვადასხვა მარკის დიდი და მცირე ლიშტინები, ქახკახით მიჰქრებიან მოტოციკლები, მანქანების ამ ახავთებულ მორცეში საყვარელი ოსტატობით მოქანებენ ჩვეულებრივ ორთღლიან ველოსიპედებს ორივე სქესისა და ყველა ასაკის მოქალაქენი. საკმარისია, ქუჩის რიტმი წამის ერთი შეათვლით დაირღვეს, ყველა და ყველაფერი ერთმანეთს მისცდება და საშინელი უბედურება დატრიალდება. მაგრამ ეს რიტმი ძალაღობაშია გაქცეული. ის არ შეიძლება დაირღვეს. ამიტომაც ასე თავდაჯერებით იყურებან წინ ავტომობილისტები და მოტოციკლისტები, ველოსიპედისტები და ფეხით მოსიარულენი.

ცა თანდათანობით იღრუბლება და ავტორის ფილაქანზე წვიმის პირველი წიწკრები ეცემა. ბინდელ ავა-იქ ინთება შექარყვლამ. საქმით დატვირთული დღის შემდეგ ამსტერდამი სულისა და ხორცის მამაბებულ ცხოვრებას იწყებს. ჩამოხტით ერთ პატარა, ძველისძველ ოტელში. ოტელში, ძველი და ახალიც, უფრო კი ძველი, ამსტერდამში უმარავია. დიდი, პატარა, ერთმანეთის პირდაპირ, ერთმანეთის გვერდით, კუთხით, ზურგით...

პატარა, შინაურულ სასტუმროებში განსაცდელზედელი ინტიმი სუფევს. ასე გგონია, მგობრის სახლში მოხვდი, ალერსიან პერქვეშ, სადაც შენს პირსხვენას ნივლიორება არ ემუქრება, როგორც უზარმაზარი მსოფლიო ცენტრების ასევე უზარმაზარი სასტუმროების პორტუგალია. შენ აქ აღამაინა ხარ, ინდივიდი და

შენი სახელი და გვარი ასომთავრულით იწერება.

სადა ხალიჩით მოგებულ პაწია პოლში ტელევიზორის ეკრანი ჩახახებდა.

ჩეხები საგრძნობლად ჯობნიდნენ თავიანთ აყლაუდულ მასპინძლებს, რომლებიც საკუთარი კარის დაცვაზე უდიდესი გამწვავებით ზრუნავდნენ. ორი ბურთი მაინც გაეხვია პოლანდიელთა ბაღდში. თვითონ კარში ერთხელაც არ დაურტყამენ. მასპინძლები წინა გამარჯვების დიდმა ანგარიშში იხსნა. ბოლოს მაინც აიღეს მადრიდის საგურბი და მაინც, ერთმა ჩეხმა ფორვარდმა წიხლი ამოარტყა მასპინძელთა მეკარეს. თამაში დამთავრებული იყო და ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ხალხი ცეკვავდა კოკისპირულ წყნებაში, სასაცილოდ ხტოდა და ტლინკაობდა თეთრხალათიანი ექიმები, ვიღაც კუპატრეით ჩასუჭებულმა კაცმა მთელი მინდორი ძენძელით გადარბინა. ცალ ხელში გაშლილი ქოლგა ეკავა, მეორეში — ყვავილების თაიგული. თაიგისიანებს ვეღარ მიუღწრო. გამარჯვებული ფეხბურთელები ხალხმა ციმციმ გაიყვანა სტადიონიდან.

3

პოლანდიელთა ეროვნულ ხასიათს და ვინაობას ამ ქვეყნის სამი დიდი ქალაქი გამოხატავს: ამსტერდამი, პაავა და როტერდამი. ძველი ტრადიციის თანახმად ეს ქალაქები ერთგვარ შინაგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ და თითოეული მათგანი პატარა სახელმწიფოა, რაც ნიდერლანდების სამეფო ტახტისა და მთავრობის ქვეშემდგომობისაგან მათ სულაც არ ათავისუფლებს.

აქ კარგა ხანია გავრცელებული ყოფილა ძველი ხუმრობა: „პაავა წერს, როტერდამი შენდება, ამსტერდამი კი ცხოვრობს“.

ეს ხუმრობა, ჩემის აზრით, თვით ამსტერდამელების მოგონილი უნდა იყოს. მასში ორი დანარჩენი დიდი ქალაქი საკმაოდ ირონიულად იხსენიება, ამსტერდამს კი ჭკუაში მოგებული კაცის პოზა აქვს მიღებული.

დაე, პაავამ წეროს, როტერდამი აშენდეს, მთავარზე უმთავრესი მაინც ტყილი ცხოვრებაა. ცხოვრება ეპიკურეელი ამსტერდამის ზეგდება.

აბა, ის ხუმრობა რა ხუმრობაა, თუ შეგი სიმატლის ნაწილი არ ურევია!

პაავა, სამეფო ტახტის, მთავრობის, დეპარტამენტების, უცხო სახელმწიფოთა საელჩოების მუდმივი რეზიდენცია და ადგილსამყოფელი, სახელმწიფოს დედაქალაქი და ადმინისტრაციული ცენტრია.

წერს! მაშ, რას იზამს...

აქ მუშაობს სახელმწიფოს ბიუროკრატიული

აპარატი და ქვეყნის ოთხივე კუთხიდან მომავალი არაბები, ბრძანებებს, განკარგულებებს და სხვა მნიშვნელოვანი შინაარსის შეწყვეტილი ბრძანებებით ქალაქს აგზავნი.

ამსტერდამს ეს, ეტყობა, ამოა ფუსფუსად მიაჩნია და ამიტომაც ელიმება.

როტერდამს, ქვეყნის მესამე ცენტრს, რომელიც მოსახლეობის ოდენობით ორივე თანამომეს საგრძნობლად სჭარბობს, სულ სხვა ზეგარი ერგო. ის ორჯერ დაბომბვის წარსულს იმშენი. პირველად გერმანელებმა — 1940 წელს, როცა ასაღებად უახლოვდებოდნენ, ხოლო მეორედ კი ინგლისელებმა პირველი დაბომბვიდან 4 წლის შემდეგ, როცა ტანჯული ქალაქის მტრის კლანჭებისაგან გამოხსნის ეამში დაიკარა. ადელი მას არის მტკიცება, ვინ მტრი ავსო მას — მტერმა თუ მოყვარულ. როტერდამის ცენტრი უწყალოდ დაინგრა. მხოლოდ ქალაქის რატეში და მდინარე მაასის ნაპირზე აღმართული ნავსადგურის რამდენიმე შენობა გადაურჩა ამ საშინელ ხანძარს და ნგრევას.

დღემდენდენ თუ არა ზარბაზნები, როტერდამი შენებას შეუდგა, შეუდგა შენებას, რადგან სხვა გზა არ იყო, დანგრეული ქალაქის შეკეთად აღდგენის მოითხოვდა. მაღა კამაში მოღისო. მას აქეთ შენდება და შენდება. შენდება სასახლეები ბანკების, ტრესტების, უცხოური ფირმების მოსათავსებლად, სავაჭრო ცენტრები, ახალი ხიდები, თეატრები, პოლანდიის პირველი მეტროპოლიტენი...

სამაგიეროდ, ამსტერდამს არცერთი ეს გაპირება არ განუცდა. ის არც გამოღებულ მშენებლობის აუცილებლობის წინაშე დგას. რაც ასაშენებელი იყო, კარგა ხანია უკვე აშენდა. იმ თითო-ორთა კვარტალის მიმატება ყოველ წელს იწადს, რაც მოსახლეობის ზრდებრივ ზრდას მოსდევს, ანგარიშში ჩასაღდება არ არის. აქ დროის გასატარებლად და თავისი მილიონების გასაფლანგავად ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნის ყველაზე უფრო მდიდარი ბიზნესმენები. მართალია, ამსტერდამი მილიონების მოსაპოვებელი ადგილია, მაგრამ აქ არანაკლები წარმატებით შეიძლება ამ მილიონების დახარჯვა და მის საფასურად ყველა ამქვეყნიური სიამოვნებით დატკბობა. არ არსებობს ადამიანის ყოფაცხოვრებისათვის საჭირო რაიმე ნივთი თუ ფუფუნების საგანი, ოქროული ექნება თუ თელამარგალიტი, რის შემოთავაზებაც ამსტერდამელ ვაჭრებს არ შეეძლოთ. არ არსებობს ქვეყნად ეგზოტიკური სუფრა, რომელსაც ამსტერდამის კაფე-რესტორანებსა და ლამის კლუბებში არ გაგიშლიან. მთავარია ფული. ვისაც ფული აქვს, იმისთვის აქ ხსნილია სამოთხის კარი. არავინ გეკითხება, ვინ ხარ; საიდან და რისთვის მოსულხარ. ფული გაქვს? ისიათვენ, არა გაქვს და ნურადრის

იმედს იქონებ, თუნდაც ჯვარს ეცვი. ეს თითქოს არცთუ ისე გასაკვირია, მაგრამ ქართველ კაცს, რომელიც სულ სხვა ტრადიციებზეა აღზრდილი, მაინც შეტისმეტ გულქაობად ერევენება.

და, ბოლოს, ქალაქის ე. წ. „წითელი ვიტრინები“. მაღალი და ფართო ვიტრინის უკან, მოწითალო ბინდებულში, ზის ნახევრად შიშველი ქალიშვილი და ვიტრინის წინ გამვლელ მამაკაცს, მოხუცია თუ ახალგაზრდა, ლამაზი თუ მახინჯი, უსიტყვოდ იწვევს შიგნით, ბარში...

წითლად განათებულ ვიტრინებს მთელი კაპარტალები და ქუჩები უპირავთ. დღე-ღამის უოველ დროს აქ ბლომად შეხვედები ჩვეულებრივად მოსივრე შეზარბოვებულ ევროპელებს, რომლებიც ვიტრინაში გამოფენილ საქონელს სმეისს მცოდნე მედიველის გულგრილობით ათავალერებენ და ერთი დაწესებულების ვიტრინიდან მეორე დაწესებულების ვიტრინასთან გადადიან. ვის არ ნახავ აქ, რა ჯუბისა და რასის წარმომადგენელს არ წააწყდები! სხედან ეს ლოდინით გულაწყვლებული, თვლემამორიელი ქალები თავიანთ სამუშაო ადგილზე და მოთმინებით ელან, როდის მოვლება ბოლო გაუთავებელ ლოდინს, ვინ შემოაღებს კარს და ვინ შემოვა, ყინებგახვრტილი მაწინწალი თავისი ორმოციოდ გულდენით, თუ გულუხვი ყოპარბაზი, კაზინოში დიდი თანხის წაგების შემდეგ უკანასკნელ ათასს აქ რომ დასტოვებს და მერე იქნებ ტყვიაც იკრას შეტლში.

თავიწარმტაცი და მაღდენებელი ამსტერდამი ლამით, ღამის ამსტერდამი სულ სხვა, დღის ცხოვრებისაგან განსხვავებულ ცხოვრებას ეწევა. ეს ცხოვრება მხოლოდ განთიადისას წყდება და ადგილს უთმობს ზეუღლებრივ სმეისს დღეს.

მიღობარ მიტველ-მოხვეულ ვიწრო ტროტუარზე და შეჭრელამისა და შიგნიდან გაჩახახებული მაღაზიების, ბარებისა, ღამის კაფეებისა და მდიდრული რესტორნების ჯადოსნურ ფერებში ეხვევი. ისედაც საპატარზოდ მოკაზმული თვალმოყვრეულ ქალაქი ნაწილობრივ კიდევ უფრო მიმზიდველი და იდუმალი ფერების ალმეგრული გვეჩვენება. ღამის კაფე „მატა პარი“, თუმცა აქ უველა კაფე ღამისაა, რადგან დღისით შიგ შესულს ვერავის დინახავ. არამეტუ დღისით, კაფეებში ღამითაც საყვარელი ხალგათობაა. აგერ-აგერ სხედან თითოთიროლა, რესტორანი „რემონტანტი“. აგურის შიშველ კედელს კეთილშობილური სიძველის იერს აძლევს ზედ ასული სურთ. რეკლამა რეკლამას მოსდევს და ენაცვლება, ვიტრინა-ვიტრინას. თან უცნაური დამოხვევებია. ერთ შინაურულ სტილიზებულ რესტორანს, რომელმაც რალაციტ მცხეთის გზა მოშვანა, „იბერიკა“ ჰქვია. ვისაა? რომელი იბე-

რიის სახელობაზე აუშენებიათ? მაღალ შენობაზე თვალისმომკრელად ციმციმებს წარწერა: ტუმენსკი. გვერდით ვიღაცამ შენაშენა ზეუსისუღ გვარა უნდა იყოსო. მაშალა მანქანა! ტინი იცის...

კინოთეატრის უკანასკნელ სივანზე თურქეთის გზებზე გადაღებულ დოკუმენტურ კინოსურათს უჩვენებდნენ. სურათის მიზანი ბიზანტიური სიძველეების გამოჩენურება იყო, მაგრამ ამ სიძველეებს, რათა უცოდნარი უცოდის მაყურებელი მიეზიდათ, ნახევრად შიშველი ქალაქის მოგზაურობის ფონზე წარმოადგენდნენ. ამაში იყო თითქოს რაღაც ფილოსოფიური ქებატმსტიცი, მხოლოდ არა მგონია, სურათის ავტორებს ამ ქებატმსტიკისათვის საგანგებოდ ებრუნათ.

დოკუმენტური ფილმის შემდეგ, ეიღრე მხატვრული ფილმი დაწყებოდა, ეკრანი მთელი თხუთმეტი წუთით სხვადასხვა სივარტო ფერების უძრავ-მოძრავმა რეკლამამ დაიკავა. მხატვრული ფილმი დასავლეთ გერმანიისა აღმოჩნდა. მაყურებელს მოუთხრობდნენ გათხოვებას დანატრებული კარგი ოჯახისშვილი გოგონებისა და შთამომავლობის გაგრძელებისათვის უძღური ყმაწვილი კაცის ამბავს. აქცენტი მთლიანად გადატანათ სექსისა და ეროტიკულ აღტყინებაზე.

ოპიუმში თუ გინდა, ეს არის. სექსი და აეთოტავი სპორტული პაექრობების ორგანიზაცია, რაც აღამაზნებს პასურობისა და ინტელექტუალურ უმოქმედობისაკენ უბიძგებს. ვერაგულად მოფიქრებული სვლაა და ამ ვერაგულ სვლას მართოდენ ნიდერლანდებში როდი მიმართავენ.

ფილმი ისე გათავდა, ზეირიანად ვერაერ გაიგო, რა მოხდა, რისთვისაა რა აზრისა და იდეის დასამტკიცებლად გადაიდგეს ეს კადრები. სურათის დემონსტრირების დროს დაბაზში მოძრაობა არ შეწყდა. მაყურებლები შემოდიოდნენ და გადიოდნენ, ვისაც როგორ და როდის მოგებრანებოდა. დროდარო ისმოდა სტვენა, ფეხების ბრახუნი, შემახილები. შესაძლოა, იმიტომაც იქცოდნენ ასე, რომ ფილმი გერმანელი იყო? იქნებ სხვაგან ვერც კი ნახო ქვეყანა, სადაც ასე აღზიანებდეთ ყოველგვარი გერმანელის ნახვა და გახსენება. ნიდერლანდებში უდღესი სიძულელი დამთესეს გერმანელმა ფაშისტებმა და დღეს ამ სიძულელი ნაყოფს მთელი გერმანია იმკის. აღბათ, ასეულმა წლებმა უნდა გაიაროს, რომ ეს ენებანი, ზანძარივით აგზიზგიზებული სიძულელი პოლანდელები გულიდან ამოვიდეს.

მეორე დღეს, ამსტერდამის რომელიღაც არხის სანაპიროზე სეირნობისას, ერთმა ზენიანმა ყვავილების გამყიდველ დაზარისულ მოხუცს ტულანების მწვენიერი თაიგული გამართა და გერმანულად ჰკითხა, რა ღირსო.

ქალი დიდი ტანისა იყო, ქერა, მოძრავი. თუ გერმანულად დაილაპარაკებდა, ეშვიც არ შეგეპარებოდა მის გერმანულობაში. ბერიკაცმა ცერად ამხედ, პირი ოდნავ დამცინავად მოეკრა, თანგული საჭაოდ უდღერად გამოართვა ქალს და სუფთა გერმანულით უთხრა: „აქ გერმანელებისათვის არაფერი არ არის, გაიარეთ!“ და მიუხედავად იმისა, რომ დახვეწილ მანერება ჩვეული ზრდილი კაცი ჩანდა, ყველას ზერტი შემოგვაქცია. ერთმანეთს გაღვხედეთ. შეჩანჩლარება ისეთი მძლავრი იყო, აღარავინ მოინდომა მოხუცის მუდგროების დარღვევა და ის მარტო დარჩა თავის ყვაილებთან და გერმანელებისადმი სიძულელითან, რასაც უთუოდ ღრმა და საუკუნოდ ამოუძირკვევი საფუძელი ჰქონდა.

4

კინოდან შინ ფეხით დაბერდნდი და მრავალი ვიწრო, ერთმანეთში გამავალი მიხეულობაზე ქუჩა გამოვიარე. მეფის სასახლის მოედანზე, რომლის ერთ მხარეს გამარჯვების თეთრი ობელისკი ღვას, ზოლო მეორე მხარეს კი სასახლის პატარ-პატარა ქვის აივნებიანი წინააღმართული, თელების ღრუბლით უხვევდა დავჯიანებული ტრამვაის ჯაგოა. ცივი ქარი უბერავდა და გამკლავ-გამომვლენი თითქმის აღარ ჩანდნენ. თვით მოედანი, ისევე როგორც ყველა ქუჩა, შესახვევი, ჩიხი და ხილის მისაღობი, ათასფერად მოუღვარე მანქანებს აყვსო. მხოლოდ ვიწრო გასასვლელები დატოვებინათ გამწვანებული მანქანებისა და ფეხით მოსიარულეთათვის. კარგა ხანს ვეძებე, მაგრამ მოსკოვური მარცის მანქანები ვერსად დავინახე. არც გადატყარპული ამერიკული ლიმუზინები ჩანდა. საშუალო ლიანდულების შემო მანქანებში ამსტერდამელები, ეტოპია, თავს უკეთ ვრძნობენ და მხოლოდ იმას იძინენ, რაც მათი ოჯახის ბიუჯეტს ნაკლებ დაზარალებს.

გვიან ღამემდე, ვიდრე რატუნის საათმა საში არ ჩამოჰყრა და მას მეზობელი კათოლიკური ეკლესიის კოშკის საათი არ გამოეცხაურა, ილუსტრირებულ ჟურნალს „პოლანდ პერალსა“ ვფურცლავდი. ჟურნალის ერთ-ერთი ფოტორეპორტაჟი მეფის ოჯახისადმი მიძღვნილი.

1941 წელი: დედოფალი იულიანა ნიდერლანდების გენერალიტეტის თანხლებით ჯარის მწყობრის წინ მიემართება. მეორე სურათში ის წელში მკაცრად გამართული ღვას და წინ მრისხანედ იუტრება. იქვე სმენაზე გამოჩნდულ ახალგაზრდა ოფიცერს ვხედავთ, რომელიც გაფიცებული იდეების თვალს ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის უკვედ მოძრაობას...

დედოფალი იულიანა ამ დროს უკვე დედაბ-

რი ყოფილა. კალთებზაფარებზედული, ტანზე მოურგებელი პალტო აცია, ფეხზე — დაბალქუსლებიანი სადა ფეხსაცმელი, აქვს მელა აქვს შემოვლებული, თავზე კი — ალბურ მურღო, ფრთავარჭობილი შლაპა ახურავს, რაიც მის უღიდებელსობას, ცოტა არ იყოს, სასაცილოს ხდის. მწელია თვალს დაუჯერო ან წარმოადგინო, რომ ამ ერთის შეხედვით მდებრი, უღონო დედაბერში თავმოყრილია სახელმწიფო ძალაუფლება, რომ ამ უმწიო არსებას სულანაბელი უგდებს ყურის ქვეყნის მმართველობის უზენაესი ორგანო, გენერალური შტატები; რომ მას უშეალოდ ექვემდებარება მინისტრთა კაბინეტი, ზოლო როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, მთელი შეიარაღებული ძალები...

შემდეგ სურათში დედოფალი სამართი სტუმარს აცლებს აეროდრომზე. დედაბერი აქ ზურგიდან გადაუღიათ. მას ხელი აუწვდია და აძრულ თვითმფრინავს უქნევს. პირველი ქარი უბერავს, მოხუცს გრძელ ქვედაწელს ტანზე ატმასნის, ფეხებსშეა ატენის და როგორც გაბერილი იალქანი, წინ მიჰაქნებს.

კვლავ 1941 წელი: დამწვრებელი დედოფალი საზღვაო ოფიცერებისა და სამოქალაქო პირთა თანხლებით როტერდამის ერთ-ერთი ნანგრევების წინაშე ღვას და გული დედობრივი მწყნარებით აქვს საესე.

აი, დედოფალი-ბებია შინ თავის ორ ანგელოზ-შვილშვილთან. ეს კალმით ნახატი ფუნჩულა პატარები, რომელთა ძარღვებში მეფის სახელი ჩქეფს, ჭერჭერობით ამწონა-დამწონას თამაშობენ და ამათი შემხედვარე ბებიაიც, მომღვერა სურათში რომ გენერალური შტატების საჯარგებო სესიას ხსნის, უსაზღვროდ ბედნიერია.

1942 — იულიანა და ტეოდორ რუხველტი ქალშეილითურთ. 1945 — ბებრუხანა მარტო მიაბიჭებს მშობლიური ჯარის მწყობრის წინ. 1946 წელს იულიანა ყველა ქვეყნის ორდენებით მეერდგატყვილ მეფე ვიორგ მეიქსის ხელდა, ზოლო რამდენიმე დღის შემდეგ რეპრეტიორები სურათს უღებენ ნიდერლანდებში მეგობრულ ეიზიტად მეოფ უინსტონ ჩერჩილთან ერთად. ღმშილით სახეგაბადრულ, უზომოდ ხორცსავსე ჩერჩილს ზემოთ აწეული კოტიტა მარჯვენა ხელის ორი თითი ვაღშევილი აქვს, რაც უთუოდ ყველაზე უფრო მეგობრული მისაღების ნიშანი უნდა იყოს...

მეფის ტიტულიც, ალბათ, ტრადიციად და სიმბოლიურად სისხლისმდგრად ბრძოლებში მოპოვებულ ეროვნულ თავისუფლებასა და თვითმყოფლობას ანსახიერებს. მეფე სახლის ძველი ფასადია, რომელსაც პოლანდიელები თავლის ჩინივით უფრთხილდებან, მაგრამ ამ ძველი ფასადის უკან უაღრესად თანამედროვე საცხოვრებელი ბინა აქვთ მოწყობილი.

შოანი დილა გათენდა. ირგვლივ გულის შე-
მაღონებული სიწყნარე და სიმშვიდე სუფილდა.
ამსტერდამს ჟერ კიდევ ემინა დილის ღრმა ძი-
ლით. გულს დაუძლიველი სურვილი შემოაწი-
და, გარეთ გასულიყავი და მთელი ქალაქი
ფეხით შემოველო. ის არტუი ისე დიდია,
როგორც მანქანით მგზავრობისას გეტყვენა.
უაყურ ქუჩებში ჩიტები ფრთხილდნენ.
მათი უღარდელი ჭიკჭიკი და სტევენა ყოველი
მხრიდან ისმოდა. ახლად შეენიშნა არხის ევ-
დელზე გაყოლებული წითელი მოაჯირი, რომ-
ლის გადაღმა ავტოს მარჯვლი შენობები გად-
მომდგარიყვნენ პატარა მწვანე სერზე. ეს
ამსტერდამის საპყრობილიყო, გეითხარეს წინა-
დღეს, ოდესღაც ეს ადგილი ქალაქის გარეუბან-
ი ყოფილა. მაგრამ შემდეგ ამსტერდამი გაი-
ზარდა და საპყრობილიც შუა ქალაქში მოხე-
დაო.

შეე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო, როცა
ტურისტულმა ავტობუსმა დიდი სიფრთხილით
აუარა გვერდი უთვალე მანქანებს, რომელთაც
ეს ღამე ქუჩაში გაუთიათ და ახლაც თავიანთ
პატარაწებს ელოდნენ. და გეზი ზანდამისაყენ
აიღო. გზა ერთთავად დამუშავებულ მინდვ-
რებსა და საორეებს მისდევდა ჩრდილო-და-
სავლეთით, მდინარე ამსტერდამის გასწვრივ. ისე-
ვე, როგორც ამსტერდამი — „გზებიანი მდინარე
ამსტერდამი“, ზანდამი ამსტერდამი გაშენებუ-
ლი. ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლე-
ბული დღემდე ზანდამს უღადესი წვლილი
შეჰქვს ეროვნული საზღვაო ფლოტის მუშე-
ნებლობაში. აქ აგებდნენ პირველხარისხოვან
ფრეგატებს, რომელთა ზარბაზნების ცეცხლის
წინაშე არაერთგვარ შემდრკალან ესპანეთისა და
დიდი ბრიტანეთის უძველესი არმადებსა.

რუსეთის პირველმა განათლებულმა მონარქ-
მა პეტრე დიდმა, როგორც კი მაისიულ ტახტ-
ზე დამკვიდრდა, რამდენიმე საიღო კაცი იხლა
და დასავლეთ ევროპას მიაშურა გემთმშენე-
ლობისა და ნავსადგომის შესასწავლად, რათა
ჩრდილოეთის ზღვებსა და მხედრებზე გაბა-
რთებულ შვედებისათვის საკადრისი პასუხი
მიეცო. ევროპაში არაფერ იცოდა, თუ ენამ
გოლიათი რუსი, კბილით რომ გემის დასაშე-
ლი ბავარის გაეცნეტა შეველო, ხოლო მკლავის
ძალით ზანდამის ევროდიდან დაშვებულ ხო-
მალდის შეჩერებდა. პეტრე მიხაილოვი და
პეტრე რომანოვი, ზღვამდე გადმო-
მული უზარმაზარი რუსეთის თვითმპყრობელი
მეფე. ერთი და იგივე პიროვნება იყო.

მეზღაურთა და მეთევზეთა ამ ძველთა-
ძველ დაბაში, რომელიც უკვე დიდი ხანია ქა-
ლაქად ქცეულია, დღესაც გაჩენიან პაწაწინა
ერთსართულიან სახლს, სადაც თავის პატარა
ამალასთან ერთად პეტრე მიხაილოვიან მონათ-
ლული დიდი მონარქი ცხოვრობდა. აქ
იყო უბედური ალექსანდრე ბაგრატიონი,

იმპერატორის სიყრმის შვილობილი. მოსკოვს
გადახვეწილი არჩილ მეფის პირში შეიღო.
შემდეგ რუსეთის იმპერიის არტილერიის პირ-
ველი გენერალი, მაშინდებურად ფრანგულ-
ისტორი რომ ეწოდებოდა. რა იცოდა მაშინ ქა-
ბუქმა ალექსანდრემ, ან იმ დროს მოსკოვაში
მყოფმა მამამისმა არჩილმა, ან თვით პეტრე
დიდმა, თუ რუსეთის პირველივე შვიკებმა
კარლის მეთორმეტესთან რუსეთის სასტიკი
დამარცხებით დამთავრდებოდა და ჯიღრე ყვე-
ლა ეკლესიის ზარს ზარბაზნებად გადააღწოდ-
ნენ და პოლტავასთან სძლედნენ გამაყვებულ
კარლოსს, შვედებს ტყვე ქართველი უფლის-
წული თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლებს
აქ, ჩრდილოეთის ზღვის ნაპირზე გაატარებდა
და უფროსიველი სენით შეპყრობილი საუკუნო
განსასვენებელსაქ აქ იმოყვინდა.

ყველამ ყველაფერი იცის, ეს ამბავი კი არა-
ფერ იცის ზანდამში. იქნებ არც სხვანაირი იყავ.
ალექსანდრე, თუმცა უზარმაზარი იმპერიის
პირველი გენერალი გახდა და თვით იმპერა-
ტორის ძმური სიყვარულით სარგებლობდა,
პატარა ერის შვილი იყო და მისი სახელის
შემონახვით თავი არაფერ შეიწეხა.

პეტრე და მისი თანმხლები პირები ზანდამ-
ში 1697 წლის 18 აგვისტოს მოვიდნენ. ქა-
ლაქსა და ნავსადგომს აიასდროს გაპყროვებია
ნაპირზე გადმოსული უცხოელების ნახვა,
მაგრამ აქერად ჩვეულებას უღალატა და შო-
რეული რუსეთიდან მოსულ გოლიათებს ხალხი
გარს შემოეხვია. ვინ იყვნენ, საით ამირებდნენ
გამგზავრებას, აქ რომელმა ქარმა მოიყვანა?
ზანდამელ ცნობისმოყვარეთა განცდიერებას
ყველაზე მეტად შეეგებრნენ გოლიათი იწვე-
და, რომელიც პოლანდიელებს ნავსადგომის
უბრალო მშენად პეტრე მიხაილოვიან გაეცნო.
მაღე გამოჩნდა, რომ ამ „უბრალო მშენს“
დურგლობაც ემარჯვებოდა, ხოლო საღამო-
ბით კი ურთულეს საზღვაო რუკებსაც უბე-
დავდა შექიდეხას.

პირველსავე დღეს პეტრემ ბაბოში ნაცნობ
სახეს მოჰყარა. თვალს. დიხს, ნამდვილად ის
იყო, გერბი კისტრი, გემის მოხელე, მეფის ძე-
ლი ნაცნობი. ოდესღაც პეტერბურგის გემსა-
შენში მუშაობდა. ადგა პეტრე და თავისი ძვე-
ლი ნაცნობის ბინაში დასახლდა. ამგვარმა უბ-
რალო შემთხვევამ გადაწყვიტა ვინმე გერბი
კისტის უკვდავება. კისტის სახელი პეტრე
დიდს და მის მისიის დაუკავშირდა, ხოლო სახ-
ლი, რომელშიაც იმპერატორი დამქანცველი,
არადაღმანერო შრომის შემდეგ ღამე ათევედა.
ისტორიულ ღრისშესანიშნაობად იქცა და საუ-
კუნეების განმავლობაში, ვინ მოსთელის, რამ-
დენი მფლობელი გამოიყვანა.

ორი წლის შემდეგ, გაზაფხულზე, გადაცმე-
ლი პეტრე ხელახლა ეწვია კისტის სტუმართ-
მოყვარე სახლს, ხოლო 1717 წლის 5 მაისს

ზანდამის ნავსადგურში მდგომმა გემებმა და ციხე-სიმაგრის ზარბაზნებმა ერების საღვთო ქვეყანას ამცნეს, რომ ქალაქი თავისი სტუმრობით გააბედნიერა პეტრე პირველმა, რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორმა.

პეტრეს ამჯერად დედოფალი ეკატერინე და დიდი ამაღა ახლდა. როგორი იყო, ალბათ, ზანდამელი გემთშენებლების გაოცება, როცა რუსეთის თვითმპყრობელ იმპერატორში თავიანთი ნაცნობი გოლიათი, კარგი სამეგობრო და ჰკვიანი რუსი ვაჟაკი პეტრე მისხილოვი იცნეს.

არც იმპერატორს შეუზღუდავს დიდად თავი: ბრწყინვალე ამაღა და დედოფალი უმაღლეს მიატოვა და ძველი მეგობრების ნახვით გახიზნულა უბრალო ხალხში გაერია.

განულო ამის შემდეგ დიდმა დრომ და იმპერატორმა ნაპოლეონმა, რომელმაც აღმოსავლეთის ლაშქრობის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე მოინახულა ეს სახლი და განცვიფრდა, მთავრით მოსულ ვაჟაკი ასე დიდალქერიან ოთახში როგორ იმართებოდაო, შენიშნა: „ნამდვილად დიდ ადამიანს ქვეყნად არატყრი არ ეპატარავება“.

5

შომდევნო დილას ევროპის ერთ-ერთი ბრწყინვალე ავტოსტრადით შანჰაი უკვე ქვეყნის დედაქალაქ პაიგისაყენ მიგვიანებდა, რომელიც ჩვენთვის ჯერ კიდევ „ტერა ინკოგნიტა“ იყო. გზად პარლემში უნდა შეგვეპოო და ჰერცოგ აბისი მიერ შეღწეული კიშკარი უნდა გვენახა. როგორ იქნება აქ მოხედო და ეს შამაპაიებული კიშკარი კი არ ნახო!

მსტრადამიდან პარლემისაკენ ორი თუ სამი კეთილმოწყობილი გზატკეცილი მიემართება. ყველა ამ გზატკეცილის სიგრძე 25 კილომეტრს უდრის და ქალაქების სხვადასხვა უბნებს აკავშირებს ერთმანეთთან.

გარეთანს გაეცდით თუ არა, მარცხნივ დავტოვეთ ძველებურ ნაგებობათა მჭიდრო ჯგუფი, რომლის შუაგულში მაღალკოშკიანი აგურის ტაძარი აღმართულიყო. კოშკის წვერზე, რა ადგილასაც ჯვარს ამჯერებენ, ოქროს მამალი იქნა და თითქოსდა დაყვილებას ამირებდა. კოშკზე ოქროს მამალი იმის ნიშანია, რომ ეკლესია პროტესტანტებს ეკუთვნით. მე-15-მე-16 საუკუნეების ეროვნულ-გამათავისუფლებელ ომებში, რელიგიური ომის საფარვეტში რომ იყო გახვეული და ორივე მეომარ მხარეს კაცობრიობის სახსენლად გოლგოთაზე ასული ქრისტეს ლოცვა-კრთხევა ჰქარავდა, პროტესტანტებმა სძლიეს კათოლიკებს და გელსიის დამოუკიდებლობასთან ერთად ქვეყნის დამოუკიდებლობაც მოიპოვეს. მამალი საღვთო

წერილის ყველაზე უფრო დრამატულ ადგილას იხსენიება და მის თვით იესო ქრისტე წარმოთქვამს თავისი პირით. საჭმელმწარმეობის შემდეგ, როცა მაცხოვარმა 11 სწავლას სწავტყვინი იღდა ისკარიოტელი შეფარულად დაასახელა და მისი გასვლის შემდეგ მოციქულებს უკანასკნელ ანდერძს უტრებდა, გულფიცხი პეტრე წამოიჭრა და თავის მოძღვარს თავისთავი შესთავაზა მწეოდ და დამხმარედ. „უფაო, რაისა გერ ძალ-მიც მიღვენებად შენდა? აწ სული ჩემი შენთვის დაუდგა“. მაგრამ ამაზე „მოუგო იესო და პრქუა მას: სული შენი ჩემთვის დასდებ? ამინ, გეტყვი შენი არდა ყვივლოს ქათამისა, ვიდრემდის უარ-ყო მე სამგზის“.

იმ სისხლის წვიმების დროს, რასაც ევროპაში რელიგიურ ომებს ეძახიან, ასე გაჩნდა მამალი ქრისტიანული ეკლესიის კოშკზე, მამალი — სიმბოლო პროტესტისა და მაცდურებისაგან განდგომისა.

მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ავტოსტრადის პირველ შენობათა მთელი ეს კომპლექსი პროტესტანტული ტაძრის ირგვლივ? სკოლა-ინტერნატი! იგი ეკლესიასთან არსებობს და თითქმის მთლიანად ეკლესიის კმაყოფილება იმყოფება. თავისი სკოლები აქვს კათოლიკურ ეკლესიასაც. როგორც აქ, ისევე სახელმწიფო და კერძო სკოლებში, სწავლება ყველა ეროვნული სკოლისათვის სავალდებულო პროგრამების მიხედვით მიმდინარეობს, ვიდრე ყმაწვილი სწავლის დაწყებით კურსს — 6 კლასს დამთავრებდეს. ამ დროისათვის დოქტორი — მასწავლებელი — უკვე უხმდნენი იყნობს თავისი შეგირდის მიღწეკილებებს და სწავლის განგრძობაში მისი რჩევას მიხედვით ხდება.

პოლანდიაში სავალდებულოდ მხოლოდ დაწყებითი სკოლის დამთავრებას თვლიან. დაწყებითი სკოლა ყმაწვილს აძლევს აუცილებელი ოცდონის საფუძვლებს, რომელიც უბრალო მოყვლევისათვის სავსებით საკმარისია.

უკეთო ახალგაზრდა სწავლის გაგრძელებას განიზრახავს, ის თავისი მიღწეკილებისა მიხედვით ორიდან ერთ გზას ირჩევს: ან ლიცეუმში შედის უნივერსიტეტისათვის მოსამზადებლად და იქ 11 კლასით ამთავრებს კურსს, ანდა სპეციალური სასწავლებლის მსმენელი ხდება.

განათლება აქ ცხოვრების გასაუმჯობესებლად სჭირდებათ და არა იმისათვის, რომ ვინმე მცონარა დიპლომს ამოეფაროს, არაფერიც არ აეთოს და საზოგადოებას სარჩენად დააწვეს თავზე.

უმაღლესი განათლების მიღება, გარდა იმისა, რომ აშკარა ინტელექტუალურ მონაცემებსა და მიღწეკილებებს მოიხმოს, ძალად ძვირი ღდება. მხოლოდ თითო-ორთადა რჩეული სწავლობს სახელმწიფოს ხარჯზე. სხვები სწავლის

ქირას იხდიან. უმაღლესი სასწავლებელში, ანუ
ვე როგორც ქვეყნის ცხოვრების ყველა სფე-
როში, ყველაფერი ფული ღირს, საგამოცდო
სესიებზე თითოეული გამოცდის ჩაბარება სტუ-
დენტს 50 გულდენი უქდება. ეს დიდი ფუ-
ლია. შილის ყველაზე ძვირფასი კოსტუმი და-
ახლოებით ორასი გულდენი ღირს. გარდა ამი-
სა, საგამოცდო სესიის დროს, როგორც ზამ-
თარში ისე გაზაფხულზე, ხომ რამდენიმე სა-
განს აბარებენ. ჩაიჭერი? განმეორებით ჩაბარე-
ბისათვის ნებადართვის ასაღებად გულდენებიც
ხელახლა უნდა ჩაუჭარილო სასწავლებლის
ადმინისტრაციას.

პოლანდიელები ანგარიშისა ჩაიღებ. რომე-
ლი გიჟი-გაღიზიანებული გაატანს ქარს, ანუ უბ-
რალს პატივმოყვარეობას, მაშასობლად ნა-
შოვან ფულს! უმაღლესი განათლება და მისი
შედეგი კაცს იმისთვის სჭირდება, თავისი
ცხოვრების პირობები გაიუმჯობესოს და არა
იმისთვის, რომ რაღაც მუშაობის შეიღწა კოლე-
ჯი დაამთავრა, მეც არ ჩამოტრეხები და ჩემს
შვილს კიდევ უფრო პატივდებული სასწავ-
ლებლის დაბლომს მივაღებინებო.

პოლანდიელებს, ალბათ, კარგად მოეხსენე-
ბათ, რომ ის, თუ რამდენი უმაღლესი დამთავ-
რებული მოდის ყოველ ათას სულსახლზე,
სრულიად არ გამოდგება ქვეყნის ეკონო-
მის დონის უტყუარ საზომად. გაზაფხულის
ნახევანათვის შემოდგომაზე მოწეული მო-
სავლეთ იზრდება და ერის ყოველდღიური
ცხოვრების ბალანსიც ამის მიხედვით დგება.

ფლამანდიურ — პოლანდიელთა მშობლიურ
ენაზე — 12 მილიონი ადამიანი, ე. ი. ქვეყნის
მთელი მოსახლეობა ლაპარაკობს. ამ ენის მას-
წავლებლებს, მაგალითად, ყოველ წელს იმდენს
უშვებენ, რამდენიც სახელმწიფოს განათლებას
ქსელს სჭირდება. ვთქვათ, გამოუშვებს ორჯერ
და სამჯერ მეტი, როგორც საქართველოში ხდე-
ბა ხოლმე, რა მოხდება? სად წავლენ სპეცია-
ლისტები, რომელთა აღზრდა უზარმაზარი სახა-
რება დაჯდა? იქნებ ეს მეცადინე სულელიც კუ-
ლტურის მაჩვენებლად მიეითვალოს და ერთ-
ხელ კიდევ წინდაუხედავად მოვიწონოთ თავი,
მსოფლიოში პირველ ადგილზე ვდგავართ მო-
სახლეობის ყოველ ათას სულზე უმაღლესი გა-
ნათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობის
მხრივ?

ვისაც საქართველოს სოფლებისა და დაბა-
ქალაქების მშენებლობებზე უვლია და საქმეც
მოუწირობავს, ადვილად შეინიშნება ერთ უცნა-
ურ გაჯერებებას: ჩვენ თავზე საყარლი გვეავს
მშენებელი ინჟინრები, არქიტექტორები, სხვა-
დასხვა ვიწრო სპეციალისტები უმაღლესი კვა-
ლიფიკაციის სპეციალისტები, მაგრამ თითქმის
არა გვეავს ისინი, ვინც ყველა ამათ ხელმე-
ღანელობით უნდა მუშაობდნენ, ვინც უშუა-
ლოდ უნდა აშენებდეს კედელს, ასბამდეს ბე-

ტონს, ადუღებდეს ლითონის კონსტრუქციებს,
ლესდეს, ღებადეს, აპირებდეს ძველ და
ახალ შენობებს. სად გატრუნე ქართული ხე-
ლოსნები — ოქრომჭედლები, მესაბურველები, მე-
რეხები, მუწელები, ღერგლები, მჭედლები,
ჭეხიბურთები, მეთუნეები, წყალსადენის გა-
ყვანები, თუნდაც ფანჯრის მინის ჩამსმელები და
ათობით სხვა ხელობის ადამიანები, რომლებიც
საქართველოს დედაქალაქის ძირითად მოსახ-
ლეობას და ერის ბერძნს შეადგენდნენ? ნუთუ
ვინმეს ჰგონია, რომ თითოეული ამ ხელოსნის
დიდება რითიმე ტოლს უდგის იმთა დიდებას,
ვინც ესა თუ ის ინსტიტუტი დაამთავრა და
უმაღლესი განათლება მიიღო? განა იმ ძველი
ხელოსნების მარჯვენით არ აშენდა ბაგრატი-
ის ტაძარი და გელათი, გუგუთი და მოწამეთა, ბო-
ლნისის სიონი და ალავერდი, ვარძია, ჭვარი და
სვეტიცხოველი?

საღ გატრუნე დღეს ისინი? რატომ აღარ ჩა-
ნან?

თუ ასე გავაგრძელებთ, არ გაივლის ორი-
სამი ათეული წელიც, შეიძლება უფრო ცოტა
დროც, რომ ქართველობა ძალისხალაზე შეყო-
წიწებულ არისტოკრატიულ ზედაფენად იქცევა.
იგი საესტაბლი მორყეულა მაცოცხლებელ ნია-
დაგს, მიწას, ეროვნულ ფესვებს, სამშობლოს
და გადაგარების გზაზე დამდგარი პაერში გა-
მოვიცდება.

აი, საით მივეყვართ მაცოცხლებელ პირველ
ადგილს...

გონიერმა და ანგარიშისა პოლანდიელებმა
ამგვარ საშინებრობებს, ეტყობა, უხსოვარ დროს-
ვე აუღეს ალღო და თავიანთი ცხოვრება იმთა-
ვეთვე ისე წარმართეს, რომ მოსახლეობის ყვე-
ლა ფენა ერთმანეთთან შეთანხმებულად ეროვნ-
ული მთლიანობის დაცვის გზით თეთარდებო-
დეს.

პარლემი ერთსართულიანი სახლებით დაი-
წყო. მერა ფერის აფრთხილ ნაშენები ეს პატარ-
პატარა სახლები ერთი სიმაღლისანი არიან და
ერთმანეთს ეხმარან. ერთადერთი ფართო ფანჯ-
რის უკან სახლის ყველაზე უფრო დიდი დარ-
ბანი, თეთრად შეფუთილი ბუხარი, ხის ავეჯი,
კედლებზე დაცემული საოქროს ფორთოხა-
ფანები და ლითონური მოგებული იატაკი მო-
იხანს. ამ მონორდილ ოთახში, რომელსაც მხო-
ლოდ საგანგებო შემთხვევის გამო ათბობენ ხო-
ლმე, ზამთრობითი საგრძნობლად ცივა, მაგრამ
სახლების პატრონები ვიტრინისმაგვარ ფართო
ფანჯარას მაინც ეერ ელევინ. აქედან მთელი
ქუჩა თითქმის ხელისხელზე ჩანს და ბინასაც
პაერს და სინათლე არასოდეს არ აქლია.

გარეთანს პოლემისტიკატრატო ქვეა და იგი
ქალაქის მთავარი ნაწილისაგან გრანიტის კედ-
ლებში ჩაქცდარი და გრანიტისავე ხიდებით შე-
მოსაღრტული ღრმა არხით იყოფა. ქალაქის ძვე-
ლი კედელი, რომელსაც ამაოდ უძლდნენ გარს

კბილებამდე შეიარაღებული და რკინის ჭავჭავანჭი ჩაიჭრის. ესპანელი ჩაინდობს, ამ არხის გასწვრივ გადიოდა და იმ ადგილას უჭევდა, სადაც ასაწვევი ხიდის გადაღმა რომის კოლოზეუმის მსგავსი და აგურის გალენით შემოხლული გუმბათიანი შენობა დგას. აქვეა მაღალწიწიბოიანი ჭველი ჰიმკარი, ოდესღაც ქალაქის ერთადერთი შესასვლელი ომისა და მშვიდობის დროს. აიგი შეს აჩხვია ზაღმული და ასაწვევი ზილით მჭიდროდ იკეტება. ადგილი წარმოსადგენია, როგორ გაუქირდებოდა სისხლისმსმელ პერსოვს მისი შელუწვა, რამდენი მომხდურის სიციცხლე იმსხვერპლბოდა ეს ნაძრახი საქმე. დროთა განმავლობაში თუმცა მრავალი ჰურეა და უმებარა მოხვედრია, ჰიმკარი-ცხესიმაგრე ზინებულად არის შენახული, თითქმის გუშინ აუშენებიათ.

ამ ადგილიდან ჩვეულებრივი დიდი ქალაქი იწყება თეთრზოლებიანი აგურის სახლებითა და ეკლესიის წვერწამბული კოშკებით. ყველა ტაძრის ყველაზე მაღალ კოშკზე მამალი შემომგდარა და კრამიტის ციცაბო სახურავებს ამყავდ გადმოსცქერის.

ეს მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩები და მოედნები კიდევ მეტის მომსწრენი არიან, ვინაიდან პარლემი პოლანდიის ერთ-ერთი უმცლესი ქალაქია. ამათ, ამ დამხულ ქუჩებსა და კერამიკული აგურით მოქარგულ მოსკეთებას მონდნებს გუშინდელ დღესათი ახსოვთ ის დრო, როდესაც აქ ჭვაროსნულ ლაშქრობებში მიმავალი რაინდები იკარბებოდნენ და შორეულ გზაზე დადგომის წინ ერთმანეთს ლუდით სავსე კახებს უჯახუნებდნენ.

რატომღაც კოშკზე ქალაქის საათი პიმს უცრავდა. მის პირისპირ, მაზრის მოედანზე, აგურით ნაშენები უზარმაზარი კათოლიკური ეკლესია აღმართულიყო. ვიღაც ეკლესიის მსახური ქვის კიბეზე ხალხს აგებდა. მოედანზე ათალისეირის მოყვარული ხალხი იურიდა თავს. ებოდნენ ეტლს, რომელსაც სამატარძლო თეთრ კბამი გამოპარსნული ქალი და ისევ სახეიმოდ მორთული სასამო უნდა მოეყვანა მკლსიში ჭვარის დასაწერად.

სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ქალაქს ასწლოვანი ცაცხვებისაგან შემდგარი ხელოვნური ტყე აკრავს. ტყე ზოოპარკად უქცევიათ და შიგასე გასინჯეთ, უდაბნოების ბინადარი აქლემებიც კი დაბობტებენ. თვალმწუფდგამი რკინიგზისა და ცაცხვების ხეივანი გარკა ხანს შიგდიოდით და გაზაფხულის მოსვლით აყულობენებული ჩიტების ჯღერტულს ყურს ეუფდებლით.

ტყე მოთავდა ოქ არა, ზგამ მარჯვნივ მოუხვია, ზანდფორტისაკენ. აი, სწორედ ამ პატარა ზღვისპირა დაბაში იდგა საქვეყნოდ ცნობილი ქართული ბატალიონი, ვიდრე მეორე მსოფლიო

ომის ბოლოს ომების ისტორიაში გაუგონარ აჯანყებას მოახდენდა ედნულ ტექსტზე.

ზანდფორტი საეკორტო-ანგლო-თეთიანი მოხდენილ საგარეო კოტეჟებში საქმეს ატარებენ პარლემელი და ამსტერდამელი პატრიციები.

პაგა-ლიდენ-უტრახტის გზის ღიდრონ წარწერებზე დედაქალაქი დენ პაგად იხსენება. ნაწილაკი „დენ“ სახელწოდებას უთუოდ თეისებურ ბრწყინვალეობას აძლევს. ქალაქისამგვარ პატარა სოფელ პილგოვმის გველისამგვარ კათოლიკური ეკლესია შემოგვხვდა, სკოლის დიდი და მცირე შენობებით გარშემორტყმული.

პოლანდიაში, ცოტა არ იყოს, გავერევენ კათოლიკური ეკლესიის დანახვა. როგორ შეინარჩუნეს მათ დღემდე თავი? კათოლიკების შესახებ ხომ ზიზღით ამბობენ აქაური პროტესტანტები: მათ მხოლოდ ფეხები უდგათ პოლანდიის ნიადაგზე, გულით კი რომს ეკუთვნიან.

ფაქიზად მოვლილი ეზოების უკან, რომელთა შუაგულში საშუალო სიდიდის აგურის კოტეხსლები დგას, ზღვასათი დღავს ტრუპანებისა და ნარგიზების ყანა.

ნარგიზი ორნაირი ყოფილა — ორმაგი დერთმაგი. პარველის ყვავილი 8 ფურცლისაგან შედგება, მეორისა კი 4 ფურცლისაგან. რეაფურცლიანი ნარგიზი მომწვანო-თეთრია, ხარითვალსფერი, ოთფურცლიანს კი ყვითელი, ზაფრანისფერი დამკრავს.

გზის გასწვრივ, სოფლების გავოლებზე და სოფლებს გარეთაც, ყოველ ნაბიჯზე გხვდება საყვავილე მაღაზიები. იყიდება ჩითილები, თესლები, ბოლქვები, ცოცხალი ყვავილების თაიგულები. წინდახედულ მეყვავილებს ისიც კი გაუთვალისწინებიათ, რომ გამველი უცხოელეში შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც ფლამანდური ენა არ იცის. ამიტომ ყოველ უქრამი, რომელშიაც ამათიმი ყვავილის ბოლქვი, ჩითილი ან თესლია ჩაწყობილი, დევს იმ ყვავილის ფერადი ფოტო, რომელიც მათ მიერ შემოთავაზებულ ბოლქვზე, ჩითილზე ან თესლზე აღმოცენდება. იქვეა აღნიშნული გასაყიდი საქონლის რაოდენობა და ფასი.

უცხოელები ყვავილებს ეხარბებოდნენ. რომ ველარსად მოუთავსებიათ, ყვავილწულეებს მანქანის საქარე მინას აყრავდნენ და გზებზე ისე აცეტებდნენ მოგანებთან, თითქმის მთელი პოლანდის მშვენიერება თან მოჰქონდნენ.

მარჯვნივ, ზღვის პირას რიგა ნემსივით წეროლი კოშკებით ცაში აჭრილი, მაგარა მანეც ვაკეზე განრთხმული და ზღვისპირა დიუნებზე შეფენილი ლიდენი, დიუნების გადაღმა, რომელთა მვეთრი ზოლი ცის დასავალზე იყუთება, მარად უგუნველი ჩრდილოეთის ზღვა გრუხუნებს და მჭიმე ოხერიით ქვიშიან ნაპარს და ადამიანის ხელით ნაშენებ ქვების უხეტქება.

ლეიდენი! აქ სხედან მამლები ჭვრებზე თუ

სხედან, ამ სულით ზორცამდე პრეტესტანტულ ქალაქში, გმირული თავგანწირვით რომ აღუდგა წინ სისხლისმსმელ პერსოვ ალბას თვითნებობას და დანებების მავარი მტერს აქამდე გაუგონარი შექარა შეუთვალა. სასტიკი დრო იყო. მთელ პოლანდიაში ინკვიზიცია მძვინვარებდა. ესპანეთის-სადისტი მეფის ფილიპე მეორის დამსჯელი რაზმები, რომელთაც მეფის ნაცვალ ალბა ელგა სათავეში, კოცონითა და გავარვარებული შანთით ღვენიდნენ თავისუფლ აზრს. ყოველ სოფელში და გზაჯვარედინზე უკონი ზრჩხილავდა. სახრთბელეზზე მთელი დღეობით გვიდა იმითი უსულა გვამები, ეის მიმართაც ინკვიზიციის სასამართლომ მოწყალეობა მოიღო და კოცონზე ცოცხლად დაწვა უფრო უმტკივნეულო სიკვდილით — გასაწადულად თოყის უმღვრი თავის გაყოფით შეუცვალა.

იესო ხალხის მოთმინების ფილა, მეტის ატანა უკვე შეუძლებელი იყო. და შეერთდნენ ლეიდენელი ხელოსნები, მეზღვურები, მტვირთავი მუშები, მუთყუხები, აბლომაზორ სოფლების მეფოგვენი და მეცვაილეები, შეერთდნენ, სახელდახელოდ შეიარაღდნენ და მძვინვარე მტერს წინ აღუდგნენ. წინ აღდგომა აგრე არ უნდაო — განრისხდა ალბა. ჭარბი წამოვიდა ურჩი ლეიდენის დასაწყენებლად...

მზობრებულეს, რომელთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა და მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის სახეს იღებდა, ისიც ხელს უწყობდა, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში ისინი მარტო არ იყვნენ. მთელ ნიდერლანდებში აჯანყების ცეცხლი გიზგიზებდა, გრან პლაცზე, ბრიუსელის რატუშის წინ, თავი მოკვეთეს გრაფებს — ეგმონტს და ჰარნს. ერთსაც და მეორესაც ბრალად ედებოდა ფარული კავშირი აჯანყების სულისა და გულ პრინცი ვილჰელმ ორანელთან.

ბრძოლა გაშვილდა. ახლა უკვე იარაღის ძალას უნდა გადაეწყვიტა, ვინ უნდა ყოფილიყო მდგომარეობის ბატონ-პატრონი პოლანდელთა მიწაზე.

ლეიდენის ბრველი თანდათან შეეწირვოდა ცაცხლის რკალი. ქალაქიდან უკვე გაიხიზნეს დავრდომილი და მცირეწლოვანი, ვისაც ხელში იარაღის აღება და მტრის მოგერიება არ შეეძლო. ორანელი ჭერ კიდევ შორის იყო, მასს გადღმა, და მის მოსვლაზედ ალყაში მოქცეულთ რთვოტზე უნდა შეენარჩუნებინათ თავიანთი ქალაქი. ბრძოლა დღითიდღე ძეგლი და ძენელი ხდებოდა. ისედაც მრავალრიცხოვან ესპანელთა ლაშქარს მამველი ძალა უოველდღივრად ემატებოდა, იმ დროს, როდესაც ქალაქის ალყაშემორტყმული გარნიზონი თბილი წყლის ჭავლი ჩავლებული უინელის ლოდით დნებოდა და სულს დაფავდა. შვიდი ყვირის განმელობაში ლეიდენელს პურის წამცეცა არ უნახეთ. ყველა გავრეუბას ზედ ეპიდემიად დავართო. ისე ზანდა, რომ ქალაქის დამცველთ ყო...

ველგვარი ღონე გამოელიათ და ვალდებულნი მტრისთვის ნებაყოფლობით უნდა დაეთმოთ ქალაქის გასაღები...

მეორე მუხლი

მაგრამ დღე დღის მისდევდა და მძვინვარეობა დეპუტაცია, ზავერდის ბაღოშზე დასვენებულ გასაღებითურთ, მაინც არსად ჩანდა. მაშინ ერთი ზორბა ესპანელი დოუნზე გადადგა და ქალაქში მყოფთ მოაუწყეთა სახელით დაუძახა:

— თავს ტყუილად რისთვის იბოყავთ, უგუნურებო? დაგვენდით და ყველას მოგიგდებთ თითო ნატეს პურს. გესმით თუ არა? ახლა რალას იზამთ, ძაღლისა და ვირთხის სისწილად რომ გაგიწყვეტით ამ აშშობებულ ქალაქში!

ალყაშემორტყმული ქალაქის კედლის ქონგვრზე გადმოდგნენ და ყვირილობით გასცეს პასუხი:

— თქვენ, მომხედურო მხეცებო, საყუთარა სახლ-კარის დამცველ აღამიანებს ძაღლისა და ვირთხის ხორცის მუამელებს გვეძახით. დიას, ეს მართალია, არ უარყყოფთ. ედრე ქალაქში მაინც ისმის ძაღლის ყუფა და კატის ქავილი, იოდეთ, ჩვენ ისეც ფეხზე ვდგავართ და ვადღითქვენის ღმერთს, თუ სადმე მოგიხელეთ! მაგრამ როცა ჩვენს გარდა ქალაქში ყველაფერი ცოცხალი დაოღებება, გუამდეთ, რომ თითოეული ჩვენგანი მოიქმის თავის მარცხეა ხელს, რათა მარჯვნივში ძალა მოიციეს და გულში სასიკვდილო ლახვარი ვავრტაროთ!

ლაჰკრა ნინატრმა წითმა: ლეიდენის კედლებთან ვილჰელმ ორანელის ცხენისანი ჭარი გამოჩნდა. სულ მალე ქვეითებმაც მოაღწიეს. გაჩილდა სასტიკი ბრძოლა. ამ ბრძოლაში იძლიენ პოლანდიელები. მათ ალყის გარღვევა, ქალაქში შეჭრა და თავისიანებისათვის მხსნელი ღუქმის მიწოდება ვერ შესძლეს.

რაკი ლეიდენის დასახსნელად სხვა სახასიო ვერაფერი გამოჩნდა, ორანელმა პირი ზღვისკენ ქენა, ბრძანა გაეხსნათ რაბები და ხმელეთზე წყალი შემრეშათ. თვითონ წინასწარ მოგზნა და სტიქიონის დასახვედრად და ამ შემთხვევისათვის დაბრებულ ფლოტლიასთან ერთად სიამდოდ ჩასადრდა.

იხველა ოკეანემ და რადგან ამ ადგილზე წყლის ღონე ხმელეთის ღონეს რამდენიმე ათეული ფუტით აღემატება, ნაყოფიერი პოდერები უმაღლად გადართა.

მტრის ამგვარი ნაბიჯი, რაც ქვეყნის თვითმკვლელობას უდრიდა, თავის უძლეველობაში დაარწმუნებულ ესპანელთათვის სავესებით მოულოდნელი იყო. ანაზნად მოეარდნილი მლაშე წყალი მათ მაშინ შენიშნეს, როცა გადარჩენის ყველა გზა მოაკეთათ და უამბელი დახრობისაგან ამ მტრის მახელობასგან თავის დაღწევა უკვე აღარავის შეეძლო.

თავზარდაცემულმა ესპანელებმა ზარბაზნება და ალალი მიატრევს და გაიქცნენ, იქნებ თავს

ვეშველით, მაგრამ ამა სად გაიქცეოდნენ. გუმბინდელი ბრძოლის ექვს თვალის დახმებაში ზღვის ფსკერად იქცა, ზღვა ქალაქის ყელღებს შემოადგა, მალე თავზედაც გადაეცვლო და ქალაქში შევიდა. ახალ და ახალ ტალღებს ორანელის იალქნიანი ნაეები მოჰყვა და ქალაქში სურსათი შეიტანა.

ლუიღენის ბრძოლაში გამარჯვება სამშობლოს გამოხსნის სიმბოლოდ იქცა. მართალია, უდიდესი მსხვერპლის ფასად, მაგრამ პოლანდიელებმა ეროვნული სამფრთვანში ალაში მაინც ააფრიალეს და ესპანელები ერთხელ და სამუდამოდ განდევნეს თავიანთი მიწა-წყლიდან.

ნაომარ ლუიღენს ერთ ღღეს თვით ეილქელმ ორანელი ეწვია. ამა, რა ზეშვი და სიხარული იქნებოდა! სამშობლოს მამამ და სარდალმა ქალაქს მადლობა უთხრა გამათავისუფლებელ ომში გმირული შემართებისა და თავდადების გამოწინის გამო.

— ახლა რას ისურვებთ? — კითხა ირგვლე შემოქარაულ თვალსმელის თანამოქალაქეთ თავდაცვ გულზეყებულმა ეილქელმ ორანელმა, — მოგიხსნათ ზოგიერთი ვადსახადი თუ ამ ფულით უნივერსიტეტი ავაშენოთ?

— უნივერსიტეტი! — ერთხმად იგრიალა ხალხმა და ეს ხმა ხმელეთზე გადმოვარდნილი ოკეანის გრგვენვას მიიგავდა.

პრინცმა აღასრულა ლეიდენელთა ნება. იმ სამახსოვრო აღუცს ორი წლის თავზე, 1575 წლის მაისის დამდეგს, ლუიღენში გაიხსნა ეროპის უძველესი და განთქმული უნივერსიტეტი, პოლანდიელი ხალხის წმიდათა, წმიდა, მსოფლიო სამეცნიერო აზრის თვალსაჩინო კერა.

7

გზა ისევ დაიწყო. გაფთოლილ ცაცხვებსა და მარადმწვანე ბუბუში ზედიზედ გაუღვია სააგარაკო კოტეჯების ხან წითელმა, ხან ქვიშისფერმა, ხან კიდეც მზისფერმა ფასადებმა, დახვასენარი, სადაც ახლა ემყოფებოდნენ, ჰაგის ეერსალი, ანდა ცარსკოე ეილა. ზაფხულის სეზონს აქ ატარებს პოლანდიის დედაქალაქის პოპულარობის ყველაზე უფრო შეძლებული ფენა — მინისტრები, დიდი სამრეწველო და საეკონომიკური კომპანიების და საექციო საზოგადოებების მფლობელები, განთქმული იურისტები თუ ექიმები, მწერლები, კინოეარსკელები, სამედიცინო სახლის უახლოესი ნათესავები, სამხატვრო-დან გადამდგარი გვერტები და აღმზრდელები, მილიონერები...

მილიონერები სადაც ცხოვრობენ, თავიანთ წლიურ შემოსავალს მონდომებულად ჩქმალავენ, რას როგორმე პროგრესული სახელმწიფო ბეგარა აიღონინ, აქ საზოგადოდ არ არის მიღებული ზედმეტი ფუფუნებით ცხოვრება, სოციალური ფონისაგან თვალში საყვმელ გამოჩე-

ჩევა. ეს, ალბათ, უტაქტობადუ ითვლება და არც სხვა მხრივ არის მომგებანი. ამიტომაც ძნელია, ცხოვრების წესის მხედველურ ქრამენეთისაგან გააჩიოთ მილიონერის მსხვერპლსა და მისი საცხებით უბარლო თანამოქალაქე...

ყვავილნარითა და დეკორაციული მცენარეულით მოქარგული ვაკე ვუბნები სამოთხის წილკოტი გვეგონება. ზღამარულ მომხმელებლთა აქაურობას ისიც მატებს, რომ იცო — ყოველივე ეს ადამიანის ხელით შექმნილია, ხშირად და უფრო ხშირად, ზრდილოეთის მკაცრი ბუნების ნების წინააღმდეგ.

რკინის ლაზში ღობეებით შემოვლებულ პატარა-პატარა ეზოებში ერთადერთი შენობა დგას — მანსარადამოდმული ორსართულიანი სახლი. გარეგნულად ეს სახლები ისე დიდი იქნებ არც გეგენოს, მაგრამ თუ გაითვალისწინებ იმას, რომ პოლანდიელი თავისი სახლის ყოველ კუბულს, სარდაფიდან სხენამდე, გონიერულად იყენებს და უდნარსებულად ერთ ხელისდაღება ადგილსაც არ სტოვებს, საშუალო სელადობის ოჯახის და მისი სტუმრების საცხოვრებლად თითოეული შენობა საცხებით საეშარისია.

სახლების უმეტესობა უბარლო ბრტყელა, ანდა მოქიქული, მზუზე ფაფურის თასივით აბზინებულ მომრგვალო კრამიტით არის გადახურული. სახურავი იმდენად დამრტყი და ციკაბოა, განსაზღვრული წერტილიდან აფი თანდათან იღუნება და ფსადას ან გვერდით ყელად იქცევა.

უფრო მდიდრულ კოტეჯებს საგანგებოდ დაწნებელი ისლი თუ ჩალა ატარათ. ზამთარ და ზაფხულ მედმევი ტემპერატურის შენარჩუნების მიზნით ბევრ სახლს მთელი ფსადა და კედლებიც ამ ისლით თუ ჩალით აქვთ შემოვლებული.

გადაბურვის ეს წესი დედამიწის ყოველ კუთხეში ნამოგზაურებ და ნაცხოვრებ პოლანდიელებს აფრიალებს, კერძოდ, კონგოლან უნდა ქმონდეთ ნასესხები. ცენტრალური აფრიკის მუზეუმში, ბრიტანელის მპლობლად, დაცულია ექსპონატები, სადაც სწორედ ამგვარად დამუშავებული და გამართული სახურავები მვირდება.

მაგა თითქმის ზედ ეზმის თავის „ცარსკოე სელოს“. გარეუბანში, ზედ ქალაქის შესასვლელთან, ერთმანეთის გვერდით ჩარიგებული ფართოფანქრებიანი სამხედრო ყაზარმები შემოგვეჩეჩა. არტუთ ისე მაღალი აფრის გალავნის გადაღმა ამწინებული საეარკო მოედნები უყარეილი იყო. არც თვით ყაზარმებში ჩანდა ვინმე. უმაღლესი გამსხნდა: შაბათს და კვირას, აგრეთვე, საღვთსაწალო უქმ დღეებში, პოლანდიის შეიარაღებული ძალებიც მთელ მოსახლეობასთან ერთად ისვენებენ. ორივე ამ დღეს

უზარმედი ცარიელია და ჭარბის განლაგების ადგილზე მხოლოდ თითო-ორი კვევანაყოფი რჩება საგარნიზონო სამსახურის გასაწევად. ჯარისკაცები და ოფიცრები უკვე დღეებს შინ, ოჯახში, ატარებენ, ტანსაცმელსაც შინ იცვლიან და ორშაბათ დილას უკან ნანებიერები და დასვენებულნი ბრუნდებიან.

ჰაგა, ანუ დენ ჰაგა როგორც პოლანდელები უწოდებენ, დიუნებზეა გაბნეული. ის ადგილი, სადაც ამჟამად ქალაქია, უხსოვარ დროს ზღვა ყოფილა. მაგრამ პოლანდიელებს ის თანდათანობით გამოუტყენიათ წყლის სტაქიოსთვის და აქ ქალაქი გაუშენებიათ. ქალაქი და რა ქალაქი! ჰაგაში ვერსად დინახავ ქარხნის მიღებს, აქ არსად შეგხედება რომელიმე დიდი სამრეწველო საწარმოს გათავებელი კორპუსები.

ქალაქს ირგვლივ დიუნების მთელი ჯაჭვი არტყია. ქარში რომ ქვიშა არ წაიღოს და ზღვის შემოტევისაგან ხმელეთის დამცველი დიუნები არ დამალოს, დიუნებზე ბალახი ითვისება. გარდა ამისა, ფესვებგაბარდულ მცენარეულობასაც რგავენ. ამითაც არ დაქაფაოფილებულან, განსაკუთრებით საშიში ადგილები ეკლიანი მათუღით შემოუღობაეთ, რათა შიგ არავინ გადვიდეს და ნარგავები არ დაზიანოს.

თეთი ქვიშა საყვრელად წმინდაა, თითქოს გამოტყეული. პატარა ნაებისთვისაც კი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს მისი ახეება და სხვა ადგილზე გადატანა.

მიუხედავად ყველა ამ სიძნელისა, ათობით დიდი და შვირე არხის გასწვრივ გაშენებული ეს ქალაქი ყელმდე ცაცხების ზეივნებში და უვადილარებშია ჩაფლული. არხების პირზე ტრიბუნები ხარობენ და თავიანთი ჩამოქმედული შრომით მღორედ მიმავალ წყალს ეხებებიან. თითქმის ყველა სახლს, რომელშიაც თითო ოჯახი ცხოვრობს, წალკობადქცეული პატარა-პატარა ეზოები ახლავს. ეზოები თითქოს ერთმანეთს ეჭიბებიან ეგზოტიკური ვარდ-ყვავილების სიუხვით და მათი მხატვრული განლაგებით.

ერთ-ერთ ასეთ საშუალო სიდიდის თეთრად შეფეთილ სახლში, საელჩოების ქეჩაზე, რომელიც ოდნავ შემადლებულ ადგილზეა, მოთავსებულია საბჭოთა კავშირის საელჩო.

აქედან კარგად მოჩანს დედაქალაქის ბევრი ღარსენიანობა და მათ შორის „მშვიდობის სასახლე“. ესაა ეკლესიის მიმსგავსებული მრავალწახნაგოვანი აგურის შენობა, ლერჯ ცაში ატეორცნილი საათიანი კოშკითურთ. სასახლე აიგო ესპანელებისაგან თავის დახსნის 50 წლის გასვლის შემდეგ, ოთხმოცწლიანი ომის დამთავრებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად. მას უშუალოდ ეზმის საერთაშორისო სასამართლოს პალატები.

განიერი არხის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქს

რომ შუაზე სკრის, სავარძელში ზის ახალი/თილოსთვის ერთ-ერთი დედაბიძა ბარუხ სპინოზა და დაფიქრებული გაპყრებულ მზრანს ელაშხარება, სადაც წყალი მთავრობის სასახლის შიგნით ბერძენს ლოკავს. მთავრობის სასახლის შიგნით შესასვლელი საწინააღმდეგო მხრიდანაა საჭიროა ხიდი გადაიარო და უზარმებისმაგვარი სასახლეების მთელ წყებას პარკის მხრიდან მოადგე.

ყვითლად შეღებილი გრძელი შენობები, რომელთაგან თითოეულს შეუვლი ციხისმაგვარი კედლები აქვს, ისეა დალაგებული, რომ შიგნით კარგა მოხრილი ოთხკუთხეა ეზო რჩება. ეზოში კიდევ ერთი ციხისმაგვარი შენობა აღმართულია. მას „რაინდოა დარბაზის“ უწოდებენ და ყველა მოკვდავს, შინაირს თუ გარეშეს, როდი შეუძლია იქ ფეხის შედგმა.

ყოველ წელს სექტემბრის მესამე სამშაბათს, ჰაგაში დიდი ტრადიციული ზეიმი იმართება, რომელზე დასასწრებად პოლანდიელები ქვეყნის ყველა კუთხიდან დიდ-დიდ ჯგუფებად მოედინებიან და ქალაქის ქუჩებს აესვენენ.

მთავრობის სასახლის ოთხკუთხეა ეზოში მწყობრად დგანან შუა საუკუნეების ყაღაზე შეკურვილი სამეფო გვარდიელები. ბრწყინავს თათბრის სამკერდელები და ბრინჯაოს მუხარალები, ჭაჭების პერანგები და სავარგულო ვერბებით აღბეჭდილი ოვალური ფარები. უკრაეს სამხედრო ორგანიზაცია. „რაინდოა დარბაზში“ თავთავისი ადგილი აქვთ მიიწილი და უკვე დგანან მთავრობის წევრები, მინისტრები, არმიისა და ფლოტის სარდლები, კოლონიათა და დომინიონთა გუბერნატორები, სამხრეთი მოქალაქენი, ნიდერლანდების მთავრობასთან აკრედიტებული უცხო სახელმწიფოთა ელჩები.

დარბაზის თავში, შემადლებულ ადგილზე, რომელზეც სამ თუ ოთხ ძვირფას ბალიჩადაა ფარებული ნახევარწრისებურ საფეხურს აყავხარ, ზუთი ოქროს სავარძელი ელის მეფესა და მისი ოჯახის წევრებს.

მეფე, ამჟერად კი დედოფალი იულიანა თავისი ოჯახის წევრებითურთ, ოქროს ეტლით მობრძანდება და სასახლის თალიან ჰინჯართან დაინიშნულ დროზე გაჩნდება. მთელი გზის მანძილზე მეფესა და მის ოჯახს აღტაცებული დრინცილი მოაცილებს. ბევრი თავზე ხელაღებული ცხენებს წინ უდგება, რათა კავალადის მსვლელობა რთვორზე შეანელოს და თუნდაც ერთი წუთით მეტის ისუნთქოს იმ პაერით, რომელითაც მეფის ოჯახი სუნთქავს...

მიიმედ აღჭურვილი ცხენოსანა რაინდები დიდის სიფრთხილით უწყვენდენ გზას მეფის კარტას და ისიც აღტაცებულ ეაშას ძახილსა და ღრინაცილში თალიან ჰინჯისაყენ მისწრაფვის.

ცერემონიებისტერი, მაღალი ზინის ოფიცერები, ეისაც სამხედრო ცერემონილის წარმართა და დედოფლის თანხლება ევალბა, ბრძანებას

სიემს, ეტლში მჯდომ დედოფალს გაშიშვლებულ ხმლით ეახლება, შემდეგ მისავე ნებართვით უბრალოთ კამერდინერივით საფეხურზე დგება და კარეტაც-ზარ-ზეიმით შედის კიშვარში. ეზო ჰქვს და გრგვინავს მწყობრი მომყოფელი შემახილოთ. რფიტრები ხმლებს აშიშვლებენ. ორკესტრი უკრავს ჰიმნს...

დედოფალი დიწკად გადმოდის ეტლიდან. მას წინ ცერემონიისტერი მიუძღვის, აღბაცება შეაბალებს. ამერად უკვე „რაინდთა დარბაზის“ მაღალი ბეჭედი იმეორებენ. კარიდან შემაღლებულ ადგილამდე გაშლილ ფიანდაზს დედოფალი აუწყებელი ნაბიჯით მისდევს, ოქროს საფარქელთან ჩერდება, დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას თავის ოდნავი დაკვირვებით უკადვრე მისვალმება, მოწიწებით მორთულ საფეხო-გვირგვინს იხრავს და სავარძელში ჰდგმა; მარჯვნივ და მარცხნივ ოქროს მომცრო საფარქელში ადგილებს იკავებენ დედოფლის თაჯის წევრები.

იწყება დიდაკროლოზის საქმიანი ნაწილი. ტახტს უახლოვდება პრემიერმინისტრი და დედოფალს მამუქნაზე გადახეშვით ტექსტს წარუდგენს. ეს არის დედოფლის წლავანდელი გამოსვლა იმის შესახებ, თუ როგორ შესრულდა შარშანდელ-სახელმწიფო ბიუჯეტი და რა კაპიტალდამანდებმა გათვალისწინებული ახალი წლის ბიუჯეტი, როგორი იქნება ეროვნული შემოსავალი და როგორი განაწილდება, იგი თითოეულ სულ მოსახლეს.

„გამოსვლა“ დინანსთა სამინისტროს მიერ არის შედგენილი და შეფუება ყოველთვის როდი გრგვინავს ყოველ წგარლანში.

მთელი ეს დეპარტალორი დაგვიარაბა საბიუჯეტო კანონმდებლის გამხილვას ეძღვნება. ეოდრე კანტ-პროექტს გვირგვინსანი წაიკითხავდეს, როგორც თავის საერთარ აზრს, მას, მინისტრთა კაბილეტის მესვეურთა გარდა, არავინ იცნობს, რომ იგი, ეოდრე კანონად იქცეოდეს, განიხილოს, ხოლო მას შემდეგ, რაც კანონპროექტის ფეხლებზე გვირგვინსანის პირით წარმოითქმის, განხილვზე ღაბაკი უკვე ზედმეტია, რადგან ის უკვე დამტკიცებული კანონად ითვლება და ხელახლა განსახილველად აღარავინ დაუბრუნდება.

დარბაზში მყოფთა ერთი ნაწილი მაინც გამოითქვამს უკმაყოფილებას, თუ ბიუჯეტის ცალკეული მხლები მისთვის მიუღებელია, წამით კოდვაც იგიწყებენ, რა ღრმა თაყვანისცემით იქნა მიღებული დედოფალი ამ დარბაზში, უკერიან მას, ეჯავდნებიან, შვარამ ბოლოს ყველაფერი მაინც მშვიდობიანად მოაგრდება, რადგან სპექტაკლის დამდგმელებს ეს ჭაღანი და ზნორად სამშობლიანი აყვიობაც, გათვალისწინებული აქვთ.

დედოფალი თავის „გამოსვლას“ სახელმწიფო ბეჭდის მცველს გადასცემს, გვირგვინს იხდის

და იმავე გზით, რომელი გზითაც მოვიდა თავის თანხმლებ პირებთან ერთად ტახტზე, კარეტაში ბრუნდება.

ენაიდან სეფეგამოსვლა მთელ სახელმწიფოში რადიოფიცირებული იყო, ოქროს კარტების დანახოვითავე ხალხი უკმაყოფილო ყავს და დრტინავს სწყვეტს და დედოფალს იმავე აღფრთოვანებით ზედება და აცილებს, როგორც აქეთობისას ზედებოდა და აცილებდა. ცხოვრება კი მიდის თავისი გზით, მას არც მეფისათვის სცალია და არც ხალხისათვის, ვინაიდან თავისი გარდაუვალი კანონები აქვს და, სურს თუ არ სურს, მხოლოდ იმ კანონების ნებასა და სურვილს უნდა მისდიოს.

8

1815 წელი ეატერლოოს წელი, პოლანდიის მიერ დამოუკიდებლობის საბოლოოდ მოპოვების წელია. ოთხმოცწლიანი ომის ძლევაშისილად დამთავრების აღსანიშნავი ობელისკი, რომელიც პაგაში იმ ომის დამთავრებიდან 50 წლის ვასელის შემდეგ „მშვიდობის სასახლესთან“ ერთად აშენდა, 1815 წლის სახელობა მოედანზე დგას. ესაა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული გრანდიოზული ნაგებობა და, სხვათა რამ არა იყოს რა, ის თავისი მოცულობითა და მასიურობით ეგზაურება იმ დიდ ისტორიულ გამარჯვებას, რის მარადეამ მოსაგონებლადაც აქ დაუდგამთ.

გამფორ სკულპტურებისაგან შემდგარ ქმნილებას, ზემოთ და ზემოთ თანდათან რომ ვიწროვდება და კონუსის მოყვანილობას იღებს, ეროვნული თავისუფლების სამბოლო ფერია ავგირგვინებს.

წინ — ძეგლის პოსტამენტთან, ჩახუტნიამოფრთხილი და რკინაში ჩამქდარი ვილქელმორანელი, სამაირსპირო მხარეს — სამთა შეთქმულება: ორანელი, ეგმონტი, პორნა...

ობელისკს დამოუკიდებლობის ძეგლი ჰქვია და იგი პოლანდიის არცერთ ქალაქს ისე არ მოუხდებოდა და არსად ისე სიმბოლური არ იქნებოდა, როგორც დედაქალაქ დენ პაგაში.

თუ ამ მწიგნუმი ჩაფლურ მოედნიდან ქუჩას პირდაპირ, თელებსა და ქუჩების ხეივანში გაჰყვები, კოდვ ერთ მოზრდილ, არხისაყენ ოდნავ დაფრთხილულ მოედანზე გახვალ, სადაც ტროტუარებთან ზურგით მიყენებულ უმარავტურისტულ ავტობუსს დაინახავ.

რა ხდება აქ? რის სანახავად მოსულა ეს ზღვა ხალხი?

მოშორებით, ეურნალ-გაზეთების გამუდმებული კიოსკებს შორის ჩვეულებრივი ალაყადის ჰიმეარია და მის თავზე მოჩანს მოკლე და გაუგებარი წარწერა: „მადიურდამ“. ეს უთუოდ ადგილის სახელწოდება უნდა იყოს, რადგან ზუსტად ისევეა ნაწარმოები, როგორც, შვგალი-

თად, „ამსტერ-დამ“, „როტერ-დამ“, „ზან-დამ“...

იმას, რაც ყოველ ცისმარე დღე ღია კიშკარს შიგნითაა, სხვათაგანად „მინიატურულ ჰოლან-დამს“ უწოდებენ.

ხოშ უცნაურობა? ასეთი რამ იშვიათად თუ ეი-ნნეს სადმე უნახავს.

„მადლირი“ ახალგაზრდა კაცის სახელია. იგი ინდონეზიის დედაქალაქ ჯაბარტაში დიხადა და მერე მსოფლიო ომის დაწყებამდე შრომობდა. თან ერთად იქვე ცხოვრობდა. ჩოდესაც პატ-რულელებმა მისი სამშობლო — ჰოლანდია და-იპურეს და ქვეყნის გაუგონარ ძარცვა-გლეჯას, შეგონებასა და დამცირებას მიჰყვეს ზელი, მშო-ბლების ერთადერთი შერლი მადლიერი შერის-ძიების ცეცხლით აღენთო და რამდენიმე გულ-მხურავად მამულიშვილ ჰოლანდიელთან ერ-თად ინდონეზიიდან სამშობლოში წამოვიდა უთანასწორო ომში ჩასაბმელად.

ეს რომანტიკულად განწყობილი შეზღუდუ-ლი ახალგაზრდა 29 წლისა იყო, როცა 1945 წლის 9 თებერვალს, სწორედ ომის დამთავრების წინა კერებში, გვირის სიკვდილით დაეცა თავისი სათაყვანებელი ჰოლანდიის მიწაზე.

ყოველივე ამას მოვითხრობთ შემოირიღერი დაჟ, რომელიც სწორედ ალაყადის კიშკართან აგურის კედელშია ჩასმული. მაგრამ ამის გარ-და მეტი იქ აღარაფერი სწერია, უჩვეულო და უნიკალური კი სწორედ ამ უკანასკნელი სი-ტყუების შემდეგ იწყება.

გულმოდებული შრომლები თავშეკავებულად შეხედნენ უბედურებას, რაც მათ ოქას დაატ-ყდა, დიღანს ფიქრობდნენ, რა მოემოქმედათ ისეთი, რითაც მათი საფიცარი შეილი სამშო-ლოს სიკვდილითაც კი სარგებლობას მოუტანდა და განიზრახეს მთელი სიცოცხლის განმავლო-ბაში შეგნელო სიძლიერე ამ მინიატურული ქა-ლაქის მშენებლობისათვის მოენდომებინათ. ჰო-ლანდია მინიატურაში ჰოლანდიას შესწირა თავისი ერთადერთი სიცოცხლე მადლიერმა და დაჟ. იგივე ჰოლანდია ქველმოყვით მისი საფლა-ვის ძეგლად, იმათ ძეგლად, უნც ამ ჯოჯოხე-თერ ომში თავისი სიცოცხლე მსხვერპლად მო-უტანა სამშობლოს, კაცობრიობას, პროგრესს...

პექტარნახვარ თუ ორ პექტარ მიწაზე, რო-მელიც მადიერის შრომლებმა ჰოლანდიაში ჩა-მოსვლისთანავე შეისყიდეს თავიანთი განზრახ-ვის შესასრულებლად, გაუწეველი ქალაქის შე-მოვლა, ყველა გზასა და მილიერე ფეხის დაღ-გმას, ორი-სამი საათი მაინც უნდა.

აქ, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილია ჰოლანდიის რელიეფი და ყველაფერი, რასაც თვალით ხედავ და ხელით ეხები, მხოლოდ მას-შტაბით განსხვავდება ნამდვილისაგან. თქვენს წინაშეა არხებით დასერილი თვალწმენველი მწვანე ველები, ყვავის ტუღმანი და ნარინჯიარ ყვავილები. ამ ადგილებთან გავლისას სუსტ

ნიადაგ გრძნობ და ყვავილების ნაბი სურნელე-ბაც გეცმთ. თვალს იტაცებს ამსტერდამის, ჰაავის, როტერდამის, ჰარლემის, ჰეტერის დაღებულ მოედნები, ქვეყნის უნახავრობით თვალაჩინო არქიტექტურული და ისტორიული ნაგებობანი. ყველა კოშკის საათი ზუსტად მუ-შაობს და გასაზღვრულ დროს სვენას კურან-ტების ნაცნობი რეკეა სწუდება. დიდ ნავსადგუ-რებში შორეული კონტინენტებიდან მოსული საოკეანო გემები დგანან. ვეება ამწევებს მძიმე ტვირთები გალაქეთ ნაპირზე და საპკინოზო ბაქნებზე აწყობენ. იწყება რკინის ტრასმარარ ხიდები და გემები დინჯად გადიან ზღვაში. არ-ხებში სამდინარო ტრანსპორტის ვაცხოველებუ-ლი მოძრაობაა. თვალს გტაცებთ სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა სიჩქარით მიმავალი მსუ-ბუქი და მძიმე სატვირთო მანქანების შეერე-რებელი სრბოლა ავტოსტრადებზე. მსუბუქი მანქანები სატვირთოებს ეწვეიან, უსწორდები-ან და შემდეგ შორს უსწრებენ. რკინიგზის შე-მადგენლობები დიდი სისწრაფით ჰეცავენ ელე-ქტროფიკირებულ გზებს მწვანელ მოზასასე მონ-დერებში, გადადინა ხიდებს, უკან სტოვებენ წყალზე მდინარეებს, რამდენიმე წუთით იერ-დებიან დიღსა თუ მცირე სადგურებში და მე-რე ისევ განაგრძობენ თავიანთ უსასრულო გზას...

თ, ბარებს სინიზა არხის მარჯვენა ნაპირზე. მოთვრობის სასახლის შიგნითი ზემოდას დას-ცქერი, იქვე მაწია ქლემი ოცდახუთეცეტიანს ადგებ და სასახლეში უკვე სექტემბრის მესა-მე სამშაბათია. გრჯენავს ორკესტრი. ცერემო-ნიისტერი სამეფო გვარდიელებს ჩამოუდლის. ოქროს კარეტა სასახლის კარიბჭეს უახლოე-დება. ისმის ყურთასმენისწამლები ვაშა და ღრინავცელი...

მადლიერაშს ყოველდღიურად ოცი-ოცდახუ-თი კაცი ემსახურება. მას ზედმივე თანაშრომე-ლთა შტატი არა ჰყავს. დამით არიენ ყარაუ-ლობს, მოუხედავად ამისა, მომსახურე პერსო-ნალი აქ დილიდან საღამომდე ტრიალებს, ზეე-ტავს, უფლის ექსპონატებს, აწესრიგებს წყლის მოძრაობას არხებში და წყალსაცევეში, თვალ-ყურს ადევნებს და საჭიროების შემთხვევაში იქვე არემონტებს ელემტრო და მექანიკურ მო-წყობილობას, მეგზურობას უწევს უცხოელ სტუმრებს, აქ რომ უწყვეტ ნაკადად მოედინე-ბიან.

ვინ არიან ისინი, ეს თანაშრომლები, ყო-ველდღიურად რომ იცელებიან და ყოველ მო-მდენო დიღსა ამხანავის ადგილს რომ იკა-ვებენ მადიერისა და მისი თანამებრძოლების სამაჰსოვრო ქალაქში?

უბრალო პააგელი ახალგაზრდები, ჰაავის სტუდენტობა. ისინი უსიტყუოდ შეთანხმებუ-ლან თვეში თითოეფერ უსასყიდლოდ მოემსახუ-რან მადიერაშს და ამით თავიანთი შეილობ-

რივი პატრისცემა გამოხატონ სამშობლოსათვის დაცემულთა წმინდა ხსოვნის წინაშე. მათი ეს გადაწყვეტილება უაღრესად უყვალ სიტუაციისათვის ეწინააღმდეგება, ის პააველ სტუდენტთა ყველა მომავალი თაობისათვის, ვისაც აღრე თუ გვიან მადიურდამის მოვლა-პატრონობის სამაჟო წუთი დაუდგება.

მაგრამ საღ მდის უზარმაზარი შემოსავალი, ათასობითა და ათათასობით გულდენი, რომელიც ყოველი კვირის ბოლოს გროვდება მადიურდამის საღაროებში? იგი უკანასკნელ ცენტრამდე ხმარდება პოლანდიის უპატრონო პავ-შეთა სახლებს, ასეთთა მადიურდამის ამშენებულთა — მადიურის შშობლების ნება...

9

ჩრდილოეთის ზღვის ნაპირი და პავის ნავსადგური მადიურდამიდან სულ რამდენიმე წუთის სავალზე. დიდარიონ სახლებს უკან, რომლებიც სანაპიროს გადაკუთრებენ, ზღვა უცებ გამოიჭრება და თქვენს ყურადღებას უეცრად დაიპყრობს. ფოლადისფერი / წყალი დიწხად ტლამუნებს და ქვიშაან ნაპირს ლოკავს. ზღვაზე უღიმღამო ნისლი დევს, უღრუბლო ამინდში, როცა მზე თვალზეში არ გეჩხიბება და ზღვას არ აბრწყინებებს, აქედან გაუჩივებით არჩვენვს გაღმა ნაპირის ღერვ ზოლს. ჩრდილოეთის ზღვის აქეთა ნაპირზე ხომ დიდი ბრიტანეთია, ნიდერლანდების ძველი და ახალი მტერ-მოყვარე.

სანაპიროს ძვირად ღირებულო, სახელმწიფო და კერძო ოტლები გასდევს. პლაჟი და ტანსაცმლის გასახდელი ჩიხურები ფასიანია. აქ სეირნობის ნება ყველასა აქვს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჩაცმული უნდა იყო. იხდიან პლაჟზე, ჩიხურებში, პლაჟის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე ასობით რომ გაუშვრიებინათ.

თუ უბირი კაცი ნაპირზე ზეტილის დროს დაიღალე და საღმე დაეჭი, ცოტა ხნის შემდეგ უთუოდ თავზე დაგადგება ვინმე თავიანთი კელნერი, სელის სკამს დაგდგამს და თუ ზედ დაბრკანება ინებზე, მალე ბეტერბროდს და ჰიპა ლდს ან ცოც მარტიონის მოკრებენინებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწა, სადაც შენ დგახარ, სხვისი საკუთრებაა და აქ დასვენების სანაცვლოდ უველამ, თუნდაც ამ ქვეყნის მეფემ, ფულ უნდა გადაიხადოს.

ბანაობის სეზონი რომ მოაწევს, ეს კი უკვე შუა ზოხბოლია. აქ დამსვენებლებს გვერდს კერაუქცივს, საიდან არ ჩამოდიან! ზღვა უველან ვერთიარია, მაგრამ დამსვენებლებს აქეთ იზიდავს პავის სანაპიროს მშვენიერი პლაჟი და დიდებული ოტლები და კაფე-რესტორნების კომფორტი. მათ შორის ყველაზე უფრო მეტიარე მრავალსართულიანი კერპაუსი — საერთოტო სახლი, აბობენ, აქ ზშირად ჩერდება

ირანის ყოფილი დელოფალი სორეა და მკელ აპარტამენტებს იკავებს. „საერთოტო სახლს“ „გრანდ-ოტელი“ მოსდევს, იმან კიდევ სხვა და კიდევ სხვა. ჩიხები თუ ფულ გრეჟიკის, ნუ გე-წინება, გარეთ არ ღარჩებენ. ნაპირი ვრცელია და ზღვა — წყალზე, ყველასა ჰყოფნის...

მანქანამ კარგა ხანს იტრიალა მშენებში ჩაფლულ ქუჩებსა და მისახვევ-მოსახვევებში, ვიდრე ისევ ავტოსტრადაზე გავიდოდა. ამ ავტოსტრადით როტერდამამდე 20 კილომეტრია, მაგრამ მთელი ეს ოცი კილომეტრი გზის გასწვრივ გამჭვრივებულ პატარ-პატარა სოფლებს ქალაქებსა და ქალაქურ სოფლებს უჭირავს.

ავტოსტრადაზე დიდი სიჩქარით მიმავალი, როტერდამს შორიდანვე დალანდავ თვალს. ის ერთადერთი ქალაქი-მოდერნი პოლანდიაში, როტერდამისათვის ზედგამოჭრილი პავანტური ქართული ანდაზა — გაჭირვებამ დელოფალთან დამაწვინაო. დიდი განსაცდელის შემდეგ ეს ფენიქსი ფეხზე წამოდგა და კიდევ უფრო მშვენიერი და თვალწარმტაცი გახდა.

თუ პავა, სადაც შეიდასრომოდათი ათასი კაცი ცხოვრობს, ნიდერლანდების სატახტო ქალაქია, სამაგიეროდ, მილიონანხევრიანი როტერდამში, დასავლეთ ევროპის სახლვო არაუფის ჰიშკარი, პლანეტის უდიდესი ნავსადგურია, რომელსაც ტვირთების გადაზიდვით პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ამ საქმეში მას კვალდაკვალ მოსდევს ტოკიო, ლონდონი და ნიუ-იორკი.

როტერდამის ცენტრის ცათამბჟენები უკვე დიდი ხანია ჩრდილავს ასი მეტრის სიმაღლე „ევროპის კოშკს“, პოლანდიის მდინარეთა დედის — მაასის ყველაზე შემალღებულ ნაპირზე ჭერ კიდევ ოამამდე რომ აღუშრათავთ გარემოსათვის თვალის გადასავლება და ამ დიდებული ქალაქის ხედით მნახელის დასატკობად.

კოშკიდან მართლაც დაუფიქვარი სანახაობა იშლება. კრამტილი ციკაბო საბურავებში ამ წითელ ქალაქს შუაზე ჰყოფს ზღვასავით მდორე მაასის რამდენიმე ტოტი. მაასის სიღრმე ამ ადგილას თითქმის ოცდაათ მეტრს აღწევს. უზარმაზარი საოკეანო ლანჩერები მაასის ნავსადგურში დაუბრკალებლივ შემოდინს. აი, დგანან ისინი ერთმანეთის გვერდით, დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან მოსულნი, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ეკიპაჟებით, გროტანებზე აღმართული განსხვავებული ფერების აღმებით, სხვები წასაცვლელად შემზადებულან. ყრუდ გვეგვერდს საყვარები, ვიდრე ჩვენ გავიფიქრებთ, თუ შეიძლება, ნერავინ გაიჩჩრევაო. სხვები შემოდიან. მორჩილად ასრულებენ მაასის ყელშივე მიგებებული ლოკანის მითითებას, სად, რომელ ადგილას მიადგნენ ნაპირს. ათასართულიანი სახლების სიმაღლე ამწეების ტუცს მძლავრი ხორბულები ცისკენ აღუბურია...

ისევ მადიურდამი გაგონდება. რა ზესტად

გადედით უდიდესი ნავსადგურის ორმეტრიანი, მოჭრაობა, ხმები...

იმ პირველი დაბომბვის შემდეგ ქალაქი ორ ნაწილად გაიყო. ნავსადგურის ნაწილი გერმანელებმა იკლეს ხელთ, ხოლო აქეთა ნახევარში პოლანდიელები გამაგრდნენ. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს პოლანდიელმა მეზღვაურებმა და საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებმა. მასის გიგანტური აუზები გერმანელი წყალქვეშა ნაგების სასაფლაოდ იქცა. დღე ერთი იყო და ორი და სამი წყალქვეშა ნავი იპოვებოდა. პოლანდიელებმა ნავსადგურის აუზებშივე ჩასძირეს აქ მდგომი სამხედრო და საეპრო ზომადლები, რათა ნავსადგური მტერს თავისი გემების შემოსევიდან ვერ გამოეყენებინა. მასის სწორედ მაშინ შეერქვა „წითელი მასი“ და ეს სახელი დღემდე შემორჩა. მდინარე მართლაც წითელი მოდიოდა. იგი პოლანდიელ მეზღვაურთა და მომხედრე გერმანელების სისხლით იყო შეღებილი. ჩინგრა მასის ტოტებზე გადებული ყველა ხიდი. გერმანელებმა ჩატყტეს მდინარის ქვეშ გაშვებული ორივე გვირაბი, რომელთაგან თითოეული სიგრძე კილომეტრნახევარს უდრის. ბრძოლა ექვს თვეს გაგრძელდა: მხოლოდ ექვსი თვის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ შესძლეს გერმანელებმა მთელი როტერდამის ხელში ჩაგდება. დიდი დრო დასჭირდა ნავსადგურის გაწმენდას და მდინარის ფსკერიდან რკინის ქარხანად ქცეული წყალქვეშა ნაგებისა და გემების ამოღებას, რათა როტერდამში ამჭრად უკვე ფაშისტური სამხედრო მანქანის სამსახურში ჩამდგარიყო.

დღეს ქალაქის ორივე ნახევარს მასის ახალი ხიდი აერთებს. ამ ხილზე გადღის ქვეყნის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი ავტოსტრადა. დღე-ღამის განმავლობაში აქ ორასი ათასი მანქანა გაიჭრება...

დროიდრო მომართება წყდება და მაშინ მდინარის ორივე ნაპირზე მანქანების საშინელი ქედვაა. უზარმაზარი ხიდი რამდენიმე ნაწილად იყოფა და ნაწილები ერთმანეთს შორდებიან, რომ ნავსადგურისკენ მიმავალი ან ნავსადგურიდან მომავალი მალაჩანძინი საოკეანო გემები გაატარონ.

რაკი ხიდი საერთოგროვანული მნიშვნელობისაა, როტერდამელი ავტომობილისტები, მოტოციკლისტები და ევლოსპედისტები იმით თოქმის არ სარგებლობენ. მასის გვირაბი განა ხილზე უფრო უხიფთაო არ არის? თუთხად გააქოქათებულ გვირაბში, სადაც ტრანსპორტი მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრაობს, ოდნავი სინოტივეც კი ახსად იგრძნობა. აბა, როგორ გინდა დაიჭრო, რომ ზემოთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წყალზე მდინარე მიედინება, მდინარეში ათობით დიდი და მცირე გემი დგას, შენ კი ყოველივე ამის ქვეშ იმყოფები.

გასცდები გვირაბს, თავს ამოჰყოფ მასის ვარდ-ყვავილოვან სანაპიროზე. უკან მოიკრეფე „ევროპის კოშკსა“, აქედან რომ წვერიით ღრუბლებში შერგული მოჩანს და ტრამპეცის-მაგვარ მოედანზე გრანიტის მალა ობელისკს დაინახავ.

ეს ფაშისტის წინააღმდეგ ომში დაღუპულ პოლანდიელ მეზღვაურთა უკვდავების ძეგლია. იგი წარმოადგენს გემის ცხვირს, რომელიც პირდაპირ და შეუდრეკლად მიამობს ზღვის ტალღებს.

„მთა გზი არ გაუმრუდებიათ“ — ასე ეწოდება ქანდაკებას, ქვეშ კი ამოკვეთილია: „მადლიერი დედოფლისაგან“.

თუთონ ისინი, ვისაც ეს მართლაც და მონუმენტური ქმნილება ეძღვნება, მეზღვაურები, გემის ცხვირის წინ დგანან. ისინი ხუთი აზიან, ხუთი ქანცამოლული, მაგრამ შინც წარმეუხრელი მაჰაკაი. ერთი უსულოდ დაცემულა, როგორც სუფორი იტყვოდა, „თავით წინ“. ამხანაგები არც მას სტოვებენ, თუმცა გაბაჟრული აზიან და უკანასკნელი ადამიანური ძალღონის დამახვით თოკის გაწვევრებას ღამობენ.

აქვე, გრანიტის პირაპეტის გადღმა, სხვადასხვა ხმაზე ყვირიან თუ ღუღუნებენ უცხო გემები, თითქოსდა მზადიულ მეზღვაურთა ყურადღების მიქცევა მოუწადინებიათ.

10

წითელი მასი...

თავის დიდებას როტერდამი დედა-მდინარეს უნდა უმადლოდეს. ეს მისი ღრმა წყლებია, ნავსადგურის ბაქნებისკენ მთელი დედამიწის აურაცხელ სიმდიდრეს რომ მოაუცრებენ. მაგრამ იმავე დედა-მასის მრავალ ჭირნახელ როტერდამისათვის გაეცა ბევრი მოუტრიაია. ყველა ეს ვაგბა და ფთოტაჟი წყალდიდობასთან არის დაკავშირებული. მასის უკანასკნელი დიდი წყალდიდობა 1953 წლის შუა გაზაფხულზე მოხდა. მდინარის ზედაწელში გაზაფხული აღრიანად მოვიდა. მასის ზედაპირზე დადებული ყინულის სქელმა ფენამ გალხობა და დაძვრა ვერ მოსწონა. ერთ ღამეს, როცა თოვლის დნობისაგან აზვირთებული წყლის მოწილეს ვერ გაუძლო, ყინული შემზარავი გრილით გასცდა. იმ ერთი ღამის განმავლობაში მდინარის დონემ ორი-სამი მეტრით, თითქმის სახლების მეორე სართულამდე აიწია და მთელი ქალაქი დაატბოვა...

ვერაგმა წყალდიდობამ ორი ათსზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. დაზარალებულთათვის ხელის გასაწედნად და დახმარების აღმოსაჩენად მთელი ქალაქი აღდგა. მდინარეში და შენობათა ნანგრევების ქვეშ გვაშების ძებნამ ორ თვემდე გასტანა. ბევრი უზედუ-

რი დაიკარგა უზგო-უკელოდ. მათი გეგმები ან სამუდამოდ დარჩა მასის ფსკერზე, ანდა დინებაში ყველა ოკეანეში შეიტანა.

მას აქვთ აი, უკვე მეთექვსმეტე წელიწადი იღუვს და მშენებლობის გზებით შეპყრობილ როტერდამს არც ამ უკანასკნელი სტიქიური უბედურებისა ემჩნევა რამე, მხოლოდ გვარის — დაღუპულებს აღარ ეშველება რა...

ისევე, როგორც პოლანდიის სვე, ქალაქები, როტერდამიც მანქანებით არის ჩახერგილი, მანქანები დღისით და ღამით ქუჩაში დგანან. ისეთი შთაბეჭდილება გრძება, თითქმის მათი არსებობა ქვეყნად არაღივს ახსოვს და ესენი ერთ-ერთად ასე უნდა იდგნენ ქუჩაში. კიდევ უფრო მეტია მორტოკილება, მორტოკოვებები, ველოსიპედები. სხვები შეუჩერებლად დაჰქრებიან ქუჩებში, ესენი კი გაშუქებით ვიღაცას ელიან.

ამსტერდამისა და ჰაგისაგან განსხვავებით, მსხვილი სავაჭრო გარიგებების ქალაქი როტერდამი, რომლის ცენტრიალურ სარკინიგზო სადგურთან აღმართული მრავალსართულიანი შენობა ათასწუთასი უცხოური სავაჭრო ფირმის წარმომადგენლობებს უკავია, ხმაურიანია, ქუჩების ტროტუარებთან გაშლილ სავაჭრო ფარდლებში მთელი ხმით უკრავს მსუბუქი და საყუხა მუსიკა. მუსიკა და ფერები თვალს გუტრებლად. ირგვლივ საყარბავლო გაწეფილობაა. გაჟიდვლებს ხელში მიკროფონები უჭირაუთ და მთელი ქუჩის გასაგონად აქებენ თავის საჭიროებს. მაგრამ ისინი ზომ მარტონი არ არიან, სახელდახეოდ გაშლილ სავაჭრო ფარდლებში, სადაც ტულანის ბოლქვებიდან და ამერიკული საღებო რეზინიდან დაწყებული ბრილიანტის ყვლაბამამდე და სხვადასხვა ფერის ცინცხალ ავტომანქანებამდე ყველაფერი იდგება, ათობითა და ასობით გაჟიდველი დგას. აქვე ყოფიან ნაყისს, ბანანებს, ქოქოსის კაკას, ათასნაირ ცინცხალ თევზს და გვებერ-თელმარცვლებთან აფრიკულ ყურძენს, რომლის თითოეული მტევნი, სულ ცოტა, ორნახევარ კილოს მინც აწონის.

დღე დასასრულს უახლოვდება. რატუშის კოშკზე საღაცა საათი ექვსს ჩამოჰკრავს. ამ წუთებში ქუჩის მოძრაობა კიდევ უფრო ფიცხელი ხდება. აი, მომართა კიდევ საათი და დინება იწყებს რეკავს. ქუჩის ღრიალი, თოქოს ამს ელდენო. ერთბაშად ნელდება, რებროდუქტორება ხმს იწყებენ. ომის შემდეგ აშენებული სავაჭრო ცენტრის ფართო ტროტუარებზე ფარდლებს სასწრაფოდ კეცავენ, საჭიონელი მაღაზიაში შეაქვთ და დილაზე აქ სამარისებური სიწყნარე ისადგურებს. სად გაქრა ამდენი ხალხი, შეადგენი და გამყიდველი? რა უეცარია გადამსვლა თავბრუდამხვევი ორიმტრიალიდან სრულ სიწყნარება და უძრაობაში!

დიდი ქალაქის ეს საკვირველი მდუმარება

ადრიაან დილით კიდევ უფრო თვალში საეჭვია. ქუჩაში და ტროტუარებზე კაცის ჰაქანება არ ჩანს. ათასში ერთხელ თუ გაუქრის მანქანა ან ველოსიპედისტი და მერე იმეც ქვეყნის მთელს წყნარდება. წამით გაგვიღვებს. რომ ქალაქს თავზე ნეიტრონის ბომბი დაეცა და ყოველგვარ სულდგმული თვალის დახამამებაში გაყვინა და გაქრის. მხოლოდ შენ გადარჩი ცოცხალი. ჩვენს დროში გასაკვირიც არ არის, ასეთი ავი ფიქრი თუ უნებლად სულში ჩავიჭრება და ავაკეიბება. ღმერთმა ნუ ქნას, როგორც იტყვიან ზოლზე მორწმუნენი, განა ამ ცოდვილ კაცობრიობას მართლა ამდენი ცოდვა კი მოუძღვის?

როტერდამი მთელი არსებით მისცემია მშენებლობას. ქალაქის რატუშას საზრუნავი არ ელევია. ის ყოველ ღონეს ხმარობს ქალაქშივე დაიტოვოს ქალაქის შემოსავლის დიდი ნაწილი და სახელმწიფოს ბიუჯეტში დამატებითი თანხები გამოაყოფინოს მთავრობას ომში ყველაზე უფრო დაზარალებული რაიონების ფეხზე დასაყენებლად.

გამალვებით გაჟავით მერტოპოლიტენის ახალი ტრასები. აშენებენ ახალ სადგურებს და სადგურებთან მისასვლელებს. ქალაქის მესვეურები და მშენებლები, ეტყობა, ერიდებიან ზედმეტი და უსარგებლო ხარჯების გაღებას. მათ, უწინარეს ყოვლისა, იცაან, მაგალითად, რომ მერტოპოლიტენი საქალაქო მისოსვლის ერთ-ერთი საშუალებაა და რაც უფრო მარტივი იქნება მით მგზავრობა, მერტოპო მით უფრო გაამართლებს თავის დანიშნულებას. აქ შეგნებულად არ აშენებენ თვალის მომჭრელ მიწისქვეშა სასახლებებს. სადა, ღამაზ და მოხერხებულ სადგურებს აშრობინებენ.

ქალაქში მრავალი ახალი სახლი შენდება. ამწე კოშკურები წეროებივით დგანან ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში. როტერდამის მაღლივი სახლები თითქმის სტანდარტულიც არის და თითოეულ მათგანს რაღაც აქაურიც ახლავს, რაღაცთა ენათსავეა ავტრის თვითწარულებიან ძველებურ და შარად ახალ სახლებს.

მაგრამ როტერდამელთა ერთსულოვნობას და საყუთარი ქალაქის სიყვარულს ისე არაფერი ღალაღებს, როგორც ოპერის თეატრის ისტორია, თავიდან ბოლომდე. ოპერის თეატრის ძველი შენობა პირველი ზომიარადიობის დამსცედი დანიგრა. გერმანელმა ავიატორებმა ის, ჩანს, მტყად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტად მიიჩნიეს. როცა გათქნდა და ქალაქის სხვადასხვა კუთხეებიდან ენტრში მოხლავებულმა როტერდამელებმა აქაურობას თვალი მოავლეს, დანახეს, რომ იმ ადგილას, სადაც გუშინ საყვარელი თეატრი იდგა, მხოლოდ ქვისა და ავტრის უწყნარობა გროვა დარჩენილიყო. ნანგრევები ისე ბევრი იყო, მტყერსა და ბოლში კიდევაც გაგვირდებოდა თეატრის ნაღვოში ადგილის ზუსტად განსაზღვრა, მთელ ოთხ წე-

ლოწადს ნანგრევები არავის გაუწმენდა და მომავალ მშენებლობაზე არავის უფიქრია. სად იყო ამის დროს და სახსრები! თანაც ვისთვის ეშენებინათ...

მაგრამ როგორც კი ომის უკანასკნელმა ტალღამ გაღიზია და წლობით ნანატრი მშენებლობა ჩამოვარდა, ხალხმა, ვიდრე საუთარი თავშესაფრის მოწყობაზე იზრუნებდა, თეატრის ნანგრევს მიაშურა, გადაწვდა, რაღაც არ უნდა დასრულოდეთ, ქალაქის ყველა სხვა შენობაზე აღრე ოპერის თეატრი აღედგინათ, აღედგინათ ზუსტად ისეთი, როგორც ომამდე იყო.

დაიწყო ნანგრევებში ყველასათვის ნაცნობი ქვების ძებნა. აქაურობას მთელი ქალაქი დაედო. ერთდროულად რამდენიმე ათასი კაცი მუშაობდა. ხელები დაიკაიწეს მხატვრებმა და არქიტექტორებმა. ძველი ფოტოგრაფიებისა და გრატიურების საშუალებით მათ შესძლეს წარმოედგინათ შენობის და ყველა მისი სათავსოს, სცენის, იარუსების, ფოიეების აღმონდელი სახე. რამდენიმე თვის განმავლობაში კალატონები და დურგლები, მერამბტურები და მეტეტონები, მღვსავეები და მხურავეები, აგრეთვე ბერიც სხვა ხელობის ხალხი, უსასყიდლოდ აშენებდა მტრის უფშობრებით ძირფესვიანდ ამოძირკვეულ თეატრს. ოსტატებს არც ხელის მუშა მოჰკლებია. მთელი ქალაქი მათი შემწე და მომხმარე იყო...

დღეს მნახველს ანეციფრებს ამ შენობის სახე. იგი მთლად ისეთი არ გამოსულა, როგორც ომამდე იყო. ნანგრევებიდან ამოკრეფილი ქვითა და ავრით ნაშენი კედლები შეუღლავია და მთელ შენობას რაღაც მისისაზე შეხედულება აქვს. ვარედან ის სრულებითაც არა ჰგავს თეატრს. თავისი სქელი კედლებითა და ამბრა ზღრისმავგარი ეწირი სარკმელებით უფრო ძველმერი ციხე-სიმაგრე გეგონებათ. ეს ციხე-სიმაგრე ხალხის ერთსულოვნობას, უანგარობას, სულის სიმტკიცეს და შეუღრეკლობას ახორციელებს.

უცხოელის თუ თავისიანის ყურადღებას რატერდამი მატრო პირველხარისხოვანი თეატრებით როდი იქცევს. ეს თეატრალური ქალაქი ამავე დროს ფერწერისა და ქანდაკების ქალაქიც არის. ძველ და ახალ მოედნებზე და სკვერებში ბერის თეატრის სკულპტურული ნამუშევარი დგას. მეოცე საუკუნის ქმნილებათაგან ყველაზე უფრო შთამბეჭდვითა ორმოცდაათიან წლებში დადგმული ქანდაკება ცისკნ ხელოვნების რატერდამელისა, რომელსაც სახელიც შეზარაბი ჰქვია: კაიკაზიები, რა უყავით ზემ ქალაქს!

რატერდამელის ეს ქანდაკება აბსტრაქტული ხელოვნების ნიმუშია და ამო იქნება მასში ნატურალთან სიახლოვის რაიმე ნიშანი ვეძიოთ. ქმნილებაში აბსტრაგირებულია გაწამებული

სულის ყვრილი: „რა უყავით ზემ ქალაქს? რად დამოქციეთ გულის კანკაფრეფე დასწყევრულით აშენებელი? რას ურთიერებდა აშენებელს? რად გამაბეზდებოდა? წუთიწმე იუყავით, კაიკაზიები, უყენითი უყენისამდე, ნერე მისწრებოდეთ ცოდვის შენდობას, გავიხმეთ ფესვი, მოსიპოს თქვენი სახედებელი.“

ქანდაკება თუქის რამდენიმე ლოდისაგან არის შემდგარი, ორი, ერთმანეთთან წახანგებით დაქვირებული ლოდი ფიგურის ფეხებს წარმოადგენს. იმ ადგილას, სადაც აღამიანის მუცელი და მკერდი უნდა იყოს, ფეხებზე დიდამელი მისწლე ლოდი გავლენილია და შიგ სანათლე გადის. არადაამიანური ტიპილისაგან უკან გადავარდნილი თავი ცხოველური გაფხტრებით ზეცას შეჰბლავის. ამ ვანწყობილებას კიდევ უფრო ამაფრებს და შთამბეჭდავს ხელის თითქმის მთელი ტანისოდენა კუნთიანი თითებ. ვაფარხხელი ხელები, საშინელი ძალის მქონე შემოქმედი ხელები გაფხტრებულ როტუნდაშელს ცისკენ აღუპყრია. მისი შემხედვარე მზადა ხარ ამ დიდი გლოვისა და შეჩვენების წინაშე მოწიწებით მუხლი მოიყარო.

ქანდაკებას უკვე, შოუპოეებიც არსებობის უფლება ქალაქში. მისი სწამთ და სყრათ. პოსტმენტზე ცოცხალი ყვავილების რამდენიმე თაიგული დგას. შორისაბო უცხოელებით საესე აეტობუსები ჩერდებიან და დიღხანს ხმაგაკმენდილი შეჰყურებენ გულ-ღვიძამოგულეული შემოქმედი აღამიანის ზეკაცურ გლოვას.

მხატვრის ჰქონდა სათქმელი და თქვა კიდევ. სათქმელის გამოსახატვად მას ფორმის ძიება არ დასჭირვებია, რადგან ჩვენი დროის შემოქმედის ეს დიდი ტიპილი ამ კონკრეტულ ფორმაში დაიბადა. ამიტომ თუქის ოკრობოკრო ფიგურა მხოლოდ გარეგნულად შეიძლება მიაგავდეს აბსტრაქტული ხელოვნების ნიმუშს: მისი ნათელი, მაღალი შებრძოლი ახრი კაცობრიობის უყენით მერმისს ეხმარება, რასთანაც ნაფიცი აბსტრაქციონისტების მთელ მოღვმას მებრდ შორეული დამოკიდებულება აქვს.

ამაზე დასტურის მისაღებად კაცს შორს წასვლა არ დაგვირდება. რატერდამი ძველთაგანვე ვანთქმულია თავისი სამხატვრო გულერებებით და ფლამანდიური მხატვრობის მრავალი ნიმუშით, რომლისიც საგამოფენი ღარბაზებში ჰკილია. მათ შორის ყველაზე უფრო მდიდარია ბოიმანისა და ვან ბოინინგენის სახითი ხელოვნების მუზეუმი. ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ მუზეუმში დაიწყო კოლექცია კერპო მფლობელის — ბოიმანისა და ვან ბოინინგენის საუთებისა შვადგენად, შემდეგ კი ფერწერის დიდმა თაყვანისმცემელმა და ღრმად მყოფენ რატერდამელმა მოქალაქეებმა თავიანთი სახსრებით შეძენილი სურათები უსასყიდლოდ დაუთმეს ქალაქის რატუმას. რატუმამ კი თავის მხრივ, კოლექცია მრავალი ახალი ექს-

პონატი შეავსო და მუზეუმსაც მისი ძველი მფლობელების სახელი მიაკეთვნა.

ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ფლამანდიელი მხატვრების ნაწარმოებები აქ რამდენიმე ათეულ დიდ და მცირე დარბაზშია გამოფენილი. გამოფენა აღორძინების მომდევნო ხანით იწყება და მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის უახლესი მხატვრობით მთავრდება.

მუზეუმის ზუთი თუ ექვსი დიდი დარბაზი აბსტრაქტულ ხელოვნებას უძეგია. შეხვალთ თუ არა, თვალში გეცემთ მკვეთრი და მყვირალა ფერები, უწესრიგოდ აყირაყებულ-დაყირაყებული გეომეტრიული ფიგურები, ფანტასტიკურ მანქანათა ფანტასტიკური მექანიზმები, ნებისმიერი ნახტანები, ლაქები, შინაშეფხები რაიმე აზრის გამოტანა, რისამე მიხედვარა საეცებით შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ საყვირველ რებუსს ქვემოთ ფრიად პრეტენციოზული სახელწოდებები აქვს მიწერილი.

თქვენი გაოცება კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ე. წ. „ფერწერის დარბაზიდან“ მომდევნო — „ქანდაკების დარბაზში“ გადაინაცვლებთ. იგი ნახევრად ჩაბნელებულია. დარბაზი შეავსო ერთადერთი ექსპონატი ღვას — თორნიისმაგვარად მომრგვალებული ქაღალდის რალაც ღობე. ვადაიხედავ — შიგნითაა ყრია. ეს არის და ეს. თვით თორნე ტუალეტის ჩვეულებრივი ქაღალდისაგან არის დამზადებული, მის კედლებს შორის კი ასევე ჩვეულებრივი ქრელ-ქრულა ჩერები, ქაღალდის ნაგლეჯები, დასრულებული პაპირაოსის კოლოფები და ათასი სხვა ხარბტრა ყრია.

ცოტა უფრო მოზრდილი მესამე დარბაზი კიდევ მეტად ჩაბნელებულია. ბინდუნდს ისევ და ისევ ტუალეტის ქაღალდის თეთრი ლაბირინთი ანათებს. ლაბირინთი მთელ დარბაზშია დახლართული. დადიხარ, ზელების ცეცხლთა დაბობტებ და, გარდა ამ უცნაური ქაღალდისა, მაინც ვერაფერს ხედავ. მაგრამ აი, სიბლღეც: ზოგ მოსახვედში თუნუქის ვეება საყვირები და უდგაოთ. შეგვიძლია ეს, თითქმის კაცის სიმაღ-

ლე, საყვირი აიღო, შიგნული ჩაბნერი და საშინელი ხმით დააღრიალო. ამის შემდეგ სახეითი ხელოვნების ამ უახლესი ქმნილები გატნობა მთავრდება და, აუცილქ ნეტიალის სურვილი ჭერ კიდევ არ დაგეყარავთ, თქვენ შომდეწარ დარბაზში გადახართ.

სულ ბოლოს ფოიეში გამოვედი და რუპროლექციების გასაყიდ კიოსკთან თავშეყრილ ხალხს მივეახლოვდი. ნეტავი აქ რაღას უყურებდნენ? მუზეუმში გამოფენილ აბსტრაქციონისტ ავტორთა ფოტოგრაფიული პორტრეტები აღმოჩნდა, რომლებიც ძვირფას ქაღალდზე დაბეჭდილ და დიდებულ პოლიგრაფიული ხელოვნებით გაფორმებულ ალბომებში მათი ქმნილებების ფერად რეპროდუქციებს წინ უძღოდა.

მხატვართა სახეებს დიდხანს ეაცვირდებოდი. იქნებ ამ სახეებს მაინც ეთქვათ რამე. სახეებით თითქოსდა ჩვეულებრივია, გამოხედვაც ისეთი, როგორიც ყველა ადამიანს აქვს. ზოგი მთლად ახალგაზრდაა, პირზე რომ რძე არ გადაშრობია, ზოგი — შუა ხნისა და ზოგიც კიდევ ქალაქმწერეული. ისე რომ, საუკუნის საახლე ყველა თაობის კეთნილებდა ყოფილა და მას გამორჩევით ვერავენ დაისაყუთებებს.

შენი თავის გასამტყუნებლად თუნდ ათასი ასე თუ ისე დამაყრებელი არგუმენტიც რომ წამოაყენო, ერთი აყვიატებული აზრი მაინც არა და არ მოგეშვება. არ მოგეშვება აზრი, რომ ამ ადამიანების დიდი უმრავლესობა, რომელთა თვითმაცოფილი ფიზიონომიებით ალბომები აუესიათ, ზოლო ქმნილებებით საგამოფენო დარბაზები, ისიც სად — რუბენისა და რემბრანდტის მეზობლად! — ხელოვნებაში ხელმოყარული სუბიექტები არიან. რაკი ქრევეულმა ღმერთმა მხატვრის ღუთაბრთივი ნიჭი არ გამოაყოლათ, ისინი ცინიკურად უყურებენ თვით ცხოვრებას, დასცინიან ყველას და ყველაფერს, ქიჩილით ადვენებენ თვალს მათი ნაღდაბნების წინაშე მოხორხოცე ბრბოს, შითუმეტეს მაშინ, როცა რომელიმე „მეოღნე კაცი“ თავის გულწრფელ აღფრთოვანებას გამოსთქვამს...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

უბის ნივთიერება

დილას ქუჩაში ეხედები იაკობ ნიკოლაძეს. ის მაჩერებს:

— თუ გყალია წაიდუთ ჩემთან, სახელოსნო-ში, ნახე ჩემი ახალი ნამუშევარი. მე მივუყვები. წყნეთის ქუჩის ერთ განშტოებას როდენის ქუჩა ჰქვია, ამ ქუჩაზე პატარა ჩიხია. ის იაკობ ნიკოლაძის სახელობისაა. აქ არის იაკობის პატარა ბაღი.

მე მუდამ უღიდეს სიამოვნებას მგერის მხატვრის სახელოსნოში ყოფნა. მიყვარს, აგრეთვე, მხატვრების ჩვეულება, იქონიონ სახელოსნოში ფაფურის და სპილოს ძეღის, აგრეთვე სხვა ანტიკვარული ნივთები, ძველი გრაფიკები, ოქროსგარაყიანი წიგნები, ჩარჩოები, განსაცუთრებული, უჩვეულო სამყაროც, მკვეთრად გამოჩენილი და განსხვავებული ყოველდღიური ყოფაცხოვრებითა გარემოსაგან. თვით ატმოსფერო ამ სახელოსნოში, მისი მყუდროება, საღებავების, ქვის, აყალი მიწის სურნელება, ყველაფერი გრძნეული ძალით მოქმედებს ჩემზე, მამშვიდებს, იტაცებს გულს და ოცნებას.

იაკობს რამდენიმე ახალი ნამუშევარი აქვს. ახლად დაუმთავრებია ჩახრუხაძის პორტრეტი. ის ახალგაზრდა ბერს წაგავს, თავზე ძველ ქართული საბერავი ჰერავს, ჩაბლა-ხის მსგავსი. თველ, დაგრძელებულ პირობის მსგავსი წვერულაში უმშვენებს. თვლები ძირს დაუხრია, დაფიქრებული სადღაც ქვემოთ იყურება. მაგრამ ეს უფრო შიგნით მზერას წაგავს, საკუთარი სულის ხილვას, ან გამაფრებელ სმენას იდუმალი მუსიკისას, რომელიც რიტმულად ქუჩის პოეტის შინაგან სამყაროში, და თითქმის მოცემული ბაგავით შემოქმედებულ იმეორებს სიტყვებად ქცეულ მუსიკალურ ფრაზას:

თამარ წუნარი, შესაწყნარი,
ხმა წარნარი, პირმცინარი...

ი. ნიკოლაძეს ჩახრუხაძის მონუმენტური ფიგურის გამოქვეყნება აქვს განზრახული. ესე-ზი უკვე მზადაა აქვს (თიხისა): პოეტი მაღალ ევარცლბეზე დგას. მარჯვენა ხელი გულზე აქვს მიღებული, გრძელი, ქართული კაბა აცვია...

იაკობი ამჟამად ორ ახალ პორტრეტზე მუშაობს. ორივე თიხისგან აქვს უკვე დამზადებული. ერთი მათგანი იაკობ გოგებაშვილის ბიუსტია. ქართული ხალხის უკუდავი პედაგოგის მშვიდი სახე, მაღალი შებლი... ის სათნოებით, შინაგანი რწმენით გამსჭვალული თვალბით იტყობება.

მისი ორი დიდი, კორძიანი ხელი მუცელთან შეერთებულია ერთმანეთს, ამ ხელებში დასწერა „ღეღაენა“, ქართული ახალგაზრდობის რამდენიმე ათეული თაობისათვის, ამ ხელებში დაიცვა ქართული ენა, ელტერა დაეწივნისა და გადაგვარებისაგან, და რაღაც უხილავი ურთიერთობა იგრძნობა მოხუცი მასწავლებლის ფართო შებლსა და მის ძარღვიან ხელებს შორის. მთელი ფიგურა გადმოგვცემს სიწყნარეს მამრალი, ღიად ნაამაგარი, მაგრამ დაუქანცველი ადამიანისა, რომელიც დაფიქრებული, ღიწად გაღმაცქვრის თაობა ფასდაუდებელი ღვაწლის ნაყოფს.

მეორე და ღირსშესანიშნავი ნამუშევარი (ქერ-ქერობით ისიც თიხაშია) გენერალ-მაიორ თავართქილაძის ბიუსტია.

შეაკრი, მკვრივფუნთიანი, რომელიც მხედართაგანს სახე. ეტყობა, მზის ცხარე სხივებს დაუწყევს მისი კანი, მათურ, გამყინავ ქარტყილს უტროლით ზედ, ქარბუქებს უთოვით და გაუთოვით მისი ნაკეთობი.

ესაზღვრო გულადობა და შეუბოვარი სიმტკიცე აღბეჭდილა მამაცი სარდლის სახეზე. ის დაკვირვებით გასცქერის შორეულ სივრცეს, წინ, მოპირდაპირე მხარეს. ალბათ იქ ეგულებოდა ეტაკი მტრის განლაგება. და, აი, ფართოდ გახედილ თვალთა გუბებში თითქმის ატყობთ, რომ

სარდალი ანგარიშობს, ასწონ-დასწონის, არჩევს. ის ეძებს და ჭერ ვერ დასდგომია საბოლოო გადწყვეტილებას, ის ფხიზელი მოაზროვნეა ამ წუთში, მთელი მისი ოღნავ წინამორწეული, თითქმის გამანადგურებელი ნახტომისათვის მომზადებული ვეფხვის ტორის შემოჭილია ინტელექტის გამძაფრებული მუშაობით. ოცნება და საქმიანი განსჯა, ფიცხელი გატაცება და ცივი ანგარიშობა იხატება მის თვალებში, სქელი, ღამაზად მოხაზული, თავისუფლად დამწეული ბავშვებმა შინაგან სიმშვიდესა და საყოფარღო ძალების ურყევ რწმენაზე შეტყველებს.

და მთელი ფიგურა ერთ არსებაში ასახავს ბრძოლებში გამომბრძმებული ჯარისკაცის სიმედვრეს და მტრის შეხანათობის გამოცნობაში დახლოვებული სარდალის სიღინჯეს, ფიცხელ შემართებლობასა და ცივ, დამშვიდებულ საზრიანობას.

იაკობ ნიკოლაძის, როგორც ოსტატის, ღირსება მუდამ იყო მძაფრი განცდა თანადროულობისა, მისი მღვიმარე, მაძიებელი შემოქმედება მუდამ სწვდებოდა ხალხის შინაგან გაცდებს.

ოღესდაც მან მგლოვიარე ქალის სახით გამოხატა ქართველი ხალხის უმოწიო მწუხარება, და ეს ქანდაკებული განცდა დადგა ილია ჭავჭავაძის საფლავზე, როგორც სამშობლოს სახსოვარი.

ილიას სახე, რომელიც ღრმად იყო აღბეჭდილი მის ხსოვნაში, მან ძალიან გვიან გამოკვეთა მარმარილოს ბიუსტად და აგრეთვე, ბარელიეფზე, რომელიც ამშვენებს წიწმურის ობელისკს. პორტრეტული მსგავსება ორივე ნაწარმოებში, განსაკუთრებით ბარელიეფში, უდავოა; მაგრამ ეს არ არის მთავარი. იაკობ ნიკოლაძემ შეძლო გამოკვასა ხალხის ბრძენი და ფოლადის ნებისყოფით აღჭურვილი მეთაურის სახე. ამ ლომის სიმშვიდეში უღუღი ენერგია და შეუღრეკელი შინაგანი რწმენა იხატება.

იაკობი მესაუბრა იმ ტრადიციებზე, რომლებიც მოგვრევა თანამედროვე ქართულ სკულპტურულ ხელოვნებას. რასაკვირველია, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენთვის რაიმე ხელშესახების მოცემა შეეძლოს ძველ ქართულ ქვაზემკვეთელობას. ის პრიმიტიული ფიგურები, რომლებიც ამოკვეთილია მცხეთის ჭერის მონასტრის ეკლესიაზე, ქართულ ქანდაკებას ვერ შეუქმნიდა ცხოველმყოფელი შემოქმედებითი ტრადიციის სათავეს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ, მთელი უტრადლეა გადავტანოთ ძველ ქართულ ფრესკულ მხატვრობაზე. ამ შემთხვევაში დაუღუგეული შთაგონების წყარო ჩვენთვის არის გენიოსი ოსტატის ნახელავი—უბისის ტაძრის ფრესკები, უბისის ეკლესიის მხატვრობის-ფიგურებს რომ უცქერით, მონუმენტურობასა და სკულპტურულობას ხედავთ სხეულისა და სახის გადმოცემაში.

ბუნება მთავარი წყაროა ყოველი ხელოვნების შთაგონებისა. ამას, სხვათაშორის, გვაწვდის ძველ ქართულ ხელოვნებაში უცხოში ელექტარი-არქიტექტორი-შემენველი ჯარის მონასტრისა. სკმარისია ავიღოთ ბროლის კრისტალბი, და მისი წახანგოვანი ნატყბებიდან გავავლოთ კომპოზიცია გუმბათიანი შენობისა, და წარმოვიდგინოთ, რომ ის წამოღებულია ფოთილი კლდის მაღალ კონცხზე, სრული ილუზია შეგვექმნება, რომ შორეულ პერსპექტივაში შეეცქერით გუმბათთან ტაძარს.

იაკობ ნიკოლაძე ამ დებულების საილუსტაციოდ შუშის განჯინიდან იღებს ბროლის კრისტალბს, ერთმანეთზე აწყობს, შემდეგ მეორე ხელზე ნაცრისფერი ტილოს ჩეარს იფარებს. ქანავს მის კალთას, რომ ფრიალო კლდის შთაბეჭდილება ქმნიდეს, მის წვერზე ჩეარდაფარბული ხელით კრისტალბის იქერს და გვერდზე გასწევს—შეხედო. ეუცქერო, და, მართლაც, მაგონდება სოცრესში დანახული ჭეარის მონასტრის პაწია ტაძარი.

იგივე პროპორციები, იგივე შეხამება ბუნების ანსამბლთან, იგივე სიმეტრია, დაცული მთავარი ტიპური სიზუსტით, კლდის ძირისა და მისი ობელის მიმართ, აგრეთვე, ვარემო პეიზაჟის საერთო განლაგებასთან... იაკობი თავის დამოკიდებულებასა და ურთიერთობაზე შესაუბრება შეცხანებულ საუკუნის დიდ ქართველებთან, ის ხომ მთი შეესწრო ახალგაზრდობაში, როდესაც მხოლოდ იწყებდა თავის მძიმე და რთულ შემოქმედებითს გზას.

ილია ჭავჭავაძე

ილია სამეგრეო მუცის ნანახი: პარველად 1901 წლის თებერვალში შევხვდი. რაფიელ ერისთავი ახლად ვარდავლილი იყო. კრუზნეშტერნის (ებლა წულუკიძის) ქუჩაზე, ერთ-ერთ საზოგადო დაწესებულებაში შეკრებილი იყვნენ ილია ჭავჭავაძე, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ცხევედაძე და კიდევ რამდენიმე საზოგადო მოღვაწე. იმით გვერდით ტრიალებდა სოსიკო მერკვილაძე.

მამინე ახალგაზრდა მოქანდაკე ეთავი, ოცდახუთი წლისა ეიქნებოდა. მე მათ შევთავაზე რაფიელ ერისთავის ნიღაბს გავაცეთებ-მეთქი.

მკითხეს, რამდენი დაქვდებო.

სოსიკომ ხელად შეადგანა ზეპარი „ხარხთაღარიკება“ — ჩვიდმეტი მანეთი—და მოახსენა დეიოთ სარაჯიშვილს.

დავითმა ყიბიდან საფულე ამოიღო და ფულად მომცა.

ეიყიდე მასალა და თელავისკენ გავემგზავრე. იქიდან ქისტაურში წავედი. იქ ორ დღეს დაერჩი, ნიღაბი ავიღე, გასვენებასაც დავესწარი.

თბილისში დაბრუნებისთანავე, რაფიელის ნიღაბი წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმს გადაეცემა.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და, ისევ მივედრე წერა-კითხვის საზოგადოებაში. ვიბე ავითყე თუ არა. დავინახე, ილია მომარბანდებდა ღინჯად. დანახისთანავე მიცნო:

— ყმაწვილო, ბიუსტი გააკეთე?

— დიახ, — უპასუხე მე. — ღოღონდაც ბიუსტი კი არა, ნიღაბი, აი აქ არის, წერა-კითხვის საზოგადოებაში. მან უტრადღებოთ დაათვალიერა: „სამშობლო ხეყსერისას“ ავტორის ნიღაბი.

ეს მეორე შეხედრა იყო ილიასთან.

მესამედ და უკანასკნელად კენწაში ვნახე. მარტო იღვა, კონკას უღლიდა.

ილიას სიყვდილის შემდეგ წ. კ. საზ-ბამ მისი ძეგლს გაკეთება შემოყვითა.

ამ საქმისათვის საზოგადოებამ 5 500 მ. გადადო. ეს თანხა ხელმოწერით იქნა შეგროვებული საქართველოში, ავრეთვე, სხვადასხვა სახის შემოწირულებით.

პარიზში საგანგებოდ წავედი, რომ ძეგლი იქ გამოყვითობა. გადაკეთე კიდეც. მარტო მწუხარე ქალის ქანდაკების ჩამოსხმა, მახსოვს, ექვსას მანეთამდე დამიწდა ოქროთი.

აკაკოზე

პარიზში რომ იყო აკაკი, 1909 წლის მეორე ნახევარში, მე მას ხშირად ვხვდებოდი. ჩემს სახელოსნოშიც მოვიდა, ნახა ჩემი ნამუშევარი. აკაკი იმ დროს ცოლშვილიანად ცხოვრობდა საფრანგეთში. მისი შვილი აღექაი რუსულ საოპერო დასს ანტრეპრენირობდა.

აკაკი ავად იყო. წყლებზე მჭერნალობდა. ერთხანს ევეინ-ლე-ზენში ცხოვრობდა. მე პარიზში „ცნობის ფურცელი“ მომდიოდა. გაზეთებს აკაკის ვერზავნიდა. ევეინ-ლე-ზენიდან წამოსვლის წინ მომწერა: (პარათი ჩემთან ინახებდა): „მამა იაშა!.

დიდი მადლობელი ვარ შენიცა და გიორგი-საც (დეკანოზიშვილი) გაზეთების გამოგზავნისათვის! დღეის იქით, სანამ ჩემი წერილი არ მიიღოთ, ნუღა გამოგზავნით, რადგანაც ხეალ მოთავლება აქ კეროტრ და ჯერ არ ვიცი, საით გამოსაყვებნ. მარად ერთგული აკაკი“.

ეს წერილი უთარიღა, დამწერილი უნდა იყოს 1909 წლის შემოდგომაზე.

როდესაც ნიკო დიასამიძის ცოლი (გიგო დიასამიძის დედა) გარდაიცვალა, ნიკოს საფლავისთვის ძეგლი შემოყვითა. თითონვე მომცა, თავისი გემოვნებით, ძეგლის პროექტი: დანოქილი ქალი, ლოცვად ხელაყობილი.

ძეგლი გააკეთე. ეპიტაფია აკაკიმ დაუწერა. ზეპირად დამახსოვდა:

„დედაც ღვთისაო, გვედრებ მე, ნინო, რომ ჩემს ქმარშვილსა მადლი მოჰფინო!

ეს ამბავი, თუ არ ეცდები, 1894 წლის ახლო ჩანებში უნდა ყოფილიყო.

1911 წელს თბილისში, ჩემს სახელოსნოში აკაკი მეწვია. მაშინ მე დავით სარაგიშვილის ქანდაკების ესკიზზე ვმუშაობდი. სარაგიშვილის მეუღლის გეატერიწეს დაკვეთით. აკაკის მოწერა და ესკიზი და ჩემს ალბომში ჩაწერა:

„ვენახე შენი ქანდაკება, აღარ უნდა ამას ქება!“

ნიკო ნიკოლაძეზე (უფრო ჩემს ნათესაობაზე)

„ნიკოს მამა იაკობი, უფროსი ძმა იყო მამა-ჩემისა, ივანესი (მას უფრო ვანეს ეძახდნენ). ნიკო უფროსი შვილი იყო უფროსი ძმისა, მე კი სულ უმცროსი შვილი უმცროსი ძმისა. ამიტომ იყო ასეთი დიდი განსხვავება ნიკოსა და ჩემს ხნოვანებაში.

იაკობი მსხვილი მოიჭარადრე იყო, ჰქონია ღუქნები, ადგილები. მამაჩემიც კომერციას ეწეოდა. მას ქუთაისელი ზორციო მოეპირე პეტრულაშვილის ქალი ჰყავდა ცოლად (დედაჩემი). ორივენი, სიძე და სიმამრი, მსხვილ ვაჭრობას ეწეოდნენ ზორციოთ.

მამაჩემი რუსეთში დიარებოდა ხოლმე სავაჭროდ. რაც იმ დროს ძნელი საქმე იყო, მხოლოდ მსხვილ ვაჭრებს შეეძლოთ ასე შორს მოგზაურობა.

ერთხელ „მაყარიის იარმეჯიზე“ წავიდა (ნიკინი-ნოვეგოროდში). იაკობმა ფული გაატანა თავისი კრედიტების დასაფარავად — ნისიად წამოღებული საქონლის საფასური, რომელიც იქ-აქ ვაჭრებს ერგებოდათ. ვალის დაფარვის გარდა იაკობმა დაავალა, ახალი საქონელი წამოიღე კრედიტითო. მამაჩემმა ვალი კი დაფარა, მაგრამ საქონელი აღარ ჩამოეტანა იაკობს, არ ვიცო, რა მიზეზით. ამ ნადავზე მათ შორის, მას სოვს, უკმაყოფილება ჩამოვარდა. ნიკო ნიკოლაძე სწერს თავის მოგონებებში, ბიძაჩემი ივანე სულ მოიბოხრდა მამაჩემისაგან გათვით ქონებათ (ისინი არ იყვნენ გაუფრთხილნი). ასე გაუფრთხილნი დარჩნენ ისინი იაკობის სიყვდილამდე. მამის სიყვდილის შემდეგ ნიკომ დაუყოვნებლივ გაყო ქონება და მამაჩემს თავისი წილი მისცა.

ჩემი უფროსი ძმა, მათე, ბათუმში ცხოვრობდა: მას ეტრნალ-გაზეთებისა და წიგნის სავაჭრო ჰქონდა, საუცხოო ილუსტრირებული რუსული და უცხოური ეტრნალები მოსდიოდა.

მალაზიის უკან მე მთელი დღე ვიჭექე, მაშინ ყმაწვილი ვიყავი და ამ ეტრნალებიდან ვიხატავდი ილუსტრაციებს“.

ასეთი იყო ჩემი სტუმრობა იაკობ ნიკოლაძესთან. სახელოსნოში. წამოსვლისას იაკობმა თავის მიერ გაკეთებული რუსთაველის ბარელიეფი მიძლენა წარწერითურთ.

2 ნოემბ. 43 წ.

7.12.43.

ღღეს „ნათობის“ რედაქციაში სიმონმა ეტრნალში დასაბეჭდალ რამდენიმე საუცხოო

ლექსი გადმოშვა. სამითოთხი წლის წინათ მან ლექსების ცაყლი დაწერა მცხეთაზე. ეს ლექსიც მიძღვნილი იყო მცხეთაში აღმოჩენილი პიტიკაშის ასულის, სურათიტასადმი, უკეთ, მისი გამქარალი ნეშტისადმი (მხოლოდ ძვირფასი სამკაულები და თმაღა აღმოჩნდა ძველთაძველ საფლავში).

1. იანვარი.

სადილად ვიყავით ს. ჩიქოვანთან. იყვნენ: გ. ლეონიძე, ირ. აბაშიძე, ბესო ელენტი, ვერაკი ანჟაფარიძე. ვერაკომ წაიკითხა ლექსები: საათნაგასი, გრ. რაბელნიასა, ი. გრიშაშვილისა, საღამომ მხიარულად ჭაბაჯ, ლამარაკში, სმაურში პირველმა საათმა შეუმჩნევლად გაიარა, იმელებული გავხდით დღეამდე დაგრჩენილიყავით.

ვერაკომ მიაშპო, თუ ამ ერთი ცვირის წინათ როგორ დახედნენ გზაზე და მოუღწივს პალტოს ვახაბ. თურმე შემბრძოლებია. ბოლოს ბანდიტები რომ შორევიან, ვერაკო ხავსს მოკიდებია: „თქვე უსინდისოებო, ქართველები არა ხართ? კინო სურათი „ვიორგი საყაძე“ არ გინახავთ? შემომხედეთ სახეში!“

ერთ მანდიტს ჩიუხედავს თურმე სახეში (სალამოს მანდი ყოფილა) და მეორესთვის უთქვამს: „ბიჭო, ეს ვერაკო ანჟაფარიძე ყოფილა, გაუშვი ხელი!“ გაუშვიო.

28 დეკემბერი 43 წ.

წებელი პიონერთა სასახლეში პიონერებმა შეხვედრა მოუწვეეს გიორგი ლეონიძეს. წაიკითხეს მოხსენებები მის შემოქმედებაზე, თქვეს მისი ლექსები. ერთი მოხსენებელთაგანი იყო გურამი, მისი მოხსენების თემა იყო ლეონიძის აღზინდელი შემოქმედება. მოხსენებმა გვიარინი გამოუვიდა გურამს. ლამარაკობდა რაზიანად (ალბათ შერთომისაგან), მკაფიოდ და დალაგებით, როცა გაათვა და ადგილისავე წავიდა დასაჯდომად, გოგლა ადგა, ზედი ზემოართვა და მადლობა უთხრა. ბოლოს გამოვიდა თვითონ გოგლა, მან განაცხადა, აღტაცებული ვარ დღევანდელი საღამოთი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ჩემი შემოქმედების შესახებ ბევრი ყარბი რამ ითქვა, არამედ იმიტომ, რომ აქ გამოსულ ახლაგაზრდობაში ნიჭიერ, საიმედო ძალას ვხედავ, რომელიც შეპყვლულ თაობად შოდის ჩვენთვისო. გამოსულმა მოხსენებლებმა გამოთქვეს ბევრი საინტერესო აზრი და საქმიანი შენიშვნები ჩემი ნაწარმოებების გამო.

დღევანდელი დღის გამო მინდა გაეცხნო ერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებისა — თქვა გოგლამ — ესწავლებდი თბილისის ერთ-ერთ სასწავლებელში (სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, ლ. ა.). აგრძალებდი გვჭონდა ქართული წიგნების კითხვა, ქართულად ლაპარაკი,

კი, მაგრამ ჩვენ, მოწაფეები, წაგნებდაც/ცოთხელობდით და ლიტერატურულ ეფრწილას ეუშვებდით (ხელნაწერის სახეობაში ეფრწილას რედაქტორი მე ვიყავი. ერთხელ, ეს იყო დაახლოებით 1912-13 წლებში, გაეცა, რომ თბილისში ვაჟა-ფშაველა ჩამოვიდა. მე სპეციალური ნომერი „გამოვეცი“ ჩემი ჟურნალისა, რომლის პირველ გვერდზე მოთავსებული იყო ვაჟასადმი მიძღვნილი ჩემი ლექსი. ეს ნომერი გავუგზავნე ვაჟა-ფშაველას, არასოდეს არ წაბოვიდგენდი, თუ დიდი ქართველი პოეტი ყურადღებას მოგვაქცევდა. ჩემს სიხარულს და გაციებას საზღვარი არა მქონდა, როცა მეორედ დღეს მიიხრეს, ვაჟა-ფშაველა გიბარებსო, მე მივედი იმ ოჯახში, სადაც მგოსანი იყო სტუმრად. წარუდგეი ვაჟას, ძალიან ეძლევიდი. მან გამოკითხა ჩვენი სასწავლებლის ამბავი, ჩვენი ცხოვრება. ამა რა საინტერესო უნდა ყოფილიყო მისთვის თორმეტი წლის ბავშვის შეხედულებები მწერლობაზე, მაგრამ საუბარი ამ საგანზე ჩამოვიგდო და მომცა სტვადასტვა შეკითხვები. შემდეგ აიღო ჩვენი ჟურნალი და გადმოშვა. დავხედე, ჩემი ლექსის გვერდით, თავისუფალ ადგილზე, ვაჟას თავისი საპასუხო ლექსი დაეწერა. ამ ლექსს მე მიძღვნიდა. აი, როგორია ეს ლექსი (გოგლამ ზეპირად წაითხა):

სიკბუთის დროს პირველად,
როს ეახილებდი თვალბნა
და ვუცქეროდი მტრირალი
საშობლოს განაწვლუბა —
ვეძებდი აქეთ-იქითა
ჭვეყანის დამხმარე ძალებსა,
არაფერ უნდა დარჩოდ
ამ ჩვენს დაჩაგრულ მხარესა.
ერთბოდი უფრო ძალიან,
ცრეშებს ვაფრქვევდი მწარესა...
დღეს ვხედავ, გაზრადლებიან
მშრობელ ჭვეყანას შვილები,
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის საშობლოს გმირები,
მირჩება წყლული გულისა,
უუწნებდი ანატორები...

გოგლამ დაამთავრა ლექსის კითხვა და მითა დაშწრეებს:

ნება მიბოძეთ ამ ლექსით, რომლითაც ოდესღაც მოგვმართა ვაჟამ, დღეს თქვენ მოგმართოთ, რადგან თქვენი სახით მე ვხედავ საიმედო, ნიჭიერ და ბევრი შესაძლებლობის მქონე ახლაგაზრდობას, ჩვენი საშობლოს სამსახურისათვის გამოადგებულს.

გოგლას ოცაიები გაუმართეს. ბოლოს ლექსების წაკითხვაც სთხოვეს. მან რამდენიმე ლექსი წაიკითხა.

საღამოზე იყვნენ აგრეთვე: გერონტი კიქო-

ძე, გრიშა აბაშიძე, ლევან გოთუა.

გოგლამ მითხრა, დღეს ჩემი დაბადების დღეა, ორმოცდაათი წლისა შევერდლით. ეს საღამო სწორედ ჩემი დაბადების დღეს დაემთავრა. ეს-ღა შენ და გრიშა აბაშიძე ჩემთან წამოდით, საკმელა არაფერი მაქვს, ყველის და პურის შებრა, ერთი-ორი ბოთლი ღვინო წავიღოთ და ვისაუბროთო. არ მოგვეშვა, წავიდეთ ღვინო. შუაღამემდე ვისხედით. იქ მისი ორი მზეთუნახავი გოგო დავხვდეთ, ორივენი საღამოზე ყოფილიყვნენ და შინ ადრე დაბრუნებულყვნენ. მაშას დასცინოდნენ, სიტყვას რომ ამბობდი, ორჯერ წამოგვტა „არანაყულებრაი“-ო. გოგლა ეხვეოდა, პერცნიდა გოგოებს, უმცროსს, თინათინს „მუხას“ ეძახდა. რადგან ქანალი, მაგარი და ჩაფსკენილი გოგოა, სახე ძველი ქართული ზატისა აქვს, ისეთი, გოგლა რომ სწერს თავის „ნინოწმინდის ღამეში“:

„ხიტი იყავ. ვეფხი დაქალებული“.

3 იანვ. 44 წ.

ემუშაობ ვალერიან გაფრინაშვილის ავტოგრაფებზე. ჩემი რედაქციით გამოდის ტომი მისი გამოქვეყნებული ლექსებისა, უფრო სწორად, იმ ლექსებისა, რომლებიც მის კრებულში არ შესულა.

საინტერესოა ერთი მისი ზანაწერა შენიშვნის სახით:

«Торговец рифмами: старый поэт, бросив писать стихи, изобретает рифмы и торгует ими».

ამას მოსდევს მინაწერი ფრჩხილებში: „არა გვაქვს რითების ლექსიკონი“.

ქვემოთ:

„ორ წარბს შეა მე სიცოცხლე ვიხილე“,

ბოლოს:

«Сонеты, которые должны быть написаны: о Сталине, Стаханове, Орджоникидзе, Шекспире, Седове».

9 იანვარი 44 წელი.

ღილით ისევ ლოგინში ვწევარ, რომ უშანგი ჩხიძის და მოდის და მოაქვს უშანგის პიესა „გორიჭა საკაძე“, აგრეთვე, წერალო. აი რას აწერს უშანგი:

„ძვირფასო მამო ლევან!

პიესის გამოგზავნა დაგვიგვიანე იმის გამო, რომ ტექსტი არ მქონდა ზეირაანი, ისეთი, წაკითხვა რომ არ გავაძლებოდა. ამას, მე მგონია, არა უჭირსრა. იმედი მაქვს წაკითხვის შემდეგ შენ აზრს მაცნობებ. ვხადავხა, სადაც ზედმეტი ენაწყლიანობა შეამჩნიო, ფაქტარსაც რომ გავსვამდე ხოლმე, საწინააღმდეგო არაფერი მექნება. ერთ ხანაზედ პიესა ოთხ მოქმედებად იყო, მაშინ „მარადის ბრძოლა“ მესამე აქტიდან ამოღებული იყო და მე-3 და მე-4 მოქმედება გაერთიანებული მქონდა, მაგრამ

მთლიანობისათვის, მე მგონია, ასე უკეთეს ლევან, ერთ რამეს მინდა შენი ყურადღება მივაქციო ამ თავითვე, ვიდრე წაკითხვამდე. ეს არის „აბაზღუთის ომი“ უკანასკნელ აქტში, არ მომწონს, მაგრამ რომ გადავავლოთ, ამას წერა უნდა, რაც მე ძალიან მიჭირს. ამოვიღო სულ ვაი თუ სურათებს შორის კავშირი არ იქნება და გაუგებარი გახდება. ამიტომ, გთხოვ წინასწარ, რომ ცოტა დაუკვირდე და შენი მონაზრება მაინტერესებს. ბოდიშს ეიხდი ლევან, რომ ასეთ ვალდებულებებს ვაკისრებ, მაგრამ მე ისეთ აღამიანად ვიცნობ, რომ იმედი მაქვს არ დამამადლი და არც გეწყინება. მე ვერ პიესაზე არც კი მომისმენია ვინმეს ობიექტური, მეგობრული აზრი, მაგრამ ეს ალბათ ჩემი ცოტა მოწყვეტილობით, ცხოვრების პირობებით აიხსნება, მომიჯიოხებ თინა პატივისცემით.

იყავი კარგად.

შენი უშანგი ჩხიძე“.

15 იანვარი, 44 წ.

საღამოს ვახშამი მეგობრის ოჯახში. იქ არის ირაკლი აბაშიძე. ჩვენ ღვინოს ვსვამთ, ვხუმრობთ. ქალები მღერიან. ირაკლი ჩემს სადღერებელს სვამს. ის ამბობს, ლევანის წიგნი „აკაკის ცხოვრება“ საკმარისია ერთი მწერლისთვის, რომ მშობლიური კვლევებისა და ლიტერატურის წინაშე მისი ვალი შესრულებულად ჩათვალოს, იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი ნაწარმოებიაო. გარდა ამისა — ამბობს ირაკლი — არ შემოძლია დავიფიქსო, რომ პირველი თბილი სიტყვა, პირველი წერალო, რომელიც დაიბეჭდა ჩემზე, ვერ კიდევ მაშინ, როდესაც ახალგაზრდა, უცნობი პოეტი იყავი, ლევანის წერილი იყო, და ეს ფაქტი დაუფიქსარია ჩემს ცხოვრებაში, ისევე, როგორც არ შეიძლება დავიწყებულ იქნეს პირველი დიდი სიხარული, პირველი სიყვარული.

4 თებ. 44 წ.

მწერალთა კავშირის ითანზე, მზეზე დამსკდარიან მწერლები, საუბრობენ ძველზე, ახალზე, საკიბოპოტოზე. ხუმრობენ.

ვინ იქნება მწერალთა კავშირის თავმჯდომარე აი საინტერესო კითხვა, რომელიც საგანია მსჯელობისა.

მოსკოვში ნიკ. ტიხონოვი აირჩიეს, იქნებ აქაც იქნეს შემოღებული თავმჯდომარეობა?

— უფლაზე შესაფერისი კაცი სათავმჯდომარეოდ გერონტი ქიქოძეა, — ამბობს პოლიკარზე კაკაძეა, — ერთხელ რომ მირს დაქვევს თავს (თანხმობა), ორჯერ იქით-აქით გააქნევს (უარა).

მწერლები იცინიან. მართლაც, გერონტის სჩვევია ლაპარაკის დროს თავის ქიქინი.

გერონტი საერთოდ ღვინოს არ სვამს. თუ მოხდება და შეზარხოშდება, უყვარს ხოლმე

მეგობართან გახუშრება. მაგალითად, ეტყვის ვინმეს:

— უმაწილო, გალსტუი ხომ არ გიჭერთ? ამაზე ალ. ქეთათელი ამბობს, ეს არის აპოგვი გერონტის ზელოგნობისაო.

ს. ჩიჭოვანი

კოტე მაყაშვილი რომ გარდაიცვალა, ი. გრიშაშვილმა მოხევა ეს ამბავი ღვათი კლდიაშვილისათვის მეცნობებინა, რომელიც იმ დროს ბორჯომში, უფილ დიდი მთავრის სასახლეში მოთავსებულ სანატორიუმში ისვენებდა.

მოკლე დავითთან, გარეთ გამოვიხმე. ის ეზოში გამოვიდა, ვუთხარი: ბატონო დავით, ასეთი სამწუხარო ამბავი მოხდა-მოეთქი.

დავითი შეწუხდა:

— საწყალი კოტე. — თქვა მან, — როგორ უყვარდა დეპტალი.

ისე შეიცხადა მოხუცმა კლდიაშვილმა კოტის სიკვდილი.

5. 5. 44 წ. მოსკოვის გზა.

6. 5. 44 წ.

სადგური არმაგირო. სადგურის შენობა, რკინიგზის მჭლობელი სახლები. მრავალსართულიანი სახლები დაბოშბილია, მხოლოდ ნანგრევებიღა მოჩანს.

მატარებელი მიდის.

რკინიგზის გასწვრივ, მთელი კილომეტრების მანძილზე, ყრია დაბოშბილი და ნაშხერევებად ქცეული. დამწვარი საბარგო მატარებლები, ორთქლმავლები, რკინიგზები აფრიალია, ზილები — დაღწილი.

სადგური კავკასიაშია.

ელვატორები, რკინიგზის სადგური, დეპო ნანგრევებად ქცეულია. ერთსართულიანი სახლებიღა გადაჩრეწილა.

დანგრეული შენობების კედლები ფანჩრებგამოგლეჯილია. სარკმლები ჩაბნელებული თვალზე გვეკრება. ნანგრევები მკუდნაყად, პირქუშად, ბორცულ იტყირებიან.

7.5.44.

სტალინგრადს ევახლოვდებით. მთელი მიდამოები სანგრებოთ, ტრამშეებით გადათხრალა. მინდვრები მოფენილია დამსხვრეული ტანკებით, მანქანებით, თვითმფრინავებით. დაღწილი, გადაყრაგებული, ტყეებით დაყრდნობილი ვაკეები გაფენილია რკინიგზის გასწვრივ.

აი სტალინგრადიც. მიდამოები გადაღარულია არტილერიის და თვითმფრინავების ბომბებით. ქარხნები, სახელოსნოები ნანგრევებად ქცეულ კედლებად ამართულა მთელი რკინიგზის ხაზის გაყოლებით. მატარებელი სტალინგრადის სადგურთან ჩერდება. სადგური ნანგრევებად ქცეულია. გადაედვარა ქალაქში, სადგურის წინ, მოედანზე მოცუვავებ ბავშვების ქანდაკება დგას. რამდენიმეს წყლილი აქვს თავი.

ენახელობა ამ შენობას და ამ სარდაფს, სა-

დაც გერმანელი ფელდმარშალ პაულუსი და მისი შტაბი დაატყვევეს 1943 წლის 31 იანვარს.

კედელზე გაყრდნობა ამ ამბავს მხედრებში შეპირილი ღვათი დაფა.

გერმანული

იქვე დიდი პლაკატია წარწერით:

მთელი ჩვენი ქვეყანა იცავდა სტალინგრადს, მთელი ჩვენი ქვეყანა ააშენებს მას.

9 მაისი, მოსკოვი, 44 წელი.

ღვს ჩვედით მოსკოვში. ღამით რადიო აცხადებს ჩვენი ჯარების მიერ სევასტოპოლის აღებას. რამდენიმე წუთის შემდეგ იწყება სალუტის ზოცი გასროლა სამაოცდროთი ხარბაზნით, ჩვენი ოთახი სასტუმრო „მოსკოვის“ მეექვსე სართულზეა. იქიდან შევცქერით მოსკოვის ცას, რომელიც ყოველ გასროლაზე აღისფრად ენთება და ბრწყინავს რაკეტების მრავალფეროვანი შედრევენებით. მთელი ქალაქი ხანზარებს ხარბაზნების ქტხილზე.

13 მაისი, მოსკოვი, 44.

წუხელის მწერალთა კლდში შედგა პირველი საღამო ქართული ლიტერატურისა.

თამყდომარეობდა ნ. ტიხონოვი. მან წაიკითხა შესავალი სიტყვა, ძალიან თბილი და ღამაზი, სადაც შეეხო ქართულ კულტურას, პოეზიას, საქართველოს და ქართველი ხალხის შეილებს, რომლებიც იბრძვიან სამამულო ომის ფრონტებზე.

შემდეგ მე წაიკითხე მოხსენება თემაზე: „ქართული საბჭოთა მწერლობა ომის პერიოდში“. 45 წუთის ეკითხულობდი. მსმენელები იყვნენ მოსკოვის საუეთესო მწერლები, პრესისა და ხელოვნების წარმომადგენლები. ძალიან გულთბილად მომესალმნენ, როგორც პირველი გამოსვლის დროს, ისე მოხსენების გათავების შემდებ.

მოხსენების შემდეგ დაიწყო პოეტების გამოსვლა. ძალიან კარგად შეხედნენ ი. გრიშაშვილს, რომელმაც ოსტატურად წაიკითხა თავისი ლექსი: „არჩევნების დღე ჩემს ტბანში“.

წარმატება ხვდათ წილად გალაკტიონს, ს. ჩიჭოვანს და გ. ლეონიძეს. მათი ლექსების შესანიშნავი თარგმანები წაიკითხა ნ. ტიხონოვმა. გამოვიდნენ მთარგმნელები — რუსი პოეტები.

საღამო დასრულდა ბანკეტით, რომელსაც ნ. ტიხონოვი თავადობდა.

17. მაისი, მოსკოვი, 44 წ.

ღლით მიდევარტ ვოლგა-მოსკვის არხზე. გემ-ეკოდომანოვზე“ ესდებობა და მივცურავთ. აჩბიდან ვხედავთ ადგლს, სადამდეც მიადწიხს ვერმანელბმა. აი, ხდთან ის ტანკი, რომელიც ევლლაზე წინ გამოიჭრა და დაამსხვრიეს ჩვენმა ქვემეხებმა. ის გდია იქ, როგორც სამანი ისტორიისა.

ჩვენთან ერთად არიან რუსი მწერლები: ტი-

ზონოვი, ფედინი, ვიშნევსკი. ტიხონოვი გაუთავებლად პყვება ამხუბს. როგორც მთხრობელი ის შესანიშნავია და ამოუწერავი. გვესუბრება ფინელზე, ლენინგრაფელ პარტინანზე.

— ფინელნი საოცარი ხალხია, — ამბობს ის, — ერთმა ფინელმა ლენინის მუზეუმს ის სკამი შესწირა (ეს ჯერ კიდევ ომის დამუშავდევ იყო), რომელზეც ლენინი მჯდარა, ფინეთში არაღებულად ცხოვრების დროს. თურმე ფინელმა, რომლის ოჯახშიც ლენინი ცხოვრობდა, ამ სკამს ფეხები ოდნე მოახრება ქვემოდას. ჩადგან სკამი მაღალი იყო და, როცა ლენინი ზედ ქდებოდა, იატაკამდე ფეხებს ვერ აწვდენდა. სკამის მომტანი ფინელს უთქვამს, ამა და ამ ფინელის ოჯახში დღემდე შენახულია ლენინის კოსტიუმი. ოქტაბრი წელიწადია ის კოსტიუმი ინახება იქ. იმ სახლში რიკი შინაბერა ქალი ცხოვრობს, დები არიან. ისინი ინახავენ ლენინის კოსტიუმს, თუმც არ იციან, ვისია, მაგრამ ჩადგან კოსტიუმი, სწამენდნ და ფელიან, რომ არ დამტევროს.

— ფინელს უთხრეს, რატომ არ გამოართვი იმ ქალებს ლენინის კოსტიუმი.

— როგორ შეიძლება, — უპასუხა მან, — მე ხომ იმ ქალებს არ ვიციო, როგორ უნდა მეთხოვა.

— თქვენც მიდით და გაიციანთ ის ქალები.

— კი მაგრამ, იქნებ იმ ქალებმა არ მოინდომონ ჩემი გაცნობა, — უპასუხა ფინელმა.

23 მაისი. 44 წ. მოსკოვი

წუხელ ბესო, სიმონი, გრიშაშვილი, კარლო კალაძე, გრ. აბაშიძე, ლენდბერგი და მე ვახშმად ვიყავით სერგო ქავთარაძესთან. შესანიშნავი ვაჟაკია, ნამდვილი აფანადილი რუსთაველისა, ეპლტურული, განათლებული კაცი, ქართულად აღმაინა. თუმცა ხანდაზმულია (58 წ.), სულ ახალგაზრდა ვაჟაკის შთაბეჭდილებას ახდენს. იშვიათად მინახავს ასეთი ლამაზი და ემზიანი მამაკაცი.

სერგო ქავთარაძე და მისი სიმპათიური მეუღლე, გულოთაძე მასპინძლები იყვნენ. საღამო მეტად მხიარულად, საამოდ, შეიძლება ითქვას, შესანიშნავად გაატარეთ.

სერგო ქავთარაძემ რამდენიმე ღირსსამახსოვრო ეპიზოდს გვიამბო სტალინზე. ერთხელ, გვიითხრა მასპინძელმა, მე უთხარა სტალინს:

— უკვე დაგებრდით.

— ნუ სტირით. მიპასუხა მან, — შეისწავლეთ სამხედრო საქმე.

— რაღა დროს ჩვენს სწავლა!

— რუსებს ერთი ზრმნული ანდაზა აქვთ: Век живи, век учись, უნდა ცისწავლოთ, მუდამ უნდა ესწავლობდეთ.

სერგო გვიამბობს სტალინის დამოკიდებულებას ვეფხისტყაოსნის ავტორისადმი.

რუსთაველი მას უდიდეს გენიოსად მიიჩნია მოთფლიო პოეზიამ, და მარტო მისი შემოქმე-

დების იდეური სამყაროს სიღრმადით, მატერიალი სიძლიერით, სახეების რთული სისტემით და რითმების სიმდიდრით კი არა, არამედ მისი პოეტის გასაცემად რეზერვული მუსიკალური სტილი გადმოსცემს აღწერილი გარემოს ეთარებას იყო ასეთი ფაქტი. სტალინი, თავისი მეგობრების ვიწრო წრეში, რომლებსაც არ ესმოდათ ქართული ენა, ქართულად კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“.

— ეხლა მე წავიკითხავთ ერთ ადგილს, — მიმართა მათ სტალინმა — და თუ შეგვიძლიათ, გამოიციანთ რა ხდება.

მან წავიკითხა ქაჯეთის ციხის აღების ამბავი, კითხვის დამთავრების შემდეგ შეხედა თავის მსმენელებს. ამა ჩას იტყვიან, რა გაიგესო.

— ამხანაგო სტალინ — უთხრა ერთმა მათგანმა — შეგის შინაარსისა ჩვენ, მართალია, ვერაფერი გავიგეთ, но, что там происходит как-то драка, это факт-о.

27 მაისი. 44 წ. მოსკოვი.

წუხელ მწერალთა კლუბში გაიმართა ქართული კლასიკური პოეზიის საღამო. პრეზიდენტი, სხვებთან ერთად, ისხდნენ ბ. პასტერნაკი და ანა ახმატოვა — ორი მშვენიერა თანამედროვე რუსული პოეზიისა, ყოველ შემთხვევაში, მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედისა.

საღამოს შემდეგ ორივენი დაუბატოვეთ ვახშმად. ანა ახმატოვამ რამდენიმე ჭიქა ღვინო დალია, შემდეგ სობოვეს ლექსების წაკითხვა, მან რამდენიმე შესანიშნავი ლექსი წაკითხა (ძველი და ახალი). ეს ქალი ეხლა 55-56 წლისაა, მაღალი, მედიდური იერისა (осанка). როცა ზის, დღღოფლს ჰგავს, ძალიან მომზაგონებს ქართული ქალის ტიპს, ყოველ შემთხვევაში, არ ვააგავს რუს დედაკაცს.

პასტერნაკი აღტაცებით უსმენდა მას და თავისებურად როზრობოდა.

2 ივნისი. 44 წ. თბილისი.

დღეს დილით, 6 საათზე, გამოფრინდით მოსკოვიდან: ალიო მამაშვილი, ორივე აბაშიძე — ირაკლი და გრიგოლი, ა. ბელიაშვილი, კ. ჭიჭინაძე და მე.

საუცხოო დღე იყო. გადმოვიარეთ შთელი რუსეთი — მწვანე, მწვანე, ხავერდის მსგავსი ველები, ლამაზი, საოცარი, რგოლისებური სოფლები, ტყეები, ქალაქები. თუმცა დიდ სიმაღლეზე მიფრინავდით, ქალაქებს მაინც ვატყობდით ნგრევისა და დაზოზვის დაღს.

თავზე გადმოვფარეთ როსტოვს, კავკასიონის ბოლოს, გადმოვფრინდით ტუპსეში (ძალიან დანგრეულია) და გვეს ავიღეთ საქართველოსაკენ.

იშვიათია უფრო ლამაზი და მომზიბლავი სურათი, ვიდრე ჩემი პატარა სამშობლოა, ზევიდან დანახული. რაღაც ორ-სამ საათში გადმოვსერეთ საქართველო, შავი ზღვიდან მოკიდებული თბი-

ლისამდე. მშვენიერია იმერეთი, მაგრამ, ჩემდა გასაცვირად, სიღამაში (ზევლიდან) თურმე მას ქართლიც არ ჩამოუვარდება.

დღის ორისნახევარზე თბილისში დაფიქრებით.

24. 7. 44.

რა მდიდარია აკაის ენა, რა ღრმად იცნობდა ის ხალხის ხატოვან გამოთქმებს! აკაიმ მრავალი სიტყვა და გამოთქმა შესძინა ქართულ ლიტერატურას. ბევრი მათგანი შერჩა ჩვენს მწერლობას, ბევრი კი არა. მაგრამ რა აკაის ბრალა, თუ ჩვენ ვეღარ მოვიგზავრეთ მის მიერ გამოშვებული საუნჯე?

აი რამდენიმე სიტყვა და გამოთქმა აკაის ნაწერებიდან:

1. დასილაქნება

„წინ დაგიფენთ ფიანდახად აღვოცატებისაგან გამძვარლს და დასილაქნებულ ჩვენს საყუთარ ტყავს...“

(ბროშურა „საახალწლო ზემრობა“ 1874 წ.)

2. ტაფარკობა

„ბევრი რამ საგულსხმო მითხრა მათის ცხოვრების შესახებ და ბევრიც იტაფარკია თავდაზნაურობის ზურგზე.“

(იქვე)

3. გაეკლვა

„ჩვენი ქვეყანა ღრმა უმეცრებაშია... იმის ზნეობის ნიადაგს შამში გადავლია, გაეკლვა...“

(„იმერლები“. 1875 წ.)

4. დამხლისთაყვება

„დღეს... როდესაც ღრთა ვითარებამ დაგვაძახისთაყვება...“

27 მარტი. 44 წ. (ვახ. „ღრობა“, 1880 წ. № 89).

ლამის მატარებლით მივდივართ სენაკში მე და ალიო მაშაშვილი. შევდივართ კუბეში. იქ გოლიათი ზის, ის მთვარალია. გოლიათი მოჭირდავ სანდრო კანდელაკი. მას ენა ეშლება. თავის თანამზადარ ქალს უამბობს, ერთხელ ნესტორ ესებუასთან ერთად აბაშას ვესტუმრეთ, საღამოს ქოდაობა იყო დანიშნული, — ამბობს კანდელაკი, — დღე წამბა მოვიდა, და აი, სასტუმროს ფანჯრიდან დაინახე, რომ ვრელი მოდის. კოფოზე შევტრე ზის, ცალ ხელში ალერები უკავია, მეორე ხელში ქოლგა.

რა გაიცნებსო, შეთხა სასტუმროს პატრონმა; როგორ თუ რა მაიცნებს-მეთქი, — ვუპასუხე, — აქლში და გალია, მეატრე და ქოლგა? ამ აბაშას სანდრო კანდელაკი სამჯერ ჰყუება ზედიზედ. ეტყობა მოსწონს „აქლში და გალია“, შემდეგ ის უპასუხებს მგზავრების ცნობისმოყვარე შეკითხვებს...

28 მარტი. 44 წ.

სადგურზე არჩილ ჩაიბაია და მისი და გვხვდებიან. ჩვენ მათთან მივდივართ ოჯახში. ცოტახანს ვისვენებთ, შემდეგ უხვი საუნჯე, კი-

დეგ დასვენება. ძალი. ვიღვინებთ ისე, სუფრას გაწყობილი. იწყება სადილი, რომელიც გიდადის ვახშამში. მეგრელები მღერაინ. მწკვარს მათი სიმღერა, ნაზი, სველიანი. უმეტესი მათგანია, როგორც ჩანს, ძალიან დიდი ზნის წინათ, ალბათ, ბატონყმობის დროს არის შეთხზული, მაგალითად, სიმღერა პატარა გოგოზე — მერცხალზე:

„პიტი კირა, მერცხოლი,

ღიშა მეშენ ვახინოლი?

— დოფინოლი, დომიქვეს,

ვაფხინოლი, მომინვეს.

(— პატარა გოგო, მერცხალი,

ფიჩი რად არ მოვაროვე?

— მოვაროვე, დამიწვეს,

არ მოვაროვე დი მეუმეს).

ან კიდევ რამდენი გულისტყვილი, მეღარა და სასოწარკვეთილებია სიმღერაში, რომელიც, ეტყობა, იმ დროს არის შეთხზული, როცა სამეგრელოში ასე გავრცელებული ყოფილა ტყვეობით ვაჭრობა:

— „სი სოულ, ბატა,

მა დომიტალენქო?

ჭოფილ ვორექ,

თოფილ ვორექ,

ვა გომიტალენქო?

((შენ სათ მიღიხარ, ბატა,

მე მტოვა?))

დაქერილი ვარ,

გათოჯილი ვარ,

არ აჰანთავისუფლებ?)).

მეგრელებში გულისთადი მზიარელებაც იყვნენ. ჩვენი მაშინდელი დედ-მამაც ესწრებოდა ამ ნადიმს. მამა ოთხმოცი წლისა, დედა — 75 წლისა.

ისინი ჩვენთან ერთად მღერაინ, ცეკვავნ. სასაცილოა: მოხუცები ერთმანეთს იწყვევენ საცეკვოდ. მერე მოხუცი ქალი მეც მიწვევს. ის ბუბრულად, მაგრამ თავისუფლად ცეკვავს. მე მხოლოდ რიტმულად ვაყოლებ ფეხს, რადგან არ ვიცი ცეკვა.

29 მარტი. 44 წ.

მთელი დღე კოცისპირულად წვიმს. დღისით მაინც გამოვდივართ ქალაქში. კედლებზე უკვე აფიშები გამოფრავთ. თურმე მე მოხსენებას ვითხილებთ თქმაზე: „სამამულო ომი და ქართული მწერლობა“.

საღამოს ყველანი მივდივართ თეატრში. წვიმს. თეატრში ახალგაზრდობაა, ადგილობრივი ინტელიგენცია. მე ვითხილებ მოხსენებას. დაახლოებით ერთ საათს ელაპარაკობ.

ღალას ადრინად ვდგები. გამოვდივარ უბოში. მზე უკვე ამოსულა. ტყეშლები და ატვის ხეები,

პატარალებზეც მართლსა. ბრწყინავენ დი-
ლის მზის სხეულებში.

ჩრდილოეთით. მთელ პირიზონტზე გაწო-
ლილი კავკასიონის თოვლითა და ყინულით შე-
ღუპილი მთაგებობა. მე გაოცებით შევეცქერი
ამ გრანდიოზულ, თევზარდაცემ სანახაობას,
როგორც პირველყოფილი აღმავალი. ეს მართ-
ლად ფანტასტიკური ჩვენებაა, განცდა ბიბლიო-
ური ქაოსისა, თითქმის ჩქადან საოცარი სიმფო-
ნია მოასმის, უსასრულო ჯარის გეოლოგიური
კატაკლიზმებისა.

შე შევეცქერი მარადისობას, და ამ წუთში იმ
ყვავილის ფერცელს ვგეგარ, ტყეშის რტოდან
უღონო ჩხვეთ რომ მოფარებატებს ძირს.

18 აპრილი.

ქავიარა ხუტულაშვილმა მიაშმო:

მოსკოვში, ლენინთან რამდენჯერმე ვყოფილ-
ვარ ოჯახში. ყოველ ნასადილევს ის უსათუოდ
ბინებდა 15 წუთით, დაგვიბარებდა: — აბა ვინ
არის პასუხისმგებელი ამ თხუთმეტი წუთისა?
ვინ გამაღვიძებს?

ვინმეს უნდა აგვეოდ პასუხისმგებლობა, ის
მიდიოდა დასაძინებლად. თხუთმეტი წუთის შემ-
დეგ შევიდოდით მასთან ოთახში და ჩემად შე-
ვალდივდით:

— ილია!

ის იმ წუთშივე წამოდგებოდა ფეხზე. არავი-
თარი ძილის ვატყობა ან ზოზინი არა სჩვეოდა.
ერთხელ შევედი მის ვასაღვიძებლად. ტბილად
ვბინა, შემეცოდა. ხუთი წუთი კიდევ გადავაცო-
ლე დანახულ დროს, როცა გავადვილე და ვაი-
გო, რომ ოც წუთს სძინებია, საყვედური მით-
ხრა.

29. 4. 44წ.

უშანგ ჩხეიძის „გიორგი სააკაძე“ დაბეჭდით
„მნათობში“ (№ 4-5). დასასრული შემდეგ ნომე-
რში დაბეჭდება.

პრონორაიც ვაეგებავენ.

დღეს უშანგის და — თინა მოვიდა და „სუ-
ლით და გულით“ მოძღვნილი ორი შესანიშნავი
იმერტალი ჰაქაპური მომტანა აგრეთვე, უშანგის
ბარათი, ის მწერს:

„ძმარა ლევან!

ერთხელ მოვიდომე შენი ნახვა, მაგრამ საგუ-
რამოში მიდიოდი. გუშინ ჩემს დას ვაგზავნიდი
შენთან და სტუმრები მომივიდნენ, ასე რომ, ვერ
შეგვხვდი. ეხლა შენ, როდესაც მოახერხებ, ერთ
თავისუფალ საღამოს შემოიარე ცოტა ხნით, თუ
არ შეწუხდები. გუშინ შენთვის განკუთვნილი
უღუფლიად ეს ორი ჰაქაპური მაინც გადავარ-
ჩინე. მე გავიწი, შენ და თინას ვეყოფათ საუზ-
მედ ჩაისათვის. იყავი კარგად.

შენი უშანგი“

3. 10. 44.

შორაპნის მახლობელ საფულ ფუთში ძველად

ცხოვრობდა მდიდარი მემამულე ლევა ჩხეიძე
— სასტიკი და უდღირო მოხუცე, ანუ მემამულე-
ყი და ქედმაღალი აზნაური. **შეზღუდული**
ერთხელ გლეხმა მას ძღვნად ახლად დაქერი-
ლი თევზი მიართვა.

ესამოგზა ჩხეიძის ძღვენი, მაგრამ გლეხის-
თვის მადლობის თქმა არ იყავდა მაინც. ამას
ნაცვლად ბლევრით შეუტია:

— რას მიპირებ, ბიჭო, რომ მაწყინოს ამ შენ-
მა თევზმა!

იოსებ გრიშაშვილმა წიგნი მათხოვა, თან წე-
რილიც მომწერა, სადაც ასე „გამოეტრია“ თავის
წიგნს:

„ლევან!

გიტოვებ კილოვს. ისევ აქ დამიბრუნე (თავის
დის ბინაში, ლ. ა.), როცა გადაათვალიერებ ნუ
დამიგვიანებ. შეც მჭირია სამუშაოდ...

შენი სოსო.

1944 წ. 24. 10.

ერთხელ ი. გრიშაშვილს ხარფუხში სწვევია
აღ. აბაშელი. უნახავს მისი ბიბლიოთეკა (ამბო-
ბენ, 20000 ტომიო, კომპლექტები ევროპული-
სა, ამონაწერები, ამონაჭრები, შენიშვნები, წიგ-
ნებზე. კარტოთეკები და სხვა. გაკვირვებულ აბა-
შელს უთქვამს: «Да, он на службе у себя!».

გრიგოლ ორბელიანი რომ გარდაიცვალა
(1883 წ.), მის საფლავზე ილიამ და აკაკიმ სიტ-
ყვები წარმოსთქვეს.

მთელ სამღვდელთა იქ იყო, ეპისკოპოს
გრიგოლ დადიანის მეთაურობით.

როდესაც აკაკის ჯერი მოვიდა, მან სიტყვა
თერზე ასე დაიწყო:

„გარდაიცვალა გრიგოლ დადიანი!..

შეშალა, ორბელიანის ნაცვლად დადიანის
თქმა, რადგან სიტყვის დაწყების წინ შემოსულ
გრიგოლ დადიანს შეხედა.

ეპისკოპოსის საშინლად სწყენია და ჩაუბერდ-
ღუნებია: შენთანამც იყოს, შენთანამც!

გ. ლეონიძისაგან გავიწილი, 1938 წ.

10.11.44.

„ცისკარში“ (1859) დობროლუბოვის წერილ-
ბის თარგმანებს პეტერბურგიდან ახალგაზრდა
თერგდალეულები გზავნიდნენ ხელმოწერით:
„დ. მ.“, რაც ნიშნავდა „დობროლუბოვის მოტ-
რფილეს“ (ნიკო ნიკოლაძის ცნობა).

აკაკის ლექსი „საბარლო გული“, დათარიღე-
ბული 1861 წლის 17 ნოემბრით, მოძღვნილი კი-
რილე ლორთქიფანიძისადმი (რომელიც ამ
დროს, სხვა ამხანაგებთან ერთად, კრონშტადტის
სიმაგრეში იჯდა), ნიკო ნიკოლაძისავე ცნობით,
ფაქტიურად მოძღვნილია დობროლუბოვისადმი.

ლექსის თარიღიც საინტერესოა, ეს დობროლუბო-
ვის სიყვდილის თარიღია.

ანტონ ეპისკოპოსის უთქვამს დავით კასრადისა... თვის შიომღვიმის მონასტერში, როცა საქართველოს კათალიკოსი აირჩიეს, 1917 წელს): ახალგაზრდობაში შიომღვიმის მონასტერში ვიყავი ბერად. ერთხელ ბერებმა ღვინო დავლიეთ. დავითვერით, ერთმანეთს ხელი გადავხვეთ, ფერხული ჩავბით.

ერთმა წამოიწყო:

„ნეტად ერთი თეთრი გოგო“...

ღანარჩუნებმა ამაზე ბანი დაავუგუნეს:

„შავი იყოს ბევრი იყოს“...

ამ სიმღერით ვუვლიდით ფერხულს.

დ. კასრადისაგან გაგონილი, გორში.

21. 12. 44 წ.

ვასილ ბარნოვის ხსოვნის საღამოზე სიტყვა წარმოთქვა გერონტი ჭიკოძემ, მან თქვა:

სრულად ახალგაზრდა ევროპაში გავემგზავრე სწავლის მოსაღებად. ევროპაში, თავისი დიდი კულტურით, ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ეს კულტურა ჩემთვის, ქართველი კაცისათვის, უცხო და შორეული იყო. ჩემს ქართულ ბუნებასა და უცხო კულტურას შორის არსებულმა სხვაობამ ჩემს სულში ერთგვარი კრიზისი დაბადა.

დიღბანს გრძელდებოდა ეს კრიზისი, მაგრამ ბოლოს მაინც დავძლიე.

ორმა ფაქტორმა შემიწყო ხელი ამ სულიერი კრიზისის დაძლევაში.

ერთი იყო ეროვნული იდეა, ხოლო მეორე — ქართული მხატვრული ლიტერატურა:

რუსთაველი, საბა ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვჟა ფშაველა.

ევროპაში წაიკითხე ვასილ ბარნოვის მოთხრობები: „თებერას დანაშაული“ და სხვები. ბარნოვმა მართო თავისი სტილით, თემათა და ლექსიკონით კი არა, თავისი ფილოსოფიური იდეითაც ჩემზე დიდი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

15. 11. 44.

აკაკის გარდაცვალების ოცდამეათე წლისათვის აღსანიშნავ საღამოზე, სხვა პოეტებთან ერთად, გიორგი ქუჩიშვილიც გამოვიდა. მან აკაკისადმი მიძღვნილ რამდენიმე პატარა ლექსი წაიკითხა.

ხალხი თავშეკრებილი უსმენდა, მაგრამ როცა ეკანასკნელი ლექსი დაამთავრა:

ბანგთა მეფე, ისე რეკავს

ხმანარსარი შენი ქნარი,

რომ ილიაც ბანსა გვექავს,

მყინვარივით დინჯად მდგარი

და თერგივით ბოზოქარია...

მთელი დარბაზი ერთბაშად შეირხა და ხალხმა მქუხარე ტანისცემა ატეხა. გიორგი წამო-

ვიდა ტრიბუნიდან, სცენაზე უკანა რიგებში თავის ადგილზე დაჯდა და თავი ჩაღუნა.

მაგრამ ხალხი არ მოეშვა ტანისცემა. უფრო ძლიერი ზღებოდა. მაშინ გიორგიმ აღგზა დაარბევინა ხალხს თავი დაუკრა, მაღლობა შესწირა.

ამის შემდეგ ხალხი დაცბრა.

ასეა. ხშირად ნაპერწკალივით გატყორცნილი უბრალო სიტყვა, თუ ის დროულად, გულწრფელად აბის ნათქვამი, დიდ ხანძარს დაანთებს ხალხის გულში.

ფიქრები აკაკის საღამოს შემდეგ.

12. 11. 45.

მე პეტეს კიტა აბაშიძის „ეტიუდების“ ტომი, რომელსაც ამშვენებს ავტორის წარწერა:

„ჩემის სიუჟეტის მებრძოლს იასონს საბ-სოვრად იმ დროისა, როდესაც აღტაცებით ერთად ვკითხულობდით ტანჯულის მოძღვრის ნაწერებს. წარუხოცელ დაღს ამ აღტაცებისა და თავჯანსიერების ამ შეწრლისადმი. შენ ნახე აქა.“

კიტა. 1912 მარტის 16“.

აკაკი ბელიაშვილი:

— ინსტიტუტში რომ ვიყავი, გაოდენიას ანდრია ბენაშვილი (პროფესორი) გვიკითხავდა. ის მაქცრი ზედგავიდა იყო და საგნის კარგად ცოდნას მოითხოვდა.

გამოცდაზე რომ მივედი, ჩამქრა. მოვეშინადე და მეორედ მივედი. ისევ ჩამქრა. მეწყინა, მაგრამ რას გავაწყობდი. მესამედ მივედი. წერილმანებში შემეღება, ცლაე არ მოეწონა ჩემი მომზადება და მესამედ ჩამქრა.

ძალიან გავბრაზდი. მან შემატყა წყენა და მითხრა:

— სხვა ტომისა რომ უოფილიყავი, აქამდე გაგონებდი, მაგრამ რადგან ქართული ხარ, მერს ვთხოვ... ქართულმა კაცმა, ჩემმა შეგირდმა, ჩემი საგანი ჩემზე უკეთ უნდა იცოდეს... ამიტომ, გახსოვდეს, ათწერ რომ მოხვიდე გამოცდაზე, სანამ ზედმიწევნით არ გექნება საგანი შეთვისებული, ათწერე ჩაგვტრი.

რადას ეტყუოდი. ნაწყენი ვიყავი, მაგრამ ეს რომ მითხრა, გულში მაინც სიამე და სიამაყე ვიგრძენი.

ბოლოს მაინც ჩავაბარე. შესანიშნავად ვიცოდი, მაგრამ ფრიადი მაინც არ დამიწერა — უკეთესად უნდა გცოდნოდა.

საჯურამო. საუბარი კაცლის ჩერაში.

23. 7. 45.

აკაკი ბელიაშვილი:

— პროფესორ ბენაშვილისაგვარი ხასიათები იშვიათია, მით უმეტეს დასაფასებელი. ასეთი ხასიათის ყველაზე მეკუთრი წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძე იყო. თუ დამწერება

წიგნი ილიას შესახებ, ამას განსაკუთრებული ზალი უნდა გავსეს.

ილია ზამთარში მერტად სასტიკი იყო და მომთხოვნი თავისიანებისადმი.

ილიას და ივ. შანაბლის უთანხმოების ერთი მიზეზთაგანი ილიას ასეთი ხასიათი უნდა იყოს.

შანაბელი ღარიბი და შეუძლო თავდაზნაურობის ინტერესებს იცავდა, რომელთაც ბანი მამულებს უყიდიდა.

ილია კი დაუდოებელი იყო თავდაზნაურობის ასეთი ნაწილის მიმართ. ის მათ ბედოვლათებად სთვლიდა, რადგან მამულის გირაოდ მიღებულ ფულს, შეურწმობის კეთილშოვნობის ნაცვალად, ქაიფში ფლანგავდნენ. ასეთ მეგობრებს ილია უყიდიდა მამულებს და არ უფერებდა, შინაური იმენდა ბანიისაგან ამ მამულებს თუ გადამითეო.

ილიას ხასიათი მარტო მის პრაქტიკულ საქმიანობაში კი არ ჩანდა, არამედ მის ყველა ნაწერში. ოთარაანთ ქვრივი ხომ ილიას ხასიათია. ამ მხრივ განსაკუთრებით სამახსოვროა ილიას ლექსი „ჩემო კალამო“, დაწერილი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში:

ჩემზე ამბობენ, ის საივს ქართველისას
ამბობს,
ჩემს ცუდს არ. მალავს, ეგ ხომ ცხადი
სიძულვილია,
ბრავენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე
სცნობს,
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.

ილიას სიმტიცეს, მომთხოვნელობას, თავისიანებისადმი სიმკაცრეს საფუძვლად საქვეყნო საქმის ინტერესი ედო. აი ეს თვისებები ამ დიდი ადამიანის პიროვნებას ახლობელს ხდის ჩვენი დღევანდელი თაობისათვის.

ილიაზე საუბრის გაგარქლება
26. 7. 45.

ჩარგალი ვეფას ქოხი. ქვეტყობის პატარა ოთახი. ის აქ დაბადა, აქ ცხოვრობდა, აქ სწერდა თავის პოემებს.

ეუთხეში — ბუხარი.
ორი პატარა სარკმელი, რენის საწოლი, აქ ეძინა მას.

კელეზე რქა, ვეფას მოკლული ირმისა—გაბარჩენილი, მრავალტოტიანი.

ზუდ ვეფას ბოხიხი ჰეილია.

იმზე, გვარდო, კედელზე—ორი ყანწი, სალუდე ყობი.

მეორე ეუთხეში ვეფას სამეურნეო იარაღები: ბირდაბირი, ნაჯახი, ცული, ნაწავალი, კიდევ კოდო, კარქის საღლეები, სალუდე ორი ქაბი.

იატაკი მიწისა.

გარეთ პატარა ეზოა.

ის ეიწრო ხეობას ვადსკეპრის. იქ მხელით

ჩადის პატარა ჩარგულა.

გარშემო მალაო, მწვანით შემოსილი მთები. უფრო მალაო — ალბური ქარბუხეშქმეშქვალეები, ჯანლით შემოსილი, ჭეჭესს-ხახლესს ჭეჭესს ამ მთას სასოეთი ეწოდება. იქიდან ჩამოდის ლელე — ქიპსწყალი.

ჩარგლის ხეობას არაგვის მხრიდან მეორე მალაო მთა დასკეპრის, საორბეს ეძახიან აქაურები.

მალაო მთის ფერდობს შეხვეწია სოფელი ჩარგალი.

კრამიტით დახურული ქვის სახლები მწვანეში ისე მოჩანს, როგორც ყაყაოები.

ჩარგალში, ვეფას გარდაცვალების 30 წლისთავი.

12.8.45.

ვეფას ერთი ნაცნობი პყავდა თიანეთში, შამანურში.

ერთხელ, რეაქციის დროს, 1906-1907 წლებში, ეს შამანური, საქმეების გამო, ხეესტრეთში ყოფილიყო. იქიდან დაბრუნებულს ჩარგლის მახლობლად დაღამებოდა, გადაეწყვიტა ვეფასთან შეველო ღამის გასათევად.

გაღუხვევია გზიდან. ვეფას სახლის ქვემოთ, ქიპანეს რომ მიახლოვებოდა, სიბნელიდან უცერად სამი შეიარაღებული კაცი გამოსულა. თორმე ცხენი გაუჩერეს, პიოტებს, ვინა ხარ, საილად მოდიხარ, სად მიდებარ, რად მიდიხარ ვეფასთანო. მგზავრსაც უთქვამს ეინც იყო. გაუშვიათ. ესენი ფშავლები ყოფილან. თორმე ვეფას იცადნენ, რომ ქალაქიდან სტრაციელები არ ამოსულიყვნენ და არ დაეჭირათ, როგორც ხალხის ერთგული მოამაგე რევოლუციის დროს.

ვეფას ამის შესახებ არაფერი სცოდნია.

შამანური ეზოში შესულა, სარკმელში შექი დაუნახავს, შიგ შეეხედავს: ბუხრის პირას ვეფა დათვის ტყავზე მჯდარა, ცეცხლის შუჭზე უწეარია, სამუტება სკამზე დაყრდნობილს.

ილო მოსაშვილის ნაამბობი. ჩარგალში,
12.8.45.

ერთხელ ვეფამ დაიბარა თავისი სოფლის დიკეანი და უთხრა:

— პოემა „ბახტრიონის“ წერას შევედექ, მაგრამ ნათი არა მაქვს. რომ გავინათო, არც საწერი ქალადი მომზადებია. აი, სამოცდაათი კვერცხი დაეგაროვო, კიდევ ხუთი ქათამი, წაიღე ღუშეთში, გამოყიდე, აღებული ფულით ნათი, ქალადი და თამბაქო მომიტანე.

დაიკვანა ცხენი შეკაზმა, კვერცხებიანი კალათი ხერჭინში ჩადგა, ქათმებიც ამოიყრა უნაგირზე და წავიდა.

ჩარგალს შორს არ გასცილებოდა, რომ დიკეანს ცხენი დაუფრთხა. ხეში ჩაუფარდა. კვერცხები სულ ჩაიღწა, ქათმები ზოგი დაეხოცა, ზოგი გაუფრინდა...

ღარა ვეფა ვაწმილებული. ტყეში წავიდა, არ-

ყის ხის ქერქები მოიტანა, გახმო, წერღლ ჩხირებად დაჭრა, როგორც სანთლები.

მთელი ზამთარი ამ ჩხირების შუქზე წერდა... ვაჟა ღარიბი იყო. ძალიან ღარიბი. უპირდა, მაგრამ წერდა. რადგან ეწერებოდა.

გ. ლენინის ნაშრომი, როცა ჩარგლიდან ებრუნდებოდა.

12.8.45.

ვაჟას პირველი ცოლი მოუყვდა. პატარა ობლები დარჩა. ბავშვებს ძალიან ერიდებოდათ მამისა, რადგან ის შინაურებაში მკაცრი იყო.

როცა ვაჟა რამეს დასწერდა, ვინმესთვის რომ წაეკითხა, ახრი რომ გაეზიარებინა, არაფერი იყო. მაშინ ბავშვებს მოისვამდა ბუხრის წინ, მათ წაუკითხავდა.

ამ დროს პოეტი უჩვეულოდ ლმობიერი იყო. ბავშვები გრანობდნენ ამ ცვლილებას.

ვაჟა შეეკითხებოდა:

— მოგწონთ?

ისინი იყვნენ მისი პირველი მსმენელები და შემფასებლები. ბავშვებაც სიხარულით უბასუბებდნენ მამას:

— ძალიან მოგეწონს, ძალიან.

მართლა მოსწონდათ.

ვაჟა ნასიამოვნები იყო.

ვაჟას უფროსი ქალის, თამარის ნაშრომიდან. გოგლა მომთხრობს გზაზე.

12.8.45.

ვაჟამ მეორე ქალი შეირთო, თამარი; პირველი ცოლისაგან ქალ-ვაჟი ჰყავდა, თამარი და ლევანი.

თამარი წამოიზარდა, დამშვენდა, რძესა და ლენინსავეთ ჰქონდა სახე. ის მამას ჰგავდა.

დედინაცულის დაფინებით ადრე გაათხოვეს. 15 წლისა იქნებოდა. დედინაცუალმა ერთ თიანეთელ კაცს გაურიგა. ზანშესულს, მაგრამ შემოღებულს.

თამარის ქმარი შინასწავლი „ფილოსოფოსი“ იყო. უყვარდა სპონსორზე და სხვა ფილოსოფოსებზე მსჯელობა. ის ძალიან მოხეტიალე იყო... ახალგაზრდა ქალი ზედს დაემორჩილა, ქმრის ერთგული დარჩა. მსხვერპლი გახდა ტრადიციისა. ჩამოხმა, დაღწა. უდროოდ დასკვნა მისი სილამაზე.

გოგლასაგან. გზაზე.

12.8.45.

ერთხელ ვაჟას ცხენი დაუვარდა. თამარს ჩაუყვანა თიანეთში.

თამარს მამა უყვარდა, უნდოდა მისთვის ესაიამოვნებინა.

თავის ხელით უვლიდა ცხენს; შერჩეულ საყვებს აჰყვავდა; ქერით ანებებოდა.

ოთხი თვის შემდეგ ვაჟა კვლავ ესტუმრა ქალს.

თამარმა ცხენი გამოუყვანა.

ვაჟამ ვერ იცნო, ისე გასუქებულად... პირუტყვი. მან სეადანარევი სიყვარული... — აი, რას ნიშნავს პატრული!

გზაზე. გოგლასაგან. თამარის ნაშრომიდან.

უკანასკნელ წელს (1915) თბილისიდან რომ დაბრუნდა ვაჟა, მთელი დღეები იწვა, თურმე, ტახტზე. მღვმარე. თავქვეშ მუშტი ჰქონდა ამოდებული, თვალები — ქერის მიმტრებელი.

რას ფიქრობდა, რა ღარდი აწუხებდა, ვინ იცის!

იქნებ ბოლშა აწვა გულზე:

ამდენი წერა—მანც არ იყო სამშობლოში დაუასებელი ისე, როგორც ვაჟადებოდა. იმ ხანებში, პირიქით, ზშირად იწუეს მის შესახებ წერა გაზეთებში — ენასაც კი უწუნებდნენ.

ამდენი იცხოვრა, იჯადა — მანც ღარიბი იყო. ბავშვებს ვერ ასწავლა. თითონ უდროოდ მოტყუა, მოხეტიადა. ამდენი შრომის, შემოქმედებითი წვის შემდეგ რა ეპირა ხელში? არაფერი.

იქნებ ამაზე ფიქრობდა იმ საშინელ მარტოობაში, თავის ცხოვრების იმ უკანასკნელ თვეებში.

გოგლა მეუბნება. ჩარგლიდან დაბრუნება.

12.8.45.

— მე ჩემი თვალით მინახავს ვაჟას თხოვნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე. ის დახმარებას თხოულობდა—30 მანეთს. ზედ რეზოლუცია აწერია: „უარი ეთქვას“.

გოგლა.

12.8.45.

ჩარგალში, შიტინგის შემდეგ, ტყეში სადილი გაიმართა.

იჩაქლი ღუღუშაურმა ფშაური სიმღერა იმღერა. მერტად სვედიანი, გულდამწველი, როგორც შორტი, ისე სიტყვებით.

პირველი ტაქტი ამოშარდა მესსიერებიდან (ძალიან ეწუხვარ მისი დაქარგვისათვის).

მეორე ტაქტი ასე მაგონდება:

„ვაა, რა ძნელი ყოფილა გზაში დაეარდნა ცხენისა, წამოყიდება და თრევა თექალთო — უნაგერისა.“

ჩარგლის მოგონება.

14.8.45.

ძველი მარაბდა.

ძველ სოფელ მარაბდაში პატარა ეგუმბათო ეკლესია. ცხრა ძმა ზერხეულაძენი და მათი დედა მის გალავანში არიან დამარხულნი.

ესლა მიწის ზედაპირზე მხოლოდ სამი ძმის საფლავის ქვაღა მოჩანს. დანარჩენს უკვე მიწა აქვს წაფარებული. ეს გმირთა საყვანე (ჩვენად სამარცხეინოდ) უპატრიონოდ და უფურცელდებოდ არის დეკარგული. საფლავის ქვებზე ზოზიანი, იარაღსხმული ეფეკცებია ბარელიეფებად ამოკვეთილი. ერთ მათგანს მხრებთან ორი სურათი და ყანწი აქვს გამოხატული, მეორეს—სურათი დანგურის. ტყეობა, ამას სიმღერა და ღეკურა უყვარდა—ამბობს გოგლა ლეონიძე.

ძველი მარაბდის ახლო ახალშენი საფეხლია, ახალი მარაბდა ეწოდება. ამ კოლონიისტი გერმანელები სახლებელან. ახალ მარაბდის გვერდით, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმ სოფლა მათაიშვილმა მიითხარა, სამი ბორცვია. იმ ადგილს საფეხლები «ნაოზარს» ეძახიან. სოფელში არ იცის, საფეხლი აბაიენ არ იცის, თუ რატომ ეძახიან ამ ბორცვებს ნაოზარს.

ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს ეს გოგლა იმ-
ზოგს, ეს სამშო საფლავებია, სადაც მარბია მარ-
ბდის ომში დახოცილი 9 ათასი გმირი ქართლ-
ახალი დაეცა (1824 წ. ივნისი).

მარაბდის დასაქვეითი ალგეთი ჩაუღმა. იქ არის სოფელი ქოთიში. მდინარის შეყოლებით ეხედავთ საუცხოო ბაღებს, ბოსტნებს. ეს მწვენი ჭაღა საოცარ კონტრასტს ქმნის გარშემო გადახრეულ ყვითელ მღაშობებთან. ამ ბოტენ, ეს გარემოც, ისევე როგორც მარაბდ, პრაქთამეღლებს ეყუთვინოდა, მათი საგვარეულო მამულ იყო.

გოგლა შიამბოძს: ერთხელ ერთ ვილაც ბა-
ჩათაშვილს უთქვამს დავით ერისთავისთვის
(„სამშობლოს“ ავტორისათვის):

— ჩემი სოფელი ქოთიში ნამდვილი სამო-
თხეა!

— მაშ, დედაშენი რატომ იქ არ დამარხდა.
— სიცილით ვუპასუხნია დავითს.

მარაბდამი ესლა ნანგრევებია დარჩენალ
დიდი ზაღ ბარათაშვილის სასახლესა, ეს ის
მეზატონია, არსენა თქელაშვილმა რომ ქალ
მოსტაცა.

აქვეა სახლი, სადაც თვით არსენა ცხოვრობდა. სახლის წინ წყარო ამოდის. გოგლა ამბობს, არსენას სული თითქმის წყაროდ ჰქეულა, დღესაც ზაღის ემსაზრებო.

მარაბდა ბარათაშვილების მამაპაეული სამფლობელოა. ის დაცემიერებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთან. თუმცა, როგორც ჩანს, პოეტი აქ არასოდეს არ ყოფილა.

მარაბლა. 28 სექტ. 45.

მარაბდიდან წამოსვლა

მარაბდიდან რომ წამოვედით, კლამდე მან-
ქანიტ წამოგიყვანეთ ბეჭური კოღმურნეობა-
ისა და სასოფლო სამუშაო თევზჭდომარეები.
ერთი მათგანი სწელი ვაკე იყო, უშირი, ცოცხ-
ალად ეწოდებოდა, რადგანს გვიამზობდა გვიანდერ-

ბუღალტრული წარმართა ურევლა სიტყვას „წინა-
ხათ“, ბოლოს გოგლას გული მოუვიდა, შეუ-
ტია:

— რა არის, „კანკრაზათი“? „კანკრაზათი“ რამე გათქმა სულა? ჭკბთველი კაცი ხარ, ჭკბთველი ლაპარაკი არ იყო! ახლავე გადგლი მანქანა- ილანი!

ეს შეერთა, სატყეელი წიუხდა. გაჩუმდა.

এই প্রকারেই প্রচলিত আছে।

თბილისი ლამე იყო. ცა ვარსკვლავებით იყო
მოჭედილი. წითელი ნამგალი გყავდა ცაზე,
იღღუღის მზარეს. საბჭოს თავმჯდომარე მიმი-
ვიწედა, და მქონდა საოცრად მშაფრთხი განცუ-
ბისტორიისა იქნებ ასეთი იყო ის საშინელი
ლამეც, მარაბდის ბრძოლის შემდეგ, დამცხრ-
ლი მთავრე ქაბუჭებდა ამ ველზე დახოცილ
ცხრათა და სათაველ მებრძოლს!

მარაბუდის მოკლენება.

2 നൂറ്. 45 ശ.

პოეტის ხელწერა

ერთელ რედაქციაში ყოფნისას, გრიშაშვილმა მთხოვა წემი ლექსი ისე დაბეჭდოს, რომ ქვეშ „იოსებ გრიშაშვილი“ ეი არ ეწეროს, არმედ—„ი. გრიშაშვილი“.

ლეონიძემ, პირიქით, დაეინტერესა ითხოვა, არ დაგვეწერა „გ. ლეონიძე“; ჩემი სახელი „გ. კ. არ არს, გიორგია და „გიორგი ლეონიძე“ მახსენეთო.

ოპიუმის შევსრულებით თხოვნა.

გაზეთის კითხვის დროს.

8 0.34. 45.

მომცემი

ქართული სასულიერო საგლობლების შესანიშნავი მცოდნე და შემკრები ფილიპონ ჭორიძე 70-იან წლებში იტალიაში „ქორიჯის“ ფელდონიში მღეროდა.

1876 წელს მილანოში დაბადა მისი ვაჟი, შემდეგ ჩეჩისოჩი მიხეილ ქორელი.

ფილიპონ კორიძე და გარბაულდი

მიხეილ ქორეღი:

რობი თუ ხეთი წლისა ვიქნებოდი (1879-80),
ბოდბესა უბოძი სურათი ვნახე, რომლის მნიშ-
ვნელობაჲ შემდეგ ამიხსნეს უფროსებმა.
მილანო, კორსოს ქუჩა. ჩვენ, მთელი ოჯა-

ხო, ვაღმომდგარი ვართ ჩვენი ბინის მეორე სართულის აივანზე. ქუჩა საესეა ხალხით. უყინით, აღტაცებულ შეძახილებით ხალხი საღამოს უძღუნის სახალხო გიმარს გარბაღდის. ის ღია ღანდღინი ზის. აქეთ-აქით ვიღაც ქალები უხეღან.

ხალხი ყვავილებსა და თიგულებს ესწრის
სახელოვან გმირს.

ვილად მიმართავს ხალხს:

— გარიბალდის კრილოვები არ მომეშეპია,
ნუ ესვრით ყვავილებს კრილოვებზე ძეირფას
ათამიანს!

მამაჩემი აღფრთოვანებით გასცქერის იტალიის განმთავისუფლებელს. უეცრად, მძლავრი ხმით ის ყვირის:

— ევია, გარბალდი!

— ევია, გარბალდი!

მისი ძაბილი ქუხილივით გაისმის, მთელი ხალხი ჩვენყენ იყურება.

მიამბო მწერალთა კავშირის კიშკართან.

18 ოქტ. 45 წ.

გოგლას ექსპრომტი

გოგლა ლეონიძე:

ხუმრობით ექსპრომტს ეუბნება შემანქანე ქალს:

„გამარჯობა ნადია,

შენი კოცნა მწადადა

სამი წელიწადია“

მწერალთა კავშირში.

17 დეკ. 45 წ.

პოეტის აზრი საკუთარ ლექსებზე

ჩემი საუკეთესო ლექსი ჯერ არ დამიწერია. ჩემი ლექსებიდან არცერთზე არ შემოძლია ვთქვა, რომ ის სრულყოფილია და თავიდან ბოლომდე მიყვარს. სხვებს მაინც მიჩრქევია „პირველი თოელი“, ნინოწმინდის ღამე“, ყოჩაღური ღამე“, კიდევ ზოგიერთი ლექსი პოემა „სტალინის ყრობიდან“, როგორც, მაგალითად, „მამიდა ვადაბტუნეს“.

ლიტ. მუზეუმი. საუბარი ლეშელთან

18 დეკ. 1945.

გოგლა ლეონიძე:

მამა

მამაჩემი მღვდელი იყო, პატარაბუნებში მსახურობდა. ის ვაჟა-ფშაველას ამხანაგი იყო გარის სემინარიიდან; უყვარდა, ძალიან პატარის-მცემელი იყო მწერლობისა. თვითონაც ათავაზბდა კორესპონდენციებს ქართულ გაზეთებში. დედაჩემი ჩემზე ორსულად რომ ყოფილა, პოეტობებს უთქვამთ, რათ გინდათ ამდენი შვილები, მერს ლეონი გაჩენო. მამაჩემს არ უქნია, გაუშვი, ვინ იცის, იქნებ ეგ მწერალი გამოთვლიდეს.

მამაჩემს ძალიან პყვარებია ქალები. პატარაბუნებში ერთი ღამეში გლეხის ქალი შეუბულებია, ამ ქალს ქმარი სუსტი კაცი ჰყოლია. ქმარს ექვი აღჭრია, რომ მის ცოლს მამაჩემი პყვარებდა, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთი არ ჰქონია. იმ ქალს და მამაჩემს ნიშანი ჰქონიათ დათქმული; თუ ეზოში კრამიტი გულაღმა იდგა, იმას ნიშნავდა, რომ ქმარი შინ არ იყო, მისვლა შეიძლებოდა, თუ თავდაღმა ეგდო, ქმრის შინ ყოფნას მოახსენებდა.

ერთ ღამეს მღვდელი მისულა უნახავს რომ კრამიტი გულაღმა გდებულა, თამამად წასულა, საუბედუროდ, ის კრამიტი ბავშვებს ეთამაშე-

ბინათ, მერე გადაეგდოთ, გულაღმა დგებოდა-ლიყო.

თორმე შეიღო კარი და რასა ჰქვამდა? ქალი ქმართან წვეს. ქმარს მერე ჰქვამდა? რაღებოდა. წამოვარდნილიყო. მამები გაეღვიძებინა, ისე ეცემნათ მამაჩემისათვის საბრებით, რომ სულზე დაეღვათ.

ცოცხალმკვდარი მღვდელი ურემზე დაეგდოთ თითონვე, ისე გადმოეტანათ თავის ოჯახში. მერე დღეს სოფლის დედაცუკები მოსულან დედაჩემთან, ეთომ მწერებულნი, თანაგარსობისათვის.

დედაჩემი ყველაფერს მიმხვდარა, მაგრამ არ შეუმჩნევია და შეუტრევია დედაცუკებისათვის.

— ნუ სულელობთ, განა ღსაჯებებელია, მღვდელს ევითი საქმე ეკადროს;

ყველანი კარში გაუყვარა;

მამაჩემი შედარებით ახალგაზრდა, 39 წლისა მომკვდარა. ბრმა ნაწლავს მოუქლავს.

დედა

დედაჩემი, სოფიო, გულაწმინდის ქალი იყო. ახალგაზრდა დაქვრივდა. მამა რომ გარდაიცვალა, დედა ერთი თვის ორსულა დარჩა ჩემს უმცროს დაზე.

მარტოხელა ქალმა იკისრა შვილების გაზრდა, ოჯახის მოვლა. ყერა არ ვააცივია. მუშა ქალი იყო. ვენახი ჰყენს სახლს ზეთი ცილაშეტრზე იყო დაშორებული. მოქამაგირეს წაიყვანდა, წაივიდა, მთელი დღე გასხლავდა, აკვარზე მუშაობდა, თითონ აცობდა თონეში პურს. პატარაშული განთქმული იყო. „სოფიოს ბერი““. გემრიელი ცხობა იცოდა. თორწის აღმა ბოლოს თვალები გაუფუჭა. ცალი თვალი სიბერეში დაეცო.

ზუთი შვილი პყვდა: უფროსი ქალი, შემდეგ ლევანი, სიკო, მე და ბოლოს უმცროსი ქალი (ახიანის ცოლი).

ვაყვები სემინარიაში ვსწავლობდით სახელმწიფო ხარჭზე.

ობლობა.

პანსიონში ყველაფერი მზამზარეული გვექონდა, საქმელი, ტანი და ფეხი. ასე რომ, გაჭირვება, შიმშილი და ნაცლოვანება არ განგვიცდია ბავშვებს. მაგრამ ობლობას მაინც ვგრძნობდით.

ბიძები დახმარებას გიწვედნენ. პატარა ვიყავი, მაგრამ მაინც შესწირდა, რომ ეს დახმარება იყო. რაღაც დამცირებას ვგრძნობდი ამ დახმარების გამო.

ბიძა ალექსი.

მამაჩემს უმცროსი მამა პყვდა, ალექსი. მამის გარდაცვალების შემდეგ ეს ალექსი იყო ჩვენი ოჯახის მფრევე.

ალექსი ქალბნისა და კარტის მოყვარული კა-

ცი იყო. მან კარტში წაგო ჩვენი სახლი, ავტო-
ლის ქუჩაზე, პაპიჩის ავტოლო.

დღამ ერთხელ ვაზეთში წაივითხა ბანკის გა-
ნცხადება, ჩვენი სახლის საჯაროდ გაყიდვის
თაობაზე. იქვე გული შევღონდა, ძლიერ მოა-
ბრუნეს.

ბიძაჩემი პროფესიით პედაგოგი იყო. საღვთო
სწავლას ასწავლიდა სამოქალაქო სასწავლებელში.
დღესასწაულებზე მოვიდოდა ჩვეთთან სასწაე-
ლებელში, საჩუქრებს მოგვითმენდა, მერე ჩაგე-
სხამდა დილიდან და პატარაშვილს წაგიყვან-
და.

ერთხელ შედილიყნემ გააქვარა,
ალექსი წამოხტა, უბიდან საეზიტიო ბარათი
ამოაძრო, ცხვირში შეიჩეჩა:

— შენ იცი ვინა ვარ? აი, ესა ვარ, როგორ
მიხვდავ!

საეზიტიო ბარათზე კი ეწერა, ალექსი ლეო-
ნიძე საღვთო სწავლის მასწავლებელია სამოქა-
ლაქო სასწავლებელში. მეტი არაფერი.

შედილიყნეს საოცრად შეეშინდა, სულ ბო-
დიშს იხდოდა. იფიქრა, ეს ვინაა დიდი კაცი
ყოფილაო.

ალექსიმ 74 წელს იტოცხა. ბოლომდე შერ-
ჩა მიღრეკილება ქალბისადმი.

სულ ბოლო წლებში მისი სატრფო იყო ვი-
ლად ახალგაზრდა ჯანის ქალი.

ერთხელ, ძალიან რომ მოხუცდა, ვინახულე,
ლოგინში იქნა, ავად იყო, თვალები მიეღუტა.
ეპირდა, მე ვუთხარი, ჩემი დაშას ხელთ სანო-
ვგეს გამოგვგზავნი-მეთქი. დაშა მოსამსახურე
ქალი მყავდა, ახალგაზრდა, ჩამრგვალბული გო-
გო იყო.

ალექსიმ თვალი გაახილა:

— დაშას ხელთ ნუ გამომიგზავნიო, — მით-
ხრა.

— რატომ?

— A упер еѣ знает, ვინ იცის რა მოხდე-
ბაო.

მოხუცს, ავადმყოფს, კიდე ასეთი ზემორობის
თავი ჰქონდა.

კოლა ელიავა

მამიდანემი ერთ გაქაბულბელ ელიავას ჰყა-
ვდა ცოლად, კოლას ექახდნენ. ახალსოფელში
ცხოვრობდა, მარტყოფის მახლობლად.

კოლა ელიავა დადიანის მამულების მოურავი
იყო. ერთ-ერთი ჩოლოყაშვილის ქალი დადიანს
გაჰყოლოდა ცოლად, მის ნაშთზე მამულს განა-
გებლად გარეცხებთში.

როგორც მოურავს შეეფერება, ძალიან შეჭ-
ლებულ კაცი იყო კოლა ელიავა. სახან-სათესი,
ზერები, ტყეები—სულ მის ხელში იყო. შესა-
ნიშნავი სახლი ჰქონდა ახალსოფელში.

ჩვენი სოფლიდან, პატარაშვილიდან 25-30
კილომეტრით იყო დაშორებული.

ბიძაჩემს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, ბავშვო-

ბაში მოუცვდა. მერე შეიღო აღარ გასჩენია, უძე-
ოდ გადავიდა.

სანამ პატარა ვიყავი, სანამ სემიონოვში მიშა-
ბარებდნენ მამიდა-ბიძას ნშირად მიყვადით
თავიანთას.

თვეობით ეცხოვრობდი მათთან, ძალიან შე-
ჩვეული ვიყავი. იქვე სკოლაში დავდიოდი, ამა-
ნაგებზე გავიჩინე, მათ შორის ერთს შევეთვისე
განსაკუთრებით, მას სახელად არსენა ერქვა.
სულ მასთან ეთამაშობდი, ამ დროს 6-7 წლისა
თუ ვიქნებოდე.

ერთხელ, შომა რომ მოაზლოდა, ბიძაჩემმა
მითხრა, დედაშენთან უნდა გავგზავნო პატარა-
ულშიო.

დილით რომ აღგა, მითხრა, აბა ერთი ხელა
დამაბანინეო. მეც მივართვი წეალო. დავაბანინე,
კოლამ ხელი დინჯად შეამშრალა, შემდეგ ჯი-
ბეში ჩაიყო, მეტი ვერცხლის ფულები ამოიღო
და ჯიბეში ჩამიხრიალა. ოცი თმურჩიანი იყო.
ვითომ, კი არ მანქა, არამედ სამსახურის
ჯილდოდ მომცა.

მერე ცხენზე შემსვა, თან კაცი გამატანა და
გამისტუმრა დედაჩემთან.

სოფელში რომ მივედი, დედა დიდ სამზადის-
ში იყო. სამზაოდ ღორი დავაღა, ჩემი ძმებიც
იქ იყვნენ. მაგრამ ბიძაჩემის კაცი რომ გაბრუნ-
და, მე ისევ ახალსოფელში მომინდა წასვლა.
გული მწყდებოდა იქაურობაზე, რადგან უკვე
შეჩვეული ვიყავი. გული ამიჩუყდა, ტირილი
დავიწყე.

ბავშვობის მეგობარი

ახალსოფელში პატარა მეგობარი რომ მყავდა,
სახელად არსენა, შემდეგ მთელი ჩემი ცხოვრე-
ბის მანძილზე აღარ მინახავს, თითქმის ორმოცი
წლის განმავლობაში.

მიტინგის დროს მე სიტყვით მივმართე ქარ-
თველ მეომრებს. მიტინგის შემდეგ ჯარმა ტრი-
ბუნის წინ მარშით გაიარა.

ვაკვირდებოდი მეგობარსა სახეებს. ერთმა
მეგობარმა, შეიარაღებულმა გამოჰგვიმუღმა.
მამაცური იერით გაიარა.

დავაცქრდი, ნაცნობი სახე ჰქონდა.

უეცრად ჩემი პატარაობის მეგობარი წარმო-
მიდგა თვალწინ.

სწორედ ის არსენა იყო.

როცა სადგომში დავბრუნდი, ერთ ოფიცერს
ვკითხე, თქვენს დავიზიამი ასეთი მეგობარი
ხომ არა გყავთ. არსენა ესა და ეს გვარო-მეთ-
ქი.

გვყავსო, მიპასუხა.

ვთხოვე მოიყვანეთ-მეთქი. მოვიდა, სიბარე-
ლით შეხვდი, გადავკოცნე. სანამ არ წამოვედი,
არ მომშორებია.

მას შემდეგ მისი ასეველ-დასეველი ვერ გა-
ვიგე.

ერთი თვის წინათ პატარძელიდან მანქანით გზარუნდებოდი თბილისში.

ვაზიანთან ყავმა გთხოვია, წამოყვანეთო, ჩავესვი მანქანაში. ის ყავი ახალსოფლის საბჭოს თავმჯდომარე აღმოჩნდა.

გამახსენდა არსენა. კეთხე მისი ამბავი. მამა-ხუბა: ერთი თვეა, რაც დაბრუნდა, ტანმრთელი, საღ-სალამათი, კოლმეურნეობაში მუშაობსო.

ლიტ. მუხეშში. თბილ ღუმელთან.

18 დეკ. 45 წ.

„ბერშოულას“ ავტორზე

გაზეთ „კომუნისტის“ ახალწლის ნომერში დაბეჭდილია გიორგი ლეონიძის პატარა პოემა „ბერშოულა“.

ამბობენ, ავტორმა პონორარად შეიღი ათასი მანეთი მიიღოო.

მწერლები ზემოთხსენებულს სწორი იქნებოდა, რომ გოგლას თავისი პოემისათვის სათაურად „ბერშოულა“ დაერქვაო.

მწერალთა კავშირში.

9 იანვ. 46 წ.

ვერშოულა

გოგლა ლეონიძე:

— „ბერშოულას“ პონორარი ჯერაც არ მიმიღია. არც თუ ისეთი დიდია ეს პონორარი, ვინმეს გაუფიქრდეს.

მწერლები ზომ ზემოთხსენებულზე — „ბერშოულა“, პირიქით, უფრო სწორი იქნებოდა ეთქვათ ჩემზე, რომ მე „ვერშოულა“ ვარ.

თინას დღეობაზე

12 იანვ. 1946.

„სიმღერა პირველი თოვლისა“

გოგლა:

„სიმღერა პირველი თოვლისა“ — საშინელ ყინვაში დაწერე. გარეთ ზამთარი იყო, თბახში ცოცხალი, მე ვკანკალდები — ლექსს ისე ვწერდი.

ლექსს რომ დაწერე, იმ დღეს მთელი დღე ვტოტმანებ, მიხარია, ქუჩაში გამოვდივარ...

დაუფიქრარი შენობები

გოგლა:

— აი, აქ იყო სასულიერო სასწავლებელი, სადაც მე ვსწავლობდი 1907 წლიდან 1913 წლამდე (მანქანადან მანქანებზე გრძელ, ერთსართულიან სახლს საბჭოს, წინათ ჩერქეზიშვილის, უფრო წინათ კი ავქალის ქუჩაზე).

აი ეს ბაღი ჩვენი სასწავლებლისაა. იგივე ხეები. ო-ოჰჰოს არაფერი არ შეცვლილა მას შემდეგ...

ქვემო ქუჩის კუთხეში პატარა დუქანი იყო. მუდმუნეს „სახალხო გაზეთი“ პრინტო გამოქყარო, ჩამოვდიოდი, ვკითხულობდი...

როცა სასულიერო სასწავლებელი გაეთავით, პატარა ბიჭები შევიკრიბენით, აი-აქვე, სასწავ-

ლებლის მახლობლად, დუქანში ვიკრებოდით დღემდე...

სანამ ბელიაშვილთან მივადიდებოდი
25. იანვ. 46.

დედის საფლავი

შ. აფხაიძე:

— გოგლა ლეონიძეს დედა რომ მოუცვდა. პატარძელში წაყვები საფლავის ასარჩევად.

მალღობ ადგილზე შეჩერდა, მოეწონა:

— აქ ყარგი იქნება. სიო წამოტყრობებს, ბა-

ლახს ააბიბინებს საფლავზე.

შალვა აფხაიძე.

მასთან საღამოს.

26 იანვ. 46

დედის გასვენება

გოგლა:

— სოფელში დედაჩემს ძალიან პატყვსა სცემდნენ. ქალაქიდან რომ მივასვენეთ, სოფელში 5 კილომეტრზე შემოვხდნენ, თითონ წაასვენეს მისი ცხედაჩი.

შალვასთან, 26 იანვ. 46 წ.

ძღვენი

აკაცი ბელიაშვილს ამ დღეებში ერთი უცნაური ხანდზმელი ქალი ესტუმრა. ის ბიბლიოთეკის თანამშრომელი აღმოჩნდა.

— მაპატიეთ, რომ მოვედი თქვენთვის უცხო ადამიანი, — თქვა მან, — მაგრამ სხვაანაირად არ შემეძლო მოქცევა. წაეკითხე თქვენი ახალი რომანი „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალი“ და მოვედი გითხრათ უღრმესი მადლობა იმ დღი სიამოვნებისათვის, რომელიც მისმა წაკითხვამ მაგრძნობინა!

აკაცის საქციელი წაუხდა, აღელდა, არ იცოდა რა ეთქვა. ეს მისთვის უდიდესი ჭილდო იყო: უბრალო ქების სიტყვები უცნობი მკითხველისაგან. ის ქალი მალე წავიდა. მაგიდაზე პატარა ქაღალდის შეკერა დარჩა.

აკაცის ქალღმთელი დაეწია კარებთან:

— დეიდა, აი ეს დაგჩნათ!

— აი, ეგ ჩემი მცირე ძღვენია, მადლობის ნიშნად.

წავიდა.

გახსენეს: კახური ჩურჩხელები იყო.

აკაცის პატარა ნატეხი ძღვეს შევხდა იმ ჩურჩხელებიდან. არც ძალიან მატანებია.

აღელვებული ფანჯარასთან იდგა, ქუჩას გასცქეროდა.

უცნობი ქალი აღარ ჩანდა. ის ზალში გაეცურა, თვალს მოეფარა.

ცოლის ნამშობი.

29. 1. 46.

ვალერიან გაფრინდაშვილზე
გიორგი ლეონიძე:
ფორმის პოეტი იყო. ის უფრო აკეთებდა
ლექსებს, ვიდრე მღეროდა. გულის სტიქი-
რად არ მოდიოდა მისი ლექსები.

ნაზი, თავზიანი, მორიდებული კაცი იყო,
მაგრამ საოცრად ეკვიანი. მუშინოდა მასთან
ლაპარაკისა. თვითმუცელ სიტყვას უნდა დაე-
ფრევებოდა, არაფერი სწყენოდა.

ბერის მუშაობდა, უყვარდა შრომა. ჩვენ,
მის ამხანაგებს არ გვავდა, ხშირად ვაღაბმუ-
ლად რომ გვეფიქვებოდა რამდენიმე დღის გან-
მავლობაში. სიცოცხლეს ვწევდით, პუსარები-
ვით ვიყავით, ვალერიან კი... ხშირად სუფრი-
დან ამდგარა, მივერტოვებოდათ ამხანაგები,
რომ შინ წასულიყო, ლექსზე ემუშავა ან
წვეითხა რამე.

ერთ საღამოსაც ასე გვიქნა, მიგვართვა და
წაიდა ქუჩიდან. ჩაუჭდა მუშაობას.

მუშაობის მთავარეზი მივადექით მის
სახლს (ვერის კბენთან ცხოვრობდა). დავუწი-
ყეთ ძახილი, უყრილო, დაიწვა. აი, შე მოხე-
ლევ, შე საცოდვეო მოხელევ. — შევსახო-
დით თანჯარაში. დიდხანს ხმას არ გვცემდა.
მერე, რომ არ მოვეშვიოთ, გამოვიდა, გვეჩვენა.
როგორც იქნა, დავესაუბრეთ.

ერთხელ (მგონი 1925 წ.) ჟურნალ „დრო-
შაში“ დასაბუქდად მოგვითხრა ახალი ლექსი
„საფირონი და კორდელია“. გვითხრა, „ოფე-
ლიების“ ციკლი მეუფთა, ესა კორდელიებზე
უნდა დავწერო ლექსების წყება.

ერთხელ შევხვეყეთ. ნუ იხამ, ვალერიან,
დაანთე თავი ოფელიებსაც და კორდელიებსაც
ყო (გვინდოდა, როგორმე დაეხსნა თავი ლი-
ტერატურული სახეებისა და პერსონაჟების
ტყუებობიდან).

მგონი იქონია გავლენა ჩვენმა მუდარამ. ვა-
ლერიანს აღარ შეუქმნია „კორდელიების“
ციკლი, მსგავსად „ოფელიებისა“.

ვალერიანის ლექსებიდან უველაზე უფრო
მომწონს: „ღამის ფოთლები“, „ძალის სიმ-
ღერა“, „როინი“, „ისეთი ლექსი“ დავწერო
მინდა“ და კიდევ რამდენიმე სხვა.

10 თებ. 46 წ.

ვარჯიშობა ლექსის წერაში

კოლაუ ნადირაძე

— ქუთაისში ყოფნის დროს (16-19 წლები),
როცა ახალგაზრდა პოეტები ვიყავით, ხშირად
ეკრიტიკებოდათ ვალერიან გაფრინდაშვილი, მე,
და კიდევ რამდენიმე სხვა პოეტი.

მასხოვს, ჩემთან მოვიდოდნენ, შემოვსხ-
დებოდათ მრავალ მაგიდას და დავიწყებით
ვარჯიშს ლექსის წერაში. ერთმანეთს მივცემ-
დით ხოლმე მოულოდნელ თემას, აგრეთვე.

ვერცხლით, თუ რა ფორმით უნდა დავწერა
ლექსი (სონეტი, ტრიოლეტი ან სხვა).

როგორც მოსწავლეები კლასში, ისე შევედ-
გებოდით მუშაობას. როცა გვათმავდნენ წე-
რას, ერთმანეთს წვეითხოვდით, გავწე-
რებდით, გავუკრიტიკებდით ლექსებს. ასე ვი-
წავებოდით. ეს იყო ჩვენი „პოეზიის აკადე-
მია“.

საუბარი მწერალთა კავშირში.

13 თებერვალი, 46 წ.

ვალ. გაფრინდაშვილის ადრეული უცნობი
ლექსი:
მინიატურა

ვით შენი ნაბიჯი, დღე იყო პატარა,
ჩემს ახლო შენ ეტლმა ნელა გაგატარა,
შენ თეთრი ქოშები ჩაგაცვა, ცხოვრო,
ლამაზო, კვადრუო, ნუთუ ლომოხერობ?
თეთრ ქოშებს ვესროლე ყვავილი წითელი,
შენ, ვარდო, ქოშებით ნუთუ გაითელი?

დაქვეყნებული, 1915 წ.

ვალერიანის არქივის გარჩევა.

13 თებ., 46 წ.

ვალ. გაფრინდაშვილის ჩანაწერი:

„იმ აღმართში — რომელშიც პოეტური
სტიქია მთავარი არ არის — არ არის პოეტი“.

შემდეგ:

„ილია უმჯველი პოეტი. წიწმუფი. წიწმუ-
რი ისმის, როგორც ბართლომეს ღამე, როგორც
сражение на Марне“, როგორც ასარგაღონ
და კიდევ უფრო სასტიკად“.

არქივის გარჩევა

13 თებ. 46 წ.

კრიტიკოსის ვალი

ვ. გაფრინდაშვილი:

„კარგი კრიტიკოსი მოქანდაკეა ვით ხელახლა
შექმნის მწერალს და მის იდეალურ სახეს და-
ნახევებს მკითხველს.“

ვ. გ-ლის ჩანაწერიდან.

14 თებ. 46 წ.

კათეზი

ერთხელ რუსთაველის კათეზი ვიყავით. გ. რ.
ჰადრას ეთამაშებოდა გიორი საგანელს.

მეორე მაგიდაზე ჩვენ ვისხედით: ვალერიან
გაფრინდაშვილი, გოგლა ლეონიძე, ტიციან ტა-
ბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები.

ვალერიანი და გოგლა წალაპარაკდნენ რა-
დოს გამო. ძალიან გაჟჟავდა მათი შედეგები.
ვალერიანმა ხელი ჰკრა გოგლას. ჩვენ ჩავერი-
ეთ, გაიანელებით. სამიწელი უხერხულობა ჩამო-
ვარდა.

პაოლომ მოინდომა ამ უხერხულობის გაფან-
ტეა. „მერიგების ნიშნად უნდა ვიქვიფოთ! ვისა
გაქვთ ფული, მასესხეთ“. არავის აღმოაჩნდა.

საგანელს მუდამ ცარიელი ჰქონდა ჯიბე. ესლა
კი მოკრძალებით მიმართა პაოლოს:

— თუ რამეს გიშველით, მე მაქვს 100 მანეთი.

— მომეცი! — უთხრა პაოლომ. გამოართვა.

— ოც წუთს მომიცადეთ, მოეალ, ბევრ ფულს მოვიტან. თქვა პაოლომ და უცებ გარეთ გავიდა. საღ წაიღია, ვერ გავიგეთ.

წადრავის თამაში გაგრძელდა.

ნახევარი საათის შემდეგ კახეთ კარი გაიღო და პაოლო მოცინარის სახით შემოვიდა. მან უბიდან მთელი დანა ამოიღო ასიგანაცეებისა.

— იცით საღ ვიყავი? — კახინაში. აჰ, რამდენი მოვიგე იმ ასი მანეთით. ესაა კი წაიღეთ, მეგობრებო, ეცახშმოთ!

ჩვენ ყველანი წავედით.

დღემდე ვიჭიდებთ. შერიგების პური გრძელ ნადიმად ვაღიჭცა.

ჩაქდენ გვეტაძე.

4. 3. 46.

ნიკო ლორთქიფანიძე

ნოემბერს, 1935 ეწეს, შევხვდი ნიკო ლორთქიფანიძეს. ჭურჭში რამდენიმე მწერალთან იდგა, მასლაათობდა. დამიძახეს, ვილაპარაკეთ. საუბარი წინაღობით მწერალთა სახლში „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კითხვა-გარჩევას შეეხო.

ნიკომ თქვა, სამ მთარგმნელს შორის, რომელთაც წარმოადგინეს თავიანთი თარგმანის ნიმუშები (ა. ყანჭელი, გ. ცაგარელი, პ. პეტრენკო) ყველაზე კარგი შთაბეჭდილება ჩემზე პეტრენკომ მოახდინა.

— ოღონდ ერთი რამ უნდა აღინიშნოს, — თქვა მან, — პეტრენკოს თარგმანს ეტყობა, რომ მთარგმნელი ძალიან აჩვენა* სტილის გარკვეულ მოკაზმულობას. ეს იმდენად შესამჩნევია მშენებლისათვის, რომ ხელსაყრელ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს*.

(ძველი ჩანაწერიდან)

3. 4. 46.

ლადო გუდიაშვილი

გერონტი ჭიქოძე:

დიდი ოსტატი ირეალური სამყაროს ისე გადმოგვიცაშ თავის ტილოებზე, თითქმის წამდვით და რეალური იყოს, და გვაჩვენებს კიდევ ამაში, ბოლო დროს საოცრად გააცოცხლა თავისი ფერები. საუცხოო კოლორისტიკა.

გუდიაშვილი და დავით კაკაბაძე, აი ორი ნამდვილი ოსტატი ქართულ მხატვართა შორის, რომელნიც აცალკებით უკეთ გადმოგვიცემენ თანამედროვე ადამიანის მსოფლმხედრებას და აზროვნებას, ეიდრე ზოგიერთი მხატვარი, საგანგებოდ თანამედროვე თემებზე რომ მუშაობს.

ლადო გუდიაშვილი, ყოველივეს გარდა, დაუშრეტელი ფანტაზიის პატრონია. მას დიდი გრძელწელი ნიჭი აქვს*...

საუბარი რედაქციაში.

3. 4. 46.

აქაი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში ი. იმედაშვილი:

მეცნიერული

„თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში რამდენიმე ვებუცხადელი აქაის ნაწერებს, როცა კი რამეს მომართულებდა დიდი მგოსანი:

ერთხელ, ზელმოკლეობის გამო, პონოჩარის მიცემა ველარ მოვახერხე. გადაწყვიტე თავი შემიკაეებინა მისი ნაწერების ბეჭედისაგან. ვფიქრობდი, სხვაგან დაბეჭდვას და პონოჩარს მაინც მისცემენ-მეთქი, სწორედ იმ ხანებში აქაი მობრძანდა რედაქციაში.

— რატომ აღარაფერს ბეჭდე ჩემსას, იქნებ არ მოგეწონა? — მკითხა მან ღიმილით.

— აბა, რას ბრძანებთ, ჩემო პატრონო, — ვუპასუხე შეწუხებულმა, — თქვენს თხზულებას წინს როგორ დავდებ, მაგრამ ასე და ასეა ჩვენი საქმე-მეთქი და გავუტყდი, თუ რა იყო მიზეზი მისი ნაწერების დაბეჭდულობისა.

აქაის გაეცინა და მითხრა:

— აბა, ფულისთვის ნუ შეწუხდები. შენ იმიტომ გააჩევე ნაწერებს, რომ შენს ქურნალს ხალხი ძალიან ეტანება და მინდა ხალხმა აკითხოოს. პონოჩარისთვის ნუ მომერიდები, არაფერი მინდა შენგანო.

ეს ფაქტი ძალიან დამახასიათებელია და ამათილებს ზოგიერთის შეხედულებას, თითქმის აქაის ფული უყვართა და უპონოჩაროდ არაფერს ბეჭდავდა.

მასხოცს, ერთხელ მობრძანდა რედაქციაში და მითხრა: ფული შემომავლდა და ერთი სამი მანეთი მიმოვცეო.

შეიწუხდი, ვიბეში გროში არ გამაჩნდა, მაგრამ არაფერი შევიმჩინე და აქაის მოვახსენე, ესალეე მოგართმევ-მეთქი. რედაქციიდან გარეთ გამოვყარდი ფულის საშოვნელად, თან გულზე ვფიქრობდი: აი, აქაიმ პირდაპირ არ მთხოვა პონოჩარი, მაგრამ სესხის სახით კი მაინც გადაწყვიტა რედაქციისაგან ფულის აღება თავისი ნაწერებისათვის*.

როგორც იქნა, სამი მანეთი ვისესხე და საჩქაროდ მივართვი აქაის.

მოდლოდა მითხრა და წავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მესტუმრა, ვეცე აღეჭი ახლდა თან. ვიბიდან სამი მანეთი ამოიღო, გამომიწოდა: აბა, შენი ვალიო, უკაცრავად, რომ დაგიგვიანეო.

არ ვარბმევედი, მაგრამ ძალიან შემაჩინა ხელში.

მითხრა, ესლა მთაწმინდაზე მივდივართ და წამოდი ჩვენთანო. ეტლში ჩავსხდით და წავედით.

გულში გადაწყვიტედი მქონდა, აქაისათვის მყარე პატივი მეცა — ეტლის ფული მე გადამეხადა. მაგრამ მთაწმინდაზე რომ ავედით და ეტლის ვასტუმრება მოვინდომე, აქაიმ კატეგო-

ჩიული ტონით მიმართა — შენ ჩემი დაბატონებული ხარ და ერტის ფული არ გადისაღო. თვითონ გაისტუმრა.

არა, აკაკი სრულიად არ იყო ფულის მოყვარული. ძალიან მხარჯველი კი იყო. ამდენი ხარჯის გამო მუდამ აკლდა ფული და მუდამ მის ძეგნაში იყო.

ერთხელ ვთხოვე, ბატონო აკაკი, ჩემი ყურნალი სათვალავო ირგანო და კარგი იქნებოდა რაიმე თქვენი დრამატული ნაწარმოები დამეხვეჭა-მეთქი.

კარგო, შემშობდა. რამდენიმე დღემ გაწელი, აკაკი მომხატმანდა რედაქციაში და მომიტანა თავისი პარიზში დაწერილი ოთხმოცმედიანი სცენები „რეპეტიკა“, რაც ჩემი დაიბეჭდა კიდევ ყურნაღმ.

საუბარი ი. იმედაშვილთან.

22 ოქტ., 38 წ.

პოეტ პაოლო იაშვილის ნაშრომი:

— 1906 წელს ქუთაისის გიმნაზიაში მოწაფეებმა „პატარა კახი“ დაედგით. წარმოდგენას აკაკი დაესწრო.

მე პატარა კახის როლს ვასრულებდი. მაშინ 12 წლისა ვიქნებოდი.

აკაკის ისე მოეწონა ჩემი თამაში, რომ წარმოდგენის გათავების შემდეგ სცენიდან ზელში ამიყვანა და თქვა: ბაბუა ამისი ძალიან ნიჭიერი იყო, მამაც ჰყვინთ კაცია, მაგრამ ეს ბავშვი ორივეს აჯობებს.

ბ. იაშვილმა მამამ 1937 წლის 3 ივნისს, ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ მწერალთა პლენუმის სხდომის შემდეგ.

აკაკი და ბროწეული

(პოეტ ბ. იაშვილის ნაშრომი:)

— ესეც 1906 წელს იყო. მე და ჩემი ამხანაგი, მოსწავლე სერგიოვა თითბერიძე ქუთაისის სასაფრეო ვიყავით. ვიდაკას ვაცილებდით დღის მატარებელზე. მე ზელში ორი დიდი ბროწეული მეჭირა.

ამ დროს დარბაზის ქარი გაიღო და შემოვდა დიდებული მოხუცე — აკაკი. თან თავისი მოურავი კოტე აბდუშელიშვილი ახლდა.

ბავშვები ცნობისმოყვარეობით შევაჩერდით მსტოვან მგოსანს.

დასტდენ. დასვენეს.

კოტე აბდუშელიშვილმა თვალი მოგვყარა. მე ზელში ბროწეულები დამინახა და დანახებით თქვა:

— რაც მე დღეს ბროწეული ვეჭებე საყაღდად, მარა ვერ ვიშვავ!

მე და ჩემი ამხანაგმა მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ: შორაპნამდე გავუოლოდით მატარებელს და იმ ვაგონში შევეულოყავით, სადაც აკაკი იქნებოდა. ჩემი მისთვის ახლოს გვეცქირა გაგვეგონა მისი საუბარი.

ორივეს სამი მანეთი ამოგვანდა ჯიბეში.

რაც საფუძვით საყმაო იყო ბილეთისათვის, რაც წასასვლელად და უკან დასაბრუნებლად.

წადიო შევისრულეთ. სწორედ იმ წუთში მოთავსდით, სადაც აკაკი იმყოფებოდა და კოტე აბდუშელიშვილის გარდა, ერთი ბავშვიანი ახალგაზრდა მანდილოსანიც იჯდა. სანდომიანი ქალი იყო.

ჩემი ბროწეულები შესვლისთანავე ვეძლენი მოხუც მგოსანს. მან მაღლი მომხსენა. გამოშარტე, ერთი მათგანი ჯიბეშია დიდო. დიდი ბროწეული იყო, შარვლის ჯიბე გამოებერა.

ბავშვი ტირიდა. როგორც იქნა, ქალმა დააბინა იგი. აკაკის, ეტყობოდა, მოეწონა ქალი, რამდენჯერმე სცადა მასთან ლაპარაკი, მაგრამ ქალი მორიდებით და უხალისოდ უპასუხებდა, არ იქნა, საუბარი ვერ გაიბა მათ შორის.

ასე მივდივით შორაპანში. აქ სხვა მატარებელში უნდა გადამქდარიყო აკაკი.

ვაგონიდან რომ გადიოდა, მომიბრუნდა და მიითხრა:

— ძღვენისთვის დიდი მადლობელი ვარ, მარა, უნდა ვითხრა კი, შენმა ბროწეულმა გლახა საქმე დამმართა: ამ ლამაზ ქალს აღმათ თიჯარინი ვუგონე (გამოებერილ ჯიბეზე დაიხედა) და ახლოს არ წამიყარა!

1937 წ. 3. 6. ჩაწერილი.

აკაკი ბანჭოს თამაშის დროს

პოეტ ბ. იაშვილის ნაშრომი:

1912 (თუ 1913) წელს აკაკი ვნახე ქუთაისის კლდეში. მაკაოს თამაშობდა.

მისი პარტნიორები იყვნენ: დავით მიქელაძე (ყურნალისტი, ფსევდ. „მეველე“) და დავით ჭემაძე (კომერსანტი) და ნაზაროვი (ცნობილი ეპიკოსი მამა).

აკაკიმ, ჩვეულებისამებრ, უკანასკნელი გროშიც კი წაგო და უკვე უფულოდ იჭერდა ზელს დავით ჭემაძემ მოკრძალებული, მაგრამ კარგი გორიული ტონით მიმართა:

— ბატონო აკაკი, თქვენ სულსაც არ დაგვიკავედით, მაგრამ აქ კარტის თამაშია და უფულოდ ვერ მოგვცით კარტს!

— ჰო, ჰო, ჭემაძეები წინათ ჩემი ყმები იყვნენ და ახლა ამასაც მოვესწარი, ხუთმანეთიან ზელს არ შენდობანი! — აკაკიმ სცადა ზემოთაში გაეტარებინა ჭემაძის სიტყვები.

მაგრამ ვაჭარი მაინც უარზე იდგა, კარტს არ აძლევდა.

აკაკიმ ზელი გადაუფათურა გვერდით, მიქელაძის წინ დაჭეხებულ ქაღალდისა და ოქროს ფულადის გროვას.

— შენ თავს გეფიცები, აკაკი, წაგებული ვარ, — შეწუხებული სახით წაფარა ზელი თავის ფულებს მიქელაძემ.

აკაკიმ გაწილებული სახით თვალი მიმოავლო მაგიდის გარშემო მდგომ მაყურებლებს და, მე მომეჩვენა, თითქმის აკაკი ფულს თხოულობდა ერთი ზელის დასაყავებლად.

გიბეში ოქროს ზეთმანეთიანი შეგდო. მე აკა-
ის ზურგს უკან ვაგზნდი და შეუმჩნევლად გა-
დავუვლე მაგიდაზე ფული.

აკაის არც კი უჩიოთავეს, ვისი იყო, ხელი
დაიკაა და ყველაასათვის მოელოდნენ, მო-
იგო.

მის შემდეგ კარგა ხანს გავრძელდა თამაში.
აკაიმ მოიგო. როცა აღდგნენ, მან დაითვალა მო-
გება. რვათუშანხაგარი აქვდა.

აკაის უცებ გაახსენდა, რომ ეს მოგება იმ
უცნობისაგან გადმოვადებული ზეთმანეთიანის
წყალობით იყო. აიღო ერთი ოქრო, მადლა ასწია
და იკითხა:

— ეისი იყო, უმაწილებო, ეს ზეთმანეთი-
ანი?

მე შემრცხვა და მივეფარე, აკაის მოახსენეს:
— ჩიბო იაშვილის ვაჟმა მოგართათ!

აკაიმ მიმოიხედა. მეჭებდა. მე კარში გავედი,
რომ არ დავენახე.

როცა ნახა, აღარ ვიყავი, აკაიმ-თერმე ოქრო
მუკაში ჩააბრუნა და ხუმრობით თქვა:

— უბ, შამშისი მდიდარი კაცია, მე სხვისი მე-
გონა!

1937 წ. 3. 6. ჩაწერილი.

„ჭონია თუ ჭონია“

ერთხელ გიორგი წერეთელს აკაისთვის უთ-
ქვამს, ასო პავს ხმარება სრულიად ზედმეტია
ქართულში.

აკაის პასუხის ნაცლად შეუწინაშეს:

— გიორგის ტვინი ჭონია!

და უცებ ნათელი გამხდარა, რომ „ჭონია“ კი
არა, ჭონია უნდა ითქვას.

აკაე ბელიაშვილი

30. 5. 46.

„სამანაშვილის დედინაცვლის“ გამო
ლუო ჭიარელი:

დღით კლდიაშვილის ნაწერებში „სამანაშვი-
ლის დედინაცვალი“ საუკეთესოდ მიმჩნია. ეს
მოთხრობა, ჩემი ფიქრით. მსოფლიო ლიტერა-
ტურის ერთი შედევრათგანია.

საუბარი ცეკაში თათბირის წინ.

25 აპრ. 46. წ.

ნატო გაბუნიას ხანუმა

მბ. ჭიარელი:

— ასეო ცავარელმა „ხანუმა“ ზომარშეს, გო-
ლდონის, ლოპე-დე-ვეგას და სხვა ღასაღეთ-
ევროპული კომედიოგრაფების გავლენით დაწე-
რა. პავსა მან თავის მეუღლეს ნატო გაბუნიას
მიუძღვნა, რადგან სწორედ მისთვის იყო გამოი-
წული მთავარი როლი.

ხანუმას საზე ეტლა ყალბად არის გაგებული.
ეს მავანკალი არც მახინჯი იყო და არც კოჭლი,
როგორც ეს ოპერა „ქეთო და კოტეს“ დადგმე-
ლებს ჰგონიათ.

ამ როლს ყველაზე უკეთესად ქართულ სცე-
ნაზე ნატო გაბუნიას ასრულებდა. ეს მსახიობი

უსათუოდ გენიალური ნიჭით იყო დაჯილდოე-
ბული.

მინახავს მისი თამაში „ხანუმაში“. ერასოდეს
დამაიწყდებდა მისი დიდგონი, შავი თვალმა,
ეშხიანი სახე, საამო ხმა. თავის ხანუმაში ნატო
გაბუნიას აერთებდა ელემენტებს ფიგაროს, სკა-
პენის, ფალსტაფის ხასიათებიდან. მისი ხანუმა
სიცოცხლოთ სავსე, ცხოვრების მოტრფილად
აღმართი იყო.

მან იცოდა საკუთარი თავის ღირსება და ფსი-
ახალგაზრდა: არ იყო, მაგრამ არც იმდენად ვა-
ხლად „ოხუტყუბული“, რომ ქალური მიზიდუ-
ლობა და ეშხი დაჰკარგოდა. შემთხვევა რომ მი-
სცემოდა, გათხოვდებოდა. აქი ეტნება კიდეც
მას აკოფა მერე მოქმედებაში: „ვიღა დაგრი-
შვილთ? რაც შენ გონებები დასაღე... ისე შენ
თუ შეგირთამ, თორემ სხვა ელა დაგრიან?“

ხანუმა მზიარული ქალია, მას უყვარს მზიარი-
სიტყვა, ოხუნჯობა. მისი გუქიკალი არავინ რჩე-
ბა, ამ ქვეყნის ძლიერთაგან მოკიდებული, უბრა-
ლო მოკედებით დამთავრებული.

„გინდა პატრიარქსაც შეერთო ცოლიო! —
ეუბნება ის კოტეს სიცილით, — შენმა გაზდამ,
ხუთს ასეთს ღენჯრალს შევრთე ცოლები, რომ
თითო ოთხმოცდაათგარემტო წლისა იყო, ერთ
კვირაზე იმათი ქეღებიცა ეკამე. ცოლიანი კაცე-
ბისათვის შემირთვევინებია ცოლები! ოთხი
მღვდელი გამიკეცივნებია“ და სხვა. ხანუმა: არც
თავის თავს ინდობდა, მას საკუთარი თავიც გა-
ხუმრებული ჰყავდა.

მასხივს ერთი სცენა. ნატო გაბუნიას-ხანუმა
შეა სცენაზე ზის ფეხმორთხებით და ფონებს
თავის ოინებს: „ეე! რას ამბობთ, ერთი წისქი-
ლი არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ
სხვა რა არ გადამხდინა? ერთი პიანიცა პოლკო-
ვნიკი იყო, თავის ცოლს მეფვარედ გაეყილდა;
ამხედ აკაიო ერთი კვირა, უსმელ-უქმელ
ერთ ორმოში დამამწყვდევს, მაგრამ როგორც
იყო თავი დავაღწიე. ერთ უშვილო კნენიას ჰა-
ლად შეილი ვაყოლიე: ლოგინში ტყვილად ჩა-
ვაწიყე და სხვისი ახლად დაბადებული ლოფ-
ლოფი-ბავშვი შევუგორე... დღესაც არავინ იცის,
იმისია თუ სხვისია!“

ნატო-ხანუმა ჩამოთვლიდა თავის ოინაზო-
ბის ამბებს. ის ჯერ ნელა იწყებდა სიცილს, შე-
მდეგ უმატებდა, ბოლოს გულიანად, ხმაოდ
იციწოდა. და მისი სიცილი ისეთი წრფელი, მზია-
რული და გადამღები იყო, რომ მთელი დარბაზი
ძალაუფებურად ასყევბოდა ზოლმე. ხალხი იწყე-
ბდა სიცილს და ბოლოს ხარხარებდა მასთან
ერთად...

ეს უბადლო ტალანტი იყო ქვეშაობი მშვე-
ნება ქართული სცენისა!...

კინოსტუდიაში. საუბარი გენეციაში
წასვლის წინ.

20. 8. 46. წ.

ზ. ფალიაშვილი და ვანო სარაჯიშვილი

ზაქარია ფალიაშვილმა თავის „დაისში“ რომანს „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“ ვანო სარაჯიშვილის თხოვნით შეიტანა არიად.

ამბოხენ, ვანო ამ არიას მღეროდა სიკვდილის ქაშის, ეს პანგი დაეცემა მის გასუბნულ ზაგებსო.
5. 8. 46

ბესო ქლენტი:

— ერთხელ თბილისში მაიაკოვსკი ჩამოვიდა, რამდენიმე ამხანაგი მაიაკოვსკისთან ერთად ჩავედით ერთ სარდაფში.

მიკიტანმა სუფრა ვაგვიწყო, მოიტანა ჭურჭელი, საუზმე. ჩვენ ოთხნი ვიყავით, მან კი შეცდომით ხუთი ჭიქა დაგვიდგა წინ.

მაიაკოვსკიმ მოიხმო მიკიტანი და ქართულად უთხრა: „— ამხანაგო, ან ერთი კაცი მოიტანე, ან ერთი ჩიქა ცეიდე“.

21. 9.

ნიკ. ბარათაშვილის იაქიტე

სამთავისის ტაძარში გოგლა ლეონიძემ ყურადღება მიმაქცევინა ეპიტაფიაზე, რომელიც წარწერილი ჰქონდა იატაკში ჩატანებულ საფლავის ქვას. და აგრეთვე მის ახლო სვეტზე აკრულ შარშარილოს ფიცარს:

„დღისტიტელნი სტატსკი სოვეტნიკი იაკინთე დიმიტრის ძე აღექსევე-შესხივეი.
1805-1878“.

(შემდეგ იგივე წარწერა რუსულად)

ვინ იყო ეს იაკინთე?

— ვანა არ გახსოვს? — მეუბნება, გოგლა — ბარათაშვილი ახსენებს მაგ იაკინთეს ბიძისადმი გაგზავნილ წერაღში.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მე ვნახულობ იმ წერილს. ნ. ბარათაშვილს თუვისი ბიძის, ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ ბარათს ასეთ შინაწერს უყუთებს:

„იაქიტემ ამ წიგნის წერაში ასე მითხრა: ჩემ მაგიერ მოეთხოვა მისწერო და ასე შეუთვალე. რომ ცალკე წიგნისათვის არა მკაღიან, ბევრი საჭმევბი მაქვსო. აქ არის სასამართლოში, სოვეტნიკის თანამდებობაში დროებით დანიშნული“ (წერალი 1844 წლისა).

იაკინთე იყო ზაქარია ორბელიანის მეუღლის, ქეთევანის ძმა.

სამთავისი — თბილისი

3. 10. 45.

ბ. ჩიქოვანის მშობლიური ოჯახი

ს. ჩიქოვანი:

— ლიტერატურის სიყვარულს ჩემს ოჯახს უნდა ეუფალოდეს: მამას და ბებიას. მამა უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ დიდი მოყვარული მწერლობისა.

ბებიაშე შესანიშნავად იცოდა ძველი ქართული წიგნები: რუსთაველი, გუგუშვილი, ბერიძე, ბერიძე იცოდა ხოლმე ს. გუგუშვილის „თქმულების“ ადგილებს.

მატარებელში.

30. 1. 47.

ს. ჩიქოვანი:

— მამაჩემმა უკანასკნელი ქონება — ხის ოდა გაყიდა და თვითონ ოჯახით სამზად ქოხში შევიდა საცხოვრებლად, რომ იმ ფულთი ქუთათის რეალურ სასწავლებელში შეეყვანე.

ის ოცნებობდა, სამთო ინჟინერი გამოცხელიყო.

მამა ხეობარი იყო, ცალი თეხი გამხდარი ჰქონდა, ყვავარცხნით დადიოდა. ღამაზე ვაკაცი იყო. საუცხოო სანახავი გახლდათ, ცხენზე რომ იჯდა.

ძალიან უყვარდა ნარდის თამაში.

ამაშა. 31. 1. 47.

სამი მსხვერპლად შეწირული ქალი

ს. ჩიქოვანი

მე რომ დაებადებულვარ, დედაჩემი სამადლის შემდეგ გარდაცვლილა, მშობიარობას გადაჰყოლია.

მე ძიძისთვის მიუბარებიათ აბლობლენს, ჩემი ძიძა, ჩიტაიას ქალი, ახალგაზრდა, ღამაზე დედაკაცი ყოფილა. ის სოფელ ტყვიარში ცხოვრობდა, იქ, სადაც მე-14 საუფრის ეკლესია იდგა.

ორი წლისა რომ გავმხდარვარ, ძიძას მოუყვანივარ მამაჩემთან, სოფელ ნეისაკოვოში. მე აღარ ვცოდნებოდი თურმე ძიძას, ეტეროდ, ამიტომ ის იძულებული გამხდარა სიღამოში მოეცადა, სანამ დაშვიძნებოდა. დაბინდებისას ის გამოთხოვებია ჩვენებს და გასდგომია თავისი სოფლის გზას. გზად მას ტყვიარის ეკლესიის გვერდით უნდა გაეცლო. იქ უზარმაზარი ქადრები შრიადებდა.

ბნელდებოდა. მარტოცა იყო. სასაფლაოზე მღუმეარება სუფევდა. უეცრად ქალს რაღაც მოეჩვენა თურმე. თავხარი დაეცა. თითქმის უღონოდ მიადწია სახლს. ლოგინად ჩაეარდა.

ხუთი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

მთელი თვის განმავლობაში თურმე ივიანე ეიდები და ტირილით მოეხმობოდი ჩემს ძიძას...

შემდეგ ბებია მხრდოდა.

ერთხელ, როცა ცხრა წლისა ვიქნებოდი, ჩემთვის მავარი სიტყვ მოუცია. ბებიას შემინებია, ბავშვი არ შემომავედესო. ღამით ანდვარა, ურეში შეუბამს, აბაშას წასვლა და ექიმი მოუყვანია განთიადის ხანს.

იმ ფუსფუსში გაიკეცებოდა. მეორე დღეს მე ფეხზე წამოემდგარვარ, მაგრამ ბებია ჩაწოლილა და რამდენიმე დღის შემდეგ სულაც ამოსვლიდა...

ამგვარად, სამი სიცოცხლე შეეწირავს ჩემს ბავშვობას.

საატერპროში ღამის საუბრებიდან.

აბაშა. 1. 2. 47.

ს. ჩიქოვანი გ. ლეონიძე:

— გიორგი ლეონიძე იმ იბლიანის პოეტების რიცხვს ეკუთვნის, რომლებშიც გარეგანი ელემენტები ბედნიერად შეერთებულა კემშირით პოეტურ ტალანტთან.

ჩემს შემოქმედებს ეს გარეგანი ელემენტები არა აქვს.

გოგლას სადღეგრძელო. ვახშვალ ლადო გუდიაშვილთან.

13. 2. 47.

ისევ გოგლა ლეონიძე

სიმ. ჩიქოვანი:

— ლეონიძე შესანიშნავი პოეტი. გახსოვს მისი „ყუჩაღის პაემანი“? მომიტანეთ ლეონიძის წიგნი! (მოუტანეს). აი რა საუცხოოა ეს ლექსი (მიკითხავს), ან კიდევ „ყუჩაღური ღამე“! აბა უფრო დავუგდე! (უფრო მეტის პათოსით მიკითხავს), დიდებული არ არის?—

ნუ ვამინათებ, ნურც ვამჩაღებ,

ირმის ნახტომებს ევმარტოებო;

შავს ყურღანებში სპანავთ ყუჩაღებს,

თაქვეშ უგიათ თექალთებო!...

არა, ლეონიძე კემშირით, ნამდვილი პოეტია! შეერა ჩამდენი ასეთი კარგი ლექსი აქვს! ბევრი!

სამონთან. 16. 2. 47.

ობელისეი წიწამურის გზაზე

გიორგი ლეონიძე, შალვა ღაღაიანი და მე ვორში გავეშავრეთ, მცხეთას რომ გავუდიოთ, მანქანიდან, არაგვს ვალმა, მწვანე ტყის ფონზე ილიას თეთრი ობელისეი გამოჩნდა. შორიდან ის გავეკირვებინს ნიშანს წაავას. წიწამურის გზაზე იმ ადგილას აღმართულა, სადაც დაეცა შეზღუდვით მოხუცი, და კარგია, რომ ეს ძველი გავეკირვების ნიშანს წაავას. ის კარვად გამოხატავს ჩვენი თაობის განცდას იმ საოცარი ამბის მოგონების დროს.

24. 4. 47.

ექვთიმე თაყაიშვილი

15. 5. 47 დაღესწარის ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენებას უნივერსიტეტში, თემაზე: „რუსეთში ნახელი და შეკრებილი ცნობები საქართველოს სიძველეთა შესახებ“.

სცენაზე მაგიდასთან ღრმა მოხუცი იდგა, ამბობენ ის ეხლა 85 წლისააო. და მე ვფიქრობდი, ალბათ, აი ასეთები იყვნენ. ჩვენი კულტურისა და მწიგნობრობის შემქმნელი დიდი მოხუცები: ექვთიმე ათონელი, იოანე, გიორგი, მთაწმინდელნი, ეფრემ მცირე...

მან ჯერ შესავალი გაუკეთა. თავის მოხსენებას—

ნებას—თქვა, რომ 26 წლის წინათ იმდენი იყო წასულიყო საქართველოდან (ჩვენ გავიგეთ კარგად: რომ მცველად წაქცეულა მენ-შევიცების მიერ წოდებულ ქართველ-საბჭო-რით საგანძურს). ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი ტანჯვა განიცადა რუსო ცის ქვეშ და მარად მონატრული იყო შობილური მიწის. ამ ხნის განმავლობაში მას რამდენჯერმე პქონია მიცემული წინადადება და ნებართვა სამშობლოში დაბრუნებისა. მაგრამ არ ისურვა, რადგან მაშინ არ ზერხდებოდა იმ საგანძურის წამოღება, რომლის მცველად და მხრუნველად იყო გამგზავრებული.

მხოლოდ ესლა, მას ბედნიერება მიეცა იმ საგანძურთან ერთად დაბრუნებულყო შობილურ ქვეყანაში. აუხდა ორნახევარი ათეული წლის მანძილზე ნანატრი ოცნება. და ესლა მისი გრძნობა და განცდები მას შეუძლოა გამოხატოს მხოლოდ აკაკის დიდებული სიტყვებით:

ცა-ფირუზ ხმელეთ-ზერმუხტო,

ნემო სამშობლო მხარეო!

შენი ვარ, შენთვის მოვევლები,

შენზედვე მგლოვარეო...

ექვთიმე მთრთოლვარე ხმით კითხულობს ლექსს თავიდან ბოლომდე. მთელი დარბაზი, სენთქეანული, სამარისებურ სიჩქემში უსწრაფესად იღებენ ცხვირსახოცებს, იწმენდენ ცრემლებს. მამაკაცები, წარბშეკრულნი, არ იმჩნევენ გრძნობათა ღელვას... და როცა მოხუცი ათავეებს:

„ღედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:

შენს მიწას მიმბაძრეო,

ცა-ფირუზ ხმელეთ ზერმუხტო,

სულის ჩამდგმელო მხარეო!“

მთელი დარბაზი მქუხარე ტანით მჭარავს უკანასკნელ სიტყვებს...

შემდეგ მოხუცს სთხოვენ დაჯდეს. ის ქდება. მის ახლო დგამენ ხმის გამაღიანებელს. ის იწყებს თავის მოხსენებას.

ბევრი, რომ ქართულ სიძველეთაგან შეხვედრია მას რუსეთში, ზოგი ზატი, ზოგი ზელნაშჩიკი, ნაქარგი ქსოვილი... ისინი კერძო პატრონების ხელში ყოფილა, მათ ეს ნივთები ამერიკელებისთვის მიუყიდიათ, ზოგი სხვა უცხოელებისათვის... შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ნივთები, ისინი დაკარგულა. მაგრამ ექვთიმეს უმეტეს მათგანის ფოტოები გადართულია და ეხლა, მოხსენების დროს, გვიჩვენებს მათ გამომშვენებული ფარნის საშუალებით.

ერთი ხელნაწერი, რომელიც ყოფილა ენძელ კვიპროსიდან, სადაც ოდესღაც ძველ ქართველებს მონასტერი პქონიათ. საჭიროა, — ამბობს ექვთიმე, — მოიძებნოს ეხლა ამ ენძელზე ეს ძველი ქართული ნამონასტრული,

რომელსაც წინათ ღალატის მოწოდებებს უწოდებდნენ. შეუძლებელია იქ დარჩენილი არ იყოს ძველი ქართული მანუსკრიპტები...

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

შალვა დადიანის „პუბლიკი“.

შალვა:

— მე მუდამ ეცდილობდი ჩემს ნაწერებში ნაკლებად მეხმარა აბსტრაქციები. „გიორგი რუს-ში“ მე გამოვიყენე სიტყვა პუბლიკი, რაც ნიშნავს პრესტიჟს. ეს სიტყვა რომანისათვის ისტორიული სურნელების მისაცემად ვიხმარე. არქაული სიტყვების სიუხვე ვნებს მხატვრულ ნაწარმოებს. მაგრამ ისტორიული ნაწარმოების მთლად გათანამედროვეობაც არ ვარგა. აქ ზომასაც აქვს მნიშვნელობა, რაც ნიჭის საკმეა.

ახალგ. მწერალთა კონფერენციაზე

18. 5. 47.

ნიკო ლორთქიფანიძის ჩვეულება

მერაბი (შვილი):

— ნიკო დადიანს მუშაობდა ზოლში თავის ნაწარმოებებზე, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ხანდაზმით, ზოგჯერ წლობითაც.

დიდ ნაწარმოებებზე მუშაობის დროს ასეთი რამ სჩვეოდა ხშირად: გაბმულად არ წერდა, ერთი ეპიზოდის შემდეგ მომდევნო ეპიზოდს კი არ მიუყვალდა, სრულიად დაშორებულის ეპიზოდის წერას შეუდგებოდა, შემდეგ კვლავ ინტერვალს გაეკეთებდა, ახლა სხვას დაწერდა, ხანდაზმან ბოლო ეპიზოდსაც დაამზადებდა.

ამის შემდეგ მიუბრუნდებოდა თავიდან და შეუდგებოდა „ხარვეზების“ ამოცნებას.

ასეთ მდგომარეობაში დარჩა ნიკოს, მაგალითად, „ქედუხრელი“ და „დავით აღმაშენებელი“. მან იქ ვერ მოასწრო ხარვეზების ამოცნება.

ასე დაუმთავრებელი სახით გამოქვეყნდა ორივე, ნიკოს გარდაცვალების შემდეგ.

ნიკოს სადღეგრძელო

18. 5. 47.

არღონი ბერიძე

ქართული ლექსის მიუხედავად საზოგადოებრივი

ლექსის საზოგადოებრივი ჰერმეტიკობა, რომელიც მე-19 საუკუნის ხელში მოხვედრამდე უბრალო საგანი და ფასი ამეტიყვეულებისად ედებოდა. გაიხსნა — ვინ როგორ აახშიანებს, მაგალითად, ვიოლინოს. მას ბევრი ხელი შეუხებია დღემდე და ბევრისავე შეეხება მომავალში, მაგრამ პაგანი-ნებს საუკუნეები შობს.

ასევეა ლექსწილობის ბედიც. არცერთ მერს არასოდეს არა ჰქონია თავისთავადი მნიშვნელობა. პოეტისათვის იგი თვითმზიანი კი არა, საშუალებაა. ოცმარცვლის ფისტიკური წყობა (5//5//5//5) ჩვენს მწერლობაში, როგორც დადსტრუქტურია, ჯერ კიდევ 1.300 წლის წინათ ელავს¹. თითხმეტმარცვლი (5//4//5) მთლიანი ლექსის საზომად ბესიკმა აქცია², ოღონდ არც ერთი, არც მეორე საზომით გენი-ალური ლექსი ბარათაშვილის დაბადებამდე არ დაწერილა. ეს ორი თანაზომიერი მერტული აღნაგობა სისწაულებრივი სიმშვენიერით „მე-რანში“ გამოვლინდა პირველად.

ყოველ საკრავს შეუძლია (რასაკვირველია, ნაწილობრივ) სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების სმითა გამოცემა. ასევე: თითოეულ სალექსო მერტშიც მიმალულია მრავალნაირი რიტმული ნიუანსი. რაიანს შეუძლია კიდევ და-გვანაღვლიანოს და კიდევ აღგვრტაცოს. ლოგა-

1 იგულისხმება „პროკოპის მარტილობაში“ გაუღებელი კომეროსისეული ტეპი. იხილეთ პ. ინგოროვას „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“, 1938, გვ. 52.

2 „ბესიკური“ თითხმეტმარცვლიანი სტრიქონები ალაგ-ალაგ მოჩანს ძველქართულ სასულიერო პოეზიაში. მაგალითი: შეუწერელი, უხილავი, მიუწოდებელი (მიჭაღლ მოდრეკილის კრებულები, მისივე გალობა „სიბრძნეშან ღმრთისმან“, გვ. 7).

ედური ათმარცვლით (5//5) გამოჭრწილი „სილაგვარდ ანუ ვარდი სილაში“, გალაკტიონ ტაბიძის ეს ულამაზესი პოეტური ქმნილება, რადიანობად გვასველიანებს, გვაბრუნებს, გვთვნიანს. ზოლო გიორგი ლუნიძის „უიგზალის პაემანი“, იმავე სალექსო წყობით ჩამოქნელი, სისხლს გვიჩქროლებს, ნაცარმიუცრავი სიყვარულის ზღაღ-ნადგვრდლებს გვაფრის. და მაინც, ამა თუ იმ საზომს ლექსისას, ისევე როგორც ცალკეულ საკრავს, თავისი ფუნქცია, თავისი ადგილი, თავისი „მე“ მოეძეება.

საყრატოა ბმების ერთობლიობა ორკესტრულ პოლიფონიას გვაძლევს. ერთმანეთისაგან განსხვავებული საზომებით, მათი მერტული და რიტმული ვარიანტებით განსაზღვრებული თხზულებანი, პოეტის წიგნში დასტამბულნი, მრავალბმინაობას ქადაგებენ. ეიმეორებ: სულ სხვა (და სწორედ ეს არის მთავარი) — ვინ რანაირ სულს შთაბრავს იზომეტრულ (ანუ თანაზომიერ) და ჰეტერომეტრულ (ანუ არათანაზომიერ) საზომებს და როგორი ხილვებით აფლერებს.

ამიტომაც კეთილი, უაღრესად კეთილი ნაყოფის მომცემია ყოველი თეორიული ნაშრომის გამოჩენა, თუკი ქეშმარიტად სამეცნიერო სიღრმით განათდება ჟერაც ნაწლებად შესწავლილი მხარეები ქართული პოეტისა, ერძოდ, ჩვენი საუკუნის სალექსო საზომთა უბანი.

აკაკი ხინთიბიძის „პოეტური ზელოვნების საკითხები“ (1961) სასარგებლო წიგნთა რიცხვში შედის. სალიტერატურო კრიტიკამ ავტორს კვლევა-ძიებანი მოუწონა და ნაშრომის ჩრდილოვან მხარეებზეც ჩამოუგდო სიტყვა. ჩემი მიზანია მხოლოდ „თანამედროვე ლექსის საზომების“ განხილვა (გვ. 58-123). ეს ნარკვევი დალდასმულია ბევრი ხარვეზით, რომლებიც დღემდე სააშვარაოზე არ გამოუტანიათ ქართ-

ველ ლექსმოდებებს. მეკლესიას ბოლომდე ვერ დაუნახავს ჩვენი დროის ქართული ევრსი-დოკაციის წილში მომხდარი ფერადი ცვლილება. ხელიდან გასხლტომია მრავალი საზომი, ან სა-ზომთა დამოუკიდებელი სახეობანი. თითოეული ამ პეტრით შექმნილი სტროფი, როგორც ქვე-მოთ დაინახავთ, გამთლიანებულია აზრობრივი-მნიშვნელობითი ერთიანობით, წარმოქმნის მა-ნერით, პოეტური პეტრეების რიტმული ერთეულებით, პუნქტების კანონზომიერი მონა-ცვლელობით, რითმით. ამ სალექსო ფორმების გამოყენებულად თანამედროვე ქართული ლექსწილის ნებსა ღარბდება და ძალიანაც ღარბდება. შიგადაშვებ თვალში საცემია მეკლესი-ვარის უზუსტობანი და აშკარა შეცდომები.

იზომეტრული წყობა

1. გამოტოვებულია მეათეი თანაზომიერი პროფილის მქონე ექვსმარცვლადი (5/1):

ალბა მწვერვალსა ხრის,
ნაზი ტანითი სწორს,
მთიდან ნაივი ჰქრის
შორს, უბოლოოდ შორს.

გალაკტიონის ლექსი „ვისმენ დანატრულ ხმას“, საიდანაც მომავლეს საილესტრაციო ნიმუ-ში, მთლიანად ამ წყობით არის გამოწრთობი-ლი. პოეტი ლოგადურ მებლს უმატებს ერთ-მარცვლიან სიტყვას და ეატურ რითმებს მეი-თხველი ისე აღიქვამს, როგორც შესიკალური ნაწარმოების მსმენელი სტაკატოს.

სერგი გორგაძე, რომელიც თავგამოდებით ცდილობდა ქართული ლექსი როგორმე ბერ-ძნული პეტრიქისათვის მიესადაგებინა, დამო-წყებულ საზომს ხან „ორმარცვალკეცილ ლო-გადურ-დაქტილურ დიმეტრს“ უწოდებდა, ხან სტროფის ორტეპელებს ხელოვნურად აერთი-ანებდა და ისეთი ხერხით მიღებულ „წყობას“ „ლოგადურ-დაქტილურ ოთხმარცვალკეცილ ტეტრაიმეტრს“ ეძახდა, ხანაც „დაქტილურ დიმეტრად“ ნათლავდა და უცნაური ცეზურით ასე უღმრთოდ ლეწავდა ლექსის მშვენიერ მუსიკას:

ალბა მწვერვალსა ხრის,
ნაზი ტანითი სწორს...

პოეტის ხელწერა კი გარკვეულად გვიჩვენებს,

1 ყველა მაგალითში პეტრის ზოგადი სქემაა ნაჩვენები. აქვე: ტერმინები — „იზომეტრული“ და „პეტრომეტრული“ ქართულ პოეტიკაში პროფ. აკაკი გაწერელიძემ შემოიღო.

2 ს. გორგაძე, ქართული ლექსი, 1930, გვ. 57.

3 იქვე, გვ. 70.

4 იქვე, გვ. 42.

ჩვენს წინაშე ჯვარედინი რითმებით შექმნილ-ბული ექვსმარცვლადი (5/1) და აქი თვისსე-ბური წყობით, სხვათაშორის [ქვემოთ] მსგავსად განსხვავდება ავ. ხინთიბაძის [ქვემოთ] მსგავსად განსხვავდება (3/3), ქორეულ-პეონურ (2/4) პეონურ-ქორეულ (4/2) ექვსმარცვლიან საზომებისაგან. სხვათაშორის მიზეზი ლექსის რიტ-მული მაჩვენებლის თვისობრივი შეცვლაა.

2. მეკლესიას ზურგი შეუძევია ცხრამ-არცვლიანი საზომების ორი სახეობისათვის:

ა) ლოგადურ-პეონური წყობა (5/4). საილეს-ტრაციოდ — გალაკტიონის „ღელერს აღმართი“:

ახალთა მერანთ ჩანს ნაეარდი,
მარჯამეილის ძვრის აღმართი!

ბ) ქორეულ-პეონური წყობა ვაერსი რითმის დამოღობით (4/4/1). რომერტ ბერსი „ჯონ ანდერსონ“, თამარ ერისთავის თარგმანით:

ის იერი შევიცვალა დრომ,
თოვლის ფთილას დაგიმსგავსა თმა,
მეგრამ ტბილად დამიბერდი, ჯონ,
ჩემო ტბილი, ჩემო სულის თქმე!

3. თერთმეტმარცვლიანი საზომის საინტერესო სახეობა მოგვანოდა მუხრან მაჭავარიანმა:

კარიბჭე მოღლივდა გალაგანის,
მცხეთაში შემოვიდა ქარაენი.
(„ეპიტრაფი“)

პოეტი ორსავე სტრიქონს დაქტილური ტერ-მით იწყებს, მიგრით აღევნებს ორ პეონს და, ანრივად, „მუხამაზურთი პოეზიის“ ტრადიცი-ული იერსახე მოვლოდნელი ელფერიით იც-ვლება (3//4/4). ეს სტრიქონი, ეფიქრობ, უნდა შეენიშნა ავტორს. მას თვალთ აერიდებია ერთი თეთიწყოფადი ვარიანტისთვისაც (3/3//3/2):

შორსაა ძველი და შორსაა მცხეთა...
შემოვრჩით მე და შენ მღუმარე ველთა.
(ა. [?] მე... — ექვი, მებორნეც“).

4. ახლა ყური დავედგოთ მეკლესიას: „თორ-მეტმარცვლიანი საზომი ქართულ სასულისერო პოეზიაში იამბიკოს სახელით იყო ცნობილი და ორი არათანაბარი ნაწილისაგან შედგებოდა (5/7). შემდეგ მან თავისი სახე დაკარგა და ორ ექვს-ექვსმარცვლიან მუხლად ან სამ ოთხმოთხ-მარცვლიან ტერფად ჩამოყარებდა. ამ სახით არის იგი დღეს ცნობილი და გავრცელებული ჩვენში. ამრიგად, თორმეტმარცვლიან ლექსს ცეზურა ორ ან სამ თანაბარ ნაწილად ჰყოფს და შეცვლილი ვარიაციები მხოლოდ ცეზურის შიგნით არის დასაშვები“. და ნათქვამის გასა-შექვლად მომარჯვებულია მაგალითები:

ა) წმინდა დაქტილური სტრიქონი:

მოდან გუგუნით, მრისხანე ხმებია.

(ა. მირცხელაია, „ღენინი ჩვენს საქმეებში“).

- ბ) წმინდა პეტრე სტრიქონი:
შემოსახა: ცისკიდურზე ჭირწილა.
(ა. აბაშელი, „მზე ამოღის“).
- დ) ქორეულ-პეტონური სტრიქონი:
მოდი გაბეზრე ყველას სამუდამოდ.
(ა. მირცხულავა, „პატარას“).

მაგრამ საკითხავია, განა ტაგებში ტერფთა ასეთი განაწილება XX საუკუნის ქართულ პოეტთა დამახასიათებელია? განა ასეთი რიტმული ვარიაციები საიდუმლო იყო სატყლისთ პოეზიისათვის? გადავიხედოთ შორეულ წარსულში და ავამტყველოთ ჰიმნოგრაფები:

ა) ივანე მინჩი, იამბიკი „საღმრთო მან ნისლ-მან“, წმინდა დამტილური ტაგები (მიქაელ მოდარეკილის კრებული, გვ. 447):

მეორე მიზეზი ყოველთა მიზეზთა.

ბ) იოვანე მტბევარი, იამბიკი „გალობა სულიერი“, წმინდა პეტონური ტაგები (მიქაელ მოდარეკილის კრებული, გვ. 57):

საიდუმლო საწინელი, რომელიც...

გ) იოვანე მტბევარი, იამბიკი „სამსახეობა“, ქორეულ-პეტონური ტაგები (მიქაელ მოდარეკილის კრებული, გვ. 59):

ქმობან ანგელოზნი — მწვემნი იხარებდით!
და არანაქლებ საინტერესოა ერთი დეტალი: ორი არათანაბარზომიერი ნაწილისაგან შედგენილი იამბიკური საზომი (5/7), რომელმაც ეთიომდა „თავისი სახე დაკარგა“, წარმოიდგინეთ... დღესაც ცოცხლობს! გავიხსენოთ, მაგალითად, ვიორგი ნაფეტვარიძის „ორი გაზაფხული“: ღამე ღებოდა, როგორც ოჯახში ჭაფი, თლდნენ გლეხები ცეცხლთან ნაჭების ტარებს,

და, ქაშეშივით, ქარის აგდებულ ყავრის ფარღალადან იცქირებოდა მთვარე.
ეს ზუსტად ის მეტრია, რომლითაც 1.000 წლის წინათ მიქაელ მოდარეკილის კრებულის 423-ე გვერდზე იწერებოდა მიქაელისავე მოკრძალებული იამბიკოს ტაგები:

განუზომელმან მოწყალებამან შენმან
და უაღრესმან სიტკბოვებამან, ქრისტე,
ადგრა, სახიერ, დაბადებულთა შენთა
წყალობისათჳს. იშვე ქორცითა ენებად...

დააკვირდით შესადარებელი მაგალითების მეტრს.

ასე რომ, იამბიკური საზომის სახეობა — სახელდობრ, ბოლოქორეული ლოგაედური თორმეტმარცვლი (5/7) — არსებობას განაგრძობს.

5. „ჩვენ ვერ შევხვდით ცამეტმარცვლიან საზომში ტერფთა სხვაგვარ განაწილებას, რაც შეინიშნებოდა აღორძინების ხანის პოეტთა შემოქმედებაში“, — წერს მკვლევარი. იგი კვლავ

ეს საგანს კარგად რომ დაჰკვირვებოდა, „წინა-ხედებოდა“, მაგალითად, მერმან ლებანიძის ამ ტაგებებს (5/5/3):

გარდაიქმნება დედა-ბუნება მამაგლეჯად,
აღორძინდება წყალი, მიწა და პერი,
ლხინს ვერ მოიშლის, ჩიფთებს ჩაიცვამს
სოფელი —

მესტიის ნაცვლად კარდაკარ ივლის
შაირი.

(„მესტიის სიყვდილი“).

დამოწმებული სტროფი გამართულია სწორედ ისეთი ცამეტმარცვლიანი საზომით, რაც „შეინიშნებოდა აღორძინების ხანის პოეტთა შემოქმედებაში“, კერძოდ, „ქლილა და დამანას“ საბასეულ თარგმანში: მრავალთა გამო მოგებად თქმთა იარაო!...

შემდეგ, იმ ცამეტმარცვლიანი საზომის კიდევ ერთი სახეობა — ვაფერითმინი ქორეულ-პეტონური წყობა: 4/4/4/1. „თანამედროვე ლექსის საზომებში“ ვერც მას უპოვნია ადგილი: ზღვისფერი გაქვს თვალები და თავთა
ქვევარ ზღვას,

თუ არ შეგებრალბები და მისთხოვდები
სტვას...

კონსტანტინე გამსახურდიას ეს ლექსი, რომელსაც მოხუცი ლაზი მღერის „დიდოსტატის მარჯვენაში“, თავიდან ბოლომდე ამ მგლოვით არის გახმანებული. ტაგების ბოლოს მოქცეული ერთმარცვლიანი სიტყვა უმპეოდ აღმურავლია ტერფის ფუნქციით.

უთუოდ ხელშესახება აწიარი ვარიანტი: უკერის, რაც უნდა თქვას — ღიმილით
იცილებენ, —

ვერ მიხვდა: ღიმილი ქართულის
რუსულად...

(„უშეინი თბილისში“).

დამტილურ-პეტონური წყობა — მეზრან მაქვარიანის ლექსში ცალკეული ტაგებისა და ორტაგებების საბით მოცემული — ჯეშალ ინჯიამ მთლიანი ლექსის საზომ ერთეულად გამოიყენა („სირბილი უთოვლო ზამთარში“).

6. თორმეტმარცვლიანი საზომის დახასიათებისას დავიწყებულია ლოგაედური ვარიანტი (5/2/5/2). გალაკტიონ ტაბიძე, „მერის თვალებით“:

ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე,
დახურულია გული, როგორც საკანი რამე.

7. საკირველია, როგორ გამოეპარა მკვლევარს ბოლოქორეული ლოგაედური თორმეტმარცვლი (5/3/5/2). ლადო ასათიანი, „მანანა ორბელიანის სურათზე“:

შენ, შოსანო, შეთვალავ, შეე სამარეში
გმინავს,

ვერ კარგად არც კი გამოხარა ჩემი პატარა ცირა.

მკითხველს შეეახსენებ: ოტა და უ (ბრჭვუ) მარცვალთა სათვალავში არ შედიან.

1) შტრ. ა. ვაწერელია, ქართული ლექსი, 1955, გვ. 196.

8. გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე“ დასახელებულია 16-მარცვლიანი საზომის ერთ-ერთ მაგალითად, ეს ლაქსუთია. „მთაწმინდის მთვარე“ 14-მარცვლიანია. აკ. ხინთიბიძეს, აღმათ, „შე და ღამის“ თქმა უნდა...

მკვლევარის დაკვირვებით, 16-მარცვლიანმა საზომმა „ოთხსტრიქონიანი სტრაფეში ე.წ. კატრენის რითმები (AAAA) ორჭერადმა მოსაზღვრე რითმებმა შეცვალა (AABB)“. ნათქვამი სრულყოფას საჭიროებს: არსებობს აგრეთვე მაღალი და დაბალი წაირების ასეთი საჭიროებები, სადაც ტაქტები გადამხდულია წყაროდინ-კიბური რითმებით (გ. ტაბიძე, „ამოვდივარ“), ან წყაროდინი რითმებით (მ. მაჭავარიანი, „აფეთქებულან ნუშები“). მარტო ამ ნიშნების მეშვეობითაც ისინი, ვფიქრობ, დამოუკიდებელ საზომებად უნდა მივიჩნიოთ.

9. თანამედროვე ლექსი თერამეტმარცვლიან საზომს არ იცნობსო, კატეგორიულად აცხადებს ავტორი. შეცდომაა. იცნობს. გაეხსენოთ, მაგალითად, სიმონ ჩიქოვანის ფურტურისტული ლექსი „ქარბორი“:

ფაფარი ფუნჯიბი, ფაფარი ფარდული,
ორველი ცხენების,
გაფრინდი, მერანო, მერგილი ნაგზაურს,
ცაო და მორიო...

რა თქმა უნდა, ამ პქარების იღვურ, ესთეტიკურ, მხატვრულსა და შემეცნებათს ღირებულეზებ ლაპარაკი წყლის ნაყვან ან კედელზე ცერცვის შეფრა ექნებოდა, მაგრამ, გნებავთ თუ არა, ციტირებული მაგალითი დაქტოლური თერამეტმარცვლიანი ლექსია.

პეტერომეტრული წყობა

რა მეითოს იშველიებს მკვლევარი არათანაბარზომიერ წყობათა კლასიფიკაციისას? საბოლოოსტრუქტურა მოაქვს ოთხსტრიქონიანი სტრაფი, რომლის პირველი ნახევარი მეორე ნახევრის იდენტურია და აგრეთვე ერთმანეთის გვერდით მდგომი ორი არათანაბარზომიერი სტრიქონი, ლექსის საზომ ერთეულად გაზომვის რეალურ საშუალებას რომ იძლევა. ასეთი წყობის კომპინაციები 55-ს სცილდებაო.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ქვეყნობით სპეციალურ ლიტერატურაშიც, საერთოდ, და აკ. ხინთიბიძის ნარკვევშიც, კერძოდ, აღუწეს-ხებია პეტერომეტრულ ფორმათა ბევრი სახეობა, რომელთა რაოდენობაც გაკილებით მეტია, ვიდრე მკვლევარი ვარაუდობს. აქედან ზოგი უკვე ჰყავლია მილანია ლექსის საზომად, ზოგიც სპორადულად ელავს.

შევედრები წარმოვადგინო დღემდე ჩრდილში მოქცეულ ამ საზომთა ფორმები:

1. ოთხმარცვლიდი შედმარცვლედთან, 4 და 4/3. შოთა ნიშნინიძე, „არა, არა“:

გაფეთე, გაფეთე, გაფეთე,
გაფეთე, გაფეთე, გაფეთე,
გაფეთე, გაფეთე, გაფეთე,
გაფეთე, გაფეთე, გაფეთე.

„მუხამზაზური“ ყადის ორი სტრიქონი ცეზურით გაყოფილია ორ უთანაბრო ნაწილად (4 და 4+3), გამოკვეთილია ოთხსტრიქონიანი სტრაფი, ტაქტები დაკვეთიებულია გვარდინი რითმებით. ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა სრულყოფილიანი საზომი. ნარკვევში კი ამის თაობაზე არაფერია თქმული.

სიტყვა არ არის დამრული ქვემოთ ჩამოთვლილ საზომებზე:

2. ოთხმარცვლიდი რვაშარცვლედთან, 4 და 4/4. ვალაკტიონი, „მღვრე ქარი“:

თოვლის მხარე,
ნისლიანი შთა და ბარი.

3. ხუთმარცვლიდი რვაშარცვლედთან, 4/1 და 4/4. მუზრან ლეზინიძე, „ნეტა სულ არ მეხილ“:

ვკოცნი, ვკოცნი ჩხებს,
ზვარს მივყვები აღმართიანს,
საქართველოს ღერს
შენი ჩხებიც ახატია.

4. ინტერვალთომიანი ხუთმარცვლიდი ცხარმარცვლედთან, 5 და 4/5. ვალაკტიონი, „ზღვაზე“:

ზღვა იშმუნება,
როდესაც ეწერ შე ამ სტრიქონებს,
თითქო რაღაცა
აგონდება და ვერ იგონებს.

5. ავტორს ხუთმარცვლიდი ათმარცვლედთან 5 და 5/5. გამოწავლისის სახით შეხვედრია გ. ტაბიძის „ცხარას თერამეტში“:

მასსოვს ნეინი...
იქ მარტოობა და სინანული.

„გამონავლისის სახით“ გასაგებია კერძოდ, ბუნდოვანია საერთოდ, და რადგანაც მკვლევარის მისანი იყო თანამედროვე ლექსის საზომების დადგენა მარტო ვალაკტიონის შემოქმედებაში კი არა, საზოგადოდ დღევანდელ ქართულ პოეზიაში, ამიტომ კვლევა უნდა გაიდრავებინა და, ამრიგად, თავისი სათქმელიც განეგრცო. თორემ იქნებ ანგარიში ჩასათვლედი არ იყოს იგივე წყობა, რომელზეც დაფუძნებულია, მაგალითად, ტერენტი გრანელის ერთი უსათაურო ლექსი? აი ისიც:

არა მყავს ტოლი,
ახლა დამეა, წავალ გავიღო
და როგორც თოვლი,
დგას მაგიდაზე თეთრი ყვავილი.

6. ექსპარცელედი ზუთმარცელედთან, 3/3 და 5. აეტრა გეთაეზობს სტრიქონებს ი. გრიშაშვილის ლექსიდან:

მიყვარდა, მის გარდა
არვის ვეტრფოდი.
(„მიყვარდა“.)

საიდან სადაო?!

მაგრამ საქმე ის არის, რომ მეკლევარი დაბე-
ჯილებით ცდილობს დამტყიცოს, თითქმის ქა-
რთულ ლექსი სამმარცელედთან ტაეებს არ იცნო-
ბდეს და, იტყობა, ამ საბაბით ასწორებს გრი-
შაშვილისეულ გრაფიკას.

იზომეტრულ წყობაში სამმარცელედიან ტაეში,
როგორც საზოგადოებრივი ლექსისა, მართლაც,
ფიქვიაა. რაც შეეხება პეტრომეტრიკაში და-
მოთქმულ სტრიქონად დაქტილის გამოყენე-
ბას, ფაქტია და თვალს ნუ დავხუტავთ. „მიყვარ-
და“ პოეტის ყველა გამოცემაში დაბეჭდილია
ასე:

მიყვარდა,
მის გარდა
არვის ვეტრფოდი.
გრძნობდა ის,
რომ მისთვის
ვიტანებოდი.

პოეტი დასაბამს აძლევს ექვსტაეზოვან პე-
ტრომეტრულ სტროფს, — ერთმანეთს რითმე-
ბით უკავშირდება პირველ-მეორე, მეოთხე-
მეხუთე და მესამე-მეექვსე სტრიქონები. ამასაც
რომ თავი დაეანებოთ, განა შეიძლება ინტონა-
ციის მიფრთხილება?

დღეს სულ უფროდაუფრო ხშირად იბადება
არათანაბრობიერი ზანები, სადაც სამმარც-
ელედიანი სიტყვები სრულიად კანონიერი ტაეპე-
ბია.

შემდეგ უყურადღებოდ არის მიტოვებული
განსახილველი მეტრის იშვიათი, მაგრამ თვალ-
საჩინო სახეობა:

2/4 და 2/3. გალაკტიონი, „მეივალ, გადაე-
კოცნი“:

მეივალ, გადაეკოცნი
ჩემსა მოვარესა,
სიტყვებს გადაეტყუროსნი
მწარე-მწარესა.
გამორჩენილია ეს ფორმებიც:

7. ექსპარცელედი ზუთმარცელედთან. წარ-
მოდგენილი არ არის ორგვარი სახეობა:

ა) 4/2 და 4/3. მურმან ლებანიძე, „ნეტა
სულ არ მეტილე“:
ცანგალაუ და ცარო,
ურმელო და პარალო!
საქართულოს ზეპრო,
საქართულოს მარანო!

ბ) 5/1 და 5/2. შალვა ფორჩხიძე, „თოვს“:
თოვს... დობილოში თოვს...
და რა ათეთრებს ლერწმის...
თოვს... დობილოში თოვს...
თოვლი ლბეებს ლეწვას.

8. ექსპარცელედი რამმარცელედთან, 4/2
და 4/4. მურმან ლებანიძე, „როგორც სათიბები“:

შავიაო შავზე,
კიდეუ ბევრჯერ აყვირდები.
დაბიჯებ გზაზე,
წუთისოფელს აკვირდები.

9. ექსპარცელედი თორმეტმარცელედთან,
3/3 და 3/3/3/3. ვალაკტიონი, „შიშველი“:
ელადა, ელადა!

აქ სული ატარებს თავის მსუბუქ სამოსელს.
ამ საზოგადოებაში გადმოქართული გივი განეჩილა-
ქმ ბოროტ პასტერნაკის „დემონის ხსოვნას“.

10. ზუთმარცელედი ექსპარცელედთან, 5/2
და 5/1. მორის ფოცხიშვილი, „საფერხულო-
სამშვიდობო“:

სიზმარია თუ ზედი?
გული იშვით ძვრის...
— ისევ შეეხედებით, ლედი!
— ისევ შეეხედებით, სერ!

11. ზუთმარცელედი რამმარცელედთან, 4/3
და 4/4. მურმან ლებანიძე, „სანადიროდ და-
ღვიარ“:

ზეცა ფეხად იცლება,
კვლავ რუმბივით იბერება,
ფოცხები და ფიწლები
მიატოვებს მთიბელებმა.

12. რამმარცელედი ექსპარცელედთან, 4/4
და 4/2:

სიციცხლეში თეთრი გედი
მხოლოდ ერთხელ ზღერის.
(გ. ტაბიძე, „მოვია, მაგრამ როდის“).

ამ ნიმუშის ჩვენების შემდეგ მეკლევარი ამ-
ბობს: „ანონიმული კომპინაცია ძალზე ხშირია,
მაგრამ მხოლოდ (სიცი) ამგვარი შინაგანი წყო-
ბით (ქორეულ-პეონური ტერმები). ჩვენ ვერ
ვნახეთ (სიცი) ამ საზოგადოებაში დაქტილის გამოყე-
ნების ვერც ერთი შემთხვევა“.

ავტორმა რომ ვერ მოძებნა სამმარცელედიანი
ტერმის ხმარების თუნდაც ერთი მაგალითი,
როდით მოასწავებს, თითქმის მართლა არ მოგვე-
პოებოდეს საწყლო მეტრის მავორული რბე-
ვისაგან უადრესად განკერძოებული სტროფი
მინორული ჟღერადობისა. იხილეთ, მაგალითად,
ჯორჯ ბაირონის „მანფრედი“, კონსტანტინე
პიჭინაძის თარგმანი (1948, გვ. 41), ან მურმან
ლებანიძის:

მელიქიშვილის გამზირი,
ი-ვაჩაძე და ზნა...
უშენოდ ვეღარ გვძელო,
ჩემი ბაღისთვის გზავ.
(„მელიქიშვილის გამზირი“).

მასადასმე, საზოგადოების მინორულ ვარსკვლავში
თერმე შესაძლებელი ყოფილა დაქტრისის მო-
მარჩევა. და არა მარტო დაქტრისისა, ლოგა-
დისაც, ხოლო სართომო კადენციაში ერთმარც-
ლოანი სიტყვისაც. სწორედ ეს ლოგა-
დები, დაქტრისი და ვაჟური რითმები კ. პიკი-
ნაბის თარგმანსა და მ. ლებანიძის ლირიკულ
ნაწარმოებში, გ. ტაბიძის ლექსისაგან განსხვავ-
ებით, ქმნიან „მოღუნებულ ტონს“.
(5/3 და 5/1).

13. ნარკვევში ორგვარი მერტული წყობით
არის გაშუქებული რამარცხელი შედმარც-
ლედიან, დიფერენციალური მესამენაირი ვარიან-
ტი. კოტე მთავრო, „ნაცარქექია“ (3/3/2 და
3/3/1):

გუგუნებს სადღაც ზარი,
ერთმანზე. ერთმანზე მგერის.
მძვინვარებს გარეთა ქარი;
ხეებსა მიწაზე ხრის!

14. რამარცხელი ცხრამარცხელთან, 4/4
და 4/5. ტარული კანტრია, „სეპტიცხოვლის
ხეობისმოძღვარს“:

აშენებდი სეპტიცხოვლს,
არსად გეგმა შენთვის ჯარგვალის.
მიწის სული ვერ იცხონა,
დაგიბრუნდა რისხვით ცარგვალის.

ნარკვევში არც ეს წყობა ჩანს, თავისი „მ-
ნაური“ მელოდით რომ გვასვენებს ქართულ
პირობარათა საგალობლებში ეამიდან ეამზე
დაჩქეულ რიტმს.

15. ცხრამარცხელი ხეთმარცხელთან.
ავტორი წერს: „პოეტმა (ი. გრიშაშვილმა, რ. ბ.)
თოთხმეტმარცხელანი ტაქტი ორ არათანაბარ ნა-
წილად გაყოფა (5/4 და 5) და მიღებულ ოთხი
სტრიქონი ჯვარედინი რითმებით ერთმანეთს
დაუკავშირა. მივიღეთ ოთხტაქტიანი პეტრომე-
ტრული სტროფი“:

მე ავამღერე ტბილ შაირად
ქართლის ყანები,
მე ყველა მართალს ერთნაირად
ვეთაყვანები.

1 სერგი გორგაძე ამ ოთხტაქტს ორტაქტ-
ებად აერთიანებდა (ქართული ლექსი, გვ. 46) და
„სამარცხელადი“ დაქტრული პეგნაჟტრის“
(?) უწოდებდა და თანაც სქოლოში წერდა, ში-
ნაგახი რითმების გამოსახენად ავტორის ეს ლე-
ქსები ტრამეტრებად (?) აქვს დაბეჭდილი, ე. ი.
ყოველი ტაქტი ორ-ორ სტრიქონად არის და-
ყოფილი (?)

დამატებითი რითმის წყალობით (მეორედ —
ერთნაირად) შესაძლებელი ხდება ეს
სტროფი ოთხტაქტებად იქნეს შეყვანილი და ამ-
ით ერთი ახალი საზოგადოება შეიქმნას. და კიდევ: „ი. გრიშაშვილმა ლექსში „პა-
სუხად ახალგაზრდა შეერგებს“ ჯვარედინი რი-
თმების წყალობით შექმალ ამ წყობისათვის
მოქალაქეობრივი უფლება მიენიჭებინა“. მოკ-
ლევ: ცხრამარცხელი ხეთმარცხელთან „დამ-
ატებითი რითმების წყალობით“ თერმე ი. გრი-
შაშვილს ჩამოუყალიბებია. ეს კი გაუგებრობის
ნაყოფია. ყველას საერთო მივეზღოთ. მო-
ვიგონოთ თუნდაც პოლონაშვილის „წერილი
ანა ახმატოვას“:

მე მინდა გითხრა სამიძიარი,
რომ ბლოკი მოკვდა!
ხანდახან ჩემი და მძინარი
მეცა ვარ ბლოკთან.

ი. გრიშაშვილის „პასუხად ახალგაზრდა შერ-
ლეს“ სამამულო ომის წლებში დაიწერა, პ.
იაშვილის ლექსი კი დაბეჭდილია 1922 წელს.
იხილეთ ქურხალი „მეოცნებე ნაშრომები“, № 8.
მკვლევარს უფრადღებოდ მიუტოვებია:

16. ცხრამარცხელი რამარცხელთან, 5/4
და 4/4. გოგოლ აბაშიძე, „ვაჟა-ფშაველას ჩა-
მოსვლა თბილისში“:

მოსკდა ზეაი და ზეაი კლდიდან
კლდეზე ზათქით გადავარდა,
შეხტა ცხენი და გამოუხიზლდა
ცხენასანი შეენახდა.

17. ცხრამარცხელი ათმარცხელთან.
ა) 4/4/1 და 4/4/2. მურმან ლებანიძე, „ვა-
ჟაფხული გაუმართავთ ჩიტებს“:

ვაჟაფხული შემოსულა, ლენ,
რია-რია გაუმართავთ ჩიტებს.

ბ) 3/3/3 და 3/3/4. სიმონ ჩიქოვანი, „სამა-
სი არაგველს თბილისში ჩამოსვლა“:

სროლის ხმა ისანიც დანისლა,
ნაბაღას ფერდობი ჩალეწვია,
არაგვი ჩხრიალებს კრწანისთან,
მტკვრის ტალღას მეორედ დაეწვია.

18. ცხრამარცხელი თორმეტმარცხელთან,
3/3/3 და 3/3/3/3. სიმონ ჩიქოვანი, „ცხრა
მეხა“:

ცხრა მეხა, ცხრა ცა და ცხრა წყარო
ვმოვე და ცხრა მთაზე გაეწაფე მეხლები,
თუ შემხდა სიკვდილი უწყალო,
ყოფიანს დასცემენ ჭარბად მეხები.

19. ათმარცხელი ექვსმარცხელთან მკლე-
ვარს, როგორც თავად გვანდობს, მხო-
ლოდ ერთგან შეხვედრია (მთელ თანამედროვე
ქართულ პოეზიაში?), „ისიც რეფრენის სახით“:

მათ არაერთგულ აღმოჩნდათ კენესა: ინგესა, ინგესა.

(გ. ტაბიძე, „ინგესა“).

მაგალითად, მიხეილ ქვლევიძის „გაგრა“ რომ გაეხსენებინა, აკაცი ხინთიბიძე დარწმუნდებოდა: ათმარცხედი ექვსმარცხედელთან უკვე სინამდვილეა მთლიანი ლექსის საზომად, თანაც გალაკტიონის ლოგადურ-დამტილური ორტაპედისაგან განკერძოებული იერით (მეორე სტრიქონში ცეზურა ვაჟური რითმის წინ მთლის (5/5 და 5/1):

მე ისევ ზღვასთან მელირსა შევრა,
ზღვიდან ნიაგი ქრის.

ნეტა ვიცოდე — სადა ხარ ეხლა,
ეხლისებში ვის?

არც ქორეულ-პეონური ვარიანტი უნდა მიგაყურისძირაოთ, 4/4/2 და 4/2:

ტრაქის შუქი ფარფატებს და ლანდობს,
კერას უკვე სმინავს.

დაიძინე, სამძიმარის დარდო,
დაიძინე, ძილაე.

(მირზა გელოვანი, „ხევსურული ნანა“).

20. როცა მკვლევარი ამა თუ იმ საზომის ნიმუშს გეთავაზობს, ცხადია, ერთი კონკრეტულ მაგალითით განაზოგადებს განსახილველ მეტრს. მაგრამ როგორ გავიგოთ ასეთი ფრაზა: „ამ წყობითაა (ათმარცხედი შეიდმარცხედთან, 5/5 და 5/2, რ. ბ.) დამერილი ა. მირცხულავას „არწივი“ და ე. კალაძის „ნიზამი განჯელის ზეიმზე“... ეს წყობა რეფრენის სახით მიჰყვება აგრეთვე გ. ტაბიძის ლექსს „სროლის ხმა მთაში“ და ცალკეული ადგილების სახით გვხვდება ლ. ასათიანის ერთ უსათაურო ლექსში“. ავტორის მაგალითებია:

ა) გავიდა შეიდასორმოცდათი,
ხან დროს გაჟყურებ, ხან ცას.

(ე. კალაძე, „ნიზამი განჯელის ზეიმზე“).

ბ) რუსთაველის პროსპექტზე სიარული
ნუ მომიშალს ღმერთმა.

(ლ. ასათიანი, „რუსთაველის პროსპექტზე სიარული“).

ჭერ ერთი, კარლო კალაძის პირველი ტაქსის იგებულება საგრძნობლად შორდება ლადო ასათიანის პირველ ტაქსს: სად—„გავიდა შეიდასორმოცდათი“ (ლოგადური კანონი) და სად „რუსთაველის პროსპექტზე სიარული“ (1000 1000 1000). მეორეც, აღნიშნული მეტრი განა მარტო მკვლევარის მიერ მოხსენიებულ ნაწარმოებებში მოგვეჩვენება? თუ ავტორის კატეგორიულ ტონს დაუფერებთ, ასე უოფილა და მაშინ რაღა მოუხერხოთ თუნდაც ამ სტროფს:

ასეთი იყო ზილთა სტუმრობა,
სანახაობა თვალის,

ჩემი ნათქვამის დადასტურება

ჩემივე ლექსი არის.

(ლ. ასათიანი, „კოლხიდა“) **გელოვანი**
ან რომელი საზომი მიგუსადაგოთ ტერენტ გრანელის ლექსს „ციხიდან“ (ამ წუხელ ლამე იწეა მიწაზე, // შორს ხმაურია ქუჩის). შოთა ნიშნინიძის „ტყის პირად მდგარ თელას“ (ქარი ხარხარით ფოთლებში გორავს, // დაილუბა და ზენეშის), მორის ფოცხიშვილის „ძივას მარადეაფელს“ (ჩვენ, ასე ახლოს ერთერთთან მდგარნი, // მაინც ერთმანეთს ვეძებთ) და სხვ. და ა. შ.

გარდა ამისა, ავტორი, ჩამს, არ იცნობს მეტრულ ვარიანტებს:

ა) 5/5 და 3/3/1. ედგარ პო, „ანებულ ლი“, ალექსანდრე სავიას თარგმანი:

ჭველად, სულ ჭველად, მრავალ წლის წინათ
ეს იყო ნაპირად ზღვის...

ბ) 4/4/2 და 4/3. მირზა გელოვანი, „საუბრისას“:

შენ მოთხარი, დასწერეო რამე,

გულშია მოთხარი — არა ღირს.

ასეთი შეთხვევებით:

21. ათმარცხედი რამარცხედთან, 4/4/2 და 5/3. კონსტანტინე გამსახურდია, „მე ვარ სარანგი ღამისა“:

ღამე მოგვცა მაცხოვრის ხატმან,

მე ვარ სარანგი ღამისა:

ღამე არის ღვთაებრივი ატმან.

მე ვარ სარანგი ღამისა.

22. ათმარცხედი ცხრამარცხედთან.

ა) 5/5 და 5/4. მირზა გელოვანი, „მავლეგო“:

ქარო აშარო, ფრთა გაშალეო,

არწივებს უთხარ კაცის ენით:

კლდის ძირას კედება ბიჭი შაღლეგო,

მარტო კლდე ტირის ეანგისფერი.

ბ) 4/4/2 და 4/4/1. მირზა გელოვანი, „გლოვის ზარი“:

მიგვაქროლებს უხილაეი ცხენი,

ქარი რეკავს გლოვის ხმაზე — ძინ...

ყველა დარდობს, მაინც ყველა მღერის,

რადგან თურმე დარდს მივეყვართ წინ.

23. ავტორის თერთმეტმარცხედიანი ჰგონია ტიცან ტაბიძის სტრიქონი: ასე აღვიჭვდნა საიონოვა მტკვარის (სუმხამაზი, რომელიც არ იმღერება). ეტყობა, იგი „საიონოვას“ ქართული კი არა, უცხოური გამოთქმით კითხულობს: „საიონოვა“. უნდა გვახსოვდეს, ქართულში ხმოვნების ქვეყნები — „ია“, „იუ“, „ოუ“, „ეი“... დიფთონგები როდია, არამედ — მარცვლების შემადგენელი ხმოვნები. ეს დებულება საკმაოდ დასაბუთებულია ქარ-

ბრუნა ენათმეცნიერებაში. დამოუკიდებელი პედაგოგი თერთმეტმარცვლიან მამინ ინტენზივურ კურსს რომ დაუწერა: საათნაე, საათნოე, საათლამა, სათინო, სადღამა, სათინამა, სათინო, სათინოე, საეათნოე, სეიდნოე, საეათნამა ან საფათნოე¹. თუ მიანიცდამიან ტიციან ტაბიძის შემოქმედებიდან ეწაღა მაგალითის მოშველიება, იმავე „მუხამაზიდან“ ეს ტაეპი ამოტიტრეცებინა: ლვინ მონდებმა გაიციებულ მკითხველს.

24. ათმარცვლადი თერთმეტმარცვლედთან, 4/1/42 და 4/1/43. ასეთ წყობას უნდა გულისხმობდეს, როცა თავები ნაშრომის დასკვნითს ნაწილში მკვლევარი გვეუბნება: სიმონ ჩიქოვანის სახელთან დაკავშირებულია ათმარცვლადი თერთმეტმარცვლედთან. მდლარი თვალსაზრისითა — ვერსიოეკაციის მკვლევარს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამ მეტრით უფრო ადრე დაიწერა, თუ გნებავთ, ტერეგტი ვრანელის ეს სატრითი (საიციოხლის გრადიაკია):

ჩაესვენა სურვილების გროვა,
როგორც შორი მიწაეების სერია.
ახლა უკვე დაფიქრების დროა,
ჩაღვნილი შეკლდომები ბევრია.

25. ასევე უნდა ვიცოდეთ — თერთმეტმარცხედრი შედმარცხედრთან, 4/4/3 და 4/3 მარტო ორტავებდნენ კი არა, სტრაფებადაც მოგეჭვნება და დიდ ხანია მოგვეჭვნება. მოეუსმინოთ მირზა გელაყანს:

მთვარე წყალზე დასაღევად ჩავიდა,
მაგრამ კი ვერ დალია,
და ჩვენ ორნი, წამოსული ფშავიდან,
მოვადექით დარიალს.

(... „მთავარე წყალზე დასაღუევად ჩავიდა“).

26. გამოტოვებულა თერმეტმარცვლედო ცხარმარცვლედთან, 4/4/3 და 5/3 კონსტანტი-ნი გამსახურდია, „მე ვარ სარანგი ღამისა“.

ლამე ბრის ნაღვლიანთა მაცხოვარ,
მე ვარ სარანგი ღამისა;
მადლობა ღმერთს, მხოლოდ ღამეს ეახსოვარ.
მე ვარ სარანგი ღამისა.

27. ავტორის დაკვირვებით, თერაპეუტმა რედაქტორმა ცხარეაშვილმა (4/4/3 და 4/4/1) რედაქტორს შეინიშნება. სტრუქტურა ეთიკა არაა გადავითვალიეროთ როგორც ბერძნის „ადრეა ჩემი ვაზაოვება“, გიორგი ძიგვაშვილის თარგ-შანი:

უცხო კაცთან მე ისეთი მხდალი ვარ,
გვერდით როგორ დავუწვიები, სერ;

მე ისეთი პაწაწინა ქალი ვარ,
რომ სიარცხვლით დავიწეებდი, სერ.

28. თერმობეზონიზაციის პროცესში ნარკვევში ფიქსირებულია ორგანიზაციის სახეობითი, გამოთვლილია მესამე (3/3/3/2 და 3/3/3/1) ზედა ბერძნული, "თქმულება მებრძოლებზე".

მამინ ზღვამ მოიხმო ისეთი ღელვა,
ადუღდა ბობოქარ ტალღების მთა,
შავი ფრთა ვაშალა სიყვდილმა ბნელმა,
მეზღეაურს მოჰხვია ყორანა ფრთა.

29. თორმეტმარცვლედო ექვსმარცვლედთან.
გამოუმჟღავნებელია ქორეულ-გონური ვარაზი-
ტი, 4/4/4 და 4/2. ანა კალანდაძე, „ვერ წაი-
ღეს, ვერა“:

ცეცხლმა დასწვა ცა, მწვერვალზე დანახადი,
მზე რომ გადიწვერა.
მერე რა, თუ სუქოჰვეას შესწყვეტს ფართე
მკერდი?

„ვერ წაიღეს, ვერა!“

30. თორმეტმარცვლადი შედმარცვლადთან.
ა) $4/4/4/4$ და $4/3$. ანა კალანდაძე, „ქართვე-
ლი მეომრის სიმღერა“;

მივდიოდით, მივკატავდით... მძლეოსანთა
ხმალო ზოდი ვაშეთ?

ამ გორაკათი თავის სიძვედა ფთქებათ რათა
სააკლბის ნაშეღრთ.

ბ) ბოლოქორეული ლოგედური წყობა, 5/5/2 და 5/2. გიორგი ნათესავარიძე, „ორი გაზაფხული“;

სამეფო სკოლაში ხელოს გაცემის წერდა-
თმობურადგნული ბიჭი.

შეუპირისპირეთ ეს პეტროპოლიტური კომუნი-
ტაციები შვედეთის მთავალთს:
ჩემს სამშობლოშივე სამშობლოს დაკარგულს
დაეძებნე ბედისგან კრულს.

ც. მაყაშვილი, „დაკარგული სამშობლო“²

და დავასვენით, რომ ერთი საზომის ჩაართვით გვაქვს ერთმანეთისაგან ძირიდან-ფორიდან და განსხვავებული სიმგვარი სახეობა. სხვაობის საძირკველია ლექსის რეალური ზგერითი ფორმის ფესველი გარდასახვა — ანა კალანდაძის სტროფი ძირითადად გაწოზილია ქორეულ-ზონური კანონით, გიორგი ნაფცტარიძისა — ლოგადურობით, კოტე მაყაშვილისა კი — დამტრლიერობით, ოლნოდ ლუნე ტაჰეზები შეთავებულა ვაჟური რითმიკით.

31. თორმეტმარცვლიანი ათმარცვლი და 56, 3/3/3/3 და 3/3/3/3/1. შეეჯებოდა, აკ. ხინთიბიძეს წაეკითხოს კოტე მუჟაშვილის „დაცარეული სამშობლო“, სადა ნაცვ იმორქმებს ზემოთ მტრანდლ სტრატეგონებს (ჩემს სამშობლოშიმდე სამშობლოდს დაცარეულს და სხვ.) და თითქმის დარწმუნებო-

ლი ვარ: ეს პეყარები გადმოწერილი უნდა ჰქონდეს სერგო გორგაძის წიგნიდან („ქართული ლექსი“, გვ. 50). ასე რომ არ იყოს, როგორ გვეტყუა, თორმეტმარცვლი ათმარცვლიდან (3/3//3/3 და 3/3//3/1) მხოლოდ ცალკეულ ორტაბედებზე გვხვდება, ეს წყობა ხომ „დაკარგულ სამშობლოში“ ოთხტაბედებადაც რეალობაა:

შევედი ტაძარში... ნატყენსა და დაგულს,
ლეთის სახლო, მომირჩენ სევდიან გულს?
სამშობლოს დავეძებ, დავეძებ დაკარგულს,
ვეძებ მის სხეულსა და იმის სულს...

შევახსენებ ავტორს: ამავე მეტრით გამოართულია ალიო შირცხელავას „გადახრა მთვარისკენ“. შალვა ამისთელაშვილის პოემა „გომეწრის ზეობის“ ბოლოთქმა და სხვანი.

32. **თორმეტმარცვლი თხუთმეტმარცვლიდან**, 2/4//2/4 და 2/4//4/5. მერმან ლებანიძე, „როცა კორტოხებზე“:

როცა კორტოხებზე მზეა ოქროსფერი,
როცა შემოდგომა წითელ-ყვითელს
გაიხდის ფარჩებს...

ავტორს ვერ შეუენიშნავს.

33. თანამედროვე ქართულ პოეზიაში **ცამეტმარცვლი** **თორმეტმარცვლიდან** სტროფად რაფინირებულია ერთმანეთისავე გამოყენული სამწიგნო იერსახეები. ნიშანდობლივია — მკვლევარი არცერთს არ იხსენიებს. აი ისინიც:

ა) 4/2//4/3 და 4/2//4/2. ალექსანდრე საჭაია, „სიმღერა მერხაყანზე“:

მერხაყან მღერის, მთები უფრო მღერიან,
თუ მერხაყანს სძინავს, მთებსაც უნდათ ძილი...

ბ) 3/3//3/4. და 3/3//3/3. მუხრან მაჭავარიანი, „პეშკინი თბილისში“:

პეშკინი თბილისის ქუჩებში გაიტაცეს...
ბაღში ქეიფია... თავადი თამადაბს...

გ) 4/3//4/2 და 4/3//4/1. იოსებ ნონეშვილი, „შენი თმების ფერი აქვს“:

შენი თმების ფერი აქვს ყაზახეთის ღამეს,
მაგ ბავთა ფერი აქვს განთიადზე ცას...!

34. **ცამეტმარცვლი თოთხმეტმარცვლიდან**. სამგვარი მეტრულ საღებავშია გავლებული. მკვლევარს ვერცერთი ვერ შეუენიშნეია.

ა) 5//4//3+1 და 5//4//5. მირზა გელოვანი, „განწორების შემდეგ“:

1 ცალკეულ ორტაბედებზე ფაქტია საზომის ლოგადურო წყობაც (იხილეთ, მაგალითად, გ. ნაფეტვარიძის „ორი გაზაფხული“). მეტრული სქემა: 5//5/3 და 5//5/2.

ახლა ჩვენს შორის გარდუვალი მანძილი
ძვეს,
მთები მაღალნი, გზა უგრძელნი...

ბ) 2/4//3/4 და 3/4//3/4. მუხრან მაჭავარიანი, „პეშკინი თბილისში“:

პეშკინს არ უნახავს ამდენი სიცილები,
თუმც ბევრი უმასხრია, — ნახეაზეც
უხრენია...

გ) 5//5/3 და 5//4/5. მერმან ლებანიძე, „მესტირის სიცილი“:

ხუთი ღამეა, წიგნამ გალესა აყალო,
გამოეხეტნენ მთაში ღრუბლის
ბაღდახინები.

35. მკვლევარის ვარაუდით, თოთხმეტმარცვლი ხუთმარცვლიდან (5//4//5 და 5) „არ არის თვისთავადი. იგი ფაქტიურად სტროფის ორ უკანასკნელ ტაბეს წარმოადგენს და კოპლ ხანას ქმნის, ანდა მუსიკალური რეფრენივით გასდევს ლექსს“.

ჯერ ერთი, ეს მეტრი ფესვგადგმულია სტროფის პირველ ორტაბედშიც. გადაფურცლოთ ანა კალანდაძე: შენ თუბალი ხარ, გაქვს პარჯენა უმეტრე ძალით... // მკვდელთა წესით („და მზეც რვაღისა“), ამ დღისით ვნადირობ, წერდი ნადირთა ბუნაგებს ვარბევ // კეტით და მშვილით („მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“). და მეორეც, განსახილველი წყობა თვითმყოფადია და მთლიანი ლექსის საზომად გვეკლინება. სანიშნოდ — გალაკტიონი, „არდაბრუნება“:

აი გრიგალმა გაიტაცა წითელი ლეჩენი
ვაზის — ბუნების...

მერი! მე ისევ შენატრება ჩემი ალერსი
არ-დაბრუნების.

გადაათვალიერეთ მისივე უსათაურო ლექსი („ფოთლების ლანდი“), ვალერიან გაფრინდაშვილის „პირველი თოვლი“, „ორ ზეს, ცირკის წინ რომ დგანან კირკის ქუჩაზე“. ამავე საზომით თარგმნა მიქელ პატარიძემ კონსტანტინე ბალმონტის „ამ ქვეყანაზე“, ხოლო ხარიტონ ვარდოშვილმა — იოჰან ვოლფგანგ გოეტეს „სატრფოს სიახლოვე“ და „ბელინდასადმი“.

36. გალაკტიონის „დომინოში“ დროდადრო ნათობს **თოთხმეტმარცვლი შედმარცვლიდან**, 4/3//4/3 და 4/3:

უცვარი გახელა, საოცარი შენობა
როგორ მოვანდომინო.

მესმის უცხო სხელი, მტანჯავს მე
უშენობა,

იდელმალ დომინო.

ალექსანდრე საჭიამ ამ წყობით გადავიდო პერსი ბიში შელის „ღრუბლები“. მკვლევარი გაჩუმებულია.

37. თოთმეტმარცვლელი თორმეტმარცვლელთან, 3/4//3/4 და 2/4//2/4. მუხრან მკვლევარი, „საბა“:

ცამეტი ლდოვიკო კედლიდან იყურება ციკს ეფერება ლუი მეთოთმეტე. კვლავ დომინო.

38. თოთმეტმარცვლელი ხუთმარცვლელთან, 5//5//5 და 5. ანა კლანდამე, „ფეხი დამადგით“:

ფეხი დამადგით, გულზე დამადგით
ფეხი უოველმან,
წყალობა პევიით...

რატომ არ უნდა მოხვედრილიყო პეტრომეტრული წყობის ეს მშვენიერი ორტაპედო ნარკვევში?

39. წინა საზომის ბედს იზიარებს თოთმეტმარცვლელი თორმეტმარცვლელთან, 4/4//4/3 და 4//4/3. თეიმურაზ ჯანგულაშვილი, „ხლვა იყავ და ტალა დამკარ“:

შენ თამარი არა გქვია, განა მე კი შოთა ვარ? —
მაშ რად იმეც ჩემი ლექსის თამარად...
მზეს მოვეყვი, მზე მებევრა, დღე რალა
მეცოტავა,
მოველ მოყვე ცხელი გულის ამპარ.

40. თოთმეტმარცვლელი ათმარცვლელთან, 5//5//5 და 5//5. სიმონ ჩიქოვანი, „წერილი უცხოეთში“:

გადაესხეფერდი, როგორც პერი
წვიმების შემდეგ,
თითქოს გამეცსო ზორცილ ფერდებში.

41. თექვსმეტმარცვლელი რვა მარცვლელთან, 4/4//4/4 და 4/4. ი. გრიშაშვილი, „სურნელება ძველი ხელთნაწერებისა“:

აი გზივარ წიგნთსაცავში და ფუთფუთებლ
ფიჭირი თავში,
ფიჭირ წრფელი, ნაცელქარი;
ვქმლი ყაყისფერ ხელთნაწერებს
და მტკვარივით მეც მაქლერებს
მონაბერი ნიავეჭარი.

ასე რომ, მკვლევარის რწმენის საპირისპიროდ, ეს წყობა მარტოოდინ „მუსიკალური რეფრენებისა“ და „სტროფის შიგნით ცალკეულ სტრიქონების სახით“ როდი გვხვდება.

42. მთლიანი ლექსის საზომად ცალკეულ სტროფებზედ ან ორტაპედებზედ არსებობს ბოლოდაქტილური შედამარცვლელი თოთმეტმარცვლელთან (პარალელური მშვენიერების გვეთის დამებში), ლოგადურია ათმარცვლელი თოთმეტმარცვლელთან (სიმონ ჩიქოვანი, „ბარათი უცხოეთში“), დაქტილური თერამეტმარცვლელი იქვე, ცხრა და თორმეტმარცვლელთან (ვალაკტიონი, „დომინო“), დაქტილური თერამეტმარცვლელი თოთმეტმარცვლელთან (სიმონ ჩიქოვანი, „ქარბოლია“) და სხვ. ისინი ექსპერიმენტების შთაბეჭდილებას სტოვებენ და მათი ფეხმოკიდება ძალიან საყველად.

ასეა თუ ისე, „თანამედროვე ლექსის საზომებში“ სამუხრუხე გამოუტანელია 70-ზე მეტი ვარიანტი, თუკი მათი კლასიფიკაციისას ზურგს ვავუმაგრებდით ზინთიბიძისეულ მეთოდს. ხოლო ეს მეთოდი რომ დაგვეწუნებინა, უფრო სამწუხარო სურათს დაეინახავდით: ავტორს ნებით თუ უნებლიედ თვალსა და ხელს შუა დაქარგვია სულ ცოტა 250 სახეობა დღევანდელი ქართული ლექსისა.

მეთოდოლოგიის თაობაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

* * *

კრიტიკამ დროულად ვერ შეასწრო თვალი აკ. ზინთიბიძის ნაშრომის ხარვეზებს და ისინი შეუფერხებლად გადაიღა მკვლევარის ახალ ნაშრომში — „ქართული ლექსის კლასიფიკაციისათვის“ („ლექსმცოდნეობის საკითხები“, 1965, გვ. 106-134). ამ გამოკვლევის ყოველმხრივი ანალიზი, ავტარების აწონდა-წონვა შორს, ძალიან შორს გავავითრებდა. ავტორს არსებითი ხასიათის რამდენიმე შენიშვნას მივაწვდით.

გულახდილად ვამბობ: მკვლევარს თემა ვერ დაუძლევია. რატომ? იმიტომ რომ:

I. „კლასიფიკაციაში“ არ ჩანს თუნდაც ჩემგან წარმოდგენილი სახეობანი ობიექტური და პეტრომეტრული წყობისა (სათვალაურო ნუ ჩავადგებთ ოთხტაპეოვან სტროფებზედ დიარისტალებზედ არათანაბარზომიერ საზომებს, აკ. ზინთიბიძის უსაფუძვლო განმარტებით, ეითომ მხოლოდ ცალკეულ ორტაპედებზედ რომ გვხვდებოდეს).

II. „კლასიფიკაციაში“ ვერ იხილავთ საზომთა იმ სახეობებს, აკ. ზინთიბიძის ახალი ნაშრომის გამოქვეყნებამდე რომ აღმოაჩენდა. ორი მაგალითი:

ა) რვა მარცვლელი შუაში პეონით (2/4/2). ცნობილია, ეს წყობა, როგორც რვა მარცვლანი მალაღ შეპირის რიტმული ვარიაცია, ჩვეს პოეზიაში ხან ცალკეულ ტაპებზედ კიაფობდა, ხან ორტაპედებზედ ჩანდა, ხანაც

სამრთველებად გვევლინებოდა. საზომს დამოუკიდებლობა მიანიჭა ოთარ ჭელიძემ:

ვნებებს, გაუცვთულ განცდებს,
ქინს და აზორგებულ სერვილს
თუ არ ეზიარა, გისცდეს
ერთხელ გასასკდომი გული.
(„გაგრა“).

იხილეთ მისივე ლექსები: „თარიღის დაკარგვა“, „გუდარეხთან“, „შეურიანი წვიმა“ და სხვანი.

ბ) ექვსმარცვლადი ოთხმარცვლადთან. 3/3 და 3/1. გიორგი ლეონიძე, „ეს იყო მზე“:

მაკოცე... გავხვედი...
გამღწე ზეგდ...
ეს იყო კახეთი...
ეს იყო მზე.

III. ორმეტრულ სტროფთა მრავალფეროვნების გამო. ქართული ლექსის სახეობანი „კლასიფიკაციაში“ ასეა წარმოდგენილი:

1. ოთხმარცვლადი (2/2).
2. ხუთმარცვლადი. ლოგაედური წყობით (2/3) და სხვ. და ა. შ.

სქოლიოში ვკითხულობთ: იმ სახეობებს, რომლებიც ფიქსირებულია ჩვენს „თანამედროვე ლექსის საზომებში“, ანდა რომლებიც ფართოდ არის ცნობილი, საილუსტრაციო მაშალა არ ახლავს. ეს შენიშვნა საქმეს ვერ შევლის და აი რატომ:

განივილობთ, მაგალითად, ისეთი „ფართოდ ცნობილი“ მეტრი, როგორიც ვახლავთ „ათმარცვლადი ლოგაედური წყობით (5/5)“. რა უნდა წარმოიდგინოს მკითხველმა ამ საზომის მართოდ მშრალი დასახელებით? ალბათ, ჩვეულებრივი ოთხტაეზოვანი სტროფი — ჯვარდინი, რკალისებური, მოსაზღვრე და ინტერგალიანი რითმებით. სინამდვილეში კი ათმარცვლიანი ლოგაედური საზომი მეტისმეტად მრავალმხრივია და 30-ზე მეტ სახეობას შეიცავს. აი ერთი მათგანი:

იშლება თვალწინ ფერადი ნოხი —
თქვენთა მშვენიერთ წაშწამთა ქოხი.

გალაკტიონის „წერილი სოფლიდან“, საიდანაც ვიშველიებ ნიმუშს, თავიდან ბოლომდე შესრულებულია ანალოგიური ორტაეზოვანი სტროფებით. შეადარეთ აქვე პოეტის „იყო“, „უცხოელი ბავშვი“, ოსიკე გრიშაშვილის „ილია საგურამოში“, ტერენტი გრანელის „ზაფხული“, „მატარებელიდან“, გიორგი შატერაშვილის „საქართველოს ცას“... ასე რომ, ამ ფესვმომარგებული სახეობის უფლებამოსილება უამრავია.

ღიახ, არ ვიცი — „ფართოდ ცნობილი“ ცნების ქვეშ ნავთლისხმევი „ათმარცვლადი ლოგაედური წყობით“ რა რითმულ-ინტონა-

ციურ სურათებს ხატავს პოეტის მოყვარულთა ცნობიერებაში, ერთ რამეს კი ღარბ და ხაზი არ უნდა — ამ საზომის ფორმებს, რომელთაც ახლა ჩამოვყალიბებ, ქართულ ლექსის სტრუქტურაში ევროპული ნუსხასა თუ ტაბულაში ვერ მიაგნებთ. ამჟამად სტროფთა ანტირეტორული ფორმულების წარმოდგენა ექვსმარცვლადი.

1. ხუთტაეზოვანი ლოგაედური ათმარცვლადი. რითმა: ABBAA (გალაკტიონი, „შემოდგომის დღე“); რითმა: ABAAB (ილია მოსაშვილი, „სიცოცხლე მართლა სიხარულია“); რითმა: ABABB (ქანსულ ჩარკიანი, „დავით გარეჯის უდაბნო“) და სხვ.

2. ექვსტაეზოვანი ლოგაედური ათმარცვლადი. რითმა: AAAABB (ოსიკე გრიშაშვილი, „ჩემის ღალატით“); რითმა: AABBC (ირაკლი აბაშიძე, „ქვეყნად ვერაფერს ვერ შეველოე“); რითმა: ABBABB (კონსტანტინე ჭიჭინაძე, „პეშენი“); რითმა: ABAAA (კოლაუ ნადირაძე, „განახლებულ ქუთაისს“); რითმა: ABABAB (ალექსანდრე მარტოვი, „პირველი კოცნა“); რითმა: AABCBC (ვრიგოლ აბაშიძე, „ზარზმის ზმანება“); რითმა: ABCABC (ოსიკე გრიშაშვილი, „მზე“); რითმა: AABCCB (ვრიგოლ აბაშიძე, „გაზაფხული“) და სხვ.

3. რვატაეზოვანი ლოგაედური ათმარცვლადი. რითმა: AABBCDD (იოანე ელიშვიტი გოცბე, „გვანის მამიებელი“, ხარიტონ ვარდოშვილის თარგმანი); რითმა: ABABCD (ოსიკე გრიშაშვილი, „მელოდია მწუხრისა“) და სხვ.

4. ათტაეზოვანი ლოგაედური ათმარცვლადი. რითმა: AABBCDDEE (ჭრიჭიბის შილერი, „ბრძოლა გველშაპთან“); რითმა: AABCCBDEFE (მისივე „პერო და ლენარტი“); რითმა: ABBACDDEE (მისივე „სიმღერის ძალა“. სამივე თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისეულია). მაგალითების შორეს კიდევ შეიძლება.

ლოგაედური ათმარცვლადის ყველა ეს ვარიანტი, ცალ-ცალკე აღებული, დიდი ხანია გამოდის დამოუკიდებელი საზომის პრეტენზიით. საფუძველი? სტროფის აზრობრივ-შინაარსობრივი ერთიანობა, მკაფიო რიტმული ინტონაციური ქვრადობა, ტაქტთა გარდაქმნის ორიგინალური ხერხი და სხვ. სიტყვას აღარ გავაგრძელებ დანარჩენ თანაზომურ საზომთა ვარიანტებზე...

ეს ყოველივე უნდა აღენსება ავტორს.

IV. პეტერბურგული სტროფთა მრავალფეროვნების გამო. არის უჩვეულო აღნაგობა ოთხტაეზოვანი არათანაბარზომიერი სტროფისა, რომელიც ორზე მეტ საზომს ითვსებს. აქვს საკუთარი სალექსო ფორმა და ტონალობა. იგი ამოზრდილია ნაირნაირ საზომთა მოწყობის წიაღიდან. აქ თვალსაჩინოა ერთი ყურადღასმეტი მომენტია: სტროფის პირველი ნახევარი მეორის ტოლფასი არ არის და ეს

„უკანონობა“ კანონზომიერად გრცელდება მთელ ნაწარმოებში. მთლიანი ლექსის საზომობის კისრულობს არა ტაქტი (როგორც იზომეტრულ წყობაში), არა ორტაქტული (როგორც აკ. ხინთიბიძის მეოთხით განხილულ პეტრო-მეტრულ წყობაში), არამედ სტროფი. არავითარი დისპარმონია, არავითარი კაჟოფონია, — მთლიანად შენარჩუნებულია ქართული ლექსის ბუნებრივი პარსოდიკა, სილაბურ-ტონური და ეერსიდიკაციული კვლევება. ჩვენს დროში ასეთი რიტმულ-მუსიკალური გადახა-ლისებით არავითი ლექსი დაწერილა, მაგრამ ისინი ჯერაც არაღის კვლევის საგნად არა ჰქცეულა, მათი ბუნების შესწავლით არაღის დაინტე-რესებულია.

რაზეა ლაბარაჟი?

მეხსიერებაში აღვადგინოთ გალაკტიონის ლექსი „სიშორით შენით“. აქ ყოველი სტროფის პირველი ნახევარია თოთხმეტმარცვლადი ათმარცვლადი (5//4//5 და 5//5), ხოლო მეორე ნახევარი — თოთხმეტმარცვლადი ხუთმარცვლადი (5//4//5 და 5), და ამგვარი მეტრული მეტყველება განუხრელად გადადის სტროფიდან სტროფში:

სიშორის შენის სიახლოვე, მარადის მშაფრი,

ბრუნებს ყნოსვას, ვარდო ტყუილთ
მესმის ბილიკთა სიხარულით გადნა-
ზაფრი

უვერტიკულა.

როგორც ხედავთ, რელიეფურია პრაგმატი-ზომიანი სტროფი, რომელსაც სწორედ ამ ნიშანთვისების გამო შეიძლება პოლიმეტრული სტროფი დავარჯავთ.

გადავიკითხოთ სიმონ ჩიჭოყანის „გამოთხო-ვება და ომში წასვლა“ („სიმღერა დავით გუ-რამიშვილზე“):

მეამება სამაია,

ივერიის ღვთისმშობელი ბაია,

შენი თვალი შავი სამარტა,

შენი კაბა — ჭრელი შიამაია.

არც ეს წყობაა სხვადასხვა მეტრის ქვეყნ-ტანტური სინთეზი. ესეც ძველთაგან ცნობილ საზომთა პარმონიული მონაცვლეობის ნიადაგ-ზეა აღმოცენებული და მთელ ლექსში მკაყარათანაბარზომიერებას ემორჩილება: კენტ ტაქტებში მოწესრიგებულია ქორეულ-პონურის მეტრი, ლექს ტაქტებშიც — ოლონდ დაქტი-ლური კლავზულით. თავიდან ბოლომდე ურყე-ვია მეტრული ჩაჩიო.

ფაქტია ზეოტაემოვანი პოლიმეტრული სტროფების არსებობაც. საილუსტრაციოდ — გალაკტიონი, „ბარათაშვილი“:

ვდგავარ და გულთან მიპყრია ქნარი.

ვითარც ერცელია შუალამის ქამთა სიადე!

გრაილებს ქარი

უსაფრთ თანამოხეტიალე —

და განწირული აელერებით ეღერს ჩემი
ქნარი.

დღევანდელ ჩვენს პოეზიაში სანთლით საქებარი როდია უფრო მეტსაზომიანი სტროფებიც.

სამსჯელო სტროფიკა, რომელსაც მკვლევარი ვერ ამჩნევს, თუ თვალში არ მოსდის, მრავალ-საუკუნოვან ქართულ მწერლობაში, მოგვხსე-ნებათ, უცხო ხილი არ არის. უფრო მეტიც: უპირატესად პეტრომეტრული (არა სილაბურ-ტონური) ზანებათ იწერებოდა ჰიმნოგრაფიული პოეზიის ლიტერატურული კანონის გალობათა ჭლისპირები და მათი შესაბამისი დასდებულნი. დიდი და მცირე სტიქარონებიც. ავტორი არც-ერთს არ იხსენიებს. შესაძლოა, შემომდგომს და მოთხრას, ჩემი ინტერესების სფეროში მარტო სილაბურ-ტონური ლექსები შემოდისო. თუ ასეა, ორიოდ სიტყვით მაინც ხომ საჭირო იყო ამის თქმა? მაგრამ მაშინ რაღა უნდა გვექ-ნა მისი ნარკვევის სათაურისათვის?

ეპიგრაფიკული

მეფისტყაოსანი „დიონოსის“ და „ეზროსის“ საკითხისათვის*

„ვეფხისტყაოსნის“ 177-ე და 1492-ე სტროფებში დიდი ხანია მოიქცია რუსთაველის შემოქმედების მკვლევართა ყურადღება. ამის მიზეზი ის არის, რომ აღნიშნულ სტროფებში ერთგან მოხსენიებულია „დიონოსი“ და „ეზროსი“ (177), ხოლო მეორეგან — „დიონოსი“ (1492).

პირველი ცდა ამ სტროფების ახსნისა ეკუთვნის მეფე ვახტანგ VI. მისი აზრით, 177-ე სტროფში ნახსენები „დიონოსი“ არის დივანოსე არიოპაგელი, ხოლო „ეზროსი“ — ნიშნავს: ეზრა წინასწარმეტყველს. რაც შეეხება რუსთაველის მიერ შედარებისათვის გამოყენებულ, ჩვეულებრივ ვარდს, ვახტანგ VI მასაც სიმბოლურად განიხილავს და ამბობს: „...სამღვდელის საქმეს ვარდად ხდის და ამბობს ბრალად სამღვდელ ვარდი ცოდვით დათრთვილული იყოს და დაბრუნდეს: და რომელიც ლოცვისა და მარტვიანად ასე გამხდარი იყოს რომე ფერად ბაღაშს არა გეანდეს და იმას მარტვით ტანი რომ ლერწმის ზრასავით გახდომოდეს ის რომ მადლისაგან გაღარიბებულ იყოს და სასუფეველიდამ ვაბეზრებულ იყოს იმას აბრალეს“. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ვახტანგ VI არ ღალატობს თავის თავს და, ისევე როგორც სხვა სტროფებში, ამ სტროფებშიც ცდილობს რელიგიური, ქრისტიანული მოძღვრების ანარეკლი დაინახოს, რათა დამტკიცოს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საღმრთოცაა და საეროც“.

ვახტანგისეული ეს ახსნა ძნელად დასაჯერებელია და ფაქტობრივად რუსთაველისეული 177-ე სტროფის საკუთარი ნაზრევით შეესება. ვახტანგ შეეჭვებს აღნიშნული დასკვნის მისაღებად დასჭირდა განსახილველ სტროფში შეერთა სიტყვები: „სამღვდელის საქმე“, „ცოდვა“, „მადლი“, „ლოცვა და მარტვა“, ხოლო ჩვეუ-

ლებრივი ვარდი „სამღვდელ ვარდად“ მიეჩნია, ცხადია, ლექსზე ასეთი მანიპულაციების ჩატარების შემდეგ. ამა თუ იმ სტროფს, რა შინაარსიც გვინდა, იმას მივაწერთ. ვახტანგისეულ „თარგმანში“ ისიც აღსანიშნავია, რომ იგი სიტყვა „გაღარიბდეს“ დღევანდელი მნიშვნელობით იგებს და „გაუცხოვებად“ უცხო ქვეყანაში გადახვეწად არ ესმის (იხ. ავაკი შანიძე, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, 1957 წ.).

რუსთაველი 177-ე სტროფში „დიონოს“-ს და „ეზროს“-ს გარკვეული საქმის გამო ასახელებს, გვეუბნება, რომ მათ კარგად იციან ვარდის თვისება; იციან ის, თუ რა ემართება ვარდს დათრთვილისა და მოყინვისას, ვახტანგ VI განცხადებას იმის შესახებ, რომ აქ ნახსენები „დიონოსი“ — „დივანოსე არიოპაგელია“, ხოლო „ეზროსი“ — ეზრა წინასწარმეტყველი, აზრი იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ იგი მოიტანდა ან ერთის ან მეორის ნაწერებიდან ისეთ ადგილს, რომელიც იდენტურია ვეფხისტყაოსანში გამოთქმული აზრისა, რადგან ეს არ არის გაკეთებული, ვახტანგ VI განცხადება დაუსაბუთებლად მიგვაჩნია; ვახტანგ VI ახსნა მხოლოდ სახელების ერთგვარი მსგავსებიდან გამოშლინარეობს.

მეორე ცდა 177-ე სტროფის განმარტებისა ეკუთვნის თეიმურაზ ბაგრატიონს. მისი აზრით, აღნიშნულ სტროფში ნახსენები „დიონოსი“ დიონოსე არიოპაგელი კი არ არის, დიონოსე პალეოკრატორია. სიტყვა „ეზროსი“ თეიმურაზ ბაგრატიონი შემდეგნაირად განმარტავს:

1. ეზროსი — აზრზე თანხმობა (ესე იგი, დიონოსის ბრძენი თანახმა არს ამ ლექსის აზრისა). ეზროსი — ეაზროსი.¹

როგორც ვახტანგ VI, ისე თეიმურაზ ბაგრატიონი „დიონოს“-ს განმარტებას პოემა ვეფხისტყაოსანისა გვ. 32.

რატონიც ამ შემთხვევაში არაფრით არ ასაბუთებს თავის აზრს, და ჩვენ არც ის ვიცით, თუ რა საფუძველს ეყრდნობოდა ეს აზრი.

რაც შეეხება იმას, რომ ეზროს ნიშნავს ვითომდაც ეზროს ანუ იმავე აზრისააო, ძალზე ნაძალადევი აბსონა და აზრობრივად არ უდგება ამ ტყუპს.

ილიქსანდრე სარაქიშვილმა 177-ე სტროფი ყალბად გამოაცხადა და ამავე დროს ისიც დასძინა, რომ „ეზროს სახელით ეზდრა წინასწარმეტყველი ვერ იგულისხმება, იმიტომ, რომ ეზდრას მიწურობისა არა დაუწერია არა; ხოლო რაც შეეხება დიონოსის, დიდად საეჭვოა, რომ ეგ ბრძენი ეზდრაზე უადრესი ავტორიტეტი იყოს სამიწურთო საქმეში... რასაკვირველია, რუსთაველი ამისთანა სილამეს არ ჩადენდა და სამიწურთო საქმეში ლეთისმეტყველებს კი არ იმორჩებდა, არამედ მოშორებებს დაუთმობდა სიტყვას, რომელთაც ეს საქმე უკეთ შეუგნიათ“¹. საქმოდ საყურადღებო აზრია. მართალი ამ შემთხვევაში ლეთისმეტყველებს რაზე დაიმორჩებდა რუსთაველი?

ეახტანე მეექვსის ვარაუდი, რომ ვეფხისტყაოსანში ნახსენები „დიონოსი“ და „დიონოსი“ დიონოსე არეომაგელა, შემდგომში გაიმეორეს იუსტიტე აბულაძემ, შალვა ნუცუბიძემ, ალ. ბარამიძემ, გაიოზ იმედაშვილმა, ივანე ლორთქიფანიძემ და სხვებმა.

ვიქ. ნოზაძის აზრით, 177-ე სტროფში ნახსენები დიონოსი არ არის დიონოსე არეომაგელი, რადგან ამ სტროფში გამოთქმული აზრები არ მოიქცევა დიონოსე არეომაგელის შრომებში. თუმცა იგი იმასაც აღიარებს, რომ 1492-ე სტროფში ნახსენები „დიონოსი“ დიონოსე არეომაგელია. ამ მისი სიტყვებით:

„თუ „ბრძენი დიონოსი“-ის ქრისტიანული თეოლოგიურ-ფილოსოფიური დებულებანი ვეფხისტყაოსანში ადვილად მოსაძებნი და მისაგნებნი არიან და მისი მსოფლმხედველობას საფუძვლად ედებოდა, 177 შაირში „დიონოსი“-ს მიერ თითქოს ნათქვამი ფსიქოლოგიური დებულება „დიონოსი“-ის ანუ „დიონოსე არეომაგელი“-ს თხზულებებში არსად მოიპოვება და ამგვარად: „დიონოსი“ 117 შაირისა არ არის „დიონოსი“ 1492 შაირისა, ესე იგი „დიონოსი“ არ არის დიონოსე არეომაგელი“².

აქედ. აკაკი შანიძე 177-ე სტროფის ორიგინალურ განმარტებას იძლევა. მისი აზრით, სტროფი გადამწერთა მიერ დამახინჯებულია და იგი შემდგენიარად უნდა შესწორდესო: „ამ

საქმესა შემოწმების „დიონოსი“ ბრძენისა ეზროს“, ასეთი შესწორება არ არის მიზანშეწონილი, რადგან მართლ „დიონოსი“ კი არ შესწორდა, არამედ ამ შესწორებაში მოითხოვა სიტყვა „ბრძენი“-ს გადაკეთება „ბრძენისა“-დ. ეს შესწორება კი აღარ არის, არამედ ერთი ტყუპის მეორე ახალი ტყუპით შეცვლა. ამასთან, ესეც უნდა ითქვას: ასეთი შესწორების შემდეგაც სტროფი მაინც გაუშართავი რჩება, რადგან „შემოწმების“ შეიძლება ითქვას სუბიექტურ, პიროვნებაზე და არა რაიმე საგანზე ან ტრაქტატზე. თუ გასწორებაა, მაშინ ეს სიტყვა შესაბამისად უნდა გადაკეთებულიყო და „შემოწმების“ კი არ უნდა დაიწეროს, არამედ — „დავიწყოწმება“ ან: „დასიტყვებს“...

ამიტომ, ვიმეორებთ, ეს შესწორება ვერაფრით ვერ არის გამართლებული.

რაც მთავარია, აქედ. აკაკი შანიძემ თავისი დებულების გასამტკიცებლად ეზდრა წინასწარმეტყველის ტრაქტატიდან — „დიანოსიდან“ ვერ დაასახელა ისეთი ადგილი, რომელიც შესაბამისად 177-ე სტროფში გამოთქმულ აზრს, ხოლო მოყვანილი მაგალითი — „ოთხშაბათს და დიდგეს, ზამთარი იყოს ფიცხელ, ზაფხული ნოტიო“ არაფრისმეტყველია და არაფერ შუაშია.

ისიც აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსანში „ეზროს“ არის დამახტელებელი, წინასწარმეტყველს კი „ეზდრა“ ჰქვია. სიტყვა „ეზროს“ ვერ შეცვალა აკაკი შანიძემ, რადგან ამის საშუალება არ იძლევა რუსთაველის ლექსი. „ეზროს“ სიტყვის სწორი დაწერაში კი ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან ლექსი მკაფით არის გაწყობილი. ესეც აქედ. აკაკი შანიძის კონცეფციის წინააღმდეგ მტყუველებს. რუსთაველს არ გაუჭირდებოდა, თუ ეს მას მიზნად ჰქონდა, „ეზდრა“ დაეწერა და იგი არ დამახინჯებულია „ეზროს“-დ.

ამრიგად, არავითარი საბუთი არ არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ვეფხისტყაოსანში ნახსენები „ეზროს“ ეზდრა წინასწარმეტყველია.

ახლა განვიხილოთ პავლე ინგოროყვას მოსაზრება 177 სტროფში ნახსენები „დიონოსი“-სა და „ეზროს“-ის შესახებ.

პ. ინგოროყვას ამ სტროფის გაშიფვრა დასჭირდა თავისი ფანტასტიკური პოპოტეზის დასაბუთებლად — შოთა რუსთაველის სამშობლოდან განდევნის შესახებ. ამ მიზნით პ. ინგოროყვა 177-ე სტროფის პირველი ტყუპის შემდგენარ წყაიბვას გუთავაზობს:

„ამ საქმესა შემოწმების მე დიე ანი ბრძენისა ეზროს“.

¹ „მოამბე“, 1895, დეკემბერი. მეორე განყოფილება, გვ. 13-14.

² „კავკასიონი“, პარიზი, 1966 წ., გვ. 20.

მოგვიდგინა ნათესაობითი — „ბრძენის“ სახით. მაგრამ რუსთაველის ტექსტში ასეთი ცვლილებების შეტანამაც ვერ უშველა პ. ინგოროყვას, ამიტომ იგი ამ შეცვლილი ტექსტის ახალ ქართულზე „თარგმანს“ იძლევა. აქ უკვე მის ფანტაზიას ვერაფერი ვეღარ ბოკავს, და შემდეგ ტექსტს გვთავაზობს:

„მას შემოწმება მე „ღივანი“ ბრძენის
ეროსი: საბარლოა ოდეს ვარდი [— სახე]
ღაბორთელეზა, დაბრება [ცრემლით]! საბარ-
ლოა, როცა მიწნური, ფერნამართალი [ცრემლთა
ღენით], გაღუული [სუფთისაგან] ვით ლერწამი,
უცხოეთში გარდაიხვეწება საყარბოლად, განდგე-
ნილი („აბეზარ-ქმნილი“) მისი მამულიდან“.¹

პირველი ინგოროყვა იმასაც ამბობს, რომ: პოემის ტექსტთან ამ სტროფს არა აქვს პირა-
დაპირი კავშირი.² სწორედ, პოემის ტექსტთან
კავშირის უგულისხმებლად ამ სტროფის გან-
ხილვამ, კონტექსტიდან მისმა ამოგლეჯამ მი-
იყვანა პ. ინგოროყვა მცდარ და ფანტასტიკურ
დასკვნამდე.

როგორც ინგოროყვასეული „თარგმანიდან“
ჩანს, მას ბევრი რამის დამატება მოუხდა რუს-
თაველის ტექსტისათვის, რომ იქიდან თავისთ-
ვის საჭირო აზრი მიედო. მან შეიტანა ტექსტში
სიტყვები: „მე ღივანი“, „ბრძენის“, „სახე“,
„ცრემლით“, „მიწნური“, „ცრემლთა ღენით“,
„გაღუული“, „სუფთისაგან“, „უცხოეთში გადა-
ხვეწა“, „მისი მამულიდან“. ერთი სიტყვით პ.
ინგოროყვას მიერ თეთნებურად შეტანილი
სიტყვები ბევრად სჭარბობს ძირითად ტექსტს.
ძვლევაც ესაა!

მაგრამ საქმე ის არის, რომ ტექსტის მიმართ
ასეთმა ძალადობამ მაინც ვერ უშველა პ. ინგო-
როყვას, და მისი ფანტასტიკური ჰაიპოტეზა
იხვე დაუსაბუთებელი დარჩა.

იქ. ნოზაძემ ცხადყო, რომ ეზრას ღივან-
თან არაფერი საერთო არა აქვს ვეფხისტყაო-
ნის 177-ე სტროფს. იგი წერს: „ჩვენ გავეცა-
ნით იბნ ეზრას ყველა ის ლექსი, რომელიც
კარგად გარეგნულად მიიქცევა ახლოს უდგება
ვეფხისტყაონის 177 შიორს და სრულიად მი-
უღვამოდ უნდა აღვიაროთ, რომ არც ერთ
ლექსს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს
ვეფხისტყაონის შიორთან 177“.³

ამრიგად, საბოლოოდ გარკვეულად მიგვიჩ-
ნია, რომ 177-ე სტროფში ნახსენები „ეზროს“,
არ არის პოეტის ეზრა, და არც „დიონოსი“ არის
„ღივანი“ ანუ ლექსთა კრებული.

პროფ. შალვა ნუცუბიძის აზრითაც, 177-ე
სტროფში „დიონოსი“ არის ლექსთა კრებუ-

ლი ღივანოსი, ხოლო „ეზროს“ არის ამ კრე-
ბულის შემთხვევი, მე-12 საუკუნის პოეტი.
არაბულ ენაზე შეწერილი ეზროსი
ამ თავისი აზრის შესაბამისად თარგმნა კი-
დეც რუსულად შ. ნუცუბიძემ ვეფხისტყაონის
ეს სტროფი:

«Мудрый Эзрос в «Диваносе» сам
свидетельствует мне:
Если розы мерзнут, жалость вызывают
в нас вдвойне».
Лик-не лал, и стан колеблет
с тростниками паравие
Тот, кто, ставший одиноким, стынет
в чуждой стороне»⁴.

ეს რუსული თარგმანი ისევე რომ გადმოვა-
ქართულოთ, იგი შემდეგ სახეს მიიღებს: „ბრძე-
ნი ეზროსი „დიონოსი“ში თვითონ შემოწმება მე:

„თუ ვარდები იყინებიან, ორმაგ საბარალულს
იწვევენ ჩვენში“
სახე-ლად აღარაა, და ტანი ირგება
ლერწამთან ერთად,
ის, ვინც მართო რჩება, უცხო მხარეში
გათოშვება“.

საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს, თუ რო-
გორ განმარტებას იძლევა შალვა ნუცუბიძე თა-
ვის კომენტარებში. იგი წერს:

«Эзрос (Эзра) — поэт начала XII века, сти-
хи которого на арабском языке были собра-
ны в сборник под названием «Диванос» («Ди-
ванос», «Диянос») 177»⁵.

როგორც ვხედავთ, აქად, შალვა ნუცუბი-
ძე იმეორებს ღივანთ კარიჭაშვილის აზრს იმის
შესახებ, რომ „ეზროსი“ ნიშნავს XII საუკუნის
პოეტს ეზრას.

ივანე ლოლაშვილი წერს: „რუსთავე-
ლის მსოფლმხედველობის ისტორიული და
ეროვნული საწყისები“ — გამოსტყევის აზრს.
რომ 177-ე და 1492 სტროფებში ნახსენები
„დიონოსი“ და „ღივანოსი“ ერთი და იმავე პი-
როვნებას უსვლელ-დიონოსეს ნიშნავსო...⁶

ამრიგად, 177-ე და 1492-ე სტროფების გარ-
შემო დაგროვილი ლიტერატურის მიმოხილვის
შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ძველყვართა უმეტესობა ამ სტროფებს
გადამწერთა მიერ დამახინჯებულად სთვლის.
თვითნებურად ასწორებს და მათს თავისებურ
ინტერპრეტაციას იძლევა.

¹ შოთა რუსთაველი, «Витязь в тигровой
шкурке», перевод с грузинского Шалвы Ну-
цубидзе, стр. 60.

² იქვე გვ. 368.

³ შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული,
1966 წ. გვ. 82-85.

¹ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტო-
მი 1, 1963 წ. გვ. 214.

² იქვე, გვ. 214.

³ იბ. იქ. ნოზაძე, «კავკასიონი», პარიზი,
1966 წ., გვ. 20-33.

2. რუსთველილოვების ერთი ნაწილის აზრით, „დიონოსი“ ნიშნავს რაღაც კრებულს, „დიონოსი“, ხოლო „ეზროსი“ — ან ეზდრა წინასწარმეტყველს ან XII საუკუნის პოეტს ეზრას.

3. ზოგი მკვლევარის აზრით, 177-ე სტროფაში მოხსენიებული „დიონოსი“ და 1492-ე სტროფაში მოხსენიებული „დიონოსი“ ერთი და იგივე პიროვნებაა — ფსევდო-დიონისე არეოპაგელი.

4. არცერთი პიროვნება სათანადოდ არ არის მეცნიერულად დასაბუთებული და საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაჭრილი.

5. ამ ორი სტროფის სწორ ინტერპრეტაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მათზე დაყრდნობით, ზოგიერთ რუსთველილოვს ფრიალ შორს მიმავალი დასკვნები გამოჰქვს. ისინი ეტყობა შთაა რუსთაველის მსოფლმხედველობასა და მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ დეტალს.

ამრიგად, თუ 250 წლის მანძილზე მრავალმა მეცნიერმა მოახდინა კვლევა-ძიება, ვეფხისტყაოსნის 177-ე და 1492-ე სტროფების სწორად გაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებს შესწავლა და გადაწყვეტა ესაზიოროება.

ქვემოთ შევცდებით პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს:

1) ვინ არის 177-ე სტროფაში ნახსენები „დიონოსი“?

2) ვინ შეიძლება იყოს ამავე სტროფაში ნახსენები „ეზროსი“?

3) ვის გულისხმობს რუსთაველი 1492-ე სტროფის „დიონოსი“-ში?

4) სხვადასხვა თუ ერთი და იგივე პიროვნებაა 177-ე სტროფაში ნახსენები „დიონოსი“ და 1492-ე სტროფაში ნახსენები „დიონოსი“?

5) როგორია აღნიშნული სტროფების ჰერმეტიკი შინაარსი და რა კავშირი აქვს ამ სტროფებს საკუთრივ პოემასთან?

ამ საკითხების გარკვევისას შემდეგი პრინციპებით ვიხედომიწევს:

1) უფრო მართებულად, მეთოდოლოგიურად გამართლებულად მიგვაჩნია აღნიშნული სტროფები განხილული იქნეს მათ წინამდებარე და მომდევნო სტროფებთან მჭიდრო კავშირში, ვეფხისტყაოსნის თხრობითი ტექსტისაგან მოუწყვეტლად. ამ სტროფებს, გინდაც ისინი პოეტის ლირიკული წილსვლები იყოს, მაინც ორგანული კავშირი აქვს იმ თავებთან, რომლებსაც ისინი წინ უძღვის.

2) უნდა მოიქცნოს ისეთი „დიონოსი“ და ისეთი „ეზროსი“, რომლებსაც შეეფერება რუსთაველის სტროფებში გამოთქმული აზრი.

3) ცხადია, ისიც არის შესაძლებელი, რომ აღნიშნული სტროფები გადაწყვიტოს შეცდომას შეიკავს, მაგრამ ჩვენ კვლევისას მათ შეუსწორებლად განვიხილეთ, ისე როგორც ისინი მოცემულია ეპიტაფი VI გამოცემაში.

უპირველესად განვიხილოთ ვეფხისტყაოსნის 177-ე სტროფი:

„ამ საქმესა შემოწმების დიონოსი, ბრწყინვალესი“

საბრალაო, ოდეს ვარდი დაეთრთივალს,

და-ცა-ეზროსი, ვის ბადაში არა ჰგანდეს და ლერწამი

ტანად ეზროსი იგი სადმე გაღარბდეს, სამყოფთაგან იაბეზროსი“.

ამ სტროფით იწყება ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი თავი — „ავთანდილისაგან მის უმისა ძებნად წასვლა“. ამ სტროფის შინაარსი, ნათელი რომ გახდეს, იგი იმ თავთან უშუალო კავშირში განვიხილოთ, რომელსაც წინამდებარე რუსთაველმა.

აღნიშნულ თავში გადმოცემულია შემდეგი ამბავი: თინათინის დავალებით ავთანდილი სამი წლის ვადით მიდის უცხო მოყმის მოსაძებნად და მისი ამბის გასაგებად. პოეტი, პირველ ყოვლისა, გადმოცემს თავისი გმირის სულიერ მდგომარეობასა და განცდებს სატრფოსაგან განშორების გამო. ავთანდილის სულიერი მდგომარეობა, მისი გულისწუხილი, რომ გადმოცემს, რუსთაველი მიმართავს შედარებას: თინათინს მოშორებული ავთანდილი ვარდად არის წარმოდგენილი, რომელიც უშუალოდ (უთონათნოდ), სულ უფრო და უფრო ჰქნება; ავთანდილი ჰგავს ვარდს, რომელიც დათოვლა, დათრთივალა და მოიყნა.

„ავთანდილ იგი მინდობი ოთხ-აზმით

გარდაიარა, დაადო მზღვარი არაბთა, სხვათ მზღვართა

არე იარა, შავრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე

გაუზიარა; თქვა: „თუ მე მასცა ევახელ, აწ ცხელსა

ცრემლსა ვღერი არა“.

ახალმან ფიქქმან დათოვა, ვარდი

დათრთივალა, დანასა; მოუღდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის

დანასა; თქვის: „პირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი

ანასა მოეშორდი ლხიმსა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა

და წასა!“

ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჰქნებოდა,

გულსა უთხრის, თუ „დათოვო“, ამოდ არ ღია ბნელობდა“.

სწორედ ამ სტრაქონებს უძღვის უშუალოდ სადავო სტროფი, რომელშიაც რუსთაველი იმეწმებს „დიონოსი“-სა და „ეზროსი“-ს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვა და შ. ზუკობიძე ვერავითარ კავშირს ვერ ზედვენ ზემოთ მოყვანილსა და 177-ე სტროფის შორის; უკანასკნელს ისინი განიხილავენ, როგორც პოეტურ წილსელს, რომელშიც, ეთიმო, პოეტო თავის თავზე ლაპარაკობს. ჩვენი აზრით კი, 177-ე სტროფი ორგანულად არის დავაშვებულში მის მომდევნო სტროფებთან და მისი აზრით ნათელი ხდება, სწორედ დანარჩენ კონტექსტთან შეიძლება კავშირში განვიხილოთ. ის, რაც 177-ე სტროფში ზოგადად არის გამოთქმული, შემდეგ დაკონკრეტებულია ავთან-დილის კერძო მხატვრობაზე. ამიტომ ეს სტროფი შემდეგი შინაარსის შემცველია:

„საბარალოა, როდესაც ვარდი დათრთვილებია,
ყინვისაგან დიხვრება
ბადაშვითი წითელ ფერს დაკარგავს
(ბადაშს ალარ ემსგავსება), ლურჯიშვითი
სწორი ღერო შეიღლივით მოედუნება,
დაკარგავს თავის სიმშვენიერეს
(გალარბდება), და ამქვეყნიურ
სიცოცხლესაც გამოეშვიდობება,
ეს ქვეყანა მისთვის მოსაბუზრებელი გახდება.

ეს რომ ასეა, ამ საქმის დასტურში, მოწმე არის დიონისი — ღმერთი, რომელსაც ეზროს-საც უწოდებენ.

ვინ შეიძლება იყოს ის „დიონისე“ ან „ეზროსი“, რომლებსაც რუსთაველი იმორწმუნს, როგორც ვარდის დაქნობის საქმეებში ჩახედულებსა და უდიდეს ავტორიტეტებს?

პასუხი აქ მხოლოდ და მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: 177-ე სტროფში დამოწმებული „დიონისი“ არის ბერძენთა ოლიმპის ერთ-ერთი ღმერთი დიონისე. დიონისე ზომ ვახის, ყვავილების და საერთოდ უოველგვარი მცენარის ღმერთია, რომლის წყალობითა და შეოგებითაც იზრდება და ნაყოფს იძლევა ყველაფერი.

რამდენიმე ცნობა დიონისეს შესახებ:

დიონისე ზევსისა და სემელეს შვილი იყო. მას ამავე დროს ვაჟს ანუ ბახუსაც უწოდებენ. ბერძენებისათვის იგი ბუნების შემოქმედებითი ძალების განსაზღვრება, ნაყოფიერებისა და წარმოქმნის ღმერთი გახლდათ, იგი ყოველგვარი მცენარეთა მფარველი იყო, ამიტომ მას უწოდებდნენ აგრეთვე Dendrites (ბერძნულად — ხის). დიონისესთვის დამახასიათებელია ზამთრის ავღარში მკედრული ძილი, ხოლო შემდეგ — მკედრეთით აღდგომა, გაზაფხულზე გამოღვიძებულ აღორბინებულ ბუნებასთან ერთად¹. დიონისეს საიდუმლოდ იმართებოდა ზოლმე ანტიკატერები (ყვავილების დღე-

სასწაულო), რომლის დროსაც მისი მოწოდებით თავს იპოვებდნენ ყვავილებისაგან დანაშაულო გვირგვინებით, ხოლო დღესასწაულს უკანასკნელს ეს ყვავილები დიონისეს ღმერთს უწოდებდნენ.

დიონისე, რომელიც განასახიერებს, სიცოცხლის წვენი ალსავე მიწის ღვთაებრივ დოვლათსა და სიჭარბეს, აგრეთვე დაკავშირებულია სიკვდილთანაც. სიცოცხლე და სიკვდილი შარშანდელი ღვინო და ახალი ყვავილობა ერთმანეთს ხედებოდნენ გაზაფხულის დღესასწაულზე, რადგანაც მიწის წიაღში ერთად არსებობს: სიცოცხლე და სიკვდილი; აღორბინება და ჭკობა; მოსპობა შარშანდელი მცენარეულისა და ახლის ყლორტები.¹

როდესაც რუსთაველი 177-ე სტროფში ამბობს, რომ ვარდი სიცოცხლისაგან, თრთვილისა და ყინვისაგან შესაბარალსი ხდება, რადგან იგი წითელ ფერსაც კარგავს და მისი ღერო შეიღლივით წელში იხრებაო, გასაგებია, თუ რატომ იმორწმუნს დიონისეს. დიონისე რომ ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ვახის, ვარდ-ყვავილისა და, საერთოდ, მცენარეულის მეფეა... თუ არა მას, მაშ, ვის დამოწმებდა რუსთაველი?!

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თუ ვიტყვი, რომ 177-ე სტროფში ნახსენები დიონისი მითოლოგიური ღმერთი დიონისეა, ამით აიხსნება თითქმის ყველა ის წინააღმდეგობა, რომელსაც აქამდე ამ სტროფის განმარტებისას მკვლევარები აწუღებოდნენ, და აღარ იქნება საჭირო ჩვეულებრივი ვარდის „ღვთის ვარდად“ გამოცხადება (ეპიტაფ VI), სიტყვა „დიონისის“ პოეტურ კონტექსტში „დიონად“ გადგეგმვა, ამ სტროფის ყალბად მიჩნევა და სხვა.

დიონისის გარდა რუსთაველი რაღაც ან ენაღაც „ეზროსი“ იმორწმუნს. ვინ შეიძლება იყოს „ეზროსი“?

ჩვენს თავს უფლებას ვაძლევთ გამოვთქვათ უპრეტენზიო ჰიპოთეზა, რომელიც, ასე თუ ისე, შესაძლებელია, შეწარიტებლათან ახლოს იყოს.

177 სტროფში დასახელებული ეზროსი უნდა იყოს ოზირისი, ეგვიპტელთა ღმერთი, რომელსაც დასავლეთში დიონისესთან აიგივებდნენ. აი რას ვეთხურობთ ამის შესახებ — ერთ-ერთ გამოცვლაში მიიღებთ შესახებ:

«Когда Озирис стал царем, он избавил египет от трудностей их убогой полужизни и жизни, обучил их земледелию, дал им законы, и научил воздавать почести богам. Затем он двинулся в путь, чтобы умротожить всю землю, причем, ему для этого не понадобилось оружия. Он достигал этого речами, правдами доводами, звуками музы-

¹ Большая энциклопедия, т. VIII, С.-Петербург, 1902 г., гл. 534—538.

¹ Теречини-Вольдапфель Имре, Мифология, 1959, гл. 157.

კი. Поэтому его отождествляют с Дионисом¹.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბერძენთათვის ოზირისი იგივე იყო, რაც დიონოსი. მათ შორის მართლაც ბევრი რამ არის საერთო.²

შეიძლება ეს კარგად იცოდეს რუსთაველმა და ამიტომ ერთი და იმავე საქმის დასაშორებლად ორი ტოლფასიანი ღმერთი დაასახელა: დიონოსი და ეზროსი ანუ ოზირისი.

ეს თუ მართლაც ასეა, მაშინ აღარავითარი გეგმა აღარ უნდა იყოს იმისა, რომ 177-ე სტროფში დამოწმებული „დიონოსი“ არც დიონოსე არეობაგელია, არც დიონოსე ჰალიკარნასელი, არც ლექსთა კრებული „დიონი“ პოეტი ეზრასი, არამედ ბერძნული მითოლოგიიდან აღებული მეცნარეთა მფარველი ღმერთი დიონოსი, რომელიც ცნობილია აგრეთვე ეპიკოსა (ბაკი) და ბახუსის სახელწოდებითაც.

ეფესისტყაოსნის 1492-ე სტროფში მოხსენიებულია აგრეთვე ვინმე „დიონოსი“, რომელსაც რუსთაველის მკვლევარნი ერთხმად სთვლიან დიონოსე არეობაგელად.

შავალითად, ივანე ლოლაშვილი ამ სტროფის ასეთ ახსნას გვთავაზობს:

„საგანგებო ვახილვას მოითხოვს რუსთაველი მოძღვრება სიკეთისა და ბოროტების შესახებ. როგორც ცნობილია შ. ნუცუბაძისა და ე. ნოზაძის შრომებით, ამ მოძღვრებას საფუძვლად უდევს ფსევდო-დიონოსე არეობაგელის სწავლანი საღმრთოთა სახელთათვის. ეს სწავლანი დატულია არეობაგიტული წიგნების ეფრემ მცირისეულ თარგმანში, რომელიც რუსთაველისათვის კარგად ყოფილა ცნობილი...“

თუ ეს მოძღვრება თეორიულად და მხატვრულ სახეებში განავითარა რუსთაველმა, იგი ფსევდო-დიონოსის (?) სახელდებით იხსენიებს ორჯერ (177,1; 1492):

ამ საქმესა მეოწმების დიონოსი, ბრძენი
ეზროს...

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიონოს
გაცხადებს:

ღმერთი კარგსა მოველინებს არ, ბოროტსა
არ დაჰმადებს,

ავსა წამერთ შეამოკლებს, კარგსა
ხანგრძლიად გავცვლადებს;

თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს არ
ახადებს.

პირველ შემთხვევაში თუ პოეტი დიონოს ბრძენს მოწმედ ასახელებს დაფარული საქმის

ამოსაცნობად (?), მეორეგან იგი ბოროტად იმეორებს მის მოძღვრებას სიკეთისა და ბოროტის შესახებ. იგი წერს: ამ დაფარულ საქმეს (ე. ი. ქაჯთაგან ნესტანის განთავისუფლებას) ბრძენი დიონოსი გამოამყდენებს (რადგანაც იგი ამბობს): ღმერთი კარგს (სიკეთეს) მოველინებს და ბოროტს არ დაჰმადებს: ავ (საქმეს) ერთ წამში მოსპობს, კარგ (საქმეს კი) ხანგრძლივ და ხშირხმირ იმეორებს (ამით ღმერთი) თავის უკეთეს თავს (ანუ თავის კეთილობასა და სახიერებას) უზადოს (უნაქლოს) ჰხდის, არ ახადიანებს!³

ეს ადვილად ივანე ლოლაშვილის შრომიდან — „რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები“-დან ასე ვრცლად იმიტომ ამოვიწერე, რომ მასში რამდენიმე უხეში შეცდომაა.

1. ივ. ლოლაშვილი გვარწმუნებს, რომ ვითომ რუსთაველი ორჯერ იხსენიებს „სახელდებით“ ფსევდო-დიონოსს — 177-ე და 1492-ე სტროფებში. ეს განცხადება არ შეეფერება სიმართლეს და, უკეთეს შემთხვევაში, სტილისტური ლაფტისა.

სინამდვილეში რუსთაველი „სახელდებით“ ერთგან ასახელებს „დიონოსის“ (177,1), ხოლო მეორეგან — „დიონოს“-ს (1492) და არსად — ფსევდო-დიონოსს. ივ. ლოლაშვილის განცხადებას, თითქმის მოხსენიებულია ფსევდო-დიონოსე, მხოლოდ შეტყუანა შეუძლია მკითხველისა.

2. 177-ე სტროფში, სადაც ნახსენებია — „დიონოსი“, არავითარ დაფარულ საქმის ამოცნობაზე არ არის ლაპარაკი, როგორც ამაში გვარწმუნებს ივ. ლოლაშვილი. სინამდვილეში „დაფარული საქმის გაცხადებაზე“ ლაპარაკია მეორე შემთხვევაში, კერძოდ, 1492-ე სტროფში.

3. 1492-ე სტროფში რუსთაველი არ ხმარობს სიტყვებს — „კეთილს“, „სიკეთეს“, არამედ უფლებად ხმარობს სიტყვა კარგსა: „ღმერთი კარგსა მოველინებს“, „კარგსა ხანგრძლიად გავცვლადებს“. ამიტომ ივ. ლოლაშვილს, რუსთაველი „კარგის“ გვერდით, ფრჩხილებში თავისი „სიკეთის“ შეტანა უხდება.

შოთა რუსთაველისათვის „კარგი“ და „კეთილი“ ერთი და იგივე არ არის. მისთვის „კარგი“ „ავის“ საპირისპირო ენება, ხოლო „კეთილი“ — „ბოროტისა“.

ამრიგად, ამ სტროფში რუსთაველი კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებას კი არ ახდენს, როგორც ივ. ლოლაშვილი და სხვები ფიქრობენ, არამედ კარგისა და ავის შეპირისპირებას.

შოთა რუსთაველის ეფესისტყაოსნში სიტყვა

¹ შოთა რუსთაველი, სიუბილევო კრებული, „მეცნიერება“, თბ. 1966 წ., გვ. 82-83.

¹ Терещини-Вальдапфель Имре, Мифология, М. 1959 г., стр. 444.

² Матье М. Э., «Древнеегипетские мифы», Изд. А.Н. СССР, М.-Л. 1956 г., гл. 52-63.

ქარტი 62-ჯერ არის ნახშირი და უცოვლეთის, არა
სიკეთის (добро), არამედ უმჯობესის (хоро-
шо, хороший) მნიშვნელობით. აი, რამდენიმე
ტიპობრივი მაგალითი: „შვირია ამად ქარტი“
(12,4); „შესაშე ლეკსი ქარტია სანადამოდ“
(17,1); „ამაშესაცა ქარტისა სტოზობა“ 462,4
სტეზისა ქარტისა მჭობა“ 38,2 „ესა ქარ-
ტად ვერცხნ შესცვლის“ 185,4 და სხ.

აქ მოყვანილ ბოლო მაგალითში, როგორც ვხედავთ, ავი და კარგი უშუალოდ არის დამირისპირებული, როგორც ანტიპოდი ცნების.

სიტყვა „კეთილი“ ეფიხისტყაოსანში 7-ჯერ არის ნახმარი, და უკლებლან როგორც ბოროტის საპირისპირო ენება, ხოლო რაც შეეხება „ბოროტს“, იგი არსად არ არის დაპირისპირებული ავრგვან.

რამდენიმე მაგალითი საილუსტრაციოდ:
„უცან სიოყელე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ (1435,4); ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია“ (1361, 4); ბოროტიმცა რად შეეჭმნა კეთილსა შემოჭმელსა“ (113,4); „ბოროტი სცეალო კეთილად (1652,4); „თქვეს: ბოროტსა უმყოფო, კეთილნია შენთვის მზანი“ (1509,4); როგორც ეხადეთ, ყველგან ბოროტს კეთილი უმირისპირდება და არსად — კარგი და ბოროტი.

ამრიგად, რუსთაველისათვის „ქარტი“ და „ქეთილი“ სხვადასხვა ცნებებია და მათი გაიგივება არ უნდა იყოს სწორი. ზოგიერთ მკვლევარს ამ ცნებების გაიგივება და „ქარტის“ „ქეთილად“ შეცვლა იმიტომ დასჭირდა, რომ 1492-ე სტაროფში გამოთქმული აზრი ფსევდო-დიონისეს მიერ ბოროტებისა და კეთილის შესახებ „საღმართთა სახელათათს“-ში გამოთქმული დებულებებისათვის მიესადაგებინა.

ქვე უნდა შევინიშნოთ, რომ ამის შემდეგ გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი მეკლევარის ის მთავარი არგუმენტა, ვითომც ფსევდო-დიონისე არეომაგელის შრომაში — „საღმრთოთა სახელთათჳს“ — ბოროტისა და კეთილის შესახებ გამოთქმული აზრები ზუსტად ინახტვოდნენ 1492-ე სტროფში გამოთქმულ შეხედულებას.

1492-ე სტროფში ლაპარაკია ავისა და კარგის ურთიერთობაზე, ზოლო ფსევდო-დიონისეს ნაშრომში — ბოროტსა და კეთილზე. ფსევდო-დიონისე არეკობაგელის აღნიშნულ ნაშრომში ყარაზე ან ავეზე არსად არ არის ლაპარაკი. იქ არ არის არცერთი ადგილი, სადაც ყარა და კეთილი სინონიმებად გვევლინებოდეს. ფსევდო-დიონისე მხოლოდ კეთილის ცნებას იყენებს.

4. სიტყვა „უკეთესი“ ივ. ლოლაშვილი განმარტებს, როგორც კეთილობისა და საბიერებას; სინამდვილეში კი „უკეთესი“ 1492 სტრაფის

მეოთხე ტავეში ნიშნავს — *пачушек* უფრო
კარგს, გაუმჯობესებას.

5. მეოთხე ტაეში იმაზე ცხადყოფა, რომ ვითომც ღმერთი (თავის) თავის უფროს ვაზდის, აზამელ იმაზე, რომ ღმერთი ყარვს უფრო გააუქმებებს, უნაყოფოს ხდის და არ აცნობებს.

6. ერთი არგუმენტიც რჩება იმ პირობების სასარგებლოდ, რომ 1492-ე სტრატეგია ნახსენებში „დიენოსი“ დიონისე არეოპაგელია. ეს არის ერთგვარი მსგავსება ამ ორ სახელს შორის. მაგრამ, თუ მსგავსების ესოდენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მაშინ განსხვავებამაც უნდა გავწიოს ანგარიში. როგორც ცნობილია, არეოპაგელის მიმართ არც ქართულში და არც ბერძნულში არ არის ხმარებული სახელი „დიენოსი“.

ამიტომ, არ შეეფერება სინამდვილეს ივ. ლავსკის განცხადება, რომ ფსევდო-დოქტრინის სახელდებით იხსენიება ვეფხისტყაოსანში. პირიქით, „სახელდებით“ არ იხსენიება, ხოლო ის შესავსება, რომელიც შეინიშნება „დიონისესა“ და „დიდოსნოს“ სახელდების შორის, არ იმართება საფუძველს ისეთი კატეგორიული განცხადებისთვის. ცხადია, უფრო სწორი იქნებოდა, უფრადლება იმ გაარკვევებისთვის მივაქციოთ, რომ რუსთაველის მიერ ნახსენები „დიდოსნო“ განსხვავდება საყოველთაოდ მიღებულ გამოთქმისაგან.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ: ჭრჭარობით არ მოგვეპოვება არც ერთი ისეთი ხელ-მოსაქიდეგელი საბუთი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდეს გადაჭრით თქმა, რომ 177-ე სტროფში დამოწმებული „დიონოსი“ და 1492-ე სტროფში ნახსენები „დიენოსი“ იგივეა, რაც ფსევდო-დიონოსე არეოპაგელი. ამ დებულების საწინააღმდეგო საბუთები კი, როგორც ვნახეთ, საიმარისოდ მეტია.

ვიდრე გამოცემად ვამდებო ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს 1492-ე სტროფში ნახსენები „დიდენოლი“, განვიხილოთ ეს სტროფი კონტექსტთან მჭიდრო კავშირში.

1492-ე სტროფით იწყება „ვეფხისტყაოსნის“- თავი, რომელსაც ეწოდება „სამთავანდე ქვაბისა მისლვა და მუნით არაბეთს წასლვა“. ეს თავი კი ვეფხისტყაოსანში იმის შემდეგ არის მოთავსებული, რაც სამმა ძმადნაფიცმა ნესტან-დარეჯანი ქაქეთის ციხიდან გამოიხსნა; ჯერ ზღვათა მეფემ, შემდეგ კი ფრიდონმა ნესტანსა და ტარაელს ქორწილი გადაუხადეს და ტარიელსა და ნესტანს აღარაფერი აქ უშლიდა ზღეს, რომ ინდოეთში დაბრუნებულიყვნენ და კანონით კეთონილი სამეფო ტახტი დაეკავებინათ. ამ მომენტისათვის პოემის ტრავიული კონფლიქტი გადაწყვეტილია. — ბოროტსა მსლია კეთილმც, ზოროტება დათრგუნვილია; ამის შესახებ აბაერთვას ლაპარაკობენ თეიმურაზისა და დედოფლისა.

თონ პოეტი და მისი გმირებიც. და ამ სწორედ ამ დროს რუსთაველი ახალ თავს, როგორც ეწოდება „სათაგანე ქებას მისლვა და მღწიო არაბეთს წასლვა“, იწყებს სტროფით, რომელშიც ასხენებს დიონოსს:

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიონოს
გაცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს, ავბოროტსა
არ დაბადებს,
აესა წამერთ შეამოყლებს, კარგსა ხან-
გრძლად გააკვადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ყოფს,
არ აზადებს!¹

ვიდრე გაეარკვევდეთ, თუ რუსთაველი, ძირითადი კონფლიქტის გადაწყვეტის შემდეგ, სწორედ ამ თავში რატომ იწყებს რაღაც განწყევლულ მსგავსებას, ენახოთ, რა არის ნათქვამი ამ სტროფში. მაშინ გაირკვევა, თუ რისთვის დასჭირდა რუსთაველს სხვისი დამოწმება. ამის შემდეგ კი აღვილი იქნება იმის დადგენა, თუ რომელ „დიონოსზე“ აქ ლაპარაკობ.

პირველ სტრიქონში ნათქვამია:

„ამ საქმეს (აქ ჭერ არ ციოთ რა საქმეზეა ლაპარაკი) დაფარულს (ანუ აღამიანათვის მანამდე, დიონოსმდე მიუწვდომელს, საიდუმლოებით მოცულს) ბრძენი დიონოს (ვიღაც-ღმერთი ანდა აღამიანი, რომელიც ბრძენია) გაცხადებს (ანუ იმდენად ნათელს გახდის, რომ იგი დიფარული აღარ იქნება). მეორე, მესამე და მეოთხე სტრიქონებში რუსთაველი უკვე გვეუბნება, თუ ბრძენი დიონოსი რომელ დაფარულ ანუ საიდუმლოებით მოცულ საქმეს გახდის ცხადს ზევთის, ანუ გაცხადებს, კერძოდ იმას, რომ ღმერთი კარგს მოავლინებს, ავბოროტს არ დაბადებს, აესა არსებობას შეუშოკლებს, კარგს გაახანგრძლივებს მრავალგზის. კარგთაგან უკეთესს უფრო სრულყოფს და არ დაანაკლავს.

გორაკზე სიკეთის გამარჯვება დამთავრებულია ნესტან-დარეჯანის გამოხსნის და ტაბიელისა და ნესტანის შეუღლებით; ამას მოჰყვა მეორე უკეთესი, კარგი საქმე — თანათონისა და ავთანდილის ქორწილი; ესე იგი, ღმერთმა უფრო სრულყო, გაახანგრძლივა, გააკვალა სამი გმირის მიერ მოპოვებული გამარჯვება. კარგ საქმეს უკეთესი მოაყოლა. ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რომ ვეფხისტყაოსნის ფინალურ თავებს სწორედ 1492-ე სტროფი წარუშლდარი.

ღმერთი აეს ამოკლებს, კარგს კი ახანგრძლივებს, გააკვალა, ანუ ისევ და ისევ იმეორებს, კარგს სრულყოფს, უფრო გაუკეთე-

სებს, არ დაკნინებს. რუსთაველი ამბობს, ამ დაფარულ საქმეს, ბრძენი დიონოსი აკრებდა.

1492-ე სტროფში გამოთქმულ შემდეგნაირ ბრძენობაში ვეფხისტყაოსნის მთელი კერძოდ, პოემის გმირების არაბეთში დაბრუნება, თინათონისა და ავთანდილის შეუღლება, ტარიელისა და ნესტანის ინდოეთის ტახტზე ასვლა, ამათონის ინდოეთის ერთ მემკვიდრე გემედზე და მისთვის უკვე სამეფო უფლებების მინიჭება და ის საყოველთაო ზედინერება, რომელმაც დაისადგურა მათს სამეფოებში, როდესაც „მიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სმოედეს“. (1664/4).

ასეთია ამ სტროფის აზრი და მნიშვნელობა ვეფხისტყაოსანში.

ახლა შევვიძლია დავსვათ სრულიად კანონიერი კითხვა: ვინ არის ის დიონოსი, რომელიც ასეთ საქმეებს აკეთებს — აეს ამოკლებს, კარგს აკვალავს, სრულყოფს და დაკნინებს? საშუალებას არ აძლევს?

როგორც მოგახსენეთ, დღემდღოებით რუსთაველოლოგიაში გაბატონებულია აზრი, რომ 1492-ე სტროფში ნახსენები „დიონოსი“ ფსევდო-დიონოსე არეოპაგელია.

აკად. ალ. ბარამიძე, თავის უკანასკნელ წიგნში, რომელშიც შეგამებული და განმეორებულია თანამედროვე რუსთაველოლოგიაში გაბატონებული შეხედულებები, შემდეგს წერს: „შალვა ნეტუბიძის დასაბუთებად უნდა ჩათვალოს იმ დებულების წამოყენება და დამატება, რომ რუსთაველის ვეფხისტყაოსანს დასტოვია ე. წ. არეოპაგეტული ქრისტიანობის ზემოქმედების ძლიერი ნაკვალავი. ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთ სტროფში (1492) დამოწმებულია თვითონ ე. წ. დიონოსე ან ფსევდო-დიონოსე არეოპაგელი და ამ სტროფის ფარგლებში პოეტური ენით, მოკლედ და სხარტად გადმოცემულია არეოპაგეტული მოძღვრების არსი (როგორც ეს აღნიშნული აქვს შ. ნეტუბიძეს). აი შესაფერისი ტექსტი“. აქ მოტანილია ვეფხისტყაოსნის 1492-ე სტროფი. რის შემდეგ ალ. ბარამიძე აგრძელებს: „მოყვანილი ტექსტის ბრძენი დიონოს უნდა იყოს დიონოსე არეოპაგელი. აქ მკაფიოდ ასახულია არეოპაგეტული თეოლასტისი კეთილთა და გარბობის შესახებ...“²

აკად. შ. ნეტუბიძე ძურნალ „მნათობის“ 1968 წლის მეთერთმეტე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში გვამცნობს: „დიონოსი ანუ ფსევდო-დიონოსე (იგივე პეტრე იბერია), რომელიც მოხმობილია რუსთაველის 1492-ე სტროფში „დაფარული საქმის“ ვასაცხადებლად, ფილოსოფიური საყრდენია ცხოვრების რუსთაველური ფილოსოფიისა... ეს ბრძენი დი-

¹ ამ სტროფის მეორე ტაევი მოყვანილია აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის მიერ 1966 წ. გამოცემულ „ვეფხისტყაოსნიდან“.

² ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ. 1966 წ. გვ. 204-205.

ნოსის, ესე იგი ფსევდო-დიონისეს (ანუ პეტრე იბერის) ფილოსოფია, რომლითაც სუნთქავს რუსთაველის შემოქმედება“ (გვ. 134).

ჩვენი აზრით, როგორც 177-ე ასე 1492-ე სტროფში დასახელებული „დიონისე“ დიონისე არეოპაგელი კი არ არის, არამედ ძველი ბერძნული მითოლოგიიდან აღებული ღმერთი დიონისეა, რომელსაც კარგის დანერგვას მიაწერდნენ და სრულყოფილ ძალად თვლიდნენ.

ვეფხისტყაოსნის 1492-ე სტროფში ნათქვამია, რომ „თავსა მისა უყუოესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“, ესე იგი დიონისე სრულყოფს, აუყოფსებს ყველაფერს. დიონისე ღმერთის ეს თვისება შემდეგნაირად აქვს გადმოცემული პლატონს თავის „ფედონში“:

«Иступление божественное, — дар четырех богов, разделенный мы на четыре вида: пророческое, внушаемое Аполлоном; усовершенствительное, производимое Дионисом; поэтическое, происходящее от муз, и четвертое — эротическое, посылаемое Афродитой и Эросом»¹.

როგორც ვხედავთ, პლატონის მიხედვით, დიონისე სრულყოფს ღმერთთა, დიონისე ღმერთთათვის დამახასიათებელია სიბრძნე. იგი ძალდატანებით, იარაღის ძალით ვი არ ასწავლიდა აღმსარებელს ეკლესიის დარგვას, ღვინის დაყენებას, არამედ მუსიკისა და ბრძნული სიტყვების, საუბრის მეოხებით. მუსიკით, ბრძნული სიტყვით ამცნობდა იგი მოკვლად, აღმსარებელს, მათთვის დაფარულ ზეცის ნება-სურვილს.

ამიტომ, 1492-ე სტროფის პირველი ტაქები: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძნენი დიონოს გააცხადებს“ შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: დიონისე, ისევე როგორც სხვა ოლიმპიელნი, ბერძნული მითოლოგიის თანამად, არის თავისი მამის ზეცის ნება-სურვილის აღმსარებლები. ამ ქვეყნად განმამორცდილებელი, ამიტომაც, დიონისე ანუ „დიონისი“, რუსთაველის მიხედვითაც, მოკვლავთათვის დაფარულ საქმეს, ზეცის ნება-სურვილს ზარკის ასახვას, ნათელ-ჰყოფს, ცხადქმნის, „გააცხადებს“. ხოლო თუ რა საქმეს „გააცხადებს“ დიონისი ანუ ღმერთი დიონისე, ამის შესახებ რუსთაველი უკვე მომდევნო მე-2, მე-3 და მე-4 ტაქებში ლაპარაკობს. პირველ ყოვლისა, — ამბობს იგი, — ღმერთი ქვეყნად კარგის მომვლინებელია და ავბოროტს არ დაბადებს; ავს ღვს უმოკლესს, სპობს, ზოლო კარგს ახანგრძლივებს, ამრავლებს, გაავლადებს; ღმერთი კარგზე უკეთესს უფრო სრულყოფს და არ დაყენინებს — აი, რა საქმეს აკეთებს დიონისეს ანუ დიონისის შემეფობით ღმერთი ამ ქვეყნად.

ამრიგად, ჩვენი აზრით, 1492-ე სტროფში ნახსენები დიონისი ბერძნული-მითოლოგიიდან აღებული ღმერთი დიონისე უნდა იქნას, რომელიც საქართველოში ბახუსის სახელწოდებით იყო ცნობილი და ორიონისთანაც (ანუ ეზროსთან) აიგივებდნენ.

ახლა, გადასაქრელი ზღვრა ერთი საკითხი: 177-ე სტროფში დამოწმებული „დიონისი“ და 1492-ე სტროფში ნახსენები „დიონისი“ ერთ და იმავე პირს აღნიშნავენ თუ სხვადასხვას? მივლევართა აზრი ამ საკითხზე დამატებით უნდა საწინააღმდეგოა. ერთი ამბობენ, 177-ე სტროფში დამოწმებული „დიონისი“ არ არის დიონისე არეოპაგელი (ვიქ. ნოზაძე, ა. შანიძე) ხოლო 1492-ე სტროფში ნახსენები „დიონისი“ ნამდვილად არის დიონისე არეოპაგელი; შ. ნუ. ცუბიძის, ალ. ბარამიძის, ივ. ლოლაშვილისა და სხვების აზრით კი ორივე სტროფში ერთი და იგივე პიროვნება — დიონისე არეოპაგელი იგულისხმება.

ჩვენი აზრით, 177-ე და 1492 — სტროფებში ერთი და იგივე პირთან ვაქვს საქმე, ლოლენ, იგი, დიონისე არეოპაგელი კი არ არის, არამედ ბერძნული მითოლოგიის ღმერთი დიონისეა. ამ ღმერთების სასარგებლოდ შემდეგი ლაპარაკობს: 1. რუსთაველი დიონისისა და დიონისისათვის ერთიდა იმავე ეპიტეტს ხმარობს „ბრძენს“; ერთგან — „დიონისი ბრძენი, ეზროს“, მეორეგან — „ბრძენი დიონისი გააცხადებს“, 2. აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველი ორივე სტროფს ერთი და იგივე სიტყვებით იწყებს: „ამ საქმესა მე-მოწმებს“ (177), „ამ საქმესა... გააცხადებს“ (1492). როგორც ვხედავთ, ორივეგან იმას, რაზეც იგი დიონისისა და დიონისის იმორჩებს, „საქმეს“ უწოდებს. ეს „საქმე“ ორივესათვის ერთი უნდა იყოს. ეს „საქმე“ იმდენად აბსოლუტს მათ, რომ ისინი ერთი და იგივენი უნდა იყვნენ.

3. ორივე სტროფის მთელი შინაარსი, როგორც დავინახეთ, იმაზე მეტყველებს, რომ თუმცა ამ სტროფებში დიონისეს სახელი სხვადასხვანაირად არის დაწერილი, ერთგან „დიონისი“, მეორეგან — „დიონისი“, მაინც ერთსა და იმავეს აღნიშნავს, ერთ პიროვნებას გამოხატავს. „დიონისი“ და „დიონისი“ რუსთაველისათვის ერთი და იგივეა.

რაც შეეხება სჯავსხვანაირ დაწერილობას, ეს შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას:

ა) შესაძლებელია, რომ ხმოვანი „ო“ რუსთაველს თანხმოვანი „ვ“-ით 1492-ე სტროფში ლექსის რიტმის გულისთვის შეცვალა. მას აქ „დიონისი“ რომ ეხმარა, ერთი პირველი მეტი მოდიოდა.

ბ) ისიც ცნობილია, რომ ბერძნულად დიონისეს რამდენიმეხანაირი დაწერილობა არსებობს: დიონისიოს (დიონისიოს), დიონესოს (დიონე-

¹ Платон, Сочинения, часть IV, 1863, стр. 91.

სას) დიონისოს, დიონისოს, დიონისოს! აგრეთვე დიონისოს უწოდებენ ვახტს, ლითონურად Bacchus ანდა liber მისტიკურებაში — იაქსს. ეტყობა ეს შოთა რუსთაველმა კარგად იცოდა (დიონისოს-დიონისოს; დიონისოს-დიონისოს) და შესაძლებლად ჩათვალა ვეფხისტყაოსანში სხვადასხვა გამოთქმის გამოყენება. ამით მას დიდი ცოდვა არ ჩაუდენია მართლწერის წინაშე.

4. ვეფხისტყაოსანში ერთგან ნახსენები „დიონისოს“ და მეორეგან — „დიონისოს“ რომ ერთი და იგივეა, კერძოდ — ბერძნული მითოლოგიიდან აღებული ღმერთი დიონისე, ამანვე აღნიშნულ სტროფებში ჩაქსოვილი შინაარსიც მეტყველებს. ორივე სტროფში ნათქვამი შეესაბამება, არ ეწინააღმდეგება დიონისეს კელტს და მითოლოგიის მიხედვით მის, როგორც ღვთაებას, ფუნქციას შეადგენს (ამის შესახებ ზემოთ გვეჩვენა საუბარი).

ამრიგად, შევეძლია დავსაყენოთ:

1. ვეფხისტყაოსნის 177-ე სტროფში დამოწმებული „დიონისოს“ და 1492-ე სტროფში ნახსენები „დიონისოს“ ერთი და იგივეა, ოღონდ — სხვადასხვა დაწერალობით წარმოდგენილი.

2. ხსენებული „დიონისოს“ და „დიონისოს“ ღმერთი დიონისეა, აღებული ბერძნული მითოლოგიიდან, რომელსაც ოზირისთანაც ანუ უბროსთანაც იგივეებენ და, რომელიც, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ადამიანთათვის ამ ქვეყნად წერგავდა, აერცელებდა და ზღაგრებლობდა ვახტს, ვარდ-უვალით და, საერთოდ, მცენარეულობას. ამის გარდა სრულყოფის ღმერთადაც არის ცნობილი, რომელიც კარგს წერგავდა და სრულყოფდა სიმღერითა და ბერძნული სიტყვით.

დასასრულს, საკითხთა ორი რიგი გვჩნება გასარკვევად:

1. რამდენად კანონზომიერია ვეფხისტყაოსანში ბერძნული მითოლოგიიდან აღებული დიონისე ღმერთის მოხსენიება? ხომ არ არის ისეთი რამ, რაც ეწინააღმდეგება, აბათილებს დიონისეს ხსენების შესაძლებლობას? შეეძლო თუ არა სკოდნოდა შოთა რუსთაველს დიონისეს ასებობა და შეეძლო თუ არა მემართნის მისთვის მხატვრული სახის შესაქმნელად? და, ბოლოს, რამდენად გასაგები იქნებოდა ქართული მკითხველსათვის დიონისეს სახე?

2. რატომ ჩათვალა ზოგიერთმა რუსთაველოვმა ვეფხისტყაოსანში ნახსენები „დიონისოს“ და „დიონისოს“ დიონისე არეოპაგელად, ანუ სად უნდა ევბოთ ამ შეცდომის სათავე?

პირველი რიგის საკითხებზე დადებითი პასუხი არსებობს.

შუასუუენებში და მანამდე შექმნილ ლი-

ტრატორულ წყაროებში — მატრიანეებში, ჩაბრუხადის „თამარიანში“, იოანე შავთელის „აბდელუმესიანში“ ქართველი ავტორები ხშირად მამართავენ ბერძნულ მითოლოგიას და იხსენიებენ ოლიმპოს ღმერთებს.

მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა...“-ში ვკითხულობთ: „...ხოლო რუმელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: „აბოლონ და არტემი არიან დიდნი ღმერთნი“.1 მართალია, აქ ლეონტი მროველს მათი ხსენება იმისათვის დასჭირდა, რომ კერძოთაყვანისმცემლობის წინაშე ქრისტიანული რელიგიის უპირატესობა დემტაცებინა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველები კარგად იცნობდნენ ღმერთებს — აბოლონსა და არტემიდას.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხშირად იხსენიებს „უმიროსს“ ანუ პომეროსს და მის მითითურ გამტრებს — აღამშენს, პრიამოს, აქილევსს, ეკტორს (პეტტორს), ოდესეოს, ორესტოს,2 აგრეთვე — აქილევსის აღმზრდელს, მითითურ არსებას ნახევრად ცხენის და ნახევრად კაცის ტანის მქონეს — ენტავრს.3

ქართლის ცხოვრებაში, კერძოდ „აზმანში...“ თამარ მეფის ეპითეტებად იხსენიება ულუმპიანი („ოლიმპიური“, „უზუმთაყისი“), აფროდიტიანი, აპოლონიანი და სხვა. მაგალითად: „ქუდალდ დაქდა ცხებელი ღმრთისა თამარ მეფე საუდართა მათ ცამდი აღმართებულთა შეუნებითა მით აფროდიტიანითა და სოხუთა მით მზეებრითა აპოლონიანითა“.4.

ქართლის ცხოვრებაში მემტრიანეების მიერ დასახლებული არიან ბერძნული მითოლოგიის ღმერთები: კრონოსი, ონომასი, პელოპი, პლუტონი, ზევსი, ერმი, არეა (რეა) და სხვა.

ასევე უცხო არ იყო ბერძნული მითოლოგია და ოლიმპოს ღმერთები იოანე შავთელისა და ჩაბრუხადისათვისაც. მაგალითად, იოანე შავთელის „აბდელუმესიანში“ გვხვდება ზევსი, (1,3), უძლიერესი ღმერთი, მისიხანე ღმერთი კრონოსი (15,1) ასკლიპოსი (102,4) ექიმებისა და სამედიცინო ხელოვნების ღმერთი, აპოლონა (102,3) ჰესიკისა და პოეზიის ღმერთი.

ასევე „თამარიანის“ ავტორი ჩაბრუხადე იცნობდა და თავის ნაწარმოებში იყენებდა ბერძნულ მითოლოგიას. მის მიერ შექმნილ სახეებში გამოყენებულია: ზევსი, კრონოსი, რეა, ერმი, ენოსი, დიონოსი, ასკლიპოსი, აქილევსი და სხვა.

ამას ადასტურებს თამარიანის ერთ-ერთი ადგილი:

„XVI 88.

1 ქართლის ცხოვრება, გვ. 41.

2 იქვე, გვ. 342.

3 იქვე, გვ. 349.

4 ქართლის ცხოვრება, გვ. 32.

1 კავკასიონი, XI, პარიზი 1966 წ. ვიქ. ნო-ზაძე, „ამ საქმეს დაუარესია... გვ. 15.

1. იგავთ დამწესი და გმირთა მწესი
 იესეს ძისა მით გრძნობს ებანი.
 ე რ მ ი რ ა გნახა, მსწრაფ დაზახა
 შენგან უკუნდამ კარის ღებანი.
 ზ ე ე ს მ ა ნ მზედ გიცნა სამყოფი

გიქმნა
 სელონის ეტლთა მოგირბევანი,
 ნარგისნი გიცნა, ზეცას გზა გიქმნა,
 თქვა გწყლიანობენ შენ ლომ-ნებანი.

89. ა. რეა! კრონოს ენა გარდმოკონოს,
 ვარდთა გიღარე ნამწევნებანი...

აქ, როგორც ვხედავთ, მოხსენიებული არი-
 ან: კრონოსი — ურანოსისა და გეას შვილი ზე-
 ცის მამა; რეა — კრონოსის მეუღლე და ზე-
 ცის, პოსეიდონის, პადესის, პესტას, დემეტრას
 და პერას დედა, აგრეთვე ზეცის შვილი ერ-
 მია.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქარ-
 თული ეპიკურიისათვის, კერძოდ, პოეზიისათ-
 ვის არ იყო უცხო ოლიმპოს ღმერთების, ბერ-
 ძნელი მოთვლის ხსენება, ამიტომ, რა ვასაკვირ-
 ევლი, რომ რუსთაველი თავის გეგმისტეო-
 სანში დიონისე ღმერთს იყენებს სახეების შესა-
 ქმნელად, ვეფხისტყაოსანში, დიონისეს გარდა,
 ნახსენებია აგრეთვე კრონოსი. 1415-ე სტროფ-
 ში ვკითხულობთ:

„მამინ ქაყეთს მთაწია უსაზომო რისხვა
 ღმერთისა;
 კრონოს წყრომით შემხედველმან, მოიშორვა
 სიტყბო შინსა;
 მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორობალი და
 სიმარგვე ცისა,
 ევლნი მკედართა ვერ იტევდეს, გადიადდა
 ქარი მკედრისა.“

ამ სტროფში ხსენებული „კრონოსი“ მიიჩ-
 ნიან პლანეტად, რომელსაც აგრეთვე არაბუ-
 ლად ზუალს უწოდებენ, ლათინურად — სა-
 ტურნს. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ კრონო-
 სად იწოდება ურანოსისა და გეას შვილი, მრის-
 ხანე ღმერთი (ბერძნული მითოლოგიიდან).

შალვა ნუცუბიძის აზრით, რუსთაველი ამ
 შემთხვევაში პლანეტა სატურნს ანუ ზუალს გუ-
 ლისმობდა. ამის მიხედვითაც თარგმნის შ. ნუ-
 ცუბიძე:

«Отвернулся от каджети в неизмерном
 гневе бог,
 И покинул, хмуясь кронос солнца
 сладостный чертог,
 Грозным гневом обернулись небосвод и
 темный рок
 Тьму убитых, груды мертвых дол меж гор
 вместить не мог».

სიტყვა „კრონოსი“ შალვა ნუცუბიძე შემ-
 დევ კომენტარს უკეთებს: «Кронос — Сатурн:
 у Руставели называется Зуалом 1417».

ზვენი აზრით, 1415-ე სტროფში ნახსენებია
 კრონოსი მრისხანე ღმერთი კრონოსია. ეს
 სტროფი ასე უნდა გვესმოდა: „როდესაც სამ-
 მა ძმადნაფიცმა იერიში მოიტანა ქაყეთის ციხე-
 ზე, ქაყებს ამით ღმერთის უზომო რისხვა და-
 ატედათ თავს. ეს პავეს მრისხანე ღმერთის
 კრონოსის შემოხედვას, რომელმაც რისხვით
 ზედ თავზე დაამხო ცა. ამის შედეგად ევლნი
 მკედართ ველარ იტევდა.“

ამრიგად, თვითონ რუსთაველიც იყენებს ბერ-
 ძნელ მითოლოგიას იმ რისხვის გამოსახატავად,
 რომელიც ქაყებს თავს დაატეხეს ტარიელმა, ავ-
 თანდილმა და ფრიდონმა.

ამ ტაპში ნახსენები კრონოსი ვარსკვლავი
 სატურნი რომ არ არის, არამედ მრისხანე ღმერ-
 თი კრონოსია, ამას შემდეგი გვაფიქრებინებს:

1) შოთა რუსთაველი, როდესაც ვარსკვლავ
 სატურნზე ლაპარაკობს, მას ზუალს უწოდებს.
 გაიხსენოთ ავთანდილის ლოცვა:

958. „შო, ზუალო, მომამატე ცრემლი
 ცრემლსა, ჭირი ჭირსა,
 გული შავად შემოღებე, სიბნელესა მიმიც
 ხშირსა,
 შემოშყარე კავშანი, ტვირთი მმიმე ეთთა
 ვირსა“

ასე რომ, ვარსკვლავ სატურნოსის აღნიშვნე-
 ლად რუსთაველი სიტყვა კრონოსს კი არ ხმა-
 რობს, არამედ — ზუალს.

2. ამ სტროფის პირველი და მეორე ტაპე-
 ბის ანალიზიდან იმ დასკვნის გამოტანაც შეიძ-
 ლება, რომ კრონოსი აქ პირდაპირ არის ღმერ-
 თად სახელდებული. პირველ სტრიქონში ნათქ-
 ვამია, რომ ღმერთის რისხვა უსაზომო მოეწია
 ქაყებს, მათ წყრომით გადახდდა კრონოსმა.
 სწორედ კრონოსის წყრომით გადახედვა იყო
 ღმერთის უსაზომო რისხვა.

3. კრონოსი აქ უსულო საგანი კი არ არის,
 არამედ გასულდგმულბულია, რადგან მან
 „წყრომით შემოხედა“.

4. 12-ე 14-ე საუკუნეების სხვა ლიტერატუ-
 რულ წყაროებშიც კრონოსი ღმერთის სახელია,
 ვარსკვლავის სახელი არ არის, მაგალითად, „აზ-
 მანში...“ ვკითხულობთ: „და შვდოთ მათ სარტ-
 ევლთა ციხისა და მნათთა სფეროთა, რომელ
 არიან: კრონოს, ზეეს და აფროდიტე, ერმი,
 აპოლონი და არეა...“¹ აქ, ს. ყაუხჩიშვილის გან-
 მარტებით „კრონოსი“ — ღმერთია ბერძნული
 მითოლოგიიდან, „ბრძენთა უზენაესი ღმერთა“²
 ასევე განმარტავს ამ ადგილს ივანე ლოლაშვი-
 ლი „აბდუღმესიანის“ კომენტარებში.³

5. საინტერესოა კიდევ ერთი ადგილი „აზმა-“

¹ ქართლის ცხოვრება, გვ. 28.

² იქვე, გვ. 668.

³ ივანე ლოლაშვილი, ძველი ქართველი მე-
 ხობტენი, წიგნი მეორე, 1964 წ. გვ. 261.

ნისა“, სადაც ერთ-ერთი ბრძოლის აღწერისას მკვლევარმა აღნიშნა, რომ მტერს ღვთის რისხვა დაატყდა თავს, ხოლო დავით სოსლანი აქილევსივით იბრძოდაო. „და რა ეამს იხილეს მეფე, დავით რისხვა ღმრთისა უხილავი და ვმლები და ჰორთლები, მეფისა, რაჴმთა მისთა მსრველი... და მეფე იქცეოდა მსგავსად აქილევსისა“¹.

როგორც ვხედავთ, სასტიკი ბრძოლის აღწერის დროს, როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ისე „აზმანში“ თითქმის ერთი და იგივე ხერხია გამოყენებული: ორგანვე ავტორები ბერძნულ მითოლოგიას იყენებენ. განსხვავება ის არის, რომ ერთგან დასახელებულია ღმერთი კრონოსი, ხოლო მეორეგან — ნახევრადღმერთი აქილევსი.

ამრიგად, შუა საუკუნეების ლიტერატურულ წყაროებში ხშირად იხსენიებიან ოლიმპიელი ღმერთები. ისინი მახლობელი და გასაგები უნდა ყოფილიყვნენ ქართველი მკითხველისათვის. ამიტომ სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ რუსთაველიც მიჰყვება ამ ტრადიციას და თავის ვეფხისტყაოსანში ახსენებს ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთ პოპულარულ ღმერთს — დიონისეს (და კრონოსაც).

ახლა გავარკვეოთ მეორე საკითხი: როგორ მოხდა, რომ შოთა რუსთაველის შემოქმედების მკვლევარებმა დიონისე ღმერთი (ბერძნული მითოლოგიიდან) დიონისე არეოპაგელად მიიჩნიეს?

პირველი მიზეზთაგანი, ცხადია, ის ერთგვარი მსგავსებაა, რომელიც არსებობს სახელთა შორის; დიონისედ ბერძნული მითოლოგიის ღმერთიც იწოდებოდა და არეოპაგიტული წიგნების შემქმნელიც.

მეორე მიზეზი ის უნდა იყოს, რომ არეოპა-

გიტულ შრომებში მოცემულ მისტიკურ შორეულ, მაგრამ ერთგვარი ანალოგია აქვს ჯველ ბერძნულ მისტიკებთან, რამდენადაც დავით ბერძნული იყო დიონისეს კულტთან. მან ზოგი მკვლევარი შეაყდინა კიდევ, კერძოდ, არეოპაგიტული ლიტერატურის მკვლევარი — ბაუმგარტენ-კრუზიუსი.

თი რას წერს ამის შესახებ თავის ნაშრომში — „პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი)“ სამსონ ენუქაშვილი:

ამის ცდაც იყო მეცნიერებაში, რომ არეოპაგიტულ შრომებში მოცემული მისტიკიზმი დავით ბერძნულ ანტიკურ ან აღმოსავლურ მისტიკებთან, რათა ამით გამოჩაგრული ყოფილიყო უცნობი ავტორი, ასეთი მოსაზრება წამოაყენა ბაუმგარტენ-კრუზიუსმა. მან არეოპაგიტის მისტიკიზმი დაუკავშირა ანტიკურ საბერძნულო ღვთისა და მზიარულების ღვთაების დიონისეს კულტს. ამით მას უნდოდა აეჩინა, თუ რატომ იქნა მიღებული ფსევდონიმად მაინცდამაინც „დიონისე“. მკვლევარი უყარდნობა მისტიკოსთა შორის გავრცელებულ ჩვეულებას სახელის გამოცვლისას და ფიქრობს, რომ ამ რაი სახელის — დიონისესა და არეოპაგელის — შეერთება დემონსტრაციული გამოხატულება იყო ანტიკური მისტიკიზმისა (დიონისეს სახით) და ახალი აღთქმის (არეოპაგელის სახით) სინთეზისა.²

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ანალოგიური შეეცდომა მოსდით ვეფხისტყაოსნის იმ მკვლევარებს, რომლებმაც ვეფხისტყაოსანში ნახსენები „დიონისი“ დიონისე არეოპაგელად მიიჩნიეს.

¹ პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), გამოსცა ს. ენუქაშვილმა, თბ. 1961 წ. გვ. 0162.

² ქართლის ცხოვრება, გვ. 71.

შახნი პაპაშვილი

თავდაცვის ორგანიზაცია XVIII საუკუნის ქართლის სამეფოში

საქართველოში, რომელიც ოდითგანვე მტერთა სათარეშო ადგილი იყო, ჩვეულებრივ, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციას, როგორც შინაურ რეაქციასა და გარეშე მტრებთან ბრძოლის უდიდეს საშუალებას.

სამხედრო ძლიერებაზე ბევრად იყო დამოკიდებული სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა. მეფე, რომელიც საამედო სამხედრო ძალას ეყრდნობოდა, იოლად უსწორდებოდა როგორც შინაურ რეაქციულად განწყობილ ფეოდალებს, ასევე გარეშე მტრებს, რომლებიც უოველნაირად ცდილობდნენ შეემუსრათ დამოუკიდებელი საქართველო.

ძირითადად სახელმწიფოს „ორ ფრონტზე“ — შინაური რეაქციული ფეოდალებისა და გარეშე მტრებთან ჰქონდა ბრძოლა და თავდაცვის ორგანიზაცია ორ მხრივ უნდა მიმართულიყო. ამდენად, ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციას გვიან ფეოდალურ საქართველოში ორი მხარე გაჩნდა თავისი საკუთარი უწყებებით, მაგრამ ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ქვეყნის ძლიერების განმტკიცებას ემსახურებიან.

ამდენად, ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის ამ მხარეების ცალკაღვე განხილვა უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ.

ისტორიულად ცნობილია, რომ გვიან ფეოდალურ საქართველოში, რომელიც ცალკე სამეფო სამთავროებად იყო დაყოფილი, მუდმივი ჯარის ინსტიტუტი არ არსებობდა და სამხედრო ორგანიზაცია სადროშოების პრინციპზე იყო აგებული.

თვითუფრო სადროშო სამეფოს გარკვეულ ტერიტორიას ფლობდა, გააჩნდა ციხე-სიმაგრეები და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამეფოს თავდაცვის საქმეში.

ისტორიული წყაროები მიგვიჩვენებენ, რომ

მეთექვსმეტე საუკუნეში ჩამოყალიბებულა ოთხი სადროშო: მეწინავე, მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრი. როგორც აღვნიშნეთ, სადროშოები გარკვეულ ზონას ჰქმნიდნენ სახელმწიფოში. მეწინავე სადროშოს წარმოადგენდა სამხით — სამახსო, მემარცხენე — სამხილახეროს მოციუდა, მემარჯვენე — სამხრანბატონოს, რომელშიც, ქსნისა და არაგვის საერისთავოები შედიოდნენ, ცენტრი — ვალმა მხარეს, ე. წ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის სანახები კარსიდან ტაშისკარამდე.

თვითუფრო ზონას — სადროშოს სარდალი ეანაგებადა, რომელიც მეთვალყურეობას უწყევდა ციხე-სიმაგრეების — საბრძოლო მხედროვნის, აუცილებლობის შემთხვევაში, თავს უყრიდა ჯარს. რამდენადაც ქართლის სამეფო რამდენიმე სათავადოდ იყო დაყოფილი, სადაც თავიდა „ხელმწიფის ტოლ კაცად“ თვლის თავის თავს, სარდალს აუცილებლად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჰქონდა უფლებამოსილება მიღებული და ამ უკანასკნელს არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწია თავადისთვის.

ქვეყნის სადროშოებად დაყოფას საფუძვლად მისი სამხედრო-სტრატეგიული გაშლილობა ედო. მაგალითად: ზემო ქართლის სადროშო, რომელსაც ამილახორი სარდლობდა, სამ სტრატეგიულ მაგისტრალს — ბორჯომის ხეობით მომდინარე მაგისტრალს, ლიხთიმერეთიდან და დიდი ლიახვის ხეობით მომავალ გზებს უწყევდა მეთვალყურეობას.

ქვეყნის სამხედრო ძლიერებაში გარკვეულ როლს თამაშობდნენ სამხედრო-სტრატეგიული სიმაგრეები, — ციხე-სიმაგრეები, რომლის მოვლა-პატრონობას, განახლებას დიდი ყურადღება ექცეოდა გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში.

როცა ჩვენმა ქვეყანამ ახალიცხის მხარე დაპყრვა, დღის წესრიგის მთავარ საკითხად ქარ-

თლის ციხე-სიმაგრეების მოვლა დადგა. როგორც აღვნიშნეთ, ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საქმეს სარდალი უძღვებოდა და ის ვალდებული იყო დღენიდაც ვხრტნა მასზე და ყოველი მოულოდნელი შემთხვევისათვის საბრძოლო მზადყოფნაში ჰქონოდა ისინი.

ერეკლე მეფე დიდ ყურადღებას აქცევდა ციხე-სიმაგრეების შენახვას. ანდერშში წერდა: „ციხეებისაჲ ასე დავეიწორია: ჭალაქის ტფილისის ციხეები, გორის ციხე, სურამის ციხე, წიკორის ციხე, ანანურის ციხე, ბოჭორმის ციხე და გუგუის ციხე, რომ ამ ციხეებს ნარიაჲლის ციხეებიჲ აქვს და ნარაჲლები ციხას კაცით შეინახება. ამ შეიღს ალგას ნარაჲლებში სიერთოდ კაცნი უნდა ეყენოსთ, რაერთიე მოუნდესთ, მცველათ და სხვა ციხეები და გალენები, რომ დიდარნი არიან, ქართლში თუ ქაბუთში ისინი ციხას კაცი ხომ არ შეინახება, ის სათემო არის“¹.

სადროშოს სარდალს ციხე-სიმაგრეების მოვლა-პატრონობასთან ერთად სხვა ფუნქციებიც ჰქონდა დაკისრებული. ის ვალდებული იყო მეფის უველი ბრძანება სისრულეში მოეყვანა. როგორც მაშინ იტყოდნენ ზოლზე — „მოეთავე-ბინა“.

როცა 1644 წელს ბეჟან ამილახორი ზემო ქართლის სადროშოს სათავეში ჩაუდგა, მან როსტომ მეფის ნაბოძები სიგელი მიიღო, რომელთაც სარდალს უზენაესმა აუწყა: „რარგადაც ამას შინათ თქვენი სახლის კაცი სარდარი ყოფილა, იმავე რიგითა და წესითა სადროშა თქვეთვის ვეზიბობება, როდესაცა ზვენი წყნე და ბრძანება მოგვიღდეს, რა რიგადაც მოგახსენაო, იმ რიგად შეყარეთ და სადაც ჩვენი ბრძანება იყოს, იქ შემოგვეყარებით. რაც კაცი დაგაკლდეს და ჩვენი ბრძანება გატეხოს, რითაც სამართლით ემართლებოდეთ გაუწყვრით, გარდახადვინეთ და ჩვენი ბრძანება და საშახტო გაათავეთ“².

თორმეტირე წლის შემდეგ — 1656 წელს იმავე როსტომმა ზემო ქართლის სადროშოს სარდალად გვირ ამილახორი დასვა და სათანადო სიგელი უბოძა.

„განვიხილოთ ამილახორებისა დროშა, წერდა როსტომი, შემოვარტყით ხმალი მოსურად შეზამოლთა და ორგულთა თქუენთა. ეჲალაჲ ბირველიდგან სასადროს საქმე გარეგებელი ჰქონდათ, აწცა გავირიცვით და დაგამკვიდრეთ სარდა სარდლობისა, ასრე რომე, როდესაც თემი აიწერებოდეს, ერთის კარის ჩუენის მივინითა თქვენს სასადროს თქვენ აწერდეთ, რაც თქვენის დროშის კაცი საშოარს იქმოდეს და ჩვენი შედარევიქენი ფანჯიქს აიღებდეს რაც

ათისთავი ერგებოდეს, მისი ნახევარი თქვენი უნდა იყოსა და ნახევარი მეფანჯიქეთ გაიყოს. თქვენი დროშის კაცი უთქვენოდ გჲრ გაიყრებოდეს. ვისაც თქვენის დროშის კაცის სასამართლო საქმე ჰქონდეს, თქვენს კარზედ მოვიდოდენ, თქვენი დახედებოდეთ და რასაც თქვენის სასადროს კაცს ლაშქრობის ბარობაზედ მამულს წაერთუემდეთ, იმასაც შემოგვეკითხებოდეთ და თუ უზომოდეთ თქვენისათ შემოკითხებით წყალობას უზამდეთ... რა რიგათა თქვენგან თქვენის დროშის კაცი აიწერებოდეს, ლაშქარსაც იმ ანაწერზედ შემოგვეყრიდეთ“¹.

მეფის ეს ანდერძი ფრიალ საგულისხმო დოკუმენტია, რომელიც კრცლად მომოხილავს იმ უფლებებს, რაც სადროშოს წინამძღოლს ქვეყნის მმართველსაგან ეძლევა.

ციხე-სიმაგრეების მეთვალყურე ვალდებულება აქტიურად ჩაერთოს სადროშოს მცხოვრებელთა ოჯახურ ურთიერთობაში, მასვე შეუძლია სამართალი დასდოს, ხოლო ურჩ ყმა მეფე მამულს ისე არ ჩამოართმევს, თუ სარდალს არ დაეკითხება.

როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთებიდან ირკვევა და რომელსაც როსტომ მეფე აღსატრუხვს, სარდალს ხელთ ყოფილა: „ლაშქრობა, ნადრობა, კაცის დაყენება, სამართალი და ან გარიგება“².

მოტანილი დოკუმენტები ნათლად მიუთითებენ, რომ სადროშოს სარდალი, როგორც სამხედრო პიროვნება, დიდი ავტორიტეტითა და უფლებებით სარგებლობდა სამეფოში და იგი შემყვრდებოდათაც კი გადადიოდა. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მეფე უფლისყურს მააყრობდა იმას, თუ წინაპარ სარდალს რა დამსახურება მიუძღოდა ქვეყნის წინაშე, როგორც ფლობდა სამხედრო ხელოვნებას.

სარდალი უპირველესად უნდა ყოფილიყო მამაკა და შესწავნილი მეტროლო. მართალია, საბრძოლველად განლაგებულ ჯარს თავადი ხელმძღვანელობდა, მაგრამ სარდალს ბრძოლის ველზე განსაზღვრული ადგილი ჰქონდა მიჩნეული და თავის საუწყებოს დროშასთან იდგა.

კანონის მიხედვით სარდალობის ნიშანს დროშა წარმოადგენდა. მისი დაცვა თვითველი მეტროლოც წონდა მოვალეობას შეადგენდა. ამ დროშის შენახვა დიდი პატივი იყო და ეს პატივი მხოლოდ ღირსეულთა ხვედრს წარმოადგენდა.

როცა ივანე ორბელიანმა 1803 წელს პავლე ციციანოვს მოხსენება წარუდგინა, იგი დროშის შენახვის საკითხსაც შეხება და წერდა:

„უბირატესი და მეწინავე სარდლობა, გინა თუ სპასარალო... ძველდგანვე შთამომავლო-

¹ საქართველოს სამეფო, 1, გვ. 205.

² საქართველოს მეცნირებოთა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 2125.

¹ საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 227, საქმე 285.

² ხელნაწერთა ინსტიტუტი, 2127.

ბით სამეცნიეროდ სახლსა შინა ჩემსა არს და ეგრეთცა მქონიან ღრმსა მობოძებულ ჯელში ფეთა საქართველოსთა და მეფეთაგანა¹.

სადროშის ნიშნის — ღრმის გაცემება მეფეთა დისტორიითა და მათივე შეცვლით ხდება. ცნობილია, რომ როცა 1745 წელს თეიმურაზ მეორე მცხეთაში ქართულ-რუსეთს შეეფიცა, უბრაძენები: „ღრმსათა გაკეთება გააკეთეს ვითაც ძველად რაგა უფელიყო, ღრმსა ოთხი ჯვარითა მოცული, ერთი ებოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე მეზრია ბატონს კოსტანტინეს, მესამე ამილახვრის დიმიტრის და მეოთხე ბატონის კერას ევლდა“... „ვინ ვისა ღრმსაზე ჯარი ყოფილიყო, ისევე ძველსა რაგზე განაწესეს და შემოხვივნეს თვის თვისა ჯარი ღრმსათა“².

გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში მძლავრ, დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა ეკლესია, რომელიც დიდძალ ეპაშაშენს ფლობდა. აუცილებლობის შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს ბედი საფრთხეში იყო, ეკლესიის ყმებისაგან ჯარის გარკვეულ რაოდენობას აღგენდნენ და წესისამებრ იგი ცალკე სასარდლოს წარმოადგენდა და თავისივე სარდალა ჰყავდა.

ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ მეფის ქარისაგან დამოუკიდებელი იყო იგი. პირაქუთ, ეს სასარდლო მეფის საარდლობის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო ამ ჯარის წევრთა, როგორც წესი, უმეტესად კათალიკოსსა და მის სარდალს ემყებოდნებოდა და სხვას უფლება არ ჰქონდა საეკლესიო ჯარის საქმეში ჩარეულიყო.

ჩვენამდე მოღწეულ თეიმურაზ პირველის წყალობის წიგნში, რომელიც მეფემ მცხეთის ეკლესიას მიუძღვნა, წერია: „...როგორათაჲ კათალიკოსის ლაშქართან სხვას სარდლობასა და სპასალარებს ზელო არ ჰქონებია, ლაშქარნადირობას კათალიკოსს ხლებიან, ისევე ახლდნენ და თუ კათალიკოსი არ იყოს, კათალიკოსს სარდალს ეახლდნენ“³.

ჩვენის აზრით, ინტერესმოკლებული არ იქნება წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ვახტანგ VI დომენტი კათალიკოსს გუგუზავნა და რომელშიც ვკითხულობთ: „...რასაც ალაგს სვეტიცხოველის ყმა არის ზემო ქართლს თუ ქვემო ქართლს, გაღმა გინა ვამოღმა, მუხრანს, სომხეთს თუ სამაზათიანოს, გინა თრაილეთს, ქაალქს, გორს, ქარცხივალს, მთას თუ ბარას, რასაც ალაგს სვეტიცხოველის ყმა ესახლოს, არა

სასარდლოს ტელი არა აქვს, თავისი დარბაზსა აღსაწირიშვილი, მასხურ-გულენიყვი და მცირენი, ყოველის ალაგდევს ზატყმის კათალიკოსს უნდა შემოეყრებოდნენ, ლაშქრობასა თუ ნადირობას ჩვენს ღრმსაზე უნდა იქნებოდნენ“⁴.

კათალიკოსს, ეკლესიის მეთაურს დიდი ვაჟუნა ჰქონდა სამეფოში. სულიერი მამა — მეფის წყალობით, როგორც ზემოთ მივითითეთ, დიდძალ ეპაშაშენს ფლობდა. ამაზე ნათლად მიუთითებს ვახტანგის მიერ გაცემული ერთ-ერთი საბუთი, რომელიც ა. კლიმაშვილის თავის ნაშრომში მოჰყავს და სადაც ვკითხულობთ: „არის ბატონის კათალიკოსისა ყმა ყოველგან, აზნაურიშვილის გარდა, საკმალო ექვსას თექვსმეტი, ბოგანო მოლაშქრე ასსამოცდარო, ისე ბოგანო ოთხმოცდარვა, ამისაგან ცხენოსანი მეთოცო — ოთხასთერთმეტი, შებოსანი ცხენით — ორასსულთი, ბოგანო ქვეითი: ჯარსმლით ასოცდახუთი, საფთო-შვილით ასოცდახუთი“⁵.

მრავალი წერილობითი წყაროს შესწავლანებას გვაძლევს დავასკვნათ: სადროშოს წინამძღოლი — სარდლის უბრაველსი მოვალეობა: იმონიონის ღრმს შეპყაროს ლაშქარი და დანიშნულ ადგილზე ეახლოს მეფეს.

ამის დასადასტურებლად ანტონ პირველის მიერ „სამცხეთოს“ სარდლის გუგუზავნის წიგნის სახელზე გაცემულ წყალობის წიგნიდან მოვიყვანთ შემდეგ ამონაწერს: „...როგორც სარდლობაზე სდებია, ისიც შენთვისვე ვკითხულობი და როდესაც მისი უმაღლესობის ჩვენის ძმის მეფის ბრძანება, იყოს ხოლმე ჯარის დამახეზისა რომელიც ადგილს საქართველოში, შემოაყრიდ და სადაც იმისი ნება იყოს, იქ იახლებოდ, და რომელიც იმისი უმაღლესობის სამსახური იყოს, როგორც თანამადლები ზარ, ისე ერთგულებით აღსარებულზე“⁶.

ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, როგორც ამას მეფე ერეკლეს ბრძანებაში ვკითხულობთ, სარდალს სხვა მოვალეობა: ვაჩნდა, სახელდობრ სადროშოს ტერიტორიაზე ზაფის აღება, კომეების, ხიდეების და სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტების მოვლა-შენახვა, დაეცა.

საქართველოში, რომელიც მუდმივად განიცდიდა მტრის ჭარბი ძალების შემოსევას, არ შეიძლება დიდი ყურადღება არ მიუქცეოდა წერტილ-გარეშის, მოლაშქრეთა დასტოვების, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდნენ მწკრთნელ-მოვარჩიენი, რომლებიც თავის მხრივ საუკუ-

¹ შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1949, ნაკ. 1 (26) გვ. 1.

² პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 11, რუბინაშვილის რედაქციით, 1854, გვ. 383.

³ ქრონიკები, 11, გვ. 453.

⁴ ა. კლიმაშვილი, საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 105.

⁵ იქვე, გვ. 108.

⁶ იქვე, გვ. 111.

თესო შემოღობები იყვნენ და ასეთები კი მრავლად გააჩნდნენ სადროშოებს.

მწერსენილეს კერა-უქმებში უნდა ევარჯიშებინათ შემოღობები, რომლებიც მეფის და-ძაბებისთანავე თაფქვეშ უნდა ყოფილიყვნენ და ქვეყნის მებატონეს ლაშქარში ხლებოდნენ...

ბედუელდართობა: ქართული ხალხის მუდმივი თანამგზავრი იყო. გამუდმებული ომები მონაღლებთან, ოსმალებთან; თურქებთან ბრძოლები ქანცში წყვეტდა ჩვენს ქვეყანას.

მშაფი და დუქინებული მტრის მოსაგერიებლად საჭირო იყო ძლიერი სამხედრო მანქანის ჩამოყალიბება, რომელიც დამპყრობლებს ვაჟმკლავდებოდა. მართალია, სადროშოები სი-იმყოფი დასაყრდენ ძალებს წარმოადგენდნენ, მაგრამ საბოლოო მიზნის მისაღწევად ეს ორგანოები საკმარისი არ იყვნენ და სამეფოს თავდაცვითი სამეფოს დაცვის ახალ-ახალ საშუალებებს ეძებდნენ. უბრძოლესი ასეთი საშუალება იყო ქარის დამკრავება, რასაც მეფერამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ერეკლემ და თეიმურაზმა მიმართეს.

იმ პერიოდში დამკრავებული ქარის ყოლის საშუალება იყო, მაგრამ ქვეყნის თავდაცვის ძირითად საშუალებას მაინც წინაგანი ძალების მობრუნება წარმოადგენდა.

მე-17, მე-18 საუკუნე აღსავსეა ქართველი ხალხის ცრემლითა და ვიწით. ეს ის საუკუნეებია, როცა ლეკ-ყაზალები მუდმივად თარეშობდნენ. ჩვენში, არბევეს სოფლებს, იტაცებენ ბედუელდართო საქართველოს შვილებს და ლეკეთის ბნელ ჭრბლულუბში მანამდე ჰყავთ გამომწვევდელი, სანამ დიდძალ ოქროსა და ვერცხლს არ მიიღებენ გამოსასყიდელს.

ლექთა თარეშე უდიდეს ზიანს აყენებდა საქართველოს. ამიტომ დღის წესრიგში იდგა ამ ბნელი ძალების მოკეთა, ყოველ შემთხვევაში ამ თარეშის შეშინება მაინც.

მეფე ერეკლემ, ამ ფრიად განათლებულმა და გამჭრიახმა კაცმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ აღეკვეთა ლექთა თარეშე, ამ გზაზე პირველი მისი ნაბიჯი იყო ქვეყნის „სამდეგროება“ დაყოფა.

1772 წლის 28 აგვისტოს ერეკლემ სადროშოებს დაუგზავნა 16 მუხლისაგან შემდგარი ინსტრუქცია.

„გაღმა მხარისა ვარიგებელია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდებრობენ, მადრიელაყ ვართ, ვეთხოვრობთ ამ დოკუმენტში და წყალობასაც დავმართებთ“.

გარდა იმისა, რომ ერეკლემ სამეფო სამხედრო ოლქებად დაყოფა, ამავე დროს თავის მხრივ ოლქებში სამოქმედო უზენადა დაწესწილა, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხრიდან იყო მოსალოდნელი ლეკ-ყაზაღთა გამოსწანა, თავდასწმა.

ერეკლემ მეფის დოკუმენტიდან ირკვევა,

რომ ლეკები საქართველოს თავს განმადნენ აღმოსავლეთიდან, არაგვის ხეობიდან ოლქთა-ზა-ქსოვრის გზით ლეკ-ყაზაღებმეფე-ქართ-ლიმ გადმოადიოდნენ. ყოველწე ამიერკავკასი-წინებით სამოქმედო უზენა ლეხურის ხეობიდან იწყებოდა და აღოს ხეობამდე აღწევდა.

მოთარეშე ლეკებთან ბრძოლის გააღვილების მიზნით, სადროშოებს შორის დამკრავებელია კავშირი. მეკავშირების საშუალებით სადროშოები მოთარეშე ლექთა მოძრაობის მიმართუ-ლებას გებულობდნენ და მათთან საბრძოლველად მდევრებს აწახლებდნენ.

როგორც მეფის დოკუმენტიდან ჩანს, ლეკები საქართველოს აღმოსავლეთიდან მოადგე-ბოდნენ. აღმოსავლეთში კი სამუხრანო იყო და მუხრანბატონიც ევალდებული იყო ლეკების გამოჩენისთანავე ამის შესახებ მეზობელ ერის-თავეებისთვის ეცნობებინა, რომ ისინი მოუშა-დებელი არ შეხვედროდნენ ყაზაღთა ბრძოლებს.

აი რა მითითებაა მიცემული სადროშოებზე ამ ინსტრუქციის პირველ მუხლში: „როდესაც რომ მუხრანიდამ ყაზაღი მოვიდეს, ცხენიანი ჯარი წამოვიდაო, ყველანი გაფრთხილდნენ, თუ მხურვალეთში შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო გაფრთხილდეს, ყაზაღები გაგზავნონ, თავს დაუყენონ, მდევარს დაუძახონ, მეჯერას-ხევეს შეიყარენ; თუ თავს დასწმა ამჟობინონ, თავს დაესწან, თუ გზის შეკერა ამჟობინონ, სწა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჟობინონ, წინ დაუხედნენ, რომელიც ამჟობინონ, იმ გზით ეცადნონ მტრის პასუხის გაცემასა და გაყ-რას“¹.

როგორც აღვნიშნეთ, თვითველი სადროშო უზენადა იყო დაყოფილი, ე. ი. სამდეგრო-ებად. პირველ სამდეგროში გავრთო-ანებული იყვნენ ტარიფანის გელზე განლაგე-ბული სოფლები — მხურვალეთი, საყარონთ-ლო, ბერნოეთი, მეჯერასხევე და სხვ.

რადგანაც მხურვალეთი — ლექთა შემოსევის პირველი პუნქტი იყო, ხოლო „ბოლოდა“ მეჯერასხევეა მიჩნეული, სწორედ ამიტომ მეჯერას-ხეველეს დავალდებული ჰქონდათ მტრისთვის წინაღობის საშუალება მოესპოთ და მისთვის უყადსახევე გზები მოეჭრა. მაგრამ ეს რა-დი ნიშნავს, რომ მდევარის მოქმედების სფე-როს ერთ ჩარჩოში სწამდა ერეკლე. პირიქით, ის მდევარს არ ზღუდავდა და თავისუფალი მოქმედების უფლებას აძლევდა ისე, როგორც ამას შეეძინა ვითარებად მოითხოვდა.

ამის ნათელი დამასტურებაა: „თუ თავს დას-წმა ამჟობინონ, თავს დაესწან“ და ასე შემდეგ, ერეკლე მეფის ინსტრუქცია შემოსული მტრის გვარეობასაც ითვალისწინებდა, როგორც

¹ დ. გვრიტიშვილი, ზემო ქართლის სადროშო, თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრო-მები, ტ. X, 1950 წელი, გვ. 62.

წესი, ცხენოსან ლეკებს მიწვევებების მეტა საშუალება გააჩნდათ, მათ ადვილად შეეძლოთ ძაღლების ერთიდან მეორე მხარეს გადასროლა. ამას ხაზს უსვამდა ინსტრუქციის მეორე მუხლი და ამბობდა: „ერთმანეთს ნუ მოუტყდიან, ყველანი სირბილით გამოიქცნენ“ და გამოტყულები მეთაურისაგან წინასწარ გამოყოფილ ადგილებზე. უნდა მისულაყვნენ. ხოლო მტრის წარსი თუ ქვეითად მოდის, მაშინ სოფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ, გამარჯვდნენ და ისე მოვიდნენ, სადაც სარქარდებმა დაუძახბონ“.

„გარდა ამისა, არსებობდა მეორე სამდღევროც, რომელიც ლეთა თარეშის წინააღმდეგ იყო მიმართული. მეორე სამდღევრო ერთიანებად სოფლებს — ბელოთს, საცხენისს, დიდ ენათს, არბოს, ქარდს, დიცს, პატარა ლიხვის გამოღმართს, გვერდისპირს და სხვ.

ამ სამდღევროშიც ბრძოლის ტაქტიკა უცვლელი იყო. მხოლოდ იმ განსხვავებით, როგორც ინსტრუქციაშია მითითებული: „თუ რომ დიდის წარსი ამავეი მოვიდეს და სარქარდებმა დაუძახბონ, ორისავე მხარის მღევარი სამჭაროდ სირბილით წამოვიდნენ, ცხენიანი სულ ჭენებით გამოიქცნენ და ქვეითი სოფელ და სოფელ შეიყარნენ, გამარჯვდნენ და სადაც სარქარდებმა ამგობნით და დაუძახბონ, იქ მივიდნენ“.

მესამე სამდღევრო სამაჩაბლოს და პატარა ლიხვის გაღმართს აერთიანებდა და საჭიროებისას ლეთა თავდასხმის მოსაგერიებლად მას პატარა ლიხვის გამოღმა მხარის მღევრებიც უნდა მიეწველებოდნენ.

მეოთხე სამდღევრო მოიცავდა ტერიტორიას, რომელიც პათოსა და ცხენივალ შუა მოთავსებულ ტერიტორიას აერთიანებდა — პატარა ლიხვი, დიდი ლიხვი და დიბისს ხევის სანაპირო სოფლები.

ჩამოთვლილი სამდღევროები ქსნის საერისთავოსა და სამაილხანოში ერთიანდებოდნენ და ცხადია, ოლქებს ერისთავები და ამილახორები ხელმძღვანელობდნენ.

მეფის მიერ გამოცემული ინსტრუქცია ყველაზეთვის სავალდებულო იყო და მტრის დევნაში, ვისაც ამის უნარი შესწევდა, უკლებლივ ყველას უნდა მიეღო მონაწილეობა. ხოლო ვინც დაავალდებოდა მღევარს, ის დამსჯებოდა — დაქარბმდებოდა, როგორც ეს ინსტრუქციაშია მითითებული — „ქ. ვინც დააკლდეს მღევარს ასე გარდასდეთ: თუ თავადის შვილი დააკლდეს, საჯაროდ წაართვან შემპლბელს ხელი მანალთენი, ღარბის — სამი მანალთენი, თუ აზნაურიშვილი დააკლდეს, საჯაროდ წაართვან ან ერთი საკლავი, ერთი კოკა დეინო და ოცი ცხენი დაქარბან ბეჭებში; თუ შემპლბელი გლეხი კაცო დააკლდეს, ამავე აზნაურიშვილივით გარდასდეს და თუ ღარბი იყოს, ერთი კოკა დეინო წაართვან და ორმოცი ცხენი დაქარბან“.

ერთეულ უდიდეს მნიშვნელობას აქვდა ლეთა თარეშის აღკვეთას და ის საერთო სახალხა საქმედ მიიჩნეოდა მასწავლებელსავე კრძალავდა ინსტრუქციით გამოვლინებულ მოთხოვნათა დარღვევებს და წერდა: „ქ. ეს იცოდეს თავადიშვილებმა, აზნაურის შვილებმა, გლეხებებმა, ამის უკეთესს ვერცა რას ღმერთ ამავეთ, ვერცარას ჩვენ გვამავეთ და ვერც არას ქვეყანას შემატებთ, რომ მტერნა ქვეყნის, ცოლისა და შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამით პასუხა მისცეთ და ლეთის მოწყალებით დახოცეთ და სირცხვიელნი გააბრუნეთ“.

როგორც ისტორიული სინამდვილიდან ვიცით, ეს ღონისძიება საქმარისი არ აღმოჩნდა მოთარეშე ლეკ-ყაზლთა აღსაყვითად, რისთვისაც გონიერმა მეფემ უფრო რადიკალურ ღონისძიებას მიმართა და 1774 წლის 4 იანვრის განჩინებით მორიგი წარი ჩამოაშალა.

ერთეულ მეფე ყოველნაირად ცდილობდა განემტკიცებინა საქართველო, აეღაგმა ლეთა თარეში, და ამ გზაზე მართლაც უდიდესი და დიდი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მორიგი წარის დაწესება.

როცა გულადმა მეფემ სამდღევროები დააწესა, თავის მიმართებაში აღრესატებისადმი წერდა: „ქ. ეს იცოდეთ, რომელიც ჩვენგან საქმელო საქმეა, პატრონობისა, მოვალისა ვარჯისა წყალობისა და ჩემი ქვეყნისათვის თავის დადებისა, ღვთით არ დავხოგეთ, თქვენ ასეცადენით და ჩვენ კიდევ უფრო ძლიერსა და მტკიცესა საქართველოს შეწევნას ვცდილობთ“.

მორიგი წარის ჩამოყალიბების საკითხს რომ არჩედა დარბაზი, ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ფაქტის განხილვაში მეფის ოჯახთან ერთად ფართო მონაწილეობა მიუღიათ სამღვდლოებს, ბრწყინვალე თავადებსა და ჩინებულებს.

თი რას გვითხვით განჩინებაში: „ქ. ღრთით ეს მორიგების ლაშქარობის განაჩენი დააწერა ჩვენ II ერთეულ მეფისაგან, თანდასწრებითა ძისა ჩვენისა უფლისწულის გიორგისათა და უოვლად სამღვდლოთა ეპისკოპოსთა და ბრწყინვალეთა თავადთა და ვერცავე ყოველთა კარისა ჩვენისა მოკლეთაგან და შემდგომთა დარბაზის ერთი და ყოველი სამღვდლოთა დასთავან და ვერცავე ყოველი ჩინებულთაგან: რადგან საქართველოს ქვეყანა ლეთაგან ამდენს ხანს ამისთაან მოუსვენებელს მტერობით შეიწარდა და მოუთმენელს ჭირს მიეცა, ჩვენს მრავალჯნის ბევრ რიგის გარჯილობით ვეცადენით, მავრამ არ იქნა, რომ ასეთი წამალი და საქმე გვემოგნა, რომ ჩვენს ქვეყნისათვის გვერგო რამე და ამხანად ხოთი ყველასაგან უმჯო“.

1 დ. გვრიტიშვილი, ზემო ქართლის სადროშო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომა, X 1950, გვ. 63.

ბესალ და უკეთესად ეს გამოეპოვეთ და საერთოდ ყველამ ეამჯობინეთ, რომელიც ამათს ქვემოთ დაეწერება¹.

და „ქვემოთ დაწერილი“ განჩენი, რომელიც ისტორიულად საინტერესო დაფიქსირებს წარმოადგენს დღევანდლობისათვის, ოცდაჩვიდმეტი მუხლისაგან შედგება. განჩენებიც საფუძველზე ქართლ-კახეთში ყველა სოციალური ფენა აღწერილი იქნა და შედგა დავითნი, დავითარში მოხვედრილი ყმა ვალდებული იყო წელიწადში ერთი თვე მორიგე ჯარში ემსახურა ისე, რომ მას თან უნდა ჰქონოდა იარაღი, საჭირო რაოდენობის ტყვია-წამალი და სურსათი. სამაგიეროდ მორიგე ჯარში მყოფი სურსათის გადასახადისაგან თავისუფლებოდა.

აღწერის დროს ქართლ-კახეთის სამეფოში შესდგა რამდენიმე დავითარი — მხარისა და საერთო დავითარი. ეს უკანასკნელი დავითარი ყველა მხარის მონაცემებს აერთიანებდა და მეფის მოხელეების განკარგულებაში იყო. ხოლო მხარის დავითარი — ასისთავებს (უზბაშებს), სოფლების — შემამულეებსა და სოფლის მოხელეებს ებარათ.

განჩენების სისტრულში მოყვანა დაეღებოდა ჰქონდათ გავლენა პირებს — თავადებსა და ძალაუფლებით მოსილ მოხელეებს, რომლებიც ამ კანონის დარღვევისათვის მეფის წინაშე პასუხს აგებდნენ.

მორიგე ჯარში წასვლაზე თავის აზრდება კანონით ისჯებოდა და სამატიოდ მხოლოდ ავადმყოფობა ჩათვლებოდა.

მორიგე ჯარი, რომელმაც თავის არსებობის მოკლე მანძილზე დიდი როლი ითამაშა ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებაში, მოქმედი ორგანიზაცია იყო, რომელიც თბილისში იკრიბებოდა და იქიდან კი საქმის მიმართულებით მიემგზავრებოდა, რისხვად ატყდებოდა მტერს.

განჩენების მექანიზმზე მუხლი გაფრთხილების იძულება ჯარისკაცებს არ გააფიქროს ქირანახლო, არ დაშარალონ გლეხიყავი. აი რა არის ნათქვამი ამ მუხლში:

„სადაც სოფელში მივიდნენ ეს ჯარისკაცი, თუ იმ სოფელში წაახდინეს რამე, პური, ქერი, ღვინო, ქაშაბი, ბატი, ღორი, ძროხა, ცხვარი, ბილი, თუ ევნახი, ღრბე, ჭიგო, თუ მოსავალი და რაც ქირანახლო ამისთვის თავის სარქადა და ზინაში და უზბაში ავად მოეპყრას და გარდაახდევინოს, თუ ხოთი ჩვენ ეიქნებოთ იქ, ჩვენ გარდავახდევინებთ².

ცხადია, ჯარისკაცს აკრძალული ჰქვს ძალადობა და თვითნებობა და თუ ბრძანებას არ დაუმორჩილება, იგი შეაკრად დაისჯება. მაგრამ

სოფელს, როგორც ამას განჩინება მორიგედ, ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყო მორიგე ჯარისთვის, და მიუთითებს: „სოფელს, ყველგან, შეშასა და თივას კი ვერ დაუშვას, და ყველგან უნდა გამოისაყენებელი ხის იარაღი იყოს რამე, არც ის უნდა დააწვევიანოს“¹.

განჩენების მიხედვით ჯარში გასვლისაგან არავინ თავისუფლებოდა, მაგრამ იყვნენ რიგი საქმისათვის, რომლებსაც უფლება ჰქონდათ თავის მავიერად სხვები გაეგზავნათ მორიგე ჯარში. ესენი იყვნენ: ეპქრები, მეწისქვილეები, მეყვამები, გუთნის დედეები, სტამბის მეშები, ყველა ისინი, ვინც დაარჩენას ადვილზე ათვლიდებოდა მოითხოვდა.

ზემოთ ჩამოთვლილ სპეციფიკურ პიროვნების ხალხს შეეძლოთ „ბადალი“ გაეგზავნათ მორიგე ჯარში.

აი რას გვაუწყებს მე-9 მუხლი: „რომელიც ქართლსა და კახეთის აღმდამიცემის კაცი არიან, ღუგნის პატრონი, ქართველი, სომეხი, ღრანკი თუ თათარი და ურია, თუ რისაც მილათის კაცი იყო, ამათს ბადალს ეცაბულებოთ. მეყვამისა, მეზღისა, ხაზახისა, მზარეულისა, გუთნისდელისა, და რომელიც შემპლბელ მეწისქვილე არის, იმითა ბადალისაც ეცაბულებოთ, მაგრამ ამითი ბადალი რომ არ მოვიდეს, არ იქნება და კიდევ გადახდებათ².

მორიგე ჯარში გამოუცხადებლობა მეფის ბრძანებით სასტიკად აკრძალული იყო და ყველა, ვინც არიდებდა სამსახურს თავს, წოდებასა და შესაძლებლობის მიხედვით სხვადასხვანაირად ისჯებოდა.

ეს სასჯელები განჩენების მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებში თავადაც, ახანაურიშვილზე, სოფლის მოხელეზე, ნაცვალზე და სხვაზე ასე ნაწილდება „ამ საქმეში თუ პირველმან თავადმან დააშარა რამე, რომელიცდათ თუშანი წყარათოს, თუ თეთრი არ ჰქონდეს, ჯინში გამოცრათოს, და ჩვენის ბრძანებით სხვას სასაძლოს მიეცეს“³. „ამას გარდა, რომელიც და რომელიც წინააღმდეგი თავადმან, თუ იკადროს რამე ან ლაშქარს აეღდეს, ან კაცი დაეცოს და ან სხვა რიგი რამ საქმე დაიჭიროს წინააღმდეგი ამ ლაშქარობისა, ამას ჰოი თუშანი წყარათოს; რომელსაც თეთრი არ ჰქონდეს, შამელი გავედოს და ის გამოწართვევით ჯარიმა ჩვენის ბრძანებით სხვას სასაძლოს ჯარებს მიეცეს“⁴. „ახანაურიშვილი თუ თავის რიგზე დაეცდეს, ან ლაშქრობაზე რამე დააშარა, ათი თუშანი ჯარიმა წყარათოს. აგრეთვე მისი ცამორთმეული ჯარიმაც ჩვენის ბრძანებით სხვას სასაძლოს ჯარებს უნდა ეცეცოს“⁵. „სოფელში მოხელემ, ნაცვალმა, ქეშმა, თუ შამასახლისმა წინააღმდეგი ამ ლაშქარობისა თუ დააშარა რამე, ექვსი თუშანი წყარათოს ჯარიმა და ჩვენის

¹ ი. ლორთქიფანიძე, საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV B, 1947, გვ. 281.

² იქვე, გვ. 283.

³ იქვე.

⁴ იქვე.

ბრძანებით სხვა სასარდლოს ქარს მიეცეს, თუ თეთრი არ ჰქონდეს, მაშეღი გაეყიდოს¹.

როგორც ვხედავთ ზემოთ ჩამოთვლილი მუხლები უმეტესად დანაშაულებს ეხებოდა, მაგრამ განჩინებას ასევე შეუწყნარებლად მიაჩნდა მოკრძე ქარში დაგვიანებით გამოცხადება და ამისათვის შესაფერისად სჭიდა ყველას, ვინც ასეთ დანაშაულს ჩადიოდა.

განჩინების მე-15 მუხლი მიუთითებს, რომ: „თუ თავადი და აზნაური მზად ჩვენთან არ გამოცხადდება და მზად არ გვეჩვენება, რაც ჯარიმა და გადაგვიანება დაგვიწერია, ის გარდაქმნება. თუ იმ ერთს დღეს დააჯლდა ორი ჯარიმა იქნება და რამდენსაც დღეს დააჯლდა, იმდენი ჯარიმა ერთმევა, და თუ გაიპარა და ან კაცი გააპარა ან ამ ლაშქრობის წინააღმდეგ რამ ჰქნა, ამას სამად და ოთხად გარდაქმნის, თავადიშვილს, აზნაურიშვილსა და მოხელეს“.

როგორც ვხედავთ, განჩინების მახვილი, როგორც თავადებს, აზნაურიშვილს და მსხვილ მოხელეებსაც არ ინდობდა, მაგრამ სასჯელის უმკაცრესი ზომა მაინც გლეხის მიმართ იყო მიმართული.

ეს, რასაკვირველია, ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში, სადაც გლეხი მხენელ-მთესველი, ბატონის მსახური და ყმაა.

განჩინების მეთექვსმეტე მუხლით გლეხი იმდენჯერ უნდა გაეტარებინათ „რუსულ წებულში“, რამდენ დღესაც დაგვიანებდა. ხოლო გლეხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კანონის წინაშე პასუხს მთელი სოფელი აგებდა და დამძალავს ჯარიმის სახით ექვსი თუმანი უნდა გადაეხატა.

თუ ასეთი პირი თავადი იქნებოდა, განჩინების მე-18 მუხლის მიხედვით „თავადიშვილს მამულისა და საქონლის ილაგი არ ჰქონდეს, ის სატუსალოში ერთი თვე დაეზას ბორკილით და ცარიელის პურისა, წყლისა და ღვინის შეტს ნურას მიაღებინებენ ჭამითა, სმით ზედამდგომელნი“².

ზედამდგომელს — ზედამხედველს ეკრძალება ამ წესის დარღვევა და თუ ის ამ მუხლის მოთხოვნებს წესიერად არ შეასრულებდა, იგი ტუსაღის მდგომარეობაში უნდა ჩაეკარჯნოდა.

დამწინავე თავადიშვილის „რუსულად გაწყევლა“, მართალია, აკრძალული იყო, მაგრამ სატუსალოში ერთი თვის „დაბმის“ მანძილზე თავისი პური-ღვინით იკვებებოდა.

როგორც წესი, პატარაობიდან ედაზე ადრე იმ შემთხვევაში თავისუფლებოდა, თუ ის ნამდვილად ავად ვახდებოდა, მაგრამ სიმუღალი-ისათვის მას დაწესებულ ედაზე ათი დღით მეტ ხანს ამყოფებდნენ სატუსალოში, რომელიც

გვიან ფეოდალურ საქართველოში მხოლოდ თბილისში იყო.

ამდენად განჩინება მთელი საქართველოში და დამწინავეებს, რომელიც წინამდებარე გენეალი არ უნდა ყოფილიყო იგი, და ამავე დროს მამულის შეიღებისგან. უაღრესად ყველაზე მოთხოვდა ქვეყნის წინაშე წმინდა-წმინდა მოვალეობის მოხდას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საბატონო კაცების დავითიდან ზუსტი სიების ამოწერას... „ახსოვდეთ, რომ ამ განჩინებას არავინ გარდაქმნის, თუარემ, რაც დაწერილია, ჩვენ ამას უერას მოვაკლებთ“¹.

განჩინება მკაცრად აფრთხილებდა თავადებს და ყმათა სხვა მფლობელებს არამარტა არაა არ დაეშვათ გლეხის გადამალვა და ასეთი რამე თუ გამოამჟღავნებოდა, მაშინ „ის კაცი იმას წაერთმევა ან სახასოდ დაიღება და ან სხვა კაცს მიეცემა“².

განჩინებას უყურადღებოდ არ დარჩენია ღარიბი გლეხი, რომელსაც ჯარიმი წაესვლისა საშეღებად არ ექნებოდა ერთი თვით თავისთავი პური და დღებით მოეპარაგებინა. ასეთ შემთხვევაში განჩინება გლეხის პატარას ავადღებულზედა — ხელო შეეწყო ქარში მიმავალი-სათვის და საჭირო რაოდენობის სურსათით მოეპარაგებინა.

თი არაა ამის შესახებ ნათქვამი განჩინების ოცდამეოთხე მუხლში: „რომელიც გლეხი კაცი სახასოში თუ ეკლესიის ყმაში, თუ სათავადოსა და საზნაურიშვილოში მეშვიდრე, თუ ხიზანი იყოს ასეთი, რომ ერთს თვეში უქონლობით და სიღარიბით ლაშქრობა არ შეეძლოს, იმ კაცს იმისმა მეპატონემ, რომელსაც იყო, თვეში ხეით თუნჯ ღვინო და ერთი კოდი პური მისცეს და საყოფი მარილი ერთის თვისა და ისე გამოგზავნოს შეუძლებელი, თავისი მეშვიდრეა და ხიზანიცა“³.

მორიგე ლაშქარი, რომელსაც ნიჭიერი მხედართმთავარი, მამაცი მებრძოლი და სამშობლოს ერთგული ლევიან ბატონიშვილი სარდლობდა, პირველ ხანებში ხეითათა კაცთავე აღწევდა და მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლეკ-ყაზაღთა თარეშის აღსაქვეთად.

მორიგე ლაშქარი, მართალია ფეოდალური ჯარის სისტემის საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ არსებობის მცირე ხნის მანძილზე მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის დაწესებულებასა და თავდაცვის განმტკიცების საქმეში.

ეს უაღრესად პროგრესული ინსტიტუტი ხელს როდეს აძლევდა თავადებსა და მებატონებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარ მეზე დიქტობდნენ და ფართულად თუ აშკარად იბრძოდნენ მორიგე ჯარის არსებობის წინააღმდეგ. ეს ინს-

¹ იქვე, გვ. 283-284.

² იქვე, გვ. 285.

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 286.

ტიტუტი ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალი იყო მეფის ხელში და შიშის ზარს სცემდა როგორც ვარსებ მტრებს, ასევე უჩრ თვალებს, შფოთისთავეს.

თავადი თუ მეგობრე ვერ შერეგებოდა იმ აზრს, რომ ყმა მთელი თვით ჩამოშორებოდა მის მამულს და მორიგე ქარში ემსახურა. ამდენად ფეოდალური ქარის ახალი ინსტიტუტი ვერ უთავსდებოდა თავადური სისტემის და მათ შორის მთელი ძალით გაიშალა დაუნდობელი ბრძოლა.

ამ ბრძოლის შემდგომ ეტაპს უნდა განესაზღვრა ამ მოპირდაპირე მხარის — ორი შეუთავსებელი სისტემის უოფნა-აზოფენის საკითხი. კასაციფირება, თავადები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ თავიდან მოეშორებინათ ეს ინსტიტუტი, რომელიც ძალს უფრთხობდა მათ და ამ მიზანსაც მიაღწიეს კიდევ. მორიგე ლაშქარის დიდიზნის არსებობა არ ეწერა, რადგან: „აზაფრად მოსწონდა თავადს მორიგეში გასვლა. აქ ის საკუთარი ყმების სამხედრო უფროსი არ იყო და არც საკუთარი აზნაურ-შეღამჭერნი ახლდნენ მას. თავადი მორიგეში ერთი მოლაშქრეთავანი იყო. აქ ის მეფის მოხელეს (დაბაშს, უზბას, მინბაშს) ემორჩილებოდა და თავის საქმეში მკაცრად პასუხს აგებდა. მორიგეში მეფე და თავადი პატრონ-ყმა კი აღარ იყვნენ, რამედ ზღუდ მწიფე და ქვეშევრდომი. მორიგე ლაშქარში გასული გლეხი ერთი თვით თავის ბატონს სცილდებოდა, უშუალოდ მეფის კაცი ხდებოდა. გლეხმა უმაღლესმა ეს ახალი მოვლენა და კლასობრივ ბრძოლაში მისი გამოყენება არ დაეყოფა. მორიგეში გასული გლეხები ჩიოდნენ ბატონების მიერ თავიდან უსამართლო მოამლაგებლებს და მეფისაგან სამართალს მოითხოვდნენ. ხელისუფლება იძულებული იყო მეტი ყურადღებით, ეიდრე აქამდის, მოპყრობოდა გლეხთა ასეთ საჩივრებს და ბატონისა და მისი ყმის ურთიერთობაში ენერგიულად ჩაერეოდა, რის გამოც „თავადები მორიგე ქარის სისტემის გაუქმებისათვის შრომას არ ზოგავდნენ. მორიგე ლაშქარში თავადურმა რეაქციამ თავისი საფრთხე დაინახა და მას გადამწყვეტი ზრძოლა გამოუცხადა“¹.

ეს ბრძოლა კი იმით დამთავრდა, რომ 1781 წელს მოთვლდნელად გარდაიცვალა ახალგაზრდა ლევან ბატონიშვილი, რაც მორიგე ქარის დასასრულის მოწვებელი გახდა.

ამის შემდეგ გვინდა დავებრუნდეთ არმიის მონღოთა საქმიანობას, უფლებამოსილებას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართული ქარის აღნაგობისა და წყობის შესახებ მხოლოდ ძველი ცნობების შემცველი წყაროები გვაგონია. რაც შეეხება გიუღდენმეტეტის მიერ დატოვებული ცნობები ზოგადი ხასიათისა არიან

და ფაქტურად ახალს არაფერს იძლევენ. მხოლოდ დავით ბაგრატიონს უცდია ამ საკითხზე თავისი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ვერც ის ახერხებს ამოწურავი პასუხის გაცემას მართლწარის წყობის საკითხზე.

დავითის ცნობით, «Каждый сардарь командует областным ополчением. В помощь ему присвокупались по нескольку офицеров из князей и дворян сей провинции»¹.

მე-18 საუკუნის 70-იან, 80-იან წლები ახალი ძერებით აღინიშნა საქართველოს სამხედრო წყობაში. მართალია, სადროშოები ხელუხლებენ დარჩნენ, მაგრამ მორიგე ქარის ინსტიტუტი დიდად განსხვავდებოდა სადროშოს წყობიდან, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ თუ სადროშოს თავადები საზღვალის ხელშეკით მოხელეებს წარმოადგენდნენ, მორიგე ლაშქარის ერთი ხელმძღვანელი — ლევან ბატონიშვილი ჰყავდა და ამ ქარის ქვედანაყოფებს მეფის მიერ დანიშნული სამხედრო პირები — სარქარა, მინბაშები, უზბაშები უდგანან სათავეში, რომლებიც განსაკუთრებული უფლებებით არიან აღჭურვილი.

თი რას ამბობს ამ უფლებების შესახებ განჩინების ოცდამეორე მუხლი: „რომელიც კაცი, რომელსაც მინბაშ და რომელსაც უზბაშ აბარია, ამის წინააღმდეგი რომ ქნას, უნდა გადახდეს დანაშაულების მსგავსად. გალახონ, დააბან ბორკლით და ავრთვე ხუნდით. თუ ასეთი დანაშაული ჰქონდეს, ჩვენი გასასიჩქარი იყოს, ჩვენიდან მოიყვანონ“².

საქართველოში რუსეთის ქარის შემოსვლამ უკარნახა ერეკლე მეფის ქართველი ქარის წყობაში სიახლის შეტანა, რაც უპირველესად გამოიხატა იმაში, რომ სალდათის, კაბრალის, უნტერ-ოფიცირის, სერჟანტის, ოფიცირის, არტილერიის კაპიტანის მაიორისა და მოლკოვნიკის ჩინები და წოდებანი შემოიღო, ხოლო არტილერიის სათავეში ფელდცეხისტიერი დაუყენა.

ამასთანავე გარდაიქმნა ქარის წერტანა, რუსული წყობის მიხედვით, რამაც საკმაოდ აამაღლა ქარის ბრძოლის უნარიანობა და სამართლო ხელუფლება ახალ საფეხურზე ითევანა.

როგორც დავით ბაგრატიონი მიუთითებს, გვიან ფეოდალურ საქართველოში შემოღებულ იქნა ახალი, განსაკუთრებული სამხედრო უწყობი — „Военная контора, რომლის მოვალეობას შეადგენდა სამხედრო საქმეების მოწესრიგება.

¹ დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, აბ. როგავას რედაქციით, 1959, გვ. 235.

² ი. ლორთქიფანიძე, საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ქარის შესახებ. საბ. მეზეუმის მოამბე, ტ. XIV, ბ. გვ. 285.

თი რას წერს დავით ბატონიშვილი ზემოთ დასახელებულ შრომაში: «Для управления всех вообще военных дел при непрерывном Царском Совете учреждена была особенная контора, которая вела список очереди людей собираемых в Морие, и отмечала людей, бывших во время ополчения, пеклась о продовольствии, провiantе, фураже, артиллерии, ружьях, свинце, порохе и о всех вообще сменных снарядах. По распоряжению ея чинился отпуск военных потребностей»¹.

მრავალი წერილობითი წყაროა შემონახული, რომლებიც აღსტურებენ, რომ ვრცელეს სამხედრო საქმეებს სამხედრო უწყისები ხელმძღვანელობენ. ამას აღსტურებენ ბერნაშევი, მანუჩარ თუმანოვი და სხვები.

ჩვენ არ შეუძლებოდა ამის დამადასტურებელი ციტატების მოყვანას, არც დავით ბაგრატიონის რეფორმებს შეეხებით, არც დავახასიათებთ „დიდთა და მცირეთა“ სამხედრო პირთა მოვალეობებს, უფლებებს, საქმიანობას, რადგან ამის შესახებ საკმაოდ ვრცელად მოთხრობილი პროფესორ დავით გვრიტიშვილის ნაშრომების III ტომში და ვადავალთ მე-18 საუკუნის ქართლის სამეფოს შინაგანი დაცვის ორგანიზაციის დახასიათებაზე.

მეფე, რომელიც უმაღლესი გამგებელი იყო სამეფოში შეიარაღებულ რაზმზე დაყრდნობით, ყოველთვის ატარებდა თავისი ძალუფლების განმტკიცებლას და შინაგანი რეაქციისაგან თავის დაცვას.

როგორც წესი, ქვეყნის თავდაცვისა და დაცვის ორგანიზაციის განცალკევება, მათ შორის ურთიერთკავშირის დარღვევა შეცდომა იქნებოდა და ამიტომაც ისინი ერთმანეთთან ქვეშირნი უნდა განეხილათ.

რასაკვირველია, ცენტრალურ ხელისუფლებას თავადური სისტემა სპეციალდ მოჰქვდა, რომ თავის სიმძლავრე აეყვანა როგორც ერთი, ასევე მეორე, მაგრამ ქართველ მეფეთა ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე ეს მაინც ხერხდებოდა და ამას, თუნდაც, ეახტან VI მეფობის ხანაც დაგვიდასტურებდა. საქართველოს ისტორიის მაყვერში ნათქვამია, რომ ვახტანგმა მცველთა ქარის ინსტრუქტი შემოიღო და აეს მცველთა ქარი ჭამაგირხედ იყო და ქანიშინის ერთგული თავადიშვილებისა, აზნაურიშვილებისა და მსახურებისაგან შედგებოდა. ეს ქარი მეფოფლთა სამხუდალ იყოფოდა, თითო გუნდს უზნაში (ასისთავი) სარდლობდა. ყველას ერთად მეფის უწლარადასი. მცველთა ქარი ვანუგრულდ ახლდა ქანიშინს (ვახტანგ VI, უ. 3.), მას მხოლოდ შინაპოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა².

მცველთა ქარი საიმედო დასაყრდენი იყო მეფისათვის და ამ ქარით, — „სპანს რეკითა“, როგორც მას ვახუშტი უწოდებს, აღვირალდ უსწორდებოდა თავადებს, შფოთის მოთავეებს, თავისთავად ცხადია, რომ მეფის ეს სილხე გავლიერება უცალოფილუბას მადლმანს სსეუტებში და ისინიც ყოველნაირად ცდილობდნენ თავიდან მოეშორებინათ ძლიერა მეფე და შპის კარზე ახალ-ახალ „ბრალდებებს“ გზავნიდნენ ხოლმე.

თავადებში შიშს იწვევდა როქის სპა, რომელშიც თავადების საწინააღმდეგო ძალას ხედავდნენ. თი რას წერს ამის შესახებ ისტორიკოსი ვახუშტი: „რავამს დიპყრა ვახტანგ ოესეთი და განიწყო მცველნი თავისნი, მიერით ეშინოდათ გიორგის (არაგვის ერისთავს უ. 3.) და დათნას (ქსნის ერისთავს, უ. 3.) ერისთავთა მამულთა მათთა დამყრობისათვის“³.

მცველთა ქარი, როგორც აღვნიშნეთ, მიმართულია შინაური, მეფისადმი მტრულად განწყობილი თავადებისა და თუ სხვა ელემენტების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის მცველთა ქარი მხოლოდ ურთავდთა და შინაყრბრძალბთან საბრძოლველად იყო განკუთვნილი. მცველთა ქარი, რომელიც ერთგულ თავადბრძოლისაგან შედგებოდა, ყველან თან ახლდა მეფეს და დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა. ამასი არც არაფერია გასაკვირი — ჯერ ერთი, რომ ქარის შემადგენლობას ბირთვს შეძლებულთ თავადბრძოლა წარმოადგენდა და ამავე დროს ისინი ახლოს იყვნენ მეფესთან.

ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ორგანიზაციას, როგორცაა ქვეყნის შინადაცვა, თავისთავად ხელმძღვანელი აპარატი გააჩნდა, რომელსაც გვიან ფეოდალურ საქართველოში სათავეში უწლარადასი ედგა.

ეს თანამდებობაც, როგორც სხვა მრავალი, როსტომ მეფემ დააწესა და როგორც პროფესორა გ. ვახაშვილი მოუთითებს: „უწლარასობა ერანის სახელმწიფოში სამხედრო და სადარბაზისკარო თანამდებობა იყო“⁴.

ვახუშტის დამოწმებიდან ვიცით, რომ უწლარადასამდე საქართველოში იყო მონათუხეცის თანამდებობა და ეს უქანასენელი პირველმა შეცვალა ეს კი სამუელუბას გვაძლევს გვეყრკვეთ უწლარადასის უფლებამოვალეობაში.

თუ „მონათუხეცისა ხელისა იყო ყოველი მეფის როქის სპანი, თეინიერ ციხეჭალაქთა“⁵ მეფის დაცვა სამი რაზმისაგან შესდგებოდა,

¹ ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის რედაქციით, 1854, გვ. 78.

² ე. ვახაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამლის მიხედვით, ენისქის მოამბე, XIII 1943, გვ. 200.

³ ვახუშტი, აღწერა, გვ. 16.

¹ დ. ბატონიშვილი, დასაბ. შრომა, გვ. 236.
² საქართველოს ისტორია, მაკერა, 1940, გვ. 344.

თვითელ რაზმში 40 კაცი ირიცხებოდა და მის სათავეში მეფის ასისტავი იყო. დასტურლამეში ამის შესახებ მითითებულია: „ეს უზბაშები და ასოცი მეთოფე ყველა ყულარაღასათვის მიგვიბარებია, მისი თაბუნნი და ხელქუთითნი იყენენ: ამათს სამართალსა და რიგსა ის იქმოდეს, დგომის სამე და ქემიკობისა, როგორ ნაბრძანე აქუმთ, ისრე მოაქცენენ“¹.

რამდენადაც მეფის მცველთა რაზმები მონაწილეობის სხვადასხვა ფუნქციას შეესაბამებოდა, არ შეიძლება მათი უფლებები ერთნაირი ყოფილიყო. — თავადი აზნაურთან შედარებით, აზნაური — მსახურთან შედარებით მეტი პრივილეგიებით სარგებლობდა. ამაზე მიუთითებს დასტურლამის ის ადგილი, სადაც მითითებულია: „ეინც ვინ სამატიო კაციშვილი ყული იყოს, ბატონს თავს დააყენოს, რიგზედ მრთებისად იმსახურს. იქნება ასეთი ყულიც, რომ ღირ შევლისში არ დაიყენებოდეს“².

როცა მეფის სასახლეში შევლისი იყო ყულარაღასი და ყორჩიბაში ერთად იყვნენ, — მეფის უკან დგებოდნენ და ბატონის ბრძანებამდე ფეხზე უნდა მდგარიყვნენ.

რაკი მეფის უკან „დადგებოდნენ, ბატონის ბრძანებამდინ ნუ დასდებიან, ყული და ყორჩი რიგზედ დაყენონ, ყორჩიასულის იქ და იმათი დგომა გააჩიგონ“³.

სწორედ დასტურლამის ამ ცნობებმა გაზოგადეს ვ. გაბაშვილს შემდეგი დასკვნა, რომ ყულარაღასი და ყორჩიბაში „მეფის აღიურბანების მხგავს მოვალეობას ასრულებდნენ“⁴.

ყულარაღასის თანამდებობა სამატიო იყო და ამ სამსახურსმგებლო პოსტზე, ჩვეულებრივად, გავლენიან ფეოდალთა გვარის წარმომადგენელი ინიშნებოდა ხოლმე. ცხადია, მეფის დამცველთა რაზმის ხელმძღვანელს საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონოდა სახელმწიფო ხაზინიდან და მისი ქადაგირი, როგორც ეს დასტურლამალშია მითითებული, თუმცაბოთ განისაზღვრებოდა ზემოთ ჩამოთვლილი მოვალეობის გარდა ზე-

ფის კარის ამ გავლენიან მოხელეს სხვა დავალებებიც ეწეოდა და როგორც პრივილეგირა ი. სურგულაძე აღნიშნავს: „ყულარაღასი სასახლის დიდი მოხელე იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფოს მართვის საქმეში“¹.

ყულარაღასის შემდეგ, მეფის კარზე არანაკლები უფლებებით უნდა ყოფილიყო აღმურავი ყორჩიბაში, რომელსაც ვახუშტი მსახურთუხუცესს უტოლებს.

საინტერესოა აზრს გამოთქვამს ყორჩიბაშზე ვ. გაბაშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ამ მოხელის პიროვნება. იგი წერდა: „ყორჩიბაში, ისევე, როგორც ყულარაღასი, სახელმწიფო მოხელეა, მაგრამ ამ მოხელისაღმა დამკვემდებარებული ყორჩიბი, რომლებიც ყულეზიითი სასახლისა და მეფის მცველები იყვნენ, სამხედრო თვისებებთან ერთად სასახლის შიგამდგეთა თვისებებითაც იყვნენ აღჭურვილი.“

ამავე დროს ყორჩიბი სასახლის ხელმძღვანურ ხელმსახურთა მოვალეობასაც ასრულებდნენ. ყორჩიბაში ამგვარი კატეგორიის „ქელმინაურთა“ უფროსიც უნდა ყოფილიყო“².

თუ ვახუშტს VI მცველთა რაზმებს ყულარაღასი უძღვებოდა, მეფე ერეკლე მეორეს კარზე მის ნაცვლად ქემიკობაშს ვხედებით, ამავე დროს მცველთა რაზმებში სხვა მოხელეებსაც — მინაშაშებს, ფონსაღბაშებს, თოფჩიბაშებსა და დაშაშებსაც ვხედებით.

მანუჩარ თუმანოვი, რომელიც თავის დროზე დაინტერესდა ერეკლე მეორეს სამოხელეო აპარატით, მოხსენებაში მიუთითებდა, რომ „საქართველოს ჩვეულებრივი ქარის გამოყვანას გარდა, მეფემ ერეკლემ თავის საბრძანებლოდან მოიწვია ქადაგირის აღთქმით ნოქართ და თავადი დასადგომნი კაცნი, მივიდნენ და განაწესდნენ — ქქონდათ მიჩენილი მინაშაში, ფონსაღბაში, უზბაში, თოფჩიბაში და დაშაში“³.

ასეთი იყო თავდაცვის ორგანიზაცია XV-III საუკუნის ქართლის სამეფოში.

¹ დასტურლამალი, გვ. 49.

² იქვე, გვ. 94.

³ იქვე, გვ. 78.

⁴ ვ. გაბაშვილი, დასახელებული შრომა, გვ.

¹ ი. სურგულაძე, საქ. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 291.

² ვ. გაბაშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 202.

³ შ. მესხია, მასალები... გვ. 42.

„ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძვრებათა ისტორიიდან“

სარეცენზიო ნაშრომი, რომელიც მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიურ საფუძველზეა აგებული, შინაარსობრივად ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში ავტორს გაეცნო აქვს დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, ხოლო მეორე ნაწილი მიძღვნილია თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-არსლანის სახელთან დაკავშირებულ დიდ პოლიტიკურ მოძრაობისადმი და შეიცავს მისი საბრძოლო იდეოლოგიის ახლებური გააზრების ცდას. შრომის მიხედვით იქმნება შეთხვევები, რომ როგორც დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრებანი, ისე ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია შინაარსობრივად ერთ მთლიანობას წარმოადგენს და როგორც სარეცენზიო შრომის ავტორი აცხადებს, სწორედ ამიტომაც დავით აღმაშენებლისა და ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური ნააზრევნი არსებითად განსაზღვრავდა XII საუკუნეში ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ კერსს. ამ გაგებით ავტორის მიდგომა ზემოთ აღნიშნული საკითხების შესწავლისადმი სრულიად ახალი და მართებული უნდა ჩაითვალოს მისი განცხადებაც იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლისა და ყუთლუ-არსლანის სახელთან დაკავშირებული პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის დღემდე შეუსწავლელ პრობლემებს წარმოადგენს.

სარეცენზიო შრომის ავტორი დავით აღმაშენებლისა და ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების კლასობრივი შინაარსისა და თავისებურების ნათელსაყოფად მიმოიხილავს XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. რა თქმა უნდა, ავტორს აქ არ

სჭირდებათ ამ პრობლემების დამოუკიდებელი ორიგინალური მეცნიერული კვლევა, რადგანაც, როგორც საერთოდ მიღებულია, ამა თუ იმ იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებათა განსაზღვრისათვის საესებით საქმარისა ისტორიული მეცნიერების მიერ დადგენილი მასალა (ასე მოვიქცეთ ჩვენ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შესწავლისას). მიუხედავად ამისა, ქართული ისტორიოგრაფიის მიერ დადგენილ და სისტემატიზებულ მასალაში, სარეცენზიო შრომის ავტორმა შესწოლ ისეთი მოვლენების წარმოჩენა, რომელიც მათ ახლებური გააზრებასთან არის დაკავშირებული. პირველყოვლისა აქ აღსანიშნავია XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მიერ რიგ საუერადღებო მოვლენათა რენესანსული ბუნების დადგენა. ამდენად ე. აბაშაძის შრომა „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“ მიძღვნილია ქართული კულტურის აქტუალური საკითხებისადმი და შესრულებულია მეცნიერების თანამედროვე დონეზე.

შრომის ავტორი საფუძვლიანად ერკვევა იმ მნიშვნელოვან განსხვავებაში, რომელიც რენესანსის თვალსაზრისით არსებობს ერთი მხრივ ზელოვნებას, ფილოსოფიას, ლიტერატურასა და აზროვნების სხვა ფორმებს შორის და მეორე მხრივ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებებს შორის. ავტორი საესებით სწორად აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეების ქართული კულტურის მნიშვნელოვანი დარგების (ზელოვნება, ფილოსოფია, ლიტერატურა და ა. შ.). რენესანსული ბუნება სრულად არის შესწავლილი, მაგრამ რაც შეეხება რენესანსულ მოვლენებს XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი თითქმის სრულიად შეუსწავლელია. მართალია, ქართული ფილოსოფიის სათანადო მონაკვეთის შესწავლის დროს ზოგადად აღნიშნული იყო, რომ XII საუკუნის საქართველოს ფილოსოფიურ აზრსა და დავით აღმაშენებლისა და ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებებს საფუძ-

ელად მთლიანი რენესანსული ბუნება გააჩნია, მაგრამ შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ და იურიდიულ მოძღვრებათა რენესანსული მხარეები დღემდე მაინც შეუწყვაველი იყო. ამ ხარვეზის შევსების საპრობლემა დიდი ხანია იგონებოდა, ჩადგანად რენესანსი, როგორც ისტორიული მოვლენა სწორედ პოლიტიკით დაიწყო და რასაკვირველია, პოლიტიკურ იდეოლოგიასა და სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ მოძღვრებებში რენესანსის ბუნება და ხასიათი რელიეფურად არის გამოსახული.

საუბრეობდო უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო შრომის ავტორის კვლევის ობიექტს შეადგენს არა მარტო XII საუკუნის საქართველოს განათლებისა და კულტურის სხვადასხვა დარგების ამოღება, როგორც თვისობრივად ახალი, სახარვეზო განწყობილების მარეცნებელი, არამედ მან შესძლო შუა საუკუნეების საქართველოს სარენესანსო აქტებში მეცნიერული კვლევის ახალი საგნის — ამ ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა იტორიის ძირითადი მიმართულებების დადგენა და განსაზღვრა. სარეცენზიო შრომას ეს გარემოებანი უდასრესად საინტერესოსა და ორიგინალურს ჰქონია.

ქართული ფეოდალური მრავალეროვანი სახელმწიფოებრიობის არსის ანალიზისას ავტორი მართებულად აკავშირებს ერთმანეთთან სამეფო ხელისუფლების პრაქტიკულ საქმიანობას მისი იდეოლოგიის თეორიულ ნაზრეტთან. თუ ფეოდალში თავისი დაქსაქსულობით ისეთი ანტისახელმწიფოებრიობის გამოხატულება იყო, რომელშიც სახელმწიფოებრიობისათვის საპირო მთლიანობას ე. მარქსის მითითებით მხოლოდ იერარქიული სისტემა ქმნიდა, დავით აღმაშენებლის მიერ ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გასამრქიცებლად 1118 წელს ყოენათა ვადმოსახლების ბაზაზე მუდმივი არმიის ჩამოყალიბება მის მიერ თეორიულად სწორად გაზრებულ აბსოლუტრზმის პოლიტიკური რეჟიმის შექმნას და განმრქიცებას ემსახურებოდა. მართალია, სამხრეთ რუსეთში მოხერხებულ ყოჩაღთა ნახევრად ვეღერი ტომისაგან ერთბაშად ძნელი იყო სიიმედო სამხედრო ძალის შექმნა, ამ ღონისძიებისაღმე დავით აღმაშენებლის პრაქტიკული მიდგომა დიდი ოსტატობით დაუკავშირდა მის საზრთველო წარმოღვენებს და მიზანად მისდევნული აღმოჩნდა. ყოენათა უცხო და უხეში ტომი დასახლებულ იქნა საქართველოში და მისგან შემდგარი ძლიერი სამხედრო არმია ქართველთა წინამძღოლობითა და მეთაურობით დავით აღმაშენებელმა წარმატებით გამოიყენა ძლიერი მრავალეროვანი ქართული სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად მახლობელ ადმოსავლეთში. ამ მიზნის განხორციელება ზმირად დაკავშირებული

ბული იყო სისხლისმღვრელ ომებთან, რას გიმოც დავით აღმაშენებელმა სინანულიც კი გამოთქვა თავის თხზულებაში „გაღრმავებული სინანული“.

ასე ემთხვევია ერთმანეთს ამა თუ იმ წყაროში ისტორიული ფაქტების მოხსენიება და ლიტერატურულ ნაწარმოებში ამ მოვლენათა შესახებ გადმოცემული დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი, რომლებიც, როგორც სარეცენზიო შრომის ავტორმა აღნიშნავს, ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების შესწავლისას ავტორი უპირველესყოფილს სერიოზულ ანგარიშს უწყევს იმ გარემოებას, რომ XII საუკუნიდან ჩვენამდე მოღწეული წყაროები იმდენად მცირე და დამახინჯებულა, რომ დავითის პოლიტიკური მოძღვრებების დასადგენად დიდ შრომასთან ერთად საჭირო ჰქნება წყაროების ურთიერთმეღერება. ერთ-ერთი ძირითადი წყარო „ესტორიკა მეფეთ-მეფისა დავითისი“, როგორც ავტორი აღნიშნავს, არ ისახავს მიზნად საქართველოს ისტორიის პოლიტიკური მოვლენების სისტემატური სახით გადმოცემას. ამის შემდეგ, დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრებების შესასწავლად, ასეთი წყაროს გამოყენებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობისას ავტორი შეიძლება უფრო მოკრძალებული ყოფილიყო, რისთვისაც ტრადიციული „სოგადი მსოფლმხედველობა“, რომელსაც იგი სიფრთხილისათვის მიმართავს, უფროდ ამჯობინებდა. სამართლიანად უნდა ჩათვალოს სარეცენზიო შრომის ავტორის განცხადება დავითის უცნობი ისტორიკოსის ვინაობის შესახებ, კერძოდ მისი მითითება იმის შესახებ, რომ მეცნიერულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ გადუწყვეტილია, თუ ვინ უნდა იყოს კონკრეტულად დავითის ისტორიკოსი. ასეთი კატეგორიული განცხადების შემდეგ გამოჩენილება ადარაქვს ავტორის მიერ ამ საკითხის სავალად ვრცელად მიმოხილვას.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული დასკვნა, თავისი უაყოფიოთი ხარისხით, აძლიერებს იმ წყაროთა ცნობების მნიშვნელობას, რომლებიც დავით აღმაშენებლის განათლებულობასა და შეხედულებათა სიღრმეს ადასტურებს. ამ წყაროთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე პეტრიწის შრომები და ი. შავთელის „აბოღლუშესიანი“, რომელშიც დავითი შედარებულია მაქსიმე აღმსარებელთან. ამაზე უფრო დამაჯერებელი და ძლიერი ჩამის თქმა არ შეეძლო არავის იმ თანამედროვეთაგან, რომლებიც დავითთან საკუთარ ურთიერთობაზე ლაპარაკობენ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ი. პეტრიწის მითითება იმის შესახებ, რომ იგი

თავის დიდ ფილოსოფიურ მეგვიდრებებს მწიდა დავით აღმაშენებლის „თანადგომით და გამგონებით“. ამის შემდეგ სხვა წყაროების ცნობებს დავით აღმაშენებლის გონებრივი განვითარების და მისი მწიგნობრობის შესახებ გადამწვევები მნიშვნელობა აღაქა აქვს. ი. შავთელისა და ი. პეტრიწის ცნობები, რომ XII საუკუნის საქართველოში გაჩაღებული იყო დიდი შემოქმედებითი მოღვათა დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით და მეთაურობით, და აგრეთვე, დავითის შედარება პრაქლე დიადოხოსთან და მაქსიმე აღმსარებელთან, განსაყუთრებული უფრადლების ღირსია. ქართულ ფილოსოფიაში არეოპაგიტის რესტავრატორის ი. პეტრიწისაღმე დავით აღმაშენებლის მხარდაჭერა საქართველოს მეფეს მეტად ამაღლებს. რაც შეეხება მაქსიმე აღმსარებელს, იგი ხომ პეტრიწის (არეოპაგელის) აღტერ ეგო იყო და მან შესძლო ნათელი გაებადა არეოპაგიტის უზესათესობა და ამით, როგორც მეცნიერება აღნიშნავს, შარაენდელი განუშადა და დაუშვებლად „დიდ დიონისეს“. რენესანსის ზემოთ აღნიშნულ მოაზროვნეთა მიერ მოცემული დავითის დახასიათებები მართლაც მიაწერს დავითს ისეთ თვისებებს, რომელთა გავება და წარმოდგენა უკუფხვას პოეტობა დავით აღმაშენებლის თანამედროვეთა შორის, როგორც ამას სარეცენო შრომის ავტორი მართებულად შენიშნავს და, შესაძლოა, ასეთ პირობებში უდავოდ გამოჩენილი და სახელოვანი ვინმე სრულიად არ იყო საძიებელი, როგორც დავითს მატანეს ანონიმი ავტორი, რომელიც დავითის ერთგული და მასთან დაახლოებული ჩვეულებრივი მწიგნობარი იყო.

მეორე ისტორიული წყარო, რომელსაც სარეცენო შრომის ავტორი იყენებს დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა შესასწავლად, 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაა, რომლის ძირითად დებულებებს იგი საკმაოდ ღრმად აანალიზებს. ავტორი უდავოდ ითვებტრია ამ წყაროს მნიშვნელობის შეფასებაში. სარეცენო შრომის ავტორი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის უველა შინაარსობრივ ნიუანსს მოხერხებულად უკავშირებს დავით აღმაშენებლის სახელსა და მის შარეალფეროვან პოლიტიკურ საქმიანობას დავითის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოძღვრებების შინაარსის დადგენისა და განსაზღვრისათვის.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი ძეგლისწერის შესავალს, რომელშიც, როგორც იგი ამტკიცებს, მოცემულია დავით აღმაშენებლის შეხედულებები ზნეობით და დადებით სამართლის ნორმების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ფეოდალიზმის მმართვლობის განსაკუთრებულ ფორმაზე — აბსო-

ლუტიზმზე და ა. შ. ჩვენ ვეუიქრბთ, რომ უფრო სრული წარმოდგენა გვეძენება ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე დავით აღმაშენებლის მოძღვრებების შესახებ, სარეცენო შრომის ავტორის ძეგლისწერის ამ ნაწილიდან მეტი ცნობები რომ მოგვრანა დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებზე. გარდა ამისა, ავტორი საესებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ რუის-ურბნისის ძეგლისწერის შემადგებაში დავით აღმაშენებელი უშეალოდ დებულობდა მონაწილეობას, მაგრამ საამისოდაც არ იქნებოდა ზედმეტი ძეგლისწერის ტექსტიდან ერთი-ორი ადგილის მოტანა.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების შესასწავლად სარეცენო შრომის ავტორის მიერ კრიტიკულად შესწავლილი 1123 წლის ანდერძიც შიომღვიმის მონასტრისაღმე, როგორც საამის ისტორიული წყარო, მთელ რიგ საკითხებში კვლავ სადავოა (ძეგლის დაწერის თარიღი, ტექსტის მართებული წაკითხვის პრობლემა და ა. შ.). ამ სადავო საკითხებს ავტორი გვერდს არ უვლის, რაც მისი საკუთარი პრობლემის კვლავზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. ავტორი ახერხებს 1123 წლის შიომღვიმის მონასტრისაღმე მოძებული ანდერძის მიხედვით დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრების მთელი რიგი შეუსწაველი საკითხის (სახელმწიფოს წარმოშობა და მისი არსი, სამეფო ხელისუფლების საზღვრები, საერო ხელისუფლების საეკლესიო ხელისუფლებასთან ურთიერთობა და ა. შ.) გარკვევას. მეტად საყურადღებოა იმის მითითება, რომ ზემოთ აღნიშნული ძეგლის დასაწყისი და დასასრული, რომელიც ავად. ა. შანიძემ ამოკითხა სწორედ, დავითის ხელით არის უშუალოდ შედგენილი.

სარეცენო შრომის ავტორი საფუძვლიანად იკვლევს დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძსაც, რომელშიც, როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, ბევრი საინტერესო და ახალი საკითხი აღმოჩნდა დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოძღვრებების მეგვიდრებიდან. ავტორი ამ ძეგლს მომეტებულად ისტორიული თვალსაზრისით იკვლევს. საფუძრებელია, რომ ამ ძეგლს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა, კერძოდ იგი შეიცავდა დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული ზოგიერთი ზმძოლების მონაწილეობასაც, რითაც ის უნათესავებოდა დავითის სახელთან დაკავშირებულ ფილოსოფიურ — პოლიტიკურ ტრატატს „გალობანი სინანულიანი“. კიდევ მეტი, 1125 წლის ანდერძი განმტკიცებს ამ მნიშვნელობას, რომელიც მას გააჩნდა ამ ეპოქის საქართველოს ისტორიულ მოღვაწეთა საქმიანობის ზოგიერთი საყურადღებო მოვლენების აღნიშვნისათვის.

ავტორის მიერ კრიტიკულად შესწავლილ წყაროთა შორის განსაკუთრებით უფრადლების

ღირსია თვით დავით აღმაშენებლის თხოვნა „გალობანი სინანულისანი“. ამ ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ტრაქტატში დავითი მთელი სისრულად გვევლინება, როგორც შუა საუკუნეების დიდი მოაზროვნე. ამავე დროს, როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, მასში დავითი თვითონ გვაძლევს თავისი დიდი სახელმწიფოებრივი საქმიანობის ზოგიერთი მხარის შეფასებას. მკვალითად, დავითი მშინადაც კი თვლიდა თავს „ბრალდულად“ და პატიებას გამოითხოვდა ღვთისაგან, როდესაც ის უფლის შთაგონებით ამოკიცვდებოდა სამეფო ხელისუფლებას, იმერობად სხვადასხვა ქვეყნებს და მათ თავის სამეფოს უერთებდა. ამ ძველადან დავითი მონაწილე როგორც უდიდესი მოაზროვნეც, რომელიც ბუნებითი სამართლის მოძღვრებას იყენებდა კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრების სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების მქონე ხალხების გასაერთიანებლად და დასაბრუნებლად თურქ-სელჩუკ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. შეიძლება ზედმეტი არ იქნებოდა იქვე მიღებული ყოფილიყო მხედველობაში საქმიანობისა და ნაზრევის მიხედვით ქრისტიანული დოგმატიზმისა და კრიტიკულად განწყობილი დავით აღმაშენებლისა და ერეტიკოს მაქსიმე აღმსარებლის შვეთლისეული შედარება.

ყოველ შემთხვევაში ავტორი საესებით მართალია როდესაც ამტკიცებს, რომ განსხვავებულ საკმარად დამკვიდრებელი შეხედულებისაგან „გალობანი სინანულისანი“ არა დავითის მიერ ქრისტიანული სოფიზმის წინააღმდეგ ამავე დროს მოყვანილია. ავტორმა შესძლო დამტკიცება, რომ „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებელი გვაძლევს მის მიერ განხორციელებული ახალი, რენესანსული პოლიტიკის საფუძვლებს. ამრიგად, სარეცენზიო შრომის უდიდესი დამსახურებაა ამ ძველის მანამდე უცნობი და შეუსწავლელი რენესანსული მხარეების დადგენა და მისი მკითხველთა წინაშე ისეთ ძველად წარმოჩენა, რომელშიც საკმარად სრულად არის მოცემული ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგია. საყურადღებოა, რომ ავტორის გამოკვლევით ეს იდეოლოგია და მისი შესაბამისი მოძღვრებანი შემუშავებული იქნა დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარ მეფის ეპოქაში, როდესაც საქართველოში ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ახალი პერსპექტივები შეიქმნა.

სარეცენზიო ნაშრომის უკუღმე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობისა და ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების საფუძვლებზე ე. ამაშხაძის მიერ დამუშავებული და შესწავლილი დავით აღმაშენებლის მსოფლმხედველობა და მისი სახელმწიფოებრივი შეხედულებანი.

წინასწარ უნდა შევნიშნო, რომ ჩვენს მიერ ზემოთ წამოყენებული მოთხოვნა ექვემდებარება, რომ ავტორს შუა საუკუნეების ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეული წყაროებიდან უნდა მოეტანა შესაბამისი ადგილები, სარეცენზიო შრომის ამ ნაწილში მთლიანად დამკვიდრებულია. ავტორის მოპყვას მრავალი საგულისხმო ადგილი რუს-ურბნისის კრების ძველისწერის, დავით აღმაშენებლის ანდერძებისა და აგრეთვე სხვა წყაროებიდან, რომლებიც ნათლად წარმოგვიჩვენებენ დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების დღემდე შესწავლად მხარეებს, აქ პირველყოვლისა ჩვენ გვანდერგებს სარეცენზიო შრომის ავტორის მიერ რუს-ურბნისის ძველისწერიდან მოტანილი ადგილი, რომელშიც ლამაზად „ღვთის ხატე“. ამ მოხსენებელი „ღვთის ხატი“ სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ფსევდო-არეოზაგლის (პეტრე იბერის) ტერმინი— ენება „სახე“, რომელიც მოცემული აქვს აგრეთვე რუსთველს თავის „ეფესიტყუასში“. ამ მოსაზრების დასაბამებლად საყურადღებოა ისიც, რომ დავით აღმაშენებლის კარახით დაწერილი 1125 წელს შედგენილ ანდერძში უარყოფილია აღმთაწის მართებმა იმ სახით, რომ აღმთაწი ისევე „სახეობა“, როგორც ღმერთი, რომელიც არ ქმნის ბოროტს.

სარეცენზიო შრომის ავტორი დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების დასადგენად ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე ახსენებს მრავალ ტერმინსა და დებულებას შინაარსს და გვაძლევს მათ ახლებურ გაზრებას. აქ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდა დავით აღმაშენებელი, როდესაც იგი იყენებდა ტერმინს „ნიეთი“. ჩვენ დამაჯერებლად გვეჩვენება სარეცენზიო შრომის ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ ტერმინი „ნიეთი“ შუა საუკუნეების ეპოქის ისტორიული ძეგლების მიხედვით სახელმწიფოს აღმნიშვნელი იყო. რუს-ურბნისის კრების ძველისწერაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო და სამართალი გაგებულ უნდა იქნას „უთარ ნიეთის ესე სამსახურად კაცთათჳს დაადებულ ღვთისაგან“.

ავტორის ამ მოსაზრებას სხვა წყაროებიც ადასტურებენ. ავტორს რომ ესარგებლა რუსთაველის „ეფესიტყუასის“ დებულებით „მინდომნი საწყითროსანი მისთა ნიეთთაგან რჩეიანი“, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდებოდა „ნიეთის“ შინაარსის ახლებური გაზრება, რომელსაც იგი ახდენს.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ტერმინი „ნიეთი“ აღნიშნავს არამარტო „მასალას“, „მატერიალს“ და „საგანს“, როგორც ეს დღემდე იყო გაგებული ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში, არამედ ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში.

როგორც „ნივთის“ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და იგი აღნიშნავდა სახელმწიფოსაც და სამართალსაც.

სარეცენზიო შრომის ავტორს თავისი ძირითადი თეზისის, კერძოდ, ქართული პოლიტიკური აზროვნების რენესანსულობის დასამტკიცებლად, მშვენიერად აქვს გამოყენებული და დამუშავებული ის წყაროები, რომლებიც ცხადყოფენ დავით აღმაშენებლის მიერ განათლებული აბსოლუტიზმის პოლიტიკაზე დამყარებული სახელმწიფოებრივი კურსის სპეციფიკურ მხარეებს. ემყარება რა მართებულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, ავტორი ისტორიული ფაქტების ანალიზისა და სათანადო წყაროების გამოყენების შედეგად საკმაოდ ზუსტად აღგენს XII ს. საქართველოში პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ხასიათს. მას არ უშნა დღეები იმის დამტკიცება, რომ XII ს. საქართველოს რენესანსის სოციალურ იდეებს შორის სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა სარწმუნოებებსა და ეროვნებებს ხალხებისაგან ქართული სახელმწიფოებრიობის ინიციატივით შექმნილი მრავალეროვანი სახელმწიფო აქტიურ ზეგავლენას ახდენს ფეოდალური საზოგადოების ცხოვრებაზე. ასეთ პირობებში სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხთა ერთ მრავალეროვან სახელმწიფოდ აუცილებელი გაერთიანების ამოცანებზე განსაზღვრა ქართული კულტურის რენესანსული მიმართულება. სარეცენზიო შრომის ავტორის სახელწოდებო მიხედვრის უნარიტ უნდა აიხსნას იმის გარკვევა, რომ ზემოთ აღნიშნულ პირობებში ქართული სახელმწიფოებრიობა ცდილობს საფუძვლი ზეუყაროს ახალ კულტურას, რომელიც ერთნაირად მისაღები აღმოჩნდა კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებისათვის. ცნობილი რუსი მწერალი ალ. ტოლსტოი სწორედ ამ პირობებს უყვანს ხაზს, როგორც იმ რენესანსის შემქმნელს, რომელსაც რუსთაველი უძღვრავს (იხ. ა. ტოლსტოის რეცენზია „რუსთაველის ჩემი თარგმანის გამო“).

დავით აღმაშენებლის ირგვლივ შემოკრებილ სწავლულთა და მეცნიერთა მიერ შემუშავებული ახალი პოლიტიკური იდეოლოგია, რომელსაც კავკასიის ტერიტორიაზე საქართველოს ინიციატივით შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ედო საფუძვლად, იყო დასავლეთის რენესანსში გვიან შესული იდეები, მაკავალთ დაწვებული და ჯონ ლოკით დამთავრებული.

სარეცენზიო შრომის ავტორი მიზნად ისახავს ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის ფუძემდებლებს — დავით აღმაშენებლისა და ყუთლუ-არსლანის სახელმწიფოებ-

რივი და სამართლებრივი შეხედულებების შესწავლას. უნდა ითქვას, რომ ავტორმა შესწავლა XII საუკუნის საქართველოში/საქმეფო/ წესდის სფეროებისა და მისი მოწინააღმდეგე/საძღვრის მიერ გავრცელებული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების რენესანსული ბუნების როგორც მიგნება, ისე დადგენა. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის, რადგან დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები დღემდე არსებითად შეუსწავლელი იყო. ჯერ კიდევ, 1937 წელს პრაფ. ს. ყაუხჩიშვილთან ერთად გამოცემულ ი. პეტრიწის ნაშრომისათვის წამოღებული წინასიტყვაობაში მივუთითებ, რომ დავით აღმაშენებლის პოლიტიკური საქმიანობის საფუძვლეს „განათლებული აბსოლუტიზმი“ შეადგენს, ხოლო „ქართული ფეოდალური ისტორიაში“ აღვნიშნე დავით აღმაშენებლის „თავისუფალი აზროვნებისადმი“ მიდრეკილება (Вольнодумство), რაზეც კ. პაჭკია მიუთითებდა ფირიანო ზარზარის მიმართ, როგორც რენესანსული სოციალიზმის წინაშე. სარეცენზიო შრომის ღირსება ის არის, რომ მასში სისტემატური სახითაა შესწავლილი და გამოკვლეული დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებანი, და მათზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი კურსი სრულიად ახალი და ორიგინალური იყო შესაფუძნების ეპოქისათვის. დავით აღმაშენებელი, მის გარშემო შემოკრებილ სწავლულებთან ერთად საგანგებოდ სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიულ საკითხებს და წარმატებით ასორციელებს მას პოლიტიკურ საქმიანობაში. სარეცენზიო შრომის ავტორი დავით აღმაშენებლის დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას დამაჯერებლად ასახულებს სათანადო წყაროებით და მიუთითებს, რომ დავითის მიერ განხორციელებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა რელიგიურ დოგმებს კი არ ემყარებოდა, არამედ წარსულის ისტორიულ გამოცდილებას. დავითის ისტორიკოსი ამის შესახებ სპეციალურად შენიშნავს: „იცნის ქველუბანი ეამთანი... წარსულს შეამსგავსნის მომავალნი“.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელების ამ საერთო საწყისების მიუხედავად, სარეცენზიო შრომის ავტორი სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ თუმცა დავითის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი პროგრესული იყო თავისი დროისათვის, მაგრამ ეს შეხედულებანი ზიანც ღმერთის იდეასთან იყო დაკავშირებული მსგავსად დასავლეთ ევროპის რენესანსის პოლიტიკურ იდეოლოგიის წარმომადგენლებისა. ეს გარემოება სრულებითაც არ ამკვირებს დავით აღმაშენებლის მეცნიერულ მემკვიდრეობას, რადგანაც როგორც სარეცენზიო წიგნის ავტორი შენიშნავს მარქსიზმ-ლენინიზ-

მის მოძღვრების მიხედვით ფეოდალიზმის ეპოქაში ყველა ქვეყანაში გაბატონებული იყო სახელმწიფოს წარმოშობის ლეგენდარული თეორია. როგორც ავტორი სამართლიანად მიუთითებს, სწორედ ამიტომ დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებებიც ეწერა აქედან შუა საუკუნეების ამ საერთო მოვლენას. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ავტორმა შესძლო დამატებებლად ეჩვენებინა შუა საუკუნეებში გავრცელებული ლეგენდის წარმოდგენისაგან განსხვავებით, რომელიც ინკვიზიციას, მონაბას, და კაცთმოჭოლვას ემყარებოდა და ამართლებდა, დავით აღმაშენებლის შეხედულებანი ლეგენდაზე, როგორც უმაღლეს სიყვთეზე, რომელიც თავისი ხასიათით პროგრესული იყო. სარეცენზიო შრომის ავტორის მსჯელობა ღმერთზე, როგორც უმაღლეს სიყვთეზე, ფაქტურად ემყარება პეტრე იბერის (დრონიც არეოპაგელის) მოძღვრებას, რომელიც უნდა ვიდრეკით, არ იყო უცხო დავით აღმაშენებლისათვის. აქ, რა თქმა უნდა, XII საუკუნესთან ახლო მდგომ მოპროვინციებთან უნდა ვიქონიოთ საქმე და მაშინ უკვე გასაგები ხდება რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დებულება: „ღმერთი კარგსა მოაქვინებს და ბოროტსა არ დაბადებს“.

სარეცენზიო შრომის ავტორის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ბუნებითი სამართლის შესახებ დავით აღმაშენებლის შეხედულებების დადგენა. ავტორი საეკლესიო მართებულად არჩევს ბუნებითი სამართლის ცვლილებადი გამოყენების საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებს. აქ რელიგიურად არის წარმოდგენილი ბუნებითი სამართლის მოძღვრების ნიადაგზე გვიანდელი რენესანსის წარმომადგენელთა (თომასიუსი, ჰობსი, სპინოზა, გროციუსი და სხვ.), იდეოლოგიური ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ერთი მხრივ და მეორე მხრივ იმავე ბუნებითი სამართლის მოძღვრების გამოყენება შუა საუკუნეებში ფეოდალიზმის და მონობის გასამართლებლად (თ. აქვინელი). ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით ავტორი დამატებლად ასახელებს, რომ დავით აღმაშენებლის მოძღვრება ბუნებითი სამართლის შესახებ მოწინავე პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა და თავისი ხასიათით რენესანსული იყო.

უნდა ითქვას, რომ ავტორმა წარმატებით შესძლო გამოგვეტანა დავით აღმაშენებლის რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგიის ის არსებითი ნიშნები, რომელთაც თვით დავით აღმაშენებელი გვაძლევს თავის ნაწარმოებში „გალობანი სინანულისანი“. არ შეიძლება არ დავითაშხმით ავტორს, რომ დავით აღმაშენებელი ამ თხზულებაში გვიხასიათებს ორ დამატებულად განსხვავებულ მსოფლმხედველობას: პირველი, რელიგიურ დოგმატებზე დამყარებული მსოფლმხედველობა, რომლითაც ნაკლებად სარ-

გებლობდა დავით აღმაშენებელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამეფო ხელისუფლებას. განხორციელებისას, და მეორე, რელიგიური დოგმატისაგან თავისუფალი, აღმაშენებლის რენესანსული მსოფლმხედველობა, რომლითაც, როგორც თვით დავით აღმაშენებელი აღნიშნავს, იგი სისტემატურად ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ საქმიანობაში. ავტორი მართებულად ასახელებს, რომ რელიგიურ დოგმატებისაგან თავისუფალი ეს უკანასკნელი მსოფლმხედველობა თავისი ხასიათით უმაღლად რენესანსული იყო.

ასეთივე დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებათა სისტემა, რომელიც სრულიად თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი სარეცენზიო შრომაში. ამდენად, ვ. აბაშაძის მიზანი — ეჩვენებინა XII ს. ქართული პოლიტიკური აზროვნება და მისი ძირითადი მიმართულებანი, როგორც რენესანსის გამოვლენა იმდროინდელ საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში, საეკლესიო მიდევრულად უნდა ჩაითვალოს. იგი შეიძლება მეცნიერულ აღმოჩენად უთვლიყო მინერული, მაგრამ ის ევთენის ისეთი ჯერის მოვლენებს, რომელთა ფაქტურა რაიმეხანა უკვე მოცემული იყო და ამდენად აქ აღმოსაჩენი არაფერი იყო, მაგრამ მთავარი იყო ამ ჯეროვნად შეუსწავლელი გარემოებების ღირებულების მიგნება მსოფლიო მეცნიერების ბრძოლაში რენესანსის ირგვლივ და გამო.

რამდენადაც სარეცენზიო ნაშრომი მიზნად ისახავს XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ძირითადი მიმართულებების გამოკვლევას, შეიძლება და აქ წერტილი დავესვა, რადგანაც დავით აღმაშენებლის პოლიტიკური იდეები საქმით და დამახასიათებელ მასალას იძლევა საამისოდ. მითუმეტეს საამისო ძეგლებიც არსებობს და წყაროებიც ხელმისაწვდომია.

რაც შეეხება უფოლ-არსლანის იდეოლოგიას, რომელსაც ეძღვნება სარეცენზიო შრომის მეორე ნაწილი, მის მიმართ ცოტა სხვა მდგომარეობაა. სარეცენზიო შრომის ავტორი თვითონ აღნიშნავს უფოლ-არსლანის შესახებ წყაროების ნაკლებობას. გარდა ამისა, უფოლ-არსლანის ღვთის პოლიტიკური გამოხატვა უფრო მეტად პრაქტიკული საქმიანობის სფეროს ეკუთვნის. ამდენად შრომის ორივე ნაწილი ერთგვარ მთლიანობაშიც უნდა იქნას განხილული, კერძოდ, დავით აღმაშენებლის ნააზრევო როგორც რენესანსული თეორია და უფოლ-არსლანის პოლიტიკური გამოხატვა და მისი შედეგები, როგორც რენესანსული იდეების გამოყენება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ავტორს ამ საკითხის ასეთნაირი დაუენებიათ, არამედ გადაჭრისათვისაც გზა გააფუთა აქვს მას შემდეგ რაც მან მიაგნო უფოლ-არს-

ლანის პოლიტიკური გამოსვლის არსს.

სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენს ავტორს უველადური აქვს გავითვლებული მან დადგინა, რომ ყუთლუ-არსლანის გამოსვლის საოცარო ფერმენტს მესამე წოდება, და ამით ეს მოძრაობა დამაჯერებლად მიიყვანა რენესანსულ მოვლენათა რიგს. ავტორმა მართებულად შენიშნა ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის სრული დამთხვევა რენესანსულ პროგრამებთან. ვ. აბაშაძემ სხვებისაგან განსხვავებით პირველმა მიუთითა, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, როგორც საერთაშორისო საჩინესანსო გამოვლენა, მთავარი და ძირითადია.

ასეთია ჩემი მოკლე რეცენზია. რა თქმა უნდა, შრომაში გვხვდება სადავო დებულებანი და

უზუსტობანი, რომელთა ნაწილი ჩემს რეცენზიაში უკვე მითითებულია, მაგრამ ეს შენიშვნები ვერაფრითაა შემთხვევაში ვერ არღვევენ ავტორის ძირითად, საკვანძო დებულებებს. მე ვე მინდა საგანგებოდ აღენიშნო, რომ ჩემთვის სამწუხაროდ ამ ნაშრომის მოხსენება არ მოხერხდა ჩემს სარეზენსო მონოგრაფიის მეორე გამოცემაში, როგორც ერთი საუბრეთსო გამოცელებისა ქართული რენესანსის შესახებ.

ერთდღივით, გონებაშახივლით კვლევით და გამართული სამეცნიერო მეთოდოლოგიით ვ. აბაშაძის შრომა „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“, საუბრადღებო წვლილია ქართული კულტურის ისტორიაში.

მ. ნაცუბიძე

„ნ. ბარათაშვილის ეპოქა“

საბჭოთა კავშირის ხალხების ისტორიის ქართულ მკვლევართა შორის პროფესორ აკაკი სურგულაძის უდავოდ თვალსაჩინო ადგილი უკავია. საქართველოს თუ საერთოდ სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის ცალკეული პერიოდებისადმი მიძღვნილი მისი შრომები გამოირჩევიან მაღალი იდეურობით, მებრძოლი პარტიულობით და თვალნათლად გვიჩვენებენ მათი ავტორის საუკეთესო მეცნიერულ აზრობას, ერუდუციას და კვლევის მაღალ კულტურას. ამ მხრივ გამოჩენილი არ შეადგენს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გასულ წელს გამოქვეყნებული ისტორიული ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“.

ავტორი მიხნად არ ისახავს დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ლიტერატურული მხარის ანალიზს, თუმცა როგორც „ისტორიული ნარკვევის“ შინაარსიდან ჩანს, ავტორს წარმატებით შეეძლო ამ ამოცანის დაძლევა.

ბუნებრივია, მკვლევარი ნ. ბარათაშვილის ეპოქის ანალიზისას ვერ შემოიფარგლებოდა პოეტის მართოდ სიცოცხლის წლებით, ვინაიდან მისი ისტორიული მონაკვეთი მეტად ხანმოკლეა და არცაა მაინცდამაინც მდიდარი ისტორიული ხასიათის მოვლენებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1832 წლის შეთქმულებას, ამიტომ ავტორი საესებო სწორად იქცევა როდესაც ანალიზებს XIX საუკუნის ისეთი მნიშვნელოვანი ხასიათის მოვლენებს, როგორცაა რუსეთთან საქართველოს შეერთება და ცარიზმის ერთგულ-კოლონიური პოლიტიკა სა-

ქართველთა, XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მასობრივი აჯანყებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, 1832 წლის შეთქმულება და ა. შ.

რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულ მნიშვნელობაზე ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა. ნაშრომის ავტორი ამ საკითხში არ იმეორებს მრავალჯერ ნათქვამს, დაწერის. ცხადია, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მაგისტრალური ხაზი რუსეთთან საქართველოს შეერთების ობიექტურ-ისტორიულად პროგრესული მნიშვნელობისა და რადიკალური იყოს, პირიქით, ავტორი მისთვის ჩვეული აზრობით და კვლევის უზნად ოსტატობით მიმართავს დამატებით წყაროებს, რუსეთთან სხვა შემოერთებული ხალხების მავალითზე ახდენს შედარებებს და ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის უარყოფითი შედეგების ანალიზთან ერთად აცეთებს დასკვნას, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ ყველა ხალხს სამეურნეო და კულტურული წინსვლის მაგისტრალური გზაზე დადგა და ფიციურ განადგურებას გადურჩა. აქედან გამომდინარე ცხადი გახდა, რომ ქართველობა ვერ შეეგუა არა რუსეთსა და რუს ხალხს, არამედ სრულიად უცხო კოლონიზატორულ წესებს, რომლებიც ცარიზმმა მას თავს მოახვეა.

ამასთან ერთად დამაჯერებლად აჩვენებს იმ პროგრესულ შედეგებს, რომლებიც გამოვიდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სამი-რისპიროდ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული თანაცხოვრებით. განსაკუთრებით დადებით მოვლენას წარმოადგენდა ის, რომ რუსეთთან შეერთებით ქართველმა ხალხმა თავი

დააღწია თურქეთისა და ირანის შესახებ ინფორმაცია კანბალიზმს.

ამასთან ერთად ნაშრომში ნაჩვენებია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მთელი სიძლიერის კონკრეტული გამოვლენებანი. უფრობით ავტორი პირველად აყენებს საკითხს (ყოველ შემთხვევაში მოცემული კუთხით) ცარიზმის თავისებური პოლიტიკის შესახებ დასავლეთ საქართველოს წვრილ სამთავროთა მიმართ. თავისთავად მართლაც საყურადღებოა, თუ რატომ ურიგდებოდა ცარიტული რუსეთის ხელისუფლება აღნიშნულ სამთავროთა ავტონომიურ მმართველობას გარკვეულ დრომდე, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ტიპიურ საოცუპაციო რეჟიმს ახორციელებდა. საქმე იმაშია, რომ დასავლეთ საქართველოს სამთავროთა მონევენებით დამოუკიდებლობა (ნამდვილი ავტონომია კი არ ნიშნავს დამოუკიდებლობას), მაშინ, როდესაც როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ცენტრები თბილისი და ქუთაისი ცარიზმს, ეპურა ბელთ, მდგომარეობას ვერ შეცვლდა და კოლონიზატორულ რეჟიმში, რაიმე მზახს ვერ წარმოშობდა. გარდა ამისა სამთავროთა მონევენებით დამოუკიდებლობა უნდა გამჟღავნოს თავისებური სამუდამო დასავლეთ საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნებისა და ძალთა დაქვემდებარებისათვის. ამიერკავკასიაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის დაწერისგან ანალიზიდან ავტორს გამოყავს ის საერთო და უდავო დასკვნა, რომ ეს პოლიტიკა იყო მძარცველური და ამიერკავკასიის ხალხთა ფაქტობრივ ეროვნულ გაღმეგებას და ძალდატანებით გარესებას ისახავდა მიზნად. „მაგრამ რუსი და არარუსი ხალხების, კერძოდ რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული ურთიერთობა, რომ მხოლოდ ცარიზმის რეჟიმული, კოლონიზატორული პოლიტიკის ჩარხში შეათავსებოდა, ისტორიის უხეშ ფალსიფიკაციამდე მივალთ“. (გვ. 146)

ძნელია არ დაეთანხმა ასეთ უდავო დასკვნას. პროფ. აკ. სურგულაძის ისტორიულ ნარკვევში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მასობრივ მოძრაობათა ანალიზს. ამ მოძრაობიდან ავტორი გამოყოფს მთელუთის 1804, ახეთის 1812 და იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებებს. კრიტიკულად მიმოიხილავს თითქმის ყველა ისტორიკოსთა ნაშრომებს, რომლებიც აღნიშნულ აჯანყებებს შეეხებიან და ავტორი, ჩვენი აზრით მიღის იმ სწორ დასკვნამდე, რომ მანამდე არსებულ თითქმის ყველა ნაშრომს, რომლებიც XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს გლეხთა აჯანყებებს ეხება, ახასიათებს ცალმხრივობა, მათში სხაგასმულია გლეხთა მოძრაობის ანტიფეოდა-

ლური ხასიათი და უგულებელყოფილა მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელ პერსპექტივა.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 1832 წლის შეთქმულებისა და XIX საუკუნის 40-50-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაბლემებს, არა იმიტომ, რომ მათზე არაფერი დაწერილა, პირიქით ორივე საკითხზე მოიპოვება დიდძალი ლიტერატურა, მაგრამ წინამორბედთაგან განსხვავებით ავტორი მის მიერ გამოვლენილი ახალი დოკუმენტების და დამატებითი წყაროების საფუძველზე აყენებს ახლებურ და საყურადღებო დასკვნებს. ცხადია: ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორი ზღაღღებით უყუარდებდეს და უაზროდღეს წინამორბედთა ყველა მოსაზრებას.

უწინარეს ყოვლისა ნაშრომში ნაჩვენებია, რომ შეთქმულება არ ატარებდა ლოკალურ ხასიათს, მისი ფარგლები მართკომოდ მოტილისით არ განისაზღვრებოდა უფრო მეტი, შეთქმულთ სურდათ ცარიზმის წინააღმდეგ მთელი კავკასია შემხედრებიათ.

ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად ისიც უნდა ჩათვალოს, რომ ავტორი გულდასმით და სრული ობიექტურობის დაცვით თანმიმდევრულად მიმოიხილავს აქამდე გამოქვეყნებულ ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს 1832 წლის შეთქმულების ძირითადი მიმართულებისა და ხასიათის შესახებ. ავტორს მიაჩნია, რომ კ. აბაშიძემ პირველად გააშუქა ვრცლად 1905 წელს „აქტებზე“ დაყრდნობით მაშინდელ მეცნიერულ დონეზე შეთქმულების ჩასახვა, მისი მზადება და დამარცხების მიზეზები. კ. აბაშიძეს 1832 წლის შეთქმულება მიაჩნდა უმინო საქმედ. რომელსაც რაიმე თვალსაჩინო შედეგები არ შეიძლება მოყოლიდა. მისივე აზრით შეთქმულების შედეგ თავდაზნაურობა მთლიანად გადავიარების გზას დაადგა, ასეთივე მოსაზრება წამოაყენა შეთქმულებაზე არჩ. ჯორჯაძემაც. იგი თვლიდა, რომ შეთქმულთა ოცნება საქართველოს განთავისუფლების შესახებ იყო ბავშვური და გულუბრყვილო.

ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის — სოციალ-დემოკრატისტების თვალსაჩინო წარმომადგენელთა ნიპალისტური დამოკიდებულება 1832 წლის შეთქმულებისადმი არ ყოფილა შემთხვევითი, არამედ მათი პარტიის კლასობრივი ბუნებიდან მომდინარეობდა.

ფედერალისტთა პარტიის ეროვნული პროგრამის ძირითად მოთხოვნას ბურჟუაზიულ-მემორალურ რუსეთში საქართველოს ავტონომია შეადგენდა. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მეფის რუსეთის მფარველობით საერთო იდეალად მიაჩნდა ამ პარტიის წარმომადგენლობას. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მისია ფედერალისტების აზრით, მემკიდრეობით მიიღო ქართველმა ბურჟუაზიამ,

რომლის დროის ქვეშ უნდა დარჩენილიყო მთელი ერი. ფედერალისტთა ასეთი თვალსაზრისი ასახავდა ინტერესებს არა მთლიანად ქართველი ერისა, არამედ მხოლოდ ქართული ბურჟუაზიისას, რომელსაც ხალხის ექსპლუატაციით უნდოდა გამდიდრებულიყო და „ავტონომიური საქართველო“ საბაჟო ზღუდრებით შემოეფარგლა.

900-იანი წლების ბურჟუაზიული ნაციონალიზმის კლასობრივი ბუნება ამხილა და შესაინოშავე განმარტება მისცა ეროვნული საკითხის თავდაზნაურულ, ბურჟუაზიულ და პროლეტარულ თვალსაზრისებს ი. ბ. სტალინმა თავის ცნობილ სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატებს ნაციონალური კითხვა“.

სტალინი ი. ბ. სტალინი თვლიდა, რომ ქართველმა თავდაზნაურებმა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თავი დამკირბებულად იგზნო „იუკადრისა უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“ ამით მას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეთევითი და თავდაზნაურობა დაეყენებინა და, ამრიგად მათთვის გააღვეს ქართველი ხალხის ბედულობა! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“. ვერცერთი შესამჩნევი კვალი ვერ დანახა ამ „მონარქობაში“ ქართველების ცხოვრებას, ვერცერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავდაზნაურების ზოგიერთ შემთქმელებას რუსი მმართველობის წინააღმდეგ კავკასიაში“ (ი. ბ. სტალინი, თბ., ტ. 1, გვ. 33).

ავტორი საეცხბით სამართლიანად იყენებს ი. ბ. სტალინის აღნიშნულ დებულებას თავისებურ გასაღებად 1832 წლის შეთქმულების ბუნების გარკვევასთვის. აღერ ისტორიკოსები იშველიდნენ ი. სტალინის აღნიშნულ დებულებას, რათა 1832 წლის შეთქმულება ფეოდალურ ნაციონალიზმის გამოვლინებად მოენათათ და მისი „რევოლუციური ხასიათი“ დაედასტურებინათ.

აქ სურგულაქე საფუძვლიანად უკუაგდებს ასეთ მისაზრებას და თვლის, რომ ასეთი დასკვნისათვის ი. სტალინის დებულება არავითარ საბაზს არ იძლევა, რომ 1832 წლის შეთქმულება სხვა ასპექტშია მოქცეული და „ფეოდალური ნაციონალიზმის რევოლუციური არსს არ გვემდებარება“ (გვ. 275). ი. ბ. სტალინის სტატიაში გარკვევით იყო მითითებული, რომ ფეოდალურ-მონარქიულმა „ნაციონალიზმმა“ ვერცერთი კვალი ვერ დანახა... ქართველობის ცხოვრებას, და იგი ამ „საერთო წესიდან“ გამონაკლისად თვლიდა სწორედ ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველობის წინააღმდეგ.

ავტორი სამართლიანად თვლის, რომ ზოგიერთ შეთქმულებაში, რომელშიც „კვალი დანახია ქართველთა ცხოვრებას“ პირველ რიგში

სწორედ 1832 წლის შეთქმულებაა მოქცეული. ეს შეთქმულება გამოცალკევებულია ფეოდალური ნაციონალიზმის საერთო მონარქიული, როგორც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოიღწა.

ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ყველა იმ შრომას, რომლებიც 1832 წლის შეთქმულებას შეეხებიან და სამართლიანად დაასკვნის, რომ 1832 წლის შეთქმულება ღირსია სპეციალური მონოგრაფიული შესწავლისა (გვ. 290). ავტორი თავის ძირითად ამოცანად არ თვლის 1832 წლის შეთქმულებას დიფერენციით ანალიზი გაუკეთოს, მაგრამ იგი მთელ რიგ საკითხებს ახლებურად აშუქებს და საუეროდღეობა დასკვნებს აკეთებს, ცხადყოფს შეთქმულება ერთგულებას ორიენტაციის საკითხში ეროვნულ-კერსის მიმართ. შეთქმულება იდგება 1783 წლის მფარველობით ტრაქტატის აღდგენა, შინაგან მმართველობაში დამოუკიდებლობა, საგარეოში რუსეთთან ერთად ყოფნა წარმოადგენდა. ავტორი ცხადყოფს, რომ ნ. პარათაშვილი იყო კანონიერი მემკვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მონარქობის იმ იდეოლოგიისა, რომელსაც თავისი გამოხატულება სწორედ 1832 წლის შეთქმულებაში პოვნა. „ამ იდეოლოგიის ნათელ გამოხატულებას ახელი ქართლისა“ და „საფლავი შეფის ირაკლისა“ წარმოადგენს, სადაც რუსეთთან თანაცხოვრება საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებათა აღიარებული“ (გვ. 295).

ავტორი სამართლიანად არ ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც 1832 წლის შეთქმულების რევოლუციულობის მთავარ არგუმენტად მის მონაწილეთა მონარქიის აღდგენასავე მისწრაფებას თვლიან. შეთქმულება პოლიტიკური პროგრამის ძირითად მოთხოვნათა ანალიზის საფუძველზე ავტორი მდის საყურადღებოდ დასკვნასაც, რომლის მიხედვითაც შეთქმულებაში „დომინირებული მდგომარეობა იმდროინდელმა ქართულმა ინტელიგენციამ, ოცდაათიანელთა პროგრესულმა თაობამ დაიკავა“ (გვ. 301). ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საქართველოს მმართველობის საკითხში შეთქმულებათა პროგრამას სპეც პქონდა „ქვეყნის მმართველობის უფრო პროგრესულ ფორმისთან“ შეზღუდულ მონარქიასთან“ (გვ. 304). ავტორი ამის დასადასტურებლად იმუშავებს შეთქმულების ერთ-ერთ მონაწილის განცხადებას, რომლის მიხედვით შეთქმულება აჯანყების მეორედღსვე უნდა მოეწვიათ სეიმი და ვიდრე მეფეს აირჩევდნენ, საქართველოს მმართველობა სეიმის წევრებისათვის უნდა ჩაებარებიათ. აქედან გამომდინარე ავტორი დაასკვნის, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის მეფედ მოწვევის განზრახვას შეთქმულებათვის ხელი არ უნდა შეეშალა მმართველობის პროგრესული სისტემის განხორციელებაში. „ალექსანდრე უკვე მოხუ-

ცემული და დაუძღვრებელი იყო. განათლებულ ქართველ თავადობას მისი დაყოფიება არ უნდა გაჭირვებოდა. რეაქციული თავადობის ის პარტია, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი ეყრდნობოდა, პოლიტიკაში თვალსაჩინო როლს ვეღარ ასახიერებდა... არც ისაა უცუქარო ფაქტი, რომ ზოგიერთი შეთქმული უფრო რადიკალურად იყო განწყობილი და რესპუბლიკურ წყობილებას თანაუგრძნობდა“ (გვ. 305).

მკვლევარის ასეთი მოსაზრება მნიშვნელოვანია და იგი უდავოდ შეუწყობს ხელს მომავალში 1832 წლის შეთქმულების ნამდვილი ხასიათის და პოლიტიკური ამოცანების შემდგომი კვლევისა და შესწავლის საქმეს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ აღნიშნულ საკითხზე ერთიანი აზრი არ არსებობს. შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოებას რომ ს. დოდაშვილი აშკარა რესპუბლიკელი და შეთქმულების ერთ-ერთი იდეური ბელადი და წამყვანი ფიგურა იყო. ამიტომ ძნელად დასაჯერებელია, რომ რწმენით რესპუბლიკელ დოდაშვილს უცვლელი ფორმით მონარქიის აღდგენისათვის ებრძოლოს.

შეთქმულების ხასიათისა და მიზანდასახულობის შესახებ თავისი მოსაზრების გასაძლიერებლად ავტორი მიუთითებს ზოგიერთ მომავალ შეთქმულთა კავშირზე კავკასიაში გადმოსახლებულ დეპარტებთან. პროფ. ა. სურგულაძის მოსაზრებები 1832 წელს შეთქმულების შესახებ ჯანსაღ პერსპექტივებს სახავს (არა წინამორბედთა შეხედულებების ხელაღებით უცვლდების აზრით) ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის შემდგომი კვლევისათვის.

ავტორი აჩვენებს ნ. ბარათაშვილის მჭიდრო ორგანიზულ კავშირს შეთქმულთა იდეალებთან. ნ. ბარათაშვილი სულ რაღაც 16 წლის იყო, როდესაც შეთქმულება გამოქვეყნდა, მაგრამ ამას სრულიადაც არ შეუღლია ხელი მისთვის ბოლომდე ერთგული დარჩენილიყო იმ იდეალებსა, რომლებსაც შეთქმულნი შეეწირნენ. 1832 წლის შეთქმულება ავტორის სამართლიანად მიაჩნია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის დასაწყისად საქართველოში.

პროფ. ა. სურგულაძე დაწერილებით არჩევს ნ. ბარათაშვილის შემოქმედების პოლიტიკურ

მზარეს და ცხადყოფს, რომ მასში აისახა არა მხოლოდ თანამედროვე ეპოქის, არამედ საქართველო ხალხის წესილი, არამედ ის გზები, რომელზედაც უნდა ევლო ქართველი ხალხის განთავსებულ თავიანთი. ისტორიული ფაქტების ღრმა ანალიზის საფუძველზე ნ. ბარათაშვილი ქართველი ხალხის მიერ არჩეული ორიენტაცია სწორად აღიარა, თავის გაარშემო შემოიყვანა მშობლიური ხალხის მოწინავე ახალგაზრდობის წარმომადგენლები და წარმატებით გააგრძელა 1832 წლის შეთქმულთა მიერ დაწყებული საქმე.

ავტორი სათანადო ფაქტების დამოწმებით ცხადყოფს ნ. ბარათაშვილის განსწავლულობას საქართველოს ისტორიის საკითხებში, რომლის გარეშე წარმოდგენილი იყო გენიალური პოეზის „ხედი ქართლისა“ დაწერა. სარეცენზიო ნაშრომში დაწერილებითაა გარჩეული პოეზიის შინაარსი, გამახვილებულია ყურადღება უმთავრესად მის პოლიტიკურ დანიშნულებაზე ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ნაშრომში ბევრი საყურადღებო მასალა მოტანილი 40-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობიდან საქართველოში. ავტორი არ ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც ამ მოძრაობას ცარიზმის წინააღმდეგ ორგანიზებულ მოძრაობად სახავენ, ავტორი თვლის და ვფიქრობთ საფუძვლიანად, რომ მოძრაობას არ ქონია რაიმე კონკრეტული წინასწარ მოფიქრებული გეგმა, რომ იგი იყო გლეხთა სტიქიური ამბოხებების ჩვეულებრივი გამოხატულება.

ნაშრომში გამოყვეთილადაა მოცემული ორი ძირითადი მიმართულება საქართველოს 40-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ორთავე ეს მიმართულება 1832 წლის შეთქმულებიდან მოდის. ერთი მთავანი სოციალური კონსერვატიზმის ბოლომდე ერთგულია დაჩაბ. სწორედ ამიტომ, ცხადია, ამ მიმართულების მიმდევართა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია საქართველოს არ გამოადგებოდა.

ამასთან ერთად შეთქმულების ნიადაგზე ფეხი მოიყიდა მეორე მიმართულებამ, რომელსაც ავტორი სამართლიანად უწოდებს პროგრესულ-დემოკრატიულს. ამ მიმართულებამ განაგრძო და შემდგომ განავითარა შეთქმულთა საუკეთესო

სო ტრადიციები, ალღო აუღო ახალ ვითარებაში ქართველი ხალხის კვშვარი ინტერესებს და მათი დაცვისა და განხორციელებისათვის. ბრძოლას შეუდგა. ამ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენლად ავტორი ასახელებს გ. ერისთავს, დ. კონქაძეს, ლ. არდაზიანს და სხვებს.

დაბოლოს ავტორი საფუძვლიანად ხსნის კავკასიის მთიელთა მოძრაობის დიალექტიკურ ბუნებას. ამ მოძრაობის შესახებ ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, კარგა ხნის მანძილზე ჰქონდა მოყვებული ფეხი მერყეობას, მის ცალმხრივ შეფასებას, უღივო ფაქტების მიმართ თვითნებობას, ტენდენციურობას და ა. შ. ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც უცხოა ისტორიული მეცნიერებისათვის.

ღნიშნული მოძრაობის შეფასებისას ავტორი იქიდან გამოსდის, რომ კავკასიის შეერაობას რუსეთთან ისტორიულ-ობიექტურად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მიუხედავად ცარიზმის

მძაფრი კოლონიური პოლიტიკისა. მთიელთა მოძრაობა შამილის ხელმძღვანელობით სწორედ ცარიზმის სუბიექტური მიზანდასახურობის, მისი კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. მიუხედავად შამილისა და მისი თანამოაზრეების სუბიექტური სურვილებისა რომლებიც მთიელ მშრომელთა ინტერესების საწინააღმდეგო ხასიათს ატარებდნენ, ობიექტურად ეს მოძრაობა ასუსტებდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, ფრთხვს უკვეცავდა მისი მოქმედების არეს.

პროფ. აკ. სურგულაძის წიგნი — „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“ სერიოზული მეცნიერული გამოკვლევაა. მასში წამოყენებული ზოგიერთი დებულება შეიძლება სადაო იყოს, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს მაგრამ მით უკეთესი; ეს გარემოება ხელს შეუწყობს კვშვარიტების დადგენას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის.

ალექსანდრე მუჯირი

რომანი, რომლის გვირგია შრომაში აღზარდილი ახალგაზრდა

ახალმა დრომ მწერლობაში ახალი თემატიკა მოიტანა და მისი ასახვის ახლებური მეთოდები დანტრგა. ასე მაგალითად, ქართულ ლიტერატურაში სრულიად ბუნებრივად დამკვიდრდა მოზარდი თაობის ცხოვრების თემა. ამ მხრივ სინამდვილის მოვლენების ღრმა ცოდნა და ახალგაზრდის სტაიერი საწყაროს მხატვრული შეცნობის დიდი უნარი გამოავლინა ნიჭიერმა მწერალმა ნ. დუმბაძემ. მის კვალს სხვებაც გაჰყვნენ. მათ შორის ყურადღების ღირსია პროზაიკოსი ევგენი აქუზარდია, რომლის მოთხრობების პირველი კრებული 1961 წელს გამოქვეყნდა, ხოლო გასული წლის ბოლოს გამოიცა მისი რომანი „კონა“.

რომანში ერთი სოფლის შრომითი ცხოვრების ფონზე მოთხრობილია მთავარი გმირის კონას ცხოვრების თავგადასავალი. კონა აღრე დობლდა, ბაბუისა და ბებიის მზრუნველობის გამო მას არ უგრძნია ობლობის სუსხი, მაგრამ მალე ისინიც გამოეთხოვნენ წუთისათფელს და

მანაც იგემა ცივი ლუკმის სიტყბა, კაცური კაცის სიტბო. გაჭირვებამ მარჯვე ბიჭად აქცია იგი, გამოუმუშავა ერთგული, ამყოლო, დაუზარებელი ადამიანის საუკეთესო თვისებები. „თვალწინ მედგა, — იკონებს იგი, — სოფელში როგორ დასცილოდნენ გიგოია ზარმაცს და ეცდილობდი, ბებბას და ბაბუას ყოველ თხოვნას აყყოლოდი. ყოველ ნაბიჯზე ეხედავდი, კარის მეზობლებიც როგორ მიღიმოდნენ, ყოჩაღ, კონა, ასეც უნდაო“. მარტოდ დარჩენილ კონას დიდი სამამულო ომი შეესწრო. თავისი გამრჯე ბუნებით კონამ თავი შეაყვარა სოფელს. უფროსი ადამიანების დასაქმებაზე მისი პასუხი იყო „ახლავე“. როცა სოფელს კაფი აკლდა და საჭმეკი ბევრი იყო, კონა უფროსებს ამოუდგა გვერდში და საჭმევრო საჭმეში თავისი წვლილი შეჰქონდა; არც სკოლისათვის მოუნებებია თავი. თუმკა გკონომიურად უზრუნველყოფილი ზოგიერთი მოსწავლე მის შრომითს საჭმინობას დასცინოდა. კონა მათ ტოლს არ უღებდა და

არაფერს უთმობდა: „მე უკვე ცხოვრებამ შემაგულიანა, შრომამ ჩემს ტოლებზე ნადრეად მომცა გაყვითლილი, რომ ყოველთვის კი არ უნდა დათმობა“.

ნაწარმოებში ისე მომხიბლავდაა დახატული ენგურში ხეების დაცურებაზე კონას საქმიანობა, რომ ასე გვგონიათ, თითქოს ყველაფერი თვით ავტორს ენახოს, გამოეცადოს და საკუთარი ცხოვრების თავგადასავალს მოგვეთხრობდეს. ნაწარმოებში შრომითი პროცესები უბრალოდ კი არაა აღწერილი, არამედ მოქმედების სურათია დახატული, გრძნობთ ენგურის ბობოქარ ტალღებს შეჭიდებული ადამიანების გმირულ რომანტიკას. ესაა იმ კეთილშობილი ადამიანების ცხოვრების დიდებული გზა, რომლებიც თავიანთი დაუშრომელი მკლავით ზურგში მტერზე გამარჯვებას ჰედენენ. ამ სულისკვეთებით იზრდებოდა გმირი და, ბუნებრივია, მისი ხასიათის, ძლიერი ნებისყოფის ფორმირებაც ამ სულისკვეთების მიხედვითვე ხდებოდა.

ნაწარმოებში უფრადლებას იქცევს ისიც, რომ შრომის ნაზიარები უმაწილო საგნებსაც ადვილად ითვისებდა. განსაკუთრებით საინტერესოა კომპაგვირში მისი შესვლის მომენტი. იგი ისე ჩინებულად ერკვეოდა მიმდინარე პოლიტიკის ამბებში, რომ თავისი პასუხით განაცვიფრა ისტორიის მასწავლებელი. ეს ცოდნაც ცხოვრებისეული აღმოჩნდა. კონა ყველასათვის მისაბაძი ახალგაზრდა ვახდა, თუმცა მისი ასეთი სახელი ზოგიერთ ზარმაც მოსწავლეს არ მოსწონდა და ცდილობდა სკოლისგან მის ჩამოშორებას. კონა აქაც ძლიერი ნებისყოფის აღმოჩნდა და სწავლას ბოლომდე შერჩა.

კონას სიმპათიით ეკადრება მისი თანატოლი ცირა, არც კონა-მისდამი გულგრილი. ეს გრძნობაც კაცური კაცობის ჰუმანური განცდაა. შიდა დაზღუდული და, ბუნებრივია, მას გაჭრობა არ უწერია.

რომანში ბევრი პერსონაჟია. თითოეული მათგანი აფასებს კონას, უყვარს იგი. საყურადღებოა ისიც, რომ ამ პერსონაჟთა ხასიათის გადმოხატვამდე მწერალი იყენებს მათი მეტყველების თავისებურებებს, თუმცა ამ ხერხის ზმირად განმეორების შედეგად მას უნელდება ის მხატვრული მნიშვნელობა, რომელიც გვეხმარება გმირთა ხასიათის გახსნაში.

ავტორს ეხერხება პეიზაჟური სურათების შე-

ქმნა. ეს სურათები ნათელი, შთამბეჭდავი და დინამიურია: „გაზაფხული ფეხქვეშა თითქოს კიდევ ისმოდა, ღვეთში ჩაჭედდა წყლისგან როგორ სკდობდნენ სიცოცხლის ეშხით გაბერაილი კვირტები, კობწია ჭირფა ტუნებს თელსა და ხელს შუა შლიდნენ და ვარდ-ყვავილებით მოჭარბულ მწვანე ხასხასა კაბით ირთებოდა ღვდამწია“ (გვ. 36); „ქობს თავზე უხვია მოღრჭო-მორუხო კვამლი, თითქოს ბაბუას ჩიბუხი კვლავ ბოლავდა ჩვეს ეზოში“ (გვ. 58); „სითბომ ტანში ერეოდა ჩაუყენა ხეებს. მცენარეებმა გამოიღიძეს, ნიაყის დაქროლებზე შეირხნენ, თითქოს ადრიაჩი გაზაფხულის ვარჯიშს ასრულებდნენ“ (გვ. 178).

გრძნობთ, რომ ეს სურათები სოფლად გაზრდილმა კაცმა შექმნა, რომლისთვისაც გარემო არსებობს მის ორგანულ განცდაში, როგორც ცოცხალი, მიმზიდველი, საყვარელი არსება. ბუნების ამგვარი შეგრძნება და აღქმა გვაუვალებს იმ სამყაროს, რომელსაც მწერალი გვესურათებს. საგანთა და მოვლენათა სურათბრივი წარმოსახვა კი მხატვრული ქმნილების ნიშანდობლივი თვისებაა.

გვგვნი აქუბარდას რომანი „კონა“ მართალი მხატვრული ქმნილებაა იმ ახალგაზრდაზე, რომელიც ალაშა შრომამ და დაუზარელმა გარჯამ შეაყვარა მთელ სოფელს. ეს ნაწარმოები მკითხველს დამაყვარებლად უჩვენებს, თუ რა ძლიერი ნებისყოფის ადამიანები იწრთობიან სოციალისტური შრომის ბრძნულში და ცხოვრების რა დიდ გზაზე გამოიყავს მას ჩვენი მეზობელი და მოქმედი ახალგაზრდობა. კონა ამ ახალგაზრდობის ინდივიდუალიზებული და ამოვე დროს ტიპური სახეა.

რომანის ენა არსებითად მოსაწონია, მაგრამ ზოგჯერ იგი მოიკოჭლებს, რაც ჩრდილავს ამ მხატვრულ შთაბეჭდილებებს, რომელიც ჩვენში მწერლის მიერ ცოცხლად დახატული პერსონაჟები და პეიზაჟები იწვევენ.

აღნიშნავთ ზოგიერთ მათგანს.

ავტორი ზმირად ხმარობს დიალექტურ სიტყვებს, რომელთაც ლიტერატურული აღიარება არ მოუპოვებიათ. მაგალითად: დღლაშენი (გვ. 5) ვდურთავ (გვ. 18), მიხურხურებდა (გვ. 52), ღლაბურა (გვ. 87), დრუზო (გვ. 106), დრუცა (გვ. 107), ვუდლაშენებ (გვ. 173).

ზოგიერთი სიტყვა შეუფერებლადია ნახმარე წინადადებაში. მაგალითად: „შავ გაჯიშულ-

„უღვაშებში... ჩაიცინა“ (გვ. 49), „მე საუღვაშე-ზე ღინღილიც არ მიჭყიოდა“ (გვ. 67), „თით-ქოს ისინაც გრძნობდნენ, წყალში დიდხანს რომ არ შეიძლებოდა ბლოტიალი“. (გვ. 74), „ენგურმაც ხმა ამოიღა“ (გვ. 82), „ვდღლიბეთ ხელი ზედაბორას“ (გვ. 90), „ფეხოსანს ცხენო-სანი ნაწილი მიჰყევებოდა“ გვ. 91). ფეხოსანი არაა სწორი მის მაგიერად იხმარება ქვეითი.

აგტორს ყინვის ლოღუების აღსანიშნავად

შეუქმნია მშვენიერი მეტაფორული სახე-ბრო-ლის შუბები, მაგრამ იქვე ხსნიან მის მწიფე-ლობას, რის გამოც სახე კარგავს თავის თავადი-ბას: „დათოვლილი საჭურავის საწვეთურებზე დაკიდებული ბროლის შუბები-ყინვის ლოღუე-ბი ჩახა-ჩუხით ცვიოდნენ“ (გვ. 80). მეტაფორ-ულ სახეს, თუ იგი რეალური ნიშნებითაა წარ-მოსახული, ავტორისეული ახსნა არ სჭირდება.

გ. ლლონბი.



გ ა ს წ ო რ ე ბ ა : ჩვენი ჟურნალის მეშვიდე ნომერში, ი. ლოლაშვილის წე-რილში, 158-ე გვერდის მეორე სვეტის 34-ე სტრიქონში (ზევიდან), აგრეთვე, 159-ე გვერდის პირველი სვეტის მეხუთე, 24-ე და 29-ე სტრიქონებში (ზევიდან) ნაცელად კ. (კირილე) ლორთქიფანიძისა უნდა იყოს ი. (იოსებ) ლორთქიფანიძე.